

ჯანსუღ კორძია

სიკვდილის გენეზისი

რომანი

პოლიტპატიმრისათვის ეს ღამეც, რუსთავის კოლონიიდან განთავისუფლების წინა ღამეც უძილო, აფორიაქებული და ფიქრში ჩაძირული იყო, მაგრამ ამჟამინდელი ფიქრი, უკვე გადატანილი და გამოცდილი 1692 ღამის ფიქრისაგან განსხვავებით, მარტოოდენ ფიქრი-განსჯა კი არ იყო, არამედ ფიქრი-ოცნებაც.

1693-ე ღამე ოცნების ღამეც იყო, ფიქრი-ოცნების ღამე.

ავვისტოს გუშინდელი მზის უსაშველო ვარვარისაგან დატოვებული, ჯერაც ნირშეუცვლელი, გაუნძრეველი და გაუნელებელი ხვატით სულშეხუთულ ექვსკაციან საკანში, ფანჯარასთან მიდგმულ, ყავლგასულ და უიმედოდ მორყეულ ნარზე ტანსაცმელგაუხდელად მიწოლილი ყოფილი სამხედრო ტყვე მირიან იბერი ახლა, ამ წუთში, ამ ჩახუთულ და გარინდებულ შუაღამისას მთელი ცნობიერებით სწორედ ფიქრის იმ მკვეთრ მეტამორფოზაზე, აშკარად გამოხატულ გრადაციაზე და ხელშესახებ სახეცვლილებაზე – განმსჯელი ფიქრის მეოცნებე მეოცნებე ფიქრად გადაქცევაზე იყო მიპყრობილი. ახლანდელი ფიქრი მხოლოდ მიზეზებისა და მოტივების მძებნელი და დასკვნების გამომტანი, შუბლშეკრული და შინაგან დუმილში ბოლომდე ჩაფლული განსჯა კი აღარ იყო, არამედ ერთბაშად და, რაც მთავარია, მოულოდნელად აელვარებული ოცნება, რომელიც სასოწარკვეთის, უიმედობისა და უსასოობის ჯურღმულებში სინათლის იისფერ, ნათელ და გრძნეულ შუქად იყო შემოჭრილი.. ერთი რამ სრულიად ნათლად და ცხადად იყო გამოკვეთილი იბერის ცნობიერებაში: ფიქრი-განსჯის ხანგრძლივი და განუყოფელი ბატონობის შემდეგ ფიქრი-ოცნების ხეობის უამი თუ ჯერი დამდგარიყო.

მირიანის ცნობიერება ახლა სწორედ “მისი მდგომარეობის ცნობიერებას” წარმოადგენდა. იბერს ცნობიერებაზე საუბრის დროს ხშირად უხდებოდა კანტის “წმინდა გონების კრიტიკიდან” პერიფრაზის სახით აღებული ამ რთული, შედგენილი ტერმინის მომარჯვება. რომელიმე ადამიანის, პიროვნების, სუბიექტის ცნობიერება ყოველთვის მისი მდგომარეობის ცნობიერებაა. იგივე ფრაზა უნდა განმეორებულიყო მირიან იბერის ახლანდელი, რადიკალურად შეცვლილი ცნობიერების დახასიათების თუ ანალიზის დროსაც. მისი მდგომარეობა კი ვიღაცის თუ რაღაცის ნებით ერთბაშად ბორკილახსნილი თუ ბორკილაყრილი, ხანგრძლივი პატიმრობიდან ერთი ხელის დაკვრით, რაც მთავარია, ანაზღად და მოულოდნელად განთავისუფლებული კაცის მდგომარეობა იყო. ჰო, ამჯერადაც ვიღაცის ნებით! არა მისი საკუთარი შინაგანი ნების ძალისხმევით, არამედ სხვისი ნებით! სწორედ და ზუსტად სხვისი ნებით! როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდებოდა მირიანის ცხოვრებაში. არა! თითქმის კი არა, არამედ როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა იბერის სიცოცხლის მთელ მანძილზე. ახლაც იმ ნებამ, სხვისმა ნებამ, მირიანისთვის ჯერაც გაურკვეველმა, გაუშიფრავმა და შეუცნობმა ნებამ, ამოუხსნელმა, მაგრამ ყოვლისშემძლე ნებამ, იბერისათვის აქამდე ფიქრშიც კი წარმოუდგენელი, შეუძლებელი და მიუწვდომელი სასწაული განახორციელა – პოლიტპატიმრისთვისაც მოულოდნელად გაანთავისუფლა იგი სულზე შემხუთავად შემოჭერილი მარწუხებისაგან და უსასრულო ღამეებში მთელი სასიცოცხლო ენერჯის შემწირველი ფიქრი-განსჯის წყვილიადისაგან.

ფიქრ-განსჯას გუშინ შუადღისას, კოლონიის უფროსთან გაიოზ დემეტრადესთან განმარტოებული, ხანმოკლე, მაგრამ პატიმრობისათვის

უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრას დამთავრებისთანავე დაედო ზღვარი. ჰო, სწორედ გუშინ შუადღისას, როცა ყოფილმა საბჭოთა ჯარისკაცმა და ყოფილმა სამხედრო ტყვემ აქამდე დაუჯერებელი, აქამდე მხოლოდ ფანტასტიკურ, ყოვლად უსაფუძვლო წარმოსახვაში ზოგჯერ და ისიც გაურკვეველად, უნიათოდ, არასარწმუნოდ და არადამაჯერებლად მოკიაფე განთავისუფლება, ახლა უკვე რეალური და ახლა უკვე ხვალისდელი განთავისუფლება, პოლკოვნიკის მტკიცე დასტურის შემდეგ საბოლოოდ ირწმუნა. წყვილიაღისაგან უცებ თავდაღწეული და თავდახსნილი ყოფილი სამხედრო ტყვე ამ ახალმა მდგომარეობამ ოცნების აბსოლუტურად დაწმენდილ, აბსოლუტურად კაშკაშა და აბსოლუტურად ნეთელ სიღურჯეში მოაქცია, აქამდე უიმედობისა და უხასოობის არტახებით შებოჭილმა, ბორკილდადებულმა, ფრთებშეკვეცილმა, მღუმარე და დატყვევებულმა ოცნებამ პოლკოვნიკის კაბინეტშივე აიწყვიტა და ერთბაშად მოვარდნილ უსაზღვრო სივრცეში ცნობიერების სიღრმეებიდან დალი ამაშუკელის ხატება ამოანთო და ამოზადა. დალიმ, რომელიც მირიან იბერის განუწყვეტელ და უსაზღვრო ფიქრში მუდამ მირიანთან იყო, ერთ წამში ჩამოიცილა უცნაური, რეალური და არაგრძნობადი შტრიხები და იმავე ერთ წამში რეალური და ხელშესახები გახდა. კოლონიის უფოსის დასტურის შემდეგ უკვე გარდუვალობად ქცეული ხვალისდელი განთავისუფლება იბერისათვის რეალურ-ადამიანურ სამყაროში ანუ დალის სამყაროში მიბრუნებას მოასწავებდა. ამის წამიერი გაფიქრება პოლკოვნიკის კაბინეტშივე შემძვრელ, უმწვავესსა და უმძაფრეს განცდად მოედო მირიანის მთელ არსებას. აწყვეტილ, ფრთაგაშლილ და მფრინავ ოცნებას ისეთივე ლურჯი ფერი ჰქონდა, ზუსტად ისეთივე ლურჯი ფერი, როგორც სიჭაბუკეში, ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე აღმართულ საპარაშუტო კოშკის ზეთავიდან დანახულ ზეცას. ისეთი მაღალი, ისეთი ღრმა და ისეთი ლურჯი ცა შემდგომში არსად, არცერთ ქვეყანაში, არცერთი მწვერვალისაგან, არცერთი გადასახედიდან თუ ზესახედიდან აღარ უნახავს მირიანს. კოლონიის უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა, კაბინეტის კარი მიხურა და ერთბაშად ატყდა ზარების რეკვა. ფიქრმა-ოცნებამ ერთად დაარისხა იღუმალხმიანი დიდი და პატარა ზარები. . . “დალი”. . . “დალი”. . . სხვადასხვა ტემბრით, მაგრამ აბსოლუტურად ერთნაირი, ზეამაღლებული ინტონაციით ხმიანდებოდა დარეკილი ზარები მირიანის ცნობიერებაში. რუსთავის კოლონიაში ჯოჯოხეთურად გაგრძელებული, უსაშველოდ გაწეილი, უსასრულობად ქცეული ექვსი წლის მანძილზე მხოლოდ განსჯის ლოგიკური კატეგორიების ენაზე მოლაპარაკე ფიქრი, ახლა ოცნების ხატოვანი ენითაც მეტყველებდა, შთაგონებული, ფრთაასხმული, აწყვეტილი ოცნება შთამბეჭდავი, ამაღლებებელი, დიადი, მაგრამ ამავე დროს სრულიად მარტივი იყო: ყოფილ სამხედრო ტყვეს, ყოფილ მსჯავრდადებულს, ყოფილ პოლიტპატიმარს უკვე დართული ჰქონდა ნება მოეძებნა კოლონიის მავთულხლართებს იქით არსებული, გაუცხოებული, გადაგვარებული სინამდვილის მიერ სადღაც გაუჩინარებული, სადღაც გადამალული თუ გადაკარგული მაღალი, თეთრი, მზისფერთმიანი, თაფლისფერთვალეა ქალიშვილი, მისი და მხოლოდ მისი დალი. “თავისი სხვა”, როგორც მირიან იბერი ეძახდა თავის სიყრარულს. სხვისი ნებით, მაგრამ დალის მოძებნის უფლება ნამდვილად ჰქონდა მოპოვებული თუ მინიჭებული. ხვალისაგან შეეძლო რუსთავის კოლონიის მავთულხლართებიანი ღობე თავისუფლად გადაელახა. გზა ხსნილი იყო, სიცოცხლის გზა ანუ დალისაკენ მიმავალი გზა.

დალი ამაშუკელს უკანასკნელად 1951 წლის დეკემბერში შეხვდა მირიან იბერი. წინა წლის შემოდგომაზე, საკუთარ დაბადების დღეს, 15 სექტემბერს, ვორკუტაში ხუთწლიანი გადასახლებიდან მიბრუნებული ყოფილი სამხედრო ტყვე ორმოცდა თერთმეტი წლის ნოემბერში ხელახლა დააპატიმრეს. დრომ ისე მიაღწია დეკემბრის ბოლო დღეებამდე, რომ იბერისათვის მისდა

უნებურად, ამჯერადაც მისი ნების გარეშე დატოვებული თუ მიტოვებული სინამდვილიდან არავის მიუკითხავს, ხმა არავის მიუწვდენია. მირიანისთვის ცხადი იყო, რომ მოკითხვით, ალბათ, მოაკითხეს, ხმის მიწვდენაც, ალბათ, სცადეს, მაგრამ ყველა მომკითხავსა და ხმის მიწვდენის ყველა მსურველს, ალბათ, ალბათ კი არა, ყველაფერს და უსათუოდ, გაუვალი და გარდაუვალი კედელი ხვდებოდა. დადგენილი წესის მიხედვით, იმ წესის მიხედვით, რომელიც იმავე ნებიდან მოდიოდა, რომელმაც მირიანის მეორედ დაპატიმრება ბრძანა, პოლიტიკურ პატიმართან შეხვედრა, მათი მონახულება, მათთან გასაუბრება გამოძიების დამთავრებამდე ყველასათვის უსასტიკესად იყო აკრძალული. ალბათ, სწორედ ამ დადგენილმა წესმა გადაუღობა გზა დალი ამაშუკელს, ალბათ ეს წესი იყო ის შლაგბაუმი, რომლის იქითაც გაღწევა ვერ შეძლო მზიფერთმიანმა ქალმა. სწორედ ამით და სწორედ ამგვარად იმშვიდებდა თავს დალის ბედზე უსაშველოდ დამწუხრებული, შეყვარებული ქალიშვილის უნახაობით უსახდვროდ შემფრთხილებული და თაფლისფერთვალეა გოგონასთან შეხვედრას ძალუმად მონატრებული მირიან იბერი. ახალი წელი ნელა, მაგრამ გარდაუვალად ახლოვდებოდა, ახალი წელიცა და მეორედ დაპატიმრებულ სამხედრო ტყვეთა სასამართლოს დაწყების დღეც. დეკემბრის ბოლო კვირა დღეს მირიანი ქუთაისის ციხის ადმინისტრაციაში სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად გამოიძახეს და გამოუცხადეს, ორი საათის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის იზოლატორში მათთან პაემანის მოსურნე ახლობლებს შეახვედრებდნენ. იმ დღეს იმ ორი საათის გასვლას აღარ დაადგა საშველი. დრო თითქოს გაიყინა, შეჩერდა. დროის ფარდობითობის თეორიამ ახალი არგუმენტი მოიპოვა. შეჩერებულ დროში საოცარი სისწრაფით ამუშავდა პატიმრის გონი. მირიანის ცნობიერებაში ერთიმეორის კვალზე, ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ ამ სიტუაციაში გარდუვალი და აუცილებელი კითხვები, მაგრამ ყველა ეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩებოდა, რადგან მირიან იბერს სწორედ ამ ვითარებაში, ამ სიტუაციაში და ამ მდგომარეობაში მათზე პასუხის გაცემა არ შეეძლო. ის ცნობიერებაც, ორმოცდათერთმეტი წლის დეკემბრის ბოლო კვირა დღის ცნობიერებაც, სწორედ მისი მდგომარეობის ცნობიერება იყო. ყოველმა სამხედრო ტყვემ ყველაზე ნათლად და ცხადად იცოდა, რომ პოლიტპატიმართა ამ ნაკადის საქმეების გამოძიება ჯერ დამთავრებული არ იყო. მირიანი წინა ღამეს იყო გამოძიებულთან მორიგ დაკითხვაზე და გამოძიებულს სიტყვაც არ დასცდენია საბრალდებო დასკვნაზე. ამ შემთხვევაში მთლიანად გაუგებარი და აუხსნელი იყო ნახვის მსურველთათვის აუდიენციის ნებართვის მიცემა. იზოლატორის დიდ დარბაზში ზედიზედ შემოჰყავდათ აუდიენციისათვის გამზადებული პატიმრები. ყველა პატიმარს სახეზე გაოცება და გაკვირება ეხატა. გაოცება აღბეჭდვოდათ სახეზე გიგლა ხაჭაპურიძესაც და ვასო ჯიშკარიანსაც, რომლებიც ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიის შემოგარენში ცხოვრობდნენ და რომლებთანაც ერთად გალია მირიან იბერმა გერმანიაში ტყვეობის, საფრანგეთში ბრძოლის, ტყვეობისათვის პირველი გადასახლების წლებიც. ისინი ახლაც, მეორე დაპატიმრების დროსაც ისევ მირიანთან ერთად, მის კვალზე და მხარდამხარ იყვნენ. იბერი მათ წამიერად, მხოლოდ თვალებით, სხვებისათვის სრულიად შეუმჩნევლად და დაფარულად გამოელაპარაკა. ხაჭაპურიძეცა და ჯიშკარიანიც გაკვირვებას გამოთქვამდნენ, ვერც მათ გაეგოთ, რას ნიშნავდა, რისი მომასწავებელი იყო გამოძიების დამთავრებამდე თავისუფალ მოქალაქეებთან ნებადართული შეხვედრა. იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სახელმწიფო კანონის დარღვევისათვის სჯიდა, აუხსნელი იყო სახელმწიფო თვითონ რატომ არღვევდა კანონს. პატიმრები ჩუმად ისხდნენ, დარბაზში. ხმას არ იღებდნენ. დუმილით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ყველა თავისთვის და თავისას ფიქრობდა. მირიან იბერს ერთადერთი სურვილი ჰქონდა, მასთან პაემანზე მოსული სწორედ დალი ამაშუკელი ყოფილიყო,

მხოლოდ ის, მხოლოდ დალი, მხოლოდ მზისფერთმიანი ქალი. ამ სურვილით შეპყრობილმა აიარა იზოლატორის მეორე სართულზე ამაველი კიბე. მოსალოდნელი გნიახის ნაცვლად შეხვედრათა დარბაზში შეყვანილ პატიმრებს უსაშველო სიჩუმე, უსაშველო და უჩვეულო სიჩუმე შემოეგებათ. ხმამაღლა ლაპარაკს გისოსს გაღმა-გამოდმა, ხალხშიც და პატიმრებშიც მობორიალე ზედამხედველებიც კრძალავდნენ. მირიანმა იმ განწყობით შეაბიჯა დარბაზში, რომ იქ უსათუოდ, უეჭველად, მაინცადამაინც დალი ამაშუკელი უნდა დახვედროდა. დალი ამაშუკელი და სხვა არავინ. “მამა მწოლიარეა, დედა ტიცინანს ვერ მიატოვებდა. . .” ამიტომაც აქ მხოლოდ დალი უნდა იყოს მოსული. ამ ფიქრით შეაბიჯა ყოფილმა სამხედრო ტყვემ დარბაზში და მზერის პირველ დაძაბვისთანავე სწორედ დალი ამაშუკელი დაინახა. იბერს არც უძებნია, ისე თავისთავად შემოეფეთა თუ შემოეგება გისოსებს მოკრული დალი ამაშუკელის სახება. მირიანს არ გასჭირვებია დალის ცნობა, მაგრამ მზისფერთმიანი ქალიშვილი თავი თავს არ ჰგავდა. უზომო მწუხარებასა და დარდს დალი თავის მარწუხებში მოემწყვდია, მირიანს შეიძლება ვერც ეცნო იგი, მაგრამ უსაშველო მწუხარების ზღვრამდე მისული ქალიშვილი იბერს ისევე ღიმილით შეეგება. ღიმილი ისევე დალის ღიმილი იყო. მირიანი გისოსს მიუახლოვდა, ამაშუკელის წინ შედგა და ქალს, რომელსაც ამდენი ხანი ნატრობდა და ელოდა, მდუმარედ შეაჩერდა. დალიც დუმდა. წვდან, იბერის დანახვისას ანთებული ღიმილი, მოახლოებისას ჩაქრა, ჩაქრა თუ ჩაუქრა. წამის წინ ჩამქრალი ღიმილი ახლა უცნაურ, უფერულ ლაქად დასდებოდა ქალის სახეს. მის მზერას, მის აურას. იბერის ცნობიერება გამაღებელი მუშაობდა. მას უნდოდა იმ სიტყვისათვის, იმ ერთადერთი სიტყვისათვის მიეგნო, რომელიც ყველაზე შესატყვისი, ყველაზე შესაბამისი, ყველაზე უკეთესი გამომხატველი იქნებოდა იმ შთაბეჭდილებისა, რაც დალისთან შეხვედრამ მოახდინა მასზე. წვდან, როცა იზოლატორის კიბეებზე ამოდიოდა, მირიანის ცნობიერებას ამისთვის არ ეცალა, იგი იმ ამოცანის ამოხსნით იყო დაკავებული, თუ ვინ დახვდებოდა აქ, ზედა სართულზე, ახლა კი, მას შემდეგ, რაც იბერის მოლოდინი გამართლდა და შეხვედრათა დარბაზში დალი ამაშუკელი ცხადად იდგა მირიანის წინაშე, პოლიტპატიმრის ცნობიერება ამ შეხვედრით მოგვრილი შთაბეჭდილების შესაბამისი სიტყვის დასადგენად თუ მოსაძებნად იყო აღძრული. . . მიაგნო, ცნობიერებამ მოიპოვა და დაადგინა ის სიტყვა, შთაბეჭდილების შესატყვისი სიტყვა და მიგნებული სიტყვა ამოძრავდა მირიანის განცდაში “შევიწირე”. თავდაპირველად ასე განმიანდა მოძიებული სიტყვა “შევიწირე”. “მაგრამ იქნებ ვითარებას უკეთ გამოხატავდეს და ამიტომ, უკეთესი იყოს “შემომეწირა”, დუმილში მოძრავი ფიქრი “შემომეწირაზე” მხოლოდ ერთო წამით შეჩერდა. “ან იქნებ გამოთქმა “ვიმსხვერპლე” უფრო ძირეულად გამოხატავს ყველაფერს, მათი სიყვარულის მთელ ისტორიას, დალი ამაშუკელის დღევანდელ მდგომარეობას, რასაც უკვე თამამად შეიძლება ეწოდოს “ჩამქრალი სილამაზე”. და მერე ზედიზედ განმეორდა “ვიმსხვერპლე”, “მემსხვერპლა”, “შევიწირე”, “შემომეწირა” და მირიან იბერი ერთბაშად მიხვდა, რომ ეს ახლად აღმოჩენილი თუ ეს ახლად მიგნებული სიტყვა თუ სიტყვები წარმოადგენდნენ იმ სიტყვასა და სიტყვებს, რომლებსაც მეორედ დაპატიმრების შემდეგ ყოველ ცისმარა დღეს, დალიზე გაელვებული ყოველი ფიქრისას, ათასგვარ შესაძლებელ კონტექსტში ატრიალებდა მისი ცნობიერება. ახლაც, ამ ვრცელ დარბაზში დალის პირისპირ მდგარ მირიანის გონს ბურღავდა “მემსხვერპლა”, “ვიმსხვერპლე”, “შევიწირე”, “შემომეწირა”. ახლა ამ სიტყვების განცდის სიძლიერე მართლაც განუსაზღვრელი იყო, რადგანაც მირიანი ახლა წარმოსახვაში კი არ აცოცხლებდა მზისფერთმიანი ქალიშვილის ხატებას, არამედ ეს ხატება, სწორედ შეწირული და მსხვერპლად ქცეული დალი ამაშუკელის ხატება მის წინ, მის პირდაპირ, ხელის გაწვდენაზე იდგა და მირიანს უცნაური, სევდით ავსებული მზერით შემოჰყურებდა. დუმილი გაგრძელდა, რადგანაც ფიქრში

ამოტივტივებული სიტყვები იბერმა ხმამაღლა ვერ თქვა, სხვა რამის თქმა კი არ შეეძლო. უნდოდა სხვაგან, სხვა მიმართულებით გადაეგდო ფიქრი, მაგრამ “შევიწირე” და “მემსხვერპლა” მოუცილებელი კლანჭებით იყო ჩაჭიდებული მის ცნობიერებას. მირიანმა გისოსზე ჩაჭიდებულ დალის ხელებს ხელები შემოაჭდო, იმავე წუთას გაისმა პაემანის დამთავრების მაუწყებელი გონგის ხმა და სწორედ მაშინ ალაპარაკდა ქალი. ის სიტყვები, დალის მიერ შეხვედრის დასასრულს ნათქვამი სიტყვები, თითქოს სხვისი ხმით, უჩვეულო, გაბზარული თუ მღელვარე ხმით ნათქვამი სიტყვები, და რაც მთავარია, ის ინტონაცია, რომლითაც ეს სიტყვები წარმოითქვა, ზუსტად ისევე დარჩა იბერის მეხსიერებაში, დარჩა თავდაპირველი სახით, დარჩა ნირშეუცვლელედ და ახლაც, აგვისტოს სიცხით გათანგულ ამ შუალამისას, ისევ იმგვარად ჩაესმის უკვე განთავისუფლებულ პატიმარს: “მიყვარხარ და ამიტომ მინდა, რომ კარგად იყო. . . მიყვარხარ და ამიტომ მგონია, მჯერა, მწამს (თითოეულ ამ სიტყვას დალი ჩართული პაუზით დაბეჯითებით გამოჰყოფდა ერთმანეთისაგან), რომ აწ აღარავითარი განსაცდელი არ შეგხვდება, მიყვარხარ და. . .” დალი ამ სიტყვის მესამედ წარმოთქმის შემდეგ დაიხარა, მის ხელებზე შემოჭდობილ მირიანის ხელებს მისწვდა, დაკონა, მერე გაიმართა და მხოლოდ ამის შემდეგ დაასრულა დაწყებული წინადადება “. . . დაგელოდები, სულ და უსასრულოდ დაგელოდები.” ეს თქვა და გასასვლელისაკენ დაძრული ხალხის ტალღას გაჰყვა. უმაღვე ხალხის ტალღაში ჩაინთქა. მირიან იბერმა, რომელმაც მთელი ამ შეხვედრის მანძილზე გამოკვეთილად უძწოდ გრძნობდა თავს, ვერ გაარკვია, დარბაზის დატოვებისას უკან, მისკენ მიიხედა თუ არა დალიმ. იმ შორეული დეკემბრის ბოლო კვირა დღის შემდეგ აღარ უნახავს მირიანს მზისფერთმიანი ქალიშვილი.

ხანგრძლივი განშორების შემდეგ დალი ამაშუკელის წამიერმა ნახვამ, ერთი მხრივ სიხარულით და სიამოთ აღავსო იბერი. დალისთან შეხვედრა იმის მომასწავებელი თუ დასტური იყო, რომ მირიანის მიერ დატოვებული სამყარო ჯერ კიდევ არსებობდა და ცოცხლობდა, რომ უსასოობაში და განწირულ ყოფაში გამომწვევადეული პოლიტპატიმარი ვიღაცას ახსოვდა და მასზე ზრუნავდა. უსაყვარლესი ქალის ბოლო სიტყვები “დაგელოდები, სულ და უსასრულოდ დაგელოდები” სწორედ ამგვარი ზრუნვის გამოხატულება იყო, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ახალი სატკივარი და თავსატეხი გაუჩინა პოლიტპატიმარს. დიახ, ახალი სატკივარი და თავსატეხი. მასაც და სხვებსაც, მირიან იბერსაც, მის უახლოეს მეგობრებს გიგლასა და ვასოს. აგრეთვე სხვებსაც. პოლიტპატიმართა მთელ კოჰორტას. ვერცერთ მათგანს ვერაფრით ვერ აეხსნა, რის საფუძველზე განახორციელეს ორგანოებმა ძიება დაუმთავრებელი პატიმრების პაემანი მათ ახლობლებთან. რატომ დაარღვიეს მათ დიდი ხნის მანძილზე მტკიცედ დაცული და აპრობირებული წესი? რამდენი არ უკირკიტეს ამ კითხვას პატიმრებმა, ცალცალკეც და კოლექტიურადაც, მაგრამ ვერაფერს ისეთს ვერ მიაგნეს, რაც ამ ფაქტის ახსნას შესაძლებელს გახდიდა. მირიანს მტკიცედ სწამდა, რადგანაც ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, რომ მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნისათვის ერთხელ უკვე დასჯილი და ციმბირმოვლილი საბჭოთა მეომრები მეორეჯერ დაეპატიმრებინათ, სასჯელი გაემკაცრებინათ და გაეხანგრძლივებინათ, მათ არ შეიძლება ამ განზრახვის შესრულებისას რაიმე არსებითი შეცდომა ან შეფერხება მოსვლოდათ. ეს მტკიცედ სწამდა მირიანს და ბოლშევიკების მოღვაწეობის მთელი ისტორიული გამოცდილებაც ამ რწმენას უდასტურებდა. ამგვარი რწმენის არსებობისას ძალზე ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო ცხრაასორმოცდათერთმეტი წლის დეკემბრის ბოლო კვირა დღეს მომხდარი ფაქტის ახსნა, როგორ უნდა გაეგოთ სამართალდამცავი ორგანოების ეს ექსტი ამ ამბავში ჩართულ

პოლიტიკატიმრებს? ამ კითხვას დრომ და გარემოებამ პასუხი გვიან, მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ გასცა, ისიც შემთხვევით.

სტალინის სიკვდილის შემდეგ მის უზარმაზარ იმპერიაში, ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ კი მის მიერ დაკანონებული მმართველობის დარგში, სრულიად თვალსაჩინო და აშკარა ცვლილებები დაიწყო. ამ, ხშირად აუხსნელმა და გაურკვეველმა მოძრაობამ საქართველოც მოიცვა. 1953 წლის გაზაფხულზე, სადღაც მაისში, რუსთავის პოლიტიკატიმართა კოლონიის უფროსი სხვაგან გადაიყვანეს და მის ადგილზე მილიციის პოლკოვნიკი გაიოზ დემეტრაძე მოაგვინეს. ახალ უფროსს, სულ მალე, კოლონიაში თავისი ხალხი მოჰყვა – მისი ერთგული თუ მის მიერ ერთგულად მიჩნეული ადამიანები. ნელნელა პოლიტიკატიმართა მართვის ყველა უბანზე გამოჩნდა ახალი სახეები. ახლად მოვლენილ ზედამხედველთა შორის მირიან იბერმა აღმოაჩინა მისი სკოლის ამხანაგი იუზა ჩიხლაძე. მირიანსა და იუზას ადრეულ ბავშვობაში მრავალი დღე შემოღამებიათ გაბაშვილის გორაზე პარკში ან მე-11 სკოლის ეზოში ბურთისა და ლახტის თამაშში. ერთ დღეს, ასეთმა გადაყოლილმა და მოუთავებელმა თამაშმა იუზა ჩიხლაძეს მარცხენა ხელზე მოურჩენელი და მოუცილებელი დადი დაუტოვა. მირიანის ახლო მეზობლის, ბრგე და ახოვანი მამული კვატაშიძის მიერ ლახტად გამოყენებული ქამრის რკინის ბალთა იუზას მარცხენა ხელზე ნეკსა და არათითს შორის მიეჭრა და მყესები ჩაუჩქჩქვა. ექიმებმა იუზას მარცხენა ხელზე ნეკი და არათითი წარკვეთეს. სკოლის დამთავრების შემდეგ მირიანს აღარსად შეხვედრია იუზა ჩიხლაძე.

ორმოცდაცამეტი წლის მაისის ბოლოს, საღამოს, ვახშმის შემდეგ გადაეყარა მირიანი ახალ ზედამხედველს. იბერი სასადილოდან გამოდიოდა. კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული მაგიდებიდან ბოლო მაგიდაზე ჩაის ისხამდა ახალი ზედამხედველი. ჩაიდან მარცხენა ხელში ეჭირა მილიციის ოფიცერს და სწორედ მაშინ, როცა მირიანმა მას გვერდით ჩაუარა, ანაზღად შეამჩნია, რომ მარცხენა ხელზე ცერა და არათითი აკლდა ზედამხედველს. ამის დანახვაზე რაღაც შეერთა მირიანის არსებაში, მეხსიერება ამოძრავდა და გაღვიძებულმა ხსოვნამ იუზა ჩიხლაძის ჭაბუკობის დროინდელი სახეც მოაქცია ნათელში. იბერმა ნაბიჯი შეანელა, მერე შემოტრიალდა, ჯიქურ მიეჭრა მილიციის ლეიტენანტს და წინასწარ გააზრებისა და მოფიქრების გარეშე მიმართა:

- უფროსო, ხომ არ ცდები, ხომ იუზა ჩიხლაძეს ველაპარაკები?

ლეიტენანტმა ფართო ღიმილი შეაგება თავზე წამომდგარ პატიმარს და თითქოს ჩაილაპარაკა.

- არა, არ ცდები. დიდი ხანია ველი ამ გამოლაპარაკებას, ეს ჩვენი უკვე მერამდენე შეხვედრაა ამ კოლონიაში, თუნდაც ამ სასადილოში, თუნდაც ამ კარებთან, მაგრამ ეს შეხვედრები შენი შესმიანების გარეშე მთავრდებოდა. ვერ მცნობდი. არა, არ შეგშლია, არ ცდები, იუზა ვარ, ჩიხლაძე. რამდენი ხანია ხან სად შემეფეთები, ხან სად, ველოდები, რომ შემიცნობ, მაგრამ ჩემს ამოცნობას არ დაადგა საშველი. მოიცა, არ წამოიწიო, არ გადამეხვიო. ეს სახიფათოა, არა მარტო ჩემთვის, შენთვისაც, მერე, ოდესმე ავიხსნი. ახლა გიხაროდენ, მაგრამ ზომიერად, მოთოკილად.

შენი ვინაობის დასტურად წელანდელი შენი გაღიმებაც კმარა, მაგრამ მე მეტი მინდა. სხვანაირი დასტური მინდა. თუ გახსოვს რა დაგარქვი? ახლა ის სიტყვა პაროლის როლს შეასრულებს. არ გახსოვს?

მირიანი მთელი არსებით იცინოდა, ოღონდ უხმოდ, ოღონდ უჩუმრად. მისი აურა ამ წუთში ძველი, სკოლისდროინდელი ამხანაგის აღმოჩენით მოგვრილი კმაყოფილებით იყო აღსავსე. თავზე მოულოდნელი სიხარულის გვირგვინი ადგა.

გახსოვს? – იბერმა შეკითხვა გაიმეორა – არ გახსოვს, მაგრამ გეპატიება, დიდი დროა გასული. მე გაგახსენებ. მე შენ მეოცნებე დაგარქვი. ჩვენ, მაშინ, სკოლის მოსწავლეები, ყველანი მეოცნებეები ვიყავით.

- მე ახლაც მეოცნებე ვარ. . . – თქვა მირიანმა – მე ყველაფერი მახსოვს, რა შეგარქვი, სად შეგარქვი და რატომ შეგარქვი. ეს ყველაფერი მახსოვს და მახსოვს და მახსოვს იმიტომაც, რომ ეს ამბავი მარტო შენთან არაა დაკავშირებული. იგი დაკავშირებულია ჩემთვის ისეთ განუყრელ ადამიანთან, ჩემთვის ბიჭობის, ყმაწვილ-კაცობისა და კაცობის ისეთ ეტალონთან, როგორცაა თენგიზ ჭკუასელი, ჩემი თეზიკო. კარგი გადახვევა და მოფერება არა, მაგრამ ცოტახანს საუბარიც არ შეიძლება? ჩემი შეჩერება ახლა ასე ადვილად აღარ შეიძლება, იმიტომ რომ შენ შეგხვდი, იმიტომ რომ ქუთაისი გამახსენდა. ხომ შეიძლება ის ეპიზოდი გავიხსენო, როცა მეოცნებე შეგარქვი?

ცუდ ადგილას ვდგევართ – ირგვლივ მიმოიხედა იუზამ – ხელს ვუშლით ადამიანების მოძრაობას, შენც ჩამოჯექი, ერთი ჭიქა ჩაი კიდევ დალიე – მირიანი მაგიდას მიუჯდა, იუზამ გააგრძელა – იმის ნაცვლად, რომ ამდენი ხნის უნახავ სკოლის მეგობარს ის რომ მკითხო როგორ ვარ, რას ვსაქმიანობ და რაღაც ახალი გაიგო, ისეთ რამეს ჰყვები, რაც ორივეს, წესით, კარგად უნდა გვახსოვდეს. ჩემს მესხიერებას ცდი?

- არა, კი არ ვცდი, როგორ გეკადრებათ, ფონს ვუქმნი მთავარ სათქმელს, თუ სად და რატომ დაგიძახე პირველად “მეოცნებე”. – ამასობაში იუზამ მირიანსაც დაუსხა ჩაი, დაჭრილი პურისა და ყველის თეფშები მაგიდაზე უფრო მოხერხებულად განალაგა, მირიანს ხელით ანიშნა “მიირთვიო”. მირიანმა ჩაი მოსვა, საჭმელისთვის ხელი არ უხლია, დაწყებულ საუბარს მიუბრუნდა – გახსოვს, იუზა, მესხეთე კლასში რომ გადავედით მე-11 სკოლიდან მე-6 სკოლაში გადაგვიყვანეს. მთელი ქალაქის მასშტაბით სასკოლო კონტიგენტის დარეგულირების პროცესი მიდიოდა. ჩვენი სკოლის მესხეთეკლასელთა ერთ ჯგუფს მოუწია მე-6 სკოლაში გადასვლა. ბაგრატიც ტაძართან, ზუსტად ტაძრის წინ, უცხო სკოლა, უცხო გარემო, ახალი ამხანაგები, უცხო მოსწავლეები. ძნელი იყო. მწვავედ განვითარდა შეგუება, შეჩვევა, შეზრდა. დამხვდურები იქაურობის პატრონებად და ამიტომ, პატრონებად გრძნობდნენ თავს. ჩვენ ობლებივით ვიყავით. ამიტომ, პირველ ხანებში მაინც, იყო გაწევ-გამოწევა და შეხლა. ახალი სკოლა გახსოვს, მესხეთე კლასის ოთახი გახსოვს, მეორე სართულზე კიბიდან მარცხნივ, პირველი კარი, ფანჯრები ტაძრის ბაღში აგებულ ციხე-კოშკს რომ შეჰყურებდა – იუზა თან ჩაის შეექცეოდა, თან ღიმილით თავს უქნევდა თანამეინახეს – თეზიკო ჭკუასელიც, ცხადია, გახსოვს. ჩვენ, მე-6 სკოლაში ახლადგადასულები ბოლოს და ბოლოს შესანიშნავად შევეწყვეთ დამხვდურებს, ბევრთან საუკუნო მეგობრობამ შეგვაკავშირა, მაგრამ პირველი შექვესე სკოლელი, ვინც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, თენგიზ ჭკუასელი იყო. მან იმ წელიწადს ოცი დღით დააგვიანა სკოლაში. ამოიკითხავდა მის გვარს მასწავლებელი, პასუხად პირველ კვირას მხოლოდ “არ არის” ისმოდა. მეორე კვირას დამხვდურთაგან ყველაზე ელევანტურმა ბიჭმა ზურიკო აბაზაძემ წამოიძახა “სოფელშია”. ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ ჭკუასელის საუკეთესო მეგობარმა და ახლო მეზობელმა გივი მიქაძემ მოახსენა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქსენია ბეჟანიშვილს, რომ თენგიზი, როგორც თვითონ დაიბარა ივნისში, 20 სექტემბრამდე არ ჩამოვაო. ისე მიიღია მესამე სამუშაო კვირა, ჭკუასელი სკოლაში არ გამოჩენილა. იგი უკვე მთელი ახლადშემოერთებული ნაკადის ყურადღების ცენტრში იყო. ჩვენს ბავშვურ ცნობიერებასა და წარმოსახვაში იგი რაღაცნაირი იდუმალებით იყო შემოსილი. გავიგეთ, რომ კარგად სწავლობდა, გავიგეთ, რომ სპორტშიც და თვითშემოქმედებაშიც წარჩინებული და მოწინავე იყო, ისიც გავიგეთ, რომ მთელი ამ უბნის ქალიშვილების ყურადღების ცენტრში იყო, ვერაფრით ვერ

მივმხვდარიყავით რატომ აცდენდა ამდენი, შთამბეჭდავი ხნით სკოლას. ბოლოს, უკვებ 20 თუ 22 სექტემბერი იყო, როცა ჩვენს კლასში შემოაბიჯა ძალიან მაღალმა ბიჭმა. ჭკუასელი გამორჩეული სიმაღლის იყო, იგი მესამე და მეოთხე კლასში სწავლისას ერთბაშად გაზრდილიყო სიმაღლეში, 178-180 სანტიმეტრამდე მიეღწია და ზრდა ასევე ერთბაშად შეეწყვიტა. ჩვენ, მისი მეგობრები, თეზიკოს სიმაღლეში სკოლის დამთავრებისას წამოვეწვიეთ. გამოცხადდა ჭკუასელი სკოლაში და ჩვენც მივადექით ჩვენი ამბის კულმინაციას. იმ მომენტს, როცა მე “მეოცნებე” შეგარქვი. სექტემბრის ბოლო დღეს, დიდი დასვენების დროს, მეხუთეკლასელები ყველანი ჩვენს ოთახში ვიყავით. გივი მიქაძეს წინა დღეს ისტორიული სურათების ალბომი შეეძინა და მე და გივი ამ ალბომისნ თვალიერებაში ვიყავით ჩაფლულნი. უცებ, მოულოდნელად, ანაზად ლაწუნის ხმა გაისმა. მთელი კლასი მიტრიალდა. თეზიკო ჭკუასელს ლალა წერეთლისათვის სილა გაეწნა. როცა მივიხედეთ ლალას მარჯვენა ხელი მარცხენა ლოყაზე ჰქონდა აფარებული. თეზიკო მარჯვენა ხელს ისრესდა. ვერავინ ვერ მოასწრო იმ ფრაზის გაგონება, რომელიც გამეტებულად მოქნეული ხელისა და გალაწუნების მიზეზი გახდა. ყველა დუმდა. არც არავის დაუწყია მიზეზების ძიება. არავის არაფერი არ უთქვამს. კლასში ერთბაშად დამყარდა თენგიზ ჭკუასელის დიქტატურა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, როცა მე და შენ უბნისაკენ მიმავალ გზაზე წმინდა გიორგის ეკლესიის გადასახვევს გავცდით, შენ მომიბრუნდი და მითხარი “როგორი საოცნებო დარტყმა იყო.” “ჰო, ჩემო მეოცნებე!” გითხარი მე და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ეს სიტყვა გახშირდა როგორც შენი სახელი. მას შემდეგ ყველაზე ნაკლები ოცდახუთი წელია გასული, ხომ ასეა მეოცნებე?” ამ ბოლო სიტყვებმა არაჩვეულებრივი სიამე მოჰკვარაღვიტენანტს, მთელი სახე აუციმციმდა და სიყვარულით აღსავსე თვალები მიაპყრო იბერს. “ამაზე ზუსტად – განაგრძო მირიანმა – არც არავისთვის შეურქმევიათ სახელი. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ შენ მხოლოდ მეხუთე კლასში იყავი და შენი ხასიათის ძირითადი მიდრეკილებანი უკვე გამქლავებული და ცნობილი იყო, შენ მაშინ ნამდვილი მეოცნებე იყავი, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ასეა ახლაც.”

იუზა ჩიხლაძე, რომელიც ქუთაისისი ცნობილ გარეუბანში ოლასკურაზე იზრდებოდა, საბავშვო ბაღშიც და დაწყებითი სკოლის წლებშიც დღენიდაგ მექანიკურ სადამაშოებზე ოცნებობდა, განსაკუთრებით საბავშვო თვითმფრინავებზე. მანქანებიც და მცირე ლიანდაგებზე მორბენალი მატარებლებიც მოსწონდა და იტაცებდა, მაგრამ მის ცნობიერებაში უჩვეულო მიმზიდველობა ჰქონდა მექანიკურ თვითმფრინავებს, რომლებიც რამოდენიმე მერტის სიგრძეზე და მცირე სიმაღლეზე ახერხებდნენ უავარიო ფრენას, ასეთ თვითმფრინავებს მტკიცედ ეპყრათ მისი წარმოსახვაცა და მისი ფანტაზიაც. პატარა იუზას საგანგებოდ ჰქონდა გამოკვლეული და შესწავლილი თუ რომელ კლასელს შინ რა ტიპის სათამაშო ჰქონდა. მირიანის ბავშვობამ სიღარიბეში გაიარა. ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის სექტემბერში მისი მშობლები, მამა ტიცციან იბერი და დედა მარიამი დააპატიმრეს და გადაასახლეს, ამიტომ, პატარა მირიანი გასაზრდელადაც და აღსაზრდელადაც მამიდა ელენეს და ქალბატონი მარიამის დედას, სოფიო ბებიას შერჩა, მამიდასა და ბებიას მირიანისათვის მაღალი ხარისხისა და მარკის სათამაშოების ყიდვისთვის ძალზე მწირი საშუალებები გააჩნდათ, მაგრამ სამაგიეროდ იუზას მეოცნებე ბუნება იბერის სახლში ფრთებს ლალად შლიდა, იუზა და მირიანი ერთად ხატავდნენ, ერთად ძერწავდნენ და ერთად თხზავდნენ, ერთი ზიტყვით, ერთად ფრენდნენ საოცნებო თვითმფრინავებით.

ორივენი მეოცნებენი იყვნენ.

შენ მაშინ ნამდვილი მეოცნებე იყავი. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ასეა ახლაც. ხელახლა გაიმეორა თავისი ბოლო ფრაზა მირიანმა. იუზას უკვე დაემთავრებინა თავისი მსუბუქი ვახშამი.

ექიმები საუზმის წინ და ვახშმის შემდეგ ვაშლის ჭამას ურჩევენ ადამიანს. ჩვენც მივყვეთ მედიცინის რჩევას. ერთი წუთით დამიცადე, ბუფეტში გავალ და ვაშლს მოვიტან – თქვა ლეიტენანტმა და იქვე, სასადილოს კუთხეში ბუფეტს მიაშურა, როცა მობრუნდა და ვაშლის გასათელელად მოემზადა, მირიანს გაუმართა მზერა და უთხრა – არ მეგონა, თუამდენი წლის შემდეგ და ასეთ ვითარებაში შევხვდებოდით და ართმანეთს მოკითხვის ნაცვლად თეზიკო ჭკუასელისა და ლალა წერეთლის ბავშვობის დროინდელი ჩხუბის განხილვას გადავყვებოდით.

ეს იმიტომ, რომ თეზიკო ჩემი ძმავა, ძმასავით საყვარელი და ძმასავით მუდამ გვერდში მყოფი. რაც მასთან დაკავშირებულია, ყოველთვის რაინდულია და ყოველთვის აღფრთოვანებას მგვრის. შენ მაშინ კარგად შეაფასე ის დარტყმა, საოცნებო დარტყმა იყო. მე იმ დარტყმას დღეს, აი, ახლახან რაინდული ვუწოდებისე, სიმართლე თუ გინდა ყველაფერი შენი ბრალია, არ გამიკარე, არ მომეხვიოვო, ეს სახიფათოაო და არა მარტო ჩემთვის, შენთვისაცო. სხვა ორბიტაზე გამიყვანე, სხვა მიმართულება მიეცი ჩვენს შეხვედრას, არც შენ გიკითხავს, როგორა ხარო. ისე, შეკითხვა მაქვს შენთან, შეკითხვა კი ბავშვობისდროინდელ იმ ჩხუბს ეხება, რაც წელან გავიხსენეთ. შენ კარგად უყურებდი იმ მომენტს, მე არ შემიძლია ზუსტად განვმარტო, რატომ გაარტყა თეზიკომ ლალას, შენ კი შეგიძლია ეს ზუსტად თქვა. ჯერ ერთი უნდა დავაზუსტო, რომ ის ყმაწვილური შერკინება, რაც ჩვენს ჯგუფში მოხდა, ჩხუბი არ იყო. მეორე მხარეს ხელი არ გამოუღია, თავი არ დაუცავს, იერიშზე არ გადასულა. ლალამ პირველი დარტყმის მიღებისთანავე, დაიხია უკან, თავი დამარცხებულად ცნო, აღარ უცდია ჭკუასელთან მიმართება გაეგრძელებინა. იგი ხელალებით დამარცხდა, ამიტომ ეს ინციდენტი არ იყო ჩხუბი. იგი შერკინება იყო. დარტყმა კი ნამდვილად საოცნებო იყო, რადგანაც თენგიზი ისე შებრუნდა დაახლოებით 60 გრადუსით და ისე ლეწა ყბაში ლალას, რომ საყრდენი ფეხი არ შეუცვლია. დარტყმის ხმა ტკაცანი იყო, დარტყმის ძალა კი ზუსტად ისეთი, სიტყვა "გლიჯა" რომ გამოხატავს, გამოთქვამს. ეს გარტყმა თეზიკომ მოახდინა, შეასრულა თუ განახორციელა იმის გამო, რომ ლალამ რაღაც უსირცხვილო, უწმაწური სიტყვა უთხრა ჭკუასელს. ამ უკანასკნელმა ლალას ის სიტყვა არ აპატია და განაცხადი გააკეთა, რომ არც სხვას არავის აპატიებდა. თუ გახსოვს სწორედ ამის გამო ვამბობდით თუ ვიმეორებდით იუზა შენგელიას ნათქვამს "ერთი ხელის მოქნევით თეზიკო ჭკუასელმა მეხუთე კლასში საკუთარი დიქტატურა დაამყარაო." მეორეც, არ მინდა აქ, კოლონიაში ვენმემ გაიგოს ჩვენი ნაცნობობის თუ ძმობის ისტორია. მხოლოდ ამ მიზეზის გამო არ მივიკარე გადასახვევად. დღეს საღამოს რაღაც შენც გეწყინა, რაღაც შენც ვერ თქვი მთლად გამოზომილად, მაგრამ ახლა ყველაფერს გადავუსვათ ხაზი. – ჩიხლაძე შეჩერდა, მერე დარჩენილი ვაშლი გაამზადა შესაჭმელად – მირიან, როგორც ხარ, ძმავო – ბოლო სიტყვები რაც შეიძლება თბილად თქვა იუზამ.

- ვარ ისე, როგორც მხელავ და როგორც შეიძლება ვიყო. შენ დიდი ხანია ამათთან მუშაობ?

- დიდი ხანია, ომის დაწყებიდან. ახლა დავიშალეთ, წადი და მე თვითონ მოგნახავ – იუზამ ამით დაამთავრაიმ საღამოინდელი შეხვედრა, მერე კი, სამიოდე დღის შემდეგ იბერი სამუშაოზე არ გაუშვეს, სიცხე გაქვსო და კოლონიაში დატოვეს. სწორედ იმ დღეს ინახულა იგი იუზა ჩიხლაძემ, ინახულა და რამდენიმე დღის წინ, საღამოს შეხვედრისას დაწყებული საუბარი ყოველგვარი შეკითხვის გარეშე გააგრძელა: რა ვქნა, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. პატიმართან ახლო კონტაქტი ჩვენთვის ყველაზე დიდ დანაშაულად ითვლება. შენი ამდილანდელი სიცხეც და მცირე ავადმყოფობაც შენთან დღევანდელი შეხვედრისათვის იყო მოგონილი და გამიზნული. მილიციაში ომის დაწყების დროიდან ვმუშაობ, შინაგან ჯარებში დიდი ხანი არაა რაც გადამიყვანეს. შენ რომ მეორედ დაგაპატიმრეს, მე უკვე ქუთაისში,

პოლიტიკურ პატიმართა იზოლატორში ვმსახურობდი, მაგრამ შენ იქ ვერ მიცანი, მე კი არ შემეძლო შენთან გამოცნაურება, რადგანაც შენი საქმე ძიებაში იყო და ასეთ დროს პოლიტპატიმართან კონტაქტის გაბმა უმაღლესი ხარისხის დანაშაულია. შენ ისე გაბრუებული იყავი შენი წუხილით, ისე დამორჩილებული ჰყავდი შენს დარდს, ისე დატყვევებული ჰყავდი შენს ტკივილებს, რომ ჩემთვის ყურადღების მოსაქცევად წამიერი დროც არ გქონდა, თორემ ჩემს ცნობას სხვა არაფერი უნდოდა ცნობისმოყვარე შეხედვის გარდა. მაგრამ შენ ვერა და ვერ მამჩნევდი. ახლა რომ გაგახსენო პოლიტპატიმართა ქუთაისის იზოლატორში ჩვენი შეხვედრის დეტალები, გაოცდები. ისე კი, მართლაც საოცარია, ისეთ სიტუაციებში ვერ ამომიცანი, არ მოგეტყვება. ქუთაისის ციხეში ერთი კვირის მოსული ვიყავი, იმ განაწესში მომიწია მორიგეობა, პატიმრები გამომძიებლებთან რომ მიჰყავდა. მოვედი შენს საკანთან, კარი შემოვადე და სახელითა და გვარით გარეთ გამოვიძახე. გამოსხვედი. ჩემთვის არც შემოგიხედავს. სადღაც სხვაგან იყავი, ჩემი გარემოსა და ჩემს მიღმა, არ ვიცი, შენ როგორ ახსნი ამ ამბავს, რომ სულ ახლოს გყავდი, მხედველობის არეალში კიმ არა, უფრო ახლოს, ცხვირწინ და მაინც ვერ დამინახე, მაინც ვერ მიცანი, ალბათ იმიტომ, რომ გულისყური და ფიქრისყური სრულიად სხვა რამეზე იყო მიპყრობილი. აქ, სასადილოში როგორ მიცანი?

- შენს სამითთა მარცხენა ხელს წაეტანა და გამოჰყვა ჩემი მხერა და. .

- მარცხენა ხელს იქაც, ქუთაისის საპატიმროშიც თვალებთან გიტრიალებდი, მაგრამ შენს გამოფხიზლებას არ დაადგა საშველი, ახლა, ალბათ გეშველებათ, სტალინის შემდეგ თქვენი კატეგორიის პატიმრების განთავისუფლებას წინ აღარავინ და ველარავინ ველარ დაუდგება.

- ღმერთმა გისმინოს, - საწოლზე უცნაური მოძრაობა გააკეთა მირიანმა. მაგ საქმეზე მე პირადად ბევრი მიფიქრია, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივედი. სანამ ეს ამბავი სულ მთლად რეალური, ე. ი. აღსრულებადი არ გახდება, ნურაფერს იტყვი, რადგანაც არაფერს არ მომიტანს, ზედმეტი აფორიაქების მეტს. ახლა ეს მითხარი, სიცხე სულ არ მქონდა? – ღიმილით ჩაეკითხა მირიანი.

- არა, არ გქონდა, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რაც წელან მე

გკითხე: ქუთაისში რომ ვერაფრით ვერ დამინახე, აქ როგორ მიცანი? იქ, როგორც შენ ამბობ, მე ვერ დავინახე შენი ხელი. აქ კი შენი მარცხენა ხელი შემეფეთა. გახსოვს ის დღე, შენი მარცხენა ხელი რომ შეიწირა მამულოს მიერ უსაზმნოდ მოქნეულმა ქამარმა?

- რა დამავიწყებს!?

- მეც, მეც ძალიან მკაფიოდ მახსოვს. მამულო თეთრებში გამოწყობილი გადმოვიდა სკოლის ეზოში. კაკლის უხარმაზარი ხის ქვეშ ოციოდე ბიჭი ვიყავით თავმოყრილი. მამულო მოვიდა და ვიდაცამ დაიძახა ლახტო. მერე რომ ვაანალიზებდი მომხდარ ამბავს, ეს შეძახილიც იმით იყო შეპირობებული, რომ მამულოს ხელში რკინის ბალთიანი ქამარი ეჭირა. ეს წამოძახილიც. . .

- ლახტო, ავთანდილმა დაიძახა, დავითულიანმა – თქვა იუზამ.

- ჰო, ავთომ დაიძახა, საწყაღმა ავთომ. მისი წამოძახილი და მამულოს აცეკება თუ აცეკვება ერთი იყო. კაკლის ხეს წრეს უვლიდა და რკინისბალთიან ქამარს იქნევდა. რამდენჯერ გვითქვამს მისთვის ჩვენც და უფროსებსაც, რომ მაგ ქამრით ლახტის თამაში არ შეიძლებათქო, მაგრამ მამულო კვატაშიძე ვინმეს რაიმეს დაუჯერებდა? მერე ის იყო, ახლად დაწყებული იყო ლახტის თამაში, რომ მამულოს მიერ მთელი ძალით მოქნეულმა ქამარმა ჰაერში უცნაური შხუილით შემოხაზა წრე და შენი შეკვივლებაც გაისმა – ვაიმე დედაო. როცა მოგვარდით, მარცხენა ხელზე

მოგჭროდა აბზინდი, ნეკსა და არათითს შუა მყესები დაეჩქვა თუ დაეგლიჯა, ხელი გასისიხლიანებული იყო. შენ ტკივილებისაგან იკრუნხებოდი. ჩვენ, რაც შეგვეძლო, თითქოს გიშველეთ იმ წუთში, მაგრამ შენს შველას დიდი და ძლიერი შემწე სჭირდებოდა, მერე აკივლებული დედაშენიც მახსოვს და აქვითინებული ქალბატონი თამარიც, მამულოს დედა, ჩვენი პირველი კლასის მასწავლებელი. მამულმ უნებლიე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მაგრამ დედამისის დამსახურება ყველა ჩვენგანის წინაშე უსაზღვროდ დიდი იყო, შესაძლოა, ეს მაშინ ბოლომდე არ ვიცოდით, მაგრამ ახლა ხომ კარგად ვუწყით, რას ნიშნავს კაცისთვის დედა ენის მასწავლებელი? სკოლის ეზოში რომ ცუდი ამბავი დატრიალდა, დედაშენიც და ქალბატონი თამარიც თავთავიანთი ეზოებიდან გადმოცვივდნენ, ორივე გამწარებული ტიროდა, გულს იოხებდა.

- ჰო, და ცხადია, მამულოს შეცდომა უნებლიე იყო. მამულო მე ამ შემთხვევის შემდეგაც მიყვარდა, სულ მიყვარდა, სანამ ნაადრევად არ დაასრულა სიცოცხლე, ის რომ გარდაიცვალა, შენ ქუთაისში აღარ იყავი, იუზა შენგელიაც თბილისში სწავლობდა, სხვებიც. მე მარტო ვბლოდი ჩვენი ყოფილი სკოლის ეზოში და მამულოს სულს პატიებას ვთხოვდი. თუმცა მე არ გადამიცია იგი ხატზე, მე არ დამიწყევლია და არ გამიწირავს – იუზას თვალები ცრემლებით ავესო.

- კარგი დავანებოთ თავი ბავშვობის გახსენებას. ახლა ეს მითხარი, რატომ მიატოვე ქუთაისი, აქ, რუსთავში როგორ გაჩნდი?

- დამაცადე და ყველაფერს გიამბობ – გიგლა ხაჭაპურიძის ნარზე ჩამომჯდარი იუზა ჩიხლაძე შესწორდა, უფრო მოხერხებულად მოეწყო და მირიან იბერს მიუბრუნდა – ამჟამად მთელ საქართველოში პოლოტპატიმართა ყველაზე დიდი კოლონია რუსთავის კოლონიაა. ამიტომაც ხელისუფლება ნელ-ნელა, თანდათანობით აქ უყრის თავს ჩვენს დარგში წარჩინებულებს. შენ თვითონ ხარ მოწმე. ყოველ შემთხვევაში შემსწრე, რომ წინა თვეში თქვენი კოლონიის უფროსი სადღაც გადაიყვანეს, წინ წასწიეს, დააწინაურეს აქ კი ის კაცი მოავლინეს, რომელიც ერთ დღოს, სწორედ შენი მეორედ დაპატიმრების დროს ქუთაისში პოლოტპატიმართა საქმეებს განაგებდა. მოიყვანეს და ნება მისცეს თავის შეხედულებისამებრ დაეკომპლექტებინა რუსთავის კოლონიის პერსონალი. მე ერთ დღოს სწორედ მასთან ვმუშაობდი ქუთაისში. იქედან ვახსოვარ. იმ დროიდან მთვლის ერთგულ კაცად. აქ ჩემი გადმოყვანა სწორედ იმ ძველი დამსახურების გამო მოხდა. სხვათაშორის – წამით შეჩერდა და ღიმილნარევი პაუზის შემდეგ გააგრძელა იუზამ – იმ ამბავში, რასაც მე დამსახურებად ვუთვლი ჩემს თავს, არა, სწორედ ვერ გამოვთქვი. მე კი არ ვუთვლი, არამედ რაც კოლონიის უფროსმა დამსახურებად ჩამითვალა, შენც ურევიხარ. გიკვირს? სწორედ ასე იყო, სწორედ ასე და ზუსტად ასე. მოგიყვები და შენს გაიხსენებ, უსათუოდ, უეჭველად გაიხსენებ, რადგანაც საქმე ორმოცდათერთმეტი წლის დეკემბრის ბოლო კვირის აუდიენციას ეხება, გამოძიებაში მყოფი პატიმრების შეხვედრას ახლობლებთან. . . ხედავ, რა ზუსტად მახსოვს, ხოლო ის აუდიენცია დიდხანს დარჩა ამოუხსნელ კითხვის ნიშნად მის მონაწილეთათვის, დიდხანს კი არა, აქამდის, დღემდის, ახლაც ამოუხსნელი კითხვაა. ხომ მართაღს ვამბობ? – ჩაეკითხა მირიან იბერს იუზა და როცა მირიანმა თავი დაუქნია, განაგრძო – აი, ხომ გეუბნებოდი? ხომ სწორედ ვამბობდი? ხომ სწორად ვფიქრობდი? კი, ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ეს ამბავი ახლაც ჩვენში უნდა დარჩეს, თუ ძმა ხარ არავისთან არ შეიძლება იმის თქმა, რასაც ახლა ჩემგან მოისმენ.

- ამის პირობას ნაღდად გაძლევ, მაგრამ მე თვითონ ძალიან მინდა ამ ამბის გაგება. მთელი მაშინდელი საპატიმრო შეძრული იყო. თავი ვიმტვრიეთ, მაგრამ ამაოდ, ვერ ამოვხსენით იმ აუდიენციის საიდუმლო. გისმენ!

- ამ ქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, ხომ სწორია? შენ ფილოსოფიის ფაკულტეტი დაასრულე და ეს იცი, იცი მაღალ დონეზე,

რადგანაც ამ აზრის დასაბუთებაც შეგიძლია, მე კი ისე ვიცი, ყურისმოკვრით. პატიმართა მაშინდელ აუდიენციასაც ჰქონდა თავისი ზუსტად გამოკვეთილი მიზეზი, საფუძველი, მოტივი. დავიწყოთ იქიდან, რომ ომში ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა მეომრები 1945 წელს ევროპიდან სამშობლოში მობრუნებისას ერთხელ უკვე დააპატიმრეს და მათ ერთხელ უკვე მოიხადეს სასჯელი. მოიხადეს და მობრუნდნენ თავიანთ მამულში, საკუთარ ოჯახებში. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, თითქოს ყველაფერი დასრულდა, თითქოს ყველაფერს დაესვა წერტილი. მაგრამ არა. საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოები განაგრძობდნენ ყოფილ, სამხედრო ტყვეთა საქმეების ძიებას, განაგრძობდნენ ჯიუტად, დაუინებით, თანმიმდევრულად. მათ რამდენიმე ახალი ფაქტი დაადგინეს ტყვეებზე. ამ ახლად დადგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელდა ყოფილ ტყვეთა ხელახლა, მეორედ დაპატიმრება.

მირიან იბერი მთელი გულისყურით უსმენდა იუზას, მაგრამ როცა იგი ახალი ფაქტების აღმოჩენას შეეხო, წამოხტა და ისეთივე ანთებული თვალებით და გულით შეუტია ბავშვობის მეგობარს, როგორც მეორედ დაპატიმრებისას მისი საქმის ახალ გამოძიებელს.

- ეგ არ არის სწორი, არ არის მართალი, არ არის სარწმუნო. ჩემს დანაშაულში ისევე ის, ისევე იგივე ბრალდებები ფიგურირებდნენ, რაც პირველი დაპატიმრების დროს წამომიყენა გამოძიებამ. . .

- რა მოგივიდა ბიჭო, რა გაყვირებს – ფეხზე წამოდგა იუზაც – დამაცადე, მე არ მითქვამს, რომ ყველა მეორედ დაპატიმრებულს რაღაც ახალი ბრალდება თუ ბრალდების ახალი ნიუანსი წამოუყენა მართლმსაჯულებამ. ცხადია, ყველას არა, მაგრამ აქამდე ცოცხლად დარჩენილი თუ ცოცხლად გადარჩენილი ყველა დააპატიმრეს. პირველ ყველასა და მეორე ყველას შორის განსხვავება არ შეუსწავლიათ და არც უქცევიათ კვლევის საგნად.

- ამიტომ ვარ მე ამ მდგომარეობაში. რატომ უნდა გავიზიარო, რატომ უნდა მომეწეროს მე ის დანაშაული, რომელიც არ ჩამიდენია? რატომ? რატომ?

- კარგი თუ ძმა ხარ, დაწყნარდი, დამშვიდდი, ახლა ამის არჩევის ადგილი არ არის, არც ადგილი და არც დრო. ჩვენ იმაზე ვლაპარაკობთ, თუ რა დამსახურება მიმიძღვის მე გაიოზ დემეტრადის წინაშე. ეს დამსახურება კი პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს იქიდან, რომ მეორედ დაპატიმრებისას ზოგ ყოფილ სამხედრო ტყვეს ბრალდებად წაუყენეს ახალი დანაშაული, ამხილეს ახალ, მანამდე უცნობ დანაშაულში. ახლა შენ კიდევ რომ არ წამოხტე და არ მიყვირო, გარკვევით გეუბნები, ეს ეხება არა ყველა პატიმარს, რომელიც მეორედ დაიჭირეს არამედ მხოლოდ ზოგიერთს, არა ყველას, არამედ მხოლოდ ნაწილს. პატიმრები სდუმდნენ. არცერთმა არ მიიღო დამატებითი ბრალდება, არ აღიარა, არ დაეთანხმა ბრალდების ავტორებს. საკავშირო ორგანოები კი გვაჩქარებდნენ მათთვის ახალი სასჯელის მისჯას. გამოძიება ვერანაირი ხერხით ვერ მიდიოდა წინ. იგი ერთ ადგილს ტკეპნიდა, რაღაც უნდა გვეღონა, რაღაც სიახლისთვის უნდა მიგვემართა და მე მოვნახე ასეთი გამოსავალი: პოლიტპატიმართათვის სრულიად მოუღიანებლად უნდა მოგვეწყო მათი შეხვედრა ახლობლებთან, დრო უნდა ყოფილიყო ძალზე შეზღუდული, ისე შეზღუდული, რომ ყველას ეცადა, ყველას, პოლიტპატიმრებსაც და მასთან შემხვედრ ახლობელსაც რაღაცის თქმა მოესწრო ამ შეზღუდულ დროში. პატიმრისათვის აუდიენცია, კი იცი შენ, მათი საქმის გამოძიების დამთავრებამდე დაუშვებელია. ეს მკაცრი კანონია, რომლის დაცვა ყველას მკაცრად გვევალება, ამიტომ ჩემი წინადადება გაიოზ დემეტრადისათვის თავდაპირველად საშიში და მიუღებელი აღმოჩნდა. მერე ფიქრისა და აწონ-დაწონვის შემდეგ, ეს წინადადება ჯერ სამართალდამცავმა საქალაქო ორგანოებმა გაარჩიეს, მერე რესპუბლიკურმა ორგანოებმა და ბოლოს მოსკოვმა. ღონისძიების ჩატარების ნება მოგვცეს, მაგრამ დაგვავაღეს, რომ ღონისძიების ჩატარებამდე დარჩენილ დროში ყოველდღე

უნდა ჩატარებულიყო პატიმართა დაკითხვა. დანარჩენი შენც გახსოვს და იცი. შენც გაგიყვანეს დეკემბრის ბოლო კვირა დღეს შეხვედრათა გისოსებიან დარბაზში. იმ ქალის სახელი და გვარი არ მახსოვს, შენ რომ იმდღეს შეხვდი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იგი შენი საცოლვე იყო. ყოველ შემთხვევაში იგი ასეა გატარებული შეხვედრათა ანკეტაშიც და რეესტრშიც.

- იმ დღის შემდეგ მე ის ქალი აღარ მინახავს – ჩაილაპარაკა მირიანმა.

- იმ დღის შეხვედრისთვის ყველაზე მეტად მომზადებული ჩვენ ვიყავით. ის ქალი რასაც გელაპარაკა, ერთი საათის შემდეგუკვე გაშიფრული გვექონდა. ის ჩანაწერი ალბათ ახლაც ინახება ქუთაისის იზოლატორის არქივში. ჰო, იმასაც გეტყვი, რომ ის მიზანი, რისთვისაც ჩვენი ღონისძიება განხორციელდა, შესრულდა. ჩვენ მოვიპოვეთ უაღრესად საჭირო მასალა, რომლის შემდგომაც პოლიტპატიმრეს დამატებითი ბრალდებების უარყოფა აღარ შეეძლოთ. იმ დღის შემდეგ ის ქალი, შენთან რომ მოვიდა აუდიენციაზე იმ დღეს, მეც აღარ მინახავს, თუმცა იუზა შეჩერდა, შეყოყმანდა, თითქოს რაღაცის თქმა სურდა და გადაიფიქრა. რა თუმცა – ჰკითხა მირიანმა – ყველაფერი უნდა ითქვას. ცხადია, დასამალი რა არის. მე უნდა მეთქვა, რომ ის ქალი იმ დღის შემდეგაც აღარსად მინახავს, თუმცა მის შესახებ გაიოზ დემეტრადე ორიოდ კვირის შემდეგ გელაპარაკა.

- მხოლოდ მის შესახებ? – დაზუსტება სცადა მირიანმა.

- არა, ცხადია არა. პოლკოვნიკმა რამოდენიმე პიროვნების შესახებ გამომკითხა რაც ვიცოდი, მათ შორის იმ ქალზეც. ეს იყო და ეს.

- რაო რა უნდოდა დემეტრადეს?

- არაფერი განსაკუთრებული. მან კიდევ ერთხელ მოისმინა აუდიენციაზე თქვენი საუბრის ჩანაწერი. თუმცა ის ჩანაწერი სულ რამოდენიმე წინადადებას მოიცავდა. მერე ქალის გამო ჩამეკითხა, ეტყობოდა, შეეცოდა ქალიშვილი, რომელიც შენ უსასრულოდ დალოდებას გპირდებოდა. სხვა მეტი არაფერი.

ამ საუბრის დროს იბერს ზუსტად არ ჰქონდა მოაზრებული რუსთავის კოლონიიდან გასვლის შემდეგ სად მიეკითხა, სად ეძებნა დალი, როგორ მიეგნო მისთვის. რუსთავის კოლონიაში მოყვანიდან ათი დღის შემდეგ დალის ძმამ, გუბაზმა მოაკითხა მირიანს. გუბაზ ამაშუკელმა იბერს განსაცვიფრებელი, საგსებით მოულოდნელი და გამაოგნებელი ამბავი ამცნო: “შენი სასამართლოს მესამე დღეს დალი სადღაც გაქრა, დილით სახლიდან გავიდა და აღარ მობრუნებულა. არ შეშინდე, ახლა კარგადაა, ცოცხალია. იმ საღამოს კი, როცა შინ აღარ მობრუნებულა, შეეშინდით, ავფორიაქდით, ავწრიალდით, შევძრწუნდით, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენით. ერთი კვირა ამოდ ვეძებდით ჩვენც, მთელი ოჯახი, მილიციაც, მისი მეგობრებიც, ოჯახის ახლობლებიც, ვეძებდით ქუთაისშიც და თბილისშიც, ვეძებდით ყველგან, სადაც შეიძლებოდა გვეგონებოდა, ყველგან, მაგრამ ამოდ. სასწაულებრივ გაქრა, აქ, რუსთავში. შენთან არ ჩამოვედი, უფრო სწორად – ვერ ჩამოვედი. არ მინდოდა შენს მდგომარეობაში მყოფი კაცი ზუსტი ამბის გაგებამდე აგვეფორიაქებინა. დალის მოძებნის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა და სწორედ ორი დღის წინ თვითონ დარეკა სახლში, ქუთაისში, დარეკა და შენთვის გადმოსაცემი ბარათი გვიკარნახა.” გუბაზმა კოსტუმის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მირიანს გაუწოდა. გაოგნებულმა მირიანმა კონვერტი გამოართვა და ჰკითხა: “ტელეფონით ვინ ელაპარაკა დალის?” – “მე ველაპარაკე” – მიუგო გუბაზმა. “საიდან რეკავდა?” – მოუნაცვლა კითხვა მირიანმა. “ვკითხე, მაგრამ უპასუხოდ დამტოვა. ტელეფონზე ის მკარნახახობდა, მე ვიწერდი” თქვა გუბაზმა. კონვერტში ორად გაკეცილი ფურცელი იდვა, რომელზეც გუბაზის ხელით შემდეგი ჩანაწერი იყო გაკეთებული: “ჩემო მირიან, შეიძლება ვერც გამიგო ან ვეღარც გამიგო, მაგრამ მე უკვე სხვაგვარად აღარ შემიძლია. ღვთის წინაშე უკვე დავდე ფიცი, რომ სანამ შენ პატიმრობიდან არ განთავისუფლდები, მე დედათა მონასტერს

უნდა შევეხიზნო (იბერმა აქამდე ჩაიკითხა ხელნაწერი, ჩაიკითხა და უეცრად ხელნაწერ ფურცელზე დალის მიერ უკანასკნელი შეხვედრისას ნათქვამი სიტყვები “დაგელოდები, სულ და უსასრულოდ დაგელოდები” ამოელანდა), ღმერთს დუმილიც აღვუთქვი. შენი პატიმრობის ვადის გასვლამდე არ დავილაპარაკებ. ღმერთის მიმართ მიცემულ აღთქმას არაფრით და ვერაფრით ვერ ვერ დავარღვევ, ვერც წერილს მოგწერ. მარტო შენ ხომ არ უნდა დაისაჯო? ჩემს თავს მე თვითონ ვსჯი, მე თვითონ და ჩემი ნებით, სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავდუმიდე და ყველას უნდა განვერიდო. მე ამ სამყაროს, ჩემს სამყაროს, შენს სინამდვილეს, ჩვენს ირგვლივ არსებულ წუთისოფელს, ამ ქვეყანას, ამ ადამიანებს ვერაფერი გავუბე, სრულიად ვერაფერი. ესაა დუმილის აღთქმის მიზეზი და მოტივი. ამ ქვეყნად თითქოს ყველა და ყველაფერი ჩემს (და შენს) წინააღმდეგაა მიმართული და ამხედრებული. გპირდები, როგორც კი გაგანთავისუფლებენ (და მწამს, რომ ეს მოხდება, მოხდება გარდუვალად და უეჭველად), იმ წუთშივე დავტოვებ დედათა მონასტერს და შენთან გავჩნდები. ჩემს დუმილში ნიადაგ შენთვის ვილოცებ. შენი დალი, 1952 წლის იანვარი.” მირიანმა სამჯერ ჩაიკითხა დალის ბარათი, მერე დაკეცა, კონვერტში ჩადვა და შენახა. “სხვა რამ უფრო დიდი უბედურება ხომ არ მომხდარა? რაიმეს ხომ არ მიმაღავე?” – წყნარად იკითხა მირიანმა. იბერმა ახლაც, აგვისტოს სიცხით გათანგულ ამ ფიქრიან ღამესაც არ იცის რატომ დასვა ეს კითხვა, ახლაც ვერ იტყვის ზუსტად რა იგულისხმა, რა შინაარსი ჩადო ამ შეკითხვაში. გუბაზმა არაფერი თქვა, მხოლოდ ხელის გაქნევით დაადასტურა უარი, შემდეგ ისევ დუმილი ჩამოვარდა, რომელიც კვლავ მირიანმა დაარღვია: “სად, რომელ მონასტერშია?” “არ უთქვამს – უპასუხა გუბაზმა – ვკითხე, მაგრამ არაფერი თქვა, სულ ბოლოს ტელეფონში კვლავ წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა, რომელიც ასე დამამახსოვრდა “არც შენ უნდა იცოდე, სად ვიქნები. ახლა გკოცნი, მამას მიხედე, მე უკვე ვიწყებ დუმილის აღთქმის აღსრულებას.” “საიდან რეკავ?” ჩავძახე ყურმილს, მაგრამ დალიმ მომასწრო ტელეფონის დაკიდება. გუშინ მცხეთის დედათა მონასტერში ვიყავი. იქ არ არის. ალბათ, სადმე დასავლეთ საქართველოშია, ალბათ, მოვკებნით, მივაგნებთ და შეგატყობინებთ.” გუბაზი ისე გამოეთხოვა, მირიანი ჯერ კიდევ არ იყო თავის ცნობიერებაზე. გული გაგლეჯაზე ჰქონდა “რა ხდება? – მეათასეჯერ ეკითხებოდა თავის თავს – რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი? ხომ უნდა გავძლო? ხომ უნდა ვიცოცხლო? და მისგან მიტოვებულმა როგორ გავძლო და ვიცოცხლო? მისი გადაკარგვა ჩემთვის აბსოლუტურ სიცარიელეში შესვლას ნიშნავს. რატომ დამტოვა ამ სიცარიელეში? ხომ უნდა ამოვისუნთქო? რა ხდება? ამ კითხვის პასუხისთვის ვერ მიეგნო. მერე დამეული ფიქრი-განსჯა ამ კითხვასაც უკირკიტებდა, მაგრამ დასკვნების გამოტანისთვის იბერის ხელთ არსებული წანამძღვრები არ კმაროდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ დალის მიერ გადადგმული ნაბიჯი სრულიად ლოგიკური იყო, რომ მზისფერთმიანმა ქალიშვილმა ერთბაშად შეაქცია ზურგი გარემომცველ სამყაროს, მეტს ვერ გაუძლო, მეტი ვერ შეძლო, მეტი ვერ აიტანა, ვეღარ შეძლო ვეღარც ბრძოლა, ვეღარც მოლოდინი, ვერც საწუთროს იდუმალებაზე ფიქრი, მეტი ვეღარ შეძლო მწუხარებისა და ტკივილის ზიდვა. შემდგომში, კარგა ხნის შემდეგაც, როცა გუბაზ ამაშუკელი ერთხელ კიდევ ჩავიდა რუსთავში, მირიანმა გაიგო, რომ დალის ადგილსამყოფელი ჯერ კიდევ არ იყო მიგნებული. ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი დედათა მონასტრები შემოევლო გუბაზას, მაგრამ დალის კვალი არსად ჩანდა. იბერს საიმედო აღარაფერი რჩებოდა, რეალურად, ნამდვილად საიმედო. რაღაცნაირ იმედად ისევ ის სიტყვები უსაღბუნებდა მის სულს, ბოლო შეხვედრაზე რომ თქვა ქალიშვილმა: “დაგელოდები, სულ და უსასრულოდ დაგელოდები.” დალის გახსენებისას მირიანს იმის გაფიქრებაც ამშვიდებდა, რომ დალი მარტო მისთვის კი არა, ყველასათვის გადაკარგული იყო, არავის არ უმხელდა თავის

სამყოფელს, არავის, არც მშობლებს, არც ძმას, ახლა, ამ ჩახუთულ მღუმარე შუალამისას ისევ ახმაურებული, ფიქრში აქლერებული ზარები იმედით იყო სავსე, იმ იმედით, რომ დალის უსათუოდ მოქებნიდა, უეჭველად მიაგნებდა და შეხვდებოდა.

გუშინ პოლკოვნიკის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე იგრძნო მირიანმა: დრო ორად გაიყო. აქეთ, ვიღაცის თუ რაღაცის ნებით გავლებულ ზღვარს აქეთ მხოლოდ ფიქრი-ოცნება იყო, ნამდვილად და ხელშესახებ რეალობად ქცეული ფიქრი-ოცნება, ზღვარს იქით კი უკვე მოგონებებში გადასული თუ მოგონებებში გარდამავალი წარსული, რომელიც ამაზრხენი, სულშემხუთავი და სასოწარმკვეთი ფიქრი-განსჯით იყო სავსე.

ერთადერთი რამ, რასაც არავინ და არაფერი არ უკრძალავდა პოლოტპატიმრებს, არც ბანაკის შინაგანაწესი, არც ხაკისფერტანსაცმლიანი ზედამხედველები და არც ცნობიერებაში ვიღაცის ნებით ჩამონტაჟებული, მუდამ ფხიზელი, მუდამ გაფაციცებული, ნიადაგ ჩასაფრებული და სულ დადარაჯებული შინაგანი ცენზორი, რომლის არსებობაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, ცნობიერი ცხოვრების ყველა ეტაპზე და ყოველგვარ სიტუაციაში გრძნობდა და ანგარიშს უწევდა მირიან იბერი – ეს იყო ღამეული ფიქრი, რომელსაც პატიმარი საკუთარ დროს ანუ იმ დროს ახმარდა, როცა იგი თავისი ნების კარნახით ცხოვრობდა.

კოლონიის არაფორმალური რეჟიმის, ალბათ უფრო სწორი და ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვოდით, მირიან იბერის ინდივიდუალური რეჟიმის მიხედვით, პატიმრის ცხოვრების ყოველი დღე და ღამე, ანუ 24 საათიანი დრო ორ, ზუსტად თანაბარ ნაწილად იყო დაყოფილი. ტუსადს დროის თითოეულ მონაკვეთში სრულიად განსაზღვრული საქმე უნდა შეესრულებინა.

მირიან იბერმა მისი პატიმრობის მთელ მანძილზე რამდენიმე ასეულჯერ გაიარა დროის მონაკვეთთა ეს ციკლი, მირიანი დროის ამ დანაწილებას მისი საკნის პირდაპირ, კოლონიის საგუშაგოს ზეთავზე აღმართული პროექტორის ცხოვრების რიტმს უკავშირებდა.

ციკლოპის თვალის ჩაქრობიდან მის ხელახლა ანთებამდე, ანუ დრო განთიადიდან მწუხრამდე ისთ დროდ ითვლებოდა, როცა პატიმარი ავტომატურად, მექანიკურად, ინსტინქტურად და ქვეცნობიერად ასრულებდა გარემომცველი სინამდვილიდან მიღებულ დავალებებს, ინსტრუქციებს, განკარგულებებს და ბრძანებებს, და მაშასადამე, პატიმარი ცხოვრობდა არა საკუთარი აზრის კარნახით, არა საკუთარი სურვილითა და არა საკუთარი ნებით, არამედ ხილული თუ უხილავი უფროსების, მეთვალყურეებისა და ზედამხედველების ბრძანების მიხედვით, რასაც მოითხოვდნენ ზუსტად იმის შესატყვისად, რასაც უბრძანებდნენ მუდამ ამ მოთხოვნათა შესაბამისად. ტუსადის საქმიანობა მთელი ამ დროის მანძილზე ავტომატიზმამდე იყო დაყვანილი. აზრს, ცნობიერებას, გონებას დროის ამ მონაკვეთში დაკარგული ჰქონდა თავისი ფუნქცია. იგი არაფერს არ ჰქმნიდა, არც წარმოსახვას, არც ოცნებას, არც მიზანს. პატიმრის საქმიანობა ამ პერიოდში სხვისი ნებით იყო განსაზღვრული, სხვისი ნებით, ვიღაცის თუ რაღაცის ნებით, ამიტომ ტუსადიც გაუცხოებული, ხოლო დროც და საკეთებელი საქმეც – განსხვისებული იყო. ოცდაოთხსაათიანი ციკლის ეს პირველი მონაკვეთი პროექტორის ჩაქრობიდან ციკლოპის თვალის ანთებამდე ფაქტობრივად წარმოადგენდა ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის დროს. მირიანის აზრით ეს დრო პატიმრის დროს კი არ წარმოადგენდა, არამედ დამსჯელის დროს.

მთელი ამ დროის მანძილზე ვიღაც თუ რაღაც თავის ნებაზე ათამაშებდა პატიმარს, თავის ბრძანებებს კარნახობდა და მისგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა. მრავალწლიანი პატიმრობის მანძილზე მირიანი მაშინ კი არ დგებოდა საწოლოდან, როცა მოსვენებული სხეული გაშლას მოითხოვდა, არამედ იმ დროს, როგორც ამას განაწესი ითხოვდა, ზუსტად

დილის შვიდის ნახევარზე, იმ დროს კი არ საუზმობდა ან ვახშმობდა, როცა ორგანიზმი ან განწყობა მოითხოვდა საკვებს, არამედ მაშინ, როცა საჭმლის მიღების სირენა ახმინდებოდა, იმასა და იმდენს კი არ ჭამდა, რაც ან რამდენიც სურდა, არამედ იმასა და იმდენს, რასაც და რამდენსაც მორიგე მხარეულისაკენ გაწვდილ ლითონის თეფშზე დაუდებდნენ, ქუჩაში იმწესით კი არ დადიოდა, როგორც და რა ტემპიტაც სურდა გავლა, არამედ აუცილებლად მწყობრში, აუცილებლად მასზე ორი ან სამი სანტიმეტრით მაღალი პატიმრის უკან, აუცილებლად მასზე სულ მცირედით დაბალი პატიმრის წინ, იმ საქმეზე კი არ მიიჩქაროდა, რომელიც ეოცნებებოდა და რომელსაც გარდუვალად თვლიდა, სურდა და ესწრაფვოდა, არამედ იმ საქმეზე, რომლის მოგვარებაც, რომლის შესრულებაც და რომლის გაკეთებაც ვიღაცას თუ რაღაცას იმუამად სჭირდებოდა, იმ ადამიანების გვერდით და მხარდამხარ კი არ მიაბიჯებდა, ვისაც თანამოაზრედ, ახლობლად და მეგობრად თვლიდა, არამედ იმათ მხარდამხარ და გვერდით, ვინც სიმაღლის მიხედვით ნაყარმა წილმა დაუჯუფოთა, მაშინ კი ვერ დაიკვნესებდა, როცა ზედმიწევნით გადაიღლებოდა, არამედ მაშინ, როცა შესვენების მაუწყებელი საყვირი აჟღერდებოდა. . . ასე რეალიზდებოდა მთელი ამ წლების მანძილზე დანაშაულისათვის მიზღვილი სასჯელი. . . ახლაც, ამ წუთშიც ნათლად ხედავს მირიანი თავის თავს პატიმართა გრძელ კოლონაში. . . ტუსადები სამუშაოზე მიჰყავთ. . . მზიანი, ნათელი დილაა. . . და მთელ კოლონას ისე შეჰყურებდნენ ქუჩის ორივე მხარეს, ტროტუარებზე მოძრავი ადამიანები, ფანჯრებიდან თუ სადარბაზოებიდან, მსუბუქი ავტომანქანებიდან თუ ავტობუსებიდან მომზირალი თვალები, როგორი მოძრავ, მოარულ, ფეხადგმულ, მაგრამ კალაპოტში მოქცეულ ბოროტებას, როგორც ზიზღი, აშკარა და დაუფარავი, შემადრწუნებელი და შეურაცხყოფელი ზიზღი გამოკრთოდა შემხვედრი ადამიანების თვალებში. ეს ზიზღი სრულიად თავისებური და თავისუფალი ელემენტი იყო იმ სასჯელისა, რომელსაც მირიანისათვის პირველად, 1945 წელს, პირველად ხუთწლიანი პატიმრობა ერქვა, ხოლო მეორედ, 1952 წლის იანვარში – ოცდახუთწლიანი პატიმრობა. დრო ციკლოპის თვალის ჩაქრობიდან მის ხელახლა ანთებამდე მირიანისთვის იმ და ისეთ დროს წარმოადგენდა, როცა ტუსადს დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ინდივიდუალურობა. ამ დროის მანძილზე ყველა პატიმარი ერთსა და იმავეს აკეთებდა, ერთი და იგივე გეგმით დადიოდა, ერთსა და იმავე საგნებს შეჰყურებდა და ეხებოდა, ერთი და იმავე ცხოვრებით, სავსებით იდენტური ცხოვრებით ცხოვრობდა.

ოცდაოთხსაათიანი დროის მეორე მონაკვეთი – მწუხრის პროექტორის ანთებიდან განთიადისას მის ჩაქრობამდე ანუ ღამეული ფიქრის დრო ყველა პატიმრისათვის საკუთარი კანონებით ცხოვრობდა. მას ყველა ტუსადისათვის საკუთარი, ინდივიდუალური ლოგოსი განაგებდა. განუწყვეტელი, საკუთარი თავის განცდასავით მოუცილებელი, მუდმივად თანმდევი ღამეული ფიქრი მირიანის ცხოვრებაში ადრეც იყო, რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიამდეც. არა! ადრე კი არ იყო, სულ იყო, ყოველთვის იყო, ადრე გამოფხიზლებული თუ ბავშვობიდან ნაადრევად გამოსული ცხოვრების მთელ მანძილზე. მირიან იბერს უამიდან უამზე ეჩვენებოდა, რომ იგი სწორედ ამ ღამეული ფიქრებისთვის გაჩნდა ამ ქვეყნად, რომ გამგებამ სწორედ ამ მისიის შესრულება თუ აღსრულება დაავალა. მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში იდუმალი, სასტიკი და დაუნდობელი სინამდვილე მის წინაშე ყოველთვის სვამდა ისეთ კითხვებსა და ამოცანებს, რომლის ამოხსნა და გადაწყვეტა იბერისათვის აუცილებელი და გარდაუვალი იყო და რომლებიც სწორედ ძილგატეხილ ღამეებსა და ღამეულ ფიქრს მოითხოვდნენ. თვითონაც ამ თავსატეხ კითხვებსა და ურთულეს ამოცანებს კი არ გაურბოდა, მათ წინაშე თვალს კი არ ხუჭავდა, არამედ ყოველთვის ცდილობდა ამ კითხვებისა და ამოცანებისათვის მთლიანად მათზე კონცენტრირებული გონების თვალთ

შეეხედა, დაესახსრა და ამ სახით ამოეხსნა. ძილგატეხილი ღამე და ღამიერი ფიქრი მოუცილებელი თანამგზავრით დაჰყვებოდა მთელ მის ცხოვრებას, მის მიერ განვლილ თუ, უფრო ზუსტად, გამოვლილ გზებს. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მისი სიცოცხლე სწორედ ღამეულ ფიქრში ასახული, გამოსახული და წარმოსახული ხდომილებებისაგან შედგებოდა. მირიან იბერის ვნებები არსებითად ღამეულ ფიქრებში შობილი და გამოსატული ვედრება, ძიება, მიგნება, გაშიფვრა, დაუფლება, შეტევა, უკანდახევა, გაფრენა, შერისხვა, მონანიება, გარინდება და შურისძიება იყო. მისი თვალთახედვისა და თვალსაწიერისათვის მარადის ნიღაბაფარებულმა სინამდვილემ იგი მარტოდენ ღამეული ფიქრებისთვის გასწორა. აქ იყო მისი ასპარეზი. ღამეული ფიქრი მირიან იბერისთვის თვითგამოსატვის ერთადერთ საშუალებად და იარაღად იქცა. ასე იყო მაშინაც, როცა 1924 წლის სექტემბრის პირველ ღამეს მირიანის ორივე მშობელი, ელიტარული ინტელიგენტი, ეკონომისტი ტიციან იბერი და უმშვენიერესი, უსათნოესი და უპატიოსნესი მარიამი ერთად დააპატიმრეს და ათი წლით გადაასახლეს, ხოლო ექვსი წლის მირიანი საბედისწერო ობლობას, ელენე მამიდასა და დედის დედას, სოფიო ბებიას შეატოვეს ხელში; მაშინაც, როცა ათი წლის შემდეგ რუსეთში გადასახლებიდან დაბრუნებულმა ტიციან იბერმა უკვე დაჭაბუკებულ მირიანს თავისი გადასახლების “დიდი საიდუმლო” გაუმხილა და ახალგაზრდა კაცის ცნობიერება “დიდი საიდუმლოს” ამოხსნის უძნელესი ამოცანის წინაშე პირისპირ დააყენა; მაშინაც, როცა მირიან იბერი თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის განყოფილების სტუდენტი გახდა და სამყაროს არსისა და ადამიანის არსებობის საზრისის გასაგებად გადადო თავი; მაშინაც, როცა ბათუმში, პლაჟზე სრულიად ანაზღეულად და მოულოდნელად დალი ამაშუკელს შეხვდა, რომელიც მისი არსებობის, ფიქრის და ოცნების თავიკიდურად, სათავედ და მირიანის “თავის სხვად” იქცა; მაშინაც, როცა გერმანელებთან დიდი ომის დასაწყისამდე ბელორუსიის ჭაობებში დატყვევებულმა იბერმა საკონცენტრაციო ბანაკში ჯოჯოხეთური ორი წელი გაატარა; მაშინაც, როცა ტყვეობიდან თავდახსნილი თუ თავდაღწეული მირიანი და მისი თანამებრძოლები საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდნენ და დე გოლის სამხედრო შენაერთებთან ერთად ებრძოდნენ ფაშისტებს; მაშინაც, როცა ევროპიდან ზარზემით დაბრუნებული მებრძოლები ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ საბჭოთა სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა და ხუთწლიანი სასჯელის მოსახდელად ყველანი ვორკუტაში გაამწესა. ყველგან და ყოველთვის ასე იყო, როგორც აქ, რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიაში, მირიან იბერის ყოფა ყველგან ღამეული ფიქრით იყო ავსებული.

ღამეული ფიქრი სულ იყო, ყველგან და ყოველთვის, იმ ღამესაც, როცა მირიან იბერი გერმანელებმა ბელორუსიის ჭაობებში დაატყვევეს.

იმ ღამის ფიქრი განწირული კაცის სულის კივილი იყო.

სასოწარკვეთილი “მე”-ს სიკვდილისწინა ფიქრი.

იმედდაკარგული მეომრის უკანასკნელი ფიქრი.

გერმანიიდან ომის დაწყების პირველსავე დღიდან მირიანი ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. ასპირანტისათვის ეს სრულიად მოულოდნელი ამბავი, მისი პიროვნული წინაისტორიის გათვალისწინებით სავსებით ახსნადი და გასაგები გახლდათ. 1941 წლის გაზაფხულზე საბჭოთა მთავრობამ, ალბათ, გერმანიასთან უკვე გარდაუვლად მიჩნეული ომის ზეგავლენით, მანამდე წარმოუდგენელი ყურადღება მიაქცია არმიის ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო და პოლოტიკური მომზადების ამადლებას, მათ შორის კადრის ოფიცრების ცოდნის ამადლებასაც. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში გაიხსნა რამდენიმე საგანგებო ბანაკი, სადაც პრაქტიკაგაუვლელი ოფიცრების გადამზადება ხდებოდა. მირიან იბერმა 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. წინა წელს

უნივერსიტეტშივე დაასრულა სამხედრო მომზადების სრული კურსი და სამხედრო მომზადებაში სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღო ლეიტენანტის წოდება. 1941 წლის გაზაფხულზე, როცა მთავრობას ხელი მოჰკიდა ოფიცერთა კადრების ფორსირებულ გადამზადებას, მირიანი უკვე ასპირანტი იყო, მაგრამ მაინც გაიწვიეს ახლადგახსნილ მოსამზადებელ თუ გადასამზადებელ კურსებზე. ამ რანგის კადრის ოფიცრებისათვის ის შეღავათი დაადგინეს, რომ მათთვის გადამზადების ვადა ერთწლიანი ან ცხრათვიანი კი არ იყო, არამედ სამთვიანი. ის ბანაკი, სადაც მირიანი მიავლინეს ბელორუსიაში, ვიტებსკის ოლქში, პოლოცკის რაიონის ცენტრში, ძველ ისტორიულ დაბაში იყო განლაგებული. პირველ აპრილს იბერი უკვე პოლოცკში იყო. კურსები ივნისის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 22 ივნისს მთელი ეს გეგმა აირია, აიბურდა და შეიცვალა. არა! გეგმა კი არ შეცვლილა, გეგმა გაუქმდა, მოიხსნა, პოლოცკის ბანაკში თავშეყრილი, შეიარაღებული ყმაწვილები ფრონტის მოწინავე მებრძოლებად იქცნენ.

1941 წელს ივნისის მესამე შაბათი, 21 ივნისი ჩვეულებრივ დადამდა. ბელორუსიის ეს რეგიონი, პოლოცკის რაიონი არაფრით არ ჰგავდა საქართველოს, მის არცერთ კუთხეს. თითქოს აქაც ყველაფერი ისე იყო, როგორც საქართველოში. მაგრამ ყველაფერი მაინც სხვაგვარი და სხვანაირი იყო. აქაური ზეცა ჰგავდა და არც ჰგავდა ქართულ ზეცას, ქართული ცა უფრო მაღალი და უფრო ღრმა იყო, ამიტომ ქართულ ზეცას სხვა ელვარება ჰქონდა, სხვა ელვარება და სხვა ფერი. აქაური ტყე სხვაგვარი იყო ქართულ ტყესთან შედარებით, ქართული უფრო უღრანი იყო და უფრო მწვანე, თვალისთვის ნამდვილი სიმწვანე სწორედ ქართული ტყის სიმწვანე იყო. განსხვავებული იყო აქაური და იქაური მიწაც და მირიანი დიდი ხნის დაკვირვებისა და დაფიქრების შემდეგ მიხვდა მთავარ განსხვავებას საქართველოსა და ბელორუსიის ბუნებას შორის, ეს ის იყო, რომ აქ არსად არაფერი არ იყო ბორცვზე მაღალი. ხოლო საქართველოს ბუნება არსებითად მთიანეთი იყო, მთიანეთი – თავისი დაუპყრობელი და დაპყრობილი მწვერვალებით, თავისი ჭიუხებით, თავისი აღებული და აუღებელი კლდეებით, თავისი ქარაფებით, თავისი სიმაღლეებით, მიწის სიღრმეში ჩაკიდებული სიმაღლეებით, თავისი ჩანჩქერებით და თავისი, მთებზე შეკიდებული და მთებზე შეშენებული ციხე-სიმაგრეებით. აქ ყველაფერი ერთ დონეზე, ერთ სიმაღლეზე იყო განფენილი და განლაგებული. ორივე ქვეყანა ერთმანეთს ჰგავდა და არც ჰგავდა. მაგრამ ყველაფერი მაინც იქაც ლამაზი იყო და აქაც. პოლოცკში 21 ივნისი ჩვეულებრივ დადამდა. არაფერი არ იუწყებოდა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ აქ ქარიშხალი დატრიალდებოდა და აქაურობას პოლონეთიდან შემოჭრილი გერმანული ავიაციის დაზარალებლები დაადუღებდნენ. გარემო საოცრად მშვიდი იყო. 22 ივნისი ბომბდამშენი თვითმფრინავების ხმაურით და აფეთქებათა ზალპებით შემოვიდა დვინაზე. ის თეთრი შენობები, რომლებიც პოლოცკის განაპირას იდგა და რომლებშიც კურსანტი ოფიცრები ცხოვრობდნენ, პირველი დარტყმებისაგან დაინგრა. მსხვერპლი ძალიან დიდი იყო. ომმა მართლაც ყოველგვარი გამოცხადების გარეშე შემოაბიჯა პოლოცკში. მირიანმა, როცა პირველი ბომბებისაგან დაკარგული ცნობიერება დაუბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მათი ბანაკი განადგურებული და დანაცრებული იყო. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა, ყველაფერი ცეცხლში იყო გახვეული, არეულად მობოროილე კურსანტებიდან არავინ იცოდა რა უნდა ექნათ, რა ნაბიჯი უნდა გადაეღათ, ვისი ბრძანებისათვის უნდა ეცადათ, არც ის არავინ იცოდა, სად გადაიკარგნენ კურსების ხელმძღვანელები ან ცოცხალი იყვნენ თუ არა.

იმ დღით, მტრის ავიაციის პირველი გამოჩენის შემდეგ, ყოველ საათში ერთხელ რეგულარულად მეორდებოდა თვითმფრინავების თავდასხმა. ასეთმა პერმანენტულმა დაბომბვამ ირგვლივ ყველაფერი გაანადგურა. ერთადერთი შენობა, რომელიც ჯერ კიდევ იდგა და შენობის სახეს ინარჩუნებდა

ოფიცერთა სასადილო კორპუსი იყო. ათი საათის შემდეგ თავდასხმები შეწყდა სასადილო კორპუსის წინა მოედანზე ადამიანები, გადარჩენილი ოფიცრები აფუსფუსდნენ. მირიანი თავისი სამალავიდან ხედავდა, როგორი შიშით გამოდიოდნენ მოედანზე პირველი მომსვლელები, შემდეგ კი თანდათან მატულობდა გამბედაობა და აქტიურობა. ეს ადამიანები დანარჩენ თანამშრომლებს ექებდნენ. ყველასათვის მოულოდნელად სასადილოს ზეთავზე დამონტაჟებული რადიო ჩაერთო. ალბათ, ვიღაცამ შეანძრია რადიოქსელისა თუ რადიოაპარატურის ის ნაწილი, რომელიც ხმას ახშობდა და რადიომიმღები მთელი ხმით ახმიანდა. რადიოს ახმიანებას მოედანზე თავმოყრილ ოფიცერთა მძლავრი ვაშა მოჰყვა. შიში სადღაც დაიკარგა და გაქრა. მოსკოვს მიჰყავდა გადმოცემა, მაგრამ მასალის შინაარსი პოლოლცკაში იმ დილით მომხდარ ამბებს არაფრით არ შეესაბამებოდა. ჩვეულებრივი, ყოველდღიური, სანიაღვრო ინფორმაცია იყო. მირიან იბერი ლამის შეარყია იმის გაფიქრებამ, თითქოს მოსკოვს არ სცოდნოდა ბელორუსიის დაბომბვის შესახებ. მაგრამ ეს შეცბუნება დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. სულ მალე რადიოში ყურადღების მობილიზების სირენები აჟღერდნენ და გაისმა საკავშირო რადიოს დიქტორის ნაცნობი ხმა: “მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.” მან ეს ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა და გამოაცხადა, რომ საბჭოთა ხალხს მიმართავდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი. მირიანი ხედავდა, თუ როგორ ემატებოდა სასადილოს წინა მოედანზე შეკრებილ ხალხს ოფიცრები, რომლებიც ახმაურებულმა რადიომ გამოიყვანა თავიანთი სამალავებიდან. მოლოტოვმა უკანასკნელი ეჭვიც გააქრო იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იმდღიანდელი თავდამსხმელი. მან პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად განაცხადა, რომ 1941 წლის 22 ივნისს სისხამ დილით, გარიჟრაჟისას გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, რომ გერმანიის ავიაციამ და არტილერიამ დაბომბა ქვეყნის დასავლეთი რეგიონები, ხოლო გერმანელთა სატანკო, მოტორიზებული დაქვეითი შენაერთები შეესიენ საბჭოთა ტერიტორიას. “ამიტომაცაა, რომ ჩვენამდე მხოლოდ ავიაგამანადგურებლებმა მოადწიეს – გაიფიქრა მირიანმა და სამალავიდან ამოძვრა – სატანკო და სახმელეთო ნაწილების მოსვლას საზღვრიდან პოლოცკამდე, გზაზე სულ მარშითაც რომ იარონ, რამდენიმე დღე მაინც უნდა. მოვიდნენ, დავხვდებით.”

როცა მირიანი მოედანზე გავიდა, იქ ოცამდე კაცი უკვე იყო თავმოყრილი.

იმ დროს, როცა მირიანი მოედანზე გავიდა, სასადილო კორპუსის მოპირდაპირე, აწ უკვე დანგრეული და დაღეწილი შენობიდან აჩქარებულად გამოვიდა და ბიჭების ჯგუფს მიაშურა კიეველმა ლეიტენანტმა ევგენი ონიშჩენკომ, რომელიც კურსების უფროსის თანაშემწედ მუშაობდა და ამიტომ საწვრთნელად ჩასული ყველა ოფიცრისათვის ნაცნობი იყო.

- ამხანაგო ონიშჩენკო – შეეგება რომელიღაც ოფიცერი

ლეიტენანტა გუნდიდან – სადაა ამხანაგი კაზაკოვი? ხომ არაფერი უჭირს? – კაზაკოვი კურსების უფროსი იყო. იგი არცერთი დაბომბვის შემდეგ არ გამოჩენილა, მებრძოლები უპატრონოდ იყვნენ მიტოვებულნი.

- ამხანაგი კაზაკოვი დაიღუპა. პარტორგანიზაციის მდივანი

ფედოტოვიც, აგრეთვე ბუბნოვი, ხომ გახსოვთ, კურსების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, ეს წუხელ, თვითმფრინავების პირველი იერიშისას, პირველივე ბომბების ჩამოყრისას მოხდა, ჩვენ ყველანი კაზაკოვის კაბინეტში ვიყავით შეკრებილნი, კურსების მუშაობის ანგარიშს ვადგენდით, სამშაბათს უკვე მინსკში, დასავლეთის ფრონტის სარდლობას უნდა ჩაბარებოდა ეს ანგარიში. ახლა ის აღარ არსებობს, ცეცხლმა შთანთქა. ეს რა ვნახე, ბიჭებო, ეს რას მოვესწარი. ალბათ, აქ იმიტომ შეგვეკრიბეს, რომ ნამდვილი საომარი პრაქტიკა გაგვევლო. არ გვქონდა ნანახი, არასოდეს არ განგვეცადა და აჰა,

ვნახეთ და განვიცადეთ. ეს რა ვნახე, ხალხო? ადმინისტრაციული კორპუსის მეორე სართულზე კაზაკოვის კაბინეტს პირდაპირი დამიზნებით ეძგერა რაღაც გაუგონარი ძალის და სიძლიერის ბომბი. აფეთქების ხმაზე, რომელიც გამაყრუებელი ძალის იყო, ოთახში ყველაფერი ერთხმად და ერთად ამოძრავდა, ერთბაშად და ერთად, წარმოვიდგენიათ ერთბაშად და ერთად! ესაა ბოლო რაც მე იმ ოთახიდან მახსოვს, მერე როცა გონს მოვეგე, ჩემი თავი დერეფანში აღმოვაჩინე, კაცი იტყვის, თორემ სად იყო დერეფანი, ჩემი თავი იქ აღმოვაჩინე, სადაც წინანდელიგეგმით დერეფანი იყო ნაგულისხმევი. მე, როგორც ჩანს, იოლად გადავრჩი, მარცხენა მკლავში ვარ დაჭრილი. იქ კი, სადაც კაბინეტში, საწერ მაგიდასთან, უფროსობა ერთად იყო თავმოყრილი, აღარაფერი დარჩა მთელი, არც ადამიანთა სხეულები, არც თვითონ მაგიდა, არც ტელეფონები, ყველაფერი დაქუცმაცებული და დაკუწული იყო. მერე აქ გადმოვედი, აქ სამედიცინო ბლოკში. აქაც ისეთივე მდგომარეობაა. . . ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდი და ვერ წარმოვისახავდი. არა, რაც მართალი მართალია, საბრძოლო პრაქტიკა ძალიან მაღალ დონეზე გავიარეთ.

- ეს თუ გვაკმარეს, კი. ხომ ხედავ აქ 220 კაცი ვიყავით მოვლენილი და ახლა დაახლოებით 20 ვართ – ონიშჩენკოს სიტყვა მირიანისთვის სრულიად უცხო ახალგაზრდამ ჩამოართვა – ყველაფერი გასაგებია, თვითმფრინავების შემოტევა გადავიტანეთ, ომის თითქმის ყველაზე მოწინავე ხაზზე ვართ, კავშირგაბმულობა არ მუშაობს, გარე სამყაროს მოწყვეტილნი ვართ, უფროსობა აღარაა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? შენ კურსების უფროსის მოადგილე იყავი და ამ კითხვაზე შენ უნდა მოგვეცე პასუხი ამხანაგო ევგენი ნიკოლაძე! გაგვიძეხ, მოგყვებით!

- სწორია – მხარი დაუჭირა ამ წინადადების ავტორს ტამბოველმა ლეიტენანტმა იგორ ლირენკომ – მოფიქრება უნდა რა ვაკეთოთ, აბა აქ ხომ არ დაველოდებით სიკვდილს?

- ბიჭებო, - ხელი ასწია ივაშჩენკომ – მე მინდოდა ამ საკითხებზე მელაპარაკა, მაგრამ უმჯობესია, ეს საკითხები თქვენ რომ წამოჭერთ და დღის წესრიგში დააყენეთ. ცხადია, რაღაც უნდა ვიღონოთ, მაგრამ ეს შემდეგ, როცა დაბომბვებისაგან დაჭრილებს მივხედავთ. როცა აქედან უნდა წავიდეთ, მაგრამ დაჭრილებს უპატრონოდ ვერ მივატოვებთ. ჯერ მათ უნდა მოუწაროთ!

- დაჭრილებს მივხედოთ! მაგრამ როგორ! – ისევ ჩაება საუბარში მირიანისთვის უცნობი ლეიტენანტი.

- გავინაწილოთ და მოვედოთ კორპუსებს. დაჭრილები სანიტარულ კორპუსში გადავიყვანოთ. ამ დილით სანიტარულ კორპუსში ვერავინ ვერ აღმოვაჩინე, მაგრამ ცოტა დრო რომ გაივლის, იქ, ალბათ, ვიღაც აღმოჩნდება, ვინც დაჭრილებზე იზრუნებს. ახლა პირველი საათი სრულდება, ხუთ საათზე შევიკრიბოთ სასადილო დარბაზში და იქ გადავწყვიტოთ ჩვენი შემდგომი მოქმედების საქმე, ან იქ ვუპასუხოთ კითხვას: რა გავაკეთოთ?

- კი, თუ ვიქნებით ხუთზე ცოცხლები! – დაიძახა ვიღაცამ.

ევგენი შეუწყრა:

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ცოცხალნი რომ დავრჩეთ სწორედ ამ მოქმედების გეგმაა გამოსარჩევი. 5 საათზე შეკრების დათქმა, სწორედ ამ გეგმისათვის შეკრების დათქმას ნიშნავს. ჩვენი გეგმა შეიძლება არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ საორიენტაციო მნიშვნელობა მაინც ექნება.

მერე, საღამოს 5 საათამდე ორი ახალი საავიაციო თავდასხმა გადაიტანა ბანაკმა. ეტყობოდა ამ თავდასხმის შედეგი იყო ის, რომ 5 საათზე მხოლოდ 11 კაცი მოვიდა სასადილო დარბაზში.

23 ივნისს 11 გადარჩენილ მებრძოლს მიცვალებულების დაკრძალვაში შემოაღამდა. შემდგომში, როცა ომის დაწყების მეორე დღე გაახსენდებოდა, მირიანი მიაშიტი ადამიანის ღიმილით იღიმებოდა. მტრის გამოჩენა თუ

პოლოცკში მტრის შემოღწევა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. ესნი კი, სამხედრო თუ საომარ საქმეში სრულიად გამოუცდელი ოფიცრები, ისეთ საქმეზე კარგავდნენ დროს, რომლის შესრულება არცერთი ქვეყნის სამხედრო წესდებით არაა გათვალისწინებული. ფრონტზე გარდაცვლილი მეომრის დაკრძალვა, არცერთი საკანონმდებლო აქტით არაა აუცილებელი. ესენი კი, პოლოცკის შეკრებაზე ჯერჯერობით ცოცხლად გადარჩენილი ოფიცრები, სასფლავს გათხრაზე კარგავდნენ ძვირფას წუთებს. იმ დღეს მათ მაინც საღვთო საქმე შეასრულეს, ასამდე მკვდარი ოფიცერი (რასაც მიაგნეს, სხვების აღმოჩენა არ მოხერხდა) მიაბარეს სამძო სამარეს, მეორე დილით, ე. ი. ომის დაწყებიდან მესამე დღეს ოფიცრებმა პური და მშრალი საკვები მოიმარაგეს და გზას გაუდგინეს საბჭოთა არმიას ნაწილებთან შესაერთებლად. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოფიცრებმა გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღეს. მათთვის სხვა გზა არც არსებობდა. ერთადერთი გზა ის იყო, რომ პოლოცკიდან საოლქო ქალაქ ვიტებსკისკენ აეღოთ გეზი, ხოლო შემდეგ ვიტებსკიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ. ასე დათქვეს და ასე დაადგინეს გზას. როგორც სვლის დაწყებისას გენადი ონიშჩენკომ განმარტა, პოლიტიკურად ეს იყო სვლა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო გეოგრაფიულად იგი ნიშნავდა სვლას სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მათ უნდა ევლოთ უკვე არსებული და პრაქტიკულად მილიარდჯერ აპრობირებული გზატკეცილით, პოლოცკიდან პირდაპირი აღმოსავლეთით სვლა უგზო-უკვლოდ სვლას ნიშნავდა, რაც მათ გამოცდილებას აღემატებოდა.

მირიანს ამ დღიდან მხოლოდ იმის გახსენება შეუძლია, რომ ბანაკში გადარჩენილ ათიოდე სამხედროსთან ერთად სადღაც მიდიოდა. მიდიოდნენ გაუაზრებელი მიმართულებით, უცნობი გზებით, მიაბიჯებდნენ ტყეების გასწვრივ და უცხო, ამასთანავე სრულიად უკაცრიელ გარემოში. სიარულში ორჯერ დაღამდა და გათენდა. გარემო მაიც უცვლელი რჩებოდა, გაუთავებელი, ამოუწურავი, უსასრულო ველი, ყველასაგან მიტოვებულობის მძაფრი განცდა და ყელში მოწოლილი შიში. შიმშილს წამოდებული პურითა და საკვებით რაღაცნაირად იცხრობდნენ, მაგრამ შიში და მიტოვებულობის განცდა არ ტოვებდათ. გზაზე არავინ არ შეხვედრიათ, არც მტერი, არც თავისიანი. ტყეები იწვოდა, ხრჩოლავდა, ყველაფერი კვამლით იყო გაჟღენთილი, კვამლის სუნი ავსებდა მთელ გარემოს, ავსებდა და უღიტინებდა ცხვირსა და ფილტვებს. თითქოს გზატკეცილს მიჰყვებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად მასაც გაურბოდნენ. ტყის პირას ანუ მაინც შეფარებულად სიარულს ირჩევდნენ. ადამიანებს, რომლებსაც მიტოვებულობის განცდა სტანჯავდათ, არავისთან შეხვედრა არ უნდოდათ, არა! მხოლოდ კი არ ეკრძალებოდნენ სხვა ადამიანებთან შეხვედრას, არამედ გაურბოდნენ მათ. ბოლო საღამოს, შებინდებისას მირიანმა შემთხვევით ისეთ საუბარს მოჰკრა ყური, რომ გული გადაუქანდა. მის წინ მიმავალი ოფიცერი ეუბნებოდა წესითა და განრიგით მასზე წინ მიმავალს: “წამოსვლის წინ რუკიდან გადმოვიწერე ყველა იმ ქალაქის სახელი, რომელიც ვიტებსკამდე უნდა გაგვევლო, ჩვენ მესამე დღეა მოვდივართ და არც ელოსიანი გაგვივლია, არც ომოლო და არც სტაროე-სელო. ხომ არ გაგვივლია? არა, არ გაგვივლია, მათ გარეშე კი ვიტებსკში ვერ მივალთ.” მერე ყვირილი ატეხა :ბიჭებო, ბიჭებო, გავარკვიოთ სად ვართ”. . . მეტი ვერაფერი ვერ მოასწრო. თვითმფრინავების მჭახე ხმაურმა დაფარა მისი ხმა. მერე წამოვიდა ახალი ბომბები, ხელახლა ავარდა ალი, ხელახლა მოედო ხანძარი ყველაფერს, პოლოცკიდან წამოსული ოფიცრების გუნდაი დაიშალა, გაიფანტა, თავის შველისკენ სწრაფვამ დააცალცალკევა. მირიანი მარტო შერჩა სიბნელეს, ირგვლივ აღარავინ აღარ იყო მისი ახლობლებიდან. რამდენიმე წამის წინ მას ვიღაც მისიანი ეგულებოდა წინაც და უკანაც. ახლა? და წამოიყვირა მირიანმა წინამავალის სახელი “ვანია”, მერე უკანმავალს გასძახა “ვიტია”, მერე გაიმეორა ორივე სახელი, მერე ისევ და როცა არც ივანემ და არც ვიტალიმ არ გასცა ხმა, არ

უპასუხა და არ გამოეხმაურა, გულზე თითქოს ყინულმა გადაუარა. მირიანს ადგილმდებარეობა არცერთი კონტურით არ ჩარჩა ცნობიერებაში. ირგვლივ სრული სიბნელე იდგა და თვითონაც ამ სრული სიბნელით იყო გარემოცული. უცნაური შიშით შეაყრობილი და სიბნელით გარემოცული. სრულიად გაურკვეველი იყო არა მარტო ის, თუ სად იყო, არამედ ისიც, თუ საიდან მოდიოდა და საით მიდიოდა.

მირიანმა ანაზღად იგრძნო, რომ წყალში შეაბიჯა. იცოდა, ბელორუსიის ეს აღმოსავლეთი ნაწილი ჭაობებით რომ იყო დაფარული, გამოვლილ გზაზეც მრავლად შეხვდა დაჭაობებული ნიადაგი, იფიქრა, ჭაობში ხომ არ შევაბიჯეო, მაგრამ ამის გაფიქრების უმაღლესი გამოცდაა წყლიანი ადგილი, იგი ისევე მყარმა მიწამ შეცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევე განმეირდა იგივე შეგრძნება – წყალში შეაბიჯა და უმაღლეს ხელახლა მყარზე გადააბიჯა. შეჩერდა. საით წასულიყო აღარ იცოდა, უკან გამობრუნებაც შეუძლებელი ჩანდა, შეუძლებელიც და უაზროც. ირგვლივ სრული ერთფეროვნება სუფევდა. თუ უკან შემობრუნების დროს არ გაიაზრებდი, რომ უკან შეტრიალდი, შეტრიალების შემდეგ ამ შემობრუნებაზე ვერაფრით დაასკვნიდი. წინ, უკანაც, მარცხნივაც და მარჯვნივაც არაფერი გასარჩევი არ ჩანდა. არაფერი. არც არავინ. ტყეც მიიღია თუ გაქრა. მირიან იბერი შემდგომში მრავალგზის ეცადა, მაგრამ იმ ღამინდელი გარემოცველი სინამდვილე ვერც საერთო ხაზით, ვერც ხელით და ვერც კონტურებით ვერ აღადგინა. ერთადერთი ის ახსოვს, რომ შეღამების შემდეგ არცთუ შორიდან რკინიგზაზე ჩავლილი შემადგენლობის ხმაური მოისმა. ეს იყო უკანასკნელი საბუთი იმისა, რომ სინამდვილე ჯერ კიდევ არსებობდა. მატარებლუის ჩაველის შემდეგ სრული სიჩუმე დამყარდა. ცაზე გაცრეცილი მთვარე ამოენთო, მაგრამ იგი იმ ღამით ისე უნიათო იყო, რომ მის ფონზე ვერცერთი საგანი ვერ კვეთდა თავის სახეს. იდგა სიბნელე და სიჩუმე და იმ სიბნელეში და სიჩუმეში ჩაფლულმა მირიანმა ისევე იგრძნო ფეხქვეშ წყალი, სისველე თითქოს ერთბაშად მოვარდა, მუხლებამდე შემოწვდა, თუმცა მყარი მაინც სადღაც იგრძნობოდა, მირიანმა კიდევ გადადგა ნაბიჯი, მერე მეორეც და ერთბაშად იგრძნო, რომ წყალში, სიბნელეში და სიბლანტეში იძირებოდა. ჩაძირვის განცდა რამდენიმე წამს გაგრძელდა, მერე კი სისველეს და სიბლანტეს მარვალზე შემოჭერილქამარს ამოსცილდა და შიშმა უბიძგა, რათა ფეხით საყრდენი მოეძებნა. ჯერ მარცხენა ფეხი მიმოატარა ბლანტ სითხეში, შემდეგ მარჯვენა, მაგრამ ორივე ფეხის მოძრაობა ამაო გამოდგა, მკერდს ამოცდენილი ჩაძირვის ზედა წარმოსახვითი თამასა ნელ-ნელა უფრო ზემოთ მოცოცავდა. როცა ვერცერთი ფეხის ამოძრავებამ ვერ მიაღწია მიზანს, მირიანმა ხელებით სცადა რაიმე მყარისა და დასაყრდენის მოძებნა. ვერცერთი ხელი ვერაფერს ვერ მოაგლო. ხელი მხოლოდ ბლანტ სითხეში ეფლობოდა, სითხეში, რომლის ფერი ყველა სხვა საგნის ფერის მსგავსად შავი იყო, შავი თუ შავზე შავი ანუ უშავესი, ხოლო სუნი მძალე, უსიამო და შემაწუხებელი ჰქონდა. “აქ უსაყრდენოდაც რომ გავძლო და არ დავიხრჩო, ეს სუნი მაინც მომკლავს, გაბაშვილის გორაზე, სუფთა და უწმინდეს ჰაერზე გაზრდილი კაცი ამ სუნს დიდხანს მაინც ვერ გაუძლებს.” ეს იყო იმღამინდელი ფიქრის მდინერების მეორე შეჩერება. “ნეტავ წარმოდგენა თუ აქვთ ჩემიანებს, ან დედას, ან ტიციანს, ან დალის სად ვარ ახლა. არა! – შიშმა დაამუხრუჭა ფიქრი – სად ვარ კი არა, სად ვკვდები!” ფიქრში შემოჭრილი სიკვდილი ელდად მოედო მირიანის ცნობიერებას, ელდად და უკიდურეს შიშად. სცადა სადღაც სიბნელეში და სიბლანტეში დაკარგული თუ ჩაკარგული ენერჯის მოკრება, მაგრამ ამაოდ. “სიკვდილის გარდუვალობა ჭაობში სიკვდილის შესაძლებლობასაც უშვებს, არა! ჭაობში სიკვდილის კი არა, ჭაობში დახრჩობის შესაძლებლობასაც. დახრჩობა სიკვდილის ყველაზე ამაზრზენი სახეა, ადამიანის უნიათობაზე რომ ლაპარაკობს, წყალში დახრჩობა კიდევ რაღაცას გავს, რაღაცას მოასწავებს, მაგრამ ჭაობში დახრჩობა ეს ერთდროულად სიკვდილოცაა და

ადამიანის სრული უძლურების აღიარებაც. ჩაძირვის ტემპი მკარნახობს დასკვნას, რომ ერთ საათს კიდევ შემოიძლია გავძლო, ვიყო, მოვიგონო, ვიოცნებო. კიდევ ერთ საათს და მორჩა!” ახლაც ახსოვს მირიანს, თუ როგორ იმოქმედა დასკვნამ ერთი საათის გაძლების შესახებ მის ცნობიერებაზე. შიში მთელი ძალით წამოეძალა, შიში. არა და სიკვდილიც, გაქრობაც და არარაობაში გადასვლა გარდუვალი იყო. იგი შეიძლებოდა დამდგარიყო მაშინვე, როცა ბლანტი, ბინძურსუნიაანი სითხე ტუნამდე, ბაგემდე, პირამდე მიაღწევდა, ან უკეთეს შემთხვევაში მაშინ, როცა შავი სითხე ცხვირის ნესტოებს დაუხშობდა. აქ სიკვდილი უკვე გარდაუვალი იყო, აუცილებელიც. მაგრამ შეიძლებოდა სიცოცხლის ბოლო წამი მანამდეც დამდგარიყო, თუ გული ვერ გაუძლებდა, გული ვერ აიტანდა ამ მოშხამულ ბლანტ სითხეში ყოფნასა და ძებრას. თავისი გულის საიმედოობაში ხშირად დაურწმუნებიათ ექიმებს მირიანი, მაგრამ ეს იქ იყო, იქ, მის მშობლიურ მხარეში, აქ კი სულ სხვა სიბნელეა, ჭაობის სიბნელე, ჭაობის სიბლანტე და სიშავე, ხოლო ორივე ერთად ჭაობის დაღებული ხახაა, რომელიც შთანთქმით გემუქრება, შთანთქმით და გაქრობით. ამის გაფიქრებასთან ერთად იყო გულში ჩხვლეტა რომ იგრძნო და ცნობიერება დაკარგა. როცა გონს მოეგო, კვლავ ცოცხალი იყო, მაგრამ არ იცოდა, რამდენი დრო მოაკლდა გამოანგარიშებულ ერთ საათს. იცოდა ამის გარკვევისათვის ყველა ქმედება ამო იყო. ისიც გაურკვეველი და აუხსნელი იყო, რა აჩერებდა ამ მდგომარეობაში, როცა იძირებოდა და არც იძირებოდა. ალბათ ის სიბლანტე, რომელიც სიმკვრივის იმ ხარისხამდე იყო მისული, რომ გარკვეულ სიმძიმეს უძლებდა. ბლანტი სითხე რულს ჰგვრიდა. ჩათვლემის თუ ჩაძინების ეშინოდა და ამიტომაც რულს გაურბოდა, ებრძოდა, ცდილობდა, არ ჩაძინებოდა. ამ დროს, სადღაც იდნა, ზურგს უკნიდან გერმანული საუბარი მოესმა.

- სად ვართ, ვერაფერს ვეღარ ვარკვევ – ცხადი იყო ან გერმანული არმიის მოწინავე მეზობლები იყვნენ ან გერმანელი მზვერავები.

- მოიცა, ერთმანეთი მაინც არ დაგვარგოთ – გაეპასუხა მეორე. “გერმანელები! – გონიდან წამოსულმა ამ უხმო სიტყვამ რული გააქრო. მირიანი დარწმუნდა, რომ ეს დღეები გზააბნეულებს უვლიათ – მე არაფერი არ შემოიძლია, არც მოძრაობა, არც გადაადგილება, თუ ეს გერმანელები დილაამდე აქ დარჩნენ, მაინც დამატყვევებენ. . . იმიტომ რომ მარტო ვარ და თანაც ჭაობის სიბლანტეში ვარ ჩაჩხირული. თუ ისინი აქედან წავლენ და ჩემს არეალს მიატოვებენ, მაშინ სიკვდილი, ჩემი სიკვდილი გარდუვალია, რადგანაც ჭაობის სიბლანტეს უსასრულოდ არ შეუძლია ჩემი დაჭერა, დამაგრება, ამიტომ მე თვითონ უნდა დავეხმარო გერმანელებს, რათა მათ აღმომაჩინონ, მომნახონ, მომაგნონ და მიშველონ, თურმე ასეთიც შეიძლება იყოს მტრების შეხვედრა,” – ეს გაიფიქრა და იმ მხარეს გასძახა, საიდანაც წუთის წინ გერმანული საუბარი მოესმა.

- ცოტა ხმამაღლა ილაპარაკეთ, რომ მე გავარკვიო სადა ხართ და სწორი გზა გიკარნახოთ, ჭაობში რომ არ ჩაეფლოთ! - თან ამას გაიძახოდა მირიანი, თან გულში ელენე მაშიდას ლოცავდა იმის გამო, რომ მოსწავლე მირიან იბერი მაშიდამ ლუბა ქასრაშვილს მიაბარა გერმანული ენის შესასწავლად.

გერმანელებმა მხოლოდ წამიერი პაუზის შემდეგ უპასუხეს.

- ვინ ხარ? კარგად ვერ გავიგონეთ რა თქვით – და ისევ გაუმეორეს:

- ვინ ხარ? გერმანელი ხარ, ჩვენიანი?

- არა, თქვენიანი არა. . .

- გასაგებია, - მოისმა გერმანელთა მხრიდან – რუსი!

- საბჭოელი! – წინა რეპლიკის ავტორს გაუსწორა მეორე გერმანელმა.

“ღმერთო, შენ დამიფარე” მირიანის ცნობიერებაში საიდანღაც, არაცნობიერის სიღრმეებიდან ამოაღწია ამ სიტყვებმა. იბერის ცნობიერებაში ბევრჯერ დამდგარა ისეთი წუთი, როცა ყველაფერი უკანასკნელ საზღვარზე

ყოფილა მისული, მაგრამ მას არასოდეს ღვთაებისადმი არ მიუმართავს. ასეთი რამ არ ახსოვს: ასეთ შემთხვევას ვერ იხსენებს. 1937 წელს, როცა დაპატიმრებას ძლივს, ბოლო წამებზე გადაურჩა, მაშინაც არ უთხოვია ღმერთისათვის დახმარება. ახლა, ამ წუთში, ცხელი აგვისტოს ბულში ჩაფლულ კოლონიის ბოლო ღამეში, მაინც აუხსნელი იყო საიდან და როგორ ამოხეთქა ღვთაებისადმი ამ უმხურვალესმა მიმართვამ. ირგვლივ ყველაფერი სიბნელით იყო მოცული. ამ უკუნეთში რაიმეს დანახვა და რაიმეს გარკვევა მხოლოდ უზენაეს გონს შეეძლო. მხოლოდ მას და მარტოოდენ მას შეეძლო დაენახა, გაერკვია და განეტკვრიტა აქ, სადღაც, ბელორუსიაში, გერმანიისთვის აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი სიტუაცია. დედამიწა სიბნელით იყო გადაშავებული. ამ უკიდურეს სიბნელეში, ჭაობში მთელი სხეულით ჩაფლულ და რაღაც გაურკვეველი ძალით შავ ბლანტეში გაჩხერილ ჭაბუკს დასავლეთის მხრიდან მიუახლოვდა გერმანელთა ორი მეწინავე მებრძოლი. გერმანელებს ან უნდა გადაერჩინათ და ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში ტყვედ უნდა აეყვანათ საბჭოთა ოფიცერი ან უნდა მოეკლათ იგი. სიკვდილი ძალიან ახლოს იყო და ამ სიახლოვემ უცბად, სხარტად, სწრაფად მიიყვანა ღმერთამდე მირიან იბერის ცნობიერება. სიკვდილის წინაშე, ანუ გაქრობის, არარაობაში გადასვლის წინაშე შიში შემზარავია, მაგრამ ხელშესახებად მოახლოებული სიკვდილის წინაშე შიში უკიდურესად შემზარავიცაა და უკიდურესად დამზაფრავიც. არასოდეს მირიან იბერის ფიქრს არ ჰქონია ისეთი შემძვერელი ძალა, როგორც იმ ღამეს, ბელორუსიის ჭაობში. გერმანელთა სიახლოვის გაცნობიერებისას წარმოთქმული ფრაზა “ღმერთო, შენ დამიფარე”, როგორც მირიანმა იმავე წუთში გაარკვია, სწორად წარმოთქმისას უნდა ყოფილიყო “ღმერთო, შენ მიშველე”, მაგრამ ღმერთს მირიანის შველა იმ წუთში, იმ მომენტში, იმ სიტუაციაში მხოლოდ გერმანელების მეშვეობით შეეძლო.

- ჰანს, სად გაქრა ჩვენი რუსი, რატომ ხმას არ იღებს, ხომ არ დაიხრჩო?

- აქა ვარ, აქა – სასწრაფოდ გაეპასუხა გერმანელებს მირიანი – მე ვერ გხედავთ, ამიტომ ვერ გიკარნახებთ სწორ გზას, მაგრამ ჭაობი თქვენგან ორ ნაბიჯზე იქნება, შეიძლება მხოლოდ ერთ ნაბიჯზეც, თუ ეს ნაბიჯი მოუზომავი გამოდგა!

დანარჩენი ელვის სისწრაფით მოხდა.

- არ გაინძრე – თითქმის ერთდროულად დაიძახეს გერმანელებმა. წამიც და მირიანის სმენას ახალი ინფორმაცია მოწვდა – ჩვენ მაშხლებით გავანათებთ აქაურობას და მოგაგნებთ, შენ არ გაინძრე, იყავი გასუსული და ხელი არ შეგვიშალო. – ეს თქვა და მაშხალაც აანთო – დაგინახეთ, გხედავთ, ახლა ჩვენი ხარ რუსო, ვერსად წაგვიხვალ. ჩვენგან შენამდე ათ ნაბიჯზე მეტი არ იქნება. არ შემოტრიალდე. არ გაინძრე.

- “ჰოდა, გიცდით, მოდით! – გაიფიქრა მირიანმა. ამასობაში მაშხლის შუქიც ჩაილია და გერმანელთა მოახლოება უკვე მოახლოებული ნაბიჯებით იგრძნო ლეიტენანტმა.

ახლოს მოადგნენ.

თოკი გადმოუგდეს.

წვალებით ჩასჭიდა ხელი თოკს.

დაქაჩეს.

ამოიყვანეს და. . .

დაატყვევეს.

ომის დაწყებიდან მეხუთე განთიადზე დაატყვევეს მირიანი, ისე, რომ დიდ ომში ჩართულს “პირადი ომი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული, ერთი ტყვიაც არ გაესროლა გერმანელთა მხარეს.” ეს დატყვევების შემდეგ პირველი ფიქრი იყო, იგი იმ საშინელი ღამის შემაზრხენ და შემხუთავი ფიქრის ბოლო წერტილს წარმოადგენდა. ისიც ღამეული ფიქრი იყო.

ღამეული ფიქრი სულ იყო, ყოველთვის და ყოველგან, მაგრამ წყვილიაღმით შემოსილი და განწირულ ფიქრ-განსჯად ქცეული ღამეული ფიქრი მხოლოდ რუსთავის პოლიტპარტიმართა კოლონიაში მიყვანის შემდეგ ღამეიდრდა მირიანის ცხოვრებაში. ღამე და ფიქრი მუდამ ჯუფთად და ერთდროულად ეუფლებოდა დაობლებულ, მარტოობის ჯოჯოხეთში შესულ და უმძიმესი ჯვრის მატარებელ მირიანს. მის ცხოვრებაში ყველგან ერთდროულად დგებოდა ღამე და ფიქრი, მაგრამ გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ღამეებში და ვორკუტაში ღამეული ფიქრი მაინც სხვაგვარი იყო. ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვაგვარი ნიღბით ჩასაფრებული და ყოველ წუთს მოსალოდნელი სიკვდილის შიში ყველგან განუყრელ ორეულად თუ აჩრდილად ახლდა. ავისმომასწავლებელ თანამგზავრად დაჰყვებოდა ფიქრს, მაგრამ იქვე იყო ამოუცნობი, იდუმალი, ბოლომდე გაუაზრებელი, გაურკვეველი, ნისლით და ბურუსით მოცული იმედიც. გერმანიაშიც, საფრანგეთშიც და რუსეთშიც იმედს მეტად საეჭვო, მაგრამ მაინც საკმაო საფუძველი ჰქონდა, გერმანიას საკონცენტრაციო ბანაკში დატყვევებული ლეიტენანტის მრავალტანჯული სული ნამდვილი და აუხსნელი სასწაულის მოლოდინში ცოცხლობდა. ტყვეებს აბსურდული რწმენით სწამდათ, რომ მავთულხლართებითა და მიზანტროპი ჯარისკაცებით დაცული ბანაკიდან თავის დაღწევას რაღაცნაირად მოახერხებდნენ. ტყვეებს შეფარებული პარტიზანების იმედი იმას ემყარებოდა, რომ ეს უსაშველო, დროში და სივრცეში უსაზღვროდ გაჭიმული ომი დღეს თუ არა ხვალ და ამასთან სწორედ მოკავშირეების გამარჯვებით დასრულდებოდა. ვორკუტას ციგ, ნისლიან და ყინვიან ტყვეთა ბანაკში იმედი იმით იკვეთებოდა, რომ მისჯილი ხუთი წელი ტანჯვით, წვალებითა და წამებით, მაგრამ მაინც გადაივილიდა და ფინიშამდე მიაღწევდა. არსად, არც გერმანიაში, არც საფრანგეთში, არც რუსეთში იმედს მთლიანად არ მიუტოვებია იბერის ცნობიერება და რაც მთავარია ყველგან ფიქრს მკრთალი იმედისაგან ნაბარტყი ოცნებაც ახლდა. მშიშარა, გაუბედავი, შემკრთალი და ფრთხილი ოცნება, მშიშარაც, გაუბედავიც, შემკრთალიც და ფრთხილიც, მაგრამ მაინც ის, რასაც ოცნება ერქვა ან შეიძლებოდა დარქმეოდა.

აქ, რუსთავში კი ღამეული ფიქრი დღემდე, აქამდე, ამ გარინდებულ შუაღამემდე, მხოლოდ და მარტოოდენ ფიქრი-განსჯა იყო. რუსთავის კოლონიის ღამეები სავსებით მრუმე, ვხებდახშული, უსახოო, უმწეო და სასოწარკვეთილი ფიქრი-განსჯის ასპარეზად იყო ქცეული. აქაური ღამეული ფიქრი ისევე უიმედო და უსახოო იყო, როგორც ყოფილი სამხედრო ტყვეს თვალთ დანახული და მის მიერ გააზრებული სინამდვილე. რუსთავის ლაგერში გატარებული თუ გადატანილი ექვსი წლის მანძილზე ყოველ შებინდებისას სწორედ უიმედო და უსახოო ფიქრი ეუფლებოდა კედლებჩაშავებულ საკანში გამომწყვდებულ მირიან იბერს. მისი ფიქრი-განსჯა უიმედო და უსახოო წანამძღვრებითა და სასოწარკვეთი დასკვნებით იყო სავსე. მირიანისთვის ფიქრით დაიწყო რუსთავის კოლონიის პირველი ღამეც და აჰა, ეს უკანასკნელი ღამეც ფიქრშია ჩაძირული. მაგრამ აქ, ამ საკანში გატარებული პირველი ღამის ფიქრი იმ კაცის ფიქრი იყო, რომელსაც სამიოდე დღის წინ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ სამშობლოს ღალატის ბრალდებით ოცდახუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა და მდუმარე, მაგრამ შინაგანი პროტესტითა და უპასუხოდ დატოვებული კითხვებისაგან შეძრული და ნერვებდაგლეჯილი, მეორედ დაპატიმრებული ყოფილი სამხედრო ტყვე სასჯელის მოსახდელად კოლონიის ამ საკანში შემოსახლეს, ისე მიუსაჯეს ოცდახუთწლიანი პატიმრობა, ისე გამოამწყვდიეს ამ მავთულხლართებით შემოღობილ კოლონიაში, ისე დააცილეს უახლოეს ადამიანებს, ისე მოწყვიტეს, მოკვეთეს აფერადებულ სინამდვილეს, თავისუფლებასა და სიყვარულს, ისე გაწირეს და ისე შეატოვეს ამ

გაპარტახებული საკნის შავნადვლიან ფიქრებს, რომ ვერც სახელმწიფო ბრალმდებელმა, ვერც სასამართლო კოლეგიის წევრებმა და ვერც საკუთარმა შინაგანმა ხმამ რაიმე კონკრეტული, რალური და ხელშესახები დანაშაული ვერ დაუდასტურეს და ვერ დაუმტკიცეს. საკანში ახლადშემოყვანილი ტუსადი ისე გრძნობდა თავს, როგორც რინგის კვადრატში ნოკაუტირებული, უძლიერესი დარტყმისაგან ძირს დანარცხებული და გაოგნებული მოკრივე, რომელსაც ბუნდოვნად, შორიდან, ძლიერ შორიდან ჩაესმის ხალხით გაჭედული დარბაზის გნიასი, მაგრამ წამოდგომისა და ბრძოლის გაგრძელებისთვის კი არა, ქუთუთოების განძრევისთვისაც არ ჰყოფნის ძალა და ენერჯია. პირველი დამის ფიქრი იმ კაცის ფიქრი იყო, რომელიც სატანამ თავის ჰიპნოზის არეალში მოაქცია, არტახებით შეკრა, ჯოჯოხეთურ ჯურღმულში ცოცხლად გამოამწყვდია. სასოწარკვეთა სუროსავით ჰქონდა შემოხვეული ფიქრს და წასაღეკად დაძრული ზვავის წინაშე უმწეოდ დარჩენილი ცნობიერება უბრძოლველად, მდუმარედ ნებდებოდა არარაობის მრუმე ტალღებში შთანთქმის გარდუვალობას. იბერს ახლაც ზარავს რუსთავის კოლონიაში გათენებული იმ პირველი დამის სრულ სიჩუმეში უმწეოდ, უხმოდ აგანგაშებული დამის გახსენება. იმ დამით დაიწყო და კოლონიის შემდგომი დამეები სულ ფიქრ-განსჯას ჰქონდა დაპყრობილი, მისი მდგომარეობის მიზეზების მძებნელ ფიქრ-განსჯას, რომელიც გამოსავალს ვერაფრით ვერ პოულობდა, აქედან თავდახსნისა და გადარჩენის გზას ვერ აგნებდა, რომელიც სამყაროს მიღმა გადაგდებული, გადატყორცნილი კაცის განცდით შეჰყურებდა სადღაც დარჩენილ სინამდვილეს.

პოლიტიკური პატიმრის ცნობიერებად გარდაქმნილი, ტუსადის ყოველდღიურ, ბორკილდადებულ, შემხუთავ რეალობას დაქვემდებარებული, მასზე მიჯაჭვული, მისით განსახლვრული და განპირობებული მირიან იბერის გონი, რომელსაც დამთრგუნავ და გამსრეს მაჯლაჯუნასავით აწვა საკუთარი უდანაშაულობისა და ირგვლივ გამეფებული უსამართლობის შეგრძნება, ოცნებას თვითონვე გაურბოდა, თვითონვე ეუცხოებოდა და თვითონვე უარყოფდა. ეს გაქცევა, გაუცხოება და უარყოფა, შეგნებული და შეუვალი იყო. ამ შეუვალობას ისიც აძლიერებდა, ისიც მატებდა სიმტკიცეს, რომ გარდაქმნილი ცნობიერება თვითონვე მთელი სიცხადით გრძნობდა, რომ მას ოცნება არც შეეძლო. ამ ცნობიერებას ოცნებისათვის რაღაც არ ჰყოფნიდა, რაღაც მთავარი, გადამწყვეტი და არსებითი. პოლიტპატიმრის გონი სხვაგან გადაგდებული მდინარის კალაპოტივით დაცლილი იყო ოცნებისათვის აუცილებელი იმედისაგან და რწმენისაგან და რაც მთავარია, ოცნებისათვის აუცილებლად საჭირო ასპარეზისაგან – დროისაგან. პოლიტპატიმართა საკანში გამომწყვდეული, უმოძრაო, სედედებული, მდორე, ზანტი და უფრთო დრო მთლიანად ჰქონდა დაპყრობილი ფიქრ-განსჯას: ფიქრი-განსჯით იყო გაჯერებული და ავსებული. ფიქრი-განსჯით შეპყრობილ ცნობიერებაში განსჯიდან ოცნებაზე გადასვლის ყოველი უნებლიე და შემთხვევითი ცდა კრახით მთავრდებოდა. წარმოსახვის, წარსულის რომელიმე ხდომილების გახსენების, თუ რაიმე სურვილის ბიძგით ცნობიერების ველზე შემოჭრილი, ანაზღად წამონთებული თუ გაელვებული ყველა ოცნება გამოფხიზლებული მთვარეულივით შემერთალი, გზარეულივით დაბნეული, უცხო გარემოში მოხვედრილი ბავშვივით გაუბედავი, შიშამდგარი და ურწმუნო იყო, არა მარტო წარმოსახვის, არამედ მირიან იბერის სიყვარულის, მისი მარადიული ბედისწერის, მზისფერთმიანი ქალის დალი ამაშუკელის გაელვებით წამოფრენილი ოცნებაც ვერ შლიდა ფრთებს. ოცდახუთწლიანი სასჯელის მქონე პოლიტპატიმრის ოცნება ფანტაზიადაცლილ, შებოჭილ და შებორკილ ოცნებას წარმოადგენდა. დაშრეტილმა იმედმა გონს ოცნება აუკრძალა. რადგანაც ნაოცნებარის რეალური ასრულებისა არ სჯეროდა, ნაოცნებარის გასაგნობრიობის რწმენა არ ჰქონდა. ოცნების ფრთაშესხმა თუ ხორცშესხმა თავიდანვე უიმედოდ განწირულად მიაჩნდა. პოლიტპატიმრის ოცნებას მზიური

ფერები აკლდა. მისი პალიტრა გასაოცრად მწირი და ღარიბი იყო. ოვნების წამიერი გაელვებით შემკრთალ ცნობიერებაში ისევ ფიქრი-განსჯა ბატონდებოდა.

მირიან იბერის ღამეები მაძიებელი, ჯიუტი, მოუშორებელი, უსაშველო ფიქრი-განსჯით იყო გაჟღენთილი. პატიმარი ფიქრობდა დაღამებიდან განთიადამდე, კოლონიებში პროექტორების ანთებიდან მათი ცეცხლოვანი დისკოების დაშრეტამდე; ფიქრობდა წამიერ ჩათვლემებს შორის უძილობით გაოგნებულ ინტერვალებში. ფიქრი-განსჯა იქცა იმ ერთადერთ იარაღად, რითაც მირიანი მთელ მის წარსულსა და ახლანდელ მდგომარეობას შიფრავდა, იკვლევდა და ათასგზის გააზრებულსა და გადააზრებულს ხელახლა იაზრებდა. იბერი დაჟინებით, უკიდურესად კონცენტრირებული ყურადღებითა და ჩაძიებით ახდენდა მის მიერ განვლილი დღეების დეტალების რესტავრაციას, კინოოპერატორივით ყოველ კადრს სხვადასხვა რაკურსიდან იღებდა, აცოცხლებდა, ახლოს, სულ ახლოს მოჰქონდა და ისე აკვირდებოდა, რათა უამრავ ხდომილებებში საკუთარი დანაშაულის კვალს წასწყდომოდა, გადაჰყოფდა, მისთვის მიეგნო, ხელი ჩაეველო და გაჰყოლოდა. გამუდმებული ფიქრი-განსჯის უმთავრესი მიზანი მაინც ის იყო, რომ მირიან იბერს თავისი ცხოვრების ამოდ, ფუჭად და უაზროდ, მიზანმიუღწევლად ჩავლის ნამდვილი მიზეზი ეპოვა და ჩასწვდომოდა. მას იოტისოდენა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი სიცოცხლე, მისი ოცნებები, მისი გეგმები რაღაც სხვას, მისთვის უცხოს და მასთან უჩინრად დაპირისპირებულს შეეწირა, რომ ყველაფერი რაც მის ცხოვრებაში მოხდა რაღაც არაკანონზომიერად მოხდა და ხდებოდა. რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიაში გაღეულ წლებში ამ კითხვებზე პასუხების მიგნებაში ესახებოდა საკუთარი სიცოცხლის აზრი და საზრისი. პატიმართა ექვსკაციან საკანში, ანუ როგორც თვითონ საკუთარ ფიქრში უწოდებდა “ფიქრი-განსჯის საგანეში” მირიან იბერი ნიადაგ ფურცლავდა თავისი ცხოვრების ფოლიანტებს. ფიქრ-განსჯაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ციმბირში გადასახლებული მშობლების გარეშე ახლობლებში, მაგრამ მაინც სიმწარეში გავლილი ბავშვობის დღეები, ომის წინა წლები, ომისა და ტყვეობის კოშმარული განთიადები, ჯოჯოხეთური შეღამებები და განწირული კაცის იმედდაკარგულ ფიქრებში გატარებული ღამეები, დაპატიმრებების, გამოძიებისა და დაკითხვების მტანჯველი ეპოპეა, რუსთავის ქრონიკები.

ახლა კი, ამ სიცხით გათანგულ და მღუმარებაში ჩაფლულ შუადამისას, მირიანი აშკარად გრძნობს, თვალნათლივ ხედავს, ხელშესახებად განიცდის, რომ მისი ღამეული ფიქრი მხოლოდ და მარტოოდენ ფიქრი-განსჯა კი არაა, არამედ ფიქრი-ოცნებაც, ფიქრი=ოცნება, რომელმაც გუშინ შუადლისას პოლკოვნიკის კაბინეტშივე აიშვა თავი, აიწყვიტა. ამდღა და კოლონიის უფროსის კაბინეტიდან მირიანის გამოსვლისთანავე ატეხა ზარების რეკა. ახლა, ამ წუთში, ოცნება მის მიერ დახატული სიტუაციიდან მეორე, ახალ სიტუაციაში, დროიდან დროში, სივრციდან სივრცეში შიშნარეგად, შემკრთალად და გაუბედავად კი არ გადადიოდა, არამედ თავისუფალი ნახტომებით, გამიზნული ნახტომებით, ფრთების უშიშარი და ძალოვანი მოქნევით შესრულებული ნახტომებით. ფრთააშლილი ოცნება ერთნაირად ედებოდა და სადღაც მიაქანებდა მირიანის არსებას. ეს განცდა, რაღაც სხვაში დაშვების, რაღაც უსაზღვროდ ელვარესთან შეერთების, რაღაც უცნაურ სიღურჯესთან შერწყმის განცდა მირიანისთვის ნაცნობი, უკვე გაშიფრული, შეცნობილი და გათავისებული განცდა იყო. ეს განცდა იმას მოასწავებდა, რომ მირიანი ახალი დაბადების ზღურბლზე იდგა. ახლა, ამ წუთში ფიქრი-ოცნება, ყველა მწვერვალზე ამდღეული ფიქრი-ოცნება მირიანს ახლად გაჩენის ტკივილებს უმსუბუქებდა. მირიან იბერის აფორიაქებული და ფიქრი-ოცნებით ატაცებული ცნობიერება ახლად დაბადების გარდუვალ მოახლოებას გრძნობდა.

ახლა მისი ცხოვრების უსაზღვრო, დამთრგუნველ და მტანჯველ უდაბნოდან ცოცხლად გამოღწევის შემდეგ მირიანმა მტკივედ და უყოყმანოდ იცის, რომ ამ ქვეყნად ერთხელ გაჩენილი ადამიანი ამ სამყაროში, მისთვის უანგაროდ ნაბოძებ სინამდვილეში არსებობის, სიცოცხლის, ყოფნის მანძილზე შესაძლოა ისევე, კვლავ და ხელახლა დაიბადოს. ეს იმ გამოცდილებიდან გამომდინარე დანასაკვი თუ შეუვალი რწმენა იყო, რომელიც მირიანს გამოვლილი გზების ღამეულ ფიქრ-განსჯაში არაერთხელ გააზრებამ თუ გადააზრებამ შესძინა. მირიან იბერი დღემდე, ამ წუთამდე, ფიქრი-ოცნების მიერ დაპყრობილ რუსთავის კოლონიის ამ შუალამემდე სამჯერ, ზუსტად სამჯერ დაიბადა ამ ქვეყნად. მისი თავდაპირველი დაბადება “ბუნებრივი დაბადება” იყო. ამ ქვეყნად მის მეორედ დაბადებას მირიან იბერი “გონით დაბადებას” უწოდებდა. ეს მოხდა სტუდენტობისას, როცა ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორე კურსელი გამუდმებულმა, მომქანცველმა, მიზანდასახულმა შრომამ, წიგნზე მუშაობამ და მეცადინეობამ, თანამედროვე ფილოსოფიური სისტემების გაცნობამ და ფიქრმა სამყაროში ადამიანის ადგილის, როლის, ფუნქციისა და დანიშნულების გაგებამდე მიიყვანა. მირიანმა ადამიანის არსებობის საზრისი გაიგო, როგორც კულტურის შექმნა და დამკვიდრება. მეორედ დაბადება მირიანისათვის ცის გახსნას მოასწავებდა. სინამდვილე მისთვის უფრო გასაგები და რაც მთავარია, უფრო ახლობელი გახდა. დებულება, რომ ადამიანი კულტურის შემქმნელია მთლად მარქსისტული არ იყო, მაგრამ არც ანტიმარქსისტული გახლდათ. იბერისათვის მისი მიგნება იყო მთავარი. მისი მიგნების შემდეგ ამ დებულებას მის ფილოსოფიაში ადამიანის პრობლემაზე მუშაობისას ამოსავალი წერტილის, საწყისის, როლის შესრულება შეეძლო. მირიანს უკვე მაშინ, თავის საკუთარი პიროვნული ბედის შესაბამისად და მისი კარნახით “ცნობიერებაში ცენზორის ჩამონტაჟების საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა. ამიტომ ზემოთ აღნიშნული დებულება მისთვის ხელის შემშლელი არ შეიძლებოდა გამხდარიყო. მან თავისი დადებითი როლი უსათუოდ შეასრულა. მირიანისთვის იგი მეორედ დაბადების საბაბი თუ მოტივი გახდა. სამყარომ სახე შეიცვალა და რაც მთავარია, აქამდე თავსამტკრევი დებულება “ღმერთი შენშია” აღარ წარმოადგენდა აბსურდულ გამოცანას. მირიან იბერს უკვე შეეძლო თამამად გაესწორებინა თვალი ადამიანის გონის მიერ წამომართულ ყველა სიმაღლისათვის. მესამედ მირიანი სიყვარულმა შვა. ეს მოხდა მეორედ დაბადების შემდეგ უმაღვე, მოკლე დროში. დალი ამაშუკელის უწმინდესმა, უნაზესმა და უსათნოესმა ღიმილმა და ამ მზისფერთმიანი ქალიშვილისაკენ უსაზღვრო ღტოლვამ სინამდვილე საბოლოოდ ამოხსნა და იგი მის ცნებას მაქსიმალურად მიუახლოვა. დალი იქცა სინამდვილის ყველა ხდომილების, ყველა ფიქრის, ოცნების და სწრაფვის სათავედ და საზომად, იბერის პოეტურ ბედისწერად. დალის ნახვა “მასთან ურთიერთობის დამყარება და მასზე უსაზღვრო ფიქრი ეს იყო იმგვარ არსებობაში შესვლა, რომლისთვისაც აღარ არსებობდა “უფრო მეტი”, “უფრო მაღლა” და “ამას იქით” ეს იმას ნიშნავდა, რომ არსებობა ნამდვილად არსებობას იყო მიღწეული. მესამედ დაბადება იბერისათვის ყველაზე შთამბეჭდავი დაბადება იყო.

არა, ადამიანი ერთხელ არ იბადება!

ყველა ადამიანი ვერასოდეს ვერ ჩაწვდება იმას, თუ როგორ შეიძლებოდა მირიან იბერი ამ ქვეყნად სამჯერ გამოჩენილიყო. ახლა ეს ღამეც, რუსთავის კოლონიიდან განთავისუფლების ეს წინა ღამეც, ამ უღვთოდ ჩახუთულ შუალამეზე კიდევ ერთი დაბადების ზღურბლთანაა მისული.

ახალი დაბადების განცდა, რომელშიც ფრთებგაშლილი ოცნება დალისკენ მიმავალ გზებს უკვე ექებდა, გუშინ, შუადღისას, ზარების ჩამორეკვით დაიწყო.

მირიან იბერი გუშინ მეორეჯერ შეხვდა კოლონიის უფროსს პირისპირ.

მათი პირველი შეხვედრა სამი წლის წინ შედგა თბილისიდან რუსთავის პოლიტპარტიმართა კოლონიაში გადმოყვანილმა პოლკოვნიკმა გაიოზ დემეტრაძემ თავისი მოვალეობის შესრულება ერთი ფრიად უჩვეულო აქციითაც დაიწყო. პოლკოვნიკმა ლაგერის ყველა პარტიმარს ცალ-ცალკე აუდიენცია მოუწყო, განმარტოებით ესაუბრა და ასე გაეცნო. პარტიმრებთან შეხვედრები კვირაში სამჯერ – არაშაბათობით, სამშაბათობით და პარასკევობით, საღამოს, სამუშაოდან ტუსადების მობრუნების შემდეგ იმართებოდა. კოლონიის უფროსი შეხვედრის თითოეულ დღეს რამდენიმე ტუსადთან გასაუბრებას ასწრებდა. ეს ხანგრძლივი მართონი ლაგერში გარკვეული გრაფიკის მიხედვით ჩატარდა. პარტიმრებს პოლკოვნიკთან იძახებდნენ ბარაკებისა და საკნების ნომრების მიხედვით. მირიანის ბარაკისა და საკნის პარტიმრებთან შეხვედრებმა ისე ჩაიარა, რომ იბერი პოლკოვნიკთან არ წარუდგენიათ. ყოფილ სამხედრო ტყვეს ამ ამბისთვის რაიმე განსხვავებული მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, მაგრამ განრიგის დარღვევის ამ ერთადერთმა შემთხვევამ მაინც გააკვირვა და დააფიქრა. პოლკოვნიკთან შეხვედრა და საუბარი მაინც შედგა.

მირიანს შემდგომში, უპირატესად ღამეული ფიქრების დროს არაერთგზის აღუდგენია და გაუანალიზებია გაიოზ დემეტრაძესთან ის პირველის შეხვედრა. სწორედ ამგვარი გაანალიზებისას გადაიქცა პრობლემად თავდაპირველად ყურადღებამიუქცეველი ის გვიანი გამოძახებაც. იბერისთვის თანდათანობით იკვეთებოდა აზრი, რომ განრიგის დარღვევას, მართალია პარტიმრისთვის ჯერაც დაფარული, მაგრამ რაღაც მიზეზი მაინც ჰქონდა. ეს აზრი იმ უსიამო და მძიმე შთაბეჭდილებიდან ამოიზიდა, რომელიც პარტიმარს კოლონიის უფროსთან პირველი შეხვედრიდან გამოჰყვა. უსიამო და მძიმე შთაბეჭდილება პოლკოვნიკთან საუბრის შემდეგ კი არ დაიბადა, არამედ მირიანი ჯერ ამ შთაბეჭდილებამ მოიცვა და საუბარი შემდეგ შედგა. უსიამო და მძიმე შთაბეჭდილება წინ უსწრებდა საუბარს, რომელიც ორდინალურ კალაპოტს არ გადასცდენია, ზედმეტად და ხაზგასმულად მშვიდი და უაღრესად თავაზიანიც კი იყო.

მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება კოლონიის უფროსის კაბინეტში შესვლისთანავე გაჩნდა. ეს შთაბეჭდილება კარის მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული სტალინის უზარმაზარი პორტრეტის ფონზე საწერ მაგიასთან სავარძელში მოკალათებული, ხაკისფერ ფორმაში გამოწყობილი, პოლკოვნიკის დანახვამ კი არ დაბადა, არამედ ლაგერის უფროსის პირველივე მოძრაობამ. პოლიტპარტიმრის უაღრესად გაუხეშებულმა და ამასთანავე უაღრესად გაფაქიზებულმა და მგრძობიარე რეცეპტორმა – მისმა ცნობიერებამ. იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, პოლკოვნიკის ერთ დასრულებულ მოძრაობას რომ დასჭირდა, ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით თუ ერთმანეთზე გადაბმულად იგრძნო ის სამი მძაფრი ბიძგი, რომლებსაც მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება მოჰყვა.

პარტიმრისათვის მოულოდნელად კოლონიის უფროსი სავარძლიდან წამოდგა, საწერ მაგიდას გადმოცდა და ხელის ჩამორთმევით შეეგება მირიანს. პოლკოვნიკის ეს მოძრაობა ტრივიალური და სრულიად მარტივი იყო, მაგრამ უნდობლობითა და ეჭვით დამუხტულმა პოლიტპარტიმრის ცნობიერებას ამ მარტივ მოძრაობაში აღმოაჩინა, შეამჩნია და დაინახა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე თვითონ ეს შიშველი ფაქტი წარმოადგენდა. სულის შრეებიდან ამოტყორცნილი ბიძგები სწორედ ამ მეტის დანახვამ წარმოშვა. პირველი ბიძგი პოლკოვნიკის წამოდგომას მოჰყვა. სავარძლიდან წამოიშარა არაჩვეულებრივად უპროპორციო აღნაგობის კაცი უზომოდ გამობერილ და ვრცელი მუცლით და ასევე უზომოდ გამხდარი და ჩაცვნილი მხრებით. თვალშისაცემად გამოშვერილ მუცელსა და ჩაცვნილ მხრებს ძალზე დიდი, სრულიად მელოტი და წითელტყლიპიანი თავი აბოლოებდა. მირიანისათვის უსიამო და მძიმე შთაბეჭდილების ბიძგად კოლონიას უფროსის უპროპორციო

და თითქმის ზიზღის მომგვრელი სხეული კი არ იქცა, არამედ სავარძლიდან პოლკოვნიკის წამოდგომა. ლაგერის უფროსთან გამოძახებული პატიმრის მიღებისა და მასთან შეხვედრის არცერთ დაწერილ და გამოცემულ ოფიციალურ წესდებაში ამგვარი ქესტი არ იყო გათვალისწინებული თუ ნაგულისხმევი. იბერის გამოცდილებით პატიმართა ლაგერების უფროსები ასეთნაირად, სავარძლიდან წამოდგომითა და ხელის ჩამორთმევითმხოლოდ “თავიანთ ხალხს”. “თავიანთ ბიჭებს” ან უფრო ზუსტი სახელით თუ მოვიხსენიებთ – თავიანთ ჯამუშებს ხედებოდნენ. სავარძლიდან პოლკოვნიკის წამოდგომისთანავე იბერის ცნობიერებაში მყისვნეულად გაიელვა რამდენიმე წლის წინანდელმა შეხვედრამ კოლონიის უფროსთან ვორკუტაში. სწორედ ასე ფამილიარულად, ასევე წამოდგომითა და ხელის ჩამორთმევით, ასე უჩვეულოდ, წესდებით გათვალისწინებული წესების დარღვევით შეეგება ვორკუტის პოლიტპატიმართა კოლონიის უფროსთან გამოძახებულ, ყოფილ სამხედრო ტყვეს, მირიან იბერს ლაგერის თავკაცი მაიორი გენადი ზვიაგინცევი. ქესტი ორივესთან იდენტური იყო. კაბინეტში მირიან იბერის შემოსვლისთანავე სავარძლიდან წამოიმართა გენადი ზვიაგინცევიც და სავარძლიდან წამოიჭრა გაიოზ დემეტრაძეც. სწორედ ამ იდენტურობამ, რუსთავში ვორკუტის ქესტის განმეორებამ, წარსულში განცდილი შეხვედრის დასაწყისის განმეორებამ ეჭვის უზარმაზარი კაუჭი მოსდო პოლკოვნიკთან მოსალოდნელ საუბარს. მხედრული აღნაგობის მაიორი ზვიაგინცევი გარეგნულად სრულებითაც არ ჰგავდა უპროპორციო, შეიძლება ითქვას - თითქმის უნო სხეულის მქონე პოლკოვნიკს, მაგრამ პატიმართან აუდენციის დაწყება წამოდგომით და ფამილიარული მიღებებით მირიანისთვის საკმაო საფუძველი იყო, რათა მის ცნობიერებაში გახშიანებულიყო ფრაზა “შენც, ?” მაშინ იქ, ვორკუტაში მაიორსა და პატიმარს შორის მეტად მნიშვნელოვანი საუბარი შედგა მეტად მნიშვნელოვან თემაზე, მირიან იბერს არაფრით არ სურდა აქ, რუსთავში მაშინდელი საუბრის თუნდაც მიახლოებითი განმეორება. არადა, კაბინეტში პატიმრის შემოსვლის შემდეგ ლაგერის უფროსის წამოდგომა თითქოს სწორედ ამაზე მიანიშნებდა. მაიორი ზვიაგინცევი, რომლის სამუშაო მაგიდასაც კედლიდან გენერალისიმუსის ფორმით და რეგალიებით აღჭურვილი სტალინის პორტრეტი დაჰყურებდა, ფეხზე წამომდგარი მეიგება იბერს, დაბრძანება სთხოვა, თვითონაც საპირისპიროდ დაუჯდა და გამოძახების მიზეზისა და შესასრულებელი ამოცანის შესახებ ყოველგვარი შესავლის გარეშე აუწყა:

- ჩვენი საქმისათვის საჭირო პატიმართან, მით უმეტეს თუ ეს პატიმარი პოლიტპატიმარია, ასე, ამ წესით არ ამყარებენ კონტაქტს, აქ სხვა გზების გამოძებნაა მიზანშეწონილი. სხვა ხერხების გამოყენებაა უფრო უპრიანი. მაგრამ მე ახლა ამის არც დრო და არც საშუალება არა მაქვს. არც ერთი და არც მეორე. ამიტომაც ვა ბანკ მოვდივარ.

მირიან იბერს ხმა არ ამოუღია, თუმცა ზვიაგინცევის “ვა ბანკ” პირდაპირ გულზე ეცა. ზვიაგინცევი დაუინებელი მზერით, მაგრამ მდუმარედ მისჩერებოდა ყოფილ სამხედრო ტყვეს “ჩემთან კონტაქტს “ვა ბანკით” იწყებს, იმით იწყებს, რასაც უნდა მიადწიოს, ალბათ, ესეც ხერხია, შეიძლება მისთვის ყველაზე ნაცადი ხერხიც”. გაიფიქრა მირიანმა, მაგრამ სიტყვა მაინც არ დაძრა. თვალი მოარიდა ზვიაგინცევის დაუინებულ მზერას. მაიორს უნდა ეგრძნო, რომ პატიმრის დუმილი აფორიაქებისა და ამღვრევის დუმილი იყო, შეიძლება უკვე სასოწარკვეთილი სულის დუმილიც. კოლონიის უფროსი სამუშაო მაგიდაზე დაგდებულ პაპიროსის კოლოფს წაეტანა. კოლოფი დაცარიელებულიყო. მაიორი წამოდგა და კაბინეტის კუთხეში მიდგმულ სეიფთან მივიდა. “ვა ბანკ” წამოსვლას შემდეგ პაუზა აუცილებლად სჭირდება მიორს. იცის, რომ ჩემი გონება ახლა კრახანასავით მუშაობს. ეს ცარიელი კოლოფიც საგანგებოდ იყო მიგდებული მაგიდაზე. “იგი პაუზის მოტივია” გაიფიქრა მირიანმა და სეიფთან მისული ზვიაგინცევის ზურგს შეხედა.

კოლონიის უფროსმა სეიფი გააღო, პაპიროსის ახალიმ სავსე კოლოფი გამოიღო, კვლავ პატიმრის საპირისპიროდ მიუჯდა მაგიდას, კოლოფი გახსნა, მერე პაპიროსის ღერი ამოაძრო, მერე კოლოფზე მიანიშნა მირიანს და ჰკითხა – “ეწვეით?” პასუხს არ დალოდებია – “ შეგიძლიათ მოსწიოთ” და კოლოფი და ასანთი ერთად დაუდო წინ.

- უფრო ვრცლად გეტყვი. იქნებ ასე უფრო გასაგები გახდეს. კოლონიაში უვეულო მღელვარებაა, მაგრამ არა აშკარა, არამედ ჩუმი, ფარული, მუნჯი, შეიძლება ითქვას – უხმო ბუნტი. – მაიორი წამით შეჩერდა, რაღაც უკუაგდო ცნობიერებაში – არა, არა, ჯერ არც ბუნტია, არც განგაში, არც გაფიცვა, არ ფრიალებს პროკლამაციები. არ ემზადებიან გამოსვლებისათვის, მაგრამ უჩვეულო მღელვარება მაინცაა. ამას მხოლოდ ალღო, მარტო გუმანი და ინტუიცია არ მკარნახობს. ზოგიერთს მიაჩნია – მაიორმა საწერი მაგიდის საფანქრიდან უჩვეულოდ დიდ წითელ ფანქარს დააელო ხელი და სიტყვა “ზოგიერთზე” მალლა აწეული წითელი ფანქრით გააკეთა აქცენტი – ზოგიერთს მიაჩნია, რომ სახელმწიფო და მისი სასამართლო ევროპიდან უკან დაბრუნებული სამხედრო ტყვეებს უსამართლოდ მოექცა, მიაჩნია, რომ მათ ჩვენი ქვეყნის წინაშე არ ჩაუდენიათ არავითარი დანაშაული. ცხადია, ისინი ცდებიან. ჩვენ არა მარტო თითოეული პატიმრის პირადი საქმე, არამედ ყოველი მათგანის კონკრეტული ბიოგრაფია, წარსულის კონკრეტული ნაბიჯები, თითოეულის პიროვნება, პოლიტიკური, მორალური და ფსიქოლოგიური მიდრეკილებანი გამოწველილვით გვაქვს შესწავლილი. თქვენთვის, თქვენი წარსულისა და განათლების კაცისათვის სრულიად აშკარა და ნათელი უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს პატიმართა ბანაკში, მით უმეტეს, პოლიტპატიმართა ლაგერში ჩუმი მღელვარება. მართალია ეს ჩუმი მოძრაობაა, მაგრამ მაინც საპროტესტო მოძრაობად უნდა მივიჩნიოთ, ჯერჯერობით იგი მხოლოდ ჩურჩულის დონეზეა, მაგრამ ჩურჩულის დონე ხომ ფიქრის ფარგლებს გარეთ გასვლაა? როცა ფიქრის ჩაკეტილ, დახურულ, ჩაგმანულ საზღვრებს გასცდები და მავანს, სხვას, მეორეს რაღაცაში არწმუნებ თუნდაც ჩურჩულის დონეზე, ეს უკვე პროტესტია. მე თქვენ გეკითხებით: დასაშვებია თუ არა ასეთი რამ პოლიტპატიმართა კოლონიაში! არც სხვაგან, არც კოლონიის მიღმა და გარეთ. მაგრამ ლაგერში მით უმეტეს – არა. ამას შეიძლება კატასტროფა მოჰყვეს, კატასტროფა ყველასათვის ერთად. პოლიტპატიმრებისთვისაც და ჩვენთვისაც. – იბერი ხმას არ იღებდა, თუმცა მაიორის ყველა სიტყვას, ყველა წინადადებასა თუ მოსაზრებას გულისყურითა და დაკვირვებით ისმენდა. “გა ბან წამოსვლა ჯერჯერობით გულახდილობაში მქდავდება, მერე ალბათ უფრო საშიშ და გაუვალ ბილიკებზე შევდგებით.” მაიორი ისევ წაეტანა პაპიროსის კოლოფს, ახალი ღერი გამოაძრო, გააბოლა, გადმოიხარა, სახე ახლოს მიიტანა იბერთან – გესმის რასაც ვამბობ? სახელმწიფოს არ შეუძლია დაუსჯელი დატოვოს სამშობლოს მოღალატე, - მირიანმა იგრძნო რომ აფორიაქება უფსკრულში გადაჩეხილი კაცის სასოწარკვეთილებით შეიცვალა – თქვენ ყველას, ყველას უკლებლივ დაგიმტკიცეს სამშობლოს ღალატი, მაგრამ იმიტომ, რომ მხედველობაში მიიღო სხვადასხვა გარემოებანი – სიტყვა “გარემოებანი” გაწედა, ხოლო მთელი წინადადება გაიმეორა – იმიტომ, რომ მხედველობაში მიიღეს სხვადასხვა გარემოებანი, არ დაგვხვრიტეს. ახლა კი რა ხდება? სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობაში შეტანილი ეჭვი და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ფარული მღელვარება, მე აქ, თქვენთან, თქვენს ლაგერში სახელმწიფოს წარმომადგენელი ვარ და არ შემიძლია გულხელდაკრეფილი, უმოქმედო, მდინარების შემყურე, ფაქტების აღმწესხველი ვიყო – ზვიაგინცევი შეჩერდა, რაღაც წედანდელივით გადაიფიქრა თუ საუბრის გაგრძელებას ახალი ფონი მოუძებნა – ჩემს ირგვლივ, ჩემს ბანაკში, ჩემს პატიმრებში რაც ხდება, ყველაფერი უზუსტესად უნდა ვიცოდე, უზუსტესად და არა ფრაგმენტულად, უზუსტესად და არა

ყურმოკვრით, უზუსტესად და არა ჭორად. აქ კი, ვიღაც უნდა დამეხმაროს, ვიღაც უნდა იყოს ჩემს მხარეზე, არა კარგად ვერ გამოვთქვი, ჩემს მხარეზე კი არა სახელმწიფოს მხარეზე. ამიტომ მოვდივარ “ვა ბანკ”. – მოლოდინის მიუხედავად განმეორებული “ვა ბანკ” მაინც ელდად მოედო იბერს. იგი კვლავ მდუმარედ და გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ იგრძნო ელდამ მიწისძვრასავით შეაქანა და შეარყია მთელი მისი არსება. არ განძრეულა, შეშფოთება არაფრით არ გამოუხატავს, მაგრამ იმასაც მიხვდა: მაიორმა იგრძნო, მეტიც, თვალნათლივ დაინახა პატიმრის მდგომარეობა – ერთს კიდევ გეტყვი – გააგრძელა ზვიაგინცევი – თქვენ ხომ უნდა გაძლოთ სასჯელის დამთავრებამდე, აქ კი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გასაძლები კოლონიაა. ჩვენ დაგეხმარებით იმაში, რომ ნამდვილად გაძლოთ. გაიგე რა გითხარით? აქ გაძლებისთვის დახმარება აუცილებელია, ჩვენ კი რეალურ და ქმედით დახმარებას გპირდებით.”

იბერმა გადაწყვეტილება საუბრის დასაწყისშივე მიიღო

- რატომ მე ამირჩიეთ? – პატიმარმა ამ შეკითხვაში ერთად შეკუმშა თავისი სათქმელი, შეკითხვა დასვა, თუმცა იბერს დროის მოგება აღარ სჭირდებოდა. მან უკვე გასწირა თავი. ან მაიორი უკან წაიღებდა თავის წინადადებას, ან მირიანი ამ კაბინეტიდან ცოცხალი ვერ გავიდოდა. შეიძლება “ვერ” აქ არ ვარგოდა, ალბათ სჯობდა “არ გავიდოდა.”

- თქვენ, საკოცენტრაციო ბანაკამოვლილი კაცი ამგვარ შეკითხვას არ უნდა მაძლევედით. ჩემი დავალების შესრულებას უაღრესად ნიჭიერი ადამიანი სჭირდება, თანაც ისეთი, რომელსაც ენდობიან. აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ მე გენდობით თქვენ, არამედ მთელი ბანაკის ნდობაზე თქვენ მიმართ. საჭიროა კაცი, რომელსაც პატიმრები ენდობიან, ვისიც სჯერათ და საიდუმლოს უზიარებენ. ამიტომაც წამოვედი “ვა ბანკ” – “ჯაშუშობას მთავაზობს და ამ სიტყვას გვერდს უვლის, არ ახსენებს, ბოლომდე არ მეხსენება” მაიორის ნათქვამს ფიქრს აყოლებდა მირიანი.

მეც “ვა ბანკ” გაასუხობთ. თუ თქვენ უკან არ დაიხვეთ, თუ თქვენ განზრახვას თუ გადაწყვეტილებას არ შეცვლით, მე აქედან ცოცხალი არ გავალ. ამას ვერაფერი და ვერავინ ვერ შეცვლის. ყველაზე მოკლედ, ყველაზე ლაკონურად ჩემი პასუხი ესაა. – ახლა იბერის არა მარტო ხმა, არამედ თვალები, გამომეტყველება, სხეულის დაძაბულობა აშკარად გამოხატავდა, რომ არაფრით არ დათანხმდებოდა შეთავაზებულ როლს, მირიანი ქვეშეცნეულად მიხვდა, რომ მაიორმაც ნათლად დაინახა და იგრძნო ის, რასაც თვითონ ხედავდა და გრძნობდა.

ზვიაგინცევი ვითარების ამგვარ შემოტრიალებას აშკარად არ ელოდა.

- ვხედავ, ელდამ გაგიარათ, ისევ გონს მოეგეთ. – მაიორი საწერ მაგიდაზე –

მიდგმულ მცირე მაგიდიდან წამოდგა. თავის ადგილზე გადაჯდა – თქვენ - იცით რა გელით ჩემი დავალების, ჩემი თხოვნის, ჩემი ნათქვამის შეუსრულებლობისთვის. თქვენ უარს ამბობთ ჩემს მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე. თქვენი მთავარი არგუმენტი? იცით, თქვენი უარი რას ნიშნავს?

- ვიცი, ყველაფერი ვიცი. ისიც ვიცი, რომ ფაქტობრივად არაფერი არ შემოძლია, არაფერი არ ძალმიძს მოვიმოქმედო. მე ახლა ჩემი მდგომარეობით მონა ვარ, რეალურად სხვას არაფერს წარმოვადგენ. მონა ვარ, რომელიც სხვის დავალებებს ასრულებს, რომელიც სხვისი კარნახით მოქმედებს, რომელიც მხოლოდ სხვის მიერ გაკვალული გზებით დადის, მე ილუზიების არ მჯერა, მაგრამ იმის იმედი მაინც მაქვს, რომ გავა დრო და ჩემი მონობა დასრულდება. თქვენ მართალი ხართ იმაში, რომ ეს ბანაკი ძნელი გასაძლებია და შესაძლოა ასეთ პირობებში ვერც მივადწიო განთავისუფლების დღემდე, მაგრამ ხომ შეიძლება გავძლო, ხომ შეიძლება ჰელომდე მივიდე და მერე, იმის შემდეგ რა მეშველება არა მარტო ყოფილ სამხედრო ტყვესა და ყოფილ მონას, არამედ ყოფილ ჯაშუშსაც. ნუ იზამთ

ამას ალბათ, ჩემი ბეღია, რომ მე სალდოფონის წინაშე კი არ მიხდება ლაპარაკი, არამედ იმ ადამიანის წინაშე, რომელსაც ცნობიერებაც, გულიც, გრძნობებიცა და ვნებებიც კაცურ სიმაღლეზე აქვს, ნუ იზამთ, რომ მონობა სანატრელი გამიხდეს, ჩემი მშველელი ახლა მხოლოდ ისაა რომ თქვენ ჩემს ამ აჯას ჩაწვდებით, რომ თქვენ გამიგებთ, გამიგებთ ადამიანურად, გამიგებთ კაცურად, გამიგებთ ისე, როგორც საჭიროა, როგორც მე მინდა გამიგოთ. გულახდილად გეტყვით. სავსებით და ბოლომდე გულახდილად გეტყვით, რომ თქვენ შეცდომა დაუშვით მაშინაც, როცა ჩემი გადაბირება განიზრახეთ და მაშინაც, როცა ამის თაობაზე მე მითხართ. მე ამ საქმისთვის არ გამოვდგები, რაღაცას ისე ვერ ვიზამ, როგორც საჭირო იქნება, როგორც ამგვარი საქმისთვის შერჩეულ კაცს მოეთხოვება, როგორც განზრახული საქმე გვიკარნახებს. თქვენ შეცდით, როცა ჩემზე შეჩერდით, როცა არჩევანი ჩემზე გააკეთეთ. ჩემი ცხოვრება ამჟამად იმით ჰგავს ცხოვრებას, რომ ფიქრი ჯერ კიდევ ძალშია, რომ ფიქრი ჯერ კიდევ შემოიქცია. ნუ მომისპობთ ფიქრის უფლებასაც. თუ ჩემს იმედს აღსრულება უწერია და სასჯელი ცოცხალმა მოვიხადე, შემდეგ ხომ უნდა ვაკეთო რაღაც, ნუ მომისპობთ შემდეგში რაიმეს კეთების საშუალებას, რადგანაც ყოფილ ჯაშუშს არაფრის კეთება აღარ შეეძლება, ყოფილი ჯაშუში არავითარი ღირებულების შემქმნელი აღარაა. ჩემში იმის მზაობა არაა, რომ ჯაშუში ვიყო, ჯაშუში გავხდე. ჯაშუშად ვიქცე. მე ამაზე გულწრფელი, ამაზე გულახდილი და ამაზე გაბედულიც ვერ ვიქნები. მე ყველაფერი ვთქვი. მეტი რა უნდა გითხრათ, რა უნდა ან როგორ უნდა გითხრათ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ჩემი გაგება?

ზვიაგინცევს მთელი ამსიგრძე მონოლოგი მოსმენისას პატიმრისათვის ერთხელაც არ შეუწყვეტინებია სიტყვა. დუმილით უსმენდა. დუმილი პატიმრის სიტყვის შემდეგაც გაგრძელდა. კოლონიის უფროსის ამ გაგრძელებული დუმილის ფონზე მირიან იბერის ცნობიერება მაიორის აზრთა მსვლელობისა და გამოტანილი დასკვნების ამოცნობას ცდილობდა. “ჩემი ბედი შენზე ჰკიდია, მაგრამ შენზე ჰკიდია მისი “მე”ც. თუ მას ნამდვილად სჯერა, რომ ამ ბანაკში თავმოყრილი ყველა პატიმარი სამშობლოს მოღალატეა, მაშინ ჩემს გულახდილობას არაფრით არ მაპატიებს, არ დამითმობს, მაშინ ჩემი აჯის გაგებაზე ზედმეტია ფიქრი . . .”

- თქვენ წესით საგანგებოთ უნდა დაისაჯოთ, - გვიან, გვიან გაისმა ზვიაგინცევის ხმა, ფიქრი გაწყდა . . . მაიორი წამით შეყოვნდა, წელან დუმილისას ჩამქრალ პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა – უნდა დაისაჯოთ და სწორედ საგანგებოდ. ეს ჩემთვის სულ იოლია, საკმარისია ხმა გაგავრცელო, რომ შენ ჩვენი მსტოვარი ხარ, თქვენ კარგად იცით, რას ნიშნავს ეს პატიმრისათვის, მით უმეტეს აქ, ყოფილ სამხედრო ტყვეთა ბანაკში.

- არ დაიჯერებენ – გაიბრძოლა თუ გაბრძოლება სცადა იბერმა.

- შეეჭვდებიან და ეს სრულიად საკმარისია, სიოცხლე გაგიმწარდება, დაბადების დღეს დაიწყებელი, თავი მოგძულდება, სიკვდილი მოგიხდება. მაგრამ მე ამას არ გავაკეთებ. პირველი, ამას იმიტომ არ გავაკეთებ, რომ, როგორც ჩანს მე მართლაც დავუშვი შეცდომა, როცა მოენედ შენ აგირჩიე და ამდენად შენთან ერთად მეც ვარ დასასჯელი. მეორე, ამას იმიტომ არ გავაკეთებ, რომ შენი გულწრფელობა ვიწამე. ახლა არ გვინდა იმის აგრჩევა, თუ ჩემი სულის რომელ სიმებს შეახე ხელი. სასჯელის სახეებიდან მე ყველაზე იოლ სასჯელზე შევჩერდი. სასჯელი სხვადაა. ადამიანი, რომელსაც იმას შესთავაზებენ, რაც მე შენ შემოგთავაზებ, ან შემოთავაზებულს უნდა დაეთანხმოს, ან უნდა გაქრეს. ახლა რა ვქნათ? — მზერა გაუსწორა მაიორმა იბერს – არც შენ უნდა გათქვა ჩვენი აქ შეხვედრის, დღევანდელი შეხვედრის ამბავი და მეც უნდა გადავყლაპო ჩემი შეცდომა, უნდა დავდუმდე, ხმა არ უნდა ამოვიღო. იცოდე, თუ ეს ამბავი აქედან, ამ ოთახიდან გავიდა. მე შენი დასჯის უფლება ზნეობრივადაც მექნება.

- “ან იცის ანდა მიმხვდარია “დიდ საიდუმლოს” ან ეს არ იცის, მაგრამ მართლაც არ არის “საღლოფონი” – გაიფიქრა პატიმარმა. მისთვის მთლად ნათელი არ იყო მართლა სჯეროდა თუ არ სჯეროდა ზვიაგინცევეს ზღაპარი, გამონაგონი მითი და მარტო გონის მიერ შეთითხნილი ამბავი სამშობლოს დაღატის შესახებ.

მირიანი გადარჩა, მაგრამ ვარკუტას კოლონიის ის დღე სამუდამოდ დარჩა არა მარტო მის ცნობიერებაში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. როგორც მარადიული თანამდევნი, მოუშორებელი ამბავი. მაიორ ზვიაგინცევის სავარძლიდან წამოჭრით დაიწყო იმ დღეს კოლონიის უფროსთან შეხვედრა, ამიტომაც შეასრულა რუსთავში, ლაგერის თავკაცთან გამოძახებული იბერისათვის პოლკოვნიკ გაიოზ ზედგინიძის ფეხზე წამოდგომამ პირველი ბიძგის როლი. მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება, რაც პოლკოვნიკის მოძრაობას მოჰყვა, ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი, მაგრამ პირველი ბიძგის განცდა რეალური და ნამდვილი იყო.

დემეტრადე თავის საწერ მაგიდას გამოსცდა და ჩამოსასხმელად გამოწვდილი ხელით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მირიანისკენ: პოლკოვნიკმა ამ რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმისას ორჯერ ზედიზედ გაუსწორა მხერა პატიმარს. იბერმა ამ მხერაში დაინახა, ხელშესახებად იგრძნო კოლონიის უფროსის დაბნეულობა. თითქოს სხვას ელოდა, სხვა უნდა მოსულიყო, სხვა ჰყავდა გამოძახებული და კარი სხვამ შემოაღო, სხვა მოვიდა, კარის ზღურბლს სხვამ გადმოაბიჯა. პოლკოვნიკის გამოსხედა იმ ადამიანის გამოსხედავას ჰგავდა, რომელიც ვიდაცაის თუ რადაცის გავლენას თუ ზეწოლას განიცდის, წნეხის ქვეშაა, ამიტომ არ შეუძლია თვალი გაუსწოროს მის წინ მდგარ მავანს. გაიოზ დემეტრადის წამიერად დანახულ თვალებში ერთდროულად იყო შეკრთომაც, აფორიაქებაც, და შიშიც კი, შიშიც და კიდევ რაღაც, რომელსაც ზუსტი სახელი ვერ დაარქვა, ვერ მოუნახა, ვერ მოარგო იბერმა. კოლონიი უფროსის სავარძლიდან წამოდგომას მოყოლებული მოძრაობისას, პატიმრისკენ გადადგმული ნაბიჯებისას პოლკოვნიკის თვალებში ამოკითხულმა დაბნეულობამ მირიან იბერის ცნობიერებაში . . . ზვიაგინცევის ხატი შეცვალა მეორედ დაპატიმრებისას მისი გამოძიების ვლასი ხომერიკის სახემ და მის თვალებში ამოკითხულმა დაბნეულობამ.

1950 წლის სექტემბერში უკან დარჩა გაყინული ვარკუტა . . . თბილისური შემოდგომა ჩახახა მზით, ყვითლად აფერადებული ბაღებით, ღვინობისთვის განუმეორებელი სურნელით და ქუთაისიდან მის დასახვედრად ჩამოსული დალი ამაშუკელით შეგება მირიანს. დალი ამაშუკელი ისევ ის უსაზღვროდ შეყვარებული ქალიშვილი იყო ათიოდე წლის წინ უნივერსიტეტის ბაღში რომ დატოვა ჯარში გაწვეულმა მირიანმა, ოღონდ მის ღიმილსაც, მის თაფლისფერ თვალებსაც, მის სიხარულსაც მოუცილებლად ახლდა ის სევდა მირიანის გარეშე გატარებულმა წლებმა, მირიანის ხანგრძლივმა გადაკარგვამ და ბოლოს მირიანის ხუთწლიანმა სასჯელმა, ნატვრამ და მოლოდინმა რომ დაუტოვა ნიშატად. სევდა კრთებოდა შეხვედრებშიც და სიყვარულით გაოგნებულ მოფერებებშიც, კოცნაშიც და უიდუმალეს ჩურჩულშიც. ტიცინი მეორედ გადასახლებიდან ორი წლის დაბრუნებული დახვდა მირიანს. შემდეგი წლის ზაფხულში უკვე ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის სავლე წერეთლის მონდომებითა და თანადგომით ასპირანტურაში აღდგენის საბუთები ჩააბარა მირიანმა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და სწორედ ამ საბუთების ჩაბარებიდან ერთი თვის თავზე მირიანი ხელახლა დააპატიმრეს. აი, მაშინ 1951 წლის ოქტომბერში შეხვდა იბერი ვლასი ხომერიკს და ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ახალი გამოძიებელი ერთ თვეზე მეტ ხანს უკირკიტებდა მირიან იბერის პირად საქმეს. პოლიტპატიმრის საქმეში ყველა დოკუმენტი ძველი იყო, მარტო ორიოდ, საქმისათვის უმნიშვნელო გარემოებების შემცველი

ქაღალდისა, რომლებიც საგამომძიებლო ორგანოებმა, როგორც ჩანს მირიანის თავისუფლების ერთი წლის განმავლობაში მოიპოვეს. ძირითადი ბრალდებები და მათ დასამტკიცებლად მოტანილი არგუმენტები ძველი იყო, ვარკუტას ეპოპის წინადროინდელი, უკვე ათასგზის გარჩეული და გაანალიზებული, ათასგზის განხილული და გადაღებული. უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის დაწყებამდე სამი დღით ადრე მირიანი საგამომძიებლო იზოლაციორიდან კვლავ გამოიძახეს, მაღალ სართულებზე განლაგებულ გამომძიებელთა კაბინეტებამდე ააცილეს და ვლასი ხომერიკთან შეიყვანეს. გისოსებიანი ფანჯრების მიღმა დეკემბრის მინავლული მზე ენთო. ვარდისფრად შეღებილ კაბინეტში სამხედრო გამომძიებელი ფახზე იდგა, მარცხენა ხელით საწერ მაგიდას იყო დაყრდნობილი, მარჯვენა ხელში საბრალდებო დასკვნის რამდენიმე ფურცელი ეჭირა. შემოყვანილ პატიმარს მაკვიოდ, თითქოსდა საზეიმო ინტონაციითაც კი წაუკითხა საბრალდებო დასკვნა, დასკვნაში ძველი ბრალდება – სამშობლოს დალატი, ისევ წინანდელი არგუმენტებით იყო გამაგრებული. მირიანი ფეხზე იდგა და უაღრესად კონცენტრირებული ყურადღებით უსმენდა კაპიტანს. მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო. თითქოს ეს ყველაფერი გაჩენის დღიდან იცოდა, უხსოვარი დროიდან. კაპიტანი ახლა მხოლოდ იმ ძველსა და პატიმრისთვის კარგად ნაცნობ ამბებს იმეორებდა. “მირიან ტიცვიანის ძე იბერს, დაბადებულს ქ. ქუთაისში, 1918 წლის 15 სექტემბერს, ბრალად ედება სამშობლოს დალატი”. ეს უმძიმესი ბრალდება დასაბუთებული იყო იმით, რომ 1941 წლის ივნისში, ბელორუსიაში, იბერი ტყვედ ჩაბარდა მოწინააღმდეგეს, 1941 წლის აგვისტოში ჩაიცვა გერმანული ფორმა, 1942 წლის დეკემბერში აისხა გერმანული იარაღი, 1943-45 წლებში პერიოდულად ხვდებოდა საფრანგეთში გადახვეწილი საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დაკავშირებულ პირებს და ასრულებდა მათ დავალებებს. “რაიმეს თქმა ხომ არ გინდათ?” მაგიდაზე დალაგებულ ფურცლებს თვალი და ხელი ერთად მოაცილა ხომერიკმა. “მინდა, იმის თქმა, რაც ათასჯერ მითქვამს, თქვენთანაც და სხვებთანაც, მაგრამ ჩემ ნათქვამს არავინ არ ისმენს, არავის არ ესმის, არავის არ აქვს მისი შესმენის სურვილი. არც წინა გამომძიებელს, არც თქვენ არავითარი საბუთი არა გაქვთ, რომ თქვენს მიერ გამოგონებული ბრალდება, ან უფრო სწორედ, თქვენთვის ნაკარნახევი ბრალდება დასაბუთებულ, დამტკიცებულ და წყალგაუვალ ბრალდებად ჩავთვალოთ. ეს მხოლოდ თქვენი ან მხოლოდ თქვენი მოკარნახის ინტერპრეტაციაა, თქვენ კითხვას მისვამთ, ტყვედ რატომ ჩაბარდიო, ტყვედ კი არ ჩავბარდი, არამედ ტყვედ ჩამაგდეს. არის თუ არა ამ ორ სიტყვას შორის განსხვავება? განსხვავებაა და ამჟამად არ არის დრო საენათმეცნიერო გაკვეთილების ჩატარებისა. სწორია, რომ იმ მომენტში, როცა ტყვედ ჩამაგდეს არც დაჭრილი ვიყავი, არც კონტუზირებული და ამით არ აიხსნება ტყვედ ჩავდების ფაქტი. მაგრამ არ გინდათ გაიგოთ, რომ ბელორუსიაში, ჭაობში ჩაფლული გამოუცდელი კაცი, სამხედროწვრთნამიუდებელი ადამიანი, რომლის ცნობიერება, შეგრძნება, აზრი, ოცნება სასოწარკვეთამდე იყო მისული თუ სასოწარკვეთაში იყო ჩაფლული და ჩაძირული, სრულიად უძლური იყო ჭაობებს შემოხვეული, ჭაობებში შემოჭრილი გერმანელებისა და მათი ტექნიკის წინაშე. მე ყველაფერს სიზუსტით აღვწერ, არაფერს არ ვაფერადებ. ტყვედ ჩავარდნა თავისათავეად ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამშობლოს დალატს. თქვენ მე სამშობლოს დალატს მაბრალებთ, მაგრამ როცა პასუხის გაცემას ვიწყებ, პასუხის მოსმენა არ გსურთ, არ გინდათ არ გაწყობთ. მეკითხებით, რატომ ჩაიცვი გერმანული ფორმაო, მე გპასუხობთ და ალბათ ასევე პასუხობს ყველა, ვინც მაშინ ტყვედ იყო და გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში იყო შეყრილი. ყველა იქაური ნატყვევარი კაცი ერთსა და იმავეს გეუბნებით, ერთსა და იმავეს იმეორებს და ამტკიცებს. ერთი თვე მოუნდა ბელორუსიის ჭაობებიდან ჩვენს ჩაყვანას დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთის საზღვართან.

ტყვეები ეშალონიდან ჩამოგვრეკეს და ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და მოლაპარაკების გარეშე აბანოში მიგვრეკეს. ჩვენს მაშინდელ ტანსაცმელს, საბჭოთა ჯარისკაცის ფორმას, მხოლოდ სიმბოლურად თუ წარმოვიდგენდით ტანსაცმლად. ნაჭაობარი ტანისამოსისაგან მხოლოდ ნაფლეტები დარჩა. ჩვენ ყველას ძონძები გვემოსა, ძონძები, არა მაცალეთ – ვლასი ხომერიკის ხელის მოძრაობას ამ პროტესტით შეეგება მირიანი – მკითხეთ, რაიმეს თქმა ხომ არ გინდათო, მკითხეთ და ახლა მომისმინეთ, ოდესმე ხომ უნდა ვთქვა, ვინმესთან ხომ უნდა ვთქვა, გთხოვთ, მათქმევინეთ, იმასაც გთხოვთ, რომ მომისმინოთ, ჰო, ჩვენ ყველას ძონძები გვეცვა, ჭუჭყიანი ეშალონით თითქმის ერთოვიანი ყანყალის შემდეგ ტილებით გამოტენილი ძონძები. თვეზე მეტი ვაგონში ვცხოვრობდით, წვირიან ვაგონში, ეს იყო აუტანელ ბუნაგში ცხოვრება. ეს ძონძები აბანოში შესვლისთანავე ფოიეში, ცემენტის იატაკზე დავეარეთ. ტანის დაბანისა და დასუფთავების შემდეგ გერმანელებმა გამოგვიცხადეს, ყველას, ყველა ტყვეს გამოგვიცხადეს:

თქვენი ტანსაცმელი დასაწვავად წაიდეს, დეზინფექციისთვის კი არა, დასაწვავადო, ზუსტად ასე გამოაცხადეს, გერმანელმა ეფრეიტორმა, რომელმაც ძონძების ბედის შესახებ გვამცნო, ისიც გვაუწყა, ახლა მარჯვენა კარით სათითაოდ გახვალთ მეზობელ დარბაზში, იქ დაგხედებათ ახალი ტანსაცმელი და ჩაიცვამთო. ჩვენთვის არავის უკითხავს, გვინდოდა თუ არა ახალი ტანსაცმლის ჩაცმა, არავინ არ შეგეთანხმებია, არავის არ დაგუყენებიათ არჩევანის წინაშე, არავის არ აინტერესებდა ჩვენი აზრი. დედიშობილა ვიყავით და გეთავაზობდნენ თუ გვიბრძანებდნენ მათი ფორმის ჩაცმას. თქვენ რას იზამდით? თქვენ როგორ მოიქცეოდით? ტიტვლად დარჩენას ამჯობინებდით თუ შემოთავაზებული გერმანული ფორმის ჩაცმას? აბანოს ფოიეში ჩამწკრივებული საბჭოთა ჯარისკაცებიდან არცერთი, მე მტკიცედ მწამს, რომ არცერთი არ მდგარა დიღემის წინაშე. არც ერთს არ უყრია კენჭი. საერთოდ არ მდგარა ჩვენს წინაშე არჩევანის პრობლემა. ჩვენ ყველამ, სათითაოდ, მაგრამ ყველამ ჩავიცვიოთ ის ფორმა. ვიმეორებ: არ ყოფილა განსჯა და კამათი, არ ყოფილა აზრთა გაზიარება და შეთანხმება. ჩავიცვიოთ, მოვირგეთ და იმ ფორმებით გამოვედით აბანოს წინ, მცირე მოედანზე. მაგრამ არის თუ არა და რატომ არის ეს დალატი. გარმოებამ გვაიძულა და აქ დალატს ვერ ვხედავ. უნდა გავიგოთ თუ არა ეს, უნდა ჩავწვდეთ თუ არა შექმნილ ვითარებას, ადამიანურად უნდა გაშიფროთ თუ არა ჩვენი მაშინდელი ფიქრი? დამისახელეთ კაცი, პიროვნება, ჯარისკაცი, ოფიცერი, გენერალი, რომელიც სხვაგვარად მოიქცეოდა, რომელიც იმ მომენტში გერმანულ ფორმას არ ჩაიცვამდა, რომელიც საგანგებოდ ატეხდა შფოთს, გამოთქვამდა პროტესტს და შუბლს შეუშერდა გერმანულ ტყვიას? შეგიზღიათ ასეთი ვინმეს დასახელება? მაშ, ჩვენს წინააღმდეგ არც ეს მეორე არგუმენტი არ მუშაობს, - არ გაწყვეტინებ – მირიანისკენ რამდენიმე ბიჯი გადადგა ვლასი ხომერიკმა – გისმენ, მაგრამ ამდენ ხანს ფეხზე დგომა შემაწუხებელია. ჩამოვჯდები და ისე მოვისმენ – მირიანმა თავი დაუქნია, დაეთანხმა და განაგრძო – მეკითხებით: რატომ ავისხით გერმანული იარაღი. ეს შეკითხვა აბსტრაქტულია. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, მე ფილოსოფოსი ვარ და ყველა მსჯელობაში გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილი, დრო, პირობები. თქვენს შეკითხვაში არ არის გათვალისწინებული არც ადგილი, არც პირობები. არავინ არ უღრმავდება იმ მიზეზს, რამაც გერმანული იარაღი აგვადებინდა ხელთ, ვის წინააღმდეგ უნდა მიგვემართა ავტომატები. ხუთი წლის წინ ყბა ამოვიგდეთ ამაზე ლაპარაკით, მაგრამ ჩვენს მიერ მონათხრობი არავინ გაითვალისწინა. ახლაც რამენჯერმე ვცადე ამ ჩახლართულ საქმეში პროკურატურის გარკვევა. ისევ ამაო გარჯაა. იცით თუ არა თქვენ, რომ 1944 წლის დადგომისთანავე მთელი ჩვენი საკონცენტრაციო ბანაკი გერმანელებმა საფრანგეთში კერძოდ, მარსელში გადაიტანეს თუ გადაიყვანეს. ჩვენი ახალი ლაგერიდან ყოველ დღე თითქმის ტყვეთა მთელი

შემადგენლობა მარსელის ნავსადგურში მიყვავდით და იქ, გემების გადმოტვირთვაზე გვამუშავებდნენ. დამტყვევებლები ტყვეებს ამუშავებდნენ თავიანთი შეხედულებისა და საჭიროების მიხედვით. გერმანელებმა ჩათვალეს, რომ მარსელის პორტიდან ჩვენი გაქცევა უაზრო და უმიზნო იყო, მარსელის პორტში დაგროვილ უამრავ ტვირთს, რომელთა შორის უთვალავი იყო სურსათით დატვირთული კონტეინერები, დაცვა, მითუმეტეს ღამით, უსათუოდ სჭირდებოდა. მარსელის პორტს თავს ესხმოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე წინააღმდეგობის მოძრაობაც. მათ სურსათი სჭირდებოდათ და ეს სურსათი აქ იყო, მარსელის ნავსადგურში. გერმანელებმ დაიწყეს ჩვენი გამოყენება ღმამის მცველებად. მორიგეობით, ან დღე გვამუშავებდნენ პორტში შემოსული გემების გადმოტვირთვაზე, ან ღამით გვეტოვებდნენ გადმოტვირთული კონტეინერების მცველებდ. არა, არა, ერთი-ორი წუთი კიდევ მაცალეთ, თორემ რაღაცას აზრგადასულს ჩავიდენ – ვლასი ხომერიკის უესტის საპასუხოდ წამოიძახა მირიანმა. მირიანის ხმა უჩვეულოდ, მისთვისაც უჩვეულოდ შემტევი იყო. – მერე გერმანელებს ვიღაცამ ჩააგონა თუ მიახვედრა, რომ უიარაღო ტყვეებს ნავსადგურის დაცვა არ შეეძლოთ, თავდამსხმელებს ისინი ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, ამიტომაც საჭირო გახდა ტყვეების გარკვეულად მაინც შეიარაღება, მათ რამდენიმე თოფი და ავტომატი მაინც უნდა ჰქონოდათ. შეარჩიეს უაღრესად მოწესრიგებული, და არა, როგორც თქვენ ამბობთ, გერმანელთა ერთგული ტყვეები და მათ იარაღი ჩამოურიგეს, მაგრამ, იცით რა იარაღი? თქვენ სულ გერმანული იარაღის გამო გვიკვირებთ, სინამდვილეში კი ჩამორიგებული იარაღი გერმანული კი არ იყო, არამედ რუსული, რუსული ნაალაფარი თოფები და ავტომატები. ესეც სავსებით გასაგებია, რადგანაც ნაცნობი თუ ნაჩვევი იარაღის მოხმარება უფრო ადვილია. არ ვფარავ, მეც მივიღე გერმანელებისაგან იარაღი, მაგრამ ამიხსენით, გამაგებინეთ, დამანახეთ სად არის აქ სამშობლოს დალატი? უაზროდ მომეკლა თავი? უაზროდ შევბმოდი მტერს? ჩვენ იმ იარაღიდან მათ სასარგებლოდ არასოდეს არ გვისვრია. საქმე სულ სხვა მიმართულებით განვითარდა. ჩვენ ერთმანეთში შევითქვით, ის იარაღი გამოვიყენეთ და წინააღმდეგობის მოძრაობას შევუერთდით, ფრანგ პარტიზანებთან მივედით, მათთან ერთად ვიბრძოლეთ და გერმანელების მიერ ჩამორიგებული იარაღი თვითონ გერმანელებს დავუმიზნეთ, მათ წინააღმდეგ მივმართეთ. თუ თქვენ დაასაბუთებთ, რომ საფრანგეთში ქართველი ტყვეებიდან რომელიმე ერთმა გერმანული იარაღი, ე.ი. გერმანელების მიერ მოცემული იარაღი გერმანული საქმისათვის გამოიყენა, მე ხელებს მაღლა ვწევ და გნებდებით. უნდა მაცალო და ბოლომდე მივალ, ორიოდე წუთიც და დავასრულებ. მეკითხებით: რატომ ვხვდებოდი ქართულ ემიგრანტებს? არ ვმაღავ, ვხვდებოდი, მაგრამ გაჩნია ვის და გააჩნია რატომ? ეს თუ არ გირკვა, თავისთავად ვინმესთან შეხვედრა ადამიანური ქმედებაა და იგი არ შეიძლება ყოველ შემთხვევაში სააუგოდ ჩავთვალოთ. არ დამიმაღლავს, ვხვდებოდი ექვთიმე თაყაიშვილს და მის გარემოცვას. არავითარი სხვა საუბარი, რაც საქართველოდან წადებულ საგანძურს არ ეხებოდა, არც ბატონ ექვთიმესთანაც არ მქონია არასდროს. ბატონმა ექვთიმემ საფრანგეთში ყოფნის ბოლო თვეებში თავის დაცვაშიც ამიყვანა და 1944 წლის აპრილში, როცა იგი საფრანგეთიდან საქართველოსკენ გამოფრინდა მის გამცილებელთა შორის მეც ვიყავი. ეს არაერთხელ ვთქვი, ბატონ ექვთიმესთან შეხვედრისა და მასთან ურთიერთობის მთელი ისტორია არაერთხელ დაწვრილებით მოვყევი, მაგრამ ვინ მისმენს, ვის უნდა ამ ამბის გაგება და შესმენა. სად, სად არის აქ ამ ამბავში სამშობლოს დალატი. ეს ბრალდება ხომ დიდ ექვთიმესაც სცხებს ჩირქს. თქვენს მიერ არგუმენტებად მოტანილ არცერთ ფაქტში არ სჩანს სამშობლოს დალატი, სხვა ფაქტებს ვერც თქვენ ასახელებთ. მეც და ჩემი მეგობრებიც გარემოებამ გვაიძულა ასე და სწორედ ასე გვემოქმედა, ასე და სწორედ ასე მოვქცეულიყავით, დავარღვიეთ რამე საბჭოთა ჯარისკაცის

განაწესში? ერთი წუთით, დაგუშვათ, რომ მოვალეობის რაღაც დარღვევას ჩვენც ვერ ავცდით. მაგრამ ხომ დავისაჯეთ, ხომვიყავით გადასახლებულნი, ხომ გავიტანჯეთ ვორკუტას ბანაკში? ახლა მეორედ გვსჯით? რისთვის, ახალი საბუთები რომ არ აღმოჩენილა? თქვენი საბუთები ილუზორული საბუთებია. მე თქვენი არგუმენტების მთელი სისტემა დავარღვიე, ახლა საკითხავია: ვინაა დამნაშავე, ჩვენ, მე და ჩემი იარაღის მეგობრები, რომლებიც ფაშისტებს გავექვევით და დიდხანს გენერალ დე გოლის წინააღმდეგობის მოძრაობაში ვიბრძოდით, თქვენს წინაშე, თუ თქვენ ჩვენს წინაშე. თქვენ კანონის ძალით და სახელით უკანონოდ გვექცევით. დაგვისაბუთეთ რამე? არაფერი, სრულიად არაფერი. ამიტომ, ნამდვილ დანაშავეს ჩემს წინ ვხედავ და არა ჩემში. თქვენ ამაზე ვერაფერს ვერ მიპასუხებთ”. მთელი იმ დროის მანძილზე, რაც მირიანმა ამ ტირადის წარმოთქმას მოანდომა, ლაპარაკის პარალელურად ფიქრობდა: “რომ არ ვთქვა არ შემძლია, ვიცი რაც მომელის, მაგრამ სხვაგვარად მაინც არ შემძლია.” ეს აზრი რამდენჯერმე განმეორდა ფიქრში. მირიანმა დაამთავრა “რაიმეს თქმა”, წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი, ძალიან ახლოს მივიდა ვლასი ხომერიკთან, უნდოდა კიდევ ერთხელ ეთქვა “თქვენ ნამდვილად არ გექნებათ ჩემს ბრალდებაზე პასუხი, უნდოდა ეთქვა და უცებ შედგა, კაპიტნის თვალებში შიში კრთოდა, შიში, დაბნეულობა და თავზარდაცემა.

რუსთავის კოლონიის უფროსის თვალებში, როცა დემეტრადემ გამოწვდილი ხელით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მირიანისკენ, იბერმა იგივე შიში ამოიკითხა, შიში და დაბნეულობა, რაც ოდესღაც გაკრთა ქუთაისელი გამომძიებლის მხერაში. გაიოზ დემეტრადის გამოსხედვაში შიშისა და დაბნეულობის გარდა იყო რაღაც, რომელსაც ვერც მაშინ და ვერც შემდეგ სახელი ვერ დაარქვა პატიმარმა. შიშითა და დაბნეულობით საესე თვალებმა დაბადეს მეორე ბიძგი, რომელიც მძიმე და უსიამო შთაბეჭდილებას დაედვა საფუძვლად.

მესამე ბიძგი პოლკოვნიკის მიერ შესრულებული მოძრაობის ბოლო მომენტში, ხელის ჩამორთმევისას იგრძნო მირიანმა. კოლონიის უფროსმა ხელის ჩამორთმევისას თავდახრილმა გაუღიმა პატიმარს. მესამე ბიძგი სწორედ ეს ღიმილი იყო, ნაგვიანევი ღიმილი. ღიმილი არც სავარძლიდან წამოდგომისას, არც მაგიდიდან პოლიტპატიმრამდე გადმოდგმული ნაბიჯებისას ღიმილი არ გამოხატულა პოლკოვნიკის სახეზე. იგი სულ ბოლოს გაჩნდა, სწორედ უადგილოდ და სწორედ უაზროდ. ეს ღიმილი, სრულიად არაფრის გამომხატველი, სრულიად ზედმეტი, გაურკვეველი და გაუგებარი იყო. თვალებში ჩამდგარი შიში და დაბნეულობა ვერაფრით ვერ ამართლებდა მოძრაობის ბოლო მომენტში, ხელის ჩამორთმევისას სახეზე გამოხატულ ღიმილს. ეს ღიმილი უფრო “გონებრივი სიბეცის” გამოხატულება იყო, ვიდრე პატიმართან გულითადი შეხვედრისა. “დანტეს კომენტატორი” გაუელვა მესამე ბიძგის განცდისას მირიანს ცნობიერებაში. მირიანი “დანტეს კომენტატორს” ეძახდა დაცინვით ყველას, რომელთა მოქმედებებსაც გონებრივი შეზღუდულობის დაღი აჩნდა. პოლკოვნიკის ამ ერთმა, მაგრამ შინაგანად დანაწევრებულმა მთლიანმა და დასრულებულმა მოძრაობამ – სავარძლიდან წამოდგომამ, საწერი მაგიდიდან პატიმრისკენ გამოწვდილი მარჯვენით და დაბნეული, იბერის თველებს ორჯერ არიდებული მხერით გადმოადგილებამ და ნაგვიანევი ღიმილით ხელის ჩამორთმევამ შვა ის მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება, რომელიც პოლკოვნიკთან მთელი საუბრის მანძილზე არ განელვებია მირიანს.

პოლკოვნიკის ხელი დონდლო და ოფლიანი იყო.

კოლონიის უფროსი საწერ მაგიდას მიუბრუნდა.

მირიანმა მხერა გააყოლა მის ზურგს, მერე საწერ მაგიდასაც მოავლო თვალი.

საწერ მაგიდაზე ობერის პირადი საქმე იდო.

-თქვენ ქუთაისელი ხართ, არა? – თითქოს რაღაც სხვა სათქმელი უკუაგდო, ისე დასვა პოლკოვნიკმა პირველი კითხვა, პატიმრის საქალაქდეს ხელი დაადო და დაჯდა, პასუხს არ დალოდებია, განაგრძო – თქვენი გვარი ძალზე იშვიათია, თითქმის არ გვხვდება, უფრო სწორედ მე არ შევხვედრივარ, ჩემს საქმიანობაში საერთოდ არ შევხვედრივარ ამ გვარს – მირიანს მოეჩვენა, რომ სიტყვები “არ შევხვედრივარ” შესამჩნევი წაბიძგებით თქვა კოლონიის უფროსმა, მერე კი, წამის შემდეგ, დაამატა – არა, მხოლოდ პირად შეხვედრასა და კონტაქტებს არ ვგულისხმობ, არც გამიგია ასეთი გვარის არსებობა- შემდეგ მოულოდნელად მიატოვა საუბრის აღებული გეზი და იკითხა: -სად დაგატყვევეს? დაჯექით, დაჯექით – აქამდე ფეხზე მდგარ მირიანს სკამზე მიანიშნა, მერე თითქოს წინა შეკითხვები არ მიეცეს, ახალი კითხვა დასვა - ქუთაისში ახლობლები ვინ გყავთ?

მირიან იბერი, რომელმაც საფრანგეთიდან საბჭოეთში მობრუნების შემდეგ სამართალდამცველი ორგანოების მუშაობთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება დააგროვა, იოლად მიხვდა, რომ პოლკოვნიკის მიერ დასმული კითხვების ბუდეში, თუ გროვაში, მთავარი კითხვა სწორედ ბოლო კითხვა იყო. შეკითხვების დასმის უფლების მქონე პიროვნება თუ წინა კითხვების პასუხს არ ელოდება და ისე სვამს ახალ შეკითხვას, უეჭველად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ახალი და ბოლო შეკითხვა მთავარია ან შეკითხვების დამსმელისათვის ყველაზე მეტად სინტერესოა.

- არავინ! – მირიანი დაჯდა – მშობლები ჩემი მეორედ დაპატიმრების შემდეგ გარდაიცვალნენ. ჩემი ოჯახი სამი წევრისგან შედგებოდა: დედა, მამა და მე. ახლა მარტო მე ვარ.

- გასაგებია! – ლაგერის უფროსმა მირიანის პირადი საქმე გადაშალა, რამდენიმე გვერდი ზედიზედ გადაფურცლა, მერე თავი ასწია, მირიანს პირდაპირ შეხედა და ჰკითხა: - ახლა ქუთაისში სულ არავინ გყავთ?

- ჩემი ოჯახიდან არავინ, ისე, გამზრდელი მამიდა და მისი მეუღლე ქუთაისში ცხოვრობენ, ბევრი ახალი ნათესავიც და მეგობარიც – მირიანი დადუმდა. მას შეეძლო უფრო დაწვრილებით ელაპარაკა ქუთაისელ ახლობელ ადამიანთა შესახებ, მაგრამ ვერ გაერკვა, რატომ შეაბიჯა ამ ლაბირინთში პოლკოვნიკმა, რატომ იყო კოლონიის უფროსისთვის საინტერესო თუ ვინ და რა მოლოდინით ელოდა იბერს ქუთაისში. კოლონიის უფროსს არავითარი საბაბი არ მოუცია და თვითონაც არ ჩათვალა საჭიროდ დალი ამაშუკელის ხსენება. წედან, როცა ეს ბოლო კითხვა დასვა პოლკოვნიკმა, იბერს სული შეეხუთა. პირველი ვინც გაიელვა იბერის ცნობიერებაში სწორედ მზისფერთმიანი ქალიშვილი იყო. ნამდვილი მოლოდინით სწორედ იგი ელოდა მირიანს მთელ გარესამყაროში. “ქუთაისელ ახლობლებზე თუ იმიტომ მეკითხება, რომ დალის გულისხმობს, თვითონ დამისვამს მის შესახებ კითხვას – გააგრძელა ფიქრში მირიანმა – თუ დალის შესახებ ისეთი რამ იცის, რაც მე არ ვიცი, ვერ მოითმენს, მაინც იტყვის. – მერე ფიქრში, ჩაეცინა – ახლა მე ვმსჯელობ ნამდვილი “დანტეს კომენტატორივით”, საიდან უნდა იცოდეს კოლონიის უფროსმა დალი ამაშუკელი ან მისი მოულოდნელად გადაკარგვის ამბავი?” პაუზა გახანგრძლივდა, პოლკოვნიკი თითქოს რაღაცას კიდევ ელოდა.

- რატომ მკითხეთ, ჩემი ახლობლებიდან ხომ არავინ შეაწუხა სამართალდამცავი ან ზემდგარი ორგანოები ჩემს გამო? – თავისი პასუხი კითხვით დაასრულა მირიანმა.

- არა, არავინ! ყოველ შემთხვევაში ეს ჩემთვის ცნობილი არ არის. ეს ისე ვიკითხე. მე დიდხანს ვმუშაობდი ქუთაისში, როცა თქვენს პირად საქმეს ჩავხედე და თქვენი ქუთაისელების შესახებ შევიტყვე, უფრო დაწვრილებით მომინდა გამეცნო თქვენი ქუთაისური წრე. ჩემი ნაცნობთაგანი ხომ არ აღმოჩნდებოდა ვინმე ამ წრეში. სხვა არაფერი. – მერე კი საუბარმა სულ სხვა მიმართულება მიიღო.

- აქ, ლაგერში ხომ არ ემდურით რაიმეს ან ვინმეს?
- არა, არავის და არაფერს.
- კარგია, თქვენ თავისუფალი ხართ. – “დანტეს კომენტარი”

ისევ წამოიწია სავარძლიდან, წამოდგა, ოღონდ ამჯერად ადგილიდან აღარ დაძრულა. – თუ რაიმე დაგჭირდეთ და ჩემი ჩარევა გახდეს საჭირო, არ მოგერიდოთ, შემაწუხეთ, - მერე, როცა იბერი კარისკენ შებრუნდა, პოლკოვნიკმა ისევ გაუმეორა – არ მოგერიდოთ!

აუდიენცია ამით დამთავრდა.

მირიანს იმ პირველი შეხვედრიდან წამოყოლილი მძიმე და უსიამო შთაბეჭდილება დღემდე ცხოვლად გამოჰყვა. ახლაც ამ წუთშიაც, პოლკოვნიკთან გუშინდელი შეხვედრისა და საუბრის შემდეგაც “დანტეს კომენტართან” პირველი შეხვედრის შთაბეჭდილება ისევ გაუნელებლად უღრღნიდა და უბურღავდა ცნობიერებას.

პოლკოვნიკთან გუშინდელი შეხვედრა პატიმრის მოთხოვნით შედგა . . .

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყრუდ დაირხა ხმა პოლიტპატიმართა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. დარხეული ხმა არ გამართლდა, მაგრამ ჭორი ზღაპრული დევივით იყო, მას თავს კვეთდნენ, მაგრამ ისევ და ხელახლა ცოცხლდებოდა. დრო და დრო მეტი საბუთიანობით, უფრო დამაჯერებელი არგუმენტებითა და ახალი მოტივაციით მეორდებოდა. პოლიტპატიმართა ცნობიერებაში ათასგვარ კითხვად და მათზე ასევე ათასგვარ შესაძლებელ, ალბათურ, საჭოჭმანო და სათუო პასუხებად მობოროილე ტყუილ-მართალი დრო და დრო გაცრუებულ იმედებთან ერთად იფერფლებოდა, რათა, შემდგომ, კვლავაც აღორძინებული იმედიდან ხელახლა ამოტყორცნილიყო და გაეშალა ფრთები. აგორებულ, ფრთასხმულ თუ მობოროილე ტყუილ-მართალს მირიან იბერი ურწმუნოდ ხვდებოდა და ღამეული ფიქრისა და ფიქრი-განსჯის საგნად არ იხდიდა. პოლიტპატიმართა განთავისუფლების საკითხს იგი მეტაფიზიკურ, გადაუწყვეტელ პრობლემათა სფეროს მიაკუთვნებდა. ამ საკითხებზე მსჯელობა და მოსაზრებათა გაზიარება მირიანს ერთგვარად დასაშვებად მიაჩნდა, მაგრამ მათი გადაწყვეტა უპერსპექტივოდ ჰქონდა წარმოდგენილი. საბჭოთა ქვეყანაში პოლიტიკური ბრალდებით, მით უმეტეს სამშობლოს დაღატის ბრალდებით დაპატიმრებულთა განთავისუფლება იბერისათვის ილუზიების სამყაროში რეალური ქვეყნის აღმოჩენის ტოლფასი იყო. მირიანს არ სწამდა პოლიტპატიმართა განთავისუფლებისა. საკუთარმა ბიოგრაფიამ, წუთისოფლის მიერ მისთვის გამეტებულმა ხვედრმა და გამოვლილმა გზამ ურწმუნოება მირიანის განუყრელ, უმტკიცეს, არსებით და შინაგან თვისებად აქცია. იბერს სხვათა და მისი საკუთარი გამოცდილება კარნახობდა, რომ პოლიტიკურ პატიმართა შესახებ საბჭოთა მთავრობის არცერთი დაპირება არ დაეჯერებინა. თავისი საკუთარი გამოცდილების ფონზე სხვათა გამოცდილება სრულიად ზედმეტი და არაარსებითი ჩანდა, ფსიქოლოგიურად სრულიად ზედმეტი და არაარსებითი. ურწმუნოება, რომელიც მირიანის პირადმა გამოცდილებამ შვა და დაბადა, ჩამოაყალიბა და ცნობიერების განუყრელ ნაწილად, შტრიხად თუ მომენტად აქცია, ლოგიკურად საკმაო საფუძვლის კანონის როლს ასრულებდა ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე პოლიტიკურ პატიმართა საქმეებზე მთავრობის დანაპირების დაჯერებასა თუ არდაჯერებას შეეხებოდა. მირიანს პოლიტპატიმრების განთავისუფლების შესახებ დარხეული ხმებისა არა სჯეროდა, არ სწამდა, რადგანაც თვითონ იყო მომსწრე იმ დაპირებებისა, რომელიც საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართულ საბჭოთა ჯარისკაცებს, ან უკვე პარტიზანებს სამშობლოში და ოჯახებში დაბრუნებას აღუთქვამდა, მაგრამ ბრესტში ჩამოღწეული ეშალონების ბინადრებს ოჯახების ნაცვლად ყოფილ სამხედრო ტყვეთა ვორკუტის ბანაკში ამოაყოფინეს თავი. ამომენებული რწმენა ისე ჩაიშალა, რომ მისი აღდგენა ყველა იმედგაცრუებულს შეუძლებლად მიაჩნდა.

მირიან იბერს ჭორ-მართლად მობორიალე ხმებისა არ სჯეროდა, რადგანაც თვითონ იყო თვითმხილველი და გადამტანი იმისა, თუ როგორ შეაბრუნა მართლმსაჯულებამ საქმე და საბჭოთა მეომრების მიერ საფრანგეთში გერმანელთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად ჩაუთვალა. რწმენის აღდგენა ახლა მართლაც შეუძლებელი იყო. მირიან იბერს არ სჯეროდა და ვერც დაიჯერებდა სტალინის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ გავრცელებულ ხმებს, რადგანაც თვითონაც იმ ადამიანთა შორის იყო, რომელმაც 1950 წლის შემოდგომაზე ხუთწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ გაანთავისუფლეს, ვორკუტიდან დიდი ზარზეიმით და მარშით გამოისტუმრეს, მაგრამ 1951 წლის ოქტომბერში ხელახლა დააპატიმრეს და ძველ გარემოებებზე ახალ გარემოებათა დამატების გარეშე ხელახლა მიუსაჯეს პატიმრობა, მხოლოდ ახლა სასჯელი გაუხუთმაგეს და წინა დაპატიმრებისას მისჯილი ხუთი წელი ოცდახუთ წლად უქციეს, უნდობლობა და ურწმუნობა, რითაც მირიან იბერი პოლიტპატიმართა მოსალოდნელი განთავისუფლების ხმებს შეხვდა, მარტოდენ ყოფილი საბჭოთა მეომრის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე არ იყო დამყარებული. რასაკვირველია, პირადი გამოცდილებაც ძალიან დიდი მნიშვნელობისა იყო, მაგრამ მირიანი გარკვეულ თეორიულ საბუთსაც ეყრდნობოდა. ყველაზე ლაკონურად და ნათლად ეს საბუთი შეიძლება ასე გამოთქმულიყო: პოლიტპატიმართა უსამართლოდ დასჯა ეს საბჭოთა სახელმწიფოს “დიდი საიდუმლო” იყო. სახელმწიფო არაფრით არ დაუშვებდა ამ “დიდი საიდუმლოს” საქვეყნოდ გამოაშკარავებას, რაც პოლიტპატიმართა განთავისუფლების შემთხვევაში გარდუვალი იყო. ხელისუფლება ამაზე არაფრით არ წავიდიოდა, ამიტომაც პოლიტპატიმართა ომისშემდგომი თაობა, რომელშიც აბსოლუტურ უმრავლესობას ყოფილი სამხედროები შეადგენდნენ, განწირული თაობის იყო. ეს არგუმენტი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ბუნებას, მისი არსებისა და მთელი ისტორიის ცოდნას ემყარებოდა, მირიანისათვის, და ალბათ, მთელი მისი თაობისათვის გადაუღალახავ, დაუძლეველ და დაურღვეველ არგუმენტს წარმოადგენდა.

“დიდი საიდუმლო”.

“დიდი საიდუმლოს” ცნება ჯერ კდევ მირიანის ადრეულ სიჭაბუკეში, ტიცციან იბერმა შეიტანა, მის ცნობიერებაში, ხოლო შემდგომში, მეორედ დაპატიმრებისას მირიანის გამომძიებელმა, ვლასი ხომერიკმა მიუთითა ამ თეორიული არგუმენტის უძლეველობაზე.

ტიციანის საუბარი “დიდ საიდუმლოზე” მირიანისათვის გარკვეული დასასრული, ეპილოგი და დაბოლოება იყო იმ სასოწარკვეთილი დღეების დიდი ციკლისა, რომელიც 1924 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და რომელიც თავის თავში იტევდა გრძელ, ძალზე გრძელ, უადრესად ზოზინითა და აუჩქარებლად ჩავლილ, რაც მთავარია, მოლოდინში ჩავლილ ათ წელს.

ათი წლის წინ კი

მირიან იბერის ცხოვრების ის ეპიზოდი, რომელმაც ექვსი წლის ბავშვის ჯერაც უმწიფარი ცნობიერება მთლიანად შეძრა, ერთიანად ააფორიაქა და შეარყია და რომელმაც პირველად ააფეთქა მანამდე საოცრად მშვიდი, ჯადოსნური ფერებით მოხატული, უცნაური ანდამატის მქონე საგებით გაჯერებული, უსაყვარლესი ადამიანებით დასახლებული და მისდამი უადრესად კეთილგანწყობილი სამყარო, ქუთაისში მოხდა. 1924 წლის სექტემბრის პირველ დამით, გაბაშვილების გორაზე, დათეშიძეების განთქმული მამულის შემოგარენში, ქვედა სააგურების მეზობლად მდებარე იბერების ერთსართულიან, შუშაბანდიან სახლში.

ის სახლი, სადაც მირიანი დაიბადა და დედამისის დეიდის, მთელ ქალაქში ცნობილი ბებია-ქალის ეკატერინე მირიანაშვილის ლოცვა-კურთხევით მოეველინა ქვეყანას, სახლი, რომლის კედლებთან, ცისფრად შეღებილ შუშაბანდთან და ხეხილიან ეზოსთან იყო დაკავშირებული მირიანის

პირველი შთაბეჭდილებანი და წარმოსახვები, მისი სამყაროს პირველი ფერები და ხმები, საგნებისა და მოვლენების პირველი აღქმა, ბუნების სილამაზისა და მშვენიერების პირველი წარუშლელი განცდა, სინამდვილესთან საკუთარი კავშირების პირველი მიგნება და გააზრება, და ბოლოს, სადაც განხორციელდა რეალობის პირველი აფეთქება, გადასხვაფერება და შეცვლა, ეს სახელი და მისი მიმდებარე არცთუ ვრცელი ეზო XIX საუკუნის დასასრულს ლეჩხუმიდან, სოფელ ლეხიდრისთავიდან ქუთაისში ჩამოსულმა აზნაურმა ივანე დარახველიძემ იყიდა ვიღაც ბერძნისაგან. ივანემ სულ რამდენიმე წელიწადში მოუვლელი, გახრიოკებული და გავერანებული ეზო ტერასებად დაყოფილ სამოთხის ბაღად აქცია. შემდგომში დარახველიძის ქვრივმა, ულამაზესმა, გონიერმა, წიგნიერმა და უკიდურესად ამაყმა ქალბატონმა იულია ლორთქიფანიძემ სახლი და უხვვარჯიანი კაკლებით, ბროწეულებით, ალუბლისა და ლეღვის ხეებით დახუნძლული ეზო უფროს ქალიშვილს ოლღას არგუნა მზითევად და სოფელ საქთლას მკვიდრი, უმშვენიერესი და უჭკვიანესი ჭაბუკი დიმიტრი იბერი ჩამოისიდა. 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა ქვეყანა ერთხელ კიდევ აფორიაქდა, აირია და აიშალა, დიმიტრი და ოლღა იბერები მთელი თავიანთი მრავალრიცხოვანი სახლეულითურთ ქუთაისიდან საჭილაოში, იბერების ძველთაძველ მამულში გადასახლდნენ. გაბაშვილის გორაზე მდებარე შუშაბანდიან სახლში დიმიტრის უფროსი ვაჟი ტიციანი და მისი ოჯახი დარჩა.

მირიანს იმ დამის, მისი სამყაროს იმ პირველი დაქცევის, დანგრევის, დამსობის თუ მთლიანი, გლობალური აფეთქების დამის ყველა დეტალი, ყველა ნიუანსი, გარემომცველ სინამდვილეში საგნების აფეთქებამდელი თუ აფეთქების შემდგომი განლაგება, სასოწარკვეთის წუთებში მასთან კონტაქტში მყოფი ადამიანების ყოველი ქესტი, რეპლიკა, მოძრაობა და ნათქვამი სიტყვა, უაღრესი სიზუსტით ჩარჩა მეხსიერებაში. ბავშვის ცნობიერებამ ყველაფერი ისე და იმგვარი თანმიმდევრობით შემოინახა, როგორც იყო და მოხდა. ეს სექტემბრის იმ დამისა და მეორე დღის უაღრესად ნათელი, მკაფიო, ადვილად აღსაქმელი კონტრასტებითა და, ამასთანავე, განცდის სიღრმით, სიმწვავეთ, გაუსაძლისი ტკივილებითა და იმ ღამინდელი შთაბეჭდილებების მნიშვნელობით იყო განპირობებული. იმ ღამინდელი ხდომილებების შემდგომი გახსენებები მოგონებები და წარმოსახვები იმ ღამინდელ განცდებს, დეტალებს და ნიუანსებს ვერაფერს ვერ უმატებდნენ. თვითონ ეს დეტალები და ნიუანსები გამძაფრებისათვის არაფრის დამატებას არ საჭიროებდნენ. შემდგომში, როცა წლების კვალდაკვალ წარმოსახვასთან ერთად მირიანმა ფიქრი- განსჯაც მიაპყრო სექტემბრის იმ დამეს, ერთადერთი, რაც ქვეყნის აფეთქების მთლიან სურათსა და მის ცალკეულ დეტალებს დაემატა, ეს იყო შეფასება. შეფასება დროის კვალდაკვალ და დროის მიხედვით იცვლებოდა, ღრმავდებოდა, რელიეფური ხდებოდა, მაგრამ შეფასების ცვალებადობის გვერდით და მის პარალელურად იბერმა უკიდურესობამდე შეზღუდა და სასიცოცხლო სივრცე გადაუკეტა ყველა იმ ასოციაციას, რომლებიც ცდილობდნენ იმ ღამინდელი შთაბეჭდილებების რეპროდუქციასთან ერთად ცნობიერებაში შემოჭრილიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ. არეული და დაულაგებელი ცხოვრების მანძილზე, სხვადასხვა სიტუაციაში და სახვადასხვა პიროვნებასთან მირიანს არაერთხელ მოუხდა სექტემბრის იმ შემძვრელი დამის აღდგენა და გონითი განმეორება, მაგრამ სინამდვილეში მომხდარი ამბავი არაფერს ახალს არ იკარებდა, “თითქოსის” ნიადაგზე აღმოცენებულ არცერთ სავარაუდო თუ შესაძლებელ ნიუანსს, გარდა შეფასებისა. მირიანის ცნობიერებაში იმ დამის ამბავი რამდენიმე ეპიზოდის გამთლიანობას წარმოადგენდა. ცალკეული სურათებისთვის გარეგანადამწვდმი და გამამთლიანებელი იმ ღმამით სულში შემოჭრილი და იქ დამკვიდრებული სასოწარკვეთა იყო.

მირიანი თავის ფიქრებში ყოველთვის ცდილობდა გარედან, ობიექტური თუ ობიექტივისტური დამკვირვებლის თვალთ შიგნით შეეხედა სექტემბრის იმ ღამისათვის, სხვა თვალთ თუ სხვისი თვალთ, მაგრამ ეს არსებითად არაფერს არ ცვლიდა არც იმ ღამის ხდომილებას, არც განცდას, არც მაშინდელი ამბის დეტალებსა და ნიუანსებს, დასაკვირვებელში ყველაფერი ისე რჩება, როგორც იყო, როგორც შესრულდა, როგორც განხორციელდა. სამყარო ექვსი წლის მირიანს აუფეთქეს და დაუნგრიეს. რაღაცნაირად იცვლებოდა მეორე მხარე, დამკვირვებელი განიცდიდა განუწყვეტელ ცვლილებას და ექვსი წლის მირიანს აკვირდებოდა ხან სკოლის მოსწავლე, ხან სტუდენტი, ხან ასპირანტი, ხან ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცი, ხანაც პოლიტიკატიმარი მირიან იბერი. დამკვირვებლის ასაკობრივი თუ სოციალური მდგომარეობის სხვადასხვაობას მხოლოდ სექტემბრის იმ ღამით მომხდარი ამბის შეფასებაში შეჰქონდა ცვლილება, კერძოდ მომხდარის მიზეზებისა და შედეგების გააზრებაში. სექტემბრის იმ ღამის მიზეზებსა და შედეგებს განსხვავებულად იაზრებდა სკოლის მოსწავლე მირიანი და სტუდენტი მირიანი, საბჭოთა არმიის მებრძოლი მირიანი და ტყვეობისათვის პოლიტიკატიმრად ქცეული მირიანი. დასაკვირვებელში ყველაფერი ძველებურად, უცვლელად რჩებოდა, თავდაპირველი სახით რჩებოდა მთელი მოქმედებაც და მოქმედების გმირებიც. იმ ამით განხორციელებულ მოქმედებას სრულიად გარკვეული, წინასწარ მოფიქრებული, დაწერილი თუ დაუწერელი სცენარი ედო საფუძვლად. სასოწარკვეთის ღამე ამ სცენარის მიხედვით წარიმართა. მაგრამ არა თუ ექვსი წლის მირიანისთვის, არამედ პოლიტიკატიმარ მირიანისთვისაც სცენარის ავტორის ვინაობა ტაბუდადებული იყო, სცენარის ავტორსაც და რეჟისორსაც. არ იყო გამორიცხული, რომ სცენარის ავტორიცა და რეჟისორიც ერთიდაიგივე პირი იყო, მაგრამ ისიც შეიძლებოდა, რომ სცენარისტიც და რეჟისორიც სხვადასხვა პიროვნება ყოფილიყო, სხვადასხვა, რომელთაგან მეორე პირველს ექვემდებარებოდა და სარეჟისორო სცენარს მისი კარნახით ადგენდა, ანუ რეჟისორი სცენარისტს უთანხმებდა ყველა რემარკას, ყველა მიზანსცენასა და მოქმედებიდან მოქმედებაზე გადასვლას ანუ მოქმედების განვითარების აუცილებელ შტრიხებს. სცენარისტი და რეჟისორი არსად არ ჩანდნენ, მაგრამ იგულისხმებოდნენ. სცენარის ტექსტიც და სარეჟისორო მიზანსცენებიც გარკვეული მიზანდასახულობით იყო დაწერილი თუ შედგენილი, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით შესაძლებელი იყო მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა, შესაძლებელი იყო სცენარის ტექსტიდან გარკვეული, თუმცა არა არსებითი, გადახვევები. თავდაპირველი ტექსტი და მიზანსცენები მხოლოდ ხდომილების მთავარ მოქმედ პირებს ეხებოდა. გაბაშვილის გორაზე, ძველი სააგურეების ახლოს მდებარე იბერების სახლში დატრიალებული მოქმედების მთავარი გმირები მილიციის სამი მაიორი იყო. მათ წამყვანი როლები ეჭირათ სპექტაკლში, სცენარის ავტორისა და რეჟისორის ვინაობა თუ ნამდვილი ვინაობა, შესაძლოა, მათთვისაც არ იყო ცნობილი და გარკვეული, მაგრამ ესეც არაფერს არ ცვლიდა. უმთავრესი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოები, ეგრეთწოდებული მაგიდის რეპეტიციები, მხოლოდ მათთან იყო ჩატარებული. დანარჩენი მოქმედი პირები, მათთვის, შესაძლებელია, სრულიად სხვები ყოფილიყვნენ და არა ტიცვიან იბერი, მისი მეუღლე მარიაში და მათი მცირეწლოვანი ვაჟი მირიანი. იბერთა სამეული მილიციის მაიორების სამეულს სრულიად შემთხვევით, არც კენჭისყრით, არც ამორჩევით, უბრალოდ სიის მიხედვით, სიაში თანამიმდევრობის შესატყვისად შეხვდათ. იბერები სპექტაკლის აუცილებელი, მაგრამ მეორეხარისხოვანი გმირები იყვნენ: მათი მონაწილეობის გარეშე სპექტაკლი არ შესრულდებოდა, მაგრამ მათ რეპლიკებს, რემარკებსა და მიზანსცენებს არაფრის შეცვლა, სიტუაციის გადასხვაფერება და მისი სხვა მიმართულებით წარმართვა არ შეეძლოთ.

სცენარის მიხედვით მათ მხოლოდ მილიციის მაიორების მიერ ნაკარნახევი, შეთავაზებული და მითითებული მიზანსცენების უსიტყვო შესრულება ევალებოდათ. სპექტაკლის მთავარ მოქმედ გმირებს, მილიციის სამ მაიორს, უფლება ჰქონდათ იბერთა სამეული არა მხოლოდ დაერწმუნებინა, არამედ აეძულებინა ნაკარნახევი თუ ნაბრძანები მოქმედების შესრულება. ამრიგად, იბერთა სამეული, სცენარის მიხედვითაც და სინამდვილეშიც სპექტაკლის მხოლოდ პასიურ მოქმედ გმირებს, არა, გმირებს კი არა, მოქმედ პირებს წარმოადგენენ. სპექტაკლში აღმოჩნდა კიდევ ერთი მოქმედი პირი, რომელსაც, ალბათ, ყველაზე უკეთ უნებლიე მოქმედი პირის ცნება გამოხატავს. მისი გამოყვანა ავანსცენაზე და საერთოდ, მისი მონაწილეობა სპექტაკლში კონკრეტული სიტუაციით განპირობებული დასაშვები ცვლილებების გამოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო მირიანის მამიდა ელენე, რომელიც ქუთაისში იყო გათხოვილი და იბერების სახლიდან არცთუ მოშორებით, იმავე გაბაშვილის გორაზე, გიორგობიანების უბანში ცხოვრობდა. სექტემბრის იმ ღამით ძმის ოჯახში შექმნილმა ვითარებამ აიძულა ელენე მამასეულ სახლში მოსულიყო და იმღამინდელ სპექტაკლში თავისი უნებლიე როლი შეესრულებინა.

მირიან იბერი თავისი ცხოვრების პირველი სასოწარკვეთის ღამეს ვერასოდეს ვერ იგონებდა წინა საღამოს გახსენების გარეშე. ამგვარი გახსენება სექტემბრის იმ ღამის ყოველი წარმოსახვითი აღდგენის აუცილებელ პროლოგად იქცა. იგი გახდა ძირითადი ამბისთვის დროში ისეთი წინ წამსწრები ხდომილება, რომელიც სრულ კონტრასტს ჰქმნიდა ერთი მხრივ სამყაროს აფეთქებამდელ სურათსა და მეორე მხრივ უკვე აფეთქებულ, დამსობილ, აყირავებულ, სხვა ფერებით შემოსილ ქვეყნის ხატს შორის.

პირველი სექტემბრის საღამო ჩამავალი მზის სითბოთი, მიწურული ზაფხულის სიყვითლეგარეული ფერებით, ანდამატი, სიღბოთი და სიწყნარით იყო სავსე, იბერების სახლის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა გადაშლილ ჯანაშიების ეზოში მთელი საღამო თამსობდნენ ფეხბურთს მირიანი და მისი მეგობარი ჯანაშიების, ტაბიძეებისა და ხოლიდების ბავშვები. საფეხბურთო ფანტები, რომლებსაც ყმაწვილები დროის შესაბამისად “აბოდებს“ ეძახდნენ, თამაში ყველაზე კარგად, ყველაზე აზარტულად და ყველაზე დახვეწილად შოთა ტაბიძესა და მიშა ხოლიდს გამოსდიოდათ. მირიანი ყველაზე ძლიერად და ზუსტად ურტყამდა კარში. მწუხრის ჩამოდგომამ მოთამაშე გუნდები დაშალა. იბერმა ბურთი აიღო, ქუჩა გადაჭრა და თავის ეზოს მიაშურა. იბერების შუშაბანდიან სახლიდან ჭიმკრისკენ დაკიდებულ კიბეს ბურთის კენწლათით აყვა. შუშაბანდის კართან, ცემენტის მცირე მოედანზე მოწყობილ სამალაგში ბურთი შეინახა, გაიმართა, მოტრიალდა და ირგვლივ გადაშლილ არეალს მოაგლო თვალი. მირიანის თვალსაწიერში ყველა საგანი თავის ადგილას იყო, ე.ი. ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, როგორც ბავშვის თვალი იყო შეჩვეული. პრაქტიკაში უთვალავჯერ განმეორების გამო მირიანის ცნობიერებაში ირგვლივ განლაგებული საგნები აღიქმებოდა, როგორც უადრესად კანონზომიერად მოწესრიგებული და ერთმანეთთან ჰარმონიულად დაკავშირებული. ყველაფერი ამ ჰარმონიით ცოცხლდებოდა, ყველაფერი . . . იბერების ცისფრად შეღებილი შუშაბანდის წინ ვარდნარში სარწყავით მოფუსფუსე მარიამიც, ვარდნარის მიღმა, კაკლის ხის ქვეშ, ძელსკამზე გახეთის კითხვაში გართული მამაც, იბერების ეზოს გასწვრივ, ქუჩის გადაღმა, დათეშიძეების მამულის ასწლოვანი, ზეცას მიბჯენილი, უხვარჯიანი ეკლისა და კაკლის ხეებიც, ის ბილიკიც, რომელიც ქუჩიდან დათეშიძეების ეკლნარის გავლით მუდამ თეთრი ბაფთით დამშვენებული და ნიადაგ სათამაშოდ გამზადებული ნაზიკო გრძელიშვილის მყუდრო, მცირე, უზარმაზარ კაკლებს შეფარებული ხის სახლისაკენ მიიმართებოდა, იბერების უშუალო მეზობლის, ძველი რკინიგზელის, ნიადაგ კოპებშეკრული და

სიტყვაძვირი კონსტანტინე ჯინჭველაშვილის ეზოში მოშრიალე ბერძნული ლექსებიც, მათ ჩრდილში განაბული, გაფაციცებული და ყურებდაწურული ავი ნაგაზიც, რომლის შიშითაც მირიანი მეზობლის ეზოში გადაბიჯებას ვერ ბედავდა, ყველაფერი ძლიერ ღამაზი და შთამბეჭდავი იყო. არაფერი არ იუწყებოდა, რომ ხვალ დილით მირიანს ეს სუნამდვილე, სრულიად შეცვლილი, ჰარმონიადაკარგული, სივრცეში უკავშიროდ გაბნეულ საგნების გროვად გადაქცეული დახვდებოდა.

სპექტაკლში მირიანი ყველა მოქმედ გმირზე თუ პირზე გვიან ჩაერთო, შუალამისას, მოულოდნელი გამოღვიძების შემდეგ.

სიზმარში მოგვრილმა ელდამ სიზმარშივე წამოაკივლა და გამოაღვიძა. სიზმარი უაღრესად გამჭვირვალე, ფერადოვანი და ცხადი იყო, ვითომ თავის სახელში, თავის ოთახში, თავის საწოლში ეძინა. ყველაფერი მისი იყო, ლოგინის თეთრეულის გარდა. საბნის შალითა, ზეწარი და ბალიშისპირი ცისფერი კი არ იყო, როგორც მის ნამდვილ საწოლში, არამედ თეთრი, უჩვეულოდ თეთრი და მოქათქათე. სიზმრად ნანახი საწოლის თეთრეული სიზმარშივე იმ სახატავი რვეულის ფურცლების სითეთრეს შეადარა, ამას წინად ფერად ფანქრებთან ერთად მამამ რომ მიუტანა. არა, საწოლის თეთრეული კიდევ უფრო თეთრი იყო, ვიდრე სახატავი რვეულის ფურცლები. ეს სითეთრე მხოლოდ ექიმ სიმონ ლორთქიფანიძის ხალათის სითეთრეს შეიძლებოდა შედარებოდა. მკურნალმა ზაფხულის დასაწყისში გასინჯა გაცივებული მირიანი. “რომ გაიზრდები, რა უნდა გამოხვიდე?” ფილტვების მოსმენისას, წამიერ ანტრაქტში ჰკითხა ექიმმა ბიჭს. მირიანს მთლად ნათლად არ ჰქონდა გააზრებული რა უნდა გამოსულიყო, ერთ დროს ინჟინრობა უნდოდა, ერთ დროს მეზღვაურობა, ხანდისხან მძლოლობა ეოცნებებოდა. ექიმს არაფერი უპასუხა, დასტაქარს მხოლოდ გაუღიმა და სწორედ ამ ღიმილისას “დაიჭირა” სიმონ ლორთქიფანიძის ხალათის უჩვეულო, უბიჭო სითეთრე. სიზმარში ქვეშაგების საოცარ სითეთრეში ჩაფლულს ეძინა, ზმანებაში მკერდზე, გულის მხარეს ჩხვლეტა და ტკივილი იგრზნო, ვიღაცამ თუ რაღაცამ მთელი ძალით მიასრისა ერთად შეკრულ ეკლებს. სიზმარში იგრძნო ძლიერი შიში და ამ ელდამ გამოაღვიძა. საბანს ხელი ჰკრა, გულთან ისევ იგრძნო ტკივილი. მკერდზე მიიჭლო ხელი და გულთან ეკლებით მოკრული ზღარბი შეიგრძნო. ზღარბის განცდამ ხელმეორედ მოჰგვარა ელდა, შიშმა ააკივლა და ახლა ნამდვილად გამოიღვიძა. მაგრამ სიზმრისაგან თვალდაწერილი ცეცხლის უცხადესმა წამიერმა მოლანდებამ ისევ ელდის ბურუსში გადააგდო. თვალგახელილმა თვალნათლივ დაინახა, რომ მისკენ ცეცხლმოკიდებული ზღარბი მოსცურავდა. ხელახლა შეჰკივლა და როცა ბურუსი გაიფანტა და სამუდამოდ გამოფხიზლდა, დაინახა მის საწოლთან ჩამსობილი ატირებული დედა და დედის უკან მდგარი საწოლისკენ გადმოხრილი მამა, რომელსაც ხელში ანთებული ღამა ეჭირა. ოთახში სხვებიც იყვნენ, მამიდა და კიდევ ორი უცნობი კაცი. ოთახიც გააცნობიერა და ატირებული დედის ხმაც, მაგრამ ანთებულმა ღამა მამამ მაინც დააფროთხო, სიზმრიდან გამოყოფილი ზღარბიმოელანდა და ინსტიქტურად კედლისკენ მიიწი.

- რა იყო მირიან? რატომ კიოდი? რამე გესიზმრა? – ეს მამის ხმა იყო. დედაც, რომელსაც მირიანის ხელები საკუთარ ხელებში მოემწყვდია, რაღაცას ეუბნებოდა. მაგრამ მირიანი ვერ არკვევდა, რას ამბობდა დედა. სიზმრის ხსენებაზე ცნობიერებაში ერთბაშად ამოტივტივდა წელანდელი ზმანება. წამიერად ყველაფერი ისევ გამჭვირვალე, ფერადოვანი და ცხად სიზმრად იქცა.

- რა მოხდა? – უმისამართოდ იკითხა მირიანმა და დედას მიეხუტა.

- არაფერი, მამიკო, არაფერი, არ შეგეშინდეს – მამის ხმა ჩაესმა ბიჭს – აი ხომ ხედავ, ჩვენთან სტუმრებია, მე და დედიკო მათ უნდა წავყვეთ აუცილებელ საქმეზე.

- მეც მოვდივარ? – იკითხა ბიჭმა და მის ოთახში მდგარ ორ უცნობ კაცს მიაპყრო ყურადღება. წელან მამის ნათქვამი “ჩვენთან ტსუმრები: სწორედ ამ ორი კაცის გამო უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

- არა, შენ არა – მამას ხმა გაეზარა – შენთან ელენე მამიდა დარჩება, ხომ ხედავ, იგი უკვე აქაა, არ შეგეშინდეს, ჩვენ მალე დავბრუნდებით, დანარჩენს შემდეგ გიამბობთ.

მირიანის ოთახში გვერდით ოთახიდან, მამის კაბინეტიდან კიდევ ერთი, მესამე უცნობი, თეთრკიტელიანი კაცი შემოვიდა.

- წავედით, მეტი დრო არა გვაქვს – თეთრკიტელიანის ხმა ცივი და მკაცრი იყო. მირიანის საწოლთან ჩამხობილმა დედამ აკოცა ბიჭს და წამოდგა, მამამ თავზე მოეფერა მირიანს, დაიხარა, აკოცა და პირველი გავიდა ოთახიდან, მას დედა მიჰყვა, მერე უცხოებმაც მიაშურეს წინაკარს: როცა დედა და მამა შუალამისას მოსულმა მილიციელებმა წაიყვანეს და ნავთის ლმპით განათებულ ოთახში მირიანი მარტო დარჩა, მამა წამიერად შემობრუნდა, გულში ჩაიკრა და უთხრა: “არ იტირო, არ შეგეშინდეს. მე ვეცდები მალე დავბრუნდე, მეც და დედაშენიც, რასაც გეტყვი, კარგად დაიხსომე, მე მინდა შენ ისეთი კაცი დადგე, რომ სინმადვილე შენთვის ბოლომდე ცხადი და გარკვეული იყოს. “ვინა ხარ, საიდან მოუღხარ, საიდან მიხვალ სადაო?” ეს სიტყვები ჩემი საყვარელი პოეტის დავით გურამიშვილის სიტყვებია. შენ ჩემგან ანდერძად მიიღე ის, რომ ყოველთვის შეგეძლოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა” მერე კარის გახურვის ხმა ჩაესმა მირიანს. მერე მამიდა შემოვიდა. ახსოვს, მამიდან ანთებულ ლამპას წამოავლო ხელი “ამ წუთში მოვბრუნდები” დაუბარა მირიანს და მათ კვალს გაჰყვა. კარი გაიხურა. ყველა ჩქარობდა.

ოთახში სიბნელე გამეფდა და დუმილი ჩამოწვა.

ექვსი წლის ბიჭმა, ცხადია, არ იცოდა რა ერქვა იმ განცდას, რომელიც ოთახში მარტო დარჩენილს დაეუფლა, მერე, წლების შემდეგ, მიხვდა, მერე, წლების შემდეგ გაიაზრა, მერე, წლების შემდეგ, გააცნობიერა, რომ მისი ოთახიდან უცხო კაცების, მშობლებისა და ლამპამომარჯვებული მამიდის გასვლისა და შუშაბანდის კარის გაჯახუნების შემდეგ უსაზღვრო სიბნელემ და სიჩუმემ შიში და ძრწოლა მოიტანა, შიში და ძრწოლა, შიში და ძრწოლა . . . წამოდგომა სცადა, მაგრამ სიბნელეში და სიჩუმეში ჩაფლულმა და ჩაკარგულმა წამოდგომა ვერ შეხლო, ვერ შეძლო თუ ვერ გაბედა, სიბნელე ბორკავდა და ბოჭავდა სხეულს, სიბნელე და სიჩუმე . . . სიბნელეში ფიქრიც დამფრთხალად და დაზაფრულად ბორიალობდა . . . გონებაში შემოჭრილ კუთხეში მიიკვლევდა გზას, არა, გზას კი არ მიიკვლევდა, გზის გაკვლევა უნდოდა, სადღაც, სიბნელესა და სიჩუმის იქით გაღწევა სურდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. . . “ვინ იყვნენ ის უცხო კაცები, დედა და მამა რომ გაჰყვნენ?” – მობორიალე ფიქრში ეს კითხვა მკაფიოდ იკვეთებოდა “სად წავიდნენ?”. . . მერე ჭოტმა იკივლა სადღაც, მერე ოთახის იქეთ, შუშაბანდში რაღაც გაფახუნდა, მერე ზედიზედ რაღაც გაშრიალდა და მობორიალე ფიქრში მოჩვენებებისა თუ მოღანდებების რიალი შეერია, დედამაც მიატოვა და მამამაც, სადღაც წავიდნენ, მაგრამ არ თქვეს სად და რისთვის წავიდნენ, ვიდაცეებს წაყვნენ, თეთრკიტელიანი სტუმრის ხმა ისევ გახმიანდა მირიანის ცნობიერებაში, თვალების უპეები შეუსველდა. . . მამიდა? მამიდა არ ჩნას, მამიდა არ მობრუნდა, ახლავე მოვალო და გადაიკარგა . . . და ცნობიერებიდან, გონებაში მობორიალე ფიქრიდან, უსაზღვრო სიბნელიდან და გამეფებული მდუმარებიდან ამოიზიდა ერთსიტყვიანი ფრაზა “მიმატოვეს”, მერე თავისი მიტოვებულობა უსაშინლესი სიცხადით დაინახა და სულს, ფიქრს, გონებას, ყველაფერს, ყველაფერს ერთბაშად დაეუფლა სასოწარკვეთა. -მამიდა! მთელი ხმით იყვირა, უკანასკნელ საშველს ეპოტინებოდა. მერე ყელიდან ამომსკდარმა ხავილმა მიახვედრა, რომ “მამიდას” კი არ კიოდა, უნდოდა ეკივლა, მაგრამ ხმა დაკარგვოდა, როგორც დედა და მამა, როგორც

მამიდა, როგორც ყველაფერი . . . მერე კარი გაიღო და ოთახში შემოიჭრა დიდი, უსაშველოდ დიდი, უსაშველოდ დიდი ზღარბი . . . ზმანებაში დანახული ზღარბი ისევ დაეუფლა ცნობიერებას, ოთახში შემოჭრილი ზღარბი უფრო დიდი და დიდეკლება იყო, ზღარბი ბიჭის საწოლისაკენ მოდიოდა, თუ მოცურავდა, ის ჰყავდა მიზანში ამოღებული. მირიანი კედლისკენ მიიწია, ზურგით კედლის სიმკვრივე და სიგლუვე იგრძნო, ეს იყო მისი ცნობიერების უკნასკნელი აქტი, რაც ყველაზე ბოლოს იყო, ის იყო, რომ ზურგით კედლის სიმკვრივე და სიგლუვე იგრძნო და გონი დაკარგა.

სექტემბრის იმ ღამის ყველა დეტალი სიზმრის შეწყვეტიდან დიდ ეკლიანი ზღარბის მიერ მოგვრილი ელდის გამო გონების დაკარგვამდე მირიანისთვის სიმწრით იყო დადაღული. მაგრამ მწარე იყო არა მხოლოდ იმ ღამის რეალური ნიჟანსები, არამედ სიმწარე ახლდა მათ განსვენებასაც. განსაკუთრებული სიმწარით იყო აღბეჭდილი ის მომენტი, როცა ირწმუნა, რომ ყველამ მიატოვა. მიტოვებულობის განცდამ მიუსაფრობა და განწირულობა დაბადა, ხოლო ამათგან სასოწარკვეთის ხელშეხებით გრძნობა იშვა. სასოწარკვეთა ტკივილისა და სიმწრის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენდა.

- კარზე რომ დააკაკუნეს – იგონებდა ელენე მამიდსთან საუბარში ათი წლის შემდეგ გადასახლებიდან დაბრუნებული მარიამი – შუაღამე გადასული იყო. მე ვიწვექი, მაგრამ არ მეძინა. ტიციანი საერთოდ არ დაწოლილა იმ ღამით. მან იცოდა, აგვისტოს გამოსვლების შემდეგ მთელ საქართველოში რა ამბებიც ტრიალებდა. სამართალდამცავი ორგანოები თავად-აზნაურობას განურჩევლად და განუკითხავად აპატიმრებდა, განურჩევლად და განუკითხავად. ტიციანი უგემური ვახშმისა და ბავშვის დაძინების შემდეგ მესაუბრა ამ ამბებზე. ზუსტად მახსოვს, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საკუთარ უდანაშაულობას. ამის იმედი ჰქონდა. აჯანყების არც მომზადებაში, არც მის პრაქტიკულ განხორციელებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო დ ამიტომაც მე, ალბათ, არ მომაკითხავენო. საუბრის დასასრულს, ამ გარემოებას ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, წესით მე არ უნდა მომაკითხონო და დაწოლა მირჩია, მე ცოტა ხანს ვიკითხავო, - ეს იყო მილიციის მოსვლამდე, მისი ბოლო სიტყვები. მერე დიდი ღამაა აანთო და კაბინეტში გავიდა. დავწვექი, მაგრამ რაღაც უჩვეულოსა და გარდუვალის მოლოდინი მაფორიაქებდა და ძილი არ მეკარებოდა. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ რაც ტიციანმა მითხრა, ყველაფერი ჩემს დასამშვიდებლად იყო ნათქვამი, მაგრამ სწორედ მისმა ნათქვამმა ამაფორიაქა, რადგანაც მის ნალაპარაკეში უგუნებობა გამოკრთოდა, უგუნებობა და შიში. შიშმა თუ ზედმეტმა სიფრთხილემ დამშვიდების მაგიერ ამანერვიულა. კაკუნზე წამოვდექი, მაგრამ სანამ კაბას გადავიცვამდი და შუშაბნდში გავიდოდი, ტიციანმა დამასწრო, “ვინ ბრძანდებით?” – იკითხა ტიციანმა. “მილიციიდან ვართ. კარი გააღეთ”- მილიციიდან მოსულის ხმას უცნაური შეუვალობა ახლდა. ტანში გამცრა. ცხადი იყო, რისთვისაც მოვიდნენ, მაგრამ ჩემს დაპატიმრებას მაინც არ ველოდი. ტიციანმა კარის გასაღები გადაატრიალა. შუშაბანდში სამნი შემოვიდნენ. სამივე მაიორები. ერთს თეთრი კიტელი ეცვა, დანარჩენი ორი ხაკისფერ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. “ტიციან იბერი თქვენ ბრძანდებით?” – იკითხა თეთრკიტელიანმა. “ღიას” მიუგო ტიციანმა. “თქვენ და თქვენი მეუღლე მარიამი მილიციის საქალაქო განყოფილებაში ხართ გამოძახებული” – როცა მე მახსენეს, თეთრკიტელიანმა წამით მე მომაპყრო მზერა-“უნდა წამოხვიდეთ”. მე ინსტინქტურად ტიციანს შევეხე მკლავზე. ჩემს ამ მოძრაობას მაიორის გაფრთხილება მოჰყვა: “უხმაუროდ, მეზობლებს ნუ დავაფრთხობთ!” ამ სიტყვებს წამიერი პაუზის შემდეგ დაამატა: “თქვენზე ჩხრეკის ორდერი არ არის გამოწერილი, ალბათ, დიდი ხნით არ გიბარებენ”. როგორც შემდეგ ქუთაისის ციხეში შევიტყვე, იმ ღამეს დაპატიმრებულთა ოჯახში გამეორდა ეს ფრაზა. მაიორის ეს სიტყვები ჩემთვის არაფერს

ნიშნავდა, მაგრამ თეთრკიტელიანმა ამ ფრაზის იქითაც გადააბიჯა: “ალბათ, დიდი ხნით არა, მაგრამ სასწრაფოდ გიბარებენ, ორივეს ერთად და სასწრაფოდ. დროს ნუღარ ვკარგავთ.” უეცრად ელდასავით დამიარა: “ბავშვი!!! და სწორედ ამ დროს ტიციანი, რომელსაც ანთებული ლამპა ისევ ხელში ეჭირა, შებრუნდა, კაბინეტის კარი შეაღო და მოსულებს მიმართა: “თუ შეიძლება ერთი წუთით”. როცა ყველანი კაბინეტში შევედით, ტიციანი ისევ მიუბრუნდა სტუმრებს. “ მე მესმის, რასაც მეუბნებით, ისიც მესმის, რომ უნდა გაგიგონოთ და გამოგყვეთ, მაგრამ აქ ბავშვია, ექვსი წლის ბავშვი, მისი მარტო მიტოვება არ შეიძლება, ეს ყოველად წარმოუდგენელია, რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს, რაღაც უნდა მოვიფიქროთ და გადავწყვიტოთ, იქნებ ამჯერად მხოლოდ მე წამოვიდე მილიციაში, ამასობაში . . .” კიდევ რაღაც უნდა ეთქვა ტიციანს, მაგრამ თეთრკიტელიანმა შეაწყვეტინა: “არა, ეს დაუშვებელია”. იგი უფრო შეშინებულს ჰგავდა, ვიდრე გაჯავრებულს. “ბავშვს ვერ დავტოვებთ” – თქვა ტიციანმა, მერე საწერი მაგიდიდან პორტსიგარი აიღო, ერთი ღერი სიგარეტი ამოაძრო, მოუკიდა და მოსულებს შეაჩერდა, “იქნებ შეიძლებოდეს – წამის შემდეგ ისევ ალაპარაკდა ტიციანი – გათენებას ერთად დაეუცადოთ, საცაა ირიურაუებს, ბავშვსაც გაეღვიძება, მამიდამისი, ჩვენგან ახლოს ცხოვრობს, სულ რამდენიმე სახლია ჩვენს შორის.” თეთრკიტელიანმა ისევ შეაწყვეტინა სიტყვა ტიციანს: “კარგად ვხედავ, ვგრძნობ, აღვიქვამ შექმნილ სიტუაციას. ბავშვი არაფერ შუაშია, ბავშვის საქმეს მოეველება . . . მე შემიძლია, როგორც ნაბრძანებია, შექმნილ ვითარებას არ მივაქციო ყურადღება და . . . მაგრამ ამას არ ვიზამ, უფრო სწორედ თუ ვიტყვით, ამას ვერ ვიზამ . . . ჩვენი თანამშრომელი, ამხანაგი ვაშაძე წამოგყვებათ - დ- თეთრკიტელიანმა მის უკან მარჯვნივ მდგარ მილიციის მუშაკზე მიუთითა ტიციანს – გადადით თქვენი დის სახლში და ბავშვს მოჰგვარეთ მამიდა, ოღონდა ეს უნდა გაკეთდეს, რაც შეიძლება სწრაფად და მომავალში არსად და არავისთან არ უნდა ითქვას ამის შესახებ, არც მილიციის უფროსთან და არც სხვა პირთან, რომელთანაც თქვენ შეიძლება შეხვედრას მოგიწიოთ, ეს იმის ზღვარია, რაც მე ასეთ სიტუაციაში შემიძლია გავაკეთო”. ტიციანი და ვაშაძე ოციოდე წუთში დაბრუნდნენ. შენც მათ მოჰყევი, ჩემო ელენე – მარიამმა ელენეს ხელი მოხვია და მხარზე მიიკრა მული – შენც თან მოჰყევი, თითქოს მდუმარე, მაგრამ საოცრად აფორიაქებული, შენ ზუსტად, შეუმცდარად იცოდი, რატომ მოვიდნენ ჩვენთან დაუპატიებელი სტუმრები და რა ბედი გველოდა მათ ხელში. თქვენც მოხვედით და ბავშვის საწოლ ოთახიდან მირიანის შეკივლება მოისმა. ბავშვთან მივიტყერი, მის საწოლთან ჩავიხოქე და თითქოს გამოღვიძებული, გაოგნებულ მირიანს დამშვიდება დავუწყე. ბიჭი ნელ-ნელა გამოერკვა, ტიციანმა აუხსნა, რომ სტუმრებს ჩვენ სადღაც სასწრაფო საქმეზე მიყვავდით და მასთან მამიდა ელენე რჩებოდა, ბიჭს რომ არ შეშინებოდა, ტიციანმა ისიც უთხრა, რომ ჩვენ მალე დავბრუნდებოდით და უფრო დაწვრილებით ყველაფერს შემდეგ ავუხსნიდით. შემდეგ? რა იყო შემდეგ? კარი გავიხურეთ და მირიანი მივატოვეთ, დავტოვეთ აცრემლებული, გულამოსკვნილი, დაზაფრული და გაოგნებული ბავშვი, დავტოვეთ სრულიად გაურკვეველი დროით, როგორც შემდეგ გამოირკვა – უსასრულო დროით. მილიციამდე გზა ისე გავიარეთ არც მე, არც ტიციანს და არც მაიორებს ხმა არ ამოგვიღია, ყველა თავის ფიქრს ჰყავდა დატყვევებული. მე ჩემზე ჩაბლაუჭებულ მირიანის ხელებს ისევ ვგრძნობდი. ბიჭი არ მიშვებდა და ძალით გამოვეცალე მის ხელებს, ძალით დავიხსენი თავი მათგან, ძალით გამოვეცალე ხელებსაც და საერთოდ მის სხეულსაც, მის ცრემლებსა და სუნთქვას. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი, რომ წონასწორობას ვკარგავდი, მეგონა წავიქცეოდი, მაგრამ იმედი მაინც მიმყვებოდა, პანდორას ყუთის იმედი, მაინც კიაფობდა ის აზრი, რომ გაგვესაუბრებოდნენ, დაგვეკითხავდნენ, რაღაცას გაარკვევდნენ და გამოგვიშვებდნენ. ცალკე ეს მაძლევდა ძალას, ცალკე მდუმარედ მიმავალი

ტიციანის რიდი, ვგრძნობდი ის რა დღეში იყო. იმასაც ვგრძნობდი, რომ ყველაფერი უნდა მეღონა, რათა მისი მდგომარეობა არ დამემძიმებინა, ამასობაში წითელ ხიდსაც გავცდით, გზად არავინ არ შეგვხვედრია. არავინ არ ჭაჭანებდა. მილიციის სამორიგეოდან პირველი ტიციანი გაიყვანეს უფროსთან შესახვედრად. შემომხედა, არაფერი უთქვამს. არც გამომშვიდობებია. იმ წუთის შემდეგ იგი არ მინახავს, ვერაფრით ვერ გავარკვიე, რა საჭირო იყო, რა გამართლება ჰქონდა ცოლ-ქმრის გაგზავნას სასჯელის მოსახდელად სხვადასხვა ოლქში. მე ყირიმში მოვიხადე სასჯელი 10 წელი, ტიციანმა მაგადანში. ათი წლის განმავლობაში ტიციანისაგან მხოლოდ სამმა წერილმა მოაღწია ჩემამდე. მის ამბავს თქვენი მეშვეობით ვიგებდი. ვიცი რომ ცოცხალია, ვიცი, რომ ისიც გაანთავისუფლეს და ალაბთ, დღე-დღეზე უნდა ველოდეთ მის დაბრუნებას. მაგრამ ეს ათი წელი, ამდენი ტანჯვა და ვაება, ამდენი ცრემლი და გოდება რით ანაზღაურდება? რით შეიძლება გამართლდეს მირიანის გაზრდა უდედოდ, უმამოდ, მარტოობაში, სულიერ ობლობაში – მამიდა უსმენდა მარიამს და მთელი ამ საუბრის განმავლობაში არცერთს უხმო ცრემლი არ შეუწყვეტია. მირიანი ყურს უგდებდა მათ საუბარს და ათი წლის წინ გადატანილ ღამეს ახალი დეტალებით და ნიუანსებით ავსებდა.

- ტიციანი და მილიცია მაიორი ვაშაძე ჩემთან რომ ამოვიდნენ, სახლში მარტო ვიყავი, იმ ღამის ზოგიერთი დეტალი არც მარიამმა არ იცის. იმ ღამის ხსენებას და მის შესახებ ლაპარაკს ჩემს ბიჭთან ყოველთვის ვერიდებოდი – წამოიწყო მამიდამ და ცრემლი ხელსახოცით მოიწმინდა – ის ღამე ჩემს სიცოცხლეში ყველაზე ბნელი და მძიმე იყო. ყველაზე ბნელი და მძიმე. გივი მივლინებით გააგზავნეს თბილისში და სწორედ იმ ღამით გაჰყვა მატარებელს. ტიციანი და შენ რომ წავიყვანეს, ჩემთვის ყველაფერი ცხადი და ნათელი იყო სად და რისთვის მიჰყავდით. უფრო მეტიც, აღარ მეღონა თუ ცოცხლებს ისევ გნახავდით. გული გასკდომაზე მქონდა. შენ არ იცი, შეიძლება არც უნდა ვამბობდე, დღეს მაინც, მაგრამ ამ ამბის სამუდამო დაფარვაც არ შემიძლია. მე იმ ღამეს თქვენი წაყვანის შემდეგ, საბედისწერო შეცდომა დავუშვი, საბედისწერო ნაბიჯი გადავდგი. ვიცოდი, რომ ბავშვის მიტოვება წამითაც არ შეიძლებოდა, ვიცოდი, რომ იმ ღამეს, იმ სიტუაციაში მაინც მე ვიყავი მირიანის ერთადერთი იმედი, ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი შუამავალი ბიჭსა და ქვეყნიერებას შორის, რომ იგი სწორედ მე უნდა მეტარებინა ხელჩაკიდებული. მე უნდა შემშრო ცრემლი, ვიცოდი, მაგრამ გადავდგი საბედისწერო ნაბიჯი, რომელმაც კინაღამ მირიანიც შეიწირა და მეც. ვიცოდი, რომ სახლიდან თქვენი გასვლის შემდეგ მირიანის საწოლთან უნდა ჩამოვმჯდარიყავი, ბავშვს უნდა მიფერებოდი და განთიადამდე საბოლოოდ უნდა მომეყვანა გონზე, რაღაც უნდა მექნა, რაღაც უნდა მეღონა, მაგრამ ვერ შევძელი, სული აკივლები ზღვარზე იყო, ბავშვთან დარჩენილი, შესაძლოა, აკვივლებულიყავი, ბიჭს შევარყევი, გადავრევი, გავაგიჟებდი. ამან მიბიძგა და თქვენ გამოგყევით, გამოგედევნეთ, კარგად არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. სახლიდან გარეთ, ეზოში გამოსულმა, როგორც ჩანს, ნერვებმა და ნებისყოფამ მიმტყუნა, არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე ჭიშკართან, ზედ იასამნები ძირში, მაგრამ როცა ცნობიერება დამიბრუნდა, სწორედ იქ ვეგდე. პირველად ზეცა გავაცნობიერე, ცა მოელვარე ვარსკვლავებით იყო დახუნძლული, ვარსკვლავებს დაბნეული მხერა შევაგლე. ვერაფრით ვერ მივხვდი, თუ ვერაფრით ვერ მოვიგონე საიდან გაეჩნდი იასამნების ბუჩქნარში, როდის წავიქეცი ან რამ წამაქცია. “მირიან!” უეცრად თქვენი წასვლით შექმნილი სიტუაცია გაერთა ჩემს გონებაში, სასწრაფოდ წამოვვარდი და სახლში კი არ შევედი, შევვარდი, შევიჭერი და, როგორც ჩანდა, საბოლოოდ დავაფრთხე სიბნელეში, წყვილადში და მდუმარებაში მიტოვებული ბიჭი, ჰო, დამავიწყდა მეტყვა, თქვენ რომ გამოგეკიდეთ ოთახიდან წამოღებული ღამპა შუშაბანდში დიდ მაგიდაზე დავდგი, ახლა სახლში შებრუნებისას, ღამპა

მირიანის საწოლში შევიყოლე. ბიჭი გონდაკარგული დამხვდა. ძლივს მოვაბრუნე. მთელი ჩემი სამედიცინო გამოცდილების გახსენება და გამოყენება დამჭირდა. როდის როდის გათენდა, მარიამ, ძლივს დაადგა საშველი. მთელი ამ ხნის ამძილზე ბიჭი რაღაც აკვიატებულ ზღარბს ახსენებდა, მე რაღაც სისულელეებს ვეუბნებოდი. იმ დღიდან თქვენი წერილების მოსვლამდე, რომელთაც საკმაოდ, თითქმის დაზამთრებამდე დააგვიანდათ, თქვენ შესახებ არაფერი არ ვიცოდით მილიცია გაურკვეველ, არაერთგვაროვან პასუხებს იძლეოდა ჩვენს შეკითხვებზე. გვიმ ვერც მილიციაში, ვერც ჩეკას განყოფილებაში ვერაფერი ვერ გაწყო, თქვენსკენ გზა ვერ გაიკვლია, დახვრეტილები გვეგონეთ. აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობის ბრალდებით დაჭერილების ერთი დიდი ნაწილი მართლაც დახვრიტეს. ბავშვს ვერაფერს ვეუბნებოდით. მისი შეკითხვების მომსმენი, სიკვდილს ვნატრობდი. მე და მირიანს ყირიმიდან და მაგადანიდან თითქმის ერთდროულად მიღებულმა წერილებმა გვიშველა.

მირიან იბერის ცხოვრების პირველი სასოწარკვეთა გადასახლებიდან დაბრუნებულ მამასთან გასაუბრების შემდეგ, როცა ტიციანმა შვილს თავისი “დიდი საიდუმლო” გაანდო, უფრო ზუსტად და ხელშესახებად გამოიკვეთა, უფრო რელიეფური და ცხადი გახდა. ათი წლის წინ მშობლების დაპატიმრების დამეს დაწყებულმა სასოწარკვეთამ ტიციანთან ამ საუბრისას საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

ათი წლის წინ, სექტემბერში, მილიციის მაიორების სამეულის მიერ ერთად წაყვანილი მირიანის მშობლები საქრთველოში ცალცალკე და სხვადასხვა დროს, თუმცა ერთმანეთის მიყოლებით, დაბრუნდნენ. დედის დაბრუნებიდან ორიოდე კვირის შემდეგ მამამაც შემოაღო გაბაშვილის გორაზე, ძველ სააგურებთან ვაჟ-ფშაველას ქუჩაზე მდებარე იბერების მყუდრო, ერთსართულიანი, შუშაბანდიანი სახლის კარი. ტიციანი მეუღლესთან შედარებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა, მაგრამ ხასიათში, ადამიანთა ურთიერთობის ამ საწყის წერტილში, ჩაბუდებოდა უნდობლობა, რასაც ტიციანი ნიადაგ, ყველგან და ყველაფერში ფარავდა, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა დაეფარა, მაგრამ უნდობლობა ტიციანის გულჩახვეულობასა და მომეტებულ მდუმარებაში იჩენდა თავს. ტიციანის ამ ნიშანდობლივ ცვლილებას, პირველმა მარიამმა მიაქცია ყურადღება და ქმარ-შვილთან საუბარში, თითქოს შემთხვევით, მაგრამ საგანგებოდ კიდევ აღნიშნა ამის შესახებ. მირიანმა, რომელიც მშობლებს ექვსი წლის დაატოვებინეს და რომელიც ახლა უკვე თექვსმეტი წლის, მეჩვიდმეტე წელში გადამდგარი ყმაწვილი და საშუალო სკოლის დამამთავრებელი, მეათე კლასის მოსწავლე იყო, დაიმახსოვრა მამის მიმართ მარიამის შენიშვნა და ტიციანის ხასიათში ჩაბუდებული თუ ჩაქსოვილი უნდობლობა დაკვირვების საგნად აქცია. თუმცა მამის ხასიათზე საგანგებო დაკვირვება სულაც არ იყო, თუ სულაც არ გახდა საჭირო. ოქტომბრის ბოლოს, როცა მოახლოვებულმა აცივებამ დღის წესრიგში პრაქტიკულად დააყენა საზამთრო შემთხვევის მომარაგების საკითხი, მოხიდული და გარკვეულ ზომაზე დახერხილი შემის დალაგების დროს, ტიციანმა უეცრად მიანება საქმეს თავი და მირიანს ხმადაბლა უთხრა: “შენთან საქმე მაქვს, უნდა გელაპარაკო”. მაგრამ ისე დადამდა ის დღე, ისე გაიარეს მომდევნო დღეებმა, ტიციანს აღარაფერი უთქვამს და შემის დალაგებისას წამოწყებული საუბარი არ გაუგრძელებია. “ნეტავ რა უნდოდა, რა აქვს სათქმელი?” რამდენჯერმე გაიფიქრა მომდევნო დღეებში მირიანმა, მამასაც მრავალმნიშვნელოვნად მიაპყრო მხერა. ტიციანი არაფერს აღარ ამბობდა. “აღბათ რაღაცას ელის თუ უცდის” დაასკვნა შვილმა. “ან რაღაცის თქმა ძალიან უნდა, მაგრამ ვერ თუ არ მენდობა.” ტიციანმა მომდევნო კვირაში ისევ წამოიწყო ადრე ერთხელ უკვე დაწყებული საუბარი “რაღაცის თქმის შესახებ”, მაგრამ მხოლოდ წამოიწყო. გაგრძელება ამ წამოწყებას ვერ მოჰყვა. საღამოობით, როცა მირიანი გაკვეთილების მომზადებას მორჩებოდა,

ოჯახი ჩაიხე იკრიბებოდა. დედა ნიადაგ ჰყვებოდა კოლონიაში თავს გადახდენილ ეპიზოდებს. ტიცციანს გამოძიებისა და პატიმრობის დროინდელი შემთხვევების გახსენებასა და მათ შესახებ თხრობის ერიდებოდა და გაუბოდა. ერთ საღამოს, როცა მარიამმა კოლონიაში პატიმარ ქალთა შორის გაჩაღებულ შუღლზე. ერთმანეთის დაბეზლებაზე, გაუტანლობაზე და საჯაროდ გამართულ ხელჩართულ შეჯახებებზე მოუთხრო ქმარ-შვილს, მონაყოლით გულამღვრეულმა მირიანმა შეძრწუნებულმა იკითხა: “და ეს ყველაფერი ვისთვის, ჰეკუმასათვის?” არცერთმა არაფერი თქვა. მოგვიანებით ტიცციანის დამ, ელენემ შემოაღო კარი, მარიამი და ელენე სამზარეულოში გავიდნენ, ჭურჭლის რეცხვასა და ქალაქის ჭორების გარჩევა – დაზუსტებას შეჰყვნენ. ტიცციანმა ზალაში გაიყვანა ვაჟი.

- კარგია, რომ ელენე მოვიდა, შენთან დალაპარაკება მინდოდა. დაჯექი-უთხრა მირიანს და პატეფონის მაგიდის მარჯვნივ, კედელთან ჩადგმულ სავარძელზე მიუთითა, მარცხენა სავარძელში თვითონ ჩაეშვა – შეგიძლია მომისმინო?

- ცხადია, შემიძლია. – მირიანი წამოიწია, მაგრამ მამამ მარჯვენა ხელი შემართა, წამოდგომა არ დაანება.

- გისმენ!

- მომისმინე, მაგრამ პირდაპირ იმ სათქმელით ვერ დავიწყებ, რისთვისაც შენთან შემოვედი. ჯერ მცირე შესავალი უნდა გავაკეთო. უნდა დაგარწმუნო და მეც უნდა დაგარწმუნდე, რომ შენთვის ამ ამბის გამხელა აუცილებელია. ორი თვეა რაც ჩამოვედი და ამ ხნის განმავლობაში სულ შენ გააკვირდები. ჩემი დასკვნით შენი ფიზიკური და სულიერი ზრდა ჯერ დასრულებული არ არის. არც უნდა იყოს დასრულებული, არც უნდა იყოს. კიდევ შეიძლება და შენ, ალბათ, რეალურად გახდები სხვა და სხვაგვარი. შეიძლება რაღაც შეიცვალოს, მაგრამ უკვე არის ის, რაც არ შეიძლება შეიცვალოს. ეს ისაა, რომ შენში მაძიებელ, სოკრატულ კაცს ვხედავ. ახლაც სოკრატულ პიროვნებას ველაპარაკები. შენ არ იცი ჩემი დამოკიდებულება სოკრატესთან. არა! შესაძლოა ნაწილობრივ იცი, რადგანაც ჩემს მიერ აქ დატოვებული ბიბლიოთეკის ნახევარი სოკრატელოგიურ ლიტერატურას უჭირავს. ეს, ალბათ, რაღაცას მიგახვედრებდა, რაღაცის ორიენტირად გამოგადგებოდა. მე ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი შესწავლილი მაქვს, რაც სოკრატულ ფილოსოფიას ეხება – ტიცციანი წამით შეჩერდა-არსებითად სულყველაფერი, რაც სოკრატული ფილოსოფიის საწყისებს წარმოგვიდგენს. შენ, ჩემი დაკვირვებით, ისეთი კაცი ხარ, რომელიც თავის თავს ეძებს და რომლისთვისაც, მთავარია თავის თავის მიგნება. მე მეორე თვე გადის რაც შენ გშიფრავ და ახლა, ასე შეიძლება ითქვას, ხელისგულზე მყავხარ. – მირიანი სმენად იყო ქცეული, სმენად და იმის ცდად, რომ მიმხვდარიყო, საით მიჰყავდა მამას საუბარი, საით თუ რისკენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფრის გამოკვეთა არ ხერხდებოდა. – ცნობიერებამ – განაგრძო ტიცციანმა – უნდობლობის ნიშანი ჩემი სულის უპირველეს ნიშნად აქცია, მაგრამ შენ ბოლომდე გენდობი და არა იმიტომ რომ შენ ჩემი შვილი ხარ, რომელიც იმ დროს მივატოვე, როცა ყველაზე ძალიან ვჭირდებოდი, არამედ, იმიტომ, რომ შენში სოკრატული საწყისები დავინახე. დავინახე, რადგანაც გადასახლებიდან მობრუნების შემდეგ ჩემი მთავარი საქმე შენზე დაკვირვებაა. როცა გეჩვენებთ, რომ არაფერს არ ვაკეთებ, მაშინაც შენ გააკვირდებოდი. მე მინდა შენ ერთი დიდი საიდუმლო გაგიმხილო და გაგიზიარო. იქ, მაგადანის პატიმართა კოლონიაში, სადაც გადავწყვიტე, რომ ჩემი საიდუმლო შენთვის უნდა გამემხილა, ვყოყმანობდი. მეჩვენებოდა, რომ შენი ჰასაკის გამო ჯერ შენთვის ადრე, ძალიან ადრე იყო ამ საიდუმლოს გამხელა, ახლა კი მგონია, კი არ მეჩვენება, არამედ მგონია, რომ აღნიშნული საიდუმლო სწორედ ახლა უნდა გითხრა, სწორედ ახლა უნდა გაიგო, ახლა უნდა ეზიარო მას. – ტიცციანმა თავისი სათქმელის, თუ თავისი შესავლის ერთი ნაწილი განვლო,

გადალახა და შვეებით ამოისუნთქა. ახლა აშკარად უფრო ადვილი იყო საუბრის გაგრძელება. – მე ვხედავ შენ ძიებაში ხარ, განუწყვეტელ ძიებაში, საკუთარი თავის ძიებაში. მე ამას აშკარად და სრულიად ნათლად ვხედავ. აი, თუნდაც გუშინწინ, აქ რომ იყავით შეკრებილები, შენ თეზიკო ჭკუასელი, გივი მიქაძე, სპარტაკ მხეიძე – ჩვენი დავითის ვაჟი, ავთანდილ განუგრავა, გივი ჩარკვიანი ჰო, კიდევ იყო ვიღაც – ტიცვიანმა მესხიერება დაძაბა – გამახსენდა, შოთა ბზიკაძე, იჯექით და საუბრობდით. ჰო, თითქოს შექსპირზე, ჰო, თითქოს “მეფე ლირზე”, ჰო, თითქოს ცნობილ ფრაგმენტზე ამ ტრაგედიიდან, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს, მაგრამ სინამდვილეში, რეალურად, ნამდვილად თქვენი ბჭობა ადამიანის არსზე, ადამიანის რაობზე, ადამიანის არსებობის საზრისზე ბჭობა იყო. – მირიანს ეჭვმა გაკრა ფრთა, რომ ტიცვიანს ცნობიერებაში ჩაბუდებული უნდობლობა ალაპარაკებდა, უნდობლობა, რომელმაც უსაყვარლესი ჭაბუკი მეგობრების თავშეყრაში და ბჭობაში ორი შრე დაინახა, ერთი შრე ბჭობის რეალური საგანი და მეორე შრე – ბჭობის წარმოსახვითი საგანი. პირველ შრეში ყველა შეკრებილი მეგობარი იყო ჩართული. მეორე შრე, სხვათა დასანახავი და მოსასმენი შრე იყო. უნდობლობა სიცრუითა და უკიდურესი პირმოთნეობით აღსავსე ცხოვრებამ აღძრა ტიცვიანში. ახლა კი მამა მისდა უნებურად ყველაფერს ამ უნდობლობის გადასახედიდან ხედავს. ტიცვიანმა განაგრძო – მე მესმის, რომ თქვენ ასე თავგამოდებით, ასე მეთოდურად, ასე დაუინებოთ ეძებთ ადამიანის ბუნებასა და რაობას. როგორც თავიდან გითხარი და გაგარკვიე, აქამდე რაც ვილაპარაკე, ჩემი სათქმელისათვის მხოლოდ შესავალი იყო, ის შესავალი, რომელმაც გვიჩვენა თუ ვის ველაპარაკები, ვინ არის ჩემი თანამეინახე, იქამდე მივედით, რომ შენი მაძიებელი ბუნება უთუმცო ფაქტია, ისიც ფაქტია, რომ შენი საძიებელი საგანი ადამიანის არსებაა, შენ გინდა იპოვო პასუხი კითხვაზე – ვინ არის ადამიანი? ახლა მე მინდა იმას, რაც ამ ძიებისას შენით მოიპოვე, შენით გააცნობიერე, შენით მიაგენი ერთი და ვუმატო. მე, როგორც ერთხელ კიდევ იგრძნო, რომ მამა ნერვიულობდა, იგი შიგადაშიგ უკვე ნათქვამს უბრუნდებოდა და იმეორებდა, რაც ნერვიულობის აშკარა მაჩვენებელი იყო – ჰო, მე შემეზლო – გააგრძელა უფროსმა იბერმა – ეს საიდუმლო ჯერაც არ მეთქვა შენთვის, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ შენ ადამიანის არსებობის საზრისს, მის რაობას და თვით შენს თავს რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება სწორად გინდა მიაგნო, ჩემი საიდუმლოს გამხელა დაჩქარდა. ეს დიდი საიდუმლოა. ძალზე დიდი საიდუმლოა. მისი გამჟღავნებისათვის უეჭველად სიკვდილით დასჯა მელის, ისევე, როგორც ძველ საბერძნეთში პითაგორას სკოლის საიდუმლოს გაცემისათვის სჯიდნენ სექტის წევრებს. ყველაფერთან ერთად შენ ამ საზოგადოების შვილი ხარ და იმის გაცნობიერება, რომ შენ ამ საზოგადოების შვილი და წევრი ხარ, მკარნახობს: შენ უნდა იცოდე იმ საიდუმლოს შესახებ, რომელიც შენს საზოგადოებაში მოხდა და ხდება.

მირიანის მოთმინების ფიალა პირთამდე იყო მისული. ტიცვიანმა მისკენ მიპყრობილ შვილის მზერაში წაიკითხა, დაინახა თუ ამოიცნო მირიანის მოსალოდნელი მოძრაობა და ხელის აწევით შეაჩერა იგი, თვითონ კი დაწვეული ხმით განაგრძო:

- შენ არ გიკვირს, რომ ამ საიდუმლოს შესახებ არაფერს ამბობს მარიამი? მეც არაფერს მეუბნება მეც! ისე იქცევა, ისე მიჰყვება ცხოვრების მდინარეებს, თითქოს ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. ეს “დიდი საიდუმლო” მაგადანში, პოლიტპატიმართა კოლონიაში ყველამ იცოდა, მაგრამ ყველა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი არ იცოდა. მხოლოდ შიშს, გარდუვალი მოკვდინების შიშს, და დააკვირდი, ყოველგვარი შიში არსებითად აუცილებელი სიკვდილის შიშია, მხოლოდ შიშს შეუძლია ასე ერთპირ დაადუმოს მიღეთის ხალხი. ყოფილა შემთხვევა, როცა თანამოსაუბრისგან ამ საიდუმლოს შესახებ სიტყვის დაძვრას მოველოდი. იგი

იმისთვის იყო ჩემთან მოსული, რომ ამ საიდუმლოზე ეთქვა რამე, მაგრამ შიში ვერ გადალახა, უნდობლობა ვერ ჩაკლა, ვერ ჩაახშო, ვერ მოერია, - ტიცციანი დღემდა - რატომ არაფერს მეკითხები? ისე უსმენ ამხელა ტირიდას, თითქოს შენ არაფერი გეხებოდეს. ჩემი “დიდი საიდუმლო” ყველას ეხება, ყველას ვინც ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრობს, მთელ საზოგადოებას ეხება. მირიანის ცნობიერება უკვე აფორიაქებული იყო. მან ვერ მოახერხა და ვერ შეარჩია მამის საუბარში ჩართვის ყველაზე მოხერხებული, ყველაზე მარჯვე წამი. ვერ ჩაერია საუბარში. ახლა კი მამა თვით ითხოვდა საუბარში ჩართვას.

ტიციანმა განაგრძო:

- ეს “დიდი საიდუმლო” ძალზე მარტივია, მომისიმინჰე - ტიცციანი დაიხარა, სახე მირიანის სახესთან უფრო ახლოს მიიტანა და ასე გააგრძელა საუბარი - მეც, არა, მეც კი არა, ჩვენც, მეც და დედაშენიც უდანაშაულოდ ვიყავით დაპატიმრებულიცა და დასჯილიც . . . უდანაშაულოდ - და მერე ისევ გაიმეორა - სრულიად უდანაშაულოდ, არსებითად უდანაშაულოდ, ჭეშმარიტად უდანაშაულოდ - სიტყვა “უდანაშაულოდ” რამდენჯერმე გაიმეორა და მერე დამარცვლით თქვა - ამის ხმამაღლა თქმა არ შეიძლება, არავისთან გამხელა არ შეიძლება არც ჩემგან, არც შენგან, შენგან, მითუმეტეს და სწორედ ამიტომაც გიზიარებ ამ საიდუმლოს ანუ “დიდ საიდუმლოს”.

მირიანის ცნობიერება იმ მომენტში დაინგრა, როცა მამამ ყურთან მიუტანა ბაგე და როცა ჭაბუკმა სრულიად გარკვევით გაიგონა უდანაშაულოდ დაპატიმრებისა და უდანაშაულოდ დასჯის შესახებ ჩურჩულით ნათქვამი, სწორედ იმ წამში იგრძნო უმცროსმა იბერმა, რომ საყრდენი გამოეცალა და ჰაერში გამოკიდებულივით დარჩა, თითქოს რაღაც გადაბრუნდა, თითქოს რაღაცამ უკუღმა სვლა დაიწყო და არა მხოლოდ ფიქრში, არა მხოლოდ აზრსა და ცნობიერებაში, არამე სინამდვილეშიც. რაღაც აიძვრა. მირიანმა თავს ძალა დაატანა და წამოდგა. იგი ახლა მამის პირისპირ იდგა ტიცციანს სახეშინ შეჰყრებდა. რაღაც კითხვა გააცნობიერა აზრმა, მერე კიდევ სხვა კითხვაც. ბოლოს კი სულ სხვა იკითხა:

- როდის გააკეთე ეს დასკვნა?

- დაპატიმრებისთანავე, აქვე, ჩვენს შუსაბანდში, როცა მილიციიდან მოვიდნენ და მე და დედაშენი წასაყვანად გაგვამზადეს. იქვე გაჩნდა ეს დასკვნა და მერე იგი არ შეცვლილა. ვერაფერმა ვერ შეცვალა, ვერც წინასწარმა გამოძიებამ, ვერც სასამართლო პროცესმა, ვერც მაგდანმა, ვერაფერმა.

- კიდევ ერთიც - მირიანი უსაშველოდ გაღიზიანებული ჩანდა - ამ დანასკვის შესახებ არასოდეს არავისთვის არაფერი გითქვამს?

- გამოძიების დროს ვცადე ჩემი დასკვნის მიმართულებით წარმემართა ძიება, მაგრამ საპასუხო რეაქცია ისეთი არაადამიანური იყო, რომ თავის მართლების ყოველგვარი სურვილი ერთად ჩაკვდა ჩემში, ერთად, სწორედ ერთად ჩაკვდა. წარმოიდგინე ასეთი მდგომარეობა: მე და გამომძიებელი ერთმანეთის პირისპირ ვზივართ. გამომძიებელი საბრალოდ დასკვნის დეტალებზე მელაპარაკება. ის საბრალოდ დასკვნის შეკოწიწებაზე ირჯება, მაგრამ რასაც მას ბრალებს, ვერავითარი არგუმენტით ვერ ასაბუთებს. რომელიღაც პატიმრის ჩვენებაში მე მოხსენიებული ვარ როგორც აჯანყების მომწიფი კომიტეტის იმერეთის ქვეკომიტეტის წევრი. ესაა და ეს. არც პირადი დაპირისპირება, ასეთ ფუფუნებას ვინ მაღირსებდა. ჩვენების ავტორთან ჩემი შეხვედრა ვერ მოახერხეს, ალბათ უკვე აღარ იყო ცოცხალი. მე მის აღსარებაში მოვხვდი და ეს სრულიად საკმარისი გახდა, რათა მე ჩავეთვაღეთ აჯანყების მოწყობის ორგანიზატორთა შორის. არა, მე არ ვიცოდი თუ კომიტეტი არსებობდა, თუ იგი საქმიანობდა, თუ აჯანყება მზადდებოდა. როცა მე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ეფექტური, უფრო სარწმუნო საბუთი მოვითხოვე, გამომძიებელი, რომლის თვალებიდან სატანა

იმზირებოდა, სკამიდან წამოხტა, წინ ამესვეტა და დამარცვლით მითხრა: “თუ შენ შეეცდები შენი სისულელეებით ხელი შემიშალო ანუ გამოძიება შეაფერხო, მან სიტყვა გამოძიებაზე მკვეთრი აქცენტი გააკეთა, მე იძულებული ვიქნები საკითხი დავსვა თქვენი დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის შესახებ.” მერე სულ ახლოს მოვიდა, თვალებში ჩამხედა და მკითხა: “გესმის რა გითხარი?” არაფერი ვუპასუხე. გამომძიებელმა მუქარა გაიმოერა: “გეკითხები, თუ მიხვდი რა გითხარი?” ხელახლა ჩამოვარდნილი დუმილი ისევ გამომძიებელმა დაარღვია: “ნათლად გრძნობ რა გელის?” მხოლოდ ახლა ამოვიღე ხმა: “თქვენ ისე მიგყავთ გამოძიება, უეჭველად უნდა დავიღუპო. ასეთ სიტუაციაში არაფერი არ უნდა ვთქვა? დამტკიცება არ უნდა მოვითხოვო? მე სიმართლეს ვეძებ და მივალწევ!” გამომძიებელმა არაფერი მითხრა. იგი ოთახიდან გავიდა. მცირე ხნის შემდეგ ჩემთან ორნი შემოვიდნენ. ორივე ახმახი, მძიმეწონიანი და დიდმუშტება. შენ თვითონ მიხვდები, იქ რა მოხდებოდა. სასიკვდილოდ მცემეს. როცა ასე რამდენჯერმე განმეორდა, ჩემთვის მთავარი გახდა არა სიმართლე, არამედ თავის გადარჩენა. ერთადერთი გზა მქონდა დარჩენილი. ბრალდება ხელმოწრით დავადასტურე.

ტიციანს თვალები აუწყლიანდა.

შეშფოთებულმა მირიანმა ორივე ხელი მოხვია მამას, მიიზიდა, აკოცა და შეეხვეწა:

- მამა, თუ გიყვარდეს ცრემლი არ დამანახო, ცრემლი არ გინდა!

- კარგი, ჰო, კარგი, არა, არ ვტირი, მაპატიე, შვილო, აგაფორიაქე, მაგრამ რაც გითხარი, უნდა მეთქვა, შენც ამ საზოგადოების შვილი ხარ და მე ცოცხალიც რომ არ დაგბრუნებულყავი, ეს სიმართლე მაინც უნდა გცოდნოდა.

მირიანს გული მოეწურა, მისი თავდაპირველი განცდა უდანაშაულოდ დასჯილი მამის საოცარი სიბრალული იყო. სიმართლე არ მოისმინეს. ტიციანის გულისტკივილი არად ჩააგდეს. მისი მართალკაცობა არ ირწმუნეს! მამა მის ოთახში გაიყვანა, მოასვენა, მაგრამ თავის საძინებელში დაბრუნებულმა თვითონ ვეღარ მოისვენა მირიანმა. მამისაგან შორს გაიზარდა, მაგრამ მშობლების ნათესავებმა და მეგობრებმა იმგვარი იმიჯი შეუქმნეს ტიციანს მირიანის თვალში და ცნობიერებაში, რომ უმცროს იბერს მამის ღრმად სწამდა რაც კი მამის შესახებ იცოდა მირიანმა ყოველივე იმაზე მეტყველებდა და იმაზე მიანიშნებდა, რომ ტიციანს არ მოუსმინეს, მისი არ გაიგონეს და არ გაიგეს. მისი გაგება არ ისურვეს. რა უნდა ჰქნა ადამიანმა იმ ღროს, როცა არ გიჯერებენ, როცა ვერავის შენს სიმართლეში ვერ აჯერებ, როცა შენ არავითარი ალიბი და არგუმენტი არა გაქვს. გულწრფელი აღიარების თუ აღსარების გარდა, გულწრფელ აღიარებასა და აღსარებას კი არავე არ უსმენს, რა უნდა ჰქნა? უნდა შეეგუო ვითარებას? უნდა გადაყლაპო შეურაცხყოფა? თვალი უნდა აარიდო საკუთარი მწვავე ჭრილობებიდან გადმონადენ, გადმოღვრილ თუ გადმომჩქეფარე სისხლს? მირიანს შეენანა მამა, რომელმაც სიცოცხლე არჩია თავის შეწირვას, არჩია იმიტომ, რომ თავის შეწირვა ყველა ვარიანტში უაზრო თავის შეწირვა გამოდიოდა. როცა შენს უდანაშაულობას არად გითვლიან და მაინც გასჯიან-მირიანი აჰყვა და გაჰყვა უდანაშაულობასა და საჯელის სასაზღვრო ასპარეზიდან ააფრენილ ფიქრს, -ეს იმას ნიშნავს – იმავე ფიქრს მიჰყვებოდა მირიანი – ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებობს ისეთი ძალა, რომელიც – ფიქრი აქ წამით შეუჩერდა მირიანს. ამ ფიქრის ფორმულირება არ ხერხდებოდა. ეს კი მთავარი იყო, უნდა გამოკვეთილიყო რა იყო ის ძალა, რომელსაც შეუძლია უდანაშაულო ადამიანის დასჯა – ისეთი ძალა, ისეთი ძალა – ზედიზედ გაიმეორა ცნობიერებამ, რომელიც კანონზე მაღლა დგას. მირიანის ცნობიერებამ შვეებით ამოისუნთქა. ფორმულირება ზუსტი გამოვიდა. უმცროსმა იბერმა გონების თვალი გადაავლო აფრენილ ფიქრს და მერე შეუძცდარად გაიმეორა ის ფორმულირება, რომელიც საზოგადოებაში არსებულ

განსაკუთრებულ ძალას მორგო. – როცა ადამიანს უდანაშაულობას არად უგდებენ და მაინც სჯიან – მირიანი იმეორებდა წელანდელ ნაფიქრს – ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებაში არსებობს ძალა, რომელიც კანონზე მაღლა დგას – ეს გაიმეორა და ამ წინადადებას ზედ გადააბა – სხვას არაფერს და არავის არ შეუძლია უდანაშაულო კაცის დასჯა. მამის სიბრალულიდან საზოგადოებაში კანონზე მაღლა მდგომი ძალის აღიარებამდე მისული მირიანის ცნობიერება დაფრთხა. იგი მიხვდა, რომ სადღაც აკრძალულ ზონაში შეირა, შეიჭრა თუ აღმოჩნდა, მაგრამ ქვეცნობიერი ხმა მირიანს იმასაც კარნახობდა, რომ ამ ზონიდან, აკრძალული და ტაბუდადებული ზონიდან გამოსვლა აუცილებელი იყო, თანაც გამოსვლა არა საერთოდ, არა ზოგადად თუ საზოგადოდ, არამედ და ეს იყო მთავარი, დაუყოვნებლივი გამოსვლა, მირიანი აღძრული იჭვი აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ რეალურად არსებული, მოძრავი, მოქმედი, ცოცხალი გარემო, სოციალური სინამდვილე, უარსაყოფად მაინც არ ემეტებოდა, არა! “არ ემეტებოდა” არ იყო სწორი. უფრო სწორი იყო და იქნებოდა გამოთქმა: “ვრ ემეტებოდა”. ეჭვის გაჩენა თითქოს მოასწავებდა არსებული სოციალური გარემოს გარკვეულ უარყოფას, მაგრამ საბჭოთა წყობილების პირობებში გაზრდილ მირიან იბერს ამის დაშვება არ შეეძლო. მას სწამდა მისი ეპოქის სამართლიანობისა. ღამე გაიწვლა. გარიჟრაჟი აგვიანებდა. ძილდაკარგულმა მირიანმა ბოლოს და ბოლოს ასე გადაჭრა მის წინაშე მდგარი დილემა: ტიციანი მართლაც უდანაშაულოდაა დასჯილი, მაგრამ ამ ფაქტის განზოგადება არ შეიძლება.

მირიანს ფიქრში შემოეპარა განთიადი. წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, სკოლისათვის ემზადებოდა, ცნობიერება კი, რომელიც წუხანდელი საფიქრალიდან ვერ განთავისუფლებულიყო, ისტორიაში ეძებდა ანალოგიებს. ისტორიაში უდანაშაულოდ შეპყრობილ, დატუსაღებულ და უდანაშაულოდ დასჯილთა გახმაურებულ და საყოველთაოდ ცნობილი მაგალითებიდან სოკრატეს მაგალითიც კმაროდა. სოკრატეს ათენში ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომელთა ჩადენა სოკრატეს არც პრინციპულად და არც პიროვნულად არაფრით არ შეეძლო. სოკრატეს მოწინააღმდეგეთა აზრით ბრძენი ფილოსოფოსი შეთხზული ცრუ ბრალდებების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ათენის დალატი ბრალდებოდა კაცს, რომელიც მთელი სიოცხლე სწორედ ათენის ძლიერებისა და ღირსებისათვის იბრძოდა. მირიანს არცერთი მშობელი უდანაშაულოდ დასჯილთა სამაგალითოდ არ ემეტებოდა. აქამდე მივიდა ფიქრი და ისევ აწრიალდა, ამოძრავდა, ამოქმედდა წელან სადღაც გადაკარგული ეჭვი. თუ საზოგადოებაში რომელიმე ძალას უდანაშაულო ადამიანის, პიროვნების დასჯა შეუძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ის ძალაა, რომელსაც ვერაფერი ვერ აკავებს, ვერაფერი, ვერც კანონი. ახლა, აგვისტოს ამ ცხელ ღამეს, ამდენი წლის გასვლის შემდეგ, ომგადახდილმა და ომის შემდგომ ორჯერ ნაპატიმრალმა მირიანმა ნამდვილად იცის, შეუმცდარად შეუძლია დაასახელოს ის ძალა, რომელიც კანონზე მაღლა დგას, მაგრამ მაშინ, ოცდართი წლის წინ ამის გაფიქრებისაც შეეშინდა. მირიანმა შემთხვევითობაზე შეაჩერა თავისი ძიება და სულში აღძრულ ემოციას, სინამდვილის უარყოფელ ემოციას, აელვარებისა და აფეთქების ყველა გზა გადაუკეტა.

უგემურად ისაუბმა. სკოლაში დროულად მივიდა. ყველა გაკვეთილს დაესწრო, მაგრამ არცერთ გაკვეთილზე არაფერი არ გაუგია. ფიქრს ჰყავდა შეპყრობილი. იმ ფიქრს, რომელიც იმ დღეების რესტავრაციას ახდენდა, როცა ჭაბუკი იბერი მშობლების კონკრეტული დანაშაულის გამოკვლევას ცდილობდა. თითქმის მთელი ის დრო, რაც მირიანმა უმშობლებოდ, მამიდას მეთვალყურეობით იცხოვრა, ანუ მთელი მისი ცნობიერი ცხოვრება, რომელიც აზრისა და გონის მონაწილეობით მიიმართებოდა, სულ ამ კითხვაზე პასუხის ძიება იყო. ეს კითხვა უცნაურად ამოხეშებული ჰქონდა. ამ კითხვას ზუსტ

პასუხს კი მას არც სამართალდამცველი ორგანოები უშიფრავდნენ, ვერც მიუხედავად სურვილისა, ახლობლები ეუბნებოდნენ. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობილი და დამყარებული პასუხი არავინ არ იცოდა. ისე, ძიებისას, ათასი რამ იყო შესაძლებელი, რასაც ძიება დანაშაულად ჩათვლიდა. მშობლების კონკრეტული დანაშაული საერთოდ დანაშაულის უფართოეს ასპარეზზე და უსაზღვრო სივრცეზე იყო საძებნი. ამ წარმოდგენლად ვრცელ ასპარეზზე გასულ მაძიებელ სპარაზენს არავითარი ორიენტირი არ გააჩნდა, თუ დანაშაულის კლასიფიკაციის შემდეგ რომელ სფეროში უნდა ეძებნა საკუთარი მშობლების მიერ ჩადენილი დანაშაული. რამდენიმე წელი მოუნდა მირიანის ცნობიერება, რათა დანაშაულის ასპარეზი და სივრცე რაღაც ნაიშნით შემოეფარგლა და საასპარეზო არენა შეემცირებინა. ერთ დღეს მირიანი მიხვდა, რომ ტყუილად ეჭიდებოდა ამ უზარმაზარ დანაშაულებრივ სივრცეს. პოლიტიკური პატიმრისათვის სავარაუდო დანაშაული პოლიტიკურ დანაშაულთა სფეროში იყო საძიებელი. მიხვდა და გადაიხსრია ენციკლოპედიები, დარგობრივი ცნობარები, დაამუშავა სპეციალური ლიტერატურა, მაგრამ მთელ ამ უზარმაზარ მასალებში მოხსენიებული პოლიტიკური დანაშაულებანი ვერ მიუყენა საკუთარი მშობლების ცხოვრების წესსა და საქმიანობას. კონკრეტული დანაშაული ვერ დადგინდა. ვერ მოინახა, ვერ გაირკვა, მაგრამ ეს არ იყო მთავრი. მთავარი მაინც ის იყო, რომ მირიანი მიუხედავად მშობლების კონკრეტული, ზუსტი დანაშაულის არცოდნისა და მათი დანაშაულის ფაქტზე რაღაც სრულიად ბუნდოვანი და აბსურდული წარმოდგენებისა, ტიციანსა და მარიამს მაინც დამნაშავეებად თვლიდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. მას არ შეეძლო სხვაგვარად. ცნობიერებაში მტკიცედ ჩატკედილი ფორმულა, რომ საბჭოთა წყობა ყველაზე სამართლიანი წყობაა ისტორიაში, მირიანს არ აძლევდა იმის ნებას, რომ დაეშვა საბჭოთა მთავრობა ვინმეს, თუნდაც მას მშობლებს უდანაშაულოდ დაიჭერდა და ათი წლით დასჯიდა. მირიანს ეს რწმენა ცხოვრებისა და არსებობის ამოსავალ წერტილად ჰქონდა გადაქცეული. მას უსაზღვროდ სჯეროდა საბჭოთა წყობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადისა. მირიანს, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, ზედმიწევნით გულმოდგინებით ჰქონდა შესწავლილი ამხანაგ სტალინის ცხოვრების გზა. დამუშავებული ჰქონდა ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტი და წაკითხული ჰქონდა ყველა გამოქვეყნებული მასალა სტალინის შესახებ და სწამდა, რომ სტალინი არ დაუშვებდა სრულიად უდანაშაულო ადამიანი ათი წელი გადასახლებაში ჰყოლოდა. არა! ეს შეუძლებელი იყო! შეუძლებელიც და დაუშვებელიც, მაგრამ უფრო მეტად მტკივნეული იყო იმის დაშვება, რომ ტიციან იბერი იცრუებდა! არა! მირიანისათვის ესეც შეუძლებელი იყო! ყველაფერზე მეტად შეუძლებელიც და დაუშვებელიც! ტიციანის ახლობლებმა ტიციანისაგან ისეთი ადამიანის იმიჯი შექმნეს მირიანის წარმოდგენაში, რომ ტიციანს სიცრუე არ შეეძლო! წესით, ტიციანს არ უნდა ეთქვა ისეთი რამ, რაც შვილს მტანჯველი ფიქრისთვის გასწირავდა. იმ ღამით კი, ოცდაათოთხმეტი წლის ნოემბრის იმ ღამით, როცა ტიციანმა შვილს თავისი “დიდი საიდუმლო” გაუმხილა, მან მირიანი მტანჯველ ფიქრებს შეატოვა. ამავე დროს, მირიანის შინაგანი რწმენა საბჭოთა წყობილებისა და სტალინისადმი რაღაცნაირად შეირყა. მაშინვე შეირყა, მაშინვე, როგორც კი შემოფოთებულმა მირიანმა თვალეხსიანებად უხილა მამა ჩაიხუტა, მაგრამ მირიანმა მაშინ, იმ შორეულ ღამეს არ იცოდა, რომ ეს რწმენა პარტიის განუწყვეტელ, ყოვლისმომცველ, ფართო იდეოლოგიურ მუშაობას ეფუძნებოდა და ემყარებოდა. ეს მაშინ არ იცოდა, არც იმ ღამეს, არც მეორე დღეს, სკოლაში, ფიქრის ტყვეობაში გარინდებულმა. ამას შემდგომში მიხვდა მირიანი, შემდგომში, უფრო გვიან, როცა ომის დამთავრების შემდეგ ყოფილი სამხედრო ტყვე ვორკუტაში გადაასახლეს. ნოემბრის იმ ღამით მირიანს მამის მიმართ უღმესი და უაღრესად სათუთი სიბრალული და თანაგრძნობა

დაეუფლა. გულზე რაღაც შემოეხვია სალტედ. ხმა მაინც არ ამოუღია. იცოდა, მამა მეტს არაფერს იტყოდა.

ზუსტად 16 წლის შემდეგ, 1950 წლის შემოდგომაზე, როცა მეორე გადასახლებიდან უკვე მობრუნებული მამა ვორკუტიდან ქუთაისში ჩამოსულ მირიანს შეგება, ტიციანმა შვილს მოაგონა “დიდ საიდუმლოზე” წინანდელი საუბარი და გულში ჩაკრულ გვარის გამგრძელებელს უჩურჩულა “როცა ჩემი “დიდი საიდუმლო” გაგიმხილე, გეგონა მხოლოდ ეჭვებით ვიყავი შეპყრობილი? მაშინ მეტი არაფერი გვითქვამს, მაგრამ უთქმელადაც ვიცი, ამათ მიმართ შენი რწმენა ვერ გავაცამტვერე, მაგრამ შევარყიე. შენს დასკვნებში ეჭვი შევიტანე. ახლა ხომ შენც იცი, რომ “დიდი საიდუმლო” რეალობაა, რომელიც შენზეც იწვნიე. ცხოვრება წინაა, მაგრამ “დიდი საიდუმლოს” გამხელა ახლაც არ შეიძლება. ამის ნებას არავინ არ მოგვცემს, არავინ, არც მე და არც შენ, არც მე და არც შენ”, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ, მირიანის მეორედ დაპატიმრებამდე ტიციანს ამ საკითხზე არაფერი უთქვამს. ამ ამბავს ერთხელაც არ დაბრუნებია. მხოლოდ იმ დღეს, როცა მირიანს მეორედ დასაპატიმრებლად მოაკითხეს და მამა-შვილისათვის ცხადი გახდა, რომ უმცროსი იბერი გაურკვეველი ხნით მიჰყავდათ სადღაც, ტიციანმა, გამომშვიდობებისას, ერთხელ კიევ გაახსენა მირიანს “დიდი საიდუმლოს” შესახებ თავისი ნათქვამი: “მე ნაადრევად გაგიზიარე “დიდი საიდუმლო”. ამ გამხელით შენი სული შეგძარი, შევარყიე, ბოროტი დემონებით ავავსე. ეჭვებით ავაფორიაქე, კომმარული ფიქრების საუფლოდ ვაქციე, მე ეს ვიცოდი, მაგრამ ამ ცოდნამაც ვერ შემაჩერა. ახლა შენ მეორედ მიდიხარ, რათა “დიდ საიდუმლოს” ბოლომდე ეზიარო. ეს “დიდი საიდუმლო” მეტად მარტივია, მაგრამ ამ სიმარტივეს მიღმა მთელი სინამდვილეა, მთელი სისტემაა, მთელი წყობაა, ცხოვრების წესია, სინამდვილისადმი მიმართების მთელი ტენდენცია და მთელი ზნეობაა, ახლა ეს ყველაფერი შენთვისაც ნათელია, მაგრამ ჩვენ, ყველანი, ვინც ეს საიდუმლო ვიცით, ვინც დაჭერების და უსამართლობების მთელი ეს ისტორია ჩვენს თავზე გადავიტანეთ მაინც უნდა ვდუმდეთ, უნდა ვდუმდეთ, რადგან მეორე მხარეს, საწინააღმდეგო მხარეს ჯოჯოხეთური ძალაა, ურჩხულია, რომელსაც ყველაფერი სეუძლია, რომელსაც ჩვენ გამეტებულნი ვყავართ, გავამხელთ საიდუმლოს და ჩვენი განწირულობა რეალობად იქცევა. ამ საიდუმლოს განხილვა და მისი გადალახვა, ე.ი. იმის თქმა, რომ ჩვენს ირგვლივ უსამართლო ქვეყანაა, რომლისთვისაც პიროვნება გროშადაც არა ღირს, შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ამის ხმამაღლა თქმას სახელმწიფო მოინდომებს. ან მხოლოდ მაშინ, როცა ამ სახელმწიფოს დანგრევას ვინმე მოახერხებს. მე სული მტკივა, რომ შენ კვლავ უნდა დაგცილდე. ვინ იცის, ხელახლა დაბრუნებისას ისევ დაგხვდები თუ არა ცოცხალი? მხოლოდ ერთი რამე იფიქრე მირიან. იფიქრე იმაზე, რომ იცოცხლო, რომ გაძლო, რომ გადარჩე. სხვას ვერაფერს ვერ გეტყვი, ნახვამდის, მშვიდობით, უფალმა იცის, მარტო უფალმა – რა გელის. ჩვენზე არ იჯავრო”. და მირიანმა პირველად იხილა ცრემლმორეული, აქვიტინებული მამა. მოხუცმა თავის ნათქვამს კიდევ დაუმატა შემდეგი: “დიდი საიდუმლოს” შემოქმედმა ხელისუფლებას 34-ში, როცა ჩვენ გაგვათავისუფლა, პირველი დიდი შეცდომა დაუშვა. სეცდომა სწორედ ჩვენი გათავისუფლება იყო. მე არ მეგონა, თუ მთავრობა ამ შეცდომას კიდევ გაიმეორებდა. გაიმეორა. 37-38 წლებში დაპატიმრებულთა, მათ შორის ჩვენი, მეორედ დაპატიმრებულთა გათავისუფლება სწორედ პირვანდელი შეცდომის განმეორება, მთავრობის მეორე შეცდომა იყო. ადამიანს, რომელსაც უდანაშაულოდ დააპატიმრებ, აღარ უნდა გაათავისუფლო, ისე კვალი არ დაიფარება. ჩვენი გათავისუფლება ან შეცდომაა ან ავანტურაა. ხელისუფლებას არავისი და არაფრის არ ეშინია. ალბათ, კიდევ დაუშვებენ შეცდომას, ალბათ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს”. ამის შემდეგ მირიანს მამა რარ უნახავს. დედა უფრო ადრე გარდაიცვალა. გადასახლებებმა და შვილზე

განუწყვეტელმა ჯავრმა მას შაქრის ავადმყოფობა შეჰყარა. მირიანის მეორედ გადასახლების შემდეგ მარიამი მალევე გარდაიცვალა. დიაბეტმა დააღწო. მარტოდ დარჩენილი ტიციანი უმწეო მდგომარეობაში ჩავრდა. მაგრამ იგი მაინც უეცრად გარდაიცვალა. მოულოდნელად და უცნაური დაავადებით. ბრმა ნაწლავის უეცარმა შემოტევამ გადაუდებელი ოპერაცია მოითხოვა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა. საავადმყოფოდან გამოწერის წინა დღეს ემბოლიამ შეიწირა ტიციანის სიცოცხლე. მირიანი არცერთი მშობლის დასაფლავებას არ დასწრებია: ვერცერთს ვერ გამოეთხოვა, მათი მოგონება იბერის ცნობიერებაში ყოველთვის ღრმა სინანულით იყო გაჯერებული, მამაც და დედაც აშკარად წარმოადგენდნენ ქვეყნად გაბატონებული უსამართლობის მსხვერპლთ. ამიტომაც ახლდა მათი მოგონების დროს აღძრულ სინანულს უსაშველო და გულისგამგმირავი სევდა.

ტიციანის შემდეგ “დიდი საიდუმლოს” ტაბუდადებული ამბავი მირიანთან მისმა გამომძიებელმა ვლასი ხომერიკმა გაამხილა.

იბერის მეორედ დაპატიმრებისას საბრალდებო დასკვნის წაკითხვის შემდეგ აგზნებული, ნერვებაშლილი მირიანის შემოტევით დაბნეული ვლასი ხომერიკი კონტრ შეტევაზე გადავიდა. მაგრამ მას ამ კონტრშეტევისას თვითონაც არ ჰქონდა გარკვეული ვის ებრძოდა მის წინ აბობოქრებულ ყოფილ სამხედრო ტყვეს, გამოძიებისას აბსტრაქტულად დანახულ უსამართლობას თუ ხელისუფლებას, სახელსაც თვითონ ემახურებოდა.

- შენ მართლა ხომ არ გგონია – მარჯვენა ხელი ცხვირწინ აუქნია მირიანს გამომძიებელმა – იმიტომ გიჭერენ, რაც მართლა ჩაიდინე, რაც მართლა გააკეთე დატყვევებამდე თუ ტყვეობისას. ვის აინტერესებს შენ მიერ ჩადენილი საქმეები. იცი რატომ გიჭერენ? მეორედ დაპატიმრებენ თუ პირველად, ახლა ეს სულერთია, იმიტომ, რომ თქვენ, შენ და შენმა თაობამ ბევრი რამ ნახეთ ევროპაში ისეთი, რაც ჩვენგან განსხვავებულია, ჩვენი საპირისპიროა და ჩვენვის მიუღებელია. მე ახლა რასაც გეუბნები, იმიტომ კი არ გეუბნები, რომ გული გაგიხეთქო, არა, ამიტომ არა, არც იმას ვცდილობ ჩემზე შემოტევისათვის, ჩემზე იერიშისათვის შური ვიძიო. არა, არც ესაა მთავარი. შენ სიმართლეს მიხვდი და მეც სიმართლეს გეტყვი. გესმის რასაც გეუბნები – პირდაპირ შეხედა და მირიანს სახეში შეჰყვირა ხომერიკმა – თქვენ, ყველანი, ვის საქმესაც ახლა ვიძიებთ და ვიკვლევთ – განწირულები ხართ, გესმის რა გითხარი? თქვენ ვერცერთი ვერასოდეს ვერ გამოხვალთ, ვერ გააღწევთ ციხეებიდან და კოლონიებიდან, ბევრი რამ იცით და იმიტომ. ბევრი რამ იცით და რაც მთავარია, ის იცით, რომ არაფერი არ დაგიშავებიათ. როგორ გგონია ამის ცოდნის შემდეგ შეიძლება თქვენი სიცოცხლე? თქვენი თავისუფლება? თქვენი მობრუნება საზოგადოებაში? არა და არა. ჩვენმა ქვეყანამ ყველაფერი ის, რაც ახლა თქვენს თავზე ხდება შეიძლება მხოლოდ ჭორად იცოდეს, დაუჯერებელ ამბად, ტყუილ-მართლის ზღვარზე შეიძლება იცოდეს. იგი სიმართლეს ვერასოდეს ვერ გაიგებს.” “შენ უკვე დაარღვიე ამ საქმეზე დადებული ტაბუ. თანაც მე მითხარი უღმობელი სიმართლე. არ გეშინია? – ჩაეკითხა მირიანი გამომძიებელს, მერე უფრო დაუკონკრეტა – საერთოდ კი არ გეკითხები, ჩემი არ გეშინია?” ვლასი ხომერიკი არც დაფიქრდა, ისე უპასუხა: “ჰო, ცხადია პრინციპში შენ შეგიძლია თქვა, დამაბრალო, დამასმინო შენთან ამის თქმისთვის, მაგრამ მე სამი რამ მაიმედებს, ჯერ ერთი ის, რომ არ დაგიჯრებნ, მით უმეტეს რომ მე შენი საქმე მიმყავს როგორც გამომძიებელს, მეორეც ის რომ ჩემი დასჯა შენ პირადად არავითარ შეღავათს არ მოგცემს, მესამეც ის, რომ შენ თვითონ წვდები, ხვდები ჩემს სიმართლეს, ჩემს სიმართლეს იმ გაგებით, რომ მართლეს გეუბნები. ერთი სიტყვით ეს სიმართლე ისაა, რომ თქვენ განწირულები ხართ.

არავის არასდროს ტიციანთან მის დიდ საიდუმლოზე პირველი საუბრის შემდეგ არ უთქვამს მირიანისათვის ასეთი სიმართლე.

იბერი თვითონ მიიღტვოდა ამ სიმართლისაკენ, მაგრამ სიმართლე, მაინც თავზარდამცემი იყო.

ეს სიმართლე წარმოადგენდა იბერის ურწმუნობის წყაროს, ამოსავალსა და სათავეს.

“არ შეიძლება გაგვანთავისუფლონ, რადგანაც ეს ნიშნავს ვიზის მიცემას “დიდი საიდუმლოს” გამჟღავნებაზე. ასეთ ვიზას კი, სანამ ეს წყობა არსებობს, სანამ ეს მთავრობა ფუნქციონირებს არავინ არავის არ მისცემს”. ეს ძირითადი არგუმენტი დრო და დრო, ჩაღრმავებული ფიქრის ასეთ სახეს იღებდა: “ისევე როგორც მამაჩემმა, ჩვენც, რუსთავის კოლონიის მკვიდრებმაც, პიროვნულად ყველამ ვიცით, სათითაოდ ვიცით, ჩვენთვის ვიცით ეს “დიდი საიდუმლო”, მაგრამ მისი ხმამაღლა თქმის უფლება არცერთს არა გვაქვს. ამ “დიდ საიდუმლოს” ვეჭო ადევს და ამ აკრძალვის დარღვევა არ შეიძლება. არავინ არ დაუშვებს ამას. ეს მთავრობის მიერ საკუთარი წარსულის მხილება იქნება, წარსულისა და დანაშაულისა, დანაშაულისა და ბოროტებისა. ამიტომაცაა ჩემი თაობა განწირულთა თაობა. ჩვენ აქედან ვერასდროს ვერ გავაღწევთ, ჩვენი აღსასრული აქ დადგება. ეს ყველაზე უფრო ლოგიკურია და გარდუვალიც”. სწორედ ამიტომ ვერ იწამა მირიან იბერმა ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ჭორად დარხეული ხმა პოლიტპატიმართა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ. ამ პირველი ჭორის შემდეგ წლები გავიდა. ცხოვრებ აისევ ძველი კალაპოტით მიედინებოდა. ამინისტია, რომელიც მთავრობამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, უმაღლვე გამოსცა, პოლიტპატიმრებს არ ეხებოდა. მერე, როცა სტალინის პიროვნება, მისი პოლიტიკური გეზი, პარტიისა და სახელმწიფოს მართვის მისი მეთოდები. პარტიის მე-20 ყრილობაზე საჯაროდ გააკრიტიკეს, პოლიტპატიმრებს თითქოს რეალური იმედი მიეცათ, მაგრამ განვლილმა დრომ ეს იმედიც არაერთხელ დაამსხვრია. იბერმა არც ამ გაზაფხულზე ოფიციალურად გამოცხადებულივერსია დაიჯერა იმის თაობაზე, რომ ლაგერებიდან ტუსადთა განთავისუფლება ამ წელს არ გადაცდებოდა. უნდო და ურწმუნო გონება ახლოს არ იკარებდა არცერთ ამ ცნობას. მირიანის განწყობა და ფიქრი ისევ უიმედო იყო. “ნუთუ საბჭოთა წყობილების ნგრევა იწყება? – თავისთავს ეკითხებოდა და პასუხისთვის ვერ მიეგნო ყოფილ სამხედრო ტყვეს – თუ კი, მაშინ შეიძლება გასაგები იყოს ეს ხმებიც და ეს ფაქტიური მზადებაც პატიმართა განთავისუფლებისათვის, თუ არა- მაშინ ეს ვაი-უშველებელი და აჟიოტაჟი ფანტაზიის მორიგი აღზევებაა და ახალი ბლეფი.” უნდობლობა და ურწმუნობა უკვე თვითგვემის ზღვარზე იყო მისული, თვითგვემისა და თვითწამების ზღვარზე. ბოლო დღეების ფუსფუსს იბერი გულგრილად უყურებდა. ამ ფუსფუსმა ბოლოს მაინც დააფიქრა მირიანი და გუშინ, შუადღისას კოლონიის უფროსთან შესვლა ითხოვა. პოლკოვნიკმა მიიღო პატიმარი. კოლონიის უფროსი მის კაბინეტში ტუსადის შესვლისთანავე კითხვის ნიშნიად იქცა.

- მე მხოლოდ ერთი წამით შეგაწუხეთ, სულ ერთი წამით – მირიანი შესამჩნევად ღელავდა – თუ შეიძლება კითხვით მოვმართოთ?

პოლკოვნიკმა თავი დაუქნია.

-მართლა გვიშვებთ?!

-მირიან – ორივე ხელი ზეადმართა კოლონიის უფროსმა – ვერ გავიგე რას მეკითხებით, რას ჰქვია მართლა? ხომ გამოგიცხადეთ ორი კვირის წინ, და ეს გამოცხადება ყველა ფორმალობის დასრულების შემდეგ მოხდა – ოჯახისთვის შეგეტყობინებინათ, რომ აგვისტოს ბოლო შაბათს განთავისუფლებენ. ეს ბოლო შაბათი ხვალაა. თქვენ რა, მაინც არ გჯერათ?

მირიანმა მადლობა გადაუხადა პოლკოვნიკს და კოლონიის უფროსის კაბინეტი დატოვა.

ეს იყო გუშინ შუადღისას . . . სწორედ გუშინდელ შუადღეს მოჰყვა ფიქრის მკვეთრი გრადაცია და მეტამორფოზა. სწორედ ამიტომ იყო, რომ

პოლიტიკატიმრის ახლანდელი ფიქრი მხოლოდ ფიქრი-განსჯა კი არ იყო, არამედ ფიქრი-ოცნებაც. ამ შუალამის ფიქრი მარტო გარდასულ დღეებს, უკვე ჩავლილი დღეების ხდომილებების მიზეზებს კი არ უღრმავდებოდა და ადრე ათასგზის გაკეთებულ დასკვნებს ხელახლა კი არ იაზრებდა და ამოწმებდა, არამედ ამდენი ხნის შემდეგ ისევ ამოძრავებულ, ფუნქციონირებულ წარმოსახვაში ამოტივტივებულ, ამოზრდილ თუ ამოტივტივებულ ხვალინდელი სინამდვილის კონტურებსაც აფერადებდა უმკვეთრესი, გამჭვირვალე და ნათელი სადებავებით. სიცხისაგან დახუთულ და სუნთქვა დახშულ საკანში ჩაფლული იმ ფაქტში, რომ მის ცნობიერებას ოცნება თუ ოცნებაც შეეძლო, მკაფიოდ ხედავდა მის ცხოვრებაში რაღაც ახლის რეალურ შემოჭრას. სწორედ ეს ჰქმნიდა იმ ნიუანსს, რითაც ეს ღამე, როგორც ფილოსოფოსები იტყვოდნენ აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გადასვლას ეს წინა ღამე, განსხვავდებოდა ყველა იმ ორიათას ორმოცდათორმეტი ღამისაგან, რომლებმაც მას შემდეგ ჩაიარეს, რაც უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა კომისიამ მირიან იბერს ოცდახუთწლიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანა და მდუმარე, მაგრამ შინაგანი პროტესტითა და პასუხგაუცემელი კითხვებით შეძრული ყოფილი სამხედრო ტყვე ამ უსახურ საკანში შეასახლეს. სხვა მხრივ ეს ღამეც ზუსტი განმეორება და ზედმიწევნითი ასლი იყო იმ ღამეებისა, რომლებიც იბერმა რუსთავის კოლონიაში გაატრა, არა, კი არ გაატარა, ამ ჯოჯოხეთში გადაიტანა.

ზუსტი განმეორება და ზედმიწევნითი ასლი.

წუხელაც შებინდა თუ არა კოლონიის საგუშაგე კოშკების ზეთავებზე აღმართული პროექტორები, რომლებსაც პატიმრები “ლაგერის ციციანთელებს” ეძახდნენ, ვიღაცის უჩინარმა ხელმა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, დაკანონებული და მოწესრიგებული რიტმის მიხედვით აანთო. იბერის საკნის პირდაპირ აღმართულ კოშკზე აელვარებული პროექტორის დისკო, რომელიც ახლა, ამ შუალამისას, მირიან იბერის საკნიდან, გისოსიანი ფანჯრის მიღმა, უჩვეულო სიბნელის ფონზე ციკლოპის ცეცხლოვანი თვალივით მოსჩანს, მავთულხლართებით შემოსაზღვრულ ვრცელ კვადრატში ფანტასტიკური სინათლის ნაკადით შემოუძღვა “კოლონიის ღამეს”. ექვს წელზე მეტია მირიან იბერის თვალწინ დღენიადავ, წელიწადის ყოველ დროსა და ყოველგვარ ამინდში დაურღვევლად მეორდება ბანაკის პირველი საგუშაგოს თავზე დამონტაჟებული შუქურის ცხოვრების მარტივი, მაგრამ სრულიად მოწესრიგებული რიტმი.

შებინდებისას პროექტორის დისკის ისიფრად ვარვარდება და ვეებერთელა, წავრძელებულ სამკუთხედად ეფინება მავთულხლართებით შემოღობილ აკრძალულ ზონას. გარიჟრაჟზე ციკლოპის თვალი თანდათან იშრიტება, იისფერი ბაცდება, სამკუთხედი ნელნელა მოკლდება, აისის ნათელში იკარგება და ქრება. “კოლონიის ღამე” ზუსტად ამ უცვლელი და ზუსტად განმეორებადი ციკლის გამო, შუქურის ყოველ ანთებაზე, მირიანის ცნობიერებაში ხშიანდება ძველი ბერძენი დიალექტიკოსის, ჰერაკლიტეს ფრაზა: “სამყარო იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება.” ჰერაკლიტეს ეს ცნობილი თეზისი იბერის ცნობიერებაში ანაზღად ამოტივტივდა რუსთავის კოლონიაში მოყვანიდან სულ მცირე დროის გასვლის შემდეგ. პოლიტიკატიმარმა შემდეგ გაიაზრა, რომ დიალექტიკის ფუძემდებლის ეს ფრაზა მესხიერების მორვეიდან ამოზიდა სულის უსაშველო ტკივილმა, შექმნილი გარემოებისადმი და ვითარებისადმი უსაზღვრო პროტესტმა და საკუთარი უმწეობის შეგნებიდან ამოტყორცნილმა დაუოკებელმა ბოღმამ, ტკივილმა, პროტესტმა და სულზე მაჯლაჯუნასავით დაწოლილმა ბოღმამ ამოზიდა თუ ამოაგდო მესხიერებიდან, როგორც ამ ფრაზაში მოქცეული შინაარსის სრული უარყოფა. მანამდე, მთელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე, ფილოსოფიის ფაკულტეტის პირველკურსელი მირიანის მიერ ამ ფრაზის პირველი გაცნობიდან

ტყვეობაგამოვლილი იბერის რუსთავის კოლონიაში მოყვანამდე ჰერაკლიტეს ეს თეზა სადღაც იყო ჩაკარგული პასიური ცნობიერების ფსკერზე. სავლემ წერეთელს, რომელმაც ანტიკური ფილოსოფიის კურსში ზედმიწევნითი სისრულით გააცნო სტუდენტებს საერთოდ ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფია, კერძოდ კი ეს ცნობილი თეზისი, ჰერაკლიტეს ამ მოსაზრებისადმი ემოციური დამოკიდებულება არ გამოუხატავს. მან მხოლოდ ჰერაკლიტეს ამ ცნობილი თეზის შინაარსის შემეცნებითი ღირებულება დაახასიათა და შეეცადა მისთვის სპეციფიკური ადგილი მოენახა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მაშინ, და არც შემდეგ. არც მირიანს გასჩენია ჰერაკლიტეს ამ კონკრეტული თეზისისადმი ემოციური დამოკიდებულება. რუსთავის კოლონიაში სასჯელის მოსახდელად მოყვანის შემდეგ, ყოველ საღამოს პროექტორების დისკების აელვარების შემყურემ, ომის, ტყვეობის, პირველი გადასახლებისა და მეორე სასამართლოს გადაბტანმა სწორედ იმ საღამოს, როცა დალი ძმა პირველად ეწვია კოლონიაში და დალის გადაკარგვის ამბავი მიუტანა ყოფილი ოფიცრის ცნობიერებამ, წლების მანძილზე ნაგროვებმა ბოლმამ, პროტესტმა და ტკივილმა ყოველგვარი წინასწარი შემზადების გარეშე, ძეხნის გარეშე მეხსიერების მორვეიდან ამოსტყორცნა და უმძაფრესი ირონიით გახშიანდა ჰერაკლიტეს ფრაზა. “ ირონიის ობიექტი კი ყველაფერი ერთად იყო: მირიან იბერის ცხოვრებაც, მისი პირადი პიროვნული გამოცდილებაც, მთელი გარემომცველი სინამდვილეც და ჰერაკლიტეს თეზისიც. ჰერაკლიტეს ენაზე ეს თეზისი იმის სიმბოლური გამოხატულება იყო, რომ სამყაროში, მრავალფეროვან ბუნებაშიც და ადამიანთა სინამდვილეშიც ყველაფერი კანონზომიერად იყო მოწყობილი და მოწესრიგებული, რაც ხდებოდა, ყველაფერი აუცილებლობით და გარდუვალის ძალით ხდებოდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. მირიან იბერის ცხოვრება, მის ირგვლივ გამეფებული სოციალური სინამდვილე, მთელი მისი პიროვნული გამოცდილება, წარსული, რომლის გმირსაც თვითონ წარმოადგენდა, არ ეთანხმებოდა, არ უთავსდებოდა, ვერ ადასტურებდა და ვერ ამტკიცებდა ჰერაკლეს ზოგად ამოსავალ პრინციპს თუ განზოგადებულ დასკვნას. არაფერი, მირიან იბერის ცხოვრების არცერთი ფაქტი, არცერთი საფეხური, არცერთი დეტალი არ ადასტურებდა ჰერაკლიტეს თეზისის ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას. არც მისი მშობლების პირველი დაპატიმრება, არც ტიცინანის მეორედ გადასახლება, არც მშობლების გარეშე ობლობაში გატარებული ბავშვობა, არც ამ ვაი-უშველებელი ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში გაღებული წლები, არც ვორკუტის კოლონიაში გატარებული პირველი ტუსაღობა, არც უნებლიედ მიტოვებული ასპირანტურა, არც დალი ამაშუკელთან სხვისი ნებით შეწყვეტილი ურთიერთობა, არც . . . მირიანი ვერცერთ ამ ხდომილებაში ვერ ხედავდა კანონზომიერების გამოვლენას, არცერთს არ ესვა გარდუვალობის დამლა და ბეჭედი. ხანდიცან ეჩვენებოდა, რომ მთელი მისი ცხოვრება არაკანონზომიერი და შემთხვევით მოვლენათა თანმიმდევრობაა, არა, თანმიმდევრობა არა, რადგანაც თანმიმდევრობა შინაგან კანონზომიერებას როგორღაც გულისხმობს და მის ბაზაზე იშლება, არა, მისი ცხოვრება შემთხვევით მოვლენათა გროვა იყო. პოლიტპატიმრის მიერ განვლილი გზა ჰერაკლიტეს თეზისს მხოლოდ ეჭვქვეშ არ აყენებდა. მას მხოლოდ სადავოდ კი არ ხდიდა, არამედ მის სრულ, აბსოლუტურ უარყოფას წარმოადგენდა.

კოლონიის ყოველი მწუხრის შემდეგ პროექტორის ყოველი ანთებისას ჰერაკლიტეს თეზისის განმეორება ტუსაღისათვის ერთგვარ ჩვევად, არა, ჩვევად კი არა, რიტუალად, ყოველდღიურ, სანიადაგო და უთუოდ შესასრულებელ რიტუალად იქცა. ამ სიტუაციის აღსრულებისას ჰერაკლიტეს თეზისს ერთად ანვითარებდა ირონიაც, სინამდვილეში გულისწყრომაც და ზიზღიც, დაუსრულებელი, უსაშველო და უსაზღვრო ეჭვიც. ლაგერში მოყვანიდან ერთი წლის შემდეგ, შუაღამის აფორიაქებულ და ბოლმიან

ფიქრისას, მირიანმა ისიც კი დაასკვნა, რომ უთუოდ ფატალურად გარდუვალი და ამდენად, აუცილებელი და კანონზომიერი იყო მისი მეორედ დაპატიმრებაც და სწორედ აქ, რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიის ამ ნახევრადბნელ, კედლებჩაშავებულ საკანში, ამ მორყეულ ნარზე, უძილოდ, თვალგახელილად და ჯოჯოხეთურ, აბსურდულ, არეულ, აწეწილ, დაუსრულებელ და დაულაგებელ ფიქრებში გატარებული ღამეებიც, რათა საგუშაგო კომისის პროექტორის ყოველდღიურ ციკლზე დაკვირვებით მოპოვებული ემპირული მასალით განმტკიცებულყო ეფესელი ფილოსოფოსის ხატოვანი თეზისი. ყოფილ სამხედრო ტყვეს ამ ექვსკაციან საკანში, ამ ვიწრო და მოუხერხებელ ნარზე გათენებულ, აფორიაქებულ, გაბოროტებულ და სასოწარკვეთილ ღამეებში მისი მეორედ დატუსაღების უფრო დამაჯერებელი და საფუძვლიანი საბუთისათვის, უფრო გამართლებული მოტივისა თუ მიზეზისათვის ვერ მიეგნო. ისე მიუსაჯეს ოცდახუთწლიანი პატიმრობა, ისე გამოამწყვდიეს მავთულხლართებით შემოღობილ კოლონიაში, ისე დააცილეს ქვეყანას, აფერადებულ სინამდვილეს, თავისუფლებასა და სიყვარულს, რომ ვერც სახელმწიფო ბრალმდებელმა, ვერც სასამართლო კოლეგიამ, ვერც საკუთარმა შინაგანმა ხმამ რაიმე კონკრეტული, რეალური და ხელშესახები დანაშაული ვერ დაუღასტურეს და ვერ დაუმტკიცეს.

მაგრამ. . .

სწორედ ეს “მაგრამ” აწამებს მირიან იბერს იმ დღიდან, რაც სინამდვილის კანონზომიერების ჰერაკლიტესეული თეზისის უარყოფამდე მივიდა. ეფესელი ფილოსოფოსის თეზისის პირველ უარყოფით გააზრებისთანავე მირიანი მიხვდა, რომ გაულწიველი და გადაულახავი შლაგბაუმის წინაშე იდგა. საკუთარი უმწეობა და მაჯლაჯუნად მოვლენილი ბოღმა ფაქტებს ძალას ატანდა, ფაქტებსაც და საკუთარ წარსულსაც და ახლანდელ მდგომარეობასაც. ყველაფერი არაკანონზომიერად მოხდა მის ცხოვრებაში, ყველაფერი, გარდა ერთისა, გარდა უმთავრესისა, გარდა არსებითისა, იბერის ცნობიერებას დალი ამაშუკელთან პირველი მოულოდნელი და უცაბედი შეხვედრა ბათუმში, შემდეგ ამ ქალიშვილთან დაახლოება და უსაზღვრო სიყვარული ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ სამყაროს კანონზომიერებაზე ჰერაკლიტეს თეზისი აბსოლუტურად სწორი და სამართლიანი იყო, არა! კი არ ეჩვენებოდა, არამედ ამ თეზისს ჭეშმარიტად და სამართლიანად თვლიდა. სწორედ ამიტომ ექცა მირიანს ჰერაკლიტეს თეზისი წამებად. ჰერაკლიტეს თეზისი იბერის ცნობიერებაში აბსოლუტურად ყალბსა და აბსოლუტურად სწორს შორის გადაჭიმულ დიდ ამპლიტუტაზე ირხეოდა. მირიანის მთელი ცხოვრებიდან ჰერაკლიტეს მხარეზე მხოლოდ დალი ამაშუკელი იდგა. მხოლოდ დალი, ულამაზესი და უჭკვიანესი დალი, მარტოოდენ იგი იყო გამონაკლისი, მაგრამ ეს ისეთი გამონაკლისი იყო, რომლის არც იგნორირება და არც გამონაკლისად მიჩნევა იბერს არაფრით არ შეეძლო. ამის გაფიქრებაც კი მირიანის მთელ არსებას ანგრევდა და არარაობად აცხადებდა.

დალი ამაშუკელი მისი ბედისწერა იყო.

ხვალდან იგი ისევ და ალბათ, სამუდამოდ მის ბედისწერასთან იქნება.

ხვალ ხელახლა დაიბადება, უკვე მეოთხედ და ალბათ, უკანასკნელად.

დალისთან პირველი შეხვედრა 1937 წლის ზაფხულში მოხდა.

ბათუმამდე მირიანი ტიციანის მიერ მოფიქრებულმა მოგზაურობის გეგმამ მიიყვანა.

ოცდაჩვიდმეტი წლის ყოველი გახსენება ორსახიანი იანუსის ჩვენებასთან ასოცირდება მირიანის ცნობიერებაში. თებერვლის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინმა აჩვენა, რომ იმდროინდელი ტროცკიზმი წარმოადგენდა ტროცკიზმის ახალ ისტორიულ საფეხურს. ამ საფეხურზე ოდესღაც პარტიის შიგნით იდეურ მიმდინარეობად წარმოშობილი და ფორმირებული ტროცკიზმი გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და

სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებრივად მოქმედ მიმდინარეობად. ამიტომ, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამ ეტაპზე უნდა წარიმართოს ახლებური მეთოდებით: ტროცკიზმის, როგორც კლასობრივი მტრის ამოძირკვის მეთოდით, ტროცკისტების პრაქტიკული მოსპობის ამოცანით. სტალინმა მოახერხა ქვეყნისათვის დაესაბუთებინა ტროცკიზმის განადგურების ამოცანის სამართლიანობა.

მაგრამ იანუსის მეორე სახეც 37 წელია. თუ სტალინის გამოსვლის შემდეგ ეჭვი არ რჩებოდა, რომ იდეური დაპირისპირებიდან პრაქტიკულად მტრულ საქმიანობად გადაქცეული ტროცკიზმის განადგურება მართებული იყო, პარტიისა და სამართალდამცავი ორგანოების ამ მხრივ მუშაობის ძალზე გაფართოებამ დაბადა ეჭვი ამ მუშაობის სამართლიანობაში. მირიანს ახლაც ახსოვს მამასთან საუბარი ოცდაჩვიდმეტი წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ რაც ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტიცციანის დეიდაშვილის თამარ აბაშიძის მეუღლე დავით ბეროძე დააპატიმრეს. მირიანი მამის წინ იდგა ქუთაისის სახლში, ზალაში და ისედაც აღშფოთებულ და ანერვიულებულ ტიცციანს ეუბნებოდა: “როგორ დავიჯერო, რომ ასეთი ფართეა დამნაშავეთა წრე, რომ ქვეყნად ამდენი მტრული დაჯგუფება არსებობს, “დიდი დანაშაული” რაღაც საყოველთაო მოვლენა ხდება. მე ვერაფერს ვიტყვი დათიკო ბეროძის დანაშაულის შესახებ, იგი შენი ახლო მოყვარე და ახლოკაცი იყო, ამ ქვეყნად სიამისა და სიყვარულის მეტი არაფერი დაუთესია. კარგი, დავითის შესახებ არაფერი არ ვიცი და შეიძლება ჩავთვალო, რომ მას რაღაც უკუღმართულის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ჩემი პროფესორი შალვა ნუცუბიძე, მუდამ საქართველოს ბედზე დაფიქრებული კაცი, გასაოცარი განათლებისა და გასაოცარი თვისებების მქონე პროფესორი, მკვლევარი და მოაზროვნე, ის ხომ მაინც ვიცი, რომ მას არაფერი შავბნელი აქტის ჩადენა არ შეეძლო, ვერავითარი ტერორისტული აქტის შესრულებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. როგორ ვირწმუნო, რომ მისი დაპატიმრება სამართლიანია?” მამამ მხარზე მოუთათუნა ხელი მირიანს, “კარგი, დაწყნარდი” – უთხრა და აკოცა – “ერთი რა მაწუხებს, ის მაწუხებს, რომ მე უეჭველად მომაკითხავენ, არ შეიძლება, მე, ერთხელ პოლიტიკურზე გადანასახლები კაცი, ახლა მოუკითხავად დამტოვონ.”

ეს საუბარი გვიან იყო, ოცდაჩვიდმეტი წლის მეორე ნახევარში, მანამდე კი, იმავე წლის მაისში, თბილისიდან ჩამოსულმა მირიანმა მამას გამომძიებელთან მისი შეხვედრის შესახებ უამბო. სწორედ ამ ნაამბობმა უბიძგა ტიცციანს ვაჟიშვილის მოგზაურობა დაეგეგმა, რასაც ბათუმის საბედისწერო შეხვედრა მოჰყვა.

მირიანი ვაკის სტუდქალაქში, მეშვიდე კორპუსში ცხოვრობდა. შემოსასვლელიდან მარჯვნივ, მესამე ორკაციან ოთახში. მაისის იმ წყნარ, თბილ და ამო საღამოს მირიანი ოთახში მარტო იყო, მეცადინეობდა. დაახლოებით 8 საათზე კარზე კაკუნი გაისმა. მირიანმა კარი გამოაღო. გამოღებულ კარში მილიციის კაპიტანი იდგა, ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი და სასიამოვნოდ გამოწყობილი, მოწესრიგებული კაცი. სტუმარი მირიანს თავის ქნევით მიესალმა, მიპატიუებას არ დალოდებია, კარის ზღურბლზე გადმოაბიჯა და შუა ოთახში საწერ მაგიდასთან დადგა.

- გამომძიებელი გვანცელაძე – თქვა ახლადმოსულმა და ჯიბიდან ამოღებული წიგნაკი დაანახა მირიანს – შეიძლება დავჯდე? – იკითხა, მაგრამ პასუხისთვის არ დაუცდია, მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია, დაჯდა, მერე მირიანს ახედა – დაჯექით – უთხრა და მაგიდის მეორე მხარეს მიდგმულ სკამზე მიუთითა, მირიანი შემკრთალი და შემცბარი მზერით შეჰყურებდა სტუმარს. სანამ მასპინძელი დაჯდებოდა, კაპიტანმა ისევ ამოხედა და ჰკითხა – ხომ არ შემეშალა, ხომ იბერი ბრძანდებით? თუმცა მე არ შეიძლება რომ შემეშალოს. მირიან იბერი . . . – მირიანმა თავი დაუქნია.

-დიახ! გისმენთ – თქვა მასპინძელმა, თან სკამი გამოსწია და დაჯდა.

ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

- მე ანანია მქვია. ანანია გვანცელაძე. საბჭოთა გამოძიებლები, განსაკუთრებით პარტიის თებერვლის პლენუმის შემდეგ შემთხვევით არსად არ მივდივართ. არა! არავისთან, შემთხვევით არავისთან არ მივდივართ. შენ ფილოსოფიურზე სწავლობ და შემთხვევითობის რაობის ახსნა და გაშიფრვა არ გჭირდება. მოვედი სწორედ აქ, სწორედ თქვენთან და სწორედ ამ დროს, ე.ი. იმ დროს, როცა უნდა მოვსულიყავი. არ შეგეშინდეთ, არ აფორიაქდეთ, მშვიდად იყავით, თქვენთან მოვედი, მაგრამ არა პირადად თქვენი საქმის გამო, უფრო სწორედ და გასაგებად, არა თქვენი დანაშაულის გამო – კაპიტანი დადუმდა. მირიან მხერას არ აცილებდა – ვიცოდი, რომ ამ დროს – თან საათს დახედა – ბინაში რომ მარტო იქნებოდით, ეს სწორედ მოხერხებული დროა. არ აღელდეთ – მაგიდაზე ხელი დააბჯინა და სკამზე შესწორდა გვანცელაძე.

- არ ვლელავ – თქვა იბერმა.

- დელავთ – კაპიტანმა ხაზგასმულად წარმოთქვა ეს სიტყვა – მე წედან ხომ ვახსენე “თებერვლის შემდეგ” მეთქი. არ შეიძლება არ დელავდეთ ისეთი დინჯი, წიგნიერი და ჭკვიანი ახალგაზრდა, როგორც ჩემი მონაცემებით თქვენ ხართ, არ შეიძლება არ დელავდეს, ქვეყნად დატრიალებული ამბები გაიძულებს, რომ ჩემმა სტუმრობამ აგაღელვოს. თქვენი მწირი ბიოგრაფია ზედმიწევნით, აბსოლუტური სიზუსტით ვიცი. ჩვენ ისე ვაკვირდებით ადამიანების ბიოგრაფიებს, მათ ნიუანსებს, მათ დეტალებს, როგორც ვარსკვლავთმრიცხველნი ტელესკოპით ციურ სხეულებს ან ბიოლოგი მიკროსკოპით მიკროორგანიზმებს. ვარსკვლავებზე და მიკროორგანიზმებზე თვალის მიდევნება, მიყურადება თუ თვალთვალი გაცილებით იოლია, ვიდრე ადამიანზე და მათ ბიოგრაფიაზე დაკვირვება, მათი ანალიზი და აქედან დასკვნების გაკეთება. ისინი, ციური სხეულები და ცოცხალი მიკროორგანიზმები ისე იქცევიან, როგორც იქცევიან ან როგორც უნდა იქცეოდნენ, არაფერს არ ფარავენ, არაფერს არ მალავენ, არაფერს არ ნიღბავენ, არაფერს სახეს განგებ არ უცვლიან, არაფერს სხვაგვარად არ წარმოგვიდგენენ, არაფრის გამო არ თვალთმაქცობენ, - მირიანი, მისდა უნებურად უკვე ყურადღებით უსმენდა კაპიტანს – ამიტომ და სწორედ ამიტომ მათზე დაკვირვება ადვილია ან შედარებით ადვილია. მაგრამ ადამიანები? მაგრამ ადამიანებზე დაკვირვება? თქვენ ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობთ. მეც ფილოსოფიური დავამთავრე ოდესღაც. და ალბათ, არა, ალბათ კი არა, უეჭველად იცნობთ ჰეგელის მოსაზრებას გონების ცბიერების შესახებ. ოო, ეს მოსაზრება ერთ-ერთი უბრწყინვალესი პასაჟია ჰეგელის მოძღვრებაში. ჰეგელი ხომ უკუსაგდებია, გასანადგურებელია. გასაკრიტიკებელია და ასეც ვექცევით თქვენ იცით, ჯერ მარქსი, შემდეგ ლენინი როგორ მწარედ, ბოლომდე და დაუნდობლად ებრძოდნენ ჰეგელს. ამის მიუხედავად ჰეგელს აქვს ძალზე კარგად მოფიქრებული, კარგად დანახული და კარგად გააზრებული პირდაპირ გენიალური ადგილები მის “ლოგიკაშიც”, “ესთეტიკაშიც”, “ისტორიის ფილოსოფიაშიც”, “ფილოსოფიის ისტორიაშიც”. ერთ-ერთი ასეთი ადგილია ჰეგელის მოსაზრება გონების ცბიერების შესახებ. ამიტომაცაა, რომ ადამიანები ხშირად ახერხებენ შენიღბვას, თანაც ისე და იმგვარად ინიღბებიან, რომ მათ სულში ვერასგზით და ვერაფრით ვერ შეაღწევ. ინიღბებიან ცალკეული ადამიანებიც და ადამიანთა ჯგუფებიც, უფრო მეტიც, პარტიებიც. – მირიან იბერი ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო საით მიჰყავდა საუბარი კაპიტანს, სად უნდა მისულიყო, რა ჰქონდა მიზნად – ამიტომაცაა – განაგრძო ანანიამ – მტყუანს შეუძლია თავი მოგაჩვენოს უკეთილშობილეს კაცად, მავნებელს – ქვეყნის პატრიოტად. ომის გამძაღვებელს – პაციფისტად. ხალხის მტერს – ხალხის მოამაგედ, გენიოსს – გიჟად, ქვეყნის ამომგდებს – ქვეყნის მცველად, მტერს – მოყვარედ. ხომ ხედავ, არც ჩვენ ვმუშაობთ ბრმად. ვიცით ვის ვინ დავალაპარაკოთ, ხომ

სწორია? – კითხვა დაუსვა მრიანს, მაგრამ იბერი არ აპყვა, არაფერი უპაუხა. ამასობაში ანანიამ პაპიროსს მოუკიდა, ასანთი მაგიდაზე მდგარ საფერფლეზე დააგდო და დაწყებული საუბარი განაგრძო დაამუშავე სტალინის მოხსენება თებერვლის პლენუმზე? ცხადია, დაამუშავებდი. როგორც ბელადი ამბობს ხალხის მტრები და თვალთმაქცები ყველგან არიან, ყველგან, იქაც კი, სადაც ერთი შეხედვით მათი არსებობა წარმოუდგენელია. თქვენ, მაგალითად, არ შეიძლება არ იცოდეთ, მაგრამ როგორც აღძრული საქმიდან და ჩემთვის ცნობილი მასალებიდან ვასკენი – არ იცით, რომ ამ პატარა ოთახსი, რომელიც თავისი მოცულობით რკინიგზის დარაჯის ჯიხურზე მეტი არაა, აქ ამ პატარა ოთახსი მცხოვრები ორი ადამიანიდან ერთი ხალხის მოლატეა, იდეოლოგიური დივერსანტია, ესე იგი ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი წყობის, მარქსიზმის მტერია – ჩამოთვლისას მირიან იბერისკენ გაშვერილ მარჯვენა ხელის თითებს კეცავდა, მერე მუშტად შეკრული ხელი ერთბაშად ჰაერში გააშეშა და დაასკვნა – ესე იგი ჩემი მტერიცააა.

იბერმა აღმოაჩინა, რომ ფეხზე იდგა.

- მოულოდნელია ეს თქვენთვის – მირიანს კითხვა შუბივით მიაბჯინა კაპიტანმა.

მირიანი ახლა მართლა დაბნეული იყო.

კაპიტანი თვალს არ აცილებდა მასპინძელს.

- ვერაფერს საეჭვოს ვერ ატყობ შენს თანაოთახელს? ვერც მოქმედებაში,

ვერც საქციელში, ვერც საუბარში, ვერც შეკითხვებში, ვერც დასკვნებში? არაფერში არ ავლენს, სულ არაფერში არ ავლენს, რომ საეჭვო პიროვნებაა, არ შეიძლება რომ არ ავლენდეს, მაგრამ თქვენ ვერ ამჩნევთ ამ ნიუანსებს, ვერ ამჩნევთ. ბრმა ხართ და იმიტომ ვერ ამჩნევთ, უდარდელი ხართ და იმიტომ თვლით რომ აქ, სწორედ აქ, თქვენს პატარა ოთახში, თქვენს ცხვირწინ, თქვენს ახლო თვალსაწიერზე ყველაფერი რიგზეა, რომ ის საფრთხე, რომლის შესახებაც სტალინი პარტიის თებერვლის პლენუმზე ასე საჯაროდ ლაპარაკობდა თქვენ არ გემუქრებათ. მაპაიეთ, მაგრამ ეს დოკლაპიას თვითდაჯერებულობაა. ინტუიცია არაფერს არ გკარნახობთ? კიდევ ერთხელ მაპატიეთ, მაგრამ ყნოსვა დაჩლუნგებული გაქვთ. არავინ, არავინ არ დაგიჯერებთ, რომ თქვენთვის ცნობილი არაა გოდობრელიძის გატაცებანი, გოდობრელიძის წვრილ-ბურჟუაზიული მიდრეკილებანი და იდეური მრწამსი. ამას არავინ არ დაგიჯერებთ და ყველა მართალი იქნება, თქვენც ვერ შეძლებთ, რომ ვინმე დაარწმუნოთ იმაში, რომ არაფერი არ იცით. დაჯექით. ხომ გითხარით, ნუ დეღავთ მეთქი. მე მჯერა, რომ თქვენ დამნაშავე არა ხართ, რომ არაფერი საეჭვო არ შეგიმჩნევიათ, რომ არაფერი არ იცით ამ კაცის განწყობისა და მოქმედების შესახებ – კაპიტანმა თითი გოდობრელიძის საწოლისაკენ მიაშვირა – მე ეს მჯერა იმიტომ დიდი ხანია გაკვირდებით. იმიტომ, რომ ბოლომდე შეგისწავლეთ როგორც ჩემი დაკვირვების ობიექტი. რა ვიცი – ხელები გაშალა კაპიტანმა – შეიძლება მეც არ ვარ მართალი, შეიძლება თქვენი ნიდაბი ყველაზე მეტად გაუმჭვირვალეა, მაგრამ ახლა, ამ წუთში, ამ მომენტში მე თქვენი სიმართლის, თქვენი უდანაშაულობის, თქვენი წაუბილწაობის მჯერა, ამ სადამოს ჩემი აქ მოსვლა თქვენთვის გაფრთხილება უნდა იყოს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ისიც დანაშაულია თქვენი მეზობელი იმას რომ ახერხებს თქვენთან ერთად. ერთ ჭერქვეშ იცხოვროს და ისე შეინიღბოს, რომ თავისი თავი ზუსტად და ნათლად არ დაგანახვოს.

- ეს შეუძლებელია – როგორც იყო ამოთქვა მირიანმა.

- რა არის შეუძლებელი? – უცებ ანთო კაპიტანი – მაშ, ვისია ეს წიგნები? იკითხა გვანცელაძემ და სკამიდან წამოუდგომლად მარჯვენა ხელი გოდობრელიძის ლოგინისკენ გასწია, ლეიბის ქვემოდან გამოაძრო ორი წიგნი, წიგნები სათითაოდ მაგიდაზე დააწყო და სათაურები ხმამაღლა წაიკითხა –

ნიცშე “რას იტყვოდა ზარატუსტრა” და გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგი”. –მერე ხელახლა მირიან იბერს მიაპყრო მზერა და უთხრა – რა დასკვნების გაკეთება შეიძლება აქედან? ამ წუნების პატრონი ფაშისტური იდეოლოგიის საფუძვლებს ეცნობა და სწავლობს, საგულისხმოა, რომ ნიცშეს წიგნი გერმანული გამოცემაა, ეს პირველი დასკვნა. მეორე დასკვნა კი ისაა, რომ ვიღაც დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოზე ოცნებობს. . . იბერმა კი ამ წამებში მესამე დასკვნის გამოტანა მოასწრო “მესამე კიდევ ისაა, რომ თქვენ ამ ოთახში ნამყოფი ხართ, უჩვენოდ, ფარულად”. ეს გაიფიქრა, ხმამაღლა კი თქვა:

- არა, არ იცოდი

- კარგი, მჯერა. მჯერა იმიტომ, რომ ეს საქმე შესწავლილი მაქვს – ახლა თვითონაც წამოდგა კაპიტანი – ამ კაცის გადარჩენა შეუძლებელია – საათს დახედა – 9-ას აკლია ხუთმეტი წუთი. 9 საათზე გოდაბრელიძე აქ იქნება. ჩვენებიც ზუსტად მაშინ მოვლენ. გოდაბრელიძეს უსათუოდ დავიჭერთ, მაგრამ თქვენი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება. დაიმახსოვრე: მე ვარ თქვენი გადამრჩენი. გულწრფელი ვიყოთ, დაიმახსოვრეთ დღევანდელი საღამო და თუ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს ჩემს გულწრფელობას ასეთივე გულწრფელობით უპასუხე.

გოდაბრელიძე სტუდქალაქში 9 საათზე მობრუნდა. მას უკვე ელოდნენ 10 წუთით ადრე მისული მილიციელები. ნომადის ოთახში შესვლა აცადეს, მან კაპიტნის დანახვაზე ყველაფერი გააცნობიერა, ინსტინქტურად მაინც მიესალმა ანანიას, მაგრამ ამ მისალმებაზე კაპიტანმა არ უპასუხა, იგი ახალ მოსულს დაჟინებით შესცქეროდა, მერე კაპიტანმა ჩხრეკის ორდერი წარუდგინა გოდაბრელიძეს და დაპატიმრება ამცნო. მირიან იბერი უხმოდ უყურებდა ოთახში დატრიალებულ სცენას. გოდაბრელიძემ ფერი დაჰკარგა, იგი უხმოდ შეეგება დაპატიმრების შესახებ უწყებას და მერეც, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მილიციელებმა ოთახის ჩხრეკას მოანდომეს, ხმა არ ამოუღია. მილიციელებმა ანანიას მიერ ქვეშაგებიდან ამოღებული და მაგიდაზე დაყრილი წიგნების გარდა ჩხრეკისას ვერაფერი ახალი ვერ აღმოაჩინეს. იატაკზე გადმოყრილ ნივთებს თავი ანებეს, ჩხრეკა დამთავრებულად ჩათვალეს და კაპიტნის შემდეგი განკარგულების მოლოდინში გაისუსნენ. ნომად გოდაბრელიძემ შვებით ამოისუნთქა, თითქოს გაოგნებისაგანაც გამოერკვა და კაპიტან გვანცელაძისკენ წადგა ბიჯი.

– შეიძლება კაპიტანო, სანამ წამიყვანდეთ, მირიან იბერს ვუთხრა ორიოდე სიტყვა?

კაპიტანი ყოყმანით დაეთანხმა: – კარგი, ოღონდ ისე, რომ ჩვენც გავიგონოთ!

– მირიან – თანხმობის მიღებისთანავე ალაპარაკდა გოდაბრელიძე – ჩათვალე, რომ შენ ჩემს დაკითხვას ესწრები, ოფიციალურ დაკითხვაზე თუ დაკითხვებზე ამასვე გავიმეორებ. შეიძლება იქ სხვა სიტყვებით ვილაპარაკო, მაგრამ ერთს გპირდები, ჩემი დაკითხვის ტექსტში არსად არ იქნები ნახსენები, არსად, არც მოწმედ, არც თანამზრახველად, არც სხვა არცერთ რანგში. მე შენთან ბოდიში მაქვს მოსახდელი, ბოდიშიც და მიტევებაც იმის გამო, რომ ჩემთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრებამ ახლა, ალბათ, სამუდამოდ ეჭვიმტანილ პიროვნებად გაქცია. თუ ოდესმე ჩემი დაკითხვის ოქმები შენი დანაშაულის სამხილად და დასტურად წარმოგიდგინონ, გაბედულად, დაფიქრების გარეშე უარყავი ეს ბრალდება. აი, ეს ხალხია – კაპიტანზე და მილიციელებზე მიანიშნა გოდაბრელიძემ – მოწმე ჩემი აღთქმისა, რომ შენ ჩემი დაკითხვების ოქმებში არ მოხვდები. ახლა კი ნახვამდის მირიან. ალბათ, ზესტაფონიდან, ოჯახიდან მომაკითხავენ, ყველას უთხარი, რომ მაისის ამ დღეს ჯერ კიდევ ცოცხალი რომ ვიყავი.

– წავედით? – ისეთი ხმით იკითხა კაპიტანმა გოდაბრელიძისაგან სიტყვის შეწყვეტას აშკარად რომ ითხოვდა.

– წავედით, მაგრამ ... ახლა მას მიუბრუნდა გოდაბრელიძე – პრაქტიკული დანაშაული არაფერი ჩამიდენია, აკრძალულ წიგნებს კი კკითხულობდი, მაგრამ მათ გადაფურცვლამდე თეორიულმა ინტერესებმა მიმიყვანა.

მირიანმა მეორე კურსის საგაზაფხულო სერიები დროზე ადრე დაასრულა და ქუთაისს მიასურა. 25 ივნისს იგი უკვე მშობლიურ სახლში იყო, გაბაშვილის გორაზე, უსაზღვრო სიმწვანეში ჩაფლულ ერთსართულიან, შუშაბანდიან, საოცრად მყუდრო და საოცარი ანდამატის მქონე სახლში. მამა საოცრად აფორიაქებული დახვდა. აფორიაქებულიც, სევდით ავსებულიც და საშინელი ჭმუნვით შეპყრობილიც.

ვახშმობისას ტიცციანმა უგემურად ჭამა, მარიამი შეუძლოდ იყო. ნავახშმევს ქმარს უსაყვედურა:

– რა ჰქვია ამას ტიცციან! შენ არაფერი არ გიჭამია, შენ მხოლოდ წაციცქნე.

– რა მოგივიდა მამა? რა გაწუხებს? შენს თავს არ ჰგავხარ – ვახშმის შემდეგ ღიმილითა და თანაგრძნობით ჰკითხა შვილმა მამას.

– ცუდი წინათგრძნობა მაწუხებს შვილო. აშკარად, გამოკვეთილად ცუდი წინათგრძნობა. მე ჩემი წუთისოფელი, აცად თუ კარგად, უფრო სხვისი ნებით, ვიდრე ჩემი სურვილების კარნახით, უკვე გავლიე. მაგრამ, სანამ კაცი ცოცხალი ხარ, შენს მიერ განვლილ გზებზე საბოლოო განაჩენის გამოტანა, ცხადია, უადგილოა. მე ამჟამად ველი, რომ მეც და დედაშენსაც მოგვაკითხავენ. ჩვენ “დიდ საიდუმლოში” ჩაფლული ადამიანები ვართ. ჩვენს უნებურად ამ საიდუმლოს ნაზიარები და არშეიძლება ამ საიდუმლოს ახალმა ტალღამ გვერდით ჩაგვიაროს, მშვიდად აგვიქციოს გზა. არა, ბოლშევიკებმა ერთხელ უკვე დაუშვეს შეცდომა, როცა შორს გადასახლებულნი საქართველოში ცოცხლად მოგვაბრუნეს და ნება დაგვრთეს ისევ ცხოვრების ფერხულში ჩავბმულიყავით. “დიდ საიდუმლოს” თავისი მკაცრი კანონი აქვს: ის ადამიანი, რომელმაც რაღაც იმგვარი იცის, რისი საქვეყნოდ გამჟღავნება შეუძლებელია, უნდა გაქრეს. ჩვენს მიმართ ეს კანონი ბოლომდე არ დაიცვეს, ბოლომდე არ შეასრულეს, შეცდომა დაუშვეს, შეცდომა, რომელსაც ახლა ეს მეორე ტალღა, ახალი ტალღა გამოასწორებს. ვინც მაშინ გადარჩა, ახალი გადარჩენის უფლებას არ მოგვცემენ. არა, ეს დაუშვებელია. ეს არ იქნება. ხოლო იმის ცოდნა, რომ ეს არ იქნება უკვე წამებაა. რაღაც მიღრღნის სულს და არ მასვენებს.

– კარგი, მამა, – დაყვავება სცადა მირიანმა – წინასწარ როგორ შეიძლება თავის მოკვლა. ხომ ითქვა, რომ რეპრესიები იქნება, მაგრამ სწორედ იმათ მიმართ, ვინც პრაქტიკული საქმიანობით იმსახურებს ხელყოფას. არ შეიძლება ეს სიტყვა საჯაროდ, საქვეყნოდ, ყველას გასაგონად ნათქვამი ეს სიტყვა არ შესრულდეს.

ტიციანი გაცხარდა.

– სანამ უნდა იყო შენ ასე მიაბიტი და გულუბრყვილო. სანამ შეიძლება ბოლშევიკების მიერ ნათქვამი და დაპირებული სიტყვისა გჯეროდეს? შენ ასე ვერ გაძლებ, ვერ იცხოვრებ, შენს ადგილს ვერ მიაგნებ, ადგილს თუ თავს, ჰო, თავს, სწორედ თავს, ზუსტად თავის მიგნებაზე თუ დადგენაზეა ლაპარაკი.

– კარგი, მამა, ნუ ცხარობ, ნერვებს ნუ იშლი – კვლავ სცადა ტიცციანის გულისწყრომის დაშოშმინება მირიანმა, მაგრამ უფროსი იბერის შეჩერება უკვე შეუძლებელი საქმე იყო.

– ახლა მარტო ვართ და შეგახსენებ, ბოლშევიკები ის ადამიანებია, რომელთა არცერთი სიტყვა არ შეიძლება დაიჯერო, რადგანაც მათ თავის ისტორიაში ჯერ არცერთი დაპირება, არცერთი აღთქმა, არც ერთი სიტყვა არ შეუსრულებიათ არავის წინაშე, არცერთი კლასის წინაშე, არცერთი ხალხის წინაშე, არცერთი ქვეყნის წინაშე. გესმის შენ, ეს რას ნიშნავს?

– მამა, თუ გიყვარდეს, დაწყნარდი. – ერთხელ კიდევ სცადა გაბრძოლება მირიანმა – დედას მაინც მოერიდეს, ხომ ხედავ იხიცი რა დღეშია.

– კი, კი, ვერიდები, ვეფერები – ტიცვიანმა სასადილო ოთახში გამავალი კარი მიხურა – სულს ვუბერავ, მაგრამ მეც ხომ მინდა გარანტია, ჩუმად, წყნარად მინდა ვილაპარაკო და მაინც მაყვირებენ. სიტყვა, ვისი სიტყვა, ბოლშევიკების? თუ არ მოსწრებიხარ, ხომ წაგიკითხავს, ხომ გისწავლია, რამდენხანს და როგორი რუდუნებით ასაბუთებდნენ ბოლშევიკები თეზისს ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესახებ, თვითგამორკვევა გამოყოფამდე. სწორია, მისასალმებელია, ასატაცებელია. სწორადაც ჩათვალეს, მიესალმნენ, აიტაცეს. ამიტომ იყო, რომ რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს დამრტყმელ ძალას “ნაცმენები” წარმოადგენდნენ. მერე დაიმსხვრა რუსეთის იმპერია, შესრულდა ბოლშევიკების ეროვნული თეორიის ყველაზე უმთავრესი და არსებითი თეზისი? არა. ბოლშევიკებმა გატეხეს თავიანთი სიტყვა, დაივიწყეს ათასების დასაბუთებული მოსაზრება, დებულება თუ კონცეპტუალური თეზისი. ჰო, დაივიწყეს, სადღაც მოისროლეს. ვინ დადგა რუსეთის იმპერიის აღდგენის სათავეში? ისევ და ისევ ბოლშევიკები. თვითგამორკვევა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ილუზია, ფანდი, ბლეფი, სატყუარა გამოდგა. აი, ხომ ხედავ რა ფასი აქვს ამათ სიტყვას? მე ვარ ცოცხალი მოწმე, მომსწრეც და მოწმეც: 1920 წელს რუსეთის დიპლომატიამ მენშევიკური საქართველოს სუვერენობა, მისი დამოუკიდებლობა ცნო, მაგრამ სულ რამოდენიმე თვეში, უკვე შემდეგ ზამთარში ტაშის გრიალში აფრიალებული ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა. ეს იყო უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ, უმოტივოდ გატეხილი მეფური სიტყვა. მეტერთმეტე არმიის მოქმედება, თბილისის თავზე წითელი დროშის აფრიალება მხოლოდ ერთ მოტივს ემყარებოდა, რასაც ბოლშევიკები საკმაო საფუძვლად თვლიდნენ – მე ასე მინდა, არა, ასე არა, უფრო ზუსტი იქნება – მე ასე მნებავს. ეს უფრო დიდის, უფრო ღონიერის, უფრო ძლიერის ლოგიკაა. აქაც გატყდა ბოლშევიკების სიტყვა. კიდევ გინდა სხვა მაგალითი? ყველაფერი ეს ასეა და ამიტომ არ მჯერა, რომ ამჟამად არ მოგვაკითხავენ. რომ მეორე ტალღა ჩვენც არ გადაგვივლის, თუმცა რაღა მეორე, ამათი მოსვლის შემდეგ სულ რეპრესიები, სულ გოლფშტრიმის თბილი, სისხლიანი დინებაა ჩვენს ქვეყანაში. ის დამე სამივემ: ტიცვიანმაც, მარიამმაც და მირიანმაც თეთრად გაათენეს. მეორე საღამოს კი ქუთაისის მილიციის სამმართველოდან გამოგზავნილმა მილიციელმა ბონდო ედიშერიძემ, რომელიც იბერების ოჯახის მეზობლად ცხოვრობდა და მთელ ოჯახს ძალიან ახლოს იცნობდა, იბერებს ამბავი მიუტანა, მილიციის უფროსის განკარგულებით მირიან იბერს ქალაქის სამმართველოში იბარებენო.

ტიციანმა მილიციელის ნათქვამი კარგად გაიგონა, მაინც ჰკითხა მილიციელს:

– მე მიბარებენ თუ მირიანს?

– მირიანს. მე არც ვიცოდი, მირიანი თუ ქუთაისში იყო, თვითონ მითხრეს, აქ არისო, გუშინ ჩამოვიდაო.

– რა უნდათ თუ იცი, რატომ ეძახიან? – ჰკითხა ტიცვიანმა.

– არ ვიცი, ტიცვიან ბატონო, თავად არაფერი უთქვამს კაპიტანს, მე ხომ ვერ ვკითხავდი?

– არა, შენ რას ჰკითხავდი – ხმა შესამჩნევად აუთროლოდა ტიცვიანს – მაგრამ ახლა ისეთი დროა, ყველაფერზე გული მიკვდება. რა გაეწყო, მირიან, – შვილს მიუბრუნდა ტიცვიან იბერი – რადგან გიბარებენ, ე.ი. რაღაცისთვის საჭირო და აუცილებელი ხარ, ე.ი. უნდა მიხვიდე.

მილიციის სამმართველოში ამგვარი დაწესებულებისათვის უჩვეულო სისუფთავე და, რაც მთავარია, უჩვეულო სიწყნარე სუფევდა. ედიშერიძემ ხის პანელებით მოპირკეთებულ დერეფანში შეაჩერა იბერი.

– ცოტა ხანს აქ დაიცადე. მე მოვახსენებ – და შავლიდერენგადაკრულ კარში შევიდა. ორიოდე წუთში გამობრუნდა და მირიანს ანიშნა – შედით. მირიანმა კარის ზღურბლს გადააბიჯა და სრულიად მოულოდნელად კაპიტან ანანია გვანცელაძის წინაშე აღმოჩნდა. კაპიტანი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა. აბოლებდა. მირიანს თავის დაქნევით მიესალმა და შეაგება.

– არ მელოდი თუ გზაზე გითხრეს ჩემთან რომ მოდიოდი?

– არ გელოდით. გზაზე ბონდოსთვის არც მიკითხავს აქ ვიდ უნდა შევხვედროდი, ამიტომაც...

– ამიტომაც გაგეხარდა, რომ ამ კაბინეტში მე დაგხვდი? ხომ ხედავ, რა არ ხდება ამ ქვეყნად, სად და როგორ დაგემშვიდობე და სად და როგორ შეგხვდი. დაჯექი, შენთან სალაპარაკო მაქვს, მაგრამ იცოდე, წინასწარი განწყობა ახლა სხვაგვარია, არა ისეთი, როგორც მაშინ, როცა არაფერში დამნაშავე არ მეგონე და შენი პიროვნებაც ყველაზე ნათელი ფერებით იყო დახატული ჩემს ფიქრში შექმნილ პორტრეტში.

– ახლა რა შეიცვალა ამხანაგო კაპიტანო – დაიწყო იბერმა, მაგრამ ანანია არ დააცალა:

– შეიცვალა, ახალი გარემოებანი გაჩნდა. ახლა არ შემიძლია იმის თქმა, რაც მაშინ, თბილისში, სტუდენტობაში გითხარი. გახსოვს მე მოვედი შენთან, მაგრამ არა შენი დანაშაულის გამო, ამიტომ თავიდანვე გაგაფრთხილე: ნუ ღელავ, ამის საფუძველი არ არსებობს მეთქი. ახლა საუბრის ასე დაწყება არ შეიძლება. არა, არ შემიძლია კი არა, არ შეიძლება. მაშინაც შენი უდანაშაულობა ჩემი კეთილი დამოკიდებულების უზომოდ, უსაზღვროდ გაბერვის ბრალი იყო. არსებობდა შემდეგი გარემოებანი: მიღებული გექონდა სიგნალი, რომ აქა და აქ მცხოვრები მავანი აკრძალულ ლიტერატურას ინახავს, ეცნობა და ავრცელებს, ე.ი. ეს პიროვნება ანტისახელმწიფოებრივად იქცევა, უფრო მეტიც, ანტისახელმწიფოებრივად აზროვნებს. აღმოჩნდა, რომ შენ მასთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობ. ხშირად ერთად ხართ, ერთად საქმიანობთ. – კაპიტანი ახლოს მივიდა მის საწერ მაგიდაზე მიღებულ მცირე მაგიდასთან, თავზე დაადგა იბერს – მე რომ არ გამომეჩინა ზედმეტი და გადაჭარბებული, ყოველად არასაჭირო კეთილმოსურნეობა, აქ საკვლევი და გამოსაძიებელი არც არაფერი იყო. დასკვნა თავისთავად გამოდიოდა. – შენც მისი თანამოაზრე უნდა ყოფილიყავი. ხედავ რაშია საქმე? ახლა ის საქმე, უკვე წარსული საქმე, რომ ვინმემ ამოხსრიკოს და თავიდან ამოქექოს, მეც მავნებლის იარღიყი მომეკერება, როგორ შეიძლება სრულიად დაუსჯელი, მეტიც, ეჭვმიუტანელი გადარჩეს ადამიანი, რომლის თანაოთახელი იდეოლოგიური დივერსიისათვის დახვრიტეს – მირიანმა ყურებს არ დაუჯერა, წამიერად გოდაბრელიძის სახემ გაუელვა მის წარმოდგენაში და ინსტიქტურად წამოიძახა:

– დახვრიტეს?

– აბა რა უნდა ექნათ? – გაკვირვება ერთბაშად გააგებად ამოასკდა კაპიტნის ხმას, გამოხედვას და ინტონაციას – კაცი რომ ახლა, ჩვენს ეპოქაში ნიცშეს აზრების პროპაგანდას დაიწყებს, მას თავზე ხელი უნდა გადაუსვან? კარგი, დავანებოთ თავი ძველ ამბებს, სხვის დანაშაულს, სხვა პიროვნებებს, ახლა შენს პიროვნებაზე და შენს დანაშაულზე ვილაპარაკოთ – მირიანი დაიძაბა, ვერ გაიგო რა დანაშაულზე ლაპარაკობდა მილიციის უფროსი – პირდაპირ გკითხავ და შენც პირდაპირ უნდა მიპასუხო, რა კავშირი გაქვს ტროცკისტებთან?

იბერი ყველაფერს ელოდა ამ კითხვის გარდა. ვერ მიმხვდარიყო რომელ ტროცკისტებთან კავშირს გულისხმობდა კაპიტანი, არავინ მის ირგვლივ და მახლობელ ადამიანთა შორის, ვისთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა ტროცკისტად არ მიაჩნდა. თავი ასწია, პირდაპირ შეხედა ანანიას.

– ვერ გავიგე რას მეკითხებით. როგორ შეიძლება ტროცკისტებთან რაიმე კავშირი მქონდეს, როცა არცერთი ტროცკისტი, ცოცხალი,

კონკრეტული პიროვნება, არასოდეს თვალთ არ მინახავს, არავის ტროცკისტს არ ვიცნობ.

– არა ხარ გულახდილი, თუმცა მე ერთხელ გთხოვე, ჩემს გულახდილობაზე შენც გულახდილობით გეპასუხა. შენს ნაცნობებს და ახლობლებს შორის ტროცკისტი არავინაა? მაშინ მე გეტყვი, მე გაგახსენებ, მე მოგაგონებ, შენს ახლობლებს შორის ტროცკისტია ის კაცი, რომელიც ცდილობდა შენ ტროცკისტების ერთ ორგანიზაციაში მიეღე, ჩაეწერე, შეეყვანე, სულ ერთია რომელ ტერმინს გამოიყენებ. გაიხსენებ, ვინ არის ეს კაცი?

მირიანისთვის აშკარა იყო, რომ ის ტალღა, რომლის შესახებაც წუხელ მამამისი ელაპარაკებოდა, ახლა მისკენ მოისწრაფოდა, არა, კი არ მოისწრაფოდა, ზედ მოადგა, წამიც და მთელი ძალით შეეხლებოდა, შეეფშვნიებოდა გადაუვლიდა, ქვეშ მოიქცევდა. ცხადი იყო, რომ მას რაღაცას აბრალებდნენ, მაგრამ მილიციის კაპიტანი, რომელიც ოდესღაც გონებას ცნობიერებაზე და ადამიანურ ნიღბებზე ესაუბრებოდა იბერს, ერთი შეხედვით გულწრფელი და საკუთარ ნათქვამში ბოლომდე დარწმუნებული ჩანდა. შეძრწუნებული მირიანი უკვე წონასწორობას კარგავდა.

– შეუძლებელია ისეთი ვინმეს გახსენება, რომელიც ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა. არასდროს არავითარი და არანაირი შეხება არ მქონია არცერთ ტროცკისტთან. ამის თაობაზე არასოდეს მეტი არაფერი მკითხოთ, თორემ შეიძლება გულს შევასკდე.

კაპიტანი, რომელიც აქამდე გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას, შეტრიალდა, თავისი საწერი მაგიდისკენ გადადგა ნაბიჯი, სკამზე დაჯდომამდე ისროლა:

– გვაშინებ?

– არა. ეს არც მიფიქრია. მე მინდა ჩემი სიმართლე ნათლად დაგანახოთ.

– ამაზე მაშინ რატომ არ ფიქრობდი, როცა მათთან ე.ი. ტროცკისტებთან კონტაქტებს ამყარებდი? ამაზე მაშინ უნდა გეფიქრა, მაშინ.

– ვინ ტროცკისტებთან?

– იმ ტროცკისტებთან, რომლებიც იარაღით გამარაგებდნენ...

ეს უკვე ზღვარი იყო. “რაღაც დიდი, უსაშველო, ყოვლად უსაშველო გაუგებრობაა” გაუელვა იბერს. მაგიდაზე მდგარი გრაფინიდან წყალი დაისხა და ჭიქა ხელში აიღო, მოსვა, მერე ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს მსხნელს, მომხმარეს, მშველელს ეძებდა.

– რა იარაღით, სანადირო თოფის გარდა ჩემს სიცოცხლეში ხელში არაფერი მჭერი.

– ჰო და სწორედ ესაა საქმე, შენ თვითონ თქვი, შენ თვითონ აღიარე, შენ თვითონ გამოტყდი. მეც სწორედ სანადირო თოფს გედავები. ეს ტროცკისტების ცნობილი ხერხია, ისინი თავის ორგანიზაციის წევრებს იარაღით ამარაგებენ, რაღაც ღრმა ჩანაფიქრისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩა... ჰო, თოფი, სწორედ სანადირო თოფი, სად არის ახლა ის თოფი?

– არ ვიცი, რას გულისხმობ, ვინ ტროცკისტები მამარაგებდნენ იარაღით?

– თავიდან დაიწყე? – განრისხდა კაპიტანი, იგი ადგა, საწერ მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე ცარიელი ფურცელი აიღო, კალამიც ამოიღო უჯრიდან, ისევ იმ მაგიდასთან დაბრუნდა, სადაც იბერი დასტოვა, ფურცლები და კალამი გაუწოდა – აჰა, შენ თვითონ დასწერე, საიდან ხარ დაკავშირებული დავით ბეროძესთან, როდის და რა მიზნით გაჩუქა თუ გათხოვა სანადირო თოფი, ტულის ქარხნის მიერ დამზადებული ორლულიანი იარაღი და სად ინახება ახლა თოფი, გილზეები და პატრონტაში.

თავჩაღუნულ და გაფაციცებით დაფიქრებულ მირიანს გონება გაუნათდა.

– თავიდან ასე გეთქვა, ანანია ბატონო, თავიდან გეხსენებია დავით ბერიძე, ხომ გადავრჩებოდი ამდენ წვალებას. კი, დავითი მამაჩემის დეიდაშვილის ქმარია, ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა ბოლო სამი წელია, შარშან შემოდგომაზე სანადიროდ ვახლდი. აქვე, ქუთაისთან ახლოს, პრობკის ტყეებში.

– დაწერე, რასაც ლაპარაკობ, დაწერე.

– დავწერ, მაგრამ ჯერ აზრი დავასრულო. საშვიდნოემბროდ ქუთაისში ჩამოვედი და სანადიროდ წავედი. მერე ჩემს ოჯახში გამოვიარეთ. ციოდა, დავითმა დალია. თოფი ახლაც ჩვენთანაა. ეს ყველაფერი სწორედ ასე იყო, მაგრამ რა შუაშია აქ ტროცკიზმი? მე ვერ დავიჯერებდი, რომ პრაქტიკულად ან თეორიულად დავით ბერიძე ტროცკისტი იყო, აქტიური ან პასიური. ვერ დავიჯერებდი, ახლა ვამბობ, ამის შესახებ არაფერი არ ვიცი. დავწერო ეს ყველაფერი?

ანანია ერთხანს სდუმდა. მერე ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

– არა, ჯერ არ მინდა. ჯერ ნუ დაწერ. ახლა წახვალ. არა, კი არ წახვალ, წახვალთ, მილიციელს გაგატან, ჩხრეკის ორდერსაც, შენს სახლში ახვალთ, გორაზე. მერე როცა თოფიანად დაბრუნდებით, დაკითხვის ოქმსაც შევაგსებთ.

გვიან, შუაღამისას, როცა მილიციელი ედიშერიძე და მირიანი დავით ბერიძის სანადირო თოფთან ერთად, ტიციან იბერის სახლის გაჩხრეკის შემდეგ მილიციის სამმართველოში დაბრუნდნენ, როცა ტიციანი და მარიამი ეზოს ჭიშკართან გულჩაწყვეტილი დატოვა მირიანმა, კაპიტანი მილიციის შენობაში არ დახვდათ. თანამშრომლებმა ბზიკაძეს აცნობეს, რომ თბილისიდან მიღებული ფრიად საიდუმლო შეტყობინების თანახმად და შესაბამისად კაპიტანი დაუპატიმრებიათ და სპეციალური მანქანით დედაქალაქში გაუგზავნიათ. “ხომ გეუბნებოდით ეს კაცი არ მომწონს მეთქი” – დაასრულა თავისი მონაყოლი ერთმა თანამშრომელმა. ბზიკაძემ განზე გაიხმო მირიანი. “ხედავ, რა ბედი გქონია? ახლა ბერიძის საქმე და ამდენად, შენი საქმეც აქ არავის აღარ ახსოვს. მოკიდე ამ თოფს ხელი, ვინმეს თვალში რომ არ მოხვდეს და მისი ისტორია რომ არ იკითხოს და წადი, ოღონდ ჩემი რჩევაა, ცოტა ხანს ქუთაისს გაერიდე, სადმე გადაიმალე, სანამ ეს ამბები არ ჩაივლის. დამიჯერე, ასე სჯობია. ეს ტალღა გადაივლის და მერე გამოჩნდება”. გამოაცილა, მილიციის სამმართველოს გამოარიდა მირიანი, მწვანე ბაზრის კარამდე მიაცილა, მშვიდობა უსურვა და თვითონ შებრუნდა მილიციისკენ. მირიან იბერი ბედის ასე უეცარი სრულიად მოულოდნელი და უცაბედი შემობრუნებისგან გაოცებულიც იყო და გაოგნებულიც.

მერე, შუაღამისას, როცა მშობლებს უყვებოდა რაც თავს გადახდა, მირიანი თანდათან უბრუნდებოდა რეალობას და სიმშვიდეს.

“გადავრჩი, აშკარად გადავრჩი – ეუბნებოდა ჭაბუკი თვალეებში შემოციცინებულ მარიამსა და დაფიქრებულ ტიციანს – როცა მითხრეს, რომ მე თურმე ტროცკისტები იარაღით მამარაგებდნენ, სისხლი გამეყინა. ვიცოდი, არავითარი არგუმენტი არ გაჭრიდა, პირწავარდნილი ტროცკისტის, მავნებლისა და ხალხის მტრის ბედი უნდა გამეზიარებინა.”

ყველაზე ადრე ფიქრებიდან ტიციანი გამოერკვა. “მე უეჭველად გამიხსენებენ და მომაკითხავენ. ესენი ახლა არ დატოვებენ არცერთ კაცს, რომელიც 1924 წელს დაპატიმრებული იყო. ეს იმ დროის რეპრესიების განმეორებაა. მართალი უთქვამს მილიციელ ბზიკაძეს, მირიანი ცოტა ხნით ქუთაისს გაერიდოსო, სანამ ეს ამბები არ ჩაივლის სადმე შეაფაროს თავიო. სწორია. ჩემი შვილი, როგორც სწორეს ჩემი შვილი, მცირე ხნით უნდა მოსცილდეს აქაურობას, ამ არეალს. უნდა წავიდეს, მაგრამ სად? საჭალაოში რომ წავიდეს, ბიძაჩემთან, გუბა იბერთან, იქ უსათუოდ ვინმე დააბეზდებს. იქ ჯერ კიდევ ცხადად ახსოვთ ის დრო, როცა ცხენისწყლის გაღმა სოფლებში იბერები ბატონობდნენ. ცხადადაც ახსოვთ და მწარედაც. ამიტომ იქაურობას

თავშესაფარად ვერ ვენდობი. სტუდენტი კაცისთვის ყველაზე უპრიანია სამოგზაუროდ წასვლა. მოგზაურობა გემით ბათუმიდან ოდესამდე. უკან რკინიგზით, ოდესა-კიევი-ხარკოვი-როსტოვი-სოჩა. ყველგან შეჩერებით და შეყოვნებებით. სოჩიდან გემით ბათუმიამდე ან მატარებლით თბილისამდე. ასეთია ჩემი ჩანაფიქრი. მის შესრულებას მომავალი ზაფხული სჭირდება. ამასობაში დაპატიმრებების ეს ტალღა გადაივლის. უცხო ხალხში იქნები. სრულიად უცხო გარემოცვაში და ვფიქრობ, არავითარი საფრთხე არ მოგელის. მე ამ ჩანაფიქრზე დიდხანს და ბევრი მაქვს ნაფიქრი. ერთი შეხედვით, თითქოს უცხო ხალხი და უცხო გარემოცვა უფრო საშიში და აგრესიული უნდა იყოს, ვიდრე შენი ნაცნობების გარემოცვა, მაგრამ თუ საქმეს სწორედ საპირისპიროდ შევხედავთ, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომელთანაც მე მივედი. უცნობი კაცი შეგეფეთება, გვერდს ჩაგივლის. შეიძლება ერთხელაც უკან მოიხედოს და შეგათვალიეროს, მაგრამ თავისი გზით წავა ან თავისი გზის საძებნად გასწევს. იგი უცხოა და ამიტომ კონკრეტულად შენ, პირადად შენ და სახელდობრ შენ არ აინტერესებ. მას შენთან არავითარი პრაგმატული მიმართება არა აქვს. ამიტომ შენ მისთვის არავითარი ინტერესის საგანს არ წარმოადგენ. სულ სხვა ვითარებაა შენს გარემოში, შენს მშობლიურ და მახლობლურ გარემოცვაში. აქ შენთან, კონკრეტულად, პირადად და სახელდობრ შენთან ადამიანებს სწორედ პრაგმატული მიმართება აქვთ და შეიძლება ვინმემ, შენმა ახლობელმა გაგწიროს, გაგიმეტოს, ციხეში, კოლონიაში და მოუსაველეთში გაგაზავნოს იმიტომ, რომ შენი თანამდებობა სურს და ეხარბება, იმიტომ რომ შენი მეუღლის სიმშვენიერე და სილამაზე არ ასვენებს და თავისთვის უნდა, იმიტომ რომ შენი ბინის ხელში ჩაგდება სწადია, ათასი და ათიათასი იმიტომ არსებობს და ამიტომ ამ ვითარებაში, რაც ახლა ჩვენში დატრიალდა გარკვეული ხნით აქედან წასვლა, გადახვეწა, აქაურობისგან განშორება უფრო უპრიანია, მართებულება და სასიკეთო.”

მამასთან საუბრისა და ტიცციანის მიერ მოფიქრებული გეგმის გაზიარების შემდეგ, მირიანი თბილისში ტელეფონით დაუკავშირდა მის თანაკურსელს, არაჩვეულებრივად გონიერ და წიგნიერ ყმაწვილს, ცხაკაიელ კუსა ბერძენიშვილს, ერთად მოგზაურობაზე დაითანხმა, ქუთაისში მის ჩამოსვლას დაუცადა, შემდეგ ერთად გაუარეს ცხაკაიაში კუსას დედას და ივლისის ხუთში, ნაშუადღევს უკვე ბათუმში, მოგზაურობის საწყის წერტილში იყვნენ.

მირიანს გუშინდელ დღესავით ახსოვს ივლისის სიცხით შეწუხებული და შინაგანად აფორიაქებული ბათუმის რკინიგზის სადგური.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო, მაგრამ აქაურობა მაინც არ ჰგავდა ბათუმის იმ რკინიგზის სადგურს, რომელიც მირიანს არაერთხელ ჰქონდა ნანახი.

– კუსა – მირიანმა მკლავში ჩააწყო ხელი მეგობარს – ხომ ხედავ აქ, ამ მოედანზე თითქოს ყველაფერი ძველებურადაა, მოედნის გადაღმა სასტუმრო “პირველი მაისი” დგას, ჩვენგან ხელმარჯვნივ კათოლიკური ეკლესიის გუმბათია ზეცაში აჭრილი, თითქოს იგივე ცაა, იგივე მზეა, ალბათ, იგივე ზღვა შრიალებს სანაპიროზე, მაგრამ მაინც ყველაფერი სხვაგვარია, ყველაფერი სხვანაირია, სხვა სახე აქვს, თითქოს...

– აქ და სხვაგანაც, მთელს ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ძველებური და ძველებურადაა – თქვა კუსამ – ჩვენ შევიცვალეთ მირიან, ჩვენ გავხდით სხვაგვარნი. ჩვენ შეგვეცვალა ფსიქოლოგია, ჩვენ ყველგან და ყველაფერში “მაგნებელი” გველანდება. ესაა სიახლე, რომელმაც ჩვენი სული, ჩვენი ცნობიერება შეცვალა. ჩვენი ხედვა, ჩვენი დამოკიდებულება შეცვალა, სილაღე დაგვეკარგა, გაგვიქრა, რაღაცამ დაიბუდა ჩვენში. რაღაცამ კი არა, უნდობლობამ. ეს სიტყვა დაიმახსოვრე, ესაა მთავარი. ესაა მთელი არსებული სიტუაციის არსობრივი გამომხატველი. უნდობლობა გვიბიძგებს, რათა ყოველ

ადამიანში მავნებელი ვეპიოთ, უნდობლობა უსაზღვროდ ფრთხილია. უნდობლობა ყველას მიმართ მხოლოდ ეჭვის თვალებით იურება, ყველაფერში საეჭვოს ხედავს, ყველაფერი აფიქრებს, ყველაფერს აზვიადებს, უნდა რომ ყველა პიროვნებაში, ადამიანში, მოქალაქეში “მავნებელი”, “ხალხის მტერი” და ჩვენი საქმის, სოციალიზმის საქმის მოღალატე აღმოაჩინოს. უნდობლობა ის გესლია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ანთხევს. ამიტომაც დავედივართ ყველანი სერიოზული სახეებით, ჩაფიქრებულნი და რაღაცის მაძიებელი თუ ყველაფრის გამჩხრეკი სიფათებით. აი, ასე შეიცვალა ჩვენს ირგვლივ ადამიანები, დანარჩენი ყველაფერი ძველებურადაა. მოდი, ამ სოკოდან წყალი დავლიოთ – კუსამ ქუჩის კუთხეში დადგმულ სოკოსკენ გაიწია.

– ყველაფერი ზუსტად, თითქმის ამომწურავად ახსენი – შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა მირიანმა – თუმცა რა გასაკვირია, უკვე რამდენი ხანია ამ არეულ ქვეყანას ვაკვირდებით: განვიცდით, ვსწავლობთ და ვაანალიზებთ.

–ახლა საით? – იკითხა კუსამ.

– ახლა ტიცინანის ძველ მეგობართან, ასლან დადიანთან. ის გეიშოვის გემის ბილეთებს ოდესამდე. მაგრამ ახლა ასლანის სამსახურში იქნება, ამიტომ გავისეირნოთ სანაპირო ბულვარისკენ, იქ ცოტა დავისვენოთ, ზღვის ჰაერით ვისუნთქოთ, შემდეგ კი ... ასლანის სახლიც იმ რაიონშია, ბაზართან.

სანაპიროს ბაღი უთვალავი ფერებით დახუნძლული შეეგება ახლადჩამოსულ სტუმრებს. ყვაოდნენ სხვადასხვა ფერებად მოელვარე ყვავილები. წყნარი ზღვა, საოცრად მსუბუქი და გამჭვირვალე ლურჯი ზეცა და სიცოცხლის იდუმალი პირველსაწყისი – მზე დიდებულ ჰარმონიას ჰქმნიდა, რათა ბაღში შემოსულ ადამიანებს გაეხარათ. აქაც, ბაღშიც ყველაფერი ელვარე და ასაფრენად გამზადებული იყო, გარდა ადამიანებისა. ადამიანები ფიქრებში ჩაძირულიყვნენ და დუმილში ატარებდნენ იმ წუთებს რომელთა ტრადიციული მონატრების მეოხებით ამ უსაშველო მზეში ბაღში სასეირნოდ გამოსულიყვნენ.

მირიანი და კუსა სტალინის ქუჩიდან შევიდნენ ბაღში და იქვე უახლოეს ჩრდილს შეაფარეს თავი.

ჩამოსხდნენ.

– კუსა, წელან შენ უადრესად სწორად, მართებულად და მიზანშეწონილად მოიხმარე სიტყვა, ტერმინი თუ ცნება – უნდობლობა. მიიხედ-მიიხედე ირგვლივ არცერთი ადამიანი არ იცინის, მეტიც, არ იღიმება. ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. არ გინდა არაფრის გამოკვლევა. ამ ფაქტის მხოლოდ დანახვა მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოება იშლება ცალკეულ ადამიანებად. უნდობლობა თვითონ მოიცავს თუ ჰქმნის შიშს, შესაძლოა შიში ბადებდეს უნდობლობას, ახლა ამის რკვევას არ გამოვუდგებით. მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყანა გლობალურ შიშს ჰყავს შეპყრობილი, გლობალურ შიშს უპყრია ხელთ. კარგად დააკვირდი იმ კაცს, ჩვენს პირდაპირ რომ ზის და თითქოს გაზეთს ჩასჩერებია. შენ გგონია არ უნდა გაზეთის წაკითხვა? უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც მისი ცნობიერება მთლიანად შიშს ჰყავს დამონებული. ეშინიათ, რადგან ყველასგან დაუცავნი არიან. ეს კაცი, ჩვენი ხეივნის მმოპირდაპირე მხარეს რომ ზის ისეთი შიშით შესცქერის სინამდვილეს რომ ალბათ, სწორედ დღეს გაიგო უახლოესი ადამიანების დაპატიმრება. ახლა კი ეშინია ვინმე არ მოეახლოს და რაიმე ბრალდება მასაც არ წაუყენოს. შენ გგონია, რომ წარმოუდგენელი ან ძალიან ძნელია? სრულებითაც არა. ქუთაისში ტიცინანმა ხომ გაიამბო ქალაქის მილიციაში ტროცკისტებთან კავშირს, არა, უფრო ზუსტად, ტროცკისტობას რომ მამბრალედნენ. როგორ ბეწვზე, როგორ ბედად გადავრჩი. ახლა შეიძლება დახვრეტილიც ვყოფილიყავი. ისე, როგორც ნომად გოდაბრელიძე დახვრიტეს ნიცშეს კითხვის გამო. ეს ჭორაობაა? არა, ეს გულისწყრომის გამოთქმაა. ქვეყანა ისევ ისე არსებობს, როგორც არსებობდა. ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ. ისევ იმართება პარტიული, კომკავშირული თუ

პროფკავშირული ორგანიზაციების კრებები, კონფერენციები, ყრილობები, ისევე იხილავენ მწვავე და მომწიფებულ საკითხებს, ისევე გრძელდება სიცოცხლე, მაგრამ ეს სიცოცხლე ახლა შიშით გათანგულ სივრცეშია გამომწვევდელი. ნეტავ გამაგებინა ის, რაც ახლა ხდება, სტალინმა თუ იცის? ერთი რამ კი სავსებით ცხადია, მთელმა ამ კამპანიამ სტალინის დიდი ავტორიტეტი, მისი იმიჯი, მისადმი დიდი სიყვარული ვერ ჩააქრო, ვერც გაანელა. ჩვენს ხალხს სტალინის სწამს, მისი მხოლოდ კი არ სჯერათ, არამედ მისი სწამთ. ეს დაჯერებაზე მეტია, უფრო მაღალია, ვიდრე კერპისადმი თაყვანისცემა, თაყვანისცემა ბრმაა, ეს კი რწმენაა, რომელიც ცოდნას არ გამორიცხავს და მას ეყრდნობა. არაა გამორიცხული, რომ მთელ ამ ამბავს ვიდაც სწორედ სტალინის წინააღმდეგ აწყობს. ხომ ვერ გამოვრიცხავთ ხელისუფლების ზედა ეშალონებში ვინმე ტროცკის მიმდევრის არსებობას? ცხადია, ვერა. მაგრამ ვისი ორგანიზებულებაც არ უნდა იყოს ეს კამპანია, ერთი რამ ცხადია, ასეთი ბნელი, უხეში, ჯოჯოხეთური რბევა, სიკვდილის ასეთი გაფეტიშება შუა საუკუნეების შემდეგ კაცობრიობას არც სმენია და არც უნახავს. რა გვჭირს? რას მოვესწართ? რას შევესწართ? სად ვართ? სად ვცხოვრობთ? – მირიანი წამით შეჩერდა, შემდეგ წამოდგა, იქვე ხეივანში გადაშლილ ვარდნარს მიუახლოვდა, დაიხარა, ვარდს ხარბად, დაყოვნებით დაეხოსა, მერე ისევ სკამსა და კუსას მიუბრუნდა – ხედავ, რა ხდება? ამ ვარდების ქვეყნიდან, ამ ზღვის, ამ მზის, ამ ზეცის სასუფეველიდან ჩვენ სადღაც მივდივართ, შორს, უცხო ქვეყანაში. რათა აქ არ გავგიჟდეთ, რათა თავი გადავირჩინოთ. მამას ვერ ვაწყენინე, თორემ ეს ნაბიჯი მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ამ მოგზაურობას ალბათ, უმიზნო ხეტიალი უნდა დაერქვას.

– არა, რატომ – გამოეპასუხა კუსა – ბატონი ტიციანის არგუმენტები უცხო გარემოში დროებით გამგზავრების აუცილებლობის შესახებ მე სწორად და მიზანშეწონილად მეჩვენა.

– არ ვიცი, არ ვიცი – ჩაილაპარაკა მირიანმა – მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენს თავზე რაღაც აუხსნელი უბედურება ტრიალებს. ადექი, წავიდეთ ასლან დადიანთან, სანამ ჩვენ იქამდე მივალთ, ბატონი ასლანი უკვე სახლში იქნება.

ასლანის სახლთან მისვლამდე, სამგზავრო პორტთან ჩავლისას მირიანი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა კუსასთან იმდღევანდელი საუბრის თემას და თქვა:

– რა ვქნა, ვერ ვისვენებ, რაღაც მაიძულებს ამ განწყობას დავემორჩილო, ეს განწყობა კი სამგლოვიარო განწყობაა. თუ უფრო აქტიურად არ შეგვიძლია წინ აღვუდგეთ იმას, რაც ხდება, მაშინ ეს წუწუნი მაინც უნდა უკუვაგდოთ.

ასლან დადიანის ბინის კარზე საკმაო პაუზებით სამჯერ დარეკეს ზარი. მესამეჯერ დარეკვის შემდეგ, როცა ასლანის ნახვის იმედი თითქმის გადაეწურათ, კარი ნამტირალევემა ქალმა გააღო. გაღებულ კარში ჩამდგარ ახალგაზრდა ქალში მირიანმა შეიცნო ასლანის და ფატი დადიანი. ყმაწვილი ქალი, რომელსაც ნამტირალევი თვალები აწითლებული ჰქონდა და ხელში თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა, მირიანს წინათ რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ბათუმშიც და თბილისშიც. ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. კარგად იცნობდა. თვალცრემლიან ქალს წაბლისფერი ხუჭუჭა თმები გასაოცრად შეენოდა. მირიანისა და კუსას დანახვაზე თვალებში სიხარული გაუკრთა.

– გამარჯობათ, მობრძანდით – ფატიმ გაღიმება სცადა და სტუმრებს გზა დაუთმო.

– გამარჯობა, შენ აქ არ მეგულებოდი ფატი – ქალს ხელი ჩამოართვა მირიანმა – როგორ ბრძანდებით, როგორ დაასრულეთ მესამე კურსი – შეესაუბრა მასპინძელს.

– გამარჯობათ – თქვა კუსამ და ჰოლში შეაბიჯა ფეხი.

– ვართ, არა გვიშავს – მირიანის შეკითხვაზე პასუხობდა ფატი – მესამე კურსი, ისევე, როგორც წინა კურსები ფრიადებზე დავამთავრე – მირიანის შესუმრებას აჰყვა ქალიშვილი.

– მერე შეიძლება ფრიადოსანი ქალი რომ ტიროდეს? – წარბი შეკრა მირიანმა.

– მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით – მისაღებ ოთახში შეუძღვა ფატი ახალმოსულებს, ტირილი კი, ვეღარ დავმაღავ, მართლა ვტიროდი – თქვა ქალიშვილმა და ისევ წასკდა ტირილი.

– რა იყო ფატი, რა მოგივიდა, რა გატირებს? – ჩაჰკითხა მირიანმა, თან სკამი გამოსწია, დაჯდა და კუსას ანიშნა მეორე სკამზე დამჯდარიყო.

– სულ ცოტა ხნის წინ აქ იყო ერთი ჩემი თანაკურსელი, რომელმაც მამცნო, რომ პროფესორი ვახტანგ კოტეტიშვილი დაუპატიმრებიათ – სლოკინით თქვა ფატი.

მირიანმა კუსას შეხედა.

– რა ხდება, ხალხო, გამაგებინეთ, რა ხდება, თქვენ ფილოსოფოსები ხართ და ჩვენზე უკეთ უნდა შეგეძლოთ ამ ამბების აღქმა და გააზრებაც. დავიბენი, აღარ ვიცი, რა ხდება, რა ვიფიქრო. გესმით, ხალხო, ვახტანგ კოტეტიშვილი დაუპატიმრებიათ, როგორც ტროცკისტი, როგორც ხალხის მტერი, როგორც მავნებელი. მე მეშინია ამას თქვენ რომ გეუბნებით, მაგრამ ჩემი ტირილი ხომ უნდა გავამართლო. ქვეყანას არაფერი ეტყობა, რომ არეულია და სწორედ ესაა ყველაზე დიდი გამოცანა. სხვა კატეგორიის ადამიანებთან ასეთი რაიმეს თქმა უეჭველად თავგანწირვას ნიშნავს, დაღუპვას ნიშნავს, მაგრამ თქვენთანაც არ ვთქვა? ხომ ხედავთ, რომ ადამიანთა ფსიქიკას ერთბაშად დაეუფლა შიში, ამასთანავე განცდაც – ფატი თითქმის აგრძელებდა მირიანისა და კუსას იმდღევანდელ საუბარს – ნუ მეტყვით, რომ გავჩუმდებ, ნუ მიკარნახებთ, რომ დავმშვიდდებ, ნუ შეეცდებით გონზე მომიყვანოთ, ცოტა ხანს დამაცადეთ და მოგხედავთ როგორც სტუმრებს, ხომ ხედავთ, რომ თავიდან იცილებენ პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნეებს, არასაიმედო რეპუტაციის, ოდნავ მაინც საეჭვო რეპუტაციის მქონე პიროვნებებს. გარეგნულად სრული წესრიგის არსებობის პირობებში და მის ფონზე ქვეყანა განუკითხაობის ჭაობში ჩაეფლო. თვითნებობა ზაფრავს და ზარავს ადამიანების გონებას, სულს, სინდისს. ეჭვიმტანილი ადამიანები განუკითხავად, განსჯისა და სასამართლოს გარეშე იწირებიან. ხედავთ, ისეთი ზნეობრივი ტრადიციების ქვეყანაშიც კი, როგორიც საქართველოა, გამეფდა ჯაშუშობა, დასმენა, დაბეზლება, შურისძიება, თანამდებობისა და რეპუტაციის პირადი მიზნებისთვის გამოყენება. – ფატი ცახცახებდა, სხეული დაძაბული ჰქონდა – ნუთუ ყველაფერი ეს იცის სტალინმა? – ეს შეკითხვა ისე დაუსვა მის წინ მჯდარ, გაოგნებულ ყმაწვილებს, რომ შეკითხვა უფრო დადადისს ჰკავდა – ნუთუ მან ყველაფერი ეს იცის? არა, მას ატყუებენ, სხვაგვარად შეუძლებელია. მე მჯერა რომ ტროცკი დამნაშავე იყო და არის პარტიის, სახელმწიფოს, ჩვენი იდეოლოგიის, ლენინიზმის წინაშე, მჯერა, რომ მას მიმდევრები და მომხმარებლები ჰყავდა და ჰყავს, მაგრამ პროფესორი კოტეტიშვილი? მისი დაპატიმრების ამბავი რომ გავიგე, უცნაური უმწიფობის განცდა დამეუფლა. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, ვერ ვირწმუნებ, რომ მარად წიგნებში ჩაფლული, პოეზიის დიდი მცოდნე და თავგამოდებული ქომაგი, ქართული ხალხური პოეზიის შემკრები, გამომცემელი და მკვლევარი, ჩემი საყვარელი მასწავლებელი, უაღრესად ზნეობრივი კაცი თავის სამშობლოს, თავისი ქვეყნის მოღალატე იყო. არა, აქ რაღაც გაუგებრობაა, რაღაც კოშმარია, აუხსნელი და გონებისთვის გაუგებარი კოშმარი – ფატი შეჩერდა, სული მოითქვა, – ბიჭებო, მაპატიეთ, მაგრამ თქვენ იმ დროს მოხვედით და მომისწართ, ან ეს სიმართლე უნდა მეთქვა ან თვალთმაქცობა უნდა დამეწყო. მე კი თვალთმაქცობა არ შემიძლია – ზაფხულის გამოცდებამდე ორი კვირით ადრე ბატონი ვახტანგი ლექციას კითხულობდა ჩვენს კურსთან. ლექცია

ეხებოდა ქართული ხალხური ლექსის სტრუქტურას. პროფესორმა ანალოგია გაავლო ქართულ ხალხურ პოეზიასა და მუსიკას შორის. ანალოგიის სრულყოფილად წარმოდგენისა და მისთვის არგუმენტის სტატუსის მინიჭებისათვის მან ჯერ ქართული ხალხური პოეზიის რამდენიმე ნიმუში წაუკითხა აუდიტორიას, ხოლო შემდეგ, როცა საქმე მიდგა ქართული ხალხური მუსიკის ფორმებზე, ბატონმა ვახტანგმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა თითქოს მოემზადასავით და კათედრიდან "ურმულის" რამდენიმე მუხლი იმღერა. შთაბეჭდილება გამოგნებელი იყო. აუდიტორია გაფაციცდა და გაინაბა. სწორედ ამ დროს, აბსოლუტურ სიჩუმეში ვიდაცას გაეცინა და ერთი სტუდენტი ვაჟის ამ მოულოდნელმა, ყოვლად უადგილო და ყოვლად ხეპრულმა გაცინებამ ცივი წყალი გადაასხა იმ ცეცხლოვან სინაზეს, რომელიც პროფესორმა ქართული ხალხური პოეზიის უბრწყინვალესი ნიმუშებისა და ქართული ხალხური მუსიკის შესანიშნავი ქმნილებების აუღერებით შემოიტანა აუდიტორიაში. ბატონი ვახტანგი წამოენტო. აუდიტორია დაიძაბა. პროფესორი ტრიბუნიდან მწყრალად ჩამოვიდა, აუდიტორია დინჯად გაიარა, იმ მერხთან მივიდა, სადაც ინცინდენტის ავტორი იჯდა, თავზე დაადგა თავისი საქციელით თვითონაც დაბნეულ და გაოგნებულ ბიჭს და უთხრა: "ხომ ხელავ ქვეყნად რა ხდება და რა ამბავია. ნორმალური ადამიანი არ შეიძლება სიმღერის გუნებაზე იყოს. მე იმედი მქონდა, თქვენ გამიგებდით თუ რატომ ვიმღერე და რისი თქმა მსურდა ამით". ჭაბუკი, რომელიც პროფესორის მიახლოებისას ფეხზე წამოიჭრა, ხმას ვერ იღებდა, პროფესორი შებრუნდა და აუდიტორიიდან გავიდა. როგორ მივხვდე, როგორ გავიგო ვინ დაასმინა, ვინ განუცხადა სათანადო ორგანოებს, რომ ახლა სიმღერის დრო არ არისო? ვინ იყო ის სულმდაბალი. ახლა მე ჩემს თავშიც მეპარება ეჭვი. საშინელია ასეთ სიტუაციაში ყოფნა და გაძლება. – ფატი დადუმდა, თუმცა უხმო ტირილს აგრძელებდა.

– კარგი, დაწყნარდი. შენ, მართალია დაგვიშალე, მაგრამ ჩვენ ხომ გვევალება შენი დამშვიდება! – თქვა მირიანმა და წამოდგა – ბატონი ასლანი სადაა, სახლში არ არის?

– ასლანი ქუთაისშია, ცოლ-შვილი წაიყვანა სიმამრთან, მაგრამ მალე ჩამოვა. დღეს უეჭველად უნდა დაბრუნდეს, რადგან ხვალ დილით 9 საათზე უსათუოდ სამსახურში უნდა იყოს. მის დაბრუნებამდე მე ვიქნები თქვენი მასპინძელი.

ფატი წამოდგა, ოთახის კუთხეში მდგარ წიგნების კარადასთან მივიდა, კარადიდან სურათების ალბომი გადმოიღო, მირიანს გაუწოდა.

– მირიან, გამომართვი. აქ ჩვენი ოჯახის ისტორიაა სურათების სახით შემონახული, სანამ მე მაგიდას გავაწყობ, მანამდე თქვენ ეს ალბომი დაათვალიერეთ.

მირიანმა ფატის ალბომი ჩამოართვა, თან მასპინძელს ეუბნებოდა – მე ცოცხალი ქალაქში გავალ, რაიმე პროდუქტებს ვიყიდი, მერე დაიწყე სუფრის გაწყობა. ფატიმ წარბი შეიკრა.

– რა გამოდის? მე ქართული სტუმართმოყვარეობით გულწრფელად მიგიღეთ, თქვენ კი არაქართული საქციელის ჩადენისაკენ იქაჩებით. არა, მირიან, არაფრის დამატება არაა საწირო, ყველაფერი გვაქვს. ჩემმა რძალმა იმდენი რამ გადაგვიტოვა, ერთ კვირას გვეყოფა, თანაც დელიკატესები. ასლანი, მოგესხენებათ კარგ საჭმელებსაა შეჩვეული, საგანგებო საჭმელებს. ოჯახში დატოვებული მარაგიდან ჩვენც ხომ გვერგება გარკვეული წილი, ოღონდ რამდენიმე წუთი მაცადეთ, მჭადები უნდა შევაფიცხო.

მირიანი და კუსა ალბომს მიუჯდნენ. მირიანი სათითაოდ იღებდა ხელში სურათებს, დახედავდა, მერე კუსას მზერას მიაპყრობდა სურათისკენ, აჩვენებდა, თან უხსნიდა.

– ეს მოხუცი კაცი იუსუფ დადიანია, ასლანის მამა, ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთიდან, ხომ ლამაზი ვაჟკაცია, არა? შენ

სამეგრელოდან ხარ და დაგაინტერესებს, საიდან გაჩნდნენ დადიანები აჭარაში. არ ვიცი, არც თვითონ იციან. შემდგომში ალბათ, სპეციალური კვლევის საგანი გახდება. იუსუფის წინაპრები აჭარაში ქართული საქმისათვის ცნობილი მოღვაწეები იყვნენ. ეს – მეორე სურათი აჩვენა მირიანმა კუსას – იუსუფის მეუღლეა, გურიიდან მოტაცებული ქალი, იშვიათი სულის და ზნეობის ქართველი ქალბატონი ღიღია ლომთათიძე. იგი წარსულში ცნობილი სოციალ-დემოკრატის, ცნობილი ქართველი მწერლის ჭოლა ლომთათიძის დაა. იუსუფი და მისი მეუღლე ახლაც ჯანმრთელად არიან, სოფელ ქობულეთში მათი ოჯახი სამაგალითო დათითით საჩვენებელია. აი, ამ სურათზე მთელი ოჯახია ერთად. ეს ახალგაზრდა ყმაწვილი ასლან დადიანია, იმ ოჯახის უფროსი, სადაც ახლა ვართ. ეს ფატი, ჩვენი დღევანდელი მასპინძელი, იგი იუსუფის ყველაზე უმცროსი შვილია, ერთი ვაჟი და სამი ქალი. ქალიშვილები სამივე გაუთხოვარია. ეს სურათი ასლანის მეუღლისაა, ეს კიდევ ასლანის ვაჟია, ეს კი... ფატი შემეშველე – გასძახა მირიანმა სუფრის გაწყობაში გართულ ქალიშვილს და ხელში ადებული სურათი დაანახა –, ეს ღიღიანაა არა, ასლანი რომ იყო უცნაურად შეყვარებული, – ფატიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან დაუმატა – ჰო, ღიღიანაა, კუსა, მოგეწონა? არ შეიძლება არ მოგწონებოდა, არ შეიძლება არ აღფრთოვანებულიყავი, არ შეიძლება არ შეგყვარებოდა. ამას მე, ქალი ვამბობ.

– მე კი მომეწონა, მაგრამ ასლანმა ვერ შეაყვარა თავი?

– არა, ეს დიდი ისტორიაა. ცხადია, ვიამბობთ, მაგრამ მხოლოდ სუფრასთან მოწვევის შემდეგ, ესეც ახლავე იქნება – და ფატიმ კიდევ რაღაც შემოუმატა სუფრას – ახლა ახალი ტყემლის გარეშე სადილი არ შეიძლება – თქვა მასპინძელმა ქალიშვილმა და სუფრაზე მიიწვია სტუმრები.

– ოო, რა სუფრა გაუწყვია ქალბატონ ფატის, ნამდვილი ზეიმი – აღტაცება ვერ დაფარა იბერმა.

– ნამდვილი დადიანური სუფრა – მირიანს მხარი აუბა კუსამ.

სუფრაზე კი ყველაფერი ეწყო, რაც ქართულ სუფრაზე უნდა იყოს წელიწადის ამ დროს – ზაფხულში.

ფატიმ, როგორც მასპინძელმა თვითონ იკისრა თამაძობა.

– მე მხოლოდ პირველ ჭიქას შევსვამ, მეტის დალევა არც შემიძლია და არც ადამი, წესი და ოჯახი მრთავს ნებას, მაგრამ ეს პირველი სადღეგრძელო ახლა ყველაზე სასურველ სადღეგრძელოდ მეჩვენება და მგონია, წელანდელი ჩვენი ნატვრის აღსრულებას გაუმარჯოს, წელანდელი, თქვენ რომ მოხვედით და მე რომ ვტიროდი, მაშინ ვინატრეთ, რომ ქვეყნად ვითარება დალაგებულიყოს, დამშვიდებულიყოს და დაწმენდილიყოს. მე სწორედ უაღრესად დალაგებული და დამშვიდებული ქვეყნის შვილი მინდა რომ ვიყო. დავლით – წაათამაშა ყმაწვილები, შემდეგ უთხრა – რამე მიირთვითო და წამოდგა, რათა წელან მირიანის მიერ ალბომში ჩატოვებული ღიღიანას სურათი ამოედო, დაეხედა და ბოშა ქალისა და ქართველი ვაჟკაცის სიყვარულის დაპირებული ამბავი მოეთხრო სტუმრებისათვის.

– ყველა ხდომილებას – დაიწყო მცირე ხნის შემდეგ ფატიმ – რაღაც განსაზღვრავს და განაპირობებს. თუ ასლანმა შემოგვისწრო, მე ამ ამბავს ვეღარ დავასრულებ. იცი ყველას, ოჯახის ყველა წევრსა და მთელ მის სამეგობროს გვიკრძალავს ამ ამბის შესახებ რაიმეს მოყოლას. ამ ამბის გახმაურებას, მან ტაბუ დაადო მის დიდ სიყვარულს. ეს ფოტოსურათიც, სადაც ღიღიანაა აღბეჭდილი ასლანის საოჯახო ალბომში მეუღლის საგანგებო თანხმობითაა შენახული. თქვენ ორივეს, ალბათ, წაკითხული გექნებათ რას წერენ მე-11 და მე-12 საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსები და ქართველი ჟამთაღმწერლები ბაგრატ მეოთხის ქალიშვილის ბიზანტიის დედოფლის მარიამის შესახებ. ღიღიანას სილამაზეც ნამდვილად დვთაებრივი ემანაციაა. კინაღამ ვთქვი ემანაცია იყო მეთქი, იყო და არის. იგი

ჩვენს სივრცეს მოშორდა, თორემ ცოცხალიცაა და ჯანმრთელადაც არის. ახლა თვითონ ამბავი: ამ სამიოდე წლის წინ ასლანი აჭარის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. ჰო, ეს ამბავიც ზუსტად სამი წლის წინ მოხდა, სწორედ იმ ზაფხულს, მე რომ მისაღები გამოცდები ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აგვისტოს ბოლოდეკადაში ბათუმში ხმა გავრცელდა გონიოს სანახებში, კერძოდ გონიოს გალავნიდან ზღვამდე გაშლილ ველზე ბოშების დაბანაკების შესახებ. ბოშები მზის, სიცოცხლის და მოგზაური ცხოვრების უსაზღვროდ მოტრფიალე ხალხია, ამიტომ ისინი განუწყვეტლივ მოგზაურობენ და იქ სცემენ ბანაკს სადაც გაშლილი სივრცეა და მზეც მთელი ძალით ბობოქრობს. ბოშათა ბანაკის ამ უცნაურმა გამოჩენამ გონიოს ველზე ბათუმელების წინაშე, უფრო ზუსტად, აჭარის რესპუბლიკის ხელისუფლების წინაშე ბევრი თავსატეხი კითხვა წარმოშვა, დაბადა, აღმოაცენა თუ გააჩინა. მთავარი იყო კითხვა იმის შესახებ, თუ საიდან შეიძლებოდა ბოშათა ბანაკი გონიოში გაჩენილიყო? ნორმალური გზა, რომლის გავლითაც ბოშებს გონიომდე შეიძლებოდა მოეღწიათ ორი იყო. ერთი თურქეთიდან, სარფის გამოვლით, ხოლო მეორე საქართველოში შიდა რეგიონების გავლით, ქობულეთის გამოვლით. ორივე გზის გამოყენება მოაზრებადი და დასაშვებია, მაგრამ იმ პერიოდში ოფიციალური ნებართვით არავის გადმოუღასხავს, არავინ გადმოსულა არც სარფთან, არც მარადიდთან და არც არსად საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვრის აჭარის მონაკვეთზე, არც ქობულეთში გამოვლილი უნახავს ვინმეს ბანაკი. თუ დასაშვები გზებიდან ბოშებს არცერთი გამოუყენებიათ, მაშინ უნდა გვეფიქრა დაუშვებელ, აკრძალულ გზებზე. ამ ამბების დადგენა საქმის სრულ გამოძიებას მოითხოვდა და დაიწყო სასტიკი გამოძიება. გამოძიებაში ერთდროულად ჩაება აჭარის პროკურატურა, აჭარის შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოები, სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები. გამოძიების უშუალო დაწყებას წინ უძღოდა ბოშათა მთელი ბანაკის ზედმიწევნით აღწერა და აღრიცხვა. ბოშათა ბანაკს დაუყენეს სასაზღვრო ჯარების ნაწილები, ბოშებს აუკრძალეს გამოძიების დამთავრებამდე ბანაკიდან გასვლა და გამგზავრება, აგრეთვე მათ აუკრძალათ უცხო პირების მიღება და საერთოდ, ბანაკის გარე სამყაროსთან კონტაქტი. – ფატი შეჩერდა ღვინის ჭიქები შეავსო, მერე ბოთლი მაგიდაზე დადგა, თავისი სასმისი აიღო ხელში და თქვა: – ახლა ისიც უნდა გავიხსენო, რომ მე თამადა ვარ და ჩემი ნებით ნაკისრი მოვალეობა უნდა შევასრულო, ამ ჭიქით ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, მე მეტს ვეღარ დავლევ, მაგრამ თქვენ აუცილებლად უნდა დალიოთ ღვინო. აბა, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს. იგი უფრო ღრმაშინაარსიანი და სრულყოფილი გამხდარიყოს – ფატიმ თავისი ჭიქა დადგა, შემდეგ მოუსმინა მირიანსაც და კუსასაც, სტუმრებს სუფრაზე დალაგებული კერძები შესთავაზა და დაწყებული თხრობა განაგრძო – ერთი სიტყვით, დაიწყო ნამდვილი გამოძიება, თუ ბესარაბიის სივრცეებიდან წამოსულ ბოშებს სახელმწიფო საზღვარი არ დაურღვევიათ, თუ ისინი გონიოში ქობულეთზე გამოვლით არ ჩამოსულან, რჩებოდა მესხეთის გადამკვეთი შარა, შემდეგ კი – გოდერძის უღელტეხილი და ზემო აჭარის გამოვლის შესაძლებლობა. ბოშათა ბანაკის მეთაურმა გიორგი ბონდარმა აღიარა, რომ ისინი სწორედ ამ გზით მოხვდნენ გონიოში. მაგრამ აღიარა, რომ თუ ბოშებს სასაზღვრო პოსტების გადაღახვა მოუხდათ ეს არცოდნის გამო ხდებოდა. ბოშების მოგზაურობას უკრაინის ვრცელ ტერიტორიაზე, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში არავითარი ფარული მიზნები არ ჰქონია. ისინი საწყისი ტრამალებიდან ორი წლის წინ დაიძრნენ და გზა და გზა თვეობით ჩერდებოდნენ ბანაკებში. საბჭოთა მთავრობას მათი გადაადგილება აკრძალული არ ჰქონდა. გამოძიებამ მთელ ამ ამბავში დანაშაულის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა. გამოძიება კარგა ხანს გაგრძელდა. პირველი სექტემბრისათვის მე თბილისში წავედი. სწორედ

სექტემბრის დასაწყისში მომხდარა ლილიანასა და ასლანის შეხვედრა, დაახლოებაცა და სასიყვარულო ინტრიგის თუ სასიყვარულო ინტერესების ჩასახვაც. ერთი სადღეგრძელო კიდევ ვთქვათ და მერე მე წაგიკითხავთ ჩემთვის თბილისში ასლანის მიერ გამოგზავნილ წერილს, რომელიც ლილიანასთან პირველ შეხვედრას ეხება. ახლა ამ ჭიქით თქვენს სტუმრობას გაუმარჯოს – მორიგი სადღეგრძელო წარმოთქვა ფატიმ, მერე თავისი ხელჩანთიდან ამოიღო კონვერტიანად შენახული წერილი და მირიანს და კუსას წაუკითხა:

- გამარჯობა, ფატი!

ეს წერილი არატრადიციული წერილია, ამიტომაცაა, რომ იგი მოკითხვითა და ნახვის ნატვრით არ იწყება. მე ისე სასწრაფოდ მინდა მოგიტხრო, რაც ბოლო დღეებში თავს გადამხდა, რომ პირდაპირ ვიწყებ.

შენ იცი, მე ახლა ვის და რომელ საქმეს ვიძიებ. ბოშების ნაბიჯების მზომავი და მკვლევარი გავეხდი. რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ ჩავედი ბოშების ბანაკში და მის შემდეგ არ მიძინია. ბანაკში ამჩასვლისას ვნახე ის, ვინც აქამდე არ მყავდა ნანახი, ვის არსებობაზეც წარმოდგენაც არ მქონდა, ვნახე და მოსვენება დაგვარგე. ავფორიაქდი, ჩემი სიმშვიდე და სიღინჯე სადღაც გამიქრა, წარმოსახვები გამიმძაფრდა, არ ვიცი რა ვქნა, აღარ ვიცი რა ვაკეთო, რაღაც მინდა, მაგრამ გამოკვეთილად არც ის ვიცი, რა მინდა. ვინმეს უნდა დაველაპარაკო, ვინმეს უნდა გაეუზიარო ეს განცდები, ვინმეს უნდა გადავუხსნა გული. მე არჩევანი შენზე გავაკეთე. ჩემი ოჯახის წევრებიდან ახლა მხოლოდ შენ არ ხარ აჭარაში და დისტანციიდან უფრო ჰაეროვანი, უფრო ადამიანური, უფრო გამგები და უფრო დამთმობი მეჩვენები, ეს ერთი. მეორეც, შენ ჩვენს შორის ყველაზე მეტად და ყველაზე ღრმად ხარ პოეზიით დაავადებული. მესამე კი ისაა, რომ შენ ჩემი მხოლოდ და კი არა ხარ, არამედ მეგობარი. მე ვგრძნობ, რომ შენ უკვე დაგებადა კითხვა: რა შეემთხვა ასლანს ასეთი, ვინ ნახა, ვინ გაუმძაფრა წარმოსახვები? პირდაპირ გეტყვი – ლილიანა ვნახე, ბოშათა ბანაკში ლილიანას შევხვდი. დანარჩენი ყველაფერი მისგან მოდის. მისგან წარმოსდგება, ისაა ყველაფრის თავკიდური. შენ რომ იცოდე, როგორი სიფაქიზით, როგორი მოწიწებით, როგორი სინაზით ვწერ და წარმოვთქვამ ამ სახელს, შენთვის ყველაფერი ნათელი გახდება. ლილიანა! – ხომ არის ამ სიტყვაში რაღაც იდუმალი, რაღაც ღვთიური, რაღაც უკიდურესად მომხიბვლელი. იმ დღეს გონიოში ყველაფერი ლურჯი იყო, ლურჯი და ჰაეროვანი, ლურჯი და საოცრად მიმზიდველი. მცენარეების სიმწვანე სილურჯეში იყო გადასული, ცა მოკრიალებული, ღია ლურჯი ფერით იყო დედამიწაზე გადმომხობილი, ზღვა ლურჯი ზვირთებით იყო დახუნძლული. წყნარად მონანავე ლურჯი ზვირთებით. მე ზღვის ნაპირზე გეორგი ბონდარს ვეძებდი, ბოშათა ბანაკის წინამძღოლს და ამ ძებნისას ზღვის ნაპირზე ბამბუკის ფანჩატურში მზისგან თავშეფარებულ ლურჯ კაბაში გამოწყობილ ლილიანას გადავაწყდი.

ლილიანა ზღვას გაჰყურებდა.

იგი ისეთი ლამაზი იყო, როგორც... ცნობიერებამ მისი დანახვისთანავე შედარების აშენება დაიწყო, მაგრამ მას ვერაფერი ვერ შევუდარე და გონებამ შედარებად დაწყებული აზრი ვერ დაამთავრა. ერთი რამ იმ წუთშივე ცხადი იყო: ეს იყო სილამაზე, რომელიც ვნებას არ იწვევდა, ვნებას არ ბადებდა. არა, ეს სულ სხვაგვარი სილამაზე იყო, უვნები სილამაზე, საოცრად მშვიდი, საოცრად ამამაღლებელი და საოცრად ნეტარი სილამაზე, ნაკეთების ასეთი ჰარმონია მე ჯერ არსად, არცერთ ადამიანში შემხვედრია. მიახლოება ვერ გაეუბედე, მაგრამ მისგან განშორებაც არ შემეძლო, რაღაც უნდა მეკითხა, რომ მის სიახლოვეს ყოფნა გამეხანგრძლივებინა. მდგომარეობიდან თვითონ გამომიყვანა, რუსულად მკითხა:

– თქვენ ვის ეძებთ?

“რადგან თქვენ გნახეთ, აწ აღარავის აღარ ვეძებ”, ცნობიერებამ ეს სიტყვები ენის წვერზე დაიჭირა, თქმით კი სულ სხვა ვუთხარი:

– რატომ მეკითხებით?

– მე ადრე ორჯერ უკვე გნახეთ ჩვენს ბანაკში, დღეს კი გეორგი ბონდარმა დამიბარა, გამომძიებელთაგან ვინმე თუ გამოჩნდეს და მიკითხოს, ათ წუთში მოვალა – დიდი, საოცრად დიდი თვალები მომაპყრო. სახეზე თეთრი არ იყო, მაგრამ არც შავი, ხორბლისფერი იყო, თმას კი ვერავითარ სხვა ნიუანსს ვერ მოუძებნიდი, კუპრივით შავი იყო, შავი და ხუჭუჭი. შენს თმებზე უფრო ხუჭუჭი, მაგრამ შენი თმები მუქი წაბლისფერია, ხოლო მისი თმები მუქი შავია. მისმა გამოლაპარაკებამ საშუალება მომცა და ვკითხე:

– თვითონ სად წავიდა?

– მან და ბანაკის რამდენიმე ბიჭმა ცხენები წაასხეს გასასეირნებლად – მითხრა და ხელით მიმითითა გზის გაგრძელებაზე ზღვის პარალელურად და სამხრეთით – როგორც მე ახლა დავასკენი. ალბათ თქვენ გელოდათ.

– ჰო, მელოდა, მაგრამ მე დავაგვიანე, ბათუმიდან გვიან გამოვედი – ამით ჩვენი საუბრის ის თემა, რაც შავთმიანმა ქალიშვილმა დასვა, ამოიწურა, მაგრამ ახალმა კითხვამ მისხნა.

– რა გქვიათ? – ვკითხე და ყურადღებით შევხედე.

– ლილიანა – მითხრა და მანაც გამისწორა თვალი.

– ზუსტი სახელია. სხვა რაიმე რომ გეთქვა, არ დავიჯერებდი. – ეს ვთქვი და გონებაში ნათქვამი წინადადების დამასაბუთებელ არგუმენტს დავუწყე ძებნა, რომ ამ დროს სამხრეთიდან იქეთ გარეკილი ცხენები და ბოშათა ჯგუფი გამოჩნდა.

– აი, გეორგიც მოვიდა – თქვა ლილიანამ.

ბონდარი მოგვიახლოვდა და ლილიანასთან ჩემი შეხვედრა ამით შეწყდა. აღარ გაჩერდი ბანაკში. წამოვედი და ჩემს ცნობიერებაში აღძრული და ამოძრავებელი წარმოსახვები წამომყვა. იცი როგორი სილამაზე იყო ჩემს წინ, ნამდვილი, ჭეშმარიტი სილამაზე, რომელიც ვნებას კი არ ბადებს, არამედ აღტაცებას. იცი, ფატი რას გეტყვი, ალბათ ასეთ სილამაზესთან შეხვედრის შემდეგ დაიბადა პლატონური სიყვარულის ცნება. არ ვიცი რა არის ეს განუწყვეტელი ფიქრი, ალბათ ამას ჰქვია სიყვარული, ალბათ ესაა ერთი ნახვით შეყვარება. ფატი, ლილიანამ დამატყვევა და თან წამომყვა, ლილიანამ დამატყვევა და ჩემთან დარჩა განუყრელად, ახლა მხოლოდ მისით ვსუნთქავ და ვცოცხლობ. ხვალ უნდა წავიდე ბოშათა ბანაკში და ლილიანა ვნახო. თურმე ამ გრძნობით აფორიაქება უსაზღვრო ეჭვსაც ბადებს. ნეტავ მე გავახსენდი იმ დღის შემდეგ ლილიანას? თუნდაც ერთხელ და თუნდაც წამიერად. კიდევ მოგწერ წერილს. შენი ძმა ასლანი. 13 სექტემბერი, 1934 წელი”.

ფატიმ წერილის კითხვა დაამთავრა, ბარათი თავის ადგილზე შეინახა, სუფრას მოუბრუნდა, გაწყობილ პურ-მარილს გადაავლო თვალი, ჭიქები ღვინით შეავსო და თქვა:

– ახლა ერთი სადღეგრძელო კიდევ უნდა ვთქვათ, მოდი ლილიანა ვადღეგრძელოთ, იგი სიცოცხლისათვის გაჩენილი ქალია და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ, – ფატი ალავერდს გადავიდა ჭაბუკებთან.

მირიანმა ლილიანას სადღეგრძელო თქვა, დალია და საათს დახედა:

– ალბათ, ასლანი მალე მოვა. ფატი, იქნებ ამ სიყვარულის დაწყებული ამბის თხრობა დაგვემთავრებინა.

– ცხადია – მირიანს მხარი აუბა კუსამ.

– ახლავე დავამთავრებ. ცოტას შევკუმშავ. ასლანმა ლილიანას გამო რამდენიმე წერილი მომწერა. მაგრამ მათ გამოვტოვებ. ვიტყვი მხოლოდ მთავარს, იმას, რომ ასლანმა მოახერხა რამდენჯერმე მარტო შეხვედროდა ლილიანას. სიყვარულში გამოუტყდა, ქალისადმი მისი დამოკიდებულებაც დაუხატა და საქმე იქამდე მივიდა, რომ ლილიანამ აღიარა – მე ჩემი

გათხოვების პრობლემის გადაწყვეტას არავინ არ მკითხავსო. ყველაფერი ბანაკის მოხუცთა საბჭომ, პირველ რიგში კი ბიძაჩემმა უნდა გადაწყვიტოსო. ასლანს მოუწია ბონდართან სპეციალური ვიზიტი.

იმ ბოლო, ერთობლივ შეკრებას ასლანის გარდა ვესწრებოდით მამაჩემი იუსუფ დადიანი, ასლანის ერთი მეგობარი და მე. მე სპეციალურად ჩამოვედი თბილისიდან. თავდაპირველად ასლანმა ილაპარაკა. მან დამსწრეებს აუწყა ლილიანასთან ურთიერთობის მთელი ისტორია, აღნიშნა ქალიშვილის ღირსებები, ისიც დასძინა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ასლანთან მომავალი ქორწინების, ოღონდ მთავარია უხუცესებისა და კერძოდ ბიძამისის გეორგი ბონდარის თანხმობა. ბოშათაგან არავის ხმა არ ამოუღია. მთელი ეს საქმე ბონდარს მიანდევს.

ბონდარი ადგილიდან წამოდგა და თქვა:

– ლილიანა როგორც ჩანს და როგორც მასთან გუშინდელ საუბარში გავარკვიე, არ არის წინააღმდეგი არც საერთოდ გათხოვებისა და არც, კერძოდ, საქართველოში გათხოვებისა. კიდევ გავიმეორებ: იგი თანახმაა ცოლად გაჰყვეს უცხო ტომის, უცხო ზნე-ჩვეულებებისა და უცხო ტრადიციების კაცს. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. უპირველესად კი ნიშნავს იმას, რომ ასლანი დიდი ზნეობის და გამორჩეული ვაჟკაცობის კაცია. სხვაგვარი კაცი ლილიანას ვერ გადაიბირებდა, თავს ვერ მოაწონებდა, ფიქრსა და ოცნებას ვერ აუშლიდა. მე ეს მახარებს. ლილიანა თანახმაა და გარკვეულად არც მე ვარ წინააღმდეგი, მაგრამ ეს ყველაფერს არ ნიშნავს. ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. დავუშვათ, რომ შედგა ეს ქორწინება, მერე როგორ უნდა იცხოვროთ – ბონდარმა ასლანს გაუსწორა თვალი, ბანაკის უხუცესებმა კი ხმა ამოიღეს. “ჩვენ ლილიანას დაგვარგავთ, ეს გადაწყვეტილია” – მაცადეთ – ხელი ასწია ბონდარმა და შექმნილი ჩოჩქოლი ჩააჩუმა – მე რატომ უნდა ვიყო ასლანის წინააღმდეგი? ჩვენი საქმის გამოძიების დროს ასლანმა ყველას იმხელა კაცობა გვაჩვენა, რომ მთელი ბანაკი მოგვინადირა. მაგრამ თუ მე ამ ქორწინებაზე ასლანს თანხმობას განუცხადებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე მის საწინააღმდეგო საქმეს ჩავიდენ. როგორ, ასლან ძვირფასო, შენ ხომ არ აღუკვეთავ ლილიანას, რომ თავისიანებს შეხვდეს. შენ, ჩვენს ზნეს, ჩვენს ტრადიციებს არ იცნობ. თავიდან კი, მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ შენ შეგრცხვება იმისა, რომ ამ უცნაურ, თავნება და მოუთვინიერებელ ბოშებს დაუშვავდი. გესმის, შეგრცხვება. ჩვენებურებს წესრიგი არაფერში არა აქვთ. ამიტომ იქნება შენს ოჯახში ლილიანას მრავალრიცხოვანი ბიძების, ბიძაშვილებისა და სხვა ნათესავების განუწყვეტელი სტუმრობა. ეს შენ ხელს შეგიშლის სამსახურშიც, კარიერაშიც და ყოველდღიურ ადამიანურ ცხოვრებაშიც. თავს დაიწყევილი, ისეთ მდგომარეობამდე მიგიყვანენ, სიცოცხლეს შეგაძულებენ. ჩემი რჩევა ასეთია: ჩვენ უარს არ ვეუბნებით ასლან დადიანს შერთვაზე, თუ ლილიანასა და ასლანს ერთმანეთი უყვართ, მათ შეუძლებას ჩვენ უნდა მივესალმით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ქორწინებას სხვა ფორმა უნდა მიეცეს. ჩვენ ამ საკითხზე ვიფიქრეთ. ამ ფიქრის შედეგად კი დავადგინეთ, გადავწყვიტეთ ასეთი გზა მოვნახოთ. ასლანს შეუძლია შეერთოს ლილიანა, მაგრამ ამისთვის მან უნდა დასტოვოს თავისი სამსახური, თავისი მდგომარეობა, თავისი რესპუბლიკა და საცხოვრებლად გადმოვიდეს ჩვენთან, ჩვენს ბანაკში. ასლანს ნება დაერთვება თავის ოჯახის წევრებს, მის ახლობლებს და ნათესავებს შეატყობინოს ჩვენი ბანაკის მდებარეობის შესახებ სრული ინფორმაცია, ხოლო მათ ახლობლებსა და ნათესავებს ნება ექნებათ მათი სურვილის მიხედვით ესტუმრონ ჩვენს ბანაკებს. მიგვაჩნია, რომ ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. თავისი პირადი საქმეები და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობა ასლანმა უნდა მოაგვაროს. კიდევ ერთიც – თქვა და მარჯვენა ხელი მაღლა ასწია ბონდარმა – საბოლოო და გადაწყვეტილ პასუხს ჩვენ დღესვე არ ვთხოვლობთ. ვიცით, ჩვენი

შემოთავაზებული ვარიანტი სიძნელეებს შეიცავს. ამ წინადადებაზე დათანხმება შემართულ ნებას და ძალისხმევას გულისხმობს. ამიტომ ერთ კვირას ვაძლევთ ბატონ სასიძოს მოფიქრებისათვის. ლილიანა ამას სრული გაგებით შეხვდება. – მერე ასლანს მიუბრუნდა – თუ შენ შენი სიყვარულისთვის მზად ხარ ჩვენთან მოხვიდე და ჩვენი წესების მიხედვით იცხოვრო, ჩვენც მზად ვართ შენ მიგიღოთ ჩვენს წრეში და ყოველმხრივ შეგიწყობთ ხელი შენი ცხოვრების ბედნიერი წარმართვისათვის.

ორი კვირა გადაბმულად ფიქრობდა ასლანი. მერე ხუმრობდა: “იმდენი ვიფიქრე, ჩემს ტვინს ბოლი აუვიდაო”. სიყვარულს კარგავდა, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტა ბოშათა ბანაკში მუდმივ საცხოვრებლად მისვლა. ორი კვირის თავზე ბოშათა ბანაკიც აიყარა და უკან, ბესარაბიაში მისაბრუნებელ გზებს გაუყვა. წავიდა ლამაზი ლილიანაც. მართლაც ლამაზი იყო, მომაჯადოებლად ლამაზი. მასთან განშორებამ ასლანს ღრმა, ამოუვსები ჭრილობა და სევდა დაუტოვა. მერე ცხოვრებამ თავისი მოითხოვა. ასლანმა ცოლი შეირთო. ლილიანას ამბავი ცოლმაც იცის. ბათუმი პატარა ქალაქია. არაფერი არ დაიფარება. მოდი, ახლა ერთიც დავლიოთ, მოგზაურთათვის შევსვათ. ჩვენთვის მოგზაურის სიმბოლო ახლა ასლანია, რადგანაც იგი, ალბათ უკვე უახლოვდება ბათუმს.

– მოგზაურთათვის. ყოველთვის სწორი გზით ევლოთ – მაღლა ასწია კუსამ ღვინის ჭიქა.

– მოგზაურთათვის ამით შეუერთდა მირიანი სადღეგრძელოს.

– ასლანი მოვიდა – თქვა ფატიმ – გაიგონეთ მანქანის დამუხრუჭების ხმა? ეს მისი მანქანაა, მე ვცნობ, სხვებიც ცნობენ, თორემ ამჟამად მანქანის მოახლოების ხმა მარტო სახლს კი არა, მთელ უბანს აფორიაქებს... თუმცა ეს ფორიაქი ასე ადრე არა, შუალამიდან იწყება, სწორედ იმ დროიდან, როცა მილიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მანქანები ვინმეს დასაპატიმრებლად გადიან ქალაქში.

სადარბაზოში ასლანის ნაბიჯების გაგონებაზე სტუმრები წამოიშალნენ. ფატიმ არ დააცალა ძმას კარზე გასადების მორგება. თვითონ გამოულო კარი. წინკარში შემოსულმა ასლანმა ზალაში მირიანსა და კუსას მოჰკრა თვალი.

– რა სტუმრები გვყოლია, რა სტუმრები, ძველი იბერებისა და ძველი ჰელინების შთამომავალნი – მერე ორივეს გადაეხვია, გადააკოცნა – თქვენ არცერთს არაფრის მტკიცება არ გინდათ, თქვენი გვარები: იბერი და ბერძენიშვილი თვითონ მეტყველებენ თქვენს წარმომავლობაზე, თუმცა დღეს წარმომავლობაზე, გვარზე და ოჯახზე ლაპარაკი ცუდ ტონად ითვლება, მაგრამ დადიანთან სტუმრად სწორედ წარჩინებული ადამიანები უნდა დადიოდნენ. ყოჩაღ ფატი, წარჩინებულ სტუმრებს მთლად დადიანურად არა, მაგრამ მაინც გულით დახვედრიხარ. თუმცა შენი დადიანობა დროებითი ამბავია, მერე გათხოვდები და ვინ იცის, ვის წაჰყვები და ვინ გახდები. თუ უკვე იცი და მე არ მიმხელ, დაო – ასლანმა ხელი მოხვია ფატის და აკოცა.

– შენ არ იჯავრო ძმაო – ძმის მოალერსებას უპასუხა ფატიმ – ბაგრატიონიც რომ იყოს ჩემი ხელის მთხოვნელი, მე გვარს არ შევიცვლი, დადიანად დავრჩები. როგორ მოიარე ქუთაისი, როგორ არიან იქ ჩვენი მოყვრები, როგორ მიდის ქუთაისში... – და გონების სიდრმეებიდან წამოსული სიტყვა ფატიმ ენის წვერზე დაიჭირა, მეტყველება დამუხრუჭდა... – ღმერთო, კინაღამ ვიკითხე როგორ მიდის მეტქი ქუთაისში ტროცკიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა-თქო.

ასლანი დაჯდა. ფატიმ სუფრაზე ადგილი გაუნთავისუფლა, დანა-ჩანგალი, საინი და ღვინის ჭიქა მიართვა. ოჯახის უფროსმა ჭიქა აავსო და იკითხა – ვინ არის თამადა.

– ფატიმ არც ერთს არ გვანდო სუფრის უფროსობა, თვითონ დაიდგა თამადის გვირგვინი – აუხსნა მირიანმა.

- ფატი - ისევ დას მიუბრუნდა ასლანი - წელან რომ ენა კინაღამ გადაყლაპე, სიტყვა რომ შეგიფერხდა და ძლივს წარმოთქვი "ტროცკიზმი", დაიმასხოვე რომ ეს ამბავი საბჭოეთში ტაბუდადებულია. ჩვენს ირგვლივ ვილაცხვებ, ნაცნობებსაც და უცნობებსაც იჭერენ, მაგრამ ჩვენ პუშკინის მიერ შექმნილ პრინციპს უნდა მივსდით "გულგრილი შეხედი როგორც ქებას, ისე ძაგებას". გულგრილობა საშინელი დაავადებაა, თანაც ინფექციურია, ამიტომაც, რომ იგი ახლა ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა უმრავლესობას სჭირს, მაგრამ მე არ გამოძის, რომ ყველაფრის მიმართ გულგრილი ვიყო, გულგრილად შევხედე და გულგრილი დავრჩე... ფატი, ახლა საშინელ ხასიათზე ვარ, ამ ყმაწვილების დანახვა ძალიან გამეხარდა თორემ შეიძლებოდა სახლში შემოსვლისთანავე ბაღურად ავტირებულიყავი...

- რა მოხდა, ასლან?- ჩაეკითხა ფატი.

- მოხდა, კიდევ ერთხელ მოხდა ის, რაც ახლა საბჭოეთის უზარმაზარ სივრცეზე ყოველ დღე, ყოველ საათს ხდება, მოხდა კიდევ ერთი კოლექტიური დაპატიმრება...

- ვინ დაიჭირეს ასლან?

- თქვენთან ბოდიში, ყმაწვილებო, თქვენ არ იცნობდით მათ, ჩვენთვის კი ისინი ახლობელი ხალხია. ფატი, დღეს 12 საატზე დამირეკეს ბესარაბიდან და...

- რაო? - შემფოთებით ამოიძახა ფატი.

- რაო და ჩემო დაო, მთელი ის ბოშათა ბანაკი, რომელიც სამი წლის წინ აქ, გონიოსთან იდგა, ასევე მთლიანად დააპატიმრეს, კოლექტიურად.

- გეორგიც - იკითხა ფატი.

- ცხადია გეორგიც, როგორც ბანაკის მეთაური, ალბათ პირველყოვლისა, ის.

- ლილიანაც - ჩაეძია ფატი.

- ლილიანაც, სწორედ ლილიანას გამო დამირეკეს ჩემმა ბესარაბიელმა ამხანაგებმა.

- საწყალი - ფატი ხელახლა ატირდა - ვინ იცის რა დღეები ელის წინ. ასლან, მირიანსა და კუსას მე უკვე ვუამბე შენი და ლილიანას ამბავი, ასე, რომ ამათმა ყველაფერი იცინან.

- ასეა, ბიჭებო, - ისევაავსო ჭიქა ასლანმა - მოდი იმ ხალხის, იმ ცეცხლოვანი ბოშების, იმ ლამაზი ლილიანას სადღეგრძელო იყოს. მათი ხსენება, ალბათ, უკვე აღარ შეიძლება, სადღეგრძელოც უხმოდ, ჩუმად და უცრემლოდ დავლით.

- კიდევ ერთხელ უნდა ვახსენო ტროცკიზმი - თქვა ფატი - ბოშებმა რა იციან ამ თეორიის, როგორ შეიძლება იმ ბანაკიდან ვინმე ტროცკისტი იყოს?

- რა გულუბრყვილოდ ლაპარაკობ, ფატი - გაუღიმა დას ასლანმა - გეორგი ბონდარის ჯგუფს იმას კი არ აბრალებენ, რომ ისინი ტროცკიზმის თეორიას უკირკიტებენ, არამედ იმას, რომ ისინი ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან, მაგალითად იმას, რომ თურქეთში გადასვლის მიზნით მიაღწიეს გონიომდე, მერე ხელი შეეშალათ და უკან დაბრუნდნენ. ქუთაისამდე და ქუთაისიდან ბათუმამდე მთელი გზა იმას ვფიქრობდი, რომ შეიძლება მათ საქმეზე ჩვენც, ბოშების საქმის მაშინდელი გამომძიებლებიც გამოგვიძახონ. რა ვიცი, მათ რა თქვეს დაკითხვაზე და... სუფრაზე სიჩუმე გამეფდა.

- მირიან - გვიან იკითხა ასლანმა - როგორაა ჩემი ტიციანი, თუ ჩადგა კალაპოტში მისი ცხოვრება, მარიამი როგორ ბრძანდება, შვილიშვილი არ ენატრებათ, არ გაჩქარებენ დაოჯახებას?

- არა უშავთ, ჯანმრთელად არიან. ისინი ერთხელ 1924 წელს რომ გაოცდნენ, ახლაც გაოცებულნი არიან, ამჟამად თქვენთან ტიციანის თხოვნით

მოვედით, ორი ბილეთი უნდა გვიშოვოთ გემზე ოდესამდე. ცალკე ორადგილიან კაიუტაში.

– თქვენ მიდიხართ ოდესაში? თქვენ ორნი?

– დიახ – თავი დააქნია მირიანმა.

– ესე იგი თქვენ გემზე ბილეთები გინდათ ოდესამდე და უკან, ბათუმამდე.

– არა ოდესამდე, მერე მატარებლით წამოვალთ უკან.

– კარგი, ხვალ საღამოს, სამსახურიდან რომ დავბრუნდები ოდესამდე ორ ბილეთს მოვიტანთ დროში უახლოეს მარშრუტზე, მათი განრიგი ზეპირად არ მახსოვს, მაგრამ რომელიმე გემი, ალბათ, ამ კვირაში ოდესაში მიდის. ახლა თქვენს მომავალ მგზავრობას გაუმარჯოს, ბრძენი კაცია ტიცინი. ოდესაში ჩახვალთ, მიიხედ-მოიხედავთ, მერე მატარებლით, ალბათ კიევამდე და ასე შემდეგ. ამასობაში ეს ამბებიც ჩაივლის. თქვენ გაგიმარჯოთ.

მერე იმ დამეს, სანამ ფატი ლოგინებს გაშლიდა და აწესრიგებდა, ასლანმა ჩაის ჭიქები შეავსო ღვინით და ადამიანში, შიგ, სულში ჩაბუდებული გაძლების უნარი აღდევრძელა.

– თქვენ გგონიათ მე იოლ რამეს ვუძღებ? – ხმადაბლა ლაპარაკობდა ასლანი – არა, ჩემი მდგომარეობა ზოგჯერ უკიდურეს გაუსაძლისამდე მიდის. ქალი ვითხოვე, ბავშვი მყავს, იუსუფ დადიანის ოჯახში ახალი ოჯახი გაჩნდა. მირიანი კარგად მიცნობს და იცის რომ კაცური კაცი ვარ, ხომ გახსოვთ ილიას “კაცური კაცი”, ცოლს თავისი უნდა, შვილს – თავისი, ოჯახს თავისი და ყველა ამ მოთხოვნის სიმალეზე ვდგავარ. ვარ და სულ ასე ვიქნები შეურცხვენლად, მაგრამ იმ ტკივილს რა ვუყო ხუჭუჭთმიანმა ლილიანამ რომ დამიტოვა, ეს ტკივილი იღუმალა ტკივილია, რომელიც ჩემში და ჩემს სამყაროში ყველაფერს სევდით ავსებს, სწორედ ეს სევდაა გაუძალისი, იცი, რომ სადღაც არის ეს სილამაზე, მაგრამ იგი შენი არ არის და რაც მთავარია შენი აღარასოდეს იქნება, სწორედ ეს განცდა ბაღებს ტკივილს, მაგრამ იგი ადამიანურია და კაცურმა კაცმა უნდა ზიდოს. სულში ჩაბუდებულია ამ ტკივილის გაძლებისათვის საჭირო ენერჯია, რომელსაც მე წველან, სადღევრძელს აწვეისას გამძლეობის უნარი დავარქვი. ახლა მე მაპატიეთ, ნამგზავრი ვარ და სმას ვერ გავაგრძელებ. დილას მე თქვენს გაღვიძებამდე წავალ, მაგრამ გთხოვთ ზღვაზე გახვიდეთ, იქაა ის სილურჯე, ცისა და ზღვის შესაყარზე გაჩენილი იღუმალეობა, რომელსაც როცა გასცქერი, სწორედ მაშინ ღვივდება სულში გამძლეობის უნარი და სასიცოცხლო ენერჯია.

დილით მირიანი და კუსა პლაჟზე გავიდნენ.

იბანავეს, დაისვენეს, თორმეტი საათისთვის შიმშილმა შეახსენათ თავი.

– მოდი, აქვე სტალინის ქუჩის დასაწყისში კაფეა. იქ შევიდეთ და ხაჭაპური და ყავა შევუკვეთოთ – დაგეგმა საუზმე მირიანმა.

სანაპირო ბაღი გადაჭრეს, სტალინის ქუჩაზე ხელმარჯვნივ მაღალი სახლის პირველ სართულზე მოწყობილ კაფეში შევიდნენ. კაფე თითქმის ცარიელი იყო. კედლებთან ჩამწკრივებული მაგიდებიდან ორიოდე მაგიდა იყო დაკავებული. მირიანმა და კუსამ ერთი ცარიელი მაგიდა შეარჩიეს, მერე მიმტანს ყავა და ხაჭაპური შეუკვეთეს და საუზმის მოლოდინში გააბოლეს. მცირე ხნის შემდეგ კაფეში ვიღაცეები ჯგუფად შემოვიდნენ. ახლადმოსულებმა საპირისპირო კედელთან დაიკავეს ცარიელი მაგიდა. მირიანმა ისე დაასრულა ერთი სიგარეტი, დაფიქრებულს თავი არ აუღია და ახლადმოსულები არ შეუთვალაიერებია. მისი ცნობიერება წუხანდელ, ასლანის მიერ მოტანილ ამბავს, პროფესორ ვახტანგ კოტეტიშვილის დაპატიმრების ეპიზოდს და ქვეყნად გამეფებულ უნდობლობასა და შიშს ჰქონდა შეპყრობილი. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა თეთრხალათიანმა რუსმა მომტანმა ახლადგამომცხვარი ხაჭაპურები და ყავა მოართვა სუფრას. თავი ასწია და მოპირდაპირე კედელთან მიდგმულ მაგიდასთან ვიღაც მზისფერთმიან, საოცარი ღიმილით მომღიმარ ახალგაზრდა ქალიშვილს

შეეფეთა. მაგიდას ოთხი ადამიანი უჯდა. იმ მომენტში ოთხივე იცინოდა, მაგრამ მზისფერთმიანი ქალის თუ გოგონას სიცილი დაოკებული ღიმილი იყო. დაოკებული, მაგრამ გადამდები, დანარჩენი სამი ადამიანი დაოკებულ ღიმილს გადაცდენილი ხმიანი სიცილით იცინოდა. მაგრამ მირიანის ყურადღება მაინც იმ მზისფერთმიანი ქალის ღიმილმა მიიპყრო, ალბათ იმიტომ, რომეს ღიმილი ყველა თანამეინახის ხმიან სიცილზე უფრო შთამბეჭდავი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ამ გოგონას ღიმილში მისი თაფლისფერი თვალებიც იყო ჩართული, ხოლო თვალებში ციციანთელები ელავდნენ, ალბათ იმიტომ, რომ თეთრყირმიზა გოგონას ვარდისფერი კაბა ეცვა, რომელიც საოცარ ფონს უქმნიდა მის აურას. მთლიანობაში მზისფერთმიანი ქალი, ქალიშვილი თუ გოგონა შთამბეჭდავი და მიმზიდველი იყო. მირიანს მათი საუბარი არ ესმოდა. მათი ურთიერთობა ძალზე მოზომილი ლაპარაკით მიმდინარეობდა, მაგრამ უცნობი გოგონას სილამაზე აიძულებდა მთელი ყურადღება მათი მაგიდისკენ ჰქონოდა. უცებ მირიანის გონებაში ამოენტო ფრაგმენტი ასლან დადიანის წერილიდან, სადაც იგი თავის დას, ფატის ბარათში ასე უხასიათებდა ლილიანას სილამაზეს: “იცი, როგორი სილამაზეა ჩემს წინ, ნამდვილი, ჭეშმარიტი სილამაზე, რომელიც ვნებას კი არ ბადებს, არამედ აღტაცებას”, მერე თვითონ გააგრძელა ფიქრში “ესაა სილამაზე, რომელიც ვნებას კი არ უბიძგებს, არამედ მადლა, ზეცისკენ გაფრენას, უსასრულობაში გაფრენას, სადღაც უსაზღვრო სიწმინდისკენ ლტოლვასა და სწრაფვას”.

– მირიან, რატომ არ კიდებ ხელს ხაჭაპურს – სინამდვილე შემოატრიალა კუსას ხმამ.

– ახლავე. – გაეპასუხა და ყავის ჭიქა თავისკენ მოსწია მირიანმა.

კაფეში ვიღაც ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, პირდაპირ მზისფერთმიანი მაგიდისკენ წავიდა, თავზე დაადგა მათ და ერთ-ერთ მათგანს მიმართა:

– ქალბატონო ლეილა – მანქანა აბსოლუტურად მზადაა.

მთელი მაგიდა ამ ცნობას აღფრთოვანებით შეხვდა.

იმ ქალმა, რომელსაც ქალბატონი ლეილა უწოდეს, ქვევიდან ახედა მანქანის მზადყოფნის ამბის მაუწყებელს და ჰკითხა:

– ამირანი სადაა?

– ამირანი მანქანაში ზის, გიცდით!

– ორიოდე წუთში დავამთავრებთ საუბრეს და გამოვალთ.

– კარგი, გასაგებია. – და ახალგაზრდა კაცი კაფეს კარისკენ გაემართა.

ორ წუთში ქალბატონ ლეილას სუფრა აიშალა. ერთი წამიც და მზისფერთმიანი, თეთრი, მაღალი (ეს სუფრის წამოშლისას დაინახა იბერმა) გოგონა სამუდამ დაეკარგებოდა მირიანს. ამ დასკვნამ უბიძგა და წამოიწია, მაგრამ კუსამ მკლავზე დაადო ხელი:

– არ წამოდგე, არ გაყვე, თუ შენი ბედისწერაა, სადღაც კიდევ შეხვდები.

მირიანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ თვალებით გააცილა ქალიშვილი. არ წამოდგა, მაგრამ თან გაჰყვა მომწესხველ ღიმილიან გოგონას. გაჰყვა ღიმილით დამშვენებულ თაფლისფერთვალება გოგონას, მაგრამ უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ იმ უცაბედი შეხვედრიდან მზისფერთმიანი და უცნაური, თბილი, მომაჯადოვებელი ღიმილით დაჯილდოებული ქალიშვილი თან გამოყვა იბერს ფიქრად, იმედად და ოცნებად. ისე იმოგზაურეს ბათუმიდან ოდესამდე, ისე შემოიარეს და დაათვალიერეს ოდესის ღირსშესანიშნაობანი, ისე მოისმინეს ოდესის ოპერისა და ბალეტის გრანდიოზული თეატრის რამდენიმე სპექტაკლი, ისე ჩავიდნენ აგვისტოს დასაწყისში კიევში, ისე ისეირნეს კრემჩატიკზე, ისე მოინახულეს კიევის რუსეთის დროინდელი ძეგლები, მზისფერთმიანი ქალზე ფიქრს და მის მშვენიერ ხატებას ერთი წუთითაც არ მიუტოვებია მირიან იბერი. იგი თითქმის მოჯადოებული იყო ბათუმში მოულოდნელად და უცბად ნანახი

ქალიშვილით, ყოველ გათენებას მისი ნახვის იმედით ხვდებოდა. ყველგან მას ელოდა, ყველგან ის მწყაზარი გოგონა ელანდებოდა. განვლილმა დღეებმა, მოგზაურობაში დახარჯულმა დრომ ვერაფერი ვერ დააკლო მირიანის სულში აღძრულ სიშმაგეს. ცხადი იყო ბათუმის კაფეში იმ ხანმოკლე, დაუგეგმავმა და გაუმიზნავმა შეხვედრამ ძალიან ღრმა კვალი გაავლო მირიანის ცნობიერებაზე. მირიანს წარმოდგენაც არ ჰქონდა თვითონ რა შთაბეჭდილება დასტოვა ქალზე თუ ქალიშვილზე თუ გოგონაზე, საერთოდ შეამჩნია თუ არა მზისფერთმიანმა არსებამ ბათუმის კაფის მცირე დარბაზში მირიანის მზერა. არაფერი არ ადასტურებდა, რომ ქალმა, რომელზეც ოცნებაში ჩაიარა ივლისმა და აგვისტომ, იბერის არსებობა შეამჩნია. თითქოს ყველაფერმა ჩაიარა, მაგრამ აგვისტოს 20-ში მირიანი კვლავ შეხვდა მზისფერთმიანქალიშვილს, მაგრამ ისევ წამიერად. მაგრამ ახლა ისე, რომ ქალიშვილმაც გააცნობიერა მისი არსებობა.

მატარებელი კიევი-ხარკოვი ხარკოვს უახლოვდებოდა. უკანასკნელის წინა გაჩერება მატარებლისთვის უკრაინის რომელიღაც ძალიან მცირე პუნქტი იყო. მირიანი და კუსა მატარებლის კუპეში შემთხვევით დამგზავრებულ სამხედროებს კარგს ეთამაშებოდნენ. “დურაკას” თამაშში მთელი გულით ჩაბმული მირიანი ადრე გამოეთიშა თამაშს. ამ ხელის დამთავრებამდე და კარტის ხელახლა ჩამორიგებამდე მირიანი თავისუფალი იყო, წამოდგა. დერეფანში გამოვიდა და სანახევროდ ჩახსნილ ფანჯარასთან დადგა. სწორედ ამ დროს გაჩერდა მატარებელიც. სადამოვდებოდა. ჩამავალი მზის ფონზე მატარებლის ფანჯრიდან დანახული სივრცე ზუსტად ხორბლისფერი იყო. მირიანი გაიტაცა ხორბლისფერი სივრცის ცქერამ, გაირინდა, შემდეგ ეს გარინდება მოპირისპირე მხრიდან დგანდგარით, რახრახით შემოსულმა მატარებელმა დაურღვია. ლოკომოტივმა და პირველმა ვაგონებმა ისე ჩაუქროლეს თავისი ვაგონის ფანჯარასთან მიმდგარ მირიანს, მათზე ნომრებისა და საწყისი და საბოლოო ქალაქების მახვენებლების ამოკითხვა ვერ შეძლო. წამის შემდეგ, როცა მატარებელმა სიჩქარე შეანელა წარწერის ამოკითხვა შეძლო მირიანმა: სოჩი-ოდესა. “შავიზღვის ერთი ნავსადგურიდან შავი ზღვის მეორე ნავსადგურამდე მატარებელი მთელი ვეებერთელა უკრაინის გადალახვით მიდის”. ამის გაფიქრება მოასწრო მირიანმა და დამუხრუჭებულმა შემადგენლობამ მირიანის ვაგონისა და მისი ფანჯრის გასწვრივ მოაგდო ის ვაგონი და ის ფანჯარა, რომელთანაც მზისფერთმიანი ქალიშვილი იდგა. ახლაც ისევ ის ვარდისფერი კაბა ეცვა. ვაშლს ჭამდა. მირიანი და უცნობი ქალიშვილი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ.

ეს ბათუმის კაფეში შეხვედრაზე უფრო მოულოდნელი იყო, თუმცა, მირიანი სულ ამ სიტუაციის მოლოდინში იყო.

მირიანი თავის დაქნევით მიესალმა.

ქალიშვილმა გაუღიმასავით.

– ჩვენ შევხვედრივართ ერთმანეთს, გახსოვთ...

ქალიშვილმა ახლა ნამდვილად გაიღიმა.

– არ გახსოვთ ექვსი ივლისი, დილა სანაპიროს ბაღის წინ, სტალინის ქუჩის დასაწყისში კაფე... სად მიდიხარ? – მერე ნანობდა მირიანი ამ შეკითხვის დასმას. ამ შეკითხვამ საუბრის მიმართულება მკვეთრად შეცვალა – ოდესაში – გაეპასუხა ქალიშვილი, მერე დაიხარა, როცა ხელახლა მოადგა ფანჯარას, მარცხენა ხელი გადმოწია და მის მიერ ჩაკეტილი ვაშლის ტყუპისცალი გადმოაწოდა მირიანს. – მერე გემით – გააგრძელა ქალიშვილმა – მერე გემით წავალთ ბათუმში, 1 სექტემბერს...

ამ დროს დაიძრა მატარებელი.

მირიანი ახლა წელანდელზე მეტად დაიბნა. ისე სცილდებოდა ქალს, რომელსაც ამდენი ხანი ეძებდა, მისი სახელიც ვერ გაიგო.

– სახელი მაინც გეთქვა

ახმაურებულ რბოლაში კარგად ვერ გაიგონა მირიანმა, გოგონამ რა თქვა “ლალი” თუ “დალი”.

მზისფერთმიანი ქალიშვილი ხელს უქნევდა და ისე სცილდებოდა.

– მირიან, შემოდი, ახალ კარტს ვარიგებთ – გამოსძახა კუპიდან მეგობარს კუსამ.

– ვერ ვითამაშებ. შენც თუ შეგიძლია ცოტა ხანს გამოდი, საქმე მაქვს.

– რა საქმე? – კუსა გამოვიდა კუპიდან.

– მოდი აქ – კუსასხელი წაავლო მირიანმა – საინტერესო ამბავს გეტყვი. როცა წელან შემხვედრი მატარებელი სოჩა-ოდესა ჩამოდგა აქ, ამ ფანჯარასთან, სადაც ახლა მე ვდგავარ, ისტორიული შეხვედრა მოხდა, ნამდვილად ისტორიული შეხვედრა, ისტორიული არა მსოფლიო ისტორიის მასშტაბით, არამედ ჩემი ცხოვრებისათვის...

– რა ისტორიული შეხვედრა – დაინტერესდა კუსა – ვის შეხვდი?

– მე ამ შეხვედრას დაუჯერებელ შეხვედრას დავარქმევ. იცი, წელან სოჩა-ოდესის მატარებელი რომ გაჩერდა, ჩვენი ვაგონის წინ აღმოჩნდა ზუსტად ის ვაგონი, რომლითაც მზისფერთმიანი ქალიშვილი მგზავრობდა. – კუსას სახეზე ჯერ გაკვირვება გამოეხატა, წამის შემდეგ სიხარული მოეფინა სახეზე.

– მართლა?

– მართლა – გაეპასუხა მირიანი.

– მართლა ის გოგონა იყო, ბათუმში რომ ვნახეთ?

– ნამდვილად ის გოგონა იყო, თავისი მზისფერი თმებით, გასაოცარი თვალებით, თავისი ვარდისფერი კაბით. ის იყო, ისევ ისე კარგი, ლამაზი, მომაჯადოებელი, მაგრამ არ გამომწვევი, არამედ სათნოების სიმბოლო, არა... თუ არ შემაჩერე, ხომ იცი, ახლა რომ გავრეკავ, მერე ველარ შემაჩერებ.

– ხომ გეუბნებოდი, ეს თუ ბედისწერაა, კიდევ შეხვდები მეთქი – სიცილით უთხრა მირიანს კუსამ და ხელი მოხვია – გამეხარდა, ნამდვილად გამეხარდა, ჩვენს მოგზაურობას ჭეშმარიტად თავისი საზრისი აღმოაჩნდა... რა ჰქენი, რა უთხარი, რა ჰქვია – ჰკითხა იბერს და პასუხის მოლოდინში შეაჩერდა.

– ხომ გითხარი შეხვედრა ისტორიული, მაგრამ ამასთანავე დაუჯერებელი იყო მეთქი. უჩვეულოდ დავიბენი, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე, ვერც ის ვკითხე სადაურია, ვერც ის რას საქმიანობს. ოდესაში მივდივარო, იქედან ბათუმში უნდა გავყვეთ გემსო, პირველ სექტემბერს – ეს სთქვა, მეტი ვერ მოასწრო, ალბათ, უნდა ეთქვა სასწავლებელში უნდა ვიყო, კარგად ვერ გავიგონე “ლალი” ჰქვია, თუ “დალი”.

– შენ ახსოვდი? გაგიხსენა? – ჰკითხა კუსამ.

– ძნელი სათქმელია. ისე მე ვკითხე. 6 ივლისი, ბათუმის კაფე თუ გახსენდება მეთქი, არაფერი თქვა, შეიძლება იტყოდან, შეიძლება მეტყოდან, მაგრამ მე, უფრო ზუსტად, ჩემმა დაბნეულობამ, გააფუჭა ყველაფერი, როცა ბათუმი და კაფე ვუხსენე, საპასუხო რეაქციას არ დაველოდე, ისე მივაყოლე კითხვა – საით მიდიხარ მეთქი, ამ კითხვამ საუბრის მიმართულება შეცვალა. დროც ამოიწურა, მატარებელი აიძრა, მე ხელში შემრჩა გოგონას სახელის ვერამოხსნილი ვარიანტი “ლალი” ან “დალი” და გასაოცარი ჯიშისა და სიდიდის ვაშლი, რომელიც ფანჯრიდან გადმომაწოდა და რომელიც დამრჩა როგორც ერთადერთი დასტური ჩვენი დაუჯერებელი შეხვედრისა.

შემდგომში, როცა შეყვარებულმა მირიანმა დალი ნამდვილად და საბოლოოდ აღმოაჩინა, მისი გული დაიპყრო და მათმა ჯუფთად სიარულმა ერთმანეთთან შედუღაბებული, ჭეშმარიტად შეკავშირებული ადამიანების ურთიერთობის სახე მიიღო, უნივერსიტეტის ბაღში სეირნობისას დალიმ თქვა: – მირიან, გახსოვს, უკრაინაში ჩვენი მატარებლების შეხვედრისას რომ მკითხე 6 ივლისი და ბათუმი თუ გახსოვსო, მე არაფერი გითხარი, თითქოს რაღაც ამოვიღულულდე, მაგრამ ეს ყველაფერი ისე გაურკვეველი იყო, შენ ვერ

მიხვდებოდი მე ბათუმის შეხვედრა მახსოვდა თუ არა, მაშინ არ გიცნობდი, უფრო სწორად კარგად არ გიცნობდი და ამიტომ ვერც გეტყობდი 6 ივლისის ბათუმი მახსოვდა თუ არა. ახლა ვიცი ვინ ხარ, როგორი წესით და როგორი რაკურსით უყურებ ქვეყანას, ცხოვრებას, ადამიანებს და ამიტომ გეტყვი, რომ ის დღე, ის კაფე და შენ ნიშანდობლივად მახსოვხართ. მირიან, დაიხსომე, ქალი გულთმისანია, იგი ყოველთვის ხვდება დაჟინებულ მზერას, ყოველთვის გრძნობს უცხო თვალის მისკენ მოპყრობილ ხედვას და ა.შ. ესაა ქალური გუმანი, რომელსაც სხვა სახელს ვერ დაარქმევ, არც არის საჭირო. იმ დღეს ბათუმის კაფეში მე ვიგრძენი შენი დაჟინებული მზერა, მაგრამ ეს მზერა სასიამოვნოც იყო, რადგანაც მასში არ იყო ვნება. ეს იყო ჩემთვის სასიამოვნო განცდის დასაწყისი. მე ვიყავი სულ ახალგაზრდა, ახლად სკოლადამთავრებული გოგონა. ჩემთვის შენი ყურადღება თავისთავად იყო სასიხარულო. ამიტომ ის უვნებო დაჟინებული მზერა, ცხადია, დამამახსოვრდა. სწორედ იმიტომ გეუბნები, რომ ქალი გულთმისანია-მეთქი, რომ მე მაშინაც, სამი წლის წინადაც ვიგრძენი მირიან შენი დაჟინებული მზერა, რომელიც მიმახსოვრებდა, რომელიც მსწავლობდა და რომელიც მეძახდა, მიწვევდა, თავისკენ ძალზე თავშეკავებულად მეწეოდა. ქალს ამას ვერ გამოაპარებ. მერე კი როცა უკრაინაში მატარებლიდან გნახე, ჩემს თავს შევპირდი, თუ ერთხელ კიდევ შეგხვდებოდი – შეგიყვარებდი.

მერე შეასრულე ეს დაპირება? – ჰკითხა ვაჟმა და ქალი თავისკენ მიიზიდა.

– მთელი სისრულით, ზედმიწევნით.

– ესე იგი, მე გიყვარვარ? – ჩაეძია მირიანი, მან კარგად იცოდა რას და როგორ უპასუხებდა ქალიშვილი და ეს პასუხი წინასწარ ახარებდა, სიამოვნებდა, შინაგანად რადაცნაირად აამაყებდა.

– მიყვარხარ ყველაზე და ყველაფერზე ძალიან! – თქვა ქალიშვილმა, მერე ვაჟის ნებას დაჰყვა და აკოცა მირიანს.

– ბორჯომში შეხვედრა გახსოვს? – ჩურჩულით იკითხა ქალიშვილმა.

– რა დამავიწყებს? – უპასუხა მირიანმა – მერე ჩაეკითხა – რატომ გაგახსენდა?

– იქაც, იმ დამესაც, ბორჯომშიაც რომ გეკითხა, იქაც ასევე გიპასუხებსი, ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარხარ მეთქი. – თქვა დალიმ.

– რატომ არ მითხარი? – თითქოს გაიბუტა მირიანი.

– რატომ არ მკითხე? რომ არ გეკითხავს, როგორ უნდა მეთქვა.

– როგორ გეკითხავდი, საყვარელო, შენს წინაშე უღრმეს მორიდებას, მე ახლა ძლივს დავადწიე თავი. ამ კითხვის მოცემას მაშინ ვერაფრით ვერ გაგიბედავდი. ახლა დავიხსომებ, რომ იმ დროიდან გიყვარვარ! – თქვა მირიანმა და ისევ თავისაკენ მიიზიდა ქალიშვილი.

– ასე იცოდე.

ხარკოვის ახლოს შეხვედრის შემდეგ მირიანს მოსვენებას არ აძლევდა მზისფერთმიანი ქალიშვილი. ცნობიერება, გრძნობა და გული განუწყვეტლივ აყენებდნენ მის წინაშე ამოცანას – მოეძებნა თაფლისფერთვალემა ქალიშვილი, მაგრამ სად მოეძებნა, რომელ ქალაქში, ასე ბრმად, როცა ქალიშვილის სახელიც დაუზუსტებელი ჰქონდა და გვარი საერთოდ არ იცოდა ქალიშვილის მოძებნა გადაუჭრელი ამოცანა იყო. არც ის იცოდა სტუდენტი იყო თუ არა. ეს საერთოდ აძნელებდა მისი მოძებნის საქმეს. მირიანი ამ ამოცანის გადაწყვეტას სულ შემდგომისთვის სწევდა. სად ეძებნა არ იცოდა, ვერ დაედგინა, ამ კითხვის პასუხისთვის ვერ მიეგნო და ამიტომაც მზისფერთმიან ქალიშვილს ყველგან ეძებდა მირიანი. უნივერსიტეტში ლექციებს ხშირად აცდენდა, რადგანაც ხან რომელ უმაღლეს სასწავლებელში ეძებდა სანატრელ გოგონას და ხან რომელში, მაგრამ ვერაფერს ვერ აღწევდა. მზისფერთმიანი ქალიშვილები მრავლად იყვნენ, მოულოდნელად ხან

სად შეეფეთებოდნენ მირიანს და ხან სად. მაგრამ იმ თეთრი გოგონას შესადარი არსად არაყინ არ იყო. არა, შესადარიც და მიმსგავსებულიც არ სურდა მირიანს, მას იგი უნდოდა, მაინცდამაინც იგი, ვინც შემხვედრი მატარებლის ფანჯრიდან ვაშლი გადმოაწოდა. ამასობაში გავიდა მთელი შემოდგომა.

1937 წლის დეკემბერი, როცა საქართველომ მისი უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა, თბილისში გასაოცრად თბილი, მზიანი დღეები იდგა. ახალწლის წინა კვირას, ჩათვლების დამთავრების შემდეგ მოწინავე სტუდენტებს გამოუცხადეს, რომ ბორჯომში იმართებოდა ახალგაზრდობის შეკრება და მირიანი მისი კურსის მოწინავე სტუდენტებთან ვახტანგ ერქომაიშვილთან, მურთაზ ბაკურიასთან, კუსა ბერძენიშვილთან, შალვა კვარაცხელიასთან და ოთარ კვანტალიანთან და რამდენიმე სტუდენტ გოგონასთან ერთად ბორჯომში მიავლინეს. ბორჯომში თბილისელი სტუდენტები სასტუმროში დააბინავეს, მეორე დღეს უნდა გამართულიყო მათი შეხვედრა ქუთაისელ, შემდეგ ბათუმელ, სოხუმელ და ცხინვალელ სტუდენტებთან. საზეიმო შეხვედრების მოლოდინი სტუდენტების ხასიათზე საზეიმოდ მოქმედებდა და საერთო ტონუსს მაღლა სწევდა. როგორც გაირკვა ბორჯომშიც მთელი დეკემბერი თბილ, ჩამტკბარ ამინდებში ჩაღეულა, მაგრამ იმ ღამეს, ბორჯომში ჩასვლისა და სასტუმროში ჩასახლების ღამეს ამინდი აიძვრა. მესხეთიდან ცივი ქარი და შავი ღრუბლები შემოიჭრა. სულ მალე თოვა დაიწყო, მძიმე და წყლიანი თოვლი წამოვიდა. დილით ბორჯომში საკმაო სიმაღლის თოვლი იდო. სასტუმროს მიდამოები და ბორჯომის მინერალური წყლების მთელი არეალი თოვლით იყო დაფარული.

მირიანს გვიან გაეღვიძა. თოვლით გადათეთრებული არემარის დანახვა გაუხარდა. სასწრაფოდ ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანა და საუზმის მისაღებად სასტუმროს პირველ სართულზე განლაგებულ სასადილოს მიაშურა. პირველი სართულის ფოიეში სასადილოში შესვლა გადაიფიქრა, ჯერ ჰაერზე გავალო, გადაწყვიტა და სასტუმროს წინ ვერანდაზე გამოვიდა. ვერანდის გასწვრივ გადაშლილი პარკის მთელი სივრცე ახალგაზრდების ჯგუფებით იყო სასვსე. ერთ-ორ ადგილას გუნდაობაც გაეჩაღებინათ. “ეს რამოდენა თოვლი მოსულა წუხელ” გაიფიქრა იბერმა და სწორედ ამ დროს მირიანს სასტუმროს მარცხენა მხრიდან მოესმა შეშინებული ქალიშვილის შეკივლება “მიშველეთ”. შეკივლება არ იყო ძლიერი, მაგრამ მასში უსაზღვრო, უსაშველო შიში იყო ჩაქსოვილი და ჩაგუბებული. მირიანი შეტრიალდა და შეკივლების მიმართულებით გაეშურა. სასტუმროს წინ დაგებული ფერადი ტროტუარი გადაჭრა თუ არა მირიანი თავს წაადგა თბილისის სტუდენტულადან ნაცნობ რამოდენიმე ბიჭს, რომლებიც ნაცრისფერ ბუკლეს პალტოში თავშეფარებულ გოგონას გუნდებმოდერებულნი შემოწყობოდნენ.

– თქვენ დასჯილი ხართ რომანტიკული სიკვდილით, თოვლის გუნდებით მოკვდინება ეს ყველაზე რომანტიკული სიკვდილია – ჩასძახოდა გოგონას ქუთაისელი ყმაწვილი ვიანორ ჭეიშვილი, რომელსაც მირიანი ქუთაისიდანაც, სკოლის დროიდანაც იცნობდა და ვაკის სტუდენტულადანაც.

– ქალიშვილი, თქვენ გელით ფერადი სიკვდილი – ვიანორის სიტყვას აგრძელებდა ვიდაც ყმაწვილი.

– თეთრი სიკვდილი – ამის მოქმედმა მაღლა შემართა გუნდიანი ხელი, მაგრამ მირიანმა სწორედ ამ დროს ნაცრისფერ ბუკლეს პალტოში თავშეფარებულ გოგონაში მზისფერთმიანი ქალიშვილი შეიცნო და... მირიანმა მაღლა აწეული ხელით შეაჩერა ეს საყოველთაო თავდასხმა თავლისფერთვალება ქალიშვილზე:

– შეჩერდით – უფრო ვიანორის გასაგონად და მისი ყურადღების მისაპყრობად ამბობდა მირიანი – თქვენ არა გაქვთ მზისფერთმიანი ქალიშვილის მოკვდინების უფლება. შეჩერდით! – და შემდგომში მირიანმა

ვერასგზით ვერ გაიხსენა, საიდან ამოიტყორცნა მის ცნობიერებაში შიღერის “ყაჩაღებიდან” კარლ მორის მიერ ხმამაღლა წამოსროლილი სიტყვები: – შეჩერდით! მორის სატრფო მორისვე ხელით უნდა მოკვდეს! – ეს თქვა მირიანმა, თოვლს დაწვდა და გუნდად შეუკუმშავად მუჭით მოხვეტილი ფიფქების გროვა შესტყორცნა გოგონას, თან ხელი გაუწოდა – ნუ გეშინია, გენაცვალე, მე მოვედი და აღარავინ აღარ გერჩის.

ქალიშვილმა იცნო ოდესღაც ორგზის ნანახი ვაჟი და თვითონაც გაუწოდა ხელი, ხელიც გაუწოდა და მისკენაც მიიწია.

– გმადლობთ, ყმაწვილებო! – ფართო ჟესტით გამოეთხოვა მირიანი ბიჭებს და ამდენი ხნის ნანატრ და ნაძებნ გოგონას მიუბრუნდა – რამ შეგაშინათ, ძვირფასო, მართლა კი არ გკლავდნენ. – და გოგონასთან ერთად გასწია სასტუმროსაკენ.

– ვიცი, მაგრამ არ მინდოდა მათი მუქარის ქვეშ ყოფნა. თქვენი ძალიან, უსაზღვროდ მადლობელი ვარ.

– გახსოვარ? – ერთბაშად შეაჩერა ქალიშვილის მსველელობა მირიანმა.

– ცხადია, მახსოვხარ. – გაუღიმა ქალიშვილმა.

– იმ დღეს, უკრაინაში შეხვედრისას, ვერცერთ ჩემს შეკითხვაზე შენი პასუხი ვერ გავიგონე, ვერ მივიღე, ან ბუნდოვნად შემოსმენილი ვერ გავშიფრე. ამიტომ ახლა გავეცნოთ ერთმანეთს. მე, მირიან იბერი ვარ, უნივერსიტეტის მესამე კურსზე ვსწავლობ. თქვენ ლალი გქვიათ, თუ დალი, მაშინ ზუსტად ვერ გავიგონე.

– არა და მე გამოკვეთილად გითხარით – დალი. ამ სიტყვას – გამოკვეთილად – მეთქი იმიტომ გეუბნებით, რომ ლალი და დალი ადვილად შეიძლება აერიოს კაცს ერთმანეთში, ერევათ კიდევაც, დალი, დალი ამაშუკელი. მეც თბილისის უნივერსიტეტში ვსწავლობ, მხოლოდ პირველ კურსზე, ისტორიის ფაკულტეტზე, ხელოვნებათმცოდნეობაზე.

– საოცარია, – თქვა იბერმა – მე მთელი ზაფხული და შემოდგომა გეძებთ, თქვენ კი თურმე იქვე ხართ, სადაც მე, ჩემს სიახლოვეს, თბილისის უნივერსიტეტში, ხელოვნებათმცოდნეობაზე, ანუ თითქმის ესთეტიკაზე და ამდენად ჩემს დარგთან, ფილოსოფიასთან ძალზე ახლოს მდგომ სპეციალობაზე.

– ყველაფერი სწორია და საკვირველია, რატომ ვერ შევხვდით ერთმანეთს. ხომ შეიძლება მე გავიფიქრო, რომ თქვენ ძალიან არ იყავით მონდომებული, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მე თქვენ ძლიერ არ მეძებდით. – ქალიშვილის ნათქვამი იბერს საყვედურით შემოესმა.

– საუბრე უკვე მიირთვით? – ჰკითხა მირიანმა ქალიშვილს – თუ კვების ბარათი თან გაქვთ, ნომერში ნულარ ახვალთ, პირდაპირ სასაუბროდ შევიდეთ. დალი უხმოდ დაეთანხმა.

საუბრეზე გაიგო მირიანმა, რომ დალი ამაშუკელი ქუთაისიდან იყო. ზაფხულში დაემთავრებინა ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა და როგორც წარჩინებული, უგამოცდოდ ჩაურიცხავთ უნივერსიტეტში.

– მეც ქუთაისიდან ვარ – უთხრა დალის იბერმა – მეექვსე სკოლა დავამთავრე, ბაგრატის ტაძართან.

დალიმ ჩაი მოსვა, მორთმეული ბუტყერბროტის გასინჯვა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. პირველად თავის სიცოცხლეში ჭამის რცხვენოდა. საუბარიც ვერ აეწყო. მერე დალიმ თქვა:

– მე ვერ გაგიწიეთ თანამეინახეობა. თქვენ მაინც მიირთვით მირიან. პო, მართლა თქვენი გვარის შესახებ მინდოდა მეკითხა. იმერეთი სავსეა ამაშუკელებით, მაგრამ იბერის გვარის კაცი პირველად შემხვდა, მეტი არც გამიგონია. სადაურია თქვენი გვარი?

– იმერეთში, სამტრედიდ მახლობლად არის ერთი ძალიან ლამაზი სოფელი საჭილაო. იგი იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზეა, ადმინისტრაციულად აბაშის რაიონში შედის, მაგრამ იქაურებმა მეგრული არ

იციან. ჩემი ძირი საჭილაოშია. იქ ცხოვრობს ჩემი ბაბუა – დიმიტრი, იქ ცხოვრობდა მამამისიც – მიხეილიც. მე ქუთაისში ვარ დაბადებული. გვარის წარმომავლობაზე არაფერი იციან, იმის გარდა, რომ იგი მესხეთიდან უნდა იყოს. ალბათ, მესხეთზე თურქების შემოტევის დროს გადმოვიდა რომელიმე იბერი იმერეთში თუ სამეგრელოში. სხვა არაფერი ვიცი. ესაა საქმე, ამ ზაფხულს მთელი უკრაინა და შავი ზღვის პირა რუსეთი შემოვიარე, ახალციხეში ვერ ჩავედი. უნდა ჩავიდე. უნდა მოვინახულო. უნდა მოვიძიო ჩემი წინაპრების პირველსამშობლო. გუმანიც მესხეთისკენ იხრება. ასეთი გვარი მხოლოდ იქ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. თავისთავად ამაშუკელი უფრო კეთილხმოვანი გვარია, მაგრამ იბერს ისტორიული კეთილხმოვანება ახლავს, მგონი კარგად ვერ ვთქვი, ამ გვარში ისტორია უღერს, სხვას ფაქტობრივად ვერაფერს ვერ გეტყვი, შეიძლება პირადად მე ვგრძნობ ისტორიის უღერას ამ გვარში, რადგანაც თავად ვარ იბერი, შეიძლება სხვისთვისაც რაღაც სხვანაირი უღერადობა აქვს ამ გვარს, რადგანაც ქართველობაზე მიუთითებს.

– შეიძლება... – დაეთანხმა ქალიშვილი – მაგრამ მასში, ამ გვარში უსათუოდ არის რაღაც განსაკუთრებული, რაღაც საგანგებო.

– რაც შეეხება ჭამას, უფრო სწორად საჭმელს, თქვენ მშვიერი დარჩით, ალბათ, ხელახლა მოგიწევთ საუზმობა.

– არა უშავს, მე მაინც ახლა ნახევარ საათში უნდა წავიდე, თბილისში, რექტორატში ვარ გამოძახებული.

– რა მოხდა? – შეკრთა მირიანი, იგი მთელი დილა ნეტარებაში იყო ჩაფლული, მასთან იყო, დალისთან ერთად იყო, მის გვერდით იჯდა, მას ელაპარაკებოდა. ახლა კი უცებ ინგრეოდა ის სინამდვილე, რომლის რეალურ აშენებასაც მხოლოდ ამ დილით შეუდგა მირიანი – რატომ უნდა წახვიდე თბილისში?

– უნდა წავიდე. იმ სტუდენტებს, რომლებიც უგამოცდოდო ჩავგერიცხეს უმაღლეს სასწავლებელში, სექტემბერში საკავშირო კონკურსი გამოგვიცხადეს სპეციალობის მიხედვით თავისუფალ თემებში. დრო ძალზე შეზღუდული იყო – 1 თვე. მე თეზისები გავაგზავნე. ახლა, სწორედ გუშინ, თბილისიდან ჩვენი წამოსვლის შემდეგ, რექტორატში მოსულა შეტყობინება, ჩემს თემას გაუმარჯვნია და მოსკოვში უნდა წავიდე მოხსენების გასაკეთებლად.

– ყოჩაღ, დალი, მომილოცავს! – გაუხარდა იბერს – მაგრამ რაღა იმ დღეს, როცა მოგაგენი, როცა მოგნახე, როცა შენთან... მეტის თქმა არ დააცადა დალიმ.

– ეგ არაფერი. – მერე წამოდგა – ჩვენ დღეს თუ არა, როდესმე მაინც მოვნახავდით ერთმანეთს. ნახვამდის. ალბათ, თვის ბოლოს მაინც ვიქნები თბილისში.

– გამოცდები? – იკითხა იბერმა.

– ესეც ვიკითხე. გამარჯვებულთა გამოცდები მეორე სემესტრის დასაწყისში ჩატარდება. ასე მითხრა რექტორის მდივანმა. მე რომ ამ დილით მის სატელეფონო ზარზე არ გავეღვიძებინეთ, დღეს საერთოდ ვერ მნახავდი. ამდენად, რექტორატიდან დარეკილ ამბავს კი არ უნდა შეუწყრე, კი არ უნდა გაეზუტო, უნდა მიესალმო და უნდა გიხაროდეს. კარგად იყავი! – დალიმ ხელი ჩამოართვა მირიანს – აბა, თქვენ იცით, როგორ გამოიჩინეთ თავს ახლანდელ სტუდენტურ შეხვედრებში.

მომდევნო დღეებში დალისთან იმ დილანდელი შეხვედრა იყო ყველაფერზე გაბატონებული. გული წყდებოდა, რომ მზისფერთმიან ქალიშვილს მეტი ვერაფერი უთხრა, უმთავრესი და ყველაზე არსებითი დარჩა უთქმელი, თუმცა არც დალის უკითხავს მისი ძებნის მიზეზი. შემდეგ ნანობდა, რომ მის სანატრელ გოგონას ვერ გააგებინა, ვერც მიახვედრა, ვერ დაანახა, ვერ შთააგონა, ვერ უბიძგა იქეთკენ, იმ სიმაღლეებისაკენ, რო,ელთა ზიარება ყველას ნამდვილად არ ძალუძდა, მაგრამ დალის ეს შემოფარგვლა ნამდვილად არ ეხებოდა.

მირიანი გრძნობდა, თუ როგორ ბატონდებოდა მის ცნობიერებაზე დალი ამაშუკელის ხატება და როგორ დაიწყო მირიანისათვის მარადიულად მიჩნეული ღირებულებების გადაფასება მზისფერი ქალიშვილის კარნახით, მისი ზეგავლენითა და იღუმალის მითითებებით. ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა იბერისათვის სამყარო, სინამდვილე, რეალობა ამაშუკელზე ფიქრის ფრაგმენტად იქცა. ამ ფიქრმა სინამდვილე გააღამაზა, მთელი თვალხილული რეალობა გადასხვაფერდა, ახალი ფერებით შეიმოსა. მირიანი ჩაწვდა, რომ ამ გარდაქმნილ თუ ნირშეცვლილ სინამდვილეში თვითონაც ხელახლა იბადებოდა, ირგვლივ ყველაფერი და რაც მთავარია, საკუთარი სულიც უფრო გამჭვირვალე, უადრესად ცხადი და გასაგები გახდა. შემდეგ ცნობიერებამ გაიაზრა აქამდე სრულიად უცნობი და უცხო ლოგიკით გაკეთებული დასკვნა, რომ მირიან იბერს დალი ამაშუკელის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. ღირებულებათა საოცრად სწრაფი და საოცრად დრმა გადაფასების ფონზე, რაც სამყაროს მორიგი აფეთქების შედეგი იყო, მზისფერთმიანი დალი იქცა იმ უმაღლეს ღირებულებად და იმ საწყისად, რომლის გარეშე მირიანისათვის უკვე წარმოუდგენელი გახდა რაიმეს წვდომა, რაიმეს ახსნა, რაიმეს გაგება და რაიმეს მოაზრება. იბერისათვის თაფლისფერთვალეა ქალიშვილი იქცა ყველაფრის საზომად. 1938 წლის იანვარში, არდადეგებზე ქუთაისში ჩასულმა მირიანმა ერთბაშად იგრძნო იმის გარდუვალობა, რომ დალის უნდა გაეგო, და საერთოდ კი არა, არა, რაც შეიძლება მაღლე უნდა გაეგო თუ რას წარმოადგენდა მისი არსებობა და სიცოცხლე იბერისათვის. მირიანი მყისვე დაიშურა ამ ვნებით, იგი იქცა მირიანის მამოძრავებელ საწყისად, იგი აივსო იმ სუვეილით, რომ რაც შეიძლება მაღლე, რაც შეიძლება ჩქარა, რაც შეიძლება სწრაფად მოექცნა დალი და ემცნო მისთვის, თუ როგორ თავდავიწყებით და უსაზღვროდ უყვარდა. მირიანს ახლაც ზუსტად ახსოვს ის ადგილი, სადაც მან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ეს იყო მშობლიურ ქალაქში ჩასვლის მეორე დღეს, სადამოს, ვაჟა-ფშაველას ქუჩის იმ ადგილას, სადაც ვაჟას ქუჩა ყაზბეგის ქუჩას ემიჯნება და მკვეთრად უხვევს მარცხნივ. სწორედ იქ, მკვეთრ მოსახვევთან იგრძნო შინაგანი მზაობისაკენ მომდინარე ბიძგი და გამოიკვეთა გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ მოენახა დალი. სულმა ფრთები შეისხა და სწრაფად და ლტოლვად იქცა. დალი ქუთაისში ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა მოსკოვიდან ჩამოსული. მეორე დღეს თბილისში ჩასულ მირიანს აუხსნეს, რომ ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეობის პირველი კურსის შესაბამისი ჯგუფი ლენინგრადში, ერმიტაჟში გაეგზავნათ გაცნობით პრაქტიკაზე. მირიანმა პრაქტიკანტების მისამართი ზუსტად გაიგო. იმავე დღეს გადაფრინდა მოსკოვში, ხოლო დალის დაუყოვნებლივი მოძებნის პირველი ბიძგიდან მესამე დღეს უკვე ლენინგრადში იყო და უნივერსიტეტის სასტუმროში ქართველ სტუდენტთა ნომრებს ეძებდა.

მთელი ის დრები, რომლებიც ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მკვეთრ მოსახვევთან დაიწყო და ლენინგრადის უნივერსიტეტის სასტუმროს ფოიემდე გაგრძელდა, მირიანისათვის მანამდე უცნობი აფორიაქებით იყო სავსე. თითქმის განუწყვეტლივ მეზავრობაში გატარებული იმ დღეების აფორიაქება ლენინგრადში ჩასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, გამძაფრდა და გამწვავდა. არა, იბერს ის კი არ აფორიაქებდა თუ როგორ შეხვდებოდა დალი ამაშუკელი მის სიყვარულს, არა, მირიანის ცნობიერება, მისი უსაზღვროდ შეყვარებული სული ამკითხვას არც დაფიქრებია, არც ჩაღრმავებია. გაშიფვრის საგნად არ უქცევია, არა, უსაზმნო სიყვარულით შეპყრობილი მისი არსებისათვის ასეთი კითხვა არც არსებობდა და ამიტომ იგი გაანალიზების ობიექტად ვერც წარმოსდგებოდა. არა, მირიანს სხვა რამ

აფორიაქებდა. მან იცოდა, არსებითად რა უნდა ეთქვა დალისთვის, მაგრამ ცხადად არ ჰქონდა წარმოდგენილი მთავარი სათქმელი რა ფორმით მიეტანა ქალიშვილამდე, რით დაეწყო, რა ფრაზით თუ ფრაზებით გადაეშალა გული თაფლისფერთვალემა გოგონასათვის. არა! არც ეს იყო მთავარი. მირიანმა იცოდა რა უნდა ეთქვა ქალიშვილისთვის და ბოლოს და ბოლოს ამ სათქმელის გამქლავების ფორმა მოინახებოდა, მიიგნებოდა, მოიძებნებოდა და დადგინდებოდა. არსებითი და მთავარი აქ იმ მიკრძალვების გადალახვა იყო, რომელიც ჭაბუკის სულს ამაშუკელის სიყვარულთან ერთად დაეუფლა. მირიანის ფიქრში დალი იმ სიმაღლეზე იყო ასული, აყვანილი, აზიდული, რომთვით ისეთ უწმინდეს და უნახეს გრძნობაზეც ხმის ამოღება, დალისთვის ამ გრძნობის გაზიარებაც იბერს მკრეხელობად მიაჩნდა. აი, ეს მოკრძალემა იყო ისე გადასალახი, რომ მირიანისადმი კეთილად განწყობილი ქალიშვილი მისადმი მტრულად არ განეწყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენინგრადში ჩასვლის გადაწყვეტილების შემდეგ მირიანი თითქოს გაორდა. დალის ნატვრა და მისთვის სიყვარულის გამხელის სურვილი დამახჩქარებელ და უძლეველ საწყისად ელვარებდა იბერის ცნობიერებაში, ხოლო მზისფერი ქალიშვილის, მისი სითეთრის, მისი სიწმინდის, მისი ერთადერთობის წინაშე მოკრძალვების გრძნობა შემაკავებელ მუხრუჭად ექცა ამ ჩანაფიქრს. მატარებლის კუბეში, ხოლო შემდგომ როგორც ერთ, ისევე მეორე თვითმფრინავის სალონში დალისთან მომავალი შეხვედრის ყველა ვარიანტი, ფიქრში ათასნაირად დახატული, წარმოდგენილი და წარმოსახული ვარიანტები, კრახით მთავრდებოდა. უძველესადქცეული მირიანი არცერთ ვარიანტში არაფრით არ ჰგავდა იმ ყმაწვილს, რომელმაც ქუთაისში მიიღო შეუვალი გადაწყვეტილება დალის შეხვედროდა და ბოლომდე და ამომწურავად ემცნო, თუ რას წარმოადგენდა მზისფერთმიანი ქალიშვილი მისთვის. ფიქრში წარმოსახულ ვერცერთ ვარიანტში ვერ მოახერხა მირიანმა, ისე გადაეშალა დალისთვის სული, რომ ქალიშვილს იბერის გრძნობის სიმაღლე და სიღრმე სწორედ იმგვარად და ისე ცხადად დაენახა, როგორც თვითონ მირიანი ხედავდა. დალისთან შეხვედრის ვერცერთ წარმოსახულ ვარიანტში მირიანმა საწყის სიტყვას, პირველ სიტყვას, ვითარების შესაბამის, სიტუაციის ადექვატურ პირველ სიტყვას ვერ მიაგნო, პირველი სიტყვა ვერასგზით ვერ მოინახა. “ყოველი დასაწყისი ძნელია” – ყველა ვარიანტის შემდეგ აგონდებოდა მირიანს თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგის პროფესორ სავლე წერეთლის პირველი ლექციიდან დამახსოვრებული ეს ფრაზა. ქალიშვილთან შეხვედრის არ ერთი ის დასაწყისი, რომელიც ფიქრში დაიხატა და გამოიკვეთა, არ გამოიყურებოდა ისე ღირსეულად, ისე ამაღლებულად, ისე მაღალზნეობრივად, როგორც ეს მირიანს სურდა. ამიტომაც თანამდევმა შინაგანმა ცენზორმა ყველა წარმოსახული ვარიანტი უკუაგდო. იბერი, ერთი მხრივ, ენერჯის უხვეულო მოზღვავებას გრძნობდა, ხოლო მეორე მხრივ ფანტაზიის ასევევე საოცარ დაშრეტას განიცდიდა. დაშრეტილი ფანტაზია მოზღვავებულ ენერჯიას აოკებდა. ახლაც, აქედანაც, რუსთავის კოლონიის ამ უკანასკნელი დამიდანაც, მირიან იბერი სრულიად ცხადად და ნათლად ხედავს ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტური სასტუმროს ფოიედან კიბეებით მე-2 სართულზე ამავე ჭაბუკ მირიანს, რომელმაც იცის, რომ სულ რამდენიმე წუთში ვის და რატომ უნდა შეხვდეს, იცის რა უნდა უთხრას, მაგრამ არ იცის, ჯერაც არ იცის, როგორ უნდა მიიტანოს თავისი სათქმელი მზისფერთმიან ქალიშვილამდე. სასტუმროს მეორე სართულის მორიგემ, რომლის ტუჩებზე ხაზგასმულად სქლად წასმულმა პომადამ იბერი ქვეცნობიერად მისადმი ანტიპატიით და შეიძლება ითქვას, მტრულადაც კი განაწყო, 233-ე ნომერი მიასწავლა მირიანს. ყავისფრად შეღებილ კარზე იბერმა ფრთხილად დააკაკუნა. წამიერ მოლოდინში შავი ბეწვის ქუდი მოიხადა და ნაცრისფერი, ნაქსოვი ხელთათმანები წაიძრო. დალისთან შეხვედრის ყველა ვარიანტში, რომლებიც

მირიანმა ლენინგრადამდე მგზავრობისას წარმოისახა და გაიაზრა, კარს ამაშუკელის ერთ-ერთი თანაკურსელი აღებდა, მაგრამ ახლა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ კარი თვითონ დალიმ გააღო. მირიანს საკეტის ხმა არ გაუგონია, ისე გაჩნდა შეხსნილ თუ მოღიავებულ კარში მზისფერთმიანი ქალიშვილი. მირიანის ანაზღაველ დანახვაზე დალის სახეს ჯერ გაკვირვებამ და შეკრთომამ გადაუარა, მერე ერთბაშად მოუფინა ღიმილი.

– ღმერთო ჩემო, მირიან, თქვენა ხართ? – წამიერ პაუზაში იბერმა ერთდროულად სამი შტრიხი გააცნობიერა. გაყინული ქუჩიდან შემოსული ჭაბუკის გათოშილ ხელში ქალიშვილის ხელის სითბო, დალის პირველივე წინადადებაში გახშიანებული “თქვენ” და გოგონას თბილად შეხვეული ყელი. – შემოდით, შემოდით! – ქალიშვილმა მცირე ჰოლში მიიწვია სტუმარი – საიდან გაჩნდით, მირიან? – ჰოლში შესული დალი მირიანისკენ შემობრუნდა და იბერმა იგრძნო, რომ ქალიშვილის ხმაში მხოლოდ მირიანის სტუმრობით გამოწვეული გაკვირვება კი არ აჟღერდა, არამედ დაოკებული სიხარულიც და ის აფორიაქება, რომელიც სამიოდე დღის წინ დალისთან აუცილებელი, გარდუვალი და დაუყოვნებლივი შეხვედრის გადაწყვეტილებას მოჰყვა, ახალ ტალღად მოედო სხეულსა და ცნობიერებას. – როგორ მომაგენით? – ჰკითხა ქალიშვილმა და თან ანიშნა პალტო გაეძრო, იბერმა პალტო, ქუდი და თბილი ყელსახვევი ჰოლის კედელზე მიმაგრებულ ნიკელის კაუჭებზე ჩამოჰკიდა და დალის ოთახში შეჰყვა. ფართო, სამთვალთან ფანჯარაზე თეთრი, თხელი, გამჭვირვალე ფარდები იყო ჩამოშვებული. გარეთ ისევ თოვდა. ოთახის კედლებთან, ფანჯრის ორივე მხარეს, ოთხი ფაქიზად გაწყობილი საწოლი იყო კედელთან პერპენდიკულარულად მიდგმული. ოთახის ცენტრი მრგვალ მაგიდას ეკავა, რომელსაც ჭერიდან ანთებული აბაჟური დაჰყურებდა. მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი, ჭიქა, მინის საფერფლე და გადაშლილი წიგნი ეწყო.

– მარტო ხარ? – ხმა ამოიღო მირიანმა. დალისთან შეხვედრის არც ერთ მოფიქრებულ და მგზავრობის მარტობაში გარჩეულ ვარიანტში მზისფერთმიან ქალიშვილთან საუბრის ასე დაწყება არ ფიგურირებდა – როგორ დამთავრდა მოსკოვში შენი საკონკურსო მოხსენების განხილვა.

– მადლობთ, სამმა დავიკავეთ პირველი ადგილი. მათ შორის ერთი მე ვარ, შეგიძლია მომილოცო.

– გილოცავ, ეს ერთი და სხვა მრავალი. გეტყობა, გაციებული ხარ, მაგრამ მაინც გეხვევი და გკოცნი. ეს ძალიან გამეხარდა. მერე თბილისში მიაბზე, შენი მოხსენება რას ეხებოდა, შენ რას ამტკიცებდი და რაც მთავარია, როგორ ასაბუთებდი.

– შენ თუ ეს გაინტერესებს, ცხადია გიაბობ. ისე ახლავე გეტყვი, რომ მოხსენებისთემა იყო “ქართული და ბიზანტიური ქრისტიანული ხელოვნების ურთიერთკავშირი (საეკლესიო გალობის მაგალითზე)”. დანარჩენი მერე, სხვა დროს, თბილისში. წუდან მკითხე – მარტო ხარო? და მე არ მიპასუხია, მარტო ვარ! – დალიმ მაგიდასთან მიდგმული სკამებიდან ერთ-ერთი გამოსწია, მირიანს შესთავაზა, თვითონ მოპირდაპირე მხრიდან მიუჯდა მაგიდას, ზუსტად იმ ადგილას, სადაც გადაშლილი წიგნი იდო. – შეუძლოდ ვარ – დალიმ შემოხვეულ ყელსახვევზე მიანიშნა – სადღაც გავცივდი და გოგონებმა დღეს ამიკრძალეს სასტუმროდან გასვლა, თორემ არ დაგხვდებოდი – შემოსასვლელი კარის ზემოთ დაკიდებულმა კედლის საათმა შუადღის 12 საათი ჩამორეკა. მირიანმა უნებურად საათს შეავლო თვალი – აქ საიდან გაჩნდი, მირიან? – იკითხა დალიმ.

იბერმა იგრძნო რომ წუდან ჰოლში მთელ სხეულზე და ცნობიერებაზე მოდებული აფორიაქების ტალღა ახლა მორევში ითრევდა. იგი ერთბაშად დაიცალა იმ ენერჯისაგან, რომელიც მხოლოდ მორვეიდან თავის დადწევას კი არა, იმ ჯერაც მიუგნებელი და მოუხელთებელი, იმ საჭირო და აუცილებელი ფრაზის გამოკვეთას სჭირდებოდა, რომელიც დალისთან

საუბრისას პირველსაწყისის როლს შეასრულებდა. მირიანისთვის ცხადი იყო, რომ ერთდროულად გაუკვირდა და გაეხარდა იბერის მოსვლა, მაგრამ უეჭვო იყო ისიც, რომ ქალიშვილს არც სტუმრის უხერხულობა, შინაგანი ღელვა და აფორიაქება გამოჰპარვია.

– თქვენც პრაქტიკაზე ჩამოხვედით? – საიდანღაც ჩაესმა მორევში ჩათრეულ მირიანს დალის ხმა.

– არა, ჩვენ, ფილოსოფოსებს მხოლოდ ერთი სახის პრაქტიკა გვაქვს, პედაგოგიური პრაქტიკა. შეიძლება მოვწიო? – მირიანმა ქალიშვილს მაგიდაზე მდგარ საფერფლეზე მიანიშნა, დალიმ გაუღიმა და თავი დაუქნია. იბერმა პაპიროსს მოუკიდა, მერე ასანთის ღერი საფერფლეზე დააგდო და თავისთვისაც მოულოდნელად თქვა: – არა, პრაქტიკაზე არა. მე შენთან ჩამოვედი – მერე უცებ მოეჩვენა, რომ ნათქვამს სიზუსტე აკლდა და დააზუსტა – საგანგებოდ შენთან ჩამოვედი – ეს თქვა და იგრძნო, რომ მისმა სხეულმა და ცნობიერებამ მორევიდან გამოსადწევად გაიბრძოლა და შინაგანი ცენზორის წინააღმდეგ დააჩქარა იმის გამხელა, რომ ლენინგრადში მზისფერთმიან ქალიშვილთან შესახვედრად იყო სპეციალურად ჩამოსული. ამ შემთხვევაში შინაგანი ცენზორის საპირისპირო სვლა იმ მოკრძალებას გადალახვას უდრიდა, რომელსაც იბერი დალისადმი მისი დანახვის დღიდან მუდამ განიცდიდა. ვაჟი საკუთარმა სვლამ დააბნია და მთელ სახეზე აღმური მოედო.

– ჩემთან ჩამოხვედით? – ეს წედან მირიანის დანახვისას გაკვირვებულმა და სიხარულით შეპყრობილმა ქალიშვილმა კი არ იკითხა, არამედ დაბნეულმა გოგონამ. და მირიანმა უეცრად და მისთვისაც სრულიად მოულოდნელად საუბარი იმგვარად გააგრძელა, რაც არცერთ წინასწარ ვარიანტში არ იყო დაგეგმილი და გათვალისწინებული. სიტუაცია, რომელიც სასტუმროს ოთახში დილის დაბნეულმა მზერამ გაამეფა, სასწრაფოდ მოითხოვდა განმუხტვას. სიტუაციის განმუხტვის გარდუვალობა ისე უნდა ყოფილიყო რეალიზებული, რომ იბერს საუბრისთვის აუცილებელი გეზი და მიმართულება არ უნდა დაჰკარგვოდა, სადავე ხელიდან არ უნდა გაეშვა. მირიანის ცნობიერება უკიდურესი სისწრაფით მუშაობდა. ჭაბუკის მთელი ენერჯია ყველაზე სწორ ნაბიჯს ეძებდა. ეს ძებნა ქალიშვილის დაბნეული მზერის მიერ შექმნილი უხერხული სიტუაციის მძლავრი ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა. ზეწოლა დალიმ კიდევ უფრო გაამძაფრა. მან დაზუსტება სცადა და იკითხა: – საგანგებოდ ჩემთან ჩამოხვედით?

– მე სწორედ შენთან ჩამოვედი და სწორედ საგანგებოდ. მე შენთან ჩამოვედი და მიზეზს ახლავე ავიხსნი – რაც შეიძლება მშვიდად თქვა მირიანმა და ქალიშვილს პირდაპირ შეხვდა, დალის სახეზე წედანდელი დაბნეულობა რაღაც სხვამ, უფრო მნიშვნელოვანმა შეცვალა და მირიანი მიხვდა, რომ ქალიშვილი ყურადღებად იქცა – უკანასკნელ ხანებში ჩემი გონება ერთ კითხვას აქვს შეპყრობილი, მაგრამ ვიცი, რომ ამ კითხვას ვერავინ ვერ გასცემს სწორ, ზუსტ, უთუმცო, უყოყმანო და ერთმნიშვნელოვან პასუხს, ვერავინ, შენს გარდა. ლენინგრადში ჩამოვედი იმიტომ, რომ თბილისში შენს დაბრუნებას ვეღარ დაველოდე, ვეღარ დაველოდე, რადგანაც ამ კითხვაზე შენს მიერ გაცემულ პასუხს, ჩემთვის მხოლოდ შემეცნებითი ღირებულება არა აქვს, არა, იგი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე... – მირიანის ცნობიერებამ აქ წაიბორძიკა, ქვეშეცნეულად იგი რაღაც მოულოდნელ დაბრკოლებას წააწყდა თუ გადააწყდა. აღებული მიმართულებით სიტყვის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, რადგან მირიანისათვის მთლად გამოკვეთილი არ იყო ის კითხვა, რის პასუხსაც ქალიშვილისგან მოითხოვდა. ახლა მირიანს, რომელსაც მაგიდის მოპირდაპირე მხრიდან დალის ცნობისმოყვარე მზერა ჰქონდა მიბჯენილი, რაღაცნაირად უნდა მოეხერხებინა (სწორედ ამ სიტუაციაში, სწორედ ცაიტნოტში, სწორედ ცნობიერებაში ამოძრავებული უჩინარი შრით უნდა მოესწრო და მხოლოდ ინტუიციით ნაგრძნობი კითხვა

უზუსტესად დაეფორმულირებინა – თბილისში ვეღარ დავუცადე თქვენს დაბრუნებას და აჰა, ახლა აქ ვარ – განაგრძო მირიანმა. მზისფერთმიანი ქალიშვილის წინაშე მოკრძალების გრძნობა ნებას არ ძლევდა მისთვის ერთბაშად გადაეშალა გული. ერთბაშად გაემხილა ის, რისი გამხელის მიზნითაც გადმოლახა უსაშველო სივრცე – მე ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ – ანაზღად ისევ წაიბორძიკა მირიანის ცნობიერებამ – არა, მე ახლა ორი რამ ვიცი, ერთი ის კითხვა, რომელიც თქვენ უნდა დაგისვავთ, რომლითაც თქვენ უნდა მოგმართოთ და მეორე ის, რომ ამ კითხვაზე პასუხი მთელ ქვეყანაზე მხოლოდ თქვენ იცით. მხოლოდ თქვენ და მეტმა არავინ, ალბათ, არც მე, ალბათ კი არა, არც მე – იბერი ისევ შეყოვნდა, მიხვდა, რომ დალისთან შეხვედრის ბოლომდე მოუფიქრებელი და მოუაზრებელი, ბოლომდე დაუგეგმავი და ბოლომდე მიუყვანელი ვარიანტები ერთმანეთში აერია. ამას იქით კი ჩიხი იყო. მირიანმა იმ წუთში ჯერ კიდევ არ იცოდა დალისთვის ზუსტად რა ფორმით უნდა დაესვა მის მიერ ჯერ მხოლოდ გუმანით მიგნებული, ცნობიერებაში მხოლოდ კონტურებად ამოტივტივებული კითხვა. არადა დაპირებულის შესრულება და კითხვამდე მისვლა აუცილებელი იყო. იბერმა ისევ მორევში იგრძნო თავი, მაგრამ იმავედროულად იმასაც მიხვდა, რომ დაკარგული და გამქრალი ენერგია ისევ უბრუნდებოდა მის სულსა და სხეულს. წამიც და იგი ამოვიდოდა მორევიდან. დალისთვის დაპირებული კითხვა უკვე ეხვეოდა სიტყვიერ სამოსელში. ქალიშვილის შეკითხვა უკვე მორევის ზედაპირზე მიწვდა მირიანის სმენას. გოგონას თვალებში ციციანათელები კრთოდა.

– რა უნდა მკითხოთ, მირიან? ან რა იცით, რომ თქვენსმიერ დასმულ, უფრო ზუსტად, თქვენს ჯერარდასმულ კითხვაზე ზუსტი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მხოლოდ მე ვიცი? რა უნდა მკითხოთ? – დალის თვალებში ახლა მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ კიაფობდა. უკანასკნელ წამს დალიმ მის მხერაში ერთბაშად აანთო უამრავი ციციანათელა და იკითხა: – თუ თქვენი კითხვის პასუხი ამ ქვეყანაზე მხოლოდ მე ვიცი, რომ არ გაგიმხილოთ?

– არა, მაცადე! – მირიანმა პაპიროსი საფერფლეზე დაასრისა, “ისევ შენობით მიმართვაზე გადავედი, ეს იმას ნიშნავს, რომ მორევიდან ამოვდივარ”. გაიფიქრა იბერმა, მერე ისევ გაიმეორა – მაცადე, შენ ახლა სხვა მიმართულაბას აძლევ ჩვენს საუბარს, უფრო სწორად, ხელს მიშლი. მე იმ კითხვას ასე პირდაპირ ვერ დაგისვამ, რადგან წინასწარი შემზადებისა და წანამძღვრების გარეშე იგი გაუგებარი იქნება, გაუგებარიც და მიუღებელიც, მიუღებელიცა და საწყენიც. ის მთავარი კითხვა სხვა კითხვებისა და მათზე გაცემული პასუხების შემდეგ უნდა დაისვას, იგი არსებითად მთავარი და პირველადია, მაგრამ ლოგიკურად იგი მხოლოდ ჩვენი საუბრის დასასრულს უნდა დაისვას. იგი ამ აზრით ბოლოა, იმ კითხვასთან მისვლაა საჭირო. მაგრამ იცი რა – მირიანმა ახალ პაპიროსს მოუკიდა – შეუძლოდ რომ არ იყოთ, უნდა მეთქვა, ცოტა გაგვესვირნა. აქ, ალბათ, შენი თანაკურსელები დაბრუნდებიან და შეიძლება ჩვენი საუბარი გაწყდეს და იმ ბოლო კითხვამდე ვერც მივიდეთ. ქალიშვილის სახეზე ისევ გაიელვა წედანდელმა წამიერმა დაბნეულობამ.

– არა, ისინი ჯერ ვერ დაბრუნდებიან, პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებული საქმე აქვთ მისახედი. ისინი არა, მაგრამ მე რომ მასპინძლის მოვალეობა დამავიწყდა – დალი სკამიდან წამოიწია – ნამგზავრ სტუმარს მასპინძელმა რაიმე ხომ უნდა შესთავაზოს, თუნდაც მცირე საუზმე, ან მხოლოდ ჩაი, ან... არადა ყველაფერი გვაქვს...

– ნუ ადგები – წამოდგომა არ დაანება მირიანმა – არაფერი არ მინდა. იჯექით და მისმინეთ, იმ ბოლო კითხვამდე საკმაოდ გრძელი გზაა გასავლელი, წინა კითხვები პასუხის გაცემას მოითხოვენ – იბერი უკვე ნამდვილად ამოვიდა მორევიდან.

– მერე იმ წინარე კითხვების პასუხიც თუ პასუხებიც მხოლოდ მე ვიცი? – დალიმ ღიმილი აისხა სახეზე.

– არა, მე ეს არ მითქვამს. არა, იმ წინარე კითხვებზე პასუხები მეც შემიძლია გავცე, მეც და სხვებმაც, იმ შენმა მეგობრებმაც, რომლებიც ჯერ დიდხანს არ და ვერ დაბრუნდებიან სასტუმროში. მაგრამ ამ კითხვებზე პასუხების გაცემა ელემენტარულად მაინც საჭიროა, რათა გავითვალისწინოთ და მთავარ კითხვამდე მივიდეთ. მისმენ?

– გისმენ!

– მისმინე! პირველი პრობლემა ადამიანის პრობლემაა. იგი პირველია მრავალნაირად, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა პრობლემა მის მიერაა დასმული. პრობლემების ისტორიული გარჩევაც სწორედ მისით იწყება. ადამიანის პრობლემაზე ჩაღრმავებული ფიქრი ჩემი პროფესიული მოვალეობაა, სამყაროში აქამდე არსებული, ახლა მცხოვრები და მომავალში დაბადებული ყველა ადამიანი ერთი ცნების ქვეშ, ადამიანის ცნების ქვეშ ერთიანდება. ადამიანთა მთელ სიმრავლეს ლოგიკურად ერთიანება აერთიანებს – მირიანმა ქვეშეცნეულად იგრძნო, რომ მის საუბარს სილაღე და თავისუფლება დაეცყო. შინაგანი მღელვარება საბოლოოდ დაუცხრა – ადამიანი გონიერ, მოაზროვნე, ცნობიერებით დაჯილდოებული არსებაა. ადამიანის ყველა სხვა ნიშანი ამ ერთ ნიშანს, ამ ცნებისათვის არსებით ნიშანს ეყრდნობა, ეფუძნება, ემყარება და მისგან გამომდინარეობს. ეს არსებითი ნიშანი ყველა ადამიანს ახასიათებს. მაგრამ ადამიანები ხომ განსხვავებულნი არიან. ეს განსხვავება რომ ლოგიკურად ცხადი გავხადოთ ადამიანის ცნების გაყოფის ოპერაცია უნდა მოვახდინოთ. ამ პრობლემას ეწოდება ადამიანის კლასიფიცირების პრობლემა. რა და რა ასპექტებიდან შეიძლება ადამიანის ცნების გაყოფა? – მირიანმა შინაგანად იგრძნო, რომ საწყისამდე დავიდა, რომ საწყისი მოძებნა, რომ საწყისს მიაგნო, ისიც იგრძნო, რომ აქედან ზუსტად და შეუმცდარად შეიძლებოდა მთავარ კითხვამდე, თუ მთავარ სათქმელამდე მისვლა, არც ის გამოჰპარვია, რომ ქალიშვილში უკვე გარკვეული ინტერესი აღძრა მისმა მსჯელობამ.

– მე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია – თქვა დალიმ, თან მაგიდაზე დაწყობილ საკუთარი ხელების მტევენებს დახედა.

– მე შენთვის არც მითხოვია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მე აქედან ვიწყებ, რათა იმ კითხვამდე მივიდე, რომლის პასუხი მხოლოდ შენ იცი. მე თუ ვერ დაგანახე, რომ რაღაც მნიშვნელოვანის გამო მოვედი შენთან, მაშინ...

– მე ყურადღებით გისმენთ – მართლა გულწრფელად შეწუხდა დალი – მაგრამ კლასიფიკაციის პრობლემამ ოდნავ დამაბნია. აქედან როგორ მივიდეთ მთავარ კითხვამდე?

მირიანი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ქალიშვილი. ეს სახეზეც და მზერაშიც გამოეხატა.

– გისმენთ – მირიანის სახეზე გამოხატულ უსიტყვო კითხვას პასუხობდა დალი – მე თქვენს ინტრიგას ავეყევი, მაგრამ ჩემი გონების რომელიღაც კუნჭული თუ შრე ცდილობს ჩვენს საუბარს წინ გაუსწროს და კითხვების იერარქიაში დაინახოს და მოძებნოს ის ბოლო და მთავარი კითხვა. გისმენთ, მირიან!

– ძირითად კითხვასთან მისასვლელად ეს კითხვა აუცილებელ კითხვად მესახება – საუბარი განაგრძო იბერმა – ადამიანის ცნების გაყოფა უამრავ საფუძველზეა შესაძლებელი. ადამიანთა კლასიფიცირება, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ბიოლოგიური რასების მიხედვით.. ეს ელემენტარული დაყოფაა. რასების მიხედვით ადამიანები იყოფიან თეთრკანიანებად, შავკანიანებად და ფერადკანიანებად. სწორია?

– სწორიცაა და ამომწურავიც – დაუდასტურა დალიმ.

– აი, ხომ ხედავ, თქვენ ამ კითხვის პასუხი იცით – მირიანს ისევ აერია მიმართვის “შენობითი” და “თქვენობითი” ფორმები – მაგრამ ამ კითხვის

პასუხი არა მხოლოდ შენ იცი, არამედ სხვებმაც, უამრავი ადამიანია, რომლებსაც ამ კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლიათ. ახლა წინ წავიდეთ. დავსვათ კიდევ ერთი კითხვა...

– დავსვათ – ღიმილით დაეთანხმა ქალიშვილი – მაგრამ ყველაფერი ეს, ჯერჯერობით, შემეცნების სფეროშია მოქცეული.

– კიდევ რის საფუძველზე შეიძლება ადამიანის ცნების დაყოფა? – კითხვის დასმით გააგრძელა საუბარი მირიანმა – შემდეგი მომენტი, ალბათ ყველაზე ელემენტარული დაყოფა სქესის მიხედვით დაყოფაა. კიდევ რა შეიძლება ავიღოთ დაყოფის საფუძველად?

– გამოდის, რომ ჩვენ პლატონის დიალოგების პრინციპების მიხედვით ვმსჯელობთ, კითხვა-პასუხის პრინციპების მიხედვით. პლატონთანაც ხომ ყველა დიალოგი ასე, თამაშ-თამაშით იწყება, მარტივ კითხვებზე მარტივი პასუხების გაცემით. მერე ნელ-ნელა შემოდის, შემოიპარება სირთულე და ბოლოს ყოველივე ეს რაიმე მნიშვნელოვანის გარკვევით, გააზრებით, გაგებით მთავრდება. თქვენ მე ჩამითრიეთ თამაშში – დალი ღიმილით შეჰყურებდა იბერს – კიდევ რა შეიძლება ავიღოთ ადამიანის ცნების გაყოფის საფუძველად – იბერის მიერ წვდან დასმული კითხვა იმავე ფორმით გაიმეორა ქალიშვილმა და დაამატა: – ეს ჯერ კიდევ არაა რთული კითხვა. ადამიანები იყოფიან მათი ეროვნული კუთვნილების მიხედვით. რამდენი ერია მსოფლიოში? ეს ნამდვილად არ ვიცი.

– არც მე – ჩაურთო მირიანმა.

– თუმცა ერების რიცხვის ზუსტი ცოდნა ამ შემთხვევაში არაფრის მომცემი არ იქნება – განაგრძო დალიმ – თუ ისტორიული პროცესის მიხედვით ვილაპარაკებთ, შეიძლება დავასახელოთ ჩინელები, ინდოელები, ებრაელები. გამქრალი ერები, მაგალითად ეგვიპტელები, შუმერები, ეტრუსკები, ძველი ბერძნები, ლათინები და სხვები. თუ თანამედროვე მსოფლიოს ეთნოგრაფიული რუკის მიხედვით ვიმსჯელებთ...

– კარგი, აქ შევჩერდეთ – შეაწყვეტინა მირიანმა – კიდევ რა შეიძლება იყოს ადამიანის ცნების გაყოფის საფუძველი?

– რასობრივი სხვადასხვაობა აღინიშნა, სქესობრივი განსხვავების შესახებაც ითქვა, ეროვნული მომენტიც გათვალისწინებულია, კიდევ, კიდევ რა. რამდენადაც მახსოვს ადამიანები განსხვავებულნი არიან ფსიქოლოგიური ტიპის მიხედვითაც. ფსიქოლოგიის ყველაზე ელემენტარულ სასკოლო კურსში აღნიშნულია, რომ არსებობს ოთხი განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპის ადამიანები: მელანქოლიკები, სანგვინიკები, ხოლერიკები და ფლეგმატიკები. ამის გარდა ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენობრივი მომენტით, შეიძლება, აგრეთვე, რომ ადამიანები ასაკობრივი ნიშნის მიხედვით დაყონ – დალიმ მარჯვენა ხელი წამოსწია და განსხვავებული ასაკების ჩამოთვლას ხელის თითები შეაშველა, გაშლილ თითებს გამოყოფილი ასაკის შესაბამისად სათითაოდ კეცავდა – სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირის ასაკი, ახალგაზრდები, მოწიფულობის ასაკი, ხანდაზმულები და მოხუცები. ეს განსხვავება დინამიკურია. ერთი ასაკი მეორეში გადადის, მაგრამ ასაკობრივი ჩარჩოები მაინც მკვეთრად გამოყოფილია.

– სწორია – დალის სიტყვა მირიანმა ჩამოართვა – და ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქამდე ჩამოვთვალეთ ადამიანის ცნების დაყოფის სრულიად ობიექტური საფუძველებია, თუმცა დაყოფის ობიექტური საფუძველები კიდევ მრავლად მოიპოვება. ისინიც უნდა მოინახოს, მათ შესახებ უნდა ითქვას.

– მირიან, მე მგონია თქვენ გამოცდას მიწყოთ, მაგრამ რომელ საგანში? მე ვწყვეტ თამაშს – დალი საგანგებოდ გაიბუტა, ხელები გულზე დაიკრიფა.

– მღუპავ? ყველაფერს წყალში მიყრი? არავითარი თამაშის შეწყვეტა – დალის გაბუტვას აჰყვა მირიანი, ხელებით საგანგებოდ ხაზგასმული უხსტი

გააკეთა – ჩვენ უკვე იმ ზღვარზე მივედით, რომ უნდა განვაავითაროთ პლატონის დიალოგი. ე.ი. უნდა განვაგრძოთ ძიება და ძირითად კითხვამდე უნდა მივიდეთ. მაშ ასე, კიდევ რის მიხედვით შეიძლება ადამიანთა დაყოფა. ვთქვათ, საზოგადოებაში ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, ანუ სხვაგვარად კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით. ცხადია, ეს სავსებით რეალური დაყოფაა. ასევე უნდა ითქვას საკუთრების ფორმების მიხედვით ადამიანთა დაყოფაზე. კიდევ?

– რელიგიური რწმენის მიხედვით – დაუმატა დალიმ.

– კიდევ?

– პოლიტიკური პოზიციის მიხედვით.

– მომწონს – შესძახა მირიანმა – კიდევ?

– პარტიულობის მიხედვით, გამათლებლის მიხედვით, ნიჭიერების მიხედვით, ზნეობის მიხედვით – სული მოითქვა დალიმ.

– ყველას ვერ ჩამოვთვლით – ხელით შეაჩერა ქალიშვილი მირიანმა – ადამიანის ცნების დაყოფის საფუძვლების შესახებ შეიძლება რამოდენიმე სქელტანიანი წიგნი დაიწეროს. იქაც შეიძლება რაღაც მომენტი მაინც გამოგრჩეს. ეს თითქოს გარდუვალია, მაგრამ არის ერთი ისეთი გარკვეულობა, რომლის გამოტოვება, რომლის არ დასახელება არ შეიძლება, რომელიც ძალიან რელიეფურია, მკვეთრად ხელშესახებია, ესაა ადამიანთა დაყოფა სილამაზის მიხედვით. – მირიანი წამოდგა, ახალ პაპიროსს მოუკიდა, მერე ახლოს მივიდა დალისთან – რასაც ახლა გეტყვი ეს არაა მთავარი სათქმელი, მაგრამ იგი მთავარ სათქმელთან მიახლოებაა, ერთგვარი ლირიკული გადახვევაა, პოეტური ინტერმეცცოა, ერთგვარი ჩანართი ან მონოლოგია ჩვენს დიალოგში. ადამიანთა დაყოფა, ცხადია, შეიძლება სილამაზის მიხედვითაც, მაგრამ ამგვარი დაყოფისას მე, როგორც სუბიექტი, რომელიც ვყოფ, შემფასებელი სუბიექტი ვარ და ცნების მთელ მოცულობაში მხოლოდ ორ წევრს ვხედავ. სილამაზის მიხედვით მთელი თანამედროვე კაცობრიობა იყოფა ორ წევრად – მირიანი შეჩერდა, პაუზის დროს რაღაც გადაიფიქრა. მერე ისევ დალიზე შეაჩერა მხერა და ჰკითხა: – აბა, შენ თუ იტყვი, რა და რა წევრებია აქ ნაგულისხმევი?

– ეს იმას ნიშნავს, რომ მე უნდა შევასრულო ცნების გამყოფი სუბიექტის როლი?

– არა, ვერ გავაკეთე ზუსტი სვლა. კარგად დაიხსომე რასაც გეტყვი, სილამაზის მიხედვით კაცობრიობა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თვალთახედვის არეში მოქცეული ადამიანები, ორ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილში იგულისხმება ყველა ადამიანი გარდა ერთისა. ყველა ისინი ულამაზონი არიან. არა, მაინცადამაინც მახინჯნი კი არა, არამედ ულამაზონი, შედარებით ულამაზონი ცნების მეორე ნაწილთან შედარებით. მეორე ნაწილს მთლიანად ფარავს და ცნების მეორე წევრის მოცულობას მთლიანად ავსებს ერთადერთი ადამიანი, რომელიც ახლა, ამ წუთში ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტური სასტუმროს 233-ე ნომერში სასადილო მაგიდასთან ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ ზის და მონაწილეობს ამ დიალოგში, რომელსაც შემეცნებითი ღირებულება გააჩნია.

დალის სახეზე ერთბაშად ჩაქრა ღიმილი.

ქალიშვილის სახეზე ღიმილი გადაფითრებამ შეცვალა.

ამაშუკელის ქალმა თავი ჩაღუნა.

ოთახში დაივანა სრულმა უხერხულმა დუმილმა.

იბერმა იგრძნო, რომ დუმილი არ შეიძლება გაგრძელებულიყო, სიჩუმე არ შეიძლებოდა არ დარღვეულიყო და იგი, უხერხული და საუბრის მიმჩეხავი დუმილი სწორედ მას, სწორედ თვითონ უნდა დაერღვია.

– არა, არაფერი არ მითხრა – დუმილი დაარღვია მირიანმა – მე შენს წინაშე არც დამისვამს კითხვა, მით უმეტეს ის მთავარი კითხვა, რაც ვთქვი, მომავალი მთავარი კითხვის შესავალია, პრელუდიაა, პროლოგია, იმ კითხვის

მომზადების გარკვეული საფეხურია. მე რაც ახლა, ერთი წუთის წინ ვთქვი, მას კითხვის სახით არც დავსვამ. ის, რაც ვთქვი, ჩემთვის აქსიომაა, მზესავით ნათელია, უთუმცოა და სრულიად ობიექტურია. ამ შემთხვევაში მე სხვისი არავის აზრი არ მაინტერესებს, არც შენი... არც თქვენი. ეს ჩემი რწმენაა. ჩემთვის არის აქსიომა, ჩემთვის არის მზესავით ნათელი, ჩემთვის არის უთუმცო და ჩემთვის არის ობიექტური. შენი სილამაზე ისეთი სილამაზეა, რომელიც მხილველში, მჭკვრეტელში ვნებას კი არ ბადებს, არამედ მოკრძალებას, რომელიც მხილველს გაფრენისკენ უბიძგებს, ზეცისკენ, სითეთრისკენ. ეს ის სილამაზეა, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მშვენიერებას, ზეცით მოსულ ნათელს უწოდებდა.

მირიანი წამით შეჩერდა.

დალის თავი არ აუწევია. ძალიან მშვიდი და მიმკრთალი ხმით იკითხა:

– რაა ის მთავარი კითხვა?

მირიანი დაჯდა.

– გავთავხედდი, მაგრამ ერთი დერი პაპიროსი კიდევ უნდა მოვწიო. – ქალიშვილმა თავი დაუქნია. იბერმა გააბოლა და საუბარი გააგრძელა – იმ მთავარ კითხვამდე მე თქვენ უნდა დავისვით კიდევ ერთი კითხვა. რაც ჩამოვთვალეთ ჩამოვთვალეთ კიდევ რა საფუძველზე შეიძლება ადამიანის ცნების გაყოფა?

– ვერ გეტყვით. – დალიმ თმაზე გადაისვა ორივე ხელი – მე მგონი, გაყოფის ყველა საფუძველი ამოვწურეთ.

– არა, წელანაც გითხარი, რომ ამის ამოწურვა შეუძლებელია, მაგრამ ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა – მირიანი, თითქოს ამით სურდა მომენტისა თუ სათქმელის განსაკუთრებულობისათვის გაესვა ხაზი – მე მივაგენი ადამიანის ცნების კლასიფიკაციის კიდევ ერთ საფუძველს – დალიმ თავი ასწია, იგი ისევ გაფითრებული იყო, თავის აწევით მხოლოდ ის დაუდასტურა იბერს, ყურადღებით გისმენო – ეს საფუძველი – გააგრძელა მირიანმა – შეიძლება ასე გამოითქვას: ადამიანები ერთმანეთისაგან განვსხვავდებით და მკვეთრადაც განვსხვავდებით იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენჯერ დაიბადა და გაჩნდა ამ ქვეყნად. ერთხელ, ორჯერ თუ უფრო მეტჯერ. ვერ ვთქვი გასაგებად?

– მთლად გასაგებად – ვერა.

– მხოლოდ ეს ბოლო აზრი ვერ გამოვთქვი და ჩამოვაყალიბე ნათლად, თუ ყველაფერი, რაც აქამდე ვილაპარაკე, ასევე ბუნდოვანი იყო?

– არა, მხოლოდ ბოლო აზრი. დანარჩენს ბუნდოვანება არ ეხება. დანარჩენი ყველაფერი გასაგები იყო.

– გასაგებიცაა და მისაღებიც?

დალიმ არ უპასუხა, მცირე პაუზის შემდეგ კი თქვა:

– მე ბოლო კითხვას ვუცდი.

– რასაც ახლა ვიტყვი, ვიტყვი თუ გეტყვი, სწორედ ახლა ვლაპარაკობ პირველად ახლა, შენს თვალწინ, ლენინგრადის ამ თოვლიან დღეს ვცდილობ აქამდე ბუნდოვნად ნაგრძნობის, ინტუიციურად ნაგრძნობისა და განცდილის თეორიულ ჩამოყალიბებას, აზრობრივ კალაპოტში მოქცევას, დაფორმულირებას. ჩემი დაკვირვებით, გამოცდილებით და დღემდე შექმნილი ცოდნის ანალიზის მიხედვით ადამიანთა უმრავლესობა, შეიძლება ითქვას ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ერთხელ იბადება ამ ქვეყნად. მხოლოდ ერთხელ, მაშინ როდესაც დედის საშოდან მოეველინება თუ მიემატება ქვეყანას, ადამიანთა გვარს, ადამიანების სიმრავლეს, დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა რიცხვს, როცა ახლადშობილი ადამიანი ადიდებული მდინარის ამღვრეული ტანჯვით სადღაც მავანი მიმავალ ქვეყნიერებას შეუერთდება. ამ პირველი დაბადებისას ბორგვით მხოლოდ ადამიანად ქცევის შესაძლებლობაა. ერთხელ გაჩენილთა აბსოლუტური უმრავლესობა სამყაროში მის ადგილსა და ფუნქციებს თავისთავად გარკვეულად და ცხადად თვლის და

მზადაა უმტკივნეულოდ, უპრობლემოდ, განსჯისა და გაანალიზების გარეშე მიიღოს და გააგრძელოს წინა თაობებისგან მემკვიდრეობით გადმოცემული ცხოვრების წესი და უზრუნველყოს ადამიანთა გვარისა და წოდების ესტაფეტის გადაცემა მომავლისათვის. შეიძლება ზედმეტად მკაცრად გამომივიდეს ნათქვამი, მაგრამ ეს ადამიანები ისეთი წესით ცხოვრობენ, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანურ ცხოვრების წესად ვერ ჩაითვლება. ისინი მხოლოდ ცოცხლობენ და მხოლოდ არსებობენ. ამგვარი ადამიანები, სწორედ იმის გამო, რომ ისინი არასოდეს არ სვამენ კითხვას სამყაროს რაობისა და ადამიანის არსების, მისი სიცოცხლის საზრისისა და ღირებულების შესახებ, მეორედ და მესამედ არ იბადებიან. ისევ, კვლავ და ხელახლა არ ჩნდებიან ამ ქვეყნად, მათთვის გარემომცველი სამყარო ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, მზესავით ნათელი, უძრავი, უცვლელი, დასრულებული და ჩაკეტილი გარკვეულობაა, რომელიც მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე მუდამ ერთი და იგივე რჩება. და ზუსტად იმიტომ, რომ ეს ადამიანები მეორედ არ იბადებიან, მეორედ არ გაჩენილან, მათ არასოდეს არ უგრძობიათ, არ განუცდიათ ნამდვილი ადამიანური არსებობა. მათ არა მარტო არ შეიძლება ეკუთვნოდეთ, არამედ ისინი არ შეიძლება არსებითად ჩაწვდნენ და ბოლომდე გაიგონ ადამიანის გონის მიერ დასმულ ისეთ მარტივ კითხვებსაც კი, როგორცაა პილატეს, კეისრისა და ჰამლეტის კითხვები: ამ ადამიანებისათვის სამყაროს წონასწორობა ან დროთა კავშირი მხოლოდ ერთხელ ირღვევა და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ისინი აგონიაში ჩავარდებიან, როცა გაქრობის ზღვართან აღმოჩნდებიან. ამიტომაც, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეს ადამიანები ვერ გრძნობენ არა მხოლოდ ნამდვილ და ჭეშმარიტ ბედნიერებას, არამედ ნამდვილ და ჭეშმარიტ უბედურებასაც, არა მხოლოდ ნამდვილ სილამაზეს, არამედ უკიდურეს სიმახინჯესაც, არა მხოლოდ ნამდვილ სიყვარულს, არამედ ჭეშმარიტ სიძულვილსაც. ამ კატეგორიის ადამიანთათვის გრძნობის, განცდის, აზრის, გაგების, წვდომის ნამდვილი სიღრმე და ნამდვილი სიმაღლე ტაბუდადებულია. ხოლო სინამდვილეში მათი არსებობა არანამდვილი, მოჩვენებითი, თითქოს არსებობაა. დალი, მე ვხედავ, რომ ყურადღებით მისმენ. ახლა, ამ წუთში ამას, ამ ყურადღებას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რადგან გარდა იმისა, რომ მე ვიცი ვის და რატომ ველაპარაკები, მე ვამოწმებ კიდევ, შენთან ერთად ვამოწმებ გამოთქმულ დებულებათა ჭეშმარიტებას, სისწორეს, ვარვისიანობას. იქნებ მე ვერ ვხვდები და შენ სულ არ გაინტერესებს ამ კონცეპტუალურ დებულებათა მოსმენა? იქნებ ყველაფერი ეს ბოღვად და სისულელედ მოსჩანს შენს თვალში?

- არა. გისმენ – მერე დალის გაეღიმა და ნათქვამს დაუმატა: – არა მგონია ეს ბოლო კითხვა იყოს ის მთავარი კითხვა.

- ცხადია – გაეღიმა მირიანსაც – კიდევ სულ მცირე მოთმინება და იმ კითხვასთანაც მივალთ. ალბათ, შეგაწუხებ. ცხადია, შეგაწუხებ, მაგრამ სულ რამოდენიმე წუთით კიდევ გთხოვ მოთმინებას. ჩემი დაკვირვებით ადამიანთა უმრავლესობისგან განსხვავებით ზოგი ადამიანი მეორედ და მესამედაც იბადება. ახლა შენს წინ, ამ მაგიდასთან, ამ კვამლით გაბანგულ ოთახში ის კაცი ზის, რომელიც ქვეყნად ერთხელ გაჩენის შემდეგ მეორედ და მესამედ დაიბადა, გამოიცვალა, სხვა და სულ სხვაგვარი გახდა. დალი, ამას შერეული კაცი არ გეუბნება, ცოტა ხანს კიდევ მომისმინე და დაინახავ, იგრძნობ, მიხვდები, რომ ყველაფერი ეს ჭეშმარიტად ასეა. მე ვხედავ შენს მზერაში გამოკვეთილ კითხვის ნიშნებს, შენს სახეზე გამოხატულ გაკვირვებას, სულ ცოტა ხანს, სულ მცირე ხანს კიდევ მომისმინე და ყველაფერს ნათელი მოეფინება – მირიანი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ფანჯრის რაფასთან, სარკმლისკენ ზურგით დადგა და განაგრძო: – ჩემი გაჩენიდან 19 წლის გავლის შემდეგ მე მეორედ დავიბადე. მეორედ დაბადების პროცესი ხანგრძლივი და გასაოცრად მტკივნეული იყო. იგი დიდი ხნის წინად

დაიწყო, 1924 წლის პირველი სექტემბრის ღამით და 12 წლის შემდეგ დამთავრდა, დაბოლოვდა, დასრულდა. ოცდაოთხი წლის პირველ სექტემბერს, აგვისტოს ცნობილი აჯანყების თუ გამოსვლების შემდეგ მამა და დედა ერთად დააპატიმრეს. ის ღამე სულ ჩემთანაა, არ მავიწყდება, არ მეშვება, სულ ჩემთანაა და მის ტყვეობაში ვარ. რადგანაც იქაა ჩემი მეორედ დაბადების ფესვები, ფესვებიც და საწყისიც, საწყისიც და დროში დასაწყისიც. იმ ღამის დეტალების შესახებ შემდეგ, ოდესმე გიამბობ. გიამბობ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შენ ჩემი ახლოს გაცნობა დაგჭირდება. ახლა კი, ამჟამად, იმ სასტიკი ღამის ერთი დეტალის გახსენებაც კმარა. როცა მამა და დედა შუალამისას მოსულმა მილიციელებმა წაიყვანეს და ნავთის ლამპით განათებულ ოთახში მარტო დავრჩი, მამა წამიერად შემობრუნდა, გულში ჩამიკრა და მითხრა: “არ იტირო, არ შეგეშინდეს. მე ვეცდები მაღე დაგბრუნდე, მეც და დედაშენიც. რასაც გეტყვი, კარგად დაიხსომე, მე მინდა შენ ისეთი კაცი დადგე, რომ სინამდვილე შენთვის ცხადი და ბოლომდე გარკვეული იყოს. “ვინა ხარ, საიდან მოსულხარ, საიდან მიხვალ სადაო”. ეს ჩემი საყვარელი პოეტის დავით გურამიშვილის სიტყვებია. შენ ჩემგან ანდერძად მიიღე ის, რომ ყოველთვის შეგეძლოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა”. მერე კარის გახურვის ხმა ჩამესმა, მერე საშინელი მღუმარება ჩამოწვა და მამიდაჩემის მოსვლამდე გავლილი დრო სისხლისფერი მარტოობით იყო სავსე. იმ ღამის შესახებ ახლა მეტს აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ იმ საშინელ ღამეს დაიწყო ჩემი მეორედ დაბადება, ხანგრძლივი და მწვავე პროცესი, რომელიც შარშან დასრულდა, როცა უკვე მეორე კურსის სტუდენტად ვითვლებოდი. მეორედ დაბადება, რომელიც უსაშველოდ ხანგრძლივი და ტკივილებით აღსავსე ძიების შემდეგ ამ სამყაროში, მირიადი შრეების შემცველ სინამდვილეში ადამიანის ადგილის, მისი არსების, მისი სიცოცხლის და არსებობის საზრისის გარკვევა, ქვეყნად მისი ყოფნის აზრის მიგნება მოჰყვა, უკიდურესად ნათელი, ცხადი და ხელშესახები ხდომილება იყო. მე უაღრესად ხანგრძლივი და დაძაბული ინტელექტუალური ძიებების შედეგად, დაპატიმრებიდან 10 წლის შემდეგ მობრუნებული მშობლების, განსაკუთრებით მამის ხელმძღვანელობით და რაც მთავარია, თბილისის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, პროფესორ სავლე წერეთელთან ფილოსოფიის ისტორიაში სისტემატური, მიზანდასახული მუშაობის შედეგად მივაგენი, გავაცნობიერე, გავიაზრე, არ მინდა ვთქვა, “აღმოვაჩინე”, არა სწორედ მივაგენი ადამიანის სიცოცხლის საზრისს. სიტყვა “აღმოჩენას” აქ იმიტომ გავურბივარ, რომ ცხადია, მე არა ვარ ადამიანის სიცოცხლის საზრისის პირველადმოჩენი. ამ პრობლემას ჯერ კიდევ ანტიკური დროის ფილოსოფოსები იკვლევდნენ, მაგრამ ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ყველა ადამიანმა თავიდან და თვითონ უნდა გაიაზროს. თვითონ, ესაა მთავარი. თვითონ უნდა ჩაწვდეს. თითქოს დღევანდელი ჩვენი შეხვედრა და ეს სიტუაცია სრულიადაც არ არის შესაფერისი ამგვარი განსჯისათვის, მაგრამ თუ ბოლომდე ჩავუკვირდებით არცეს აზრია სწორი და მართებული. მე მინდა შენ იცოდე, ვინ დგას შენს წინ, ვინ იფრინა სამი ათასი კილომეტრი, რათა ამ სასტუმრომდე მოსულიყო, ვინ და რატომ გესაუბრება დღევანდელი საუბრით. მეორედ დაბადება შედგა იმის გამო კი არა, რომ ადამიანის სიცოცხლის საზრისი პირველმა მე აღმოვაჩინე, არამედ იმის გამო, რომ ჩემმა ცნობიერებამ, შეძლო იმ სიმაღლეზე ასვლა, რომ ადამიანის გონის მიერ ჯერ კიდევ ბიბლიური დროიდან მოაზრებული და დასაბუთებულად წარმოდგენილი მოსაზრებანი სიცოცხლის საზრისის შესახებ, გაეთავისებინა, ჩასწვდომოდა. მისი სიმაღლე და სიღრმე ვერძნო და კაშკაშა სინათლისათვის გაესწორებინა მზერა. მეორედ დაბადება ის ნაბიჯია, რომელმაც მე ადამიანის ცნებას უსაზღვროდ და მჭიდროდ მიმაახლოვა. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ადამიანი შემოქმედი, ანუ სინამდვილის გარდამქმნელი და ახალი სინამდვილის შემქმნელია, რომ

ადამიანი არა მარტო ცხოვრობს ამ სინამდვილეში, არამედ შეფასებს აძლევს მას. იგი არა მარტო იმცნებს და ითვისებს, შეიძლება გვეთქვას, არა მხოლოდ მოიხმარს სინამდვილეს, არამედ საკუთარ აზრში, წარმოსახვაში, ცნობიერებაში ახალ სინამდვილეს ხატავს, აკონსტრუირებს, გეგმავს და შემდეგ, როგორც პრაქტიკის სუბიექტი ჰქმნის მას, აქამდე სრულიად უცნობ სინამდვილეს, ახალ, სრულიად სხვა და სხვაგვარ სამყაროს. ჩემი დაკვირვებით, ადამიანთა უმრავლესობა ისე გაივლის სიცოცხლის მთელ გზას გაჩენიდან გარდაცვალებამდე, ისე გალევს მთელ წუთისოფელს, რომ ადამიანის სიცოცხლის საზრისის გააზრებამდე ვერ მალდებდა, ემპირიას და ყოველდღიურობას ვერ სცილდება და ამდენად, მათი არსებობა სინამდვილისთვის არარსებული არსებობაა. მეორედ დაბადების შემდეგ სამყარო ჩემს სამყაროდ იქცა, ჩემი სამყარო გახდა და სწორედ ამაში მდგომარეობს ამ სინამდვილეში მეორედ დაბადების არსი. – იბერი შეჩერდა. იგი მთელი ამ მონოლოგის მანძილზე, ფანჯრის რაფასთან მდგარი თვალმოუცილებლად შეჰყურებდა დაღის, ქალიშვილის სახეზე ცდილობდა იმის ამოკითხვას, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე მირიანის მონათხრობი. მზისფერთმიანი ქალი არ შერხეულა. იგი ყოველგვარი რეაქციის გარეშე მდუმარედ უსმენდა ვაჟს. – გასაგებად ვთქვი, შევძელი შენთვის დამენახებინა ის, რასაც ვხედავ?

– მირიან გულისყურით გისმენ. ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი, რაც შენთვის ახლა ასე ნათელი და გასაგებია, ჩემთვისაც თითქოს ნათელი და გასაგები ხდება. მაგრამ... – ქალიშვილმა თავი გადააქნია, თითქოს რომელიღაც აზრი მოიშორა გონებიდან – ერთ რამეს მაინც ვერ ვხვდები – საით მივყავარ, ან საით მივდივართ. ერთი რამ კი არ შეიძლება არ გითხრა, რაც შენ მითხარი ჩემთვის რაღაცნაირი, გაუცნობიერებელი, გაუფორმებელი, თითქოს ბუნდოვანი, მაგრამ მაინც რეალური სიხარულის მომტანი იყო. არ ვიცი სახელდობრ რა და რატომ მიხარია, მაგრამ თვითონ ეს განცდა, სიხარულის განცდა სრულიად ნათელი და გამოკვეთილია. იცოდე მირიან, მე არც არაფრის დაფარვა, არც ტყუილის თქმა არ შემიძლია.

მირიანმა ფანჯარა გამოაღო. თებერვლის სიცივე უმაღლესო მთელ ოთახს. იბერი მაგიდასთან დაჯდა.

– ფანჯარას ახლავე დაგხურავ. ცოტა გაიწმინდოს ჰაერი. შენი სტუმარი ცუდადაა აღზრდილი. შეიძლება ამდენი პაპიროსის მოწვევა? კიდევ მინდა მცირე ხანს შენი ყურადღება, სულ მცირე ხანს და მივალ იქ, სადაც უნდა მივიდე, ან სადაც უნდა მივიდეთ, დალი... – მირიანი ისევ წამოდგა, ფანჯარა მიხურა, მერე ისევ სკამს დაუბრუნდა – დალი, მეორედ დაბადების შემდეგ, მე კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე მესამედ დავიბადე. თუ პირველად ბუნებამ გამაჩინა და მეორედ შემეცნებისაგან გაგჩნდი, მესამედ სიყვარულმა დამბადა თუ შემქმნა... – ეს თქვა და ქალიშვილს გაუსწორა თვალი. შინაგანმა ცენზორმა, რომელიც ამ მომენტში დაღის წინაშე მორიდებასა და მოკრძალებას ნიშნავდა, ისევ წამოჰყო თავი და მოქაჩა აღვირი. მაგრამ უკვე გვიან იყო. სიტყვები “სიყვარულმა დამბადა თუ სიყვარულმა შემქმნა” გახშირდა და უხერხული სიტუაცია ხელახლა აღადგინა. იბერი კარგად ვერ გარკვეულიყო, უხერხულობა გამეფდა და დალიც შებოჭილი იყო ამ უხერხულობით, თუ მხოლოდ თვითონ გრძნობდა ამ ორიოდ სიტყვისგან წარმოქმნილ უხერხულობას. ქალიშვილი გარინდებული იჯდა – დალი.. ისე, პირველი გაჩენის შემდეგ ახალი და ახალი დამატებები ერთმანეთს აპირობებს და განსაზღვრავს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩემი მეორედ გაჩენა რომ არ შემდგარიყო, არც ჩემი სიყვარული იქნებოდა ასე უსაზღვრო, ასე უსაშველო, ასე მაღალი და ცისფერი და იმ განცდით ამვსები, რომ... – მირიანი ისე წარმართავდა საუბარს, რომ ყოველი წინადადება კონტროლქვეშ ჰყავდა მოქცეული, აქ კი საუბარი უცნაურად მიიჩნია. იბერი თითქოს იმას ლაპარაკობდა, რაც არ სურდა ან რისი გამხელაც არ უნდოდა – იმ განცდით

ამგვები, რომ – ერთხელაც გაიმეორა მირიანმა, მერე კი მოუზომავად გადააბა – რომ მზისფერთმიანი ქალიშვილი სულ, მთელი სიცოცხლე მიყვარდა, სულ, მაშინაც კი როცა იმ ქალიშვილს არც ვიცნობდი, როცა წარმოდგენაც არ მქონდა მის არსებობაზე. შარშან ჯერ ბათუმში, შემდეგ უკრაინაში, ბოლოს კი თბილისში შეხვედრების შემდეგ მე უკვე აღარ შემიძლია წარმოვისახო, ან გავისხენო დრო, რომელიც ჩემი დრო იყო, მაგრამ მის გარეშე არსებული. უმისოდ გავლილი და ჩავლილი დრო, ალბათ ის დრო მისი ლოდინის დრო იყო და ამიტომაც მისით ყოფნა – წინადადება დაასრულა მირიანმა და ამოისუნთქა. დალის სახეს ისევ მოსდებოდა ფითრისფერი, მაგრამ არ განძრეულა, არც არაფერი წამოცდენია – მე შენ მიყვარხარ, დალი – ქალმა მაინც არ ამოიღო ხმა – მისმენ თუ აღარ მისმენ? – იკითხა მირიანმა.

ქალიშვილმა არც ახლა თქვა არაფერი. არ გამოეპასუხა, და მერე ჩამოდგა ხანგრძლივი, უსასველოდ ხანგრძლივი სიჩუმე, რომლის დარღვევა ქალიშვილის წინაშე და დანაპირები ბოლო, მთავარი კითხვის დასმა მირიანმა ვერაფრით ვერ შეძლო. მირიანმა თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო ღვთაებრივი დრო. დრო, რომელიც ახლა ლენინგრადის უნივერსიტეტის სასტუმროს 233-ე ნომერში იდგა, სწორედ ღვთაებრივი დრო იყო. მირიანის პირდაპირ, მის წინ, სულ ახლოს მზისფერთმიანი ქალიშვილი იჯდა, მდუმარე და დაფიქრებული. მდუმარე და უსაშველოდ ლამაზი, მდუმარე და გაურკვეველი სევდით აღსავსე. ხოლო დრო, ის ღვთაებრივი დრო ერთდროულად ჰყავდა შეპყრობილი იჭვსა და სიწმინდეს, შინაგან შემფოთებასა და უსაზღვრო ბედნიერებას, მოლოდინსა და ფიქრს. ამ დროის დარღვევა მირიანს არც შეეძლო და არც სურდა, მაგრამ იგი მაინც დაირღვა. დაირღვა მოგვიანებით, როცა საათის ისრებმა ოთხს მიაღწიეს, როცა ფანჯრებს გადაღმა ბინდი ჩამოწვა, როცა დალის თანაკურსელები ერმიტაჟიდან დაბრუნდნენ და დარღვეული იყო მანამ, სანამ მირიანი, ახლადგაცნობილ ქალიშვილებთან სადილის შემდეგ, დალიმ არ ჩამოაცილა სასტუმროს ფოიეში. დარღვეული დრო იქ ისევ აღდგა. ისინი დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგნენ სასტუმროს ვრცელ, ცარიელ ფოიეში.

– ის ბოლო და მთავარი კითხვა შენ მაინც არ დაგისვამს ჩემთვის – თქვა დალიმ და მირიანი მიხვდა, რომ ქალიშვილის წინადადებაში გახშიანებული “შენ” წელანდელ დუმილში ერთმანეთზე გადაქსოვის შედეგი იყო.

– სანამ ბოლო კითხვას დაგისვამდე, კიდევ მინდა რაღაც ვთქვა, რაც წელან ვერ ვთქვი. კი არ გამომჩნა, კი არ დამავიწყდა, ვერ მოვასწარი. ადამიანის ყოველი ახალი დაბადების შემდეგ სამყარო სხვა, სრულიად სხვა და სხვაგვარი ხდება, ახალი ფერებით იმოსება, ახალი ხმებით იესება. რაც მთავარია ახალი სიღრმითა და სიმაღლით. სინამდვილე უფრო და უფრო უახლოვდება მის ცნებას. იმას, თუ როგორი უნდა იყოს ირგვლივ არსებული სინამდვილე. შენთან საბედისწერო შეხვედრამ თუ შენმა საბედისწერო გამოცხადებამ მე ხელახლა გამაჩინა ამ ქვეყნად და ქვეყანამაც საოცარი ფერისცვალება განიცადა. მე შენს წინაშე დაუძლეველი მოკრძალება თითქოს გადავლახე და ხომ ხედავ, მერამდენე ტირაღით გამოვდივარ შენს წინაშე. მე ახლა ისეთ სამყაროში ვარ, რომელსაც სხვა ვერავინ იხილავს, სხვა ვერავინ გაითავისებს. იმ სიმაღლეზე ვარ, სხვა ვერავინ რომ ვერ მიწვდება, ისეთ სიღრმეებს ჩავწვდი, სხვა ვერავინ რომ ვერ მიაგნებს. ხომ გესმის დალი, ხომ ხედავ, ხომ გრძნობ ამ სამყაროში ყველაფერს შენი სახელი რომ ჰქვია, ამ სინამდვილეში ყველაფერი შენით რომ იწყება? ახლა გისვამ იმ ბოლო და მთავარ კითხვას, რომელიც ძალიან მარტივია: უნდა ჩამოვსულიყავი?

მირიანმა გააცნობიერა, რომ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც წყლის სოკოსთან იდგნენ, დალის ხელი ეპყრა ხელთ, დალის თბილი და სანატრელი ხელი.

– მერე ასეთი მარტივი კითხვის ერთადერთი ზუსტი და სწორი პასუხი მხოლოდ მე ვიცი? – დალიმ მირიანს წამიერად თავისი ხელი გამოაცალა, მერე თვითონ მოჰკიდა ხელი მირიანის ხელს.

ფოიეში ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიდა.

– მხოლოდ შენ და მარტო შენ!

დალის ხელი ახლაც ძალიან თბილი იყო.

– შენ კითხვის დასმისთვის ხანგრძლივი შესავალი და მრავალი პრობლემის გარჩევა დაგჭირდა. პასუხს, ერთადერთსა და ერთმნიშვნელოვან პასუხს არ სჭირდება ანალოგიური გზის გავლა? – დალი თვალებში შეჰყურებდა მირიანს.

– მე შენ მიყვარხარ, დალი!

წამიერად ისევ გამეფდა დუმილი.

– უნდა ჩამოსულიყავი.

თქვა დალიმ და სინამდვილე თავის ცნებას მიუახლოვდა.

ლენინგრადის შეღამება მართლაც დვთაებრივი იყო. აეროდრომისკენ მიმავალი მირიანი ნათლად გრძნობდა, რომ მთელი სინამდვილე, რომელიც იბერისათვის ასრულებული ოცნებების სინამდვილეს წარმოადგენდა, იმ დვთაებრივ დროში ცოცხლობდა, ფეთქავდა და არსებობდა. ის შეღამება არ შეიძლებოდა ოდესმე განმეორებულიყო და არც განმეორებულა.

ახლა კოლონიის ეს უკანასკნელი ღამეც დასრულდება. დალი აასრულებს თავის პირობას. პატიმრობიდან დაბრუნებულ მირიანს ნამდვილ ანგელოსად დაუბრუნდება და ლენინგრადის ის დვთაებრივი ღამეც განმეორდება. ეს ის ოცნებაა, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, რომლის რეალობად ქცევაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

. . . აღარ თენდებოდა.

გუშინდელი გავარვარებული აგვისტოსაგან დატოვებული ხვატის განელებას არ ადგებოდა საშველი.

ბევრი ცხელი აგვისტო ახსოვდა მირიანს, ის აგვისტოც განსაკუთრებული იყო. უნივერსიტეტის ეზოში მოულოდნელად რომ გადაეყარა ფატი დადიანს.

1938 წლის აგვისტოს ბოლო დღე იდგა.

უნივერსიტეტის აყვავებულ ეზოში ფეხი შედგა თუ არა, დაინახა მირიანმა, პირველი კორპუსიდან ეზოში ჩამომავალ კიბეებს ჩამოჰყვა თეთრ წინწკლებიან ლურჯ კაბაში გამოწყობილი, ხუჭუჭთმიანი ფატი.

შორიდანვე შეეხმინა

- ფატი, ფატი! – მერე ხელი დაუქნია – დადექ, დამიცადე, თქვენების ამბავი მითხარი, ბატონი იუსუფი როგორაა, დედათქვენი, ასლანი, ჩემი ძვირფასი ასლანი თავისი ოჯახით. – ამასობაში ახლოს მივიდა შეჩერებულ ფატისთან – ამ ზაფხულში ხომ იყავი აჭარაში?

- ვიყავი, კი ვიყავი, ამ დილით ჩამოვედი ბათუმიდან. აქ ცხრილის გასაგებად

შემოვიარე. შენ ყველა ჩემიანი იკითხე, მე გამომტოვე თუ გამოგრჩი, მეც კარგად ვარ. შენ რასა იქმ, თუმცა შენი კარგად ყოფნის ამბავი უკვე მითხრა კუსა ბერძენიშვილმა, აქ, უნივერსიტეტის ვესტიბულში. ისიც ლექციების ცხრილისთვის იყო მოსული.

- კარგია. კუსაც ჩამოსული ყოფილა. – ჩაილაპარაკა მირიანმა, მერე ფატის ხელზე წაავლო ხელი და უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის ბიუსტის მარჯვენა მხარეს მდგარი სკამისკენ წაიყვანა – ხომ გცალია, ცოტა ხანს ჩამოვჯდეთ, ერთ მეგობარს დავპირდი, რომ აქ, ამ სკამზე, სწორედ და ზუსტად ამ სკამზე დაველოდები.

- ააა, გასაგებია – ჩაიცინა ფატიმ – კუსამ მითხრა – შეყვარებულიაო.

- კარგია, რომ ვითხრა. კუსას ჩემს გახსენებაზე ან ჩემს ხსენებაზე

ყოველთვის ის ახსენდება, რომ შეყვარებული ვარ. კუსა ახლა ამას თვლის ჩემი პიროვნების არსებით მომენტად.

სკამიდან, რომელზედაც ჩამოსხდნენ, უნივერსიტეტის თეთრი შენობა მთელი სიდიადით ბრწყინავდა. შენობის წინ უზარმაზარი ნაძვის ხეები აშოლტილიყო. ქანდაკების გასწვრივ, შორს, უნივერსიტეტის მთელი ეზო დაეფარათ ნაძვისა და ჭადრის ხეებს. უნივერსიტეტის ბაღში საოცარი სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა. აგვისტოს სიცხე უკვე შედიოდა ძალაში.

- კი, სწორედ ასე მითხრა კუსამ – საუბარი განაგრძო ფატიმ – იმ გოგონას გარდა, აღარაფერი აღარ ახსოვსო და ამას ნიშნის მოგებით ან დაცინვით კი არ ამბობდა, არამედ შენს ღირსებებს აღნიშნავდა, შენ გახასიათებდა, შენს დახასიათებას იძლეოდა. ახლა ასეაო, ალბათ სულ ასე იქნებოაო, კუსა შენი კაცური ღირსების წარმოდგენას ცდილობდა.

- ფატი, მართალი მითხარი, ვინმე გიყვარს? – იკითხა მოულოდნელად მირიანმა.
- არა! რატომ მეკითხები?
- არც არავინ გყვარებია?
- არა, მე ისე, პოეზიიდან ვიცი, რომ ეს გრძნობა არსებობს.
- დასანანია – თქვა მირიანმა.
- რაა, მირიან დასანანი – აღმაცერად შემოხედა ფატიმ იბერს – ვერ

გავიგე, რას მეუბნები.

- სრულიად ნათლად და გასგებად გეუბნები . . . დასანანია, დასანანია, რომ

არავინ არც გყვარებია და არც გიყვარს. დასანანია იმიტომ, რომ შენ ვერაფრით ვერ მიხვდები, ვერ გაიგებ და ვერ ჩაწვდები ვერც იმ განცდებს, რასაც ან რომლებსაც ჩემში აღძრავს ჩემი დალი, ვერც იმ გრძნობებს, რომლებითაც ვპასუხობ ყოველ გამღიზიანებელს, ვერც სინამდვილის იმ აღქმას, რომელი აღქმითაც დალის შემდეგ აღვიქვამ რეალობას, სინამდვილეს, სამყაროს . . .

- შენც სცადე რომ მიმახვედრო, რომ გავიგო, რომ ჩავწვდე – თქვა ფატიმ. წააქეზა და წაათამამა მირიანი.

- ცხადია ვეცდები, მაგრამ, ფატი, არ გეწყინოს, ფატი, სწორედ გამიგე – ეს სიმაღლე განსაკუთრებული სიმაღლეა, ეს სიწმინდეც

არაჩვეულებრივი სიწმინდეა, ეს სიფაქიზეც აქამდე გაუგონარი და უჩვეულო სიფაქიზეა, ეს ყველაფერი რაღაც სხვაა, თორემ მე როგორ არ ვცდი და როგორ არ მოვიხდომებ.

უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელიდან ფილოსოფიის ფაკულტეტის მეორეკურსელები გამოვიდნენ. ორნი იყვნენ: დავით გაგაშიძე და ოთარ ლოლაძე. მირიანს შორიდანვე ხელის აწევით მიესალმენ, ბაღში ჩამოვიდნენ და რკინის დიდი ალაყაფის კარისკენ გაემართნენ.

- რასაც ახლა შენ ამბობ, დიდი მონატრების გამოსატყულებაა – ფატი დაწყებულნი საუბრის გაგრძელებას ცდილობდა.

- არა, შენ სცდები, ფატი, ის ვინც გიყვარს, მისი მონატრება დროის ფაქტორზე სულაც არა არის დამოკიდებული. სიყვარული თავის თავში შეიცავს მონატრებას, როგორც მის განუყრელ მომენტს. სულ ერთია როდის, რამდენი ხნის წინ, სად და რა ვითარებაში ნახავ. იგი სულ გენატრება. ამიტომ შენი დასკვნა არაა სწორი და ზუსტი.

- ბოლოს როდის ნახ ? – იკითხა და თაფლისფერი თვალები შემოანათა ფატიმ.

- გუშინ! არა! უფრო სწორად, ამ დღით, ერთად ჩამოვედით ქუთაისის მატარებლით. მის მშობლებს მაინც ვერ გავუმხილეთ თუ ერთად უნდა გვემგზავრა. მატარებლის აძვრის შემდეგ მივედი ჩემს ადგილზე. ერთად ვიმგზავრეთ. მთელი ღამე არ მიძინია. ჩემი ადგილი კუბეში ზედა საწოლზე

იყო, მისი ქვედაზე. თავგამოწეული ჩამოყვარებული დალის, მის ძილსა და სიმშვიდეს ვდარაჯობდი. გუშინდელ დღეს ვიგონებდი, გუშინდელი დღე კი მართლაც მოსაგონარი იყო, რადგანაც ამდენი ხნის ურთიერთობის შემდეგ გუშინ პირველად ავედით ერთად გაბაშვილის გორაზე გაშენებულ საპარაშუტო კოშკზე. ახლა აქ თუ გაწერდები, ფატი, ხომ კარგი, თუ არა და თუ დავიწყე გუშინდელი შეხვედრით, მერე ვერ გამაჩერებ.

ფატის გაელიმა.

- გისმენ, ალბათ საინტერესო რამ უნდა მიაგებო.

- დიახ, დიახ საინტერესო. თუ მომისმენ, თუ არ შემაწყვეტინებ ძალზე მაღლობელი დაგრჩები.

- არა, ამას ვერ დაგპირდები – ხელები გაშალა ფატიმ – თუ რაიმე კითხვა გამიჩნდა, არც მაშინ არ შეგაწყვეტინო თხრობა?

- მაშინ, ცხადია, კი, მაგრამ ისე არა, კითხვის გაჩენის გარეშე, არა. შევთანხმდით?

- შევთანხმდით.

- გუშინ, დაახლოებით შუადღის 12 საათზე გამოვედი სახლიდან. მე ქუთაისში ვაჟა-ფშაველად ქუჩაზე ვცხოვრობ. შენი ასლანი ნამყოფია ჩვენთან, მამაჩემთან. უნდა გითხრა, რომ ეს უღამაზესი უბანია მთელს ქუთაისში, მაგრამ იცი თუ ასე ღამაში იყო მე წარმოდგენა არ მქონდა. და იგი რატომ იყო გუშინდელი ქუთაისი ასე ღამაში? იმიტომ, რომ მე პირველ საათზე მწვანე ბაზრის წინ დალის უნდა შეხვედროდი. ახლა კი მჯერა, რომ სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ყოველთვის რაღაც ემატება ჩვენი სუბიექტური განწყობიდან და სინამდვილე სრულიად სხვაგვარ, თავისებურ სახეს იღებს. ხომ გადასარევია ქუთაისში საპარაშუტო კოშკის შემოგარენი, ზეციურ სილუეტში და სიმწვანეში გახვეული, მაგრამ გუშინ სულ სხვაგვარად ბრწყინავდა ვაჟა – ფშაველას ქუჩაც, მოლოტოვის ქუჩასთან შემაერთებული ხორხებიც, წითელი ხიდის ქვეშ გატოტვილი ქვებიც, ჯაჭვის ხიდის თავზე აღმართული წმინდა გიორგის ეკლესიაც, რომლის ეზოშიცაა მამია გურიელის საფლავი. ყველაფერი ბრწყინავდა, ყველაფერი ხასხასებდა. ყველაფერი ყვავდა. მე სულ ერთი კვირის წინ ჩამოვედი ევროპიდან. მოსკოვიდან მაღტაში ჩავფრინდით, მერე კი გემით შემოვიარეთ საფრანგეთის რივიერა, საფრანგეთის მთელი სამხრეთი მარსელიდან კანამდე. იტალია, ნეაპოლითა და რომით, საბერძნეთი ძველი და ახალი დედაქალაქით, თურქეთი სტამბოლით, და ბოლოს ოდესა და კიევი, ოდესაში გემით ჩავედით, ოდესიდან კიევამდე მატარებლით ვიმგზავრეთ, მერე კი თვითმფრინავით გადმოვფრინდით საქართველოში. მთელ ამხელა გზაზე, ამდენ სახელმწიფოში და ამდენ ქალაქში მე ისეთი ბრწყინვალე ქალაქი არ მინახავს, არ შემხვედრია, როგორც იყო გუშიდნელი ქუთაისი. თუ რომი, ნეაპოლი და სტამბოლი მომხიბვლელი ქალაქები იყვნენ, გუშინდელი ქუთაისი მომაჯადოებელი იყო. გაიგე, რას ვამბობ – მომაჯადოებელი. მომაჯადოებელი იმიტომ, რომ მწვანე ბაზრის მიდამოებში ჩემს დალის უნდა შეხვედროდი ახლა არაა იმის დრო, რომ ჩვენი პირველი შეხვედრის შესახებ ვიამბო, ეს გასულ წელს მოხდა ბათუმში, თქვენთან რომ ვიყავით მე და კუსა იმ დროს. ან შემდეგი შეხვედრების თაობაზე, ან ლენინგრადში სიყვარულის ასხნის შესახებ, ეს ყველაფერი მერე, შემდეგ და სხვა დროს იყოს. ახლა გუშინდელ ქუთაისზეა საუბარი. ჩავედი მწვანე ბაზართან და გამოჩნდა ბერიას ქუჩაზე ჩემსკენ მომავალი მზისფერთმიანი ქალიშვილი. გამოჩნდა ისეთი, როგორსაც ველოდი, როგორსაც ევროპის გზებზე ველოდიავებოდი და ვნატრობდი. ღია წაბლისფერი თმით, მაღალი, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოდიოდა ჩემსკენ, მოდიოდა ჩემთან. და იცი ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ შენ მართლა ხარ და მართლა არსებობ ამ ქვეყნად, რომ ის ქალიშვილი ახლად დარგული ხეების გასწვრივ რომ მოაბიჯებს სწორედ შენი სხვაა, სხვაა,

მაგრამ არაა საერთოდ სხვა, არამედ შენი სხვა, რომლის მეშვეობითაც არსებობ, ცოცხლობ, მოქმედებ და საერთოდ რომ ვთქვათ, ხარ ამ ქვეყანაზე იგი სხვაა, მაგრამ, არა ვიღაც სხვა და უცხო, არამედ სწორედ შენი სხვა. შენ ასეთი რამ არასოდეს განვიცდია ფატი, მაგრამ ალბათ, განიცდი, ალბათ კი არა, უსათუოდ, უეჭველად, უთუმცოდ და მაშინ იგრძნობ რას ნიშნავს ნამდვილი არსებობა, ნამდვილი სიხარული, ნამდვილი მოლოდინი. მომიახლოვდა. ზუსტად 35 დღე არ მყავდა ნანახი, იმ დღიდან, როცა მოსკოვში მიმავალი თვითმფრინავის ტრაპზე ავაბიჯე. მარტო ერთადერთი კითხვა დაუუსვი: “ჩემი ხარ”, გაეხარდა, თვალები აენთო, ხელი ხელზე დამადი და გადამკოცნა. “შენი ვარ” მითხრა და მერე დაამატა: “მე კი ვარ შენი, მაგრამ შენ ვისი ხარ?” “ამას არ სჭირდება კითხვის დასმა. ისე უნდა იცოდე, ისე უნდა გახსოვდეს, ისე უნდა ირწმუნო, რომ შენი ვარ”. მერე ვიმსჯელებთ იმ საკითხზე, თუ რა გვენახა, სად წავსულიყავით, ქუთაისში თუ ხარ ან ბაგრატიის ტაძარზე უნდა ახვიდე, ან სათაფლიის კასტრული მღვიმე უნდა მოიარო, ან გელათის მონასტერი უნდა მოინახულო. სხვაც შეიძლება, გეგუთიც, მოწამეთაც, მაგრამ მე ასეთი რამ შევთავაზე ჩემს გოგონას. “მოდით ისეთ ადგილზე წავიდეთ, საიდანაც ბაგრატიის ტაძარსაც ვნახავთ, უფრო სწორედ დავინახავთ, სათაფლიასაც და გელათის მონასტერსაც!” “რაა მერე ასეთი ადგილი, ან სადაა, მეც ხომ ქუთაისელი ვარ და რატომ არ ვიცი?” “არის ასეთი ადგილი, მაგრამ ამ ადგილს რომ მიუახლოვდე, მასთან რომ მიხვიდე, საჭიროა ჩემი ქუჩის, ვაჟა-ფშაველას ქუჩის ავლა, მერე გაბაშვილის პარკში შესვლა და საპარაშუტო კოშკის უთვალავსაფეხურიანი კიბეების ავლა”. შევთანხმდით და წავედით. ზღაპარში ვიარეთ კოშკის უთვალავსაფეხურიანი კიბეები ავიარეთ და კოშკის ზეთავზე ავედით. იქ მაქვს ჩემი პატარა ბიჭობა და ჩემი ადრეული სიტყაბუკე გატარებული. კოშკის შემოგარენში ვაჟა-ფშაველას ქუჩის ბიჭები ფეხბურთს ვთამაშობდით, თამაშით დაღლილები კოშკზე ავლიოდით და კოშკის გარშემო განფენილი სივრცით ვტკბებოდით, უნახესი და ულურჯესი სივრცით და ულამაზესი ახლო და შორეული სანახებით. კოშკის ზეთავზე არავინ არ იყო. მე დალის ავუსხენი, რომ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა საპარაშუტო კოშკზე ჩემთვის გაურკვეველი მიზეზებით შეწყდა პარაშუტით მსტომელთა მომზადება, საპარაშუტო კოშკზე ადამიანები იშვიათად ამოდიოდნენ. “დალი – ვუთხარი მზისფერთმიან ქალიშვილს, - მომანდე ამ საპარაშუტო კოშკზე ჩვენი ექსკურსიის მეგზურობა. დალი დამთანხმდა. ამ სიტუაციის აღწერისას მირიანმა ვერ გაუმხილა თუ არ აგაუმხილა ფატის, თუ როგორ მიიზიდა კოშკის თავზე ასვლის შემდეგ დალი, როგორ აკოცა მრავალგზის და მერეც მთელი იქ ყოფნის მანძილზე როგორ ეფერებოდა მზისფერთმიან ქალიშვილს. “რა საოცარი, რა წმინდა და რა უძირო სიღრმის ზეცა იყო გადმომხობილი საპარაშუტო კოშკზე – განაგრძო მირიანმა – იმ კოშკზე მრავალგზის ავსულვარ, მაგრამ ასეთი ზეცა და ასეთი ფერებით ავსებული სივრცე პირველად ვნახე, პირველად ვიხილე, პირველად შემომენთო. – დალი – გავაფრთხილე ქალიშვილი – ერთბაშად არ შემოატრიალო თავი ირგვლივ, ყოველმხრივ ერთბაშად არ მიმოიხედო. უნდა დავიწყოთ დასავლეთისკენ გახედვით. აი, ჩვენს წინ უზარმაზარი სივრცეა, კოლხეთის დაბლობია გადაშლილი ქუთაისის ამ ზეგანიდან შავ ზღვამდე. თავისი გრანდიოზულობით, მასშტაბურობით, გარსშემოსალტული სივრცის ფერებით და ჰაერის სიმსუბუქით ამ სანახაობას მხოლოდ ალაზნის ველი თუ შეედრება. სიღნაღის შემოგარენიდან დანახული ალაზნის ველი ქვეყნიერების მერვე საოცრებაა, წარმოუდგენლად დიადია, ზღაპრულია, მაგრამ ეს ხედი, ამ კოშკის ზეთავიდან დანახული კოლხეთის დაბლობი უფრო ვრცელია. გრძობ როგორი მსუბუქია ჰაერი. თითქოს წამიც და უნდა გაფრინდე. უნდა მოწყდე აქაურობას და ჰაერს უნდა შევერიო, შეუერთდე, უნდა აამოძრაო და უნდა გადაჰყვე. მოჯადოებული იყავი და მოჯადოებული ვიყავი იმიტომ, რომ ჩემს

გვერდით დალი იდგა. “გაფრინდეთ?” – ჩავეკითხე დალის “აი ხომ ხედავ დაბლობს რომ მიუყვება ზოლად, ეს რიონია, გაფრინდეთ და მერე ამოვირჩიოთ, სად დავეშვათ, სამტრედიიდან ჩოხატაურში მიმავალ გზაზე, ბერძნის წყაროსთან თუ სამეგრელოს მთიან ნაწილში. როცა გაფრენას გადაწყვეტ, მითხარი, უნემოდ არ გაბედო, უნემოდ ვერ გაფრინდები. ახლა ოდნავ სამხრეთით შემოაბრუნე მხერა. აქ, რიონის გაღმა ორი რაიონი ჩანს. ვანის რაიონი და ბაღდათის რაიონი. ორივე რაიონის თავი მთის კალთებზე აქვთ მიდებული. აი, იქ თეთრი შენობები ხომ მოსჩანს, ვანია, ძველი ბერძნები, რომლებსაც საერთოდ მოსწონდათ კოლხეთი, ამ ადგილებს, ახლანდელი ვანისა და ბაღდათის რაიონებს აქებდნენ ყველაზე მეტად. კრამიტით დახურული სახლები, როგრც ჩანს, მაშინაც ამშვენებდნენ აქაურობას. ახლა ჩრდილოეთით გადავინაცვლოთ-დალის ხელი ჩავჭიდე და კოშკის ზეთავზე ხით შემოჭვიდილ მოაჯირთან ჩრდილო მიმართულებით გადავინაცვლე – ხედავ, ჩვენს პირდაპირ ხომლია, ხანდიხან ხვამლსაც ეძახიან, ხვამლის მთა, ეს უკვე ის კავკასიონია, რომელიც რაჭა-ლეჩხუმს ადგას თავზე. ხედავ რგორი ქვიშიფერია ხომლი? არის გადმოცემა, რომ იგი ძველ ქართველ მეფეთა და ერისთავთა განძეულის საცავი იყო. ჩრდილო-დასავლეთის შესაყარ ხაზს თუ გააყოლებ თვალს, დაინახავ პრობკის ტყეებს და ამ ტყეებში მოქცეული სათაფლიის მღვიმე. თუ გაფრენა გარდუვალი გახდა, შეიძლება პირდაპირ მღვიმემდე ვიფრინოთ, მაგრამ დღეს, მე მგონია, ისიც გვეყოფა ერთმანეთი რომ ვნახეთ, გაფრენა სხვა დროისთვის გადავლოთ. “ლაჯერებელია, გასაოცარი სანახაობაა – ალაპარაკდა დალი – მადლობა უნდა გადაგიხადო აქ რომ ამომიყვანე, იმისათვის”. “ჯერ სადა ხარ? – ვეუბნები მზისფერთმიან ქალიშვილს – ახლა აღმოსავლეთისკენ შებრუნდი, ოღონდ სანახაობისგან შეპდრული, არ გადახტე, აქ ახლოს რომ მოსჩანს ბაგრატის ტაძარია. შენ ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობ და ამ ტაძრის მნიშვნელობის ახსნა არ გჭირდება. ალბათ უნდა შესძლოს ჩვენმა მთავრობამ და ამ ტაძრის აღდგენა, სრული რესტავრაცია უნდა მოახდინოს. იქ კი უფრო შორის, მთების სიღრმეში თეთრად რომ ელვარებს გელათის მონასტერია. დალის აღტაცების ბგერები აღმოხდა. “იცი, დალი – ქალიშვილს მივუბრუნდი – რა არის ყველაზე გასაოცარი? გელათის დანახვა, გელათისთვის თვალის შევლება, გელათის დათვალიერება იცი რომ გაგაოცებს და როცა მის წინაშე აღმოჩნდები მაინც გიპყრობს ეს გაოცება. ხომ გასაოცარია, არა? აი, ასეთია გელათი, აი, ასეთი ტაძარი დაგვიტოვა დიდმა პოეტმა და მეფემ დავით მეოთხე, აღმაშენებელმა. მოდი, დალი ერთხელ კიდევ შემოგუაროთ ამ კოშკის ზეთავს, შემოგუაროთ, ყოველმხრივ, მივმართოთ მხერა და დავასრულოთ ჩვენი ექსკურსია, ჩვენი ერთად ყოფნა და დღევანდელი დღე”. შემდეგ, გვიან მოვილაპარაკეთ, რომ თბილისში ერთად წამოვიდოდით. აი, დალიც გამოჩნდა”. უნივერსიტეტის ჭიშკრისკენ მიმართა მირიანმა ფატი მხერა.

- რატომ არაფერი არ მითხარი, კითხვა არ დაგებადა?

- მინდოდა ზოგ-ზოგი რამ მეკითხა, მაგრამ შენ ისე აღფრთოვანებით ყვებოდი, გატაცებით, გატაცებითაც და აღტაცებითაც, რომ სიტყვა ვერ შეგაწყვეტინე, ვერ თუ არ შეგაწყვეტინე – ფატი ხარბად მისჩერებოდა მათკენ მომავალ დალის.

- ფატი, ეს ჩემი დალია, დალი ამაშუკელი. ჩემი ბედისწერა, გაიცანი.

მირიანი ღიმილით მიეგება დალის. მერე ფატის წარუდგინა მზისფერთმიანი ქალიშვილი და როცა გოგონებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მირიანმა წარდგენა გააგრძელა.

- დალი, ეს ფატი დადიანია, ჩემი და ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანი, გთხოვთ, ერთმანეთი შეიყვაროთ.

ის შეხვედრა ფატი დადიანთან ამით დასრულდა, მაგრამ მირიანის მიერ ქალიშვილების გაცნობისას ნათქვამმა, რომ დალი ჩემი ბედისწერააო ის დღე სხვა დღეს გადააბა, გადააჯაჭვა, ორი სხვადასხვა დღე ერთ დღედ აქცია.

უნივერსიტეტის ბაღში შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ ფატი დადიანი

სტუდენტობაში ეწვია მირიან იბერს.

- მირიან, იმ დღეს, შენ რომ დალი გამაცანი, თქვი, რომ დალი ჩემი ბედისწერააო, მაშინ არ გამახსენდა, მერე მომაგონდა, გაზაფხულზე უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციას დავესწარი, დასკვნით სხდომას. იქ ჩემი მოხსენება მოისმინეს ქართული ენის შესახებ, მაგრამ მეც მოვისმინე სხვა ფაკულტეტების სტუდენტთა რამდენიმე მოხსენება, მათ შორის შენი თანაკურსელის ვახტანგ ერქომაიშვილის გამოსვლა თემაზე “არსებობს თუ არა ბედისწერა?”. ვახტანგი ქობულეთელია და შეიძლება ამიტომ უფრო დამამახსოვრდა მისი მოხსენების ძირითადი აზრი. ის ამტკიცებდა, რომ ბედისწერა რეალობაში, არც საზოგადოებასა და არც ბუნებაში არა რსებობსო. შენ კი იმ დღეს, მიმტკიცებდი, რომ დალი ჩემი ბედისწერააო, ე.ი. ბედისწერის რეალურ არსებობას აღიარებდი. მე რა ვქნა, როგორ გადავლახო ეს ლოგიკური წინააღმდეგობა? ან ის უნდა იყოს მართალი, ან შენ.

მთელი ეს ტირადა ფატი დადიანმა მირიანის ოთახის კარის ზღურბლზე წარმოთქვა.

- ფატი, შემოდი, დაჯექი და უფრო გარკვევით მითხარი რას და რაზე მედავებით?

- არა, ახლა არ შემოვედი, დეკანატში ვარ დაბარებული და ვერ დავაგვიანებ.

- რაო, რა უნდათ დეკანატში?

- წელს, რაღაც ადრე იწყებენ საშვიდნოემბროდ მზადებას, ალბათ, რომელიმე ღონისძიებაში ჩამრთავენ.

- დაჯექი, მიასწრებ, ნუ გეშინია, შენ ის მითხარი, ახალგაზრდა პოეტები ისევ გეკურკურებიან, ბოდიში, უნდა მეთქვა გეარშიყებიან?

- მირიან მე შენთვის ასეთი ფამილარობის უფლება არ მომიცია – წარბები

შეჰყარა ფატი დადიანმა.

- ნუ მიწერები. მე ფამილარობის ნება ჩემი თავისთვისაც არ მიმიცია არასოდეს, მაგრამ ახალგაზრდა პოეტის სიყვარულის, მისი გამიჯნურების ამბავი სრულიად მართალი უნდა იყოს. არ გაგიგონია შენდამი მოძღვნილი ასეთი სტრიქონები:

“მე, უშენოდ, სულერთია
სად წამიყვანს ბედისწერა,
ყველა რწმენა შენ წამართვი,
მაგრამ, რა ვქნა, შენი მჯერა.”

- კარგი რა – შეაწყვეტინა ფატიმ – ისე ამ ლექსმა ახლა, ამ წუთში, კარგი როლი შეასრულა. ლექსში სიტყვა “ბედისწერა” ახსენე, მეც ბედისწერის გამო ვარ შენთან მოსული. 15 სექტემბერს, ჩემს ოთახში, მე-4 კორპუსის 20 ოთახში 2 საათზე გელოდებით. დალი უსათუოდ წამოიყვანე, იქ, ჩემთან კი მე ვიქნები და კიდევ 2 ჩემი მეგობარი, მეგი გურიელი, გურული ქალიშვილი, მახარაძიდან და ქუთაისელი ქეთევან გველესიანი. მოხვალ? ხომ მოხვალ? იქ ვილაპარაკოთ ბედისწერის შესახებ. ჩემს მეგობარ გოგონებს ძალზე აინტერესებთ შენი აზრი.

- მოვალ, არა, მოვალთ. შენს მეგობარ გოგონებს, მახარაძელსაც და ქუთაისელსაც კარგად ვიცნობ.

- მაშ ასე, 15-ში, 2 საათზე – წასასვლელად მოემზადა ფატი

- კარგი, ზუსტად ორზე მოვალთ – დაადევნა მირიანმა.

დათქმულ დროზე სტუდენტობის მე-4 კორპუსში მოსულ იბერსა და დალი ამაშუკელს ფატი და მისი მეგობრები მეგი გურიელი და ქეთევან გველესიანი ღიმილით, მოსკოვური არყით, ტორტით და ყავით შეეგებნენ.

მეგიმ და ქეთევანმა მირიანს დაბადების დღე მიულოცეს, სახელდახელოდ გაწვობილ სუფრასთან მიიწვიეს, სულ მცირე სასმისები მოსკოვური არყით შეავსეს, შემდგომი წარმატებები უსურვეს, სურნელოვანი, ფაქიზად დაჭრილი ტორტი მიართვეს, ყავის წიქების შევსების შემდეგ თავისი სახიერებით მთელს უნივერსიტეტში გამორჩეულმა მახარაძელმა ქალიშვილმა მეგი გურიელმა, რომელიც სწორედ თავისი სახიერების გამო თავის მეგობრებთან ფატიას და ქეთევანთან ერთად იმჟამინდელი თბილისელი ახალგაზრდობის, განსაკუთრების ახალგაზრდა ქართველი პოეტების საყოველთაო სიყვარულის, გატაცებისა და აღტაცების საგანს წარმოადგენდა, წამოიწყო საუბარი იმის შესახებ, რისთვისაც მირიან იბერს დღეს საკუთარი გეგმები შეაცვლევინეს და თხოვეს დღის 2 საათზე სტუდქალაქში მობრძანება.

- ფატიმ ჩემი თხოვნით შეგაწუხათ, მირიან . . .

- ეს “თ” 20 წლის შესრულების შემდეგ მოემატა ჩემდამი მომართვას?

შეაწყვეტინა მეგის დაწყებული სიტყვა მირიანმა – შევთანხმდეთ, ვილაპარაკოთ და ერთმანეთს მივმართოთ ისე, როგორც ამდენხანს ვილაპარაკობდით და მივმართავდით ერთმანეთს. ეს რა არის – არყის მოთლი ხელში მოიმარჯვა იბერმა – მარტო მე მასმევთ? თქვენი სასმისები ტუნჩიუკარებელია, ნება მომეცით, ჩემი ჭიქა შევავსო.

მეგი გურიელს მირიანის შენიშვნის გამო სიწითლემ გადაუარა.

- მაპატიეთ, ყოველგვარი წინასწარგანზრახვისა და მოფიქრების გარეშე გამოვიდა ასე. ჩვენ, ვერც მე და ვერც ფატი და ქეთევანი. ცხადია, ვერც შენ და ვერც დალის ვერ დაგეარგავთ, ჩვენი ურთიერთობა სულ და მანამ იქნება სანამ ჩვენ ვიქნებით, იქნებ ოდესმე მაინც მოგვიწიოს შენთვის თქვენობით მომართვა და შენი თქვენობით მოხსენიება. მაგრამ ეს სულ სხვა ვითარება იქნება. ახლა კი ჩემი ბოდიში უნდა გავიმეორო. ეტყობა ჩემი თხოვნა ფატიასადმი მართლაც შთამბეჭდავი იყო. რადგან ფატიმ შენი შექუხება გადაწყვიტა, თორემ ფატი შენს დროს ყოველთვის უფრთხილდება და უფოფინებს.

- მზად ვარ ყველაფრისათვის – იბერმა ფართედ გაშალა მკლავები – შენი თხოვნა ჩემთვისაც კანონია, ფატიმ ეს იცის, გისმენ მეგი.

- შეიძლება ოდესმე გიამბო რატომ და რისთვის, ახლა კი პირდაპირ გეტყვი: არსებობს რაღაც, რაც ან რომელიც მაიძულებს: კარგად და მოზომილად მქონდეს მოფიქრებული პასუხი კითხვაზე: არსებობს თუ არა ბედისწერა? ამ კითხვის სხვაგვარად გამოთქმაც შეიძლება: მწამს თუ არა ბედისწერა? აი, რისთვის მოგიწვიეთ აქ ძვირფასო ფილოსოფოსო. ჩვენ შენთვის დაბადების დღის მოლოცვაც გვინდოდა და ეს აქ, ჩვენთან უფრო მიზანშეწონილად მივიჩნეით, ვიდრე სხვაგან სადმე. ამასთანავე ისიც ვიცით, რომ აღნიშნულ კითხვებზე მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფოსს შეუძლია ყველაზე ზუსტი პასუხი. მე კი ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი მოქმედების სალმძღვანელოდ მჭირდება.

ფატი და ქეთევანი არც უესტით, არც მიმიკით, არც სიტყვით არ გამოსმაურებიან მისიანისადმი მეგის თხოვნას. ისინი სავსებით სერიოზული სახეებით და მთელი გულისყურად გადაქცეული ისხდნენ და ისმენდნენ მეგისა და მირიანის საუბარს.

- მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ ყველანი მე ლექციას მთხოვთ თემაზე: არსებობს თუ არა ბედისწერა? ან რაც იგივეა თემაზე: მწამს თუ არა ბედისწერა. მე ვფიქრობ, რომ არცერთ ფილოსოფოსს ყოველ შემთხვევაში – საქართველოში, ასე ადრეულ დროში ასე მაღე, ასე მოკლე დროში არ დაუწერია სალექციო პრაქტიკა. რა გაეწეობა, მზად ვარ – ფილოლოგებისა და ისტორიკოსების გაერთიანებულ ნაკრებ ჯგუფთან დავიწყო სალექციო პრაქტიკა. ნება მომეცით – გავაბოლოო - ქალიშვილებისაგან თანხმობის მიღებისა და გაბოლების შემდეგ მირიანმა ერთი ნებართვა კდიევ ითხოვა

მსმენელებისაგან – თუ ჩემი ლექცია ისე გაგრძელდება, რომ გადააჭარბებს თქვენი მეცადინეობების დაწყებამდე თქვენ ხელთ არსებულ თავისუფალ დროს, ლექცია არ შემაწყვეტინოთ, უმჯობესია უნივერსიტეტის რიგითი ლექციები გაცდეს. ამ მეორე ნებართვაზეც თანახმანი ხართ?

ყველამ თანხმობა განაცხადა და იბერმა დაიწყო:

- მე უნდა ვილაპარაკო საკითხზე: არსებობს თუ არა ბედისწერა? ეს პრობლემა ჩვენი სიმპოზიუმის ძირეულ პრობლემად ყოველგვარი წინასწარი შენიშვნის გარეშეა დასმული – მირიანმა სიტყვა “სიმპოზიუმი” ხაზგასმული ირონიით წარმოთქვა – პრობლემის დასმა, შესაძლოა, ფსიქოლოგიურად ჩემთვისაც და ყველა ჩვენგანისთვისაც გასაგები იყოს. ამ ასპექტთან, ამ საკუროსოდან იგი სავესებით ცხადია, მაგრამ ლოგიკურად არ არის ნათელი, რადგანაც სიმპოზიუმის სათაურად გატანილ პრობლემას ძირითადი ცნებების ლოგიკური სიცხადე არ ანპირობებს ან, რაც იგივეა, ძირითადი ცნებების საზრისზე არ არის დაფუძნებული. აქ დაახლოებით ისეთივე ვითარებაა, როცა იმ უცხო ენაზე გისვამენ კითხვას, რომელიც არ იცი. ფსიქოლოგიურად ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ნათელია, ხედავ რომ შენს წინ ვიღაც დგას, ისმენ, რომ იგი რაღაცას გეკითხება, გეუბნება თუ მოგიტყობს, შენ კი არც დასტური შეგიძლია მიაგო, არც უარყოფა, რადგანაც მოსმენილის საზრისმა შენამდე ვერ მოაღწია, შენს ცნობიერებამდე ვერ მოვიდა თუ ვერ დავიდა. ფსიქოლოგიურად გესმის, ლოგიკურად – არა. ჩვენ ვსვამთ კითხვას: რა არის ბედისწერა. წელან აქ, ჩვენი სხდომის დაწყებამდე, ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა მეგი გურიელმა სწორედ ასე ჩამოაყალიბა ძირითადი განსახილველი პრობლემა, მეორე ფორმულირებით: მწამს თუ არა ბედისწერა? ამ კითხვებში, ე.ი. კითხვებში: არსებობს თუ არა ბედისწერა? და მწამს თუ არა ბედისწერა, ჩვენ დაჭერილი, გაცნობიერებული და ზუსტად გააზრებული არა გვაქვს კითხვის ძირეული საზრისი, რადგანაც ამ კითხვებში ბედისწერის ცნება არაა წინასწარ გაშიფრული, ჩემთვის ლოგიკურად ცხადი არაა, რა უნდა დავადასტურო, რა არსებობს, რა უნდა უარყოფო, რა არ არსებობს, რა მწამს ან შეიძლება მწამდეს და რა არ მწამს, რისი რწმენაა შეუძლებელი. სწორედ ეს “რა“-ა აქ გადაწყვეტი. ჩემი პასუხებისათვის იგი ამოსავალია. იგია ჩემი შემდგომი განსჯის საფუძველი. მე უნდა ვიცოდე, რა აზრით მოიხმართ ბედისწერის ცნებას, რა შინაარსი გაქვთ ჩადებული ამ ტერმინში, რა ვითარების, რა სიტუაციის, ბოლოს და ბოლოს სინამდვილის არსებობის რა პრინციპის აღმნიშვნელია ჩვენთვის ბედისწერა. მხოლოდ ასეთ დროს, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩემი პასუხი თქვენს მიერ დასმული, დაყენებული კითხვების შესაბამისი და ადექვატური. ქალიშვილებო – ოთხივე გოგონას ყურადღების კონცენტრირება მოახდინა იბერმა – ნუ მიიღებთ ამ ჩემს შენიშვნებს უადგილოდ, ზედმეტად, არასაჭიროდ, ახირებად. თქვენ, შეგიძლიათ მე ასე შემეპასუხოთ და განაცხადოთ: ადამიანები ყველა ბჭობისას განა ცნების დონეზე აყვანილ მოაზრებულ თუ გააზრებულ ტერმინებით მსჯელობენ? ცხადია, არა, მე, მაგალითად, აღვწერ ასეთ სიტუაციას: “ლურჯა ცხენები მწვანე მინდორზე ბალახობენ”. ამ წინადადებაში მსმენელი ყველაფერს ზუსტად გაიგებს, რადგანაც ასეთი მარტივი ინფორმაციისათვის საკმარისია ეს ტერმინები: ცხენი, ლურჯა ცხენი, მინდორი, მწვანე მინდორი, ბალახი და ბალახობა მხოლოდ შგრძნებების აღქმებსა და წარმოდგენების დონეზე გვექონდეს გაგებული და ნაგულისხმევი ღმერთმა დაგვიფაროს ყოველი გამოყენებული სიტყვა და ტერმინი ყველასაგან ცნების დონეზე მოვითხოვოთ ან ყველამ ყველაფერი ცნების დონეზე ვიცოდეთ. ეს სრულიად ზედმეტია, მაგრამ ჩვენს სიმპოზიუმზე დასმული პრობლემა – არსებობს თუ არა ბედისწერა? მნიშვნელოვნია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი სინამდვილისათვის, იგი ეხება სამყაროსთვის პრინციპულ სიტუაციას. რა დევს მთელი სამყაროს საფუძველში, რა პრინციპს ემყარება სნიმადვილე. როცა ბედისწერის პრობლემას ვარჩევთ, როცა

ბედისწერაზე ვმსჯელობთ. როცა მისი არსებობის დადასტურებას ან უარყოფას ვცდილობთ, როცა მის აღიარებას ან არ აღიარებას გეთხოვენ, იგი აუცილებლად ცნების დონეზე უნდა გექონდეს მოაზრებული. ბედისწერის პრობლემა სწორედ სამყაროს ამგვრი ან სხვაგვარი არსებობის პრინციპს ეხება, სამყაროს მოწყობის პრინციპს – მირიანმა მსჯელობა წამით შეწყვიტა, წამოდგა, ოთახის კარებს მიადგა – ქალიშვილებო, თქვენგან კიდევ ერთ ნებართვას მოვითხოვ. გთხოვთ ნება მომცეთ კარი ჩავკეტო, არ მინდა აქ ვიღაც, თუნდაც შემთხვევით შემოვიდეს და ჩვენს საუბარს მოუსმინოს, კი არ ჩაებას, მხოლოდ მოუსმინოს. თქვენს დუმილს თქვენს მხარდაჭერად აღვიქვამ და კარს ჩავრახავ – იბერმა კარის გასაღები სასურველი მიმართულებით გადაატრიალა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა – ბედისწერის პრობლემაზე ასე თუ ისე საბოლოო პასუხის გასაცემად აუცილებელია მთელი სამყარო, მთელი სინამდვილე, მთელი რეალობა ამომწურავად, ბოლომდე, მთელი სიგრძე-სიგანით გექონდეს შემეცნებელი, შესწავლილი და გაანალიზებული. მატერიალიზმის არცერთი სახეობა ამას ანგარიშს არ უწევს და ხელაღებით უარყოფს ბედისწერის არსებობას. კარიც ამიტომ ჩავრახე. არ მინდა ეს აზრი, ვინმე სხვასაც ჩაწოდეს, თორემ ჩემს წინააღმდეგ ეგზეკუციას მოაწყობენ. მარქსიზმიც მატერიალიზმია და ამიტომ ისიც უარყოფს ბედისწერას. კანტი სწორედ შენიშნავდა, რომ მატერიალიზმის მომარჯვებით არცერთი ფილოსოფიური აზრი არ შეიძლება დასაბუთებულად წარმოვადგინოთ. ამ აზრის ხმამაღლა თქმა ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დაუშვებელია. მაგრამ მე არ მინდა ჩემი სალექციო პრაქტიკის პირველი ლექციაც ამ ქარგით წარიმართოს. მატერიალიზმი თავის გამოსავალ პრინციპს დაუსაბუთებლად წამოაყენებს და მაიტომაც ბევრი პრობლემის დამუშავებისას უშვებს პრინციპულ შეცდომას. მე ამ გამოთქმისა არ მეშინია თქვენთან, თქვენს წრეში, ჩემს დალისთან, ჩემს მეგისტთან, ჩემს ქეთევანთან, ჩემს ფატისთან. ხომ არ მეშლება რაიმე? – იკითხა და არყის სასმისს წეტანა მირიანი – მინდა მადლობა გითხრათ იმისათვის, რომ ლექციაზე ამგვარი შენიშვნების თქმის საშუალებას მაძლევთ. გაგიმარჯოთ – თქვა და არაყი მოსვა, უკვე გაცივებული ყავა დააყოლა არაყს. – მაშ, ასე, დავისხომოთ, რომ ბედისწერის პრობლემაზე რაიმე გარკვეული მოსაზრების გამოთქმა მოითხოვს მთელი სამყაროს სისრულით ცოდნას. ამომწურავად უნდა ვიცოდეთ აუცილებლობის არსი, შემთხვევითობის რაობა, ფატალიზმის ბუნება, მკაცრი დეტერმინიზმისა და ცალმხრივი დეტერმინიზმის შინაარსი. ქალიშვილებო, როცა ამ ლექციის ტექსტს სტამბურად გამოვცემ, ყველა ამ ტერმინის განმარტებას დაეურთავ. ყველაზე მარტივად ბედისწერის პრინციპი შემდგომში მდგომარეობს: სამყაროში, სინამდვილეში, ჩვენს თვალხილულ, გრძნობად და აგრეთვე შემეცნებით მიუწვდომელ რეალობაში, ჩვენს და სხვა გალაქტიკებში, ჩვენს და სხვა მზის სისტემებში ყველა ხდომილება წინასწარ არის ამგვარად განსაზღვრული. ეს ხდომილება ამ დროს, სწორედ ამ დროს, სწორედ ასე და ზუსტად ასე უნდა მოხდეს. წინასწარ დაგეგმილის, განსაზღვრულის, წინასწარდაწერილის აღსრულება ფატალურად გარდუვალია, მისი შეცვლა, გადასხვაფერება, შეცვლილი სახით რეალიზება დაუშვებელია. ხალხურ მეტყველებაში ეს ვითარება ასე გამოიხატება, რაც და როგორც გიწერია ისე და ისე აგისრულდებაო. სამყარო ამგვარ პრინციპზეა აგებული და მოწყობილი. არავის ნებას, არავის სურვილს, არავის არცერთგვარ მოქმედებას, არავის არცერთნაირ ჩარევას წინასწარგანსაზღვრულის შეცვლა არ ძალუძს. ყველა საგანი და ყველა მოვლენა ბედისწერასაა დაქვემდებარებული, ბედისწერითაა განსაზღვრული, მის და მის კარნახს ემორჩილება.

ქალიშვილებო, ჩემი ლექცია ჭარბმეტყველებაში ხომ არ გადაიზარდა? მოსაწყენი ხომ არ გავხდი? იმედი ხომ არ გაგიცრუეთ? გეკითხებით ერთად და ცალ-ცალკეც. ოღონდ პასუხს არ გთხოვთ, რადგანაც წინასწარ ვიცი რასაც იტყვით. ხომ ასეა, ხომ სწორად ვამბობ – მირიანი ერთი წამით

შეჩერდა, მერე გააგრძელა – შევამოწმოთ. დალი იტყვის: როგორ გეკადრებათ? მეგი იტყვის: ყველაფერს ნათლად გადმოსცემთ! ქეთევანი იტყვის, არა ქეთევანი არაფერს არ იტყვის, თვალებს დახრის და ღუმილით დააჩერდება იატაკს. ასევე ფატიც. სწორია? – დალის მიუბრუნდა მირიანი. – სწორია, ვერაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ სწორია – უპასუხა დალიმ. სწორია? – ახლა მეგის მიუბრუნდა იბერი – მე მგონია, რომ სწორია – პასუხი ღიმილში გაახვია მეგიმ, ხოლო ქეთევანმა მირიანის შეკითხვაზე – სწორია? თავი დახარა და იატაკს ღუმილით დააცქერდა. ამით დაუდასტურა რომ იბერი სწორი იყო. – კარგი, მაშინ გავაგრძელებ – და მირიანი სათხრობს მიუბრუნდა: - როგორც ვთქვი, ყველაფერი ბედისწერას ემორჩილება, ყველა საგანი და მოვლენა მთელ სამყაროში ბედისწერის მიერ დადგენილი, დაკანონებული და განსაზღვრული აუცილებლობა ბატონობს. ასეთია ბედისწერის არსი, მისი საზრისი, მისი თვისობრიობა. ასე უნდა გვესმოდეს, ასე უნდა გვქონდეს გააზრებული ბედისწერის ცნება, როცა მის არსებობაზე ან არარსებობაზე ვლაპარაკობთ, ვმსჯელობთ, როცა ამ საკითხს განვსჯით, როცა კითხვას ვსვამთ, გვწამს თუ არა ბედისწერა? საქმე ეხება ისეთი გარკვეულობის, ისეთი რაიმეს არსებობის რწმენას, რომელიც წინასწარ, ხდომილების წარმოშობამდე, გაჩენამდე, აღმოცენებამდე, განსაზღვრავს ამ ხდომილების მოძრაობის ნიუანსებს, განვითარების გეზს. ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლის თავისებურებებს, ყველაფერს, რაც ეს მოვლენა თუ საგანი მომავალში იქნება, იმ როლს, რასაც იგი მომავალში შეასრულებს. აი, ესაა ბედისწერა. სწორია თუ არა ეს თვალსაზრისი? ქვეყნიერების ქარიშხლები მართლაც მხოლოდ ბედისწერის მიერ დატრიალებული ქარიშხლებია? საგნებზე და მოვლენებზე გადავლილი, კვალისდამჩნევი გრიგალები მართლაც ბედისწერის მიერ ქაოსებიდან ამოტყორცნილი გრიგალებია? მართლაც ბედისწერის აღსასრულებლად იწყება ისტორიაში ომები და იღება ზავები? მართლაც ბედისწერა ცვლას ეპოქებს? ბედისწერა და მხოლოდ ბედისწერა გვამაძლებს და დაცემაც ბედისწერის კარნახით ხდება? შესაძლოა ეს ყველაფერი სწორედ ამგვარად ხორციელდებოდეს, შესაძლებელია მართლაც არსებობდეს ბედისწერა, შესაძლებელია მართლაც ის იყოს ქვეყნიერების მმართველი. პირველ ბერძენ ფილოსოფოსთა შემდეგ კითხვა არსებობს თუ არა ბედისწერა, რა არის, რას ნიშნავს, რა საზრისი აქვს ბედისწერას, სულ მუდამ აწუხებდა და აწუხებს ადამიანის გონს და მან, ჩვენმა ცნობიერებამ ამ კითხვაზე თუ ამ კითხვებზე საბოლოო, ერთმნიშვნელოვანი, ამომწურავი არა თუ დასაბუთებული, არამედ, უბრალოდ მწყობრად დალაგებული პასუხის გაცემა ჯერაც ვერ მოახერხა. ვერც მოახერხებს, რადგანაც წელანაც ვთქვი, რომ ამ კითხვაზე თეორიულად დასაბუთებული, ლოგიკურად გამართული პასუხის გასაგებად მთელი სინამდვილე, არა მხოლოდ ჩვენი თვალხილული რეალობაა, არამედ მთელი გარემომცველი სინამდვილე ბოლომდე, ამომწურავად და აბსოლუტურად უნდა იქნას შემეცნებელი, ეს კი ჯერ-ჯერობით მაინც, გადაუწყვეტი ამოცანაა. სამყაროს სრული და აბსოლუტური შემეცნების პრეტენზიით ან რაც იგივეა, აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზიით მარქსისტული ფილოსოფიაც არ გამოდის. მატერიალისტური დიალექტიკისათვის პრინციპულად შეუცნობადი არაფერია და ამ პრინციპის აღიარებით ამარცხებს მარქსიზმი კანტიანიზმს, მაგრამ რეალურად, ამ ჯერად, ჯერჯერობით, მეცნიერებისა და პრაქტიკის ამ დონეზე შეუცნობელი ბევრი რამ არსებობს. ამას ლაპარაკობს ამხანაგი სტალინიც თავისი ნაშრომის “დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ” იმ მონაკვეთში, სადაც იგი მატერიალიზმის ნიშნებს იხილავს, თქვენ ეს ნაშრომი, ყველამ კარგად იცით, არა, შეიძლება ვაჭარბებ. ამ ნაშრომს სამივენი კარგად იცნობთ, ეს შრომა სამივეს გადრმავებულად და საკმაოდ ძლიერი და გაშლილი კომენტარებით გასწავლეს, რადგანაც პრინციპულად შეუცნობადი – არაა, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ შეუმეცნებელი

საგნები და მოვლენები არსებობენ, ამდენად არავინ იცის, რა პრინციპი დევს სამყაროს მოწყობის საფუძველში, მართლაც ბედისწერის პრინციპია ეს პირველადი პრინციპი თუ არა, მართლაც მიზნობრივ პრინციპზეა აგებული მთელი სინამდვილე თუ არა, მართლაც შეუცნობადი თუ ჯერაც შეუცნობელი, გაუშიფრავი, სრულიად იდუმალი, მიუწვდომელი, უძლიერესი და ყოველმხრივ უსაზღვრო ძალის მიერ კონსტრუირდება თუ არა მთელი სინამდვილე? ახლა ვიკითხოთ არსებობს თუ არა ბედისწერა ან მწმს თუ არა ბედისწერა ანუ, რაც იგივეა, მჯერა თუ არა, რომ სამყარო ასეთი პრინციპითაა შეკრული? ახლა, ამ ეტაპზე, ჩვენი ცოდნის ამ დონეზე თეორიულად მე არ შემიძლია იმის მტკიცება არსებობს თუ არ არსებობს ბედისწერა. თეორიულად ეს ასეა და მე მგონია, ამ მოსაზრების ჭკმაძინება ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. ერთი რამ ცხადი და დღესავით ნათელია: სინამდვილეში ბევრი რამ ხდება შემთვევით და ის, რაც შემთხვევით ხდება, ჩვენ, ხშირად ბედისწერის გამოვლინებად, მის დასტურად მიგვაჩნია, ბედისწერას ვუწოდებთ, ბედისწერად ვნათლავთ. ბედისწერას მივაწერთ. მართალია, ჩემი აუდიტორია, ძალიან წესიერი და ძლიერ ორგანიზებული აუდიტორიაა – მირიანის მარჯვენა ხელის მოძრაობა მთელ აუდიტორიას გადაწვდა – მაგრამ ახლა მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას მოვითხოვ. მე ერთი არგუმენტის შესახებ უკვე გითხარით. იმის გამო, რომ სინამდვილე არა გვაქვს ბოლომდე და სრულად შემეცნებული, იმის არც მტკიცება შეგვიძლია, რომ ბედისწერა არსებობს მისი არც უარყოფა შესაძლებელი. მაგრამ მე მაქვს მეორე არგუმენტიც, უფრო ბედისწერის არსებობის უარყოფელი. ეს არგუმენტი ასე შეიძლება გაიშალოს: თუ ვიტყვით, რომ ბედისწერა მწამს, მაშინ ისიც უნდა ვადიაროთ, რომ გონებით, ცნობიერებით დაჯილდოვებული ადამიანი ბედისწერის მონაა. მისი ტყვეა, ბედისწერის მიერ არის ბორკილდადებული, ხუნდგაყრილი, რომ ადამიანის ბრძოლა თითქოს ბრძოლაა, რომ მისი თავგანწირვაც თითქოს თავგანწირვაა, რომ მისი განსჯა ამაო განსჯაა. ეს ასეა, რადგანაც ყველა გზა, რომელიც მის წინ დევს ან რომელიც მასთან იწყება, ყოველი ნაბიჯი, რომელიც მან უნდა გადადგას, ყოველი აღთქმა, ყოველი დაპირება და ყოველი უარყოფა ბედისწერის მიერ არის წინასწარგანსაზღვრული. მას მხოლოდ ჰგონია, რომ რაიმეს ირჩევს, რაიმეს უარყოფს, უკუაგდებს, განიშორებს, განერიდება, ხოლო რაიმეს, მის საპირისპიროს მიიღებს და შეიწყნარებს, არა, ყველაფერი ეს მას მხოლოდ ჰგონია. სინამდვილეში კი ადამიანს არაფრის არჩევა, არაფრის უარყოფა და არაფრის მიღება არ შეუძლია. თუ მას ბედისწერამ არ განუსაზღვრა ასარჩევიც, ე.ი. უარსაყოფიცა და მისაღებიც. ბედისწერის კონცეფციას მიჩნია, რომ რაც უნდა მოხდეს, ის აუცილებლად მოხდება, სწორედ ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს, ადამიანის აქტიუობას, მის თავგანწირვასა თუ თავშეწირვას არავითარი აზრი არა აქვს. იგი სცენაზეა, ხოლო გასათამაშებელი სცენარიც და ყოველი რეპლიკა თუ რემარკა სხვის მიერ არის მოფიქრებული, სხვისი დაწერილია და მან მხოლოდ ის უნდა გაითამაშოს, რაც თავდაპირველ სცენარში ან სარეჟისორო სცენარში წერია და მისითაა გათვალისწინებული. ადამიანი ბედისწერის მონაა, თუმცა შეიძლება საზოგადოების თვალში იგი თავისუფალიც იყოს. ასე არსებობს ადამიანთა შორის მეფე, რომელიც მონაა, ტყვეა, ბორკილდადებულია, მხედართმთავარიც, რომელიც ვიღაცის ნებას ემორჩილება, პოეტიც, რომელსაც ამაოდ ჰგონია, რომ თავისუფალია. მას, ადამიანს, წინასწარდაგეგმილი გზიდან არავითარი გადახვევა არ შეუძლია, ისე უნდა იცხოვროს, როგორც კარნახობენ “ის უნდა შეიყვაროს, ვისაც საყვარელ არსებად წარმოუდგენენ, მასზე უნდა ილოცოს, ვისაც ღმერთად წარმოუსახავენ. იგი ისე დაიბადება და ისე დატოვებს სამყაროს, რომ არავინ არცერთხელ არაფერს ჰკითხავს. მისი აზრი ყოველთვის ანგარიშგაუწვეველი რჩება. ადამიანზე ამგვარ შეხედულებას, რაც ბედისწერის კონცეფციის

მიღებისას, გარდუვალია მეორე მხარეც აქვს: ადამიანი თავის არცერთ მოქმედებაზე არ აგებს არც ზნეობრივ, არც იურიდიულ პასუხს. არ აგებს, რადგანაც იგი თავისი ნებით არაფერს არ “სჩადის”, იგი თავისი ნებით არაფერს არ აკეთებს, მას ყოველთვის, ყოველ სიტუაციაში. ყოველი ქმედებისას ვიღაც თუ რაღაც კარნახობს, ალესილ დაშნას, მოლაპლაპე მახვილს ან დატენილ დამბახას ყოველთვის ვიღაც აჩეჩებს ან ართმევს ხელიდან, სამიზნეზე ყოველთვის ვიღაც უსვამს სასიკვდილოდ განწირულს ან თვითონ იგი აჰყავს ვიღაცას გოლგოთაზე. მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანს ვიღაც აგმირებს და აღაჩრებს, ამადლებს და ამდაბლებს, აამაყებს და შეურაცხყოფს, ათამაშებს და აბრძლოებს, სულს უდგამს და სულს აცლის. ამიტომ იგი, ადამიანი არაფერზე არაა პასუხისმგებელი, არც იმაზე, რომ სამშობლოს უღალატა, არც იმაზე, რომ იმრუშა, არც იმაზე, რომ ტაძარი ააგო ან დაანგრია, არც იმაზე, რომ მტრის სალოცავში ილოცა. მე ჩემი მსოფლმხედველობით, ადამიანის არსებობის საზრისზე ჩემი შეხედულებით ამ კონცეფციის მიღება არ შემიძლია. მე პირადად ვფიქრობ, ადამიანი, როგორც გონიერი არსება, რომელიც ცნობიერად მოღვაწეობს ანუ იცის რას, რატომ და როგორ აკეთებს, ჯერ იაზრებს და მერე მოქმედებს, რომელსაც თავისი მოქმედების შედეგი მუდამ გაცნობიერებული აქვს, ან ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს, პასუხისმგებელია ყველა თავის მოქმედებაზე. ადამიანს აქვს ნებელობა, რომელიც მის გონებას ექვემდებარება და განაპირობებს ადამიანის პასუხისმგებლობას ყველა მის მოქმედებაზე. ადამიანი შემოქმედია, რომელიც ქმნის შემეცნების, ეთიკისა და სილამაზის კანონების გათვალისწინებით ანუ ისეთი შემოქმედია, რომელიც ობიექტურსაც უწევს ანგარიშს, მაგრამ ამ ობიექტურიდან ჰქმნის იმგვარ ახალს, რომელშიც მთელი მისი ცნობიერებაა ჩართული. ეს მე მიმაჩნია ადამიანური ყოფიერების იარსებითეს ნიშნად, ადამიანის ცხოვრების წესის მარადიულ თავისებურებად. ბედისწერის არსებობის აღიარება ყოველივე ამას ძირს უთხრის, ამიტომ მე ვერ ვაღიარებ ბედისწერის თეორიას. ადამიანთა ცხოვრებაში ბევრ მოვლენას ჩვენ, ხშირად ბედისწერის მოქმედებით ვხსნით, მაგრამ ეს მარტივად რომ ვთქვათ შეცდომაა. ზოგჯერ შემთხვევითობასა და ბედისწერას ვურევთ ერთმანეთში. – მირიანმა საათს დახედა – ახლა ფრთებიც რომ გამოისხათ, უნივერსიტეტში თქვენი ლექციების დაწყებამდე მაინც ვერ მიფრინდებით. მოდი, ასე გადავწყვიტოთ, მე კიდევ დამრჩა მნიშვნელოვანი სათქმელი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი, - ჩემი აზრით, ამიტომაც მცირედით შევისვენოთ და კვლავ გავაგრძელოთ. იგულისხმება, რომ თქვენი დღევანდელი ლექციები, ცდება. – მე მხარს გიჭერ – წამოიძახა მეგობ – რაიმეს გაძღვეს შენთვის საჭიროს ჩემი ლექცია? – ახლა პირდაპირ მეგობს ჰკითხა მირიანმა – როცა ბოლომდე მივალთ. ალბათ, ყველაფერი რიგზე იქნება – მე უკვე ანკესზე ვარ წამოგებული – მეგობს გადაწყვეტილებას მხარი აუბა ქეთევანმა. ფატიხსაც და დალისაც არ გაუწევია წინააღმდეგობა. – ოღონდ ასე მოვიქცეთ, მე ათიოდე წუთით მაღაზიაში გავალ. ვახშმისთვის რაიმეს ვიყიდი, თქვენ ჩაისთვის ჩაიდანი აადუღეთ, ახლავე დავბრუნდები – მირიანმა დერეფანს მიაშურა. ქეთევანმა ჩაიდნით წყალი შემოიტანა. ელექტროქურა ჩართეს. ამასობაში მირიანიც მობრუნდა. მას დერეფანში პაპიროსი მოეწია და უკვე მზად იყო საუბრის გასაგრძელებლად. როცა ყველა თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა საუბარიც გაგრძელდა.

- ვთქვი, რომ ზოგჯერ რაიმე შემთხვევით ხდება და ჩვენ ბედისწერა გვგონია – წელან შეწყვეტილ საუბარს გაგრძელებისთვის დამაკავშირებელ ნიუანსებს უძებნიდა იბერი. – მე ჩემი გამოცდილებიდან, ჩემი ცხოვრებიდან შემიძლია მოგითხროთ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც ბედისწერის გაქტებს ჰგავს. შეიძლება ვინმემ ეს ფაქტები ბედისწერის დამადასტურებელ მაგალითებად გამოიყენოს, მაგრამ ჩემთვის ეს შემთხვევები

თუ ეპიზოდები სწორედ შემთხვევითობით აიხსნება და შემთხვევითობის ეპიზოდებს წარმოადგენს.

- ჩემი აზრით ძალიან საინტერესო მომენტს მივადექით – საუბარში ჩაურთო მეგობ.

- როგორ ინტრიგამდე მიგვიყვანე – ქეთევანის გამოხედვა სმენად და გულისყურად იყო გადაქცეული.

- აბა მომისმინეთ – მირიანმა გუნებაში ერთხელ კიდევ მოავლო თვალი მოსათხრობ ეპიზოდს და დაიწყო: პირველ ეპიზოდს, რომელსაც ახლა მოგიყვებით, გახსენება არ სჭირდება. იგი სულ მახსოვს, მახსოვს, როგორც ის პირველი შემთხვევა, რომელმაც ათი წლის ბავშვი სიკვდილ-სიცოცხლის, ქვეყნად გაჩენისა და მოულოდნელი, უცაბედი, ანაზღაურელი გაქრობის პრობლემაზე დამაფიქრა, სიკვდილის ლოგიკაზე დამაფიქრა, სულშეძრული ყმაწვილის ფართოდ გახედილი თვალებით ამ სიღრმეებში ჩამახედა. უმწიფარი გონება შეუშფოთა და განსჯას უსაზღვრო სივრცეებისაკენ უბიძგა. ზაფხულია, 1928 წლის ზაფხული, დედ-მამა 1924 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. მამიდასთან და მამიდის მეუღლესთან – ბიძასთან ვიზრდებოდი, ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე. იმ დღეებში მამიდამ სოფიო ბებიასთან, დედის დედასთან წამიყვანა და მერე ბებიას თხოვნით ერთი კვირით მასთან დამტოვა. ბებია ქალაქის ცენტრში ცხოვრობს, მახარაძის ქუჩაზე. ჰო, ახლა იმ ქუჩას ფილიპე მახარაძის სახელი ჰქვია, მაშინ რა ჰქვიოდა არ მახსოვს, არასდროს არ გამომიკითხავს ეს ამბავი, ჰო, ქალაქის ცენტრში, საკუთარ, ერთსართულიან, ხის სახლში. ეზოს ერთი მხარე თავიდან ბოლომდე, მთელ სიგრძეზე მახარაძის ქუჩას ებჯინება და ხის მაღალი ღობითაა შემოსაზღვრული. ეზოს დანადჩენ მხარეებს რიყის ქვის ყორეები ჩასდევს. ბებიაჩემის სახლის უკან, მახარაძის ქუჩის პარალელურად რომელიღაც ჩიხი შემოდის და ყორეს გადაღმა მღვარ ორსართულიან სახლამდე გრძელდება. ორსართულიან სახლში ებრაელთა ოჯახები ცხოვრობდნენ. იმ დღეს ბებიას ეზოში მე და ჩემმა ტოლმა ებრაელმა ბიჭებმა ფეხბურთი ვითამაშეთ. დიდხანს და თავგამოდებით ვითამაშეთ. შეძახილებითა და ყიჟინით მთელი ქუჩა და მეზობლები ავიკელით. გადავიქანცეთ. ერთიანად გავოფლიანდით. ამასობაში ბიჭებს შინ მიუხმეს. მე სახლში არ შევსულვარ. ეზოს ვარდნარიან კუთხეში შემოყვანილ ონკანზე ხელები გადავიბანე, წყალი პირზე შევისხი და სახლის ჩრდილოეთ მხარეს, ეზოს ბოლოში აგებულ ჩარდახს მივაშურე, ხის ოთხ ბოძზე შეფიცრულ, ყავრით გადახურულ ჩარდახში, სოხანეზე მიყრილ თივაზე წამოვწექი. ჩამეძინა, როგორც შემდეგ გავარკვიე, კარგა ხანს მეძინა. მწუხრისას გამომეღვიძა, უფრო სწორად წყურვილმა გამომადვიძა. წამოვდექი და ონკანს მივაშურე. ის იყო ონკანი მოვუშვი, წყლის დასალეევად უნდა დავხრილიყავი, რომ ზურგს უკან რაღაც ყრუ ზათქით და უცნაური შრიალით ჩამოიქცა. მოვტრიალდი და დავინახე სოხანეზე ჩამოზვაგებული ჩარდახის სახურავი. ბებია კვილით გამოვარდა სახლიდან. მე გავშეშდი. ბებიათ თვალი მკიდა თუ არა, კვილი შეწყვიტა. წამიერად ჩემსკენ გამოიწია, მერე გადაიფიქრა და აჩქარებით გააბიჯა ჩარდახისაკენ. ბებია კვილზე გამოცვნილი მეზობლები მე იმ მომენტში არ აღმიქვამს. მათი ფუსფუსი, მოძრაობა და შეძახილები შემდეგში გავაცნობიერე. როგორც კი ბებია ჩარდახისაკენ დაიძრა, მე ონკანი მივატოვე და ბებიას მივყევი. ყავარი სახურავზე დაწეობილ ქვების სიმძიმეს ჩამოენგრია, ზუსტად იმ ადგილას, სადაც წუთის წინ მე მეძინა, რამდენიმე მოზრდილი რიყის ქვა ეგდო. ბებიაჩემი ქვემოთ დახრილიყო და შეძრული და ატირებული ხმით მოთქვამდა: “ღმერთმა გადაგარჩინა შვილო, უფალმა გიხსნა, ზენაარმა არ გაგწირა.” ამ მოთქმის თითოეული სიტყვა ჩარდახის ყავრის სახურავიდან ჩამოცვნილი რიყის ქვებით მძიმე იყო. სხვას არაფერს ამბობდა, მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა და იმეორებდა. მე თავზე ვადექი. მოთქმისას ბებია ჩემსკენ გადმოიხარა, ფეხებზე მომეხვია და ამომტირა: “ღმერთმა გადაგარჩინა,

შვილო, უფალმა გიხსნა.” წუთის წინ, როცა სოხანეზე ჩამოცვენილი ქვები დაეინახე, შიში არ მიგრძენია. ბებიას განმეორებულ სიტყვებზე ერთბაშად მივხვდი, რომ არ გამომღვიძებოდა ან ონკანისკენ წასვლა დამეხანებია, ჩემი გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა. ვერც უფალი და ვერც განგება ვეღარ მოახდენდა სასწაულს, და ანაზღად სრულიად გამოკვეთილად, აშკარად და ხელშესახებად დაეინახე რიყის ქვით ჩატყვნილი, ჩაჩქვნილი თუ გასრესილი ჩემი თავი, სისხლიანი თავი და ვიგრძენი, რომ ფეხქვეშ ნიადაგი, საყრდენი, მყარი გამომეცალა. თვალი რომ გავახილე, ბებიას ვყავდი მკერდში ჩახუტებული. გარშემო უამრავი ხალხი გვეხვია, ბებია თავზე მეფერებოდა და განუწყვეტლივ ჩამძახოდა: “არ შეშინდე, ბიჭო, არ შეშინდე, ბიჭო, არ შეშეიდე, ბიჭო.” როცა ბურუსიდან გამოვედი, მივხვდი, რომ იმავე თივაზე ვიდექი, სადაც წელან ვიწექი. ბებია უკვე ტიროდა “ასჯერ მაინც ვუთხარი ამ ბიჭს (დედაჩემის ძმას, ბიძაჩემს გულისხმობდა) მოველო ამ ჩარდახისათვის, ჯანდაბა ჩემს თავს, ამოდენა ქვების ყავრის სახურავზე ატანა არ გამიგია მე. დმერთო, კიდევ კარგად გადავრჩით. ეს აკლდა ახლა ჩემს საწყალ მარიამს (დედაჩემზე თქვა). წამოდი, ცოტა ხანს ოთახში წამოწექი – სახლისკენ გამიძღვა, - იმანაც ვეღარ მოიცალა (ისევ ბიძაჩემზე გააგრძელა) ასულიყო ამ ჩარდახზე და ლურსმნით დაეჭვდა ყავარი, თუმცა დამპალი ყავარი რა ლურსმანს დაიჭერს, სახურავი უნდა გამოიცვალოს ანდა საერთოდ უნდა დავანგრიოთ ეს ჩარდახი. ვინ გაიგონა, ვინ ნახა დამპალ ყავარზე სამაგრად ამოდენა ქვების დაწყობა?” ბებია ვიშვიშებდა, ვიშვიშსა და ქოთქოთში მეზობლებს თანაგრძნობისათვის მადლობა გადაუხადა, მერე დამაწვინა და სანამ არ დარწმუნდა, რომ დავმშვიდდი და საბოლოოდ მოვეგე გონს, მანამ არ მომცილებია და არც შეუწყვეტია ბიძის საყვედურები და ღვთის ლოცვა. როცა მწოლიარე მარტო დავრჩი, პირველი, რაც ცნობიერებაში წამოტივტივდა წედანდელი სურათი იყო, როცა სოხანეზე ჩამოქცეულ ყავრის სახურავს და ჩამოცვენილ, ჩამოყრილ ქვებს დავეყურებდი. “გადავრჩი, აშკარად გადავრჩი”, ბებიჩემის ნაჩურჩულევის პერიფრაზამ გამიელვა თავში “სიკვდილს, გარდუვალ სიკვდილს გადავრჩი, ერთი წუთით გვიან რომ გამღვიძებოდა, ახლა აქ, მთელი მახარადის ქუჩა იქნებოდა თავშეყრილი კივილით და მოთქმით.” მერე ნათლად წარმოვიდგინე ჩემი თავი ყვაილებით ამოვსებულ კუბოში და ჩემს სასახლეს შემოსეული ჩემი სკოლის მეგობრები, ჩემი უსაყვარლესი ბიჭები: აცრემლებული გივი მიქაძე, გაფითრებული თენგიზ ჭკუასელი, ჩუმად მოქვითინე სპარტაკ მხეიძე, ბაგემოკუმული და იატაკს ჩაშტერებული ავთანდილ დავითულიანი, ჩემი სიკვდილით შეწუხებული და შეძრული ავთო განუცრავა, მწუხარებისაგან სულშეხუთული გივი ჩარკვიანი და ენადაბმული შოთა ბზიკაძე – მირიან იბერი ბავშვობის მეგობრების ჩამოთვლისას მიყოლებით თითებსაც კეცავდა – ყველა ჩამოვთვალე, ამ წრეში მერვე მე ვიყავი, ყველა ჩამოვთვალე და ამით ჩემი ისტორიული მესხიერება შევამოწმე. ყველანი შესანიშნავ ადამიანებად გაიზარდნენ, ხომ ასეა დალი! ახლა ყველა თბილისშია, უმეტესობამ წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლები. დალი ყველას იცნობს. ყველა ჩამოვთვალე, ყველა, ვინც მაშინ ჩემს წარმოსახვაში ჩემს კუბოს თავზე ადგა. შემდეგშიც ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმის გამო, რომ იმ წუთებში, როცა ეს სიტუაცია წარმოვისახე თუ წარმოვიდგინე არც დედა გამხსენებია, არც მამა, არცერთი ახლობელი, მხოლოდ ჩემი ბიჭები ამოიხიდნენ საიდანდაც. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ იმ ასაკში, ბავშვობისას, როცა ათი-თორმეტი წლის ბიჭებს შორის უკვე გაცნობიერებული მეგობრობა იწყება და სრულიად შეგნებულ ურთიერთობებს ეყრება საფუძველი, მოზარდის სულს განუწყვეტლივ აწუხებს ეჭვი ამ ურთიერთობების, ამ მეგობრობის, ამ კავშირისა და ამ სიყვარულის სიმტკიცის შესახებ. გარდა ამისა, მოზარდის სული ყოველთვის, განსაკუთრებით კი მტანჯველი ეჭვის წლებში, ისწრაფვის სენსაციებისაკენ. სენსაციური მოვლენა მის ცნობიერებისათვის ეჭვის შემოწმებისთვის ყველაზე

არსებით როლს თამაშობს. მოზარდი ყოველთვის თვითონაა სენსაციური მოვლენის ცენტრში და აკვირდება, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს სენსაციური მოვლენა უახლოეს მეგობრებზე. ჩემი სიკვდილი სწორედ სენსაცია იყო, მოულოდნელი, ყველასათვის მოულოდნელი სიკვდილი. საქმე ჩემს გარდაცვალებას ეხებოდა. მე ვიწექი ვარდებით, თეთრი ვარდებით მორთულ კუბოში და ყველაფერის შემამჩნეველი თვალთა და ყველა დეტალის დამმასსოვრებელი გონებით ვაკვირდებოდი ჩემი მეგობრების ყველა მოძრაობას, ყველა სვლას, ყოველ ნაბიჯს. ბოლომდე უნდა გამეგო რას იზამდნენ ისინი, როგორ მიგლოვდნენ, როგორ გამაცილებდნენ სასაფლაოზე, როგორ მიტირებდნენ, როგორ დაბრუნდებოდნენ დაკრძალვიდან. დედა და მამა იმდროინდელ ჩემს არცერთ წარმოსახვაში არ ფიგურირებდა, რადგან ისინი საექვოთა კასტაში არ შედიოდნენ, მათ საქციელში და მოქმედებაში ეჭვის შეტანა აკრძალული იყო და მკრეხელობად ჩამეთვლებოდა. გასაშიფრელი წრე უახლოესი მეგობრებით იფარგლებოდა. მაგრამ ჩვენ ახლა შორს წავედით, ძლიერ შორს, მოზარდის ფსიქოლოგიაზე საუბარი და მისი ნიუანსების გარკვევა ახლა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. ჩვენ ახლა სხვა ამოცანას ვეჭიდებით, სხვა ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. შემომხედეთ – ქალიშვილების ყურადღების კიდევ უფრო დაძაბვა სცადა მირიანმა – ფაქტი ასეთია: პატარა ბიჭს ჩარდახის სახურავის ჩამონგრევამდე ერთი წუთით ადრე რომ არ გაღვიძებოდა, ან გაღვიძების შემდეგ იქვე დაყოვნებულიყო სიკვდილი გარდუვალი იყო. რა არის ეს? ბედისწერის გამოვლენა? ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი, რომელსაც მე ჩარდახის ეპიზოდს ვეძახი, სულ მახსოვს და იგი მახსოვს არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც პრობლემა. წარმოადგენს თუ არა იგი ბედისწერის არსებობის დადასტურებას? ბებია, რომელიც დღესაც ცოცხალია მომხდარი ფაქტი თავისებურად უმაღვე, სწორედ ფაქტის კვალდაკვალ ახსნა: “ღმერთმა გადაგარჩინა”, ჩემთვის კი ახლაც პრობლემაა. მარტივად რომ ვთქვათ, ბედისწერის მიხედვით მე იმ ასაკში, ათი წლის ასაკში არ უნდა მოემკვდარიყავი და ამიტომაც გადავრჩი. მე არ ვიცი, სად იწერება ჩვენი ხვედრი წინასწარ, ვის მიერ იწერება და რა მიზნით იწერება. მე ვიცი მხოლოდ ფაქტი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ბავშვი ბებიათან დატოვებს, მან ბებიაშისის მეზობელ ყმაწვილებთან ფეხბურთი იტამაშა, მოქანცული ჩარდახში, სოხანზე მიყრილ თივაზე წამოწვა, ჩამოქცევის წკიპზე მისული ჩარდახის სახურავი ჩაძინებული ბავშვის გამოღვიძებიდან რამდენიმე წამის შემდეგ ჩამოშავდა და ბავშვის სიცოცხლე ამ რამდენიმე წამმა იხსნა. ესაა ფაქტი. ახლა თუ მას შევხედავთ, როგორც ბედისწერას, მისი, როგორც სწორედ ბედისწერის განხილვისას ლოგიკურნი უნდა ვიყოთ და ბედისწერის მიხედვით უნდა გავიაზროთ არა მხოლოდ ბავშვის გადარჩენა, არამედ მომხდარი ფაქტი მთლიანად უნდა ვთქვათ, რომ ბედისწერამ, მისმა მკაცრმა აუცილებლობამ შეამზადა მთელი ეს ხდომილება. ბედისმწერალს ეს ფაქტი თავიდან ანუ სამყაროს გაჩენის დღიდან ჰქონდა ჩაფიქრებული? თეორიულად ეს ყოველად ამოუწურავი შეუცნობადი ვითარებაა, ხოლო პრაქტიკულად ამ გზას მისტიკამდე მივყავართ. მაშინ რა ავიღოთ ათვლის წერტილად? ესაა, ამ შემთხვევაში, ყველაზე საინტერესო, ყველაზე აქტუალური პრობლემა. აქ უამრავი, წინასწარი გარემოება იყრის თავს, ერთად იკვანძება და მათგან ნებისმიერის ადება შეიძლება ათვლის წერტილად. ეზოში ჩარდახი რომ არ მდგარიყო, მაშინ, ალბათ, ფეხბურთის თამაშით გადაქანცული ბავშვი სახლში შევიდოდა და დასასვენებლად დივანზე წამოწვებოდა. მაშინ ეს ფაქტი საერთოდ არ მოხდებოდა. მე გამოძიების საგნად ვაქციე პრობლემა: როდიდან, რა დროიდან გაჩნდა ეზოში ჩარდახი! დადასტურებული პასუხი ვერავინ ვერ გამცა, ვერც ბებია, ვერც ბიძაჩემმა, ვერც ყორის გადაღმა მოსახლე მეზობლებმა. მერე ვიღაცამ გაიხსენა, რომ ეს ჩარდახი ჩვენი საუკუნის ათიანი წლების შუახანებში ბაბუაჩემს, დედაჩემის მამას აუგია, რათა მზიან და სიცხიან ამინდში იქ

შეეფარებინა თავი. ეს ამბავი ბაბუას დაკოჭლების შემდეგ მომხდარა, მაგრამ ბაბუის დაკოჭლების ზუსტი, ეჭვმიუტანელი დათარიღება ვერაფერს ვერ შეძლო. ეზოში ჩარდახი რომ არ მდგარიყო, მაშინ სიკვდილს გადარჩენის ფაქტი საერთოდ არ გვეჩვენებოდა. ჩარდახი ფაქტის რეალური წანამძღვარია. ამიტომ მისი ამოგდება წანამძღვართა რეესტრიდან შეუძლებელია. ამრიგად, ათვლის წერტილი სხვაგან უნდა ვეძიოთ. ბავშვი ბებიასთან რომ არ დაეტოვებინათ, ეს ამბავი არ მოხდებოდა. მაგრამ აქ ახალი კითხვა ჩნდება: რატომ მიუყვანეს და რატომ დაუტოვეს ყმაწვილი ბებია? ბიჭის მშობლები 1924 წელს რომ არ დაეპატიმრებინათ და ბავშვი მამიდის ამარა არ დარჩენილიყო, შესაძლოა სწორედ იმ წელს, სწორედ იმ ზაფხულს და სწორედ იმ დღეს ბავშვი ბებიასთან არ აღმოჩენილიყო. ამდენად, შესაძლოა, მომხდარი ფაქტის წანამძღვრად მშობლების დაპატიმრება და გადასახლება მივიჩნიოთ. ამგვარი ლოგიკით, დასაშვებია ათვლის წერტილად სხვა გარემოებანიც მივიჩნიოთ. მამიდა ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ძმისშვილი ყურადღების გარეშე არ დარჩენილიყო, ნიადაგ მასთან და მის ოჯახთან ერთად ყოფილიყო. ფაქტის წინა დღეს მამიდა ბიჭთან ერთად მონახულა რძლის დედა (ბავშვის ბებია). ქალიშვილისა და სიძის დაპატიმრების შემდეგ შვილიშვილს დანატრებულმა მოხუცმა მამიდას სთხოვა, ბავშვი რამდენიმე დღით მასთან დაეტოვებინა. ბებია რომ არ ეთხოვა? მამიდა რომ არ დათანხმებულყო? მაშინ, ალბათ, ფაქტი არ შედგებოდა, ამიტომ ასეთი კითხვების მწკრივი კიდევ უფრო შორს მიდის. 1924 წლის გამოსვლები რომ არ ყოფილიყო, მაშინ არც ბიჭის მშობლებს შეიპყრობდნენ. ახლა კიდევ უფრო მეტს გეტყვით – მირიანმა ხმას დაუწია – მხოლოდ კითხვას ვსვამ, გარჩევა არ იქნება. კითხვის დასმა კი, მე მგონია შეიძლება. ჩარდახის ყავრის სახურავი დრომ და უამბა დააძველა, სიცხემ დააზრო, თოვლმა და წვიმამ დააღბო, ქარებმა ჩააშავეს, გამოფიტეს და გამოსაცვლელი გახადეს. ბიძამ, ათასი მიზეზისა და გარემოების გამო მისი შეცვლა ვერ მოახერხა და საკითხი უფრო იოლ და უჩვეულო გზით გადაწყდა. ეზოს ყორეებიდან მორღვეული რიყის ქვეები გამოიყენა, ქუთაისური ქარის სიძლიერე და სიხშირე გაითვალისწინა, მოზრდილი ქვეები შეარჩია, ჩარდახს სარდაფიდან ამოტანილი ხის კიბე მიადგა და სახურავის ყავარი, დროებით, როგორც მაშინ თვითონ ფიქრობდა, ქვეებით დაამაგრა. ბიძას გადაწყვეტილი ჰქონდა ჩარდახის სახურავი მთლიანად და რაც შეიძლება მალე შეეცვალა. მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულება აქამდე ვერ მოახერხა. ყოველივე აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ მომხდარი ფაქტი ბიძაჩემის მოქმედებითაა განპირობებული. ცხადია ბიძის ქმედებასაც თავისი წანამძღვრები აქვს და ვინ იცის, ამ ძიებისას სად წავალთ. ასეთ ძიებებში ლოგიკური რეგრესის თუ უსაზღვროობაში უკუქცევის ამოწურვა შეუძლებელია. მეორე მხრივ, 1930 წლის ზაფხულში, ივნისის 28-ში, ქუთაისში, მახარაძის 4-ში, ბებიას ეზოში, ძველი ჩარდახის სახურავის ჩამონგრევა და ყმაწვილის საბედისწერო გადარჩენა ფაქტია. მაგრამ ეს წმინდა წყლის შემთხვევითობაა. ჰეგელი იმათ წინააღმდეგ, ვინც სინამდვილეში მხოლოდ აუცილებლობის არსებობას აღიარებდა და შემთხვევითობას უარყოფდა, შენიშნავდა “შემთხვევითობამ დააქცია ქვეყანა”ო. ქვეყნის დამქცევმა შემთხვევითობამ ამჯერად დიდი საქმე გააკეთა, ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა. ჩემთვის ჩემს მიერ მოთხრობილი ეპიზოდი ბედისწერის კი არა, შემთხვევითობის მაგალითია. ასეთ ხდომილებას სამყაროში, ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში ყოველ წამს აქვს ადგილი. სინამდვილე სავესეა შემთხვევითი მოვლენებით, შემთხვევითი სიტუაციებით, შემთხვევითი სიკვდილებითა და შემთხვევითი გადარჩენებით. ბედისწერის საკითხს, ისე როგორც ყველა სხვა პრობლემას, მე ცოდნის პოზიციიდან ვუდგები. თუ მე ის ვიცი, რომ ყოველი არსებული ჩემთვის არის ის, რაც მე ვიცი მის შესახებ, თუ მე იმ პრინციპს ვატარებ ყველგან და ყოველთვის, ბედისწერის პრობლემასაც ასე უნდა მივუდგე. მე არ ვიცი, რა პრინციპებზეა სამყარო

მოქცობილი, რა ინტეგრალურ საფუძველს ემყარება იგი. თავისუფლად მე ამის ახსნა არ შემიძლია. ამიტომ თეორიულ სიბრტყეზე, ცოდნის მიხედვით, მე არ ვიცი: ბედისწერა არსებობს თუ არა.

- ახლა ვიწყებ მეორე ეპიზოდის თხრობას – წამოიწყო მირიან იბერმა მცირე ვახშმით დანაყრებისა და ჩაის შემდეგ – საქმე ეხება ჯუმბერ კეშელავას თავზე დატრიალებულ ტრაგედიას. ჩემი ოჯახის ახლო ნათესავი ჯუმბერ კეშელავა ყველაფრით გამორჩეული ახალგაზრდა იყო: შესანიშნავი გარეგნობით, დახვეწილი ქცევით, განათლებით და რაც მთავარია, ვოკალური მონაცემებით. მომაჯადოვებელი, ხავერდოვანი ბარიტონი ჰქონდა. სხვადასხვა დროს თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის თუ ოდესის საოპერო თეატრების სცენაზე ბევრი სახელგანთქმული ბარიტონისთვის მომისმენია, თითოეულ მათგანს ჩემს ცნობიერებაში ჯუმბერ კეშელავას ვადარებდი. პროფესიული თვალსაზრისით მე, ალბათ, დიდი უფლებაც არა მაქვს მათი განსჯისა და შეფასებისა, მაგრამ ჯუმბერის ხმის დიაპაზონი, ტებბრი, შესრულების მანერა და არტისტული მონაცემები მართლაც ნამდვილად დასამახსოვრებელი იყო. მისი არსებობა და მისი ხმა ალამაზებდა არა მარტო მთელ კონსერვატორიას, არამედ მთელ ქალაქსაც. მეოთხე კურსის სტუდენტი იყო ჯუმბერ კეშელავა, როცა ის ამბავი მოხდა, რომელიც უნდა გაიმბოთ და რომელმაც თვითონ ჯუმბერის, მისი მამსტროს, კონსერვატორიის ხელმძღვანელებისა და ოპერის თეატრის მესვეურთა იმედები ერთბაშად და საბოლოოდ გააქარწყლა. ამ შემთხვევამ ჯუმბერი ქართულ საოპერო სცენას დააკარგვინა. ჯუმბერი პროფესიულ დაოსტატებასთან ერთად საერთო განათლებაზეც ბევრს ზრუნავდა. დამე, ელექტროშუქზე კითხვა უყვარდა და სწორედ დამით სისტემატურ კითხვას მოჰყვა ყველაფერი. თავდაპირველად თვალების აცრემლება დაეწყო, შემდეგ აცრემლება სასტიკმა წვამ შეცვალა, ბოლოს ეს პროცესი თვალების ტკივილამდე და ოპერაციამდე მივიდა. სამედიცინო საქმეებში, მათ შორის სამედიცინო ტერმინოლოგიაში ძალზე ნაკლებად თუ ძალზე ზერელედ ვერკევეი, ამიტომაც ზუსტად ვერ გადმოგცემთ ვერც დიაგნოზს, ვერც ოპერაციის ძირითად ღირებულებას, ვერც ჯუმბერ კეშელავას მზადობის შესახებ ოპერაციისა და საავადმყოფოსადმი. ჩემთვის ისიც უცნაურია, რომ სამკურნალო იყო თვალები, ხოლო მათი რადიკალური განკურნება ქირურგიული ჩარევის გარეშე არ ხერხდებოდა. ოპერაციამ ნორმალურად ჩაიარა. კარგად მახსოვს, მამაჩემის გახარებული სახე, როცა ოპერაციის დღეს საავადმყოფოში შემოსულ ტიციანს ჯუმბერ კეშელავას მამამ, ანტონმა ახარა – ჯუმბერი გადარჩაო. ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა საქმე რიგიანად დამთავრებულიყო. ავადმყოფმა მტკიცე და შეუვალი განაწესი მიიღო: ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა და უნდა ვივარაუდოთ, რო ახევე რიგზე დასრულდება, მაგრამ რამდენიმე დღე თქვენი განძრევა, ან მარტივად რომ ვთქვათ, მკვეთრი მოძრაობაც არ შეიძლება, განძრევამ შეიძლება ყველაფერი წყალში გადაყაროს და მთელი ჩვენი საქმიანობა კატასტროფით დასრულდესო. ორჯერ ვნახე. იწვა თვალეშებინტული ჯუმბერ კეშელავა მზიან პალატაში, გაქათქათებულ საწოლში და ხუმრობდა: ექიმებმა ისე დამაშინეს, ხელის თითების ამოძრავებასაც კი ვერიდებო. ისიც წამოცდა: - მიბრძანეს, არამც და არამც არ გაინძრეო, თითქოს ამაზე ადვილი დავალება რა უნდა იყოს, მით უმეტეს მაშინ, როცა თვალთა სასწორზე, ტკივილამდე მინდა მოძრაობა, მდგომარეობის შეცვლა, გადაადგილება, მოძრაობა და გადაადგილება. ოპერაციის შემდეგ სამი დღე გავიდა. მეორე დღეს, შუადღისას, ზუსტად მახსოვს, შუადღის 2 საათსა და 6 წუთზე, ჯუმბერს ასკილის წვენი დააღვინეს, პირი შეუმშრალეს, მე და მამაჩემს ნება მოგვცეს მისთვის გაზეთები წაგვეკითხა. სწორედ მაშინ დავხედე საათს. ჩემი სკამი საწოლისკენ, მაგიდაზე გაშლილი გაზეთებიდან ერთ-ერთი ავიღე და ის იყო სკამზე უნდა დავმჯდარიყავი, რომ სკამი გამომეცალა. კარი შეიხსნა,

მიხურული ფანჯარა გაიღო, ელექტროაბაჟურა გაქანდა და მე ვიგრძენი, რომ მიწა იძრა. წინასწორობის დასაცავად აყირავებულ კედელს წავეტანე და თვალი კვიდე, საწოლიდან მთელი სხეულით როგორ წამოიწია ჯუმბერმა. “ჯუმბერ, არ გაინძრე” შევეყვირე, “ჯუმბერ” გავიგონე მამაჩემის ხმაც, მაგრამ უკვე გვიან იყო, ძალიან გვიან, გამოუსწორებლად და შეუქცევადად გვიან. დედამიწამ სამჯერ ხედიხედ დაჰკრა ზარი და გაირინდა. სადღაც ვირაცამ შიშისაგან შეჰკივლა. დერეფანში აჩქარებული ნაბიჯები მიმოდიოდნენ, პალატაში შემოჭრილ ექიმს სახეზე ფერი არ ედო, საწოლზე წამომჯდარი ჯუმბერი რომ დაინახა, ხელებიც გაასავსავა, ხმა ვერ ამოიღო და იქვე, კართან მიდგმულ სკამზე ჩაემხო თუ ჩაიკეცა, მერე თვალებზე ხელი აიფარა, ერთხანს იყო ასე, მდუმარე და თვალზეხელაფარებული, მერე გაიმართა, მე და მამაჩემს გვანიშნა, მივეხმარეთ და ჯუმბერი ქვეშაგებზე მივაწვინეთ.” ხომ არ გეტკინა რამე” მხოლოდ ეს იკითხა ექიმმა, “არა” მოკლედ მოუჭრა ჯუმბერმა, - “არა, მაგრამ საოცრად შემეშინდა, რამ შემაშინა ნეტავი?” ექიმმა არაფერი თქვა, მაგრამ მისი სახე, მისი თვალები და მისი დაზაფრული გამომეტყველება საკმაო წანამძღვარი იყო დასკვნის გამოსატანად. მიწისძვრის ბიძგისაგან გამოწვეულმა მკვეთრმა მოძრაობამ, უფრო ზუსტად – წამოხტომის სურვილით შეპყრობილი კაცის მოძრაობამ გადაწყვიტა კარგად დასრულებული ოპერაციის ბედიც, ჯუმბერ კეშელავას თვალების ბედიც და მთელი მისი მომავალიც – იგი ვედარასოდეს გამოვიდოდა საოპერო თეატრის სცენაზე. იმ ერთმა მკვეთრმა მოძრაობამ რაღაც იმსხვერპლა, რაღაც შეიწირა, რაღაც არ დაინდო. შემდგომში მან მთელი ცხოვრება უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდენტის აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე გაატარა. მთელი მისი სიცოცხლე ტრაგედიას წარმოადგენდა, ტრაგედიას იმის გამო, რომ მისი ხმის პატრონს დაშრეტილი თვალისჩინი არ აძლევდა სცენაზე გამოსვლის საშუალებას. ჯუმბერმა მთელი შემდგომი ცხოვრება ღირსეული კაცის ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ მისი ნაოცნებარი და გრძნეული ხმით გარანტირებული ცხოვრება არ შედგა. ახლა ვიკითხოთ: მწამს თუ არა ბედისწერა? ან სხვაგვარად გამოვთქვათ: რა იყო ეს: ბედისწერა? ამ შემთხვევაში რა დავარქვათ, რა ვუწოდოთ, რა სახელით მოვიხსენიოთ მიწისძვრა, რომელსაც არაფერი არ დაუნგრევია, არავის სიცოცხლე არ შეუწირავს, არაფერი ზიანი არ მოუტანია, იმის გარდა რომ ჯუმბერი საბოლოოდ ჩამოაცილა თავის მიზნებს, საოპერო თეატრის ცხოვრებით ცხოვრებას და ქართულ კულტურას დაუკარგა მისი ხმა! მე აქ მაინც შემთხვევითობას ვხედავ, შემთხვევითობის ძლიერ ხელს.

არ ვიცი, შეკვეთილი თუ არა თქვენთვის იმის ნათელყოფა, რასაც მე ვფიქრობ, მაგრამ მე თანდათან შევდივარ ემში. წინა ამბის თხრობის დროს ჩემი წარსულიდან ერთი ეპიზოდი მომაგონდა, ისიც უნდა გიამბოთ, რადგანაც ეს ეპიზოდი იმ პრობლემის ზუსტი შესატყვისია, რასაც ჩვენ ვარჩევთ, თანაც ჩემს მხარეზეა. გიამბოთ? თქვენი დასტური მჭირდება. “ცხადია, გისმენთ” დასტურის მოთხოვნას უმაღლესე გადააბა ნებართვის მიცემა მეგი გურიელმა. ქეთევანმა და დალიმ თავის ქნევით გამოხატეს თავიანთი მზაობა კიდევ ერთი ეპიზოდის მოსასმენად.

- მეორე კურსზე სწავლა ახალი დაწყებული იყო, ეს ამბავი რომ მოხდა. ე. ი. სექტემბერია. სექტემბრის ბოლო. ქუთაისიდან თბილისში მოვდივარ. დამის მატარებელს მოვეყვები. კუპეში შევედი. ის იყო ცარიელ კუპეში მივიხედ-მოვიხედე და ჩემს საწოლზე ჩამოვჯექირომ ჩემს კუპეს უამრავი ბარგით დატვირთული მუშა მოადგა. “ეს ჩემოდნები აქ, კუპეში დააბინავე, მერე შენ დანარჩენი ბარგის ამოსატანად მიბრუნდი, აქ მე დავრჩები”. შემომესმა დერეფნიდან მამაკაცის ხმა. წვერგაუპარსავმა მუშამ ჩემოდნებს ღვედები ახსნა და კუპეში შემოალაგა, მერე ორიოდ ჩემოდანი ჩემს მოპირდაპირე საწოლზე შემოადგა, ორიოდ იატაკზე დატოვა და გაბრუნდა. “გამარჯობათ” – კუპეში თავი შემოჰყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა,

გრუზათმიანმა, ლურჯ კოსტუმიანმა კაცმა – “ცოტას შეგაწუხებთ, საკმაოზე მეტი ბარგი გვაქვს: საცხოვრებლად თბილისში გადავიდით და ხომ იცით, ოჯახის ამბავი, ამ ხარახურამ დიდძალმა მოიყარა თავი.” მითხრა და ჩემოდნებზე მიმანიშნა. “როგორ გეკადრებათ, რა შეწუხებაა” მივუგე და წამოვდექი, ვაგონის დერეფანში გამოვედი. “შებრძანდით, ბარგის დალაგება-დაბინავებაში ხელს არ შეგიშლით, მოეწყვეთ.” მუშა კიდევ ორჯერ მიმობრუნდა. ბოლო გასვლაზე მას ორნი მოჰყვნენ, ახალგაზრდა ქალბატონი და 10-12 წლის ბიჭი. როგორც მივხვდი და როგორც შემდეგაც დადასტურდა ქალი და ბავშვი იმ კაცის ცოლ-შვილი იყო, წელან რომ გამომეღაპარაკა. ვაგონის დერეფანში ფანჯარასთან ვიდექი. დრო და დრო კუპეში მათ საქმიანობასაც ვაქცევდი ყურადღებას. ბარგმა კუპეში ყველაფერი დაიკავა. ორივე ქვედა საწოლქვეშ დატანებული საბარგულებიც და კარებს ზემოთ მოთავსებული განჯინაც. ბარგის ნაწილი მაინც დაუბინავებელი დარჩა. ამასობაშიმატარებელიც დაიძრა. ოჯახის უფროსმა მომიბოდიშა და კუპეში შემიწვია. “შეგაწუხებთ, მობრძანდით”. “რას ბრძანებთ” მივუგე – “საბოლოოდ დალაგდით და შემდეგ შემოვიერთდებით”. საუბარში ქალის ხმა ჩაერთო: “ვახტანგ, რა ვუყოთ ამ საკერავ მანქანას? იატაკზე არ ეტევა, მთელ კუპეს იკავეს, სხვაგან ადგილი არსადაა.” “სულ ზედა თაროზე უნდა შემოვდგა” – ვახტანგი კუპეში შევიდა, კუპის ფანჯარასთან, პატარა მაგიდის ქვეშ შედებული დასაკეცი კიბე გამოიღო, გაშალა, იატაკზე დაამაგრა, კიბის სულ ზედა საფეხურზე შედგა, კუპის ბოლო, სულ ზედა თაროზე დახვავებული ლეიბები და ადიალები სათითაოდ მიაწოდა მეუღლეს, ქალბატონმა ჩამოწოდებული ქვეშაგები ქვედა თაროებზე მოათავსა. ვახტანგი კიბიდან ჩამოვიდა და საკერავ მანქანას დასწვდა, მაგრამ მანქანიანად კიბეზე ხელახლა ასვლა გაუჭირდა და შეფერხდა. “მე მოგაწოდებთ” ვუთხარი და საკერავ მანქანას წავეტანე. ვახტანგი კიბეზე გასწორდა, წონასწორობა მოიკრიბა, ჩემგან მიწვდილი საკერავი მანქანა ორივე ხელით ასწია და კუპის სულ ზედა თაროზე შედგა. “ვახტანგ კარგად გაასწორე, არ დაიძრას.” “გასაგებია” – ღიმილით თქვა ვახტანგმა, თაროზე შედებული საკერავი მანქანა ერთხელ კიდევ მოსინჯა, “კარგად, საიმედოდ დგას” უთხრა მეუღლეს და კიბიდან ჩამოვიდა, დასაკეცი კიბე ისევ თავის ადგილას, კუპის მაგიდის ქვეშ შეაცურა და ისევ ცოლს მოუბრუნდა: “შენ ცოტა მიაღაგე, მიაწყე-მოაწყე, ბავშვი დააძინე, დაწექი და მერე დაგვიძახე, ჩვენ დერეფანში ვიქნებით.” მატარებელი ბნელ სივრცეს მიაპობდა. ფანჯრის მინა ბოლომდე ჩავსენი. პაპიროსს მოვუკიდე. “ხომ არ მოსწევთ” ვკითხე ფანჯარასთან მომდგარ ვახტანგს, მაგრამ მან უარის ნიშნად გამიქნია თავი. “რაც ორმოც წელს გადავცდი, პაპიროსისკენ აღარ ვიხედები, უკვე მეოთხე თვეა არ მომიწევია.” ვაგონის ფანჯარაში შორეული ნათურა გაკრთა. ათიოდე წუთის შემდეგ ვახტანგი კუპეში შევიდა, იმავე წუთს კუპის კარებში გამოჰყო თავი და მეც კუპეში შემიწვია. “შეგიძლიათ, მოისვენოთ” მერე ერთხელ კიდევ მოიხადა ბოლიში და კუპის კარიდან მარჯვენა ქვედა თაროზე, კედლისკენ გადაბრუნებული მეუღლის საწოლზე ჩამოჯდა. მათ თავზე, ზედა თაროზე ბიჭი იწვა. მე პერანგი გავიხადე და საკიდზე შემოვაცვი. ის იყო შარვლის გასაძრობად ქამრის ბალთას შესახსნელად წავკიდე ხელი, რომ მატარებელმა ერთბაშად და ძლიერი ბიძგით დაამუხრუჭა. მე წეროსავით ცალ ფეხზე მდგარი გადამაქანა და წონასწორობადაკარგული საწოლზე მიმაგლო, იმავედროულად მეუღლის საწოლზე ჩამომჯდარ ვახტანგს, რომელიც ფეხსაცმლის თასმების შესახსნელად დახრილიყო, ზემო თაროდან გადმოვარდნილი საკერავი მანქანა დაენარცხა და შეშენებული, ზეწამოვარდნილი ქალის კივილიც გაისმა. შემდეგ ყველაფერი აირია. ვახტანგმა საკერავი მანქანის დაცემისაგან დარტყმის მომენტშივე დალია სული. მატარებელი შეჩერდა. ქალბატონის კივილზე ჩაძინებული ბიჭი ზეწამოვარდა. სიტუაციები მანამ არის ძნელი ასატანი და გადასატანი სანამ

გაირკვეოდეს რა მოხდა. ზოგჯერ ეს ძალიან გვიან, მხოლოდ რკვევისა და კვლევის შემდეგ ირკვევა, ზოგჯერ ეს უმაღლეს ხდება. წამიერად, მიწყვივით, ძალზე შეკუმშულ დროში. ასე მოხდა იმ დღესაც, მატარებელი რაიონის სადგურს ის-ის იყო გასცდა, რომ ვიღაცამ იგი მექანიკური მუხრუჭის ერთი გადმოწვევით შეაჩერა. მასშტაბური არაფერი არ მომხდარა, არც ელმავალი ამოვარდნილა რელსებიდან, არც ვაგონები ამომხტარან თავთავიანთი კალაპოტიდან. მეტი არავინ არ დაშავებულა, მხოლოდ ჩემი კუპის ერთი მგზავრი. საცოდავი ვახტანგი გარდაიცვალა. ეს რომ გაირკვა, აბობოქრებული სიტუაცია ჩაცხრა, ჩაჩუმდა. მოხდა შემთხვევა, განხორციელდა შემთხვევითობა, მაგრამ იმის გამო, რომ შემთხვევითობა, ჰეგელის შემდეგ ითვლება აუცილებლობის გამოვლენის ფორმად, ვახტანგი ამ ამბავს გადაჰყვა, აქ რამოდენიმე შემთხვევითობაა გადაჯაჭვული. ვინ გაიგონა საკერავი მანქანის მატარებლის კუპეში სულ ზედა თაროზე შემოდება, ყოველგვარი სამაგრების გარეშე? თითქოს საბედისწერო შემთხვევაა, თითქოს ბედისწერამ ერთხელ კიდევ ამოიღო ხმა, თითქოს მან თავისი სიტყვა თქვა. მაგრამ კარგად რომ ჩაწვდები ეს წმინდა წყლის შემთხვევითობაა.

მირიანს ახლაც კარგად ახსოვს ქეთევანის დაძაბული, შეჭმუხვნილი სახე, როცა იგი იბერის საუბრის დამთავრებისას წამოდგა და შეკითხვა დაუსვა მირიანს:

- ესე იგი, გამოდის ბედისწერა არ არსებობს?
- არა, მე ეს არ მითქვამს, მე მხოლოდ ის ვთქვი – მირიანი

კეთილად იღიმებოდა – რომ ცოდნის თანამედროვე დონეზე არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ბედისწერა არ არის, არც იმის, რომ ბედისწერა არის. ეს ჰგავს კანტის მოსაზრებას ღმერთზე. არც იმის მტკიცება შეგვიძლია, რომ იგი არის, არც იმის, რომ ღმერთი არ არის. ლოგიკურად ორივე მტკიცება თანაბარი ძალისაა. თუ ჩვენი მსოფლმხედველობა იწამებს ღმერთის არსებობას, ჩვენ შეგვიძლია ვიწამოთ იგი, ისევე როგორც შეგვიძლია უარყოთ ღვთაება. ასეთი ვითარებაა ბედისწერაზე მსჯელობის დროსაც. არავითარი ობიექტური მონაცემები არა გვაქვს ბედისწერის არსების დასაბუთებისათვის. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. . .

მირიანს საკმაოდ მკაფიოდ ახსოვს სტუდენტობის ის ოთახი, სადაც მან ეს საუბარი ჩაატარა, ახსოვს როგორი გულისყურით უსმენდნენ დალი ამაშუკელიც, მეგი გურიელიცა და ქეთევან ლომოურიც. მირიანმა თქვა, რომ კიდევ შეიძლება რომელიმე ეპიზოდის მოყოლა, მაგრამ ახლა, აგვისტოს ამ დახუთული ღამით, რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიიდან განთავისუფლების ამ წინაღობით, ვერაფრით ვერ გაიხსენა რა ეპიზოდი ჰქონდა მხედველობაში. რაც მოყვა, ყველა ის ეპიზოდი ომამდე იყო, ომის დროს ანალოგიური ამბები მრავლად დაუგროვდა. ახლა რომ კვლავ შეახვედრა დალის, მეგის, ფატისა და ქეთევანს კონსტანტინე ბერუჩაშვილის ცხოვრების ერთ ეპიზოდა მოუთხრობდა, რომელიც კონსტანტინეს ფრონტის მოწინავე ხაზზე შეემთხვა. პირველი გადასახლებიდან რომ დაბრუნდა მირიანი, თვითონ კონსტანტინემ უამბო ქუთაისში.

კონსტანტინე ბერუჩაშვილი ნაღდი და უტყუარი ქართველი ვაჟკაცი იყო, რაჭაში დაბადებული და ქუთაისში აღზრდილი აღსავსე იყო ქუთაისური იუმორით. ფრონტზეც იუმორს იშველიებდა არა მარტო მეომრებთან მიმართებაში, არამედ მტერთან ბრძოლაშიც. ეპიზოდი, რომელიც გვიამბო, ასე შეიძლება გადმოვცეთ. დასავლეთ უკრაინაში არიან. მტერმა რამდენიმე საჰაერო იერიში მიიტანა საბჭოთა არმიის ნაწილებზე და მერე მიჩუმდა. ზაფხულის დღეა და გაუსაძლისი სიცხეა. ბოლო დაბომბვის შემდეგ კონსტანტინემ მონახა მტრის ყუმბარისაგან ამოთხრილი ორმო, ჩაწვა ამ ორმოში და გაიღურსა. იცის, პრაქტიკული გამოცდილებით იცის, რომ ერთხელ დაბომბილ ადგილზე მტრის ყუმბარა მეორედ არ დაეცემა. მეორეს სხვა მიმართულებით ისვრის მტრის ავიაცია. ეს ბრძოლის დაუწერელი წესია,

რომელსაც მტერთან შერკინების დროს საგანგებოდ იცავენ. ბომბით ამოთხრილ სანგარში რომ ჩაწვა, ცოტა დამშვიდდა კინსტანტინე. “ყოველი შემთხვევისას პირველი შემოტევისას გადავრჩები, მერე კი რაღაც იქნება.” გაიფიქრა და გაიყუჩა. სიცხემ ჩააძინა, სიცხემ და ქუთაისში დატოვებული შვილების აღექსანდრესა და ლიანას გახსენებამ. შვილების გახსენება გულზე მოეფონა. “ახალი ჩაძინებული ვიყავი, ჰყვებოდა კონსტანტინე, ვიღაცამ შემანჯღღრია, გამომადვიდა და ხმამაღლა მითხრა “სასწრაფოდ გადახოხდი სხვაგან, თორემ მაგ ადგილს, სადაც ახლა ხარ ორ წუთში ბომბი დაეცემა. ჩქარა! სასწრაფოდ! ეს მითხრა და გაქრა. წამოვიწიე, გულგახეთქილმა სხვაგან გადახოხება მოვასწარი და ჩემს ნაწილ ადგილას ახლადშემოჭრილმა მტრის თვითმფრინავმა ახალი ბომბი ჩააგდო და ყველაფერი ააყირავა. გადავრჩი, ნამდვილად გადავრჩი! “უეჭველად განგება ერია ამ საქმეში, ღმერთი და ზენაარი ერია. ასე ვთვლი. ამიტომაც იმ დღეს, როცა ღვთაებამ სიცოცხლე მაჩუქა, სულ აღენიშნავ, სუფრას ვშლი.” მეუბნებოდა კონსტანტინე. მას საბედისწერო დღედ მიაჩნდა უკრაინაში მისი გადარჩენის დღე. მე შევეცადე ამეხსნა, რომ ომის ვითარებამ, ხშირმა დაბომბვებმა გააფაციცა მისი გულისყური. თავგადარჩენის ინსტინქტმა იმუშავა და გადარჩა. ესაა რეალური. ისე კი, მას თითქოს განგება მოეხმარა, რაღაც იღუმალმა რაღაცამ იხსნა, რაც არაა სწორი და მართალი,” ის სიტუაცია, როცა მირიან იბერი დალისა და მის მეგობრებს ბედისწერაზე ესაუბრებოდა, ომის შემდეგ რომ ყოფილიყო, მირიანი ამ ეპიზოდსაც მოჰყვებოდა. მაშინ კი, ომის წინ ეს, ომისდროინდელი ეპიზოდი ცხადია მან არ იცოდა და ამიტომ ვერც მოყვებოდა. ისე კი ის დღე, მე-4 კორპუსში სტუდენტულ კამპუსში ყოფნის დღე ქეთევანის მიერ დასმული ბოლო შეკითხვაც ახსოვს:

- მირიან თქვენ ახლა ამტკიცებთ, რომ ბედისწერა არ არსებობს, მაგრამ მე გამიგონია თქვენს მიერ ნათქვამი ფრაზა “დალი – და ქეთევანმა კუთხეში მჯდარ დალის გახედა – ჩემი ბედისწერააო”. როგორ გავიგო ეს?

- თუ ჩემი ვრცელი საუბრის შემდეგ კიდევ მაგას მკითხავდით, მართლა არ მეგონა. გააჩნია რა საზრისს ჩადებთ ბედისწერაში, ამ ცნებაში. როგორც ობიექტური სინამდვილის გარკვეულობა, როგორც ობიექტური რეალობა ჩვენ ახლა, ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე არც იმის მტკიცება შეგვიძლია, რომ ბედისწერა არის, არც იმის, რომ ბედისწერა არ არსებობს. შემდგომში, სინამდვილის შემეცნების კვალდაკვალ რეალური კატეგორიების ცოდნის დონე გაიზრდება და ალბათ, ჩვენ ამ საკითხს ასე თუ ისე გადავწყვეტთ. რაც შეეხება პოეტურ ბედისწერას, იგი უსათუოდ არსებობს და ყველა ადამიანს, თუ გნებავთ ასე ვთქვათ, ყველა შეყვარებულ ადამიანს თავისი ბედისწერა ჰყავს. გამოთქმა “დალი ჩემი ბედისწერაა” ნიშნავს იმას, რომ. . . ახლა თქვენს წინაშე ამის დამაღვას აზრი არა აქვს. . . რომ დალი ჩემის სიცოცხლის, ჩემი რეალობის, ჩემი არსებობის საწყისია, რომ მე მის გარეშე არ შემიძლია. აი, ამიტომ არის იგი ჩემი ბედისწერა, იგია ის სიმაღლე, რომელსაც მარადიულად და საბედისწეროდ ვვლტვი, სხვანაირად დალისთან ჩემს მიმართებას ვერ გამოვთქვამ. ვერა, სხვანაირად ვერა. უნდა მეთქვა, რომ დალი ჩემი ბედისწერაა.

- გმადლობთ. ასეთი გულახდილობისათვის – ეს ქეთევან გველესიანმა შესძახა.

- სწორია, ვეთანხმები! – დაუმოწმა მეგი გურიელმა.

დალის იქ არაფერი უთქვამს. მერე დატუქსა მირიანი: ყველა არაა იმ დონეზე შენი ღიად, ძალიან დიდი გულახდილობით ნათქვამი ზუსტად და ბოლომდე რომ გაიგოსო.

- ისინი ხომ შენი მეგობრები არიან? – შეეკითხა მირიანი.

- არიან, მაგრამ ჩემი ნათქვამი სამერმისოდ მაინც გახსოვდეს –

დალიმ გაუღიმა. ხოლო დალის ღიმილი მირიანის სრულ განიარაღებას ნიშნავდა.

ახლაც, ფიქრში ჩართულს, დალის ღიმილის გახსენებაზე, თვითონაც გაეღიმა მირიანს. კოწია ბერუჩაშვილის გახსენებამაც გამოუკეთა გუნება. გამორჩეულად უყვარდა ეს ყოველმხრივ გამორჩეული კაცი. გამორჩეული, თეთრგვრემანი, მოხდენილი გარეგნობისა და სილამაზის ვაჟკაცი. მრავალი საინტერესო ეპიზოდი უამბო კონსტანტინემ მირიანს პირველი გადასახლებიდან დაბრუნებისას, ფრონტული ეპიზოდი. ზოგიერთი მათგანი ნათლად ჩარჩა იბერს მეხსიერებაში. აი, თუნდაც სევასტოპოლში გადახდენილი ეპიზოდი. ბერუჩაშვილი უკრაინაში განცდილი დაბომბვის ეპიზოდის შემდეგ ყირიმში მოხვდა. გერმანელების მწვავე მოწოლის შემდეგ ჩვენი ჯარისკაცები ზღვაში გადაცვენილები და გადაყრილები აღმოჩნდნენ. გერმანელების ხმელეთიდან შემოტევას საჰაერო დაბომბვაც დაემატა. ზღვაში გადაყრილ ჩვენს მებრძოლებს ჰაერიდან თვითმფრინავებმა შემოუტიეს. ზღვა დუღდა. ზეციდან ბომბები ცვიოდანაპირიდან ტყვიებით ცელავდნენ ყველაფერს. რა უნდა გექნა? კონსტანტინემ ამ ეპიზოდის თხრობისას ასე დასვა კითხვა. რა უნდა გექნა? ვინც ცურვა კარგად იცოდა, მას კიდევ ჰქონდა სიცოცხლის გახანგრძლივების მცირეოდენი შანსი. და უცებ ზღვის სიღრმიდან შემოსული გემი ამეტყველდა. გვეძახდა. ხსნას გვეპირდებოდა. ეტყობა, სარდლობამ იბრუნა ზღვაში ჩასახრჩობად განწირულ ხალხზე და რეიდზე გასული გემი ჩვენს გადასარჩენად შემოაბრუნა. ატყდა ერთი ამბავი. გადარჩენის რაღაც შანსი რეალურად გაჩნდა, მაგრამ გემი, შავი, უზარმაზარი სამხედრო გემი ჩვენგან იმ მანძილზე იდგა, რომ კარგი მცურავის გარდა იქ ცურვით მისვლა ძალზე გაჭირდებოდა. მოვტრიალდით. ვყვიროდით, ვბლაოდით, ვივინებოდით. მტერსაც და მოყვარესაც დედ-მამის სულს ვუტრიალდებით. ამასობაში გემს რამდენადმე მივუახლოვდით და მეზღვაურებმა გემიდან დაიწყეს სამაშველო რგოლრბის გადმოსროლა. უნდა გენახათ რა საოცარი ამბები ხდებოდა იმ რგოლების ხელში ჩაგდებისათვის. აი, ეს იყო ნამდვილი ბრძოლა, უფრო მძაფრი, უფრო მძვინვარე, უფრო დაუნდობელი, ვიდრე ხიშტით ხელჩართული ომი, აქ იარაღი არავის არ ჰქონდა, ამიტომ ეს ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იყო, ბრძოლა გადარჩენისათვის, არა, ასე გამოთქმა არ ივარგებს, უკეთესია: თავგანწირული, თავგამეტებული ბრძოლა გადარჩენისათვის. ბრძოლა მუშტებით, ბრძოლა მუჯლუგუნებით, ბრძოლა წიხლებით, ბრძოლა კბილებით, და ამას ყველაფერს ემატება ის, რომ ეს ბრძოლა წყალში, ზღვაში ხდება, საქმე ერთი მხრივ დასწრებაზეა, მაშველი რგოლის გამოგლეჯაზეა, მეორე მხრივ იგი იმაზე ზრუნვასაც მოიცავს, რომ არ ჩაიძირო, ზღვის ტალღებს რომ არ შეეწირო. მაშველ რგოლებს გრძელი ბაწრები აქვთ მობმული, რომლითაც მეზღვაურები მაშველ რგოლებზე ხელჩაჭიდებულ ჯარისკაცებს გემისკენ ქაჩავენ. კონსტანტინე, თურმე, ამ ორომტრიალში ვიღაც შავტუხა, გოლიათური აღნაგობის კაცის გვერდიდ აღმოჩნდა. გემიდან გადმოტყორცნილი მაშველი რგოლი შორიასხლოს დაეცა. კონსტანტინემ მისკენ გაიწია, მაგრამ ამ რგოლისკენ მიცოცავს სხვა უამრავი ხელი, ვიღაცამ წიხლით განზე გამწია, მოვხედე, ის შავტუხა, შევუდრინე და ისევ რგოლისკენ წავიწიე, “იცოდე ჩაგძირავ” შემომიღრინა და მაშველ რგოლს ჩაავლო ხელი. კონსტანტინე გაოგნებული დარჩა, მომდევნო ტალღა წამოეწია, ძალაუნებურად აჰყვა ამ ტალღას და სხვა, მეორე, პირველი რგოლის პარალელურ რგოლთან აღმოჩნდა. ვისაც გაუმართლებდა და გემზე მოხვდებოდა, გემბანზე უარესი გადასატანი ხვდებოდა. სევასტოპოლის დათმობა მეზღვაურთათვის უზარმაზარ ტრაგედიად განიცდებოდა. ეს ხალხი კი, რომლებიც მაშველი რგოლებით თვითონ მეზღვაურებს აჰყავდათ გემბანზე, სევასტოპოლის დატოვებაში კონკრეტული დამნაშავეების როლში გამოდიოდნენ. ამიტომაც, გერმანელებსა და სიკვდილს გადარჩენილ მეომრებს ცემით

უმასპინძლდებოდნენ. გემზე ასვლის შემდეგაც გრძელდებოდა ორომტრიალი, გინება და არეულობა. კონსტანტინე გემბანზეც იმ შავტუხა გოლიათის სიახლოვეს აღმოჩნდა. მეზღვაურმა შავგვრემან ჯარისკაცსაც შეაგინა სევასტოპოლის დატოვების გამო, შავგვრემანმა კი ეს გინება არ მიიღო, ვერ აიტანა და მეზღვაურზე გაიწია. კონსტანტინე კოლექტიურ გინებაში თავშეფარებული ადევნებდა თვალს ამ ამბავს. შავგვრემანი გოლიათისათვის ეს გაწევა, ალბათ, ჩვეულებრივი ამბავი იყო. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება სწორედ ამგვარ ქცევას უჭერდა მხარს, რამდენიმე წუთის წინ ხომ თვითონაც შესძახა უდანაშაულო კონსტანტინეს “იცოდე, ჩაგძირავ.” მეზღვაურმა, რომელსაც შავგვრემანმა შეუტია, რაღაც სპეციფიკური სიტყვა დაიძახა, საიდანაც გაჩნდნენ მეზღვაურები, ორი თუ სამი, ისინი ერთობლივად მიცვივდნენ შავგვრემან ჯარისკაცს და გემბანიდან გადააგდეს, მოისროლეს და ზურგში სამსართულიანი გინება მიაყოლეს. კონსტანტინე ამბობდა, გული ჩამწყდაო, ის შავგვრემანი რუსი თუ ბელორუსი ხელახლა გემზე ამოსვლას ვეღარ მოახერხებდა. უაზროდ დაიდუბა, საკუთარმა პიროვნებამ დადუბაო. კონსტანტინემ ამ ამბის მოყოლა რომ დაასრულა, “ბორჯომი” დაისხა და მოსვა. ამითაც იყო იგი გამორჩეული, ქუთაისის წყალსადენის წყალს არ სვამდა. იძახდა, ქლორიანიო და ნიადაგ “ბორჯომს” მიირთმევდა.

...“ყოველი დასაწყისი ძნელია”... ფიქრის წყალუხვმა და ფერადოვანმა მდინარემ თავისი იდუმალი და დაუოკებლად მოძრავი სიღრმიდან ზედაპირზე ამოატივტივა ჰეგელის ეს ცნობილი ფრაზა და ამ ფრაზის კვალდაკვალ მირიან იბერის ცნობიერებაში გაჩნდა ოცდაორი წლის წინანდელი შემოდგომის, ახლა სადღაც შორს, ათასგზის სახეშეცვლილი სინამდვილის მიღმა, მიუწვდომლად შორს გადაკარგული შემოდგომის ნათელი, მზიანი, კაშკაშა დღე და ფილოსოფიის ფაკულტეტის პირველკურსელთა აუდიტორიაში კათედრასთან მდგარი სავლე წერეთლის ხატი.

თავის დაულაგებელ, ძნელად სავალ და გზებარეულ ცხოვრებაში მირიან იბერს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა განწყობისას არაერთგზის გაუმეორებია ჰეგელის “ლოგიკის” ეს ფრაზა – “ყოველი დასაწყისი ძნელია” და ყოველ სიტუაციაში ამ ფრაზის წარმოთქმას, გახსენებას, გაელვებას, ხშირად თუ უხმო განმეორებას ყოველთვის აუცილებლად თან სდევდა, ორეულივით თან მოჰყვებოდა, განუყრელ თანამგზავრად თან ახლდა კათედრასთან მდგარი ცნობილი ფილოსოფოსის სახე. ეს ასოციაციური კავშირი დასაწყისის შესახებ ჰეგელის გახმაურებულ დებულებასა და სავლე წერეთლის ხატს შორის იმით იყო განპირობებული, რომ პირველად ეს ფრაზა მირიან იბერმა სწორედ სავლე წერეთლისაგან მოისმინა, სწორედ ოცდაორი წლის წინათ, სწორედ უნივერსიტეტში სწავლის დაწყების პირველ დღეს, სწორედ იმ შორეულ პირველ სექტემბერს, დიალექტიკური ლოგიკის უკვე გამოჩენილ ქართულ სპეციალისტთან პირველი შეხვედრისას.

ეს შემდგომი უკვე მიზანდასახული განსწავლის წლებში შეისისხლხორცა იბერმა, რომ ყოველი რაიმე, ანუ სავანი ან მოვლენა ადამიანისთვის, სუბიექტისთვის, შემმეცნებლისთვის, “მე“-თვის ისაა, რაც მან იცის ამ რაიმეს შესახებ. ადამიანისთვის ყოველი რაიმე არსებობს მისი აღქმის, შეგრძნების, წარმოდგენის, მისი ცნებითი ცოდნის ფორმით. მირიანის ღრმა რწმენით, ამ დებულების ჭეშმარიტების უარყოფა არც ერთ თეორიულ არგუმენტს და არც არანაირ პრაქტიკას არ შეეძლო. იმ შორეულდა კაშკაშა პირველ სექტემბრამდე მირიან იბერს წარმოდგენაც არ ჰქონდა სავლე წერეთლის არსებობაზე. პირველი შეხვედრისას, ფილოსოფიის ისტორიის პირველ ლექციაზე ბატონი სავლესგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება ზედმიწევნით დადებითი შტრიხებით და ემოციებით იყო აღსავსე. აუდიტორიაში თავშეკავებული ღიმილით შემოვიდა, ფეხზე წამომდგარ პირველკურსელებს თავაზიანად მიესალმა და კათედრასთან დადგა

წაბლისფერთმიანი, საგრძნობლად შემელოტებული, მაღალი, ენერგიული გარეგნობის, რაც მთავარია, უაღრესად ინტელექტუალური გამომეტყველების ახალგაზრდა კაცი. პირველი ლექციის დასასრულს იბერმა დარწმუნებით იცოდა, რომ ფილოსოფიის ისტორიის კურსის კითხვა დაიწყო თავის ცოდნაში, თავის მეცნიერულ პოტენციალში, თავის პედაგოგიურ ხელოვნებასა და თავის პიროვნებაში ღრმად დარწმუნებულმა ადამიანმა, რომელმაც პირველსავე ლექციაზე მოახერხა მსმენელთა დაინტერესება ფილოსოფიის ისტორიის პრობლემატიკით, შეძლო აუდიტორიის დაპყრობა და სტუდენტობის დამუხტვა ფილოსოფიის ისტორიის მასწავლებელთან ხელახალი შეხვედრის ხელშესახები სურვილით.

პირველი შთაბეჭდილება მირიანის ცნობიერებაში არასოდეს არ გახუნებულა, არასოდეს არ გაფერმკრთალებულა, არასოდეს არ გამტყუნებულა, არასოდეს საეჭვო და სათუო არ გამხდარა. ბატონი სავლეს ხატება მირიან იბერის წარმოსახვაში ყოველთვის იმ პირველი შთაბეჭდილებით იყო გარემოცული.

დანარჩენი ყველაფერი, სავლე წერეთელთან დაახლოება, მისი ხელმძღვანელობით საკურსო და სადიპლომო ნაშრომების შესრულება, ასპირანტურისათვის მზადება და ასპირანტურაში ბატონი სავლეს მეურვეობით სწავლა, რაც მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა, ბატონი სავლეს პიროვნების, მისი მეცნიერული ინტერესებისა და ჩანაფიქრების ზედმიწევნით გაცნობა, ეს ყველაფერი შემდგომში მოხდა. და ისევე, როგორც რაიმე, ანუ საგანი ან მოვლენა იცვლის თავის სახეს მისი თანდათანობითი, ღრმად და ღრმად, სხვა კუთხიდან, ასპექტიდან, რაკურსიდან, სხვადასხვაგვარ კავშირში შეცნობის კვალდაკვალ, მირიან იბერის ცნობიერებაში თანდათან იკვეთებოდა მასწავლებლისა და მოძღვრის სახე. სავლე წერეთლის ადამიანური ცხოვრებისა და მეცნიერული ნაღვაწის ახალი და ახალი შრეების შეცნობა, მოძიება, მოკვლევა, დადგენა სულ უფრო და უფრო სრულყოფილად კვეთდა მის ხატს მოწაფის თვალსა და წარმოსახვაში. იმ შორეულ პირველ სექტემბერს, იმ პირველ ლექციაზე მიღებული თუ მოხდენილი შთაბეჭდილება რელიეფური ხდებოდა, სავლე წერეთლის როგორც პიროვნების და მკვლევარის სახება ახალი და ახალი შტრიხებით მდიდრდებოდა. წლების მანძილზე ბატონი სავლე მირიანის მეტრად იქცა. მირიან იბერს სჯეროდა და მას შეეძლო მისი ეს რწმენა სხვებისთვისაც ნათელეყო და სხვებისთვისაც რწმენად ექცია, რომ სავლე წერეთელივით არავის არ შეეძლო დაენახა და წარმოეჩინა ფილოსოფიურ სისტემებს შორის ისტორიული, გენეტიკური და ლოგიკური კავშირები. ის ამ კავშირებს თითქოს განსაკუთრებული, მხოლოდ მისი გონებისათვის დამახასიათებელი მხერით თუ სპეციფიკური უნარით აგნებდა. მირიანი გაოცებული, მეტიც, განცვიფრებული შესცქეროდა თუ როგორ შეეძლო მის ხელმძღვანელს ჭაშნაგირივით გაესინჯა და დაედგინა გარკვეული ფილოსოფიური აზრის თუ მოსაზრების რაობა, არსი, რაგვარობა, წარმომავლობა და შემდგომი მოძრაობის მიმართულება, ისევე, როგორც ჭაშნაგირი ხვდება, თუ რამდენი და სადაური მზეა ღვინოში, ასევე ბატონი სავლე ფილოსოფიური მოსაზრების ან მოსაზრების ფრაგმენტის მიხედვით წვდებოდა აზრის გენეტიკურ საწყისს, გამოვლილ გზასა და პერსპექტივებს. დასრულებული და გამოკვეთილი აზრიდან ან აზრის ფრაგმენტიდან მას შეეძლო მთელი სისტემის რესტავრაცია.

სავლე წერეთელი, როგორც უაღრესად პრინციპული მეცნიერი-მკვლევარი, საკუთარი მოსაზრებების საბუთიანი დამცველი და მოჭირნახულე, უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა კოლეგებს, იგი პატივს სცემდა არა მარტო მისი თვალსაზრისის მომხრეებს, არამედ მის უკიდურეს მოწინააღმდეგეებსაც, თუ მათ, რასაკვირველია, ჰქონდათ ანგარიშგასაწევი არგუმენტები. ათასგვარ სიტუაციაში უნახავს მირიანს ბატონი სავლე, სამეცნიერო დისპუტებზე, სიმპოზიუმსა და კონფერენციებზე გამარჯვებულიც

და დამარცხებულიც, რაიმეს აღმოჩენით, მისი ბუნებითა და გააზრებით გახარებული და აღფრთოვანებულიც და ვერშესრულებული მიზნის გამო დაფიქრებული, აფორიაქებული, ამღვრეული და დამღვრემილიც, მაგრამ არასდროს არ ახსოვს სავლემ წერეთელი – წონასწორობადარღვეული. მას ღრმად სწამდა სოკრატესეზური ზომიერების და სამართლიანობისა, ცხოვრებას სტოიკურად უყურებდა და სტოიციზმის მოთხოვნებს მტკიცედ იცავდა.

თავის პროფესიაზე ფანატიკურად, თავგამოდებით და უსაძღვროდ შეყვარებულსა და ერთხელ ამორჩეული გზის უსაზღვროდ ერთგულს, მიაჩნდა, რომ ფილოსოფიურ პრობლემებზე საბოლოო და ერთმნიშვნელოვანი პასუხები, საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებანი შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის ზღვა მასალაში /როგორც თვითონ იტყოდა/ ის სიძნელეებს ეძებდა და ნიადაგ ამგვარ სიძნელეთა ამოხსნის, დაძლევისა და გადალახვის გზების მიგნებაზე ფიქრობდა. ამ ფიქრის შედეგები, უმეტეს შემთხვევაში, ფრიად ნაყოფიერი, ღრმა, ანგარიშგასაწვეი და ამ საკითხებზე შემდგომი მუშაობისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო. ეს ყველაფერი ეფუძნებოდა ბატონი სავლეს განუზომელ ნიჭიერებას, შესაშურ გონებამახვილობას, გასაოცარ შრომისმოყვარეობასა და მიზანსწრაფვას. მირიან იბერი თავის მასწავლებელში ყველაზე მეტად სწორედ ამ თვისებებს აფასებდა. ეს თვისებები თავს იყრიდა და ერთიანდებოდა ბატონი სავლეს მოქმედების განსაკუთრებულ მოწესრიგებულობაში. ამ მოწესრიგებულობის კვალი აჩნდა არა მარტო ბატონი სავლეს თეორიულ გამოკვლევებს, არამედ მის ლექციებსაც. მირიანს არ შეეძლო არც ერთი შემთხვევის გახსენება, მისი მასწავლებელი ლექციის ძირეულ პრობლემასა და ხაზს რომ გადაცდენოდა და დრო სხვა, თუნდაც მოცემულ კონკრეტულ სააზროვნო სიტუაციაში მეტად საჭირო და საინტერესო საკითხის გარჩევა-განხილვაზე დაეხარჯა. სტუდენტებთან სალექციო კურსის კითხვისას სავლემ წერეთელს არასოდეს არ დაუსვამს საკითხი მის მიერ დამუშავებული და ფრიად ორიგინალურ საფუძველზე განვითარებული დიალექტიკური ლოგიკის შესახებ. ეს ბატონი სავლეს პოზიციიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური პრობლემაც კი არ იმსახურებდა ლექციის პროგრამიდან გადახვევის პრივილეგიას.

სავლემ წერეთლის შრომისმოყვარეობის შესახებ ლეგენდებს ჰყვებოდნენ უნივერსიტეტის ფილოსოფიურ და არა მხოლოდ ფილოსოფიურ წრეებში. ერთხელ, ეს იყო იბერის ასპირანტობისას, ბატონმა სავლემ ფილოსოფიის შრომატევადობის ობიექტური საფუძვლები დაახასიათა მსმენელის წინაშე. “ფილოსოფია ობიექტურად წარმოადგენს უაღრესად ძნელ და შრომატევად დისციპლინას. ეს ასეა, რადგანაც თავის კვლევა-ძიებაში არც ერთ მაცნიერებას არ სჭირდება თავისი ისტორია, მისი მასალა, მისი მონაცემები, გარდა ფილოსოფოსისა. დააკვირდით! სხვა მეცნიერებათა ისტორია თუ ისტორიები, მაგალითად მათემატიკის ისტორია, არსებითად, შეცდომათა ისტორია თუ ისტორიებს წარმოადგენს. ფილოსოფია შეუძლებელია მისი ისტორიის გარეშე, რადგანაც ფილოსოფიის ისტორიის მონაცემები მხოლოდ შეცდომებს კი არ წარმოადგენს, არამედ პრობლემების გადაწყვეტის ლოგიკურად შესაძლებელ ვარიანტებს. ფილოსოფიის პრობლემაზე ისტორიულად შემუშავებულ, ისტორიულად ფორმირებულ, ისტორიულად არსებულ ყველა პასუხს აქვს არსებობის უფლება. ფილოსოფოსმა ფილოსოფიის მიერ გამოვლილი მთელი გზის მანძილზე წამოყენებული და გარჩეული ყველა არგუმენტი და კონტრარგუმენტი, მთელი ეს ისტორია უნდა იცოდეს. წარსულის ყველა ან თითქმის ყველა ფილოსოფოსი ყველა მომდევნო ეპოქაში წარმოებული ფილოსოფიური ბრძოლის თუ პაექრობის სრულიად უფლებამოსილი მონაწილეა. თითოეული დიდი ფილოსოფოსის შესწავლა ერთი მეცნიერების შესწავლის ტოლფასია. აქ ვგულისხმობ

პლატონს, არისტოტელეს, კანტსა და ჰეგელს. აი, ესაა ძირითადი არგუმენტი იმისა, რომ ფილოსოფია ობიექტურად შრომატევადია. იმ მოცულობის შრომით, რასაც ჩვენ, მე და ჩემი კოლეგები ვშრომობთ, ბოტანიკოსი ყველაფერს შეძრავდა”. ბატონ სავლეს თავისი მოსაზრებანი ჰქონდა ფილოსოფიაში, კერძოდ ფილოსოფიის ისტორიაში, შრომის ორგანიზაციის შესახებ. ერთხელ მირიანის თანაკურსელმა მურთაზ ბაკურიამ, რომელიც ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა შორის იმთავითვე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და წიგნზე უაღრესად მოწესრიგებული და მიზანდასახული მუშაობით, ლექციებს შორის შესვენებაზე ბატონ სავლეს ასეთი შეკითხვა დაუსვა: “რამდენი წლის მუშაობა სჭირდება ფილოსოფიის ისტორიის კარგად ათვისებას?” აუდიტორიაში მყოფი ყველა სტუდენტი პასუხის მოლოდინში ბატონ სავლეს მისჩერებოდა. “ამ კითხვაზე, – ბრძანა ბატონმა სავლემ, – ასე პირდაპირი და ცალსახა პასუხი შეუძლებელია. უნდა დაზუსტდეს იმ პიროვნების ნიჭიერების კოეფიციენტი, ვინც ფილოსოფიის ისტორიის შესწავლა გადაწყვიტა. გარდა ამისა, ანგარიში უნდა გაეწიოს ენების ცოდნის დონესაც. იდეალურ ვითარებაში ფილოსოფიური თხზულება შემსწავლელმა იმ ენაზე უნდა დაამუშაოს, რომელზედაც ეს შრომა შეიქმნა”. ასეთი შესავლის შემდეგ სავლე წერეთელმა სტუდენტის მიერ დასმულ კითხვას სხვადასხვა დროს სამჯერ უპასუხა. პირველად იქვე, კითხვის დასმისთანავე, მეორედ სამი წლის შემდეგ, როცა მირიანი მეხუთე კურსზე იყო, ხოლო მესამედ მოგვიანებით, როცა იბერი და ბაკურია ასპირანტები გახდნენ. პირველი პასუხი ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისათვის ხუთი წლის მაქსიმალურ მუშაობას ვარაუდობდა. მეორე პასუხისას პირველად შემოფარგლულ ხუთ წელს კიდევ ხუთი წელი დაემატა. მესამე პასუხში სავლე წერეთელმა ფილოსოფიის ისტორიაში თავისი მუშაობის კრედიტს გადაშალა და განზოგადებული სახით წარმოადგინა: “ფილოსოფიის ისტორია ზოგადი კურსის დონეზე, ცხადია, შეიძლება რამდენიმე წელიწადში იქნეს ათვისებული. პირველად რომ ხუთი წელი გითხარით, დაგინდეთ, არ შეგაშინეთ, არ დაგაფრთხეთ. ფილოსოფიის ისტორიის ათვისება მთელი თავისი პრობლემატიკით იმ დონეზე, რომ ფილოსოფიის ყველა დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შეძლოთ, ვიმეორებ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა რომ შეძლოთ, ვფიქრობ, რომ შეუძლებელია. ეს მეტაფიზიკური, ანუ გადაუწყვეტელი ამოცანაა. ფილოსოფიის ისტორიის მასალის პირველი ზოგადი გავლის შემდეგ მას უნდა მიუბრუნდე და უნდა ჩაუჯდე უახლესი გამოკვლევებისა და კომენტარების გათვალისწინებით, შენი საკუთარი საკვლევი პრობლემიდან ამოსვლით, სხვა გზა არ არსებობს. მე მგონია ასეთი მიდგომა ერთადერთია და არსებითად სწორი”. ბატონი სავლეს ამ პასუხს მისი საკუთარი მუშაობის გამოცდილება და მისი გამოქვეყნებული გამოკვლევები ადასტურებდა. იგი ფილოსოფიის ისტორიაში ამუშავებდა იმ ავტორებს, რომლებსაც უშუალო ან შუალობითი დამოკიდებულება ჰქონდათ სავლე წერეთლის ძირეულ პრობლემასთან – ლოგიკურის დიალექტიკურობის პრობლემასთან. სწორედ ასეთი მიდგომიდან ამოსვლით შეიძინა მირიან იბერის საკანდიდატო დისერტაციის თემა: “ცნების ლოგიკური და გნოსეოლოგიური მომენტების თანაფარდობის პრობლემა ფილოსოფიის ისტორიაში”.

თვითონ უაღრესად შრომისმოყვარე და უსაზღვროდ განსწავლული სავლე წერეთელი სხვის შრომისმოყვარეობასა და განსწავლულობასაც დიდად აფასებდა და პატივს სცემდა. ერთხელ, ეს იყო იბერის გაასპირანტების შემდეგ, სხვებთან ერთად ერევანში ექსკურსიაზე მიმავალმა მირიანმა მატარებელში სავლეს ძველი და ერთგული მეგობრისაგან, პარმენ გუჯაბიძისაგან ბატონი სავლეს პიროვნების ამ ნიუანსის შესახებ ასეთი ამბავი მოისმინა. “რადგანაც სიტყვა სავლე წერეთელზე ჩამოვარდა, მინდა მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი გავისხენო. ეს მარტო მისი ცხოვრების ეპიზოდი არაა, იგი ჩემი ცხოვრების ეპიზოდიცაა, რადგან მე ამ ეპიზოდის

უბრალო მომსწრე და დამსწრე კი არა ვარ, არამედ მისი მონაწილე, ამ ეპიზოდის ერთ-ერთი მოქმედი პირი, ვისი უშუალო მონაწილეობითაც შედგა თუ გათამაშდა ეს ეპიზოდი. თქვენ ყველას გახსოვთ, რომ სავლეს მდგომარეობა ერთი წლის წინ კრიტიკული იყო. გახსოვთ, მას პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უჩივლეს. ბრალდება იყო: იდეალიზმი, კერძოდ და კონკრეტულად ჰეგელიანიზმი. ქართული ფილოსოფიური საზოგადოება უკიდურესად დაიძაბა, ემოციურად დაიმუხტა და დაიჭიმა. საქმე ეხებოდა სავლე წერეთელს. სავლესთანა დიდი ინტელექტისა და შესანიშნავი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება იშვიათია. მისი მეცნიერული სინდისი, რომელიც მოიცავს და აერთიანებს სიბეჯითეს, ღრმა და ყოველმხრივ დასაბუთებულ ცოდნას, ობიექტურობას, პირდაპირობას, უანგარობას, იდეურობასა და მომთხოვნელობას, შეუბღალავი, გაუზზარავი და უადრესად პრინციპულია. იმ პერიოდში სავლეს ცენტრალურ კომიტეტში ობიექტურად და სამართლიანად არ მოექცნენ. ცეკადან იგი გამოვიდა გარკვეულად განაწყენებული, გარკვეულად შეურაცხყოფილი და გარკვეულად თავმოყვარეობაშელახული. ცეკას განყოფილებაში სავლეს მდგომარეობა იგრძნეს, აშკარად დაინახეს, ბრალდებული ხელაღებით ვერ გაიმეტეს და მომჩივნებთან დამატებითი დაპირისპირება დაუნიშნეს. შემდგომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მოწესრიგდა, მაგრამ მაშინ, იმ დღეს ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მათ შორის სავლესათვის თითქმის ყველაზე ცუდი დაბოლოებაც. ცეკაში გამართული თათბირის მეორე დღეს, დილით, ჩვენთან კათედრაზე სავლეს ასპირანტი, დიდი იმედების მომცემი გურამ თევზაძე აბარებდა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდას ფილოსოფიის ისტორიაში. მე საგამოცდო კომისიაში არ შევდიოდი. მაგრამ ცეკას თათბირის შემდეგ სავლე უეჭველად უნდა მენახა. კათედრაზე მივედი. მზად ვიყავი, უკიდურესად დაძაბული მდგომარეობით შეშფოთებული და შეწუხებული სავლესთვის ნუგეში მეთქვა და გამემხნეებინა. კათედრის კარი შევადე და კაბინეტში შევედი. კომისია კარისკენ ზურგით იჯდა. გურამ თევზაძე ბილეთის კითხვებს პასუხობდა. კარის შეღებისას სავლემ ჩემსკენ მოიხედა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. სავლეს მზერა სიხარულით, სინათლით და შუქით იყო სავსე. მე მივხვდი, რომ მას ძალიან მოსწონდა ასპირანტის პასუხი. ჩემს შეკითხვაზე – როგორაა, მეთქი, საქმე, სავლე წამოდგა, ჯიბეებში ხელეხაწყობილმა ოთახში ღიმილით გაიარ-გამოიარა, მერე ჩემს წინ შეჩერდა და მითხრა – საქმე ისეა, რომ უკეთესად არ შეიძლებაო. ამ მომენტში იგი ნამდვილად სავლე იყო, მაღალი ზნეობის კაცი. იგი ისე იყო გახარებული გურამ თევზაძის პასუხით, რომ სხვა არაფერი ახსოვდა, თუმცა მისი საკუთარი მდგომარეობა, მიუხედავად ცეკაში ახალი შევსების დანიშვნისა, კვლავ არასახარბიელო იყო. ბუნებრივი სიკეთის გარდა, მას ალბათ ამგვარად ყოფნის საშუალებას საკუთარი გზის სიმართლისა და საკუთარი ძალებისადმი რწმენა აძლევდა. მიპასუხა, მერე კვლავ გაიარ-გამოიარა ისევე შეჩერდა და თითქოს გამოსაცდელის პასუხის წედანდელი შექების დასაბუთების მიზნით წედან ნათქვამს დაამატა – გურამი, – ასპირანტზე მიმანიშნა, სიძნელეებს ხედავს, თანაც კარგად, ღრმად და ბოლომდე წვდება. შექების უფრო მაღალი კრიტერიუმი, ვიდრე სიტყვები “სიძნელეებს ხედავს”, სავლესთვის არ არსებობს. ძალიან კარგი ყმაწვილია გურამ თევზაძე, მაგრამ სავლე, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც თვის სიმაღლეზე იდგა, ოდესმე თუ მოგონებებს დავწერ, ამ ეპიზოდის გახსენებით და აღწერით დავადასტურებ იმ აზრს, რომ სავლე წერეთელი ყოველგვარ სიტუაციაში შრომისმოყვარეობასა და განსწავლულობას ყველაფერზე მაღლა აყენებდა. ამ ეპიზოდს თავისი სიბლი აქვს.”

სავლე წერეთელი მთლიანი პიროვნების ცოცხალ ნიმუშს, ცოცხალ მაგალითს წარმოადგენდა. მირიან იბერს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, არც ომის წინ, სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში, არც ტყვეობაში,

არც ხანგრძლივი პატიმრობისას არ შეხვედრია ადამიანი, რომელიც თავის ყველა ქცევაში, ადამიანებთან მრავალფეროვან და მრავალსახოვან მიმართებებში თავის ყველა მიზანსა და მიზნის შესასრულებლად არჩეულ საშუალებებში, ზუსტად სავლემ წერეთელივით ერთი და იმავე პიროვნების განმეორება და გამოვლენა იქნებოდა. ბატონ სავლესთან შეხვედრისა და მასთან დაახლოების მცირე ხნის შემდეგ მირიან იბერს მტკიცედ შეეძლო ეთქვა, თუ რომელ კონკრეტულ სიტუაციაში იგი რას და როგორ მოიმოქმედებდა. როგორც მისი მოწაფეები ერთხმად აღიარებდნენ, ბატონი სავლე სრულყოფილი და სრულფასოვანი გამართლება იყო სოკრატეს იმ აზრისა, რომ ნამდვილი ვაჟკაცი და მამაცი მხოლოდ ფილოსოფოსი თუ შეიძლება ყოფილიყო. ადამიანები ყველგან და ყოველთვის თავიანთი სიტყვით და საქმით გარკვეულ კვალს ტოვებენ. ბატონი სავლემ მიერ დატოვებულ კვალზე მხოლოდ მაღალი ზნეობა და შესაშური გონებამახვილობა იყო დატყდელი და აღბეჭდილი. ერთხელ მირიან იბერი სავლემ წერეთლის ნაკვალევს სრულიად ანაზღად რაჭაში წააწყდა, სოფელ ურაგში. ამ ნაკვალევმა ერთხელ კიდევ დაანახა სრულიად ახალგაზრდა იბერს მისი მასწავლებლისა და მოძღვრის ჭეშმარიტი სახე.

პირველი კურსის დასრულების შემდეგ მირიანის უნივერსიტეტელმა ჯგუფის მეგობარმა არჩილ ჯაფარიძემ რამდენიმე თანაკურსელი რაჭაში მიიწვია.

არჩილის მიერ დაპატიუებულთა სიაში იბერი პირველი ეწერა.

ჩანაფიქრი ასეთი იყო: ტყიბულამდე მატარებლით უნდა ემგზავრათ. რაჭაში ტყიბულიდან უნდა გადასულიყვნენ. ხარისთვალა, შაორი, ნიკორწმინდა, ამბროლაური და ბარაკონი უნდა მოეველოთ და დაეთვალიერებინათ. როგორც არჩილი ამბობდა, უნდა გაცნობოდნენ რაჭის დვთაებრივ ბუნებასა და არქიტექტურულ ძეგლებს. მერე ურაგში უნდა ასულიყვნენ, აქ რამდენიმე დღით არჩილის ბიძას, ალექსანდრე ჯაფარიძეს უნდა სწვეოდნენ სტუმრად. ბატონი ალექსანდრე უკვე ელოდა ძმისშვილსა და მის მეგობრებს. რაჭაში ფეხით და დამგზავრებული მანქანებით უნდა ევლოთ. ამ ჩანაფიქრში შერწყმული იყო მიკროტურიზმიც, აქტიური დასვენებაც და მეგობრული წაქეიფებაც. ტყიბულიდან გასვლის მეხუთე დღესდა ააღწიეს ურაგს. საღამოვდებოდა. სამერცხლეს მთიდან ლუხუნის ხეობას ჩამოყოლილი ნიაფი დადლილობას უმსუბუქებდა მგზავრებს. ალექსანდრე ჯაფარიძე ხელგაშლით, გულითად, ლაღ და კეთილმასპინძლად მიეგება ეზოს ჭიშკართან მიღწეულ ახალგაზრდებს. “მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით” – ამ სიტყვებით შეხვდა ალექსანდრე სტუდენტებს, სახლისკენ გაუძღვა, სახლეს კიბეებზე სტუმრების შესახვედრად ფართო ღიმილით ჩამომავალ მეუღლეს ყმაწვილებთან მისალმება აცალა და მერე ყველას გასაგონად ადრე შეთანხმებული სუფრის “ზალაში” გაშლის გადაწყვეტილება შეცვალა და სუფრის გაშლა ეზოში, ტალავარქვეშ ბრძანა. “სალმე, ხომ ხედავ, რა ღმერთივით საღამო დადგა, ეზოში, ტალავარქვეშ გავშალეთ სუფრა”. “ზალაში” შესულ ბიჭებს ოთახის კუთხეში მიდებულ მაგიდაზე დაწყობილ ნარდზე, ჭადრაკზე, ბანქოზე, საოჯახო ფოტოალბომზე მიანიშნა – “ერთი წამით შეიქცით თავი, ამ წუთში ყველაფერი იქნება”.

სუფრის გაშლამდე შალვა კვარაცხელია და სერგო ესიავა ნარდს ჩაუსხდნენ, ვახტანგ ერქომაიშვილი და კუსა ბერძენიშვილი – ჭადრაკს, ხოლო უპატრონოდ დარჩენილმა მირიანმა საოჯახო ფოტოალბომის დათვალიერებას მიჰყო ხელი. ეზოში გამავალ ფანჯარასთან მენარდეები მოეწყვნენ, მაგიდასთან მოჭადრაკეები დასხდნენ, იბერი ფოტოალბომით ხელში დივანზე ჩამოჯდა. მირიანმა ნახევარი ალბომი ისე ჩაათვალიერა, ვერც ერთი ნაცნობი სახე ვერ დალანდა, ის-ის იყო ალბომისათვის თავის დანებება და არჩილის მოძებნა დააპირა, რომ ხელში ადებულ მორიგ სურათზე სხვებთან ერთად გადაღებული ბატონი სავლემ წერეთელი შეიცნო. მირიანი სურათს დააკვირდა. სურათზე ხუთი ახალგაზრდა მამაკაცი იყო გამოსახული.

იბერმა ბატონი სავლეს გარდა ვერც ერთი ვერ შეიცნო. სურათი გადააბრუნა და მეორე მხრიდან დახედა. მაღლა კუთხეში წარწერა იყო: “არა იმიტომ, რომ დახედოს და მოგვიგონოს, არამედ იმიტომ, რომ მოგვიგონოს და დახედოს. სავლე წერეთელი”. მირიანმა მეორედ და მესამედ კვლავ მღუმარედ გადაიკითხა სურათის ზედწარწერა, მერე მაღლა შემართა სურათი და დაიძახა:

– ბიჭებო, ნახეთ, რა აღმოვაჩინე!

– რა აღმოაჩინე! – კამათლები მიაგდო, ნარდს მოსცილდა და მირიანისკენ წამოვიდა შალვა კვარაცხელია.

– რა აღმოაჩინე? – იკითხა ვახტანგ ერქომაიშვილმა ისე, რომ ჭადრაკის დაფისთვის თვალი არ მოუცილებია.

– რა აღმოაჩინე? – “ზალაში” არჩილი შემოვიდა, იგი, როგორც ჩანდა ბიძას ეხმარებოდა, ოთახში შემოსულს ხელში შერჩენილი, ახლადგამორეცხილი სამბოთლიანი შემოჰყვა.

– რა ნახე, ბიჭო? – არჩილი ზედ მიეტანა იბერს.

– კი არ ვნახე, აღმოვაჩინე, – მირიანს კვლავ მაღლა ჰქონდა ამართული სურათიანი ხელი, – ბატონი სავლეს სურათია, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია ის, რაც სურათზე წაუწერია ბატონ სავლეს! – ყველამ ყველაფერი მიატოვა და მირიანის ირგვლივ შემოიკრიბა, – მთავარი წარწერაა. აბა, მოისმინეთ! – და იბერმა წაიკითხა – “არა იმიტომ, რომ დახედოს და მოგვიგონოს, არამედ იმიტომ, რომ მოგვიგონოს და დაგვხედოს”. ვინ დაწერდა ამას, ფილოსოფოსის გარდა, ვინ? სხვას არავის, მხოლოდ ფილოსოფოსს შეეძლო ასეთი წარწერის თუ ასეთი მიძღვნის გაკეთება. აქ სურათი არაა მთავარი. აქ წარწერაა სურათზე უფრო მნიშვნელოვანი. მიძღვნის საზრისია განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევი.

სწორედ ამ დროს შემოვიდა დარბაზში მასპინძელი. ბატონმა ალექსანდრემ მირიანს სურათი გამოართვა, რამდენჯერმე დახედა, მერე გადააბრუნა, მიძღვნასაც გადაავლო თვალი, შემდეგ მირიანს მიუბრუნდა და თქვა:

– კარგია, რომ ამ სურათს უჩემოდ გადააწყდით. განზრახული მქონდა, რომ იგი თქვენთვის აუცილებლად მეჩვენებინა, ახლა ქვემოთ ჩავიდეთ, ტალავერქვეშ სუფრა უკვე გაშლილია. აბა, წამობრძანდით, ხელები გადავიბანოთ და გავტეხოთ პური. ამ სურათის ისტორიას ქვემოთ, სუფრაზე ვიამბობთ.

მეოთხე ჭიქით თამადამ, ოჯახის უფროსმა, მეგობრობის სადღეგრძელო შესვა. სტუმრები უკვე მოხიბლულნი იყვნენ ბატონი ალექსანდრეთი, მისი ღიმილით, მისი უშუალობით. მისი ინტელიგენტობით. თამადამ მეგობრობის სადღეგრძელოში მოუთხრო თანამეინახეებს მირიან იბერის მიერ ანაზღად აღმოჩენილი თუ მიგნებული ფოტოსურათის ისტორიაც.

– როცა თქვენ ამ სურათის გამო ახმაურდით, მე დაბლა, სარდაფში, ჩემს მარანში, ღვინოს ვიღებდი ჭურიდან და ყველაფერი მოვისმინე. თქვენ გაგეხარდათ აქ, სადღაც, შორეულ და გადაკარგულ რაჭაში, თქვენს შესანიშნავ მასწავლებელთან სავლე წერეთელთან შეხვედრა, არა, გაგეხარდათ კი არა, თქვენ იბეიშეთ ეს მოულოდნელი შეხვედრა, თქვენ უეცრად წააწყდით მის კვალს, თუმცა ჩემს არჩილს, თქვენს არჩილს წესით კი უნდა სცოდნოდა, მე და სავლე სიყრმის მეგობრები რომ ვართ. მაგრამ, ალბათ, სიტუაციამ არ მოიტანა და მას თქვენთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს, ხომ ასეა ჩემო არჩილ? – სუფრის მეორე თავში მჯდარ ძმისშვილს გასძახა ალექსანდრემ.

– არა, არა, ბიძაჩემო, – ხელები გაშალა არჩილმა, – ეს სურათი დღეს მეც პირველად ვნახე, აქამდე მისი არსებობაც არ ვიცოდი. რაც შეეხება სავლე წერეთელთან თქვენს ურთიერთობას, სანამ სკოლაში ვსწავლობდი,

თქვენ ამის თაობაზე ჩემთვის არაფერი გითქვამთ, ხოლო რაც უნივერსიტეტში გამოცდები ჩავაბარე, მერე არ ვყოფილვარ რაჭაში, ასე რომ...

– მე და სავლე, – გააგრძელა თავისი სიტყვა ალექსანდრემ, – სიჭაბუკეში ერთად ვსწავლობდით, ონში. როცა ჩვენ, მე და ამ სურათზე გამოსატული ყმაწვილები ონში სასწავლებლად მივედით, მაშინ ონის იმ სასწავლებელს, სადაც ჩავირიცხეთ, ონის ჰუმანიტარული ტექნიკუმი ერქვა. შემდეგ ეს ტექნიკუმი საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა. იგი ყველაფრით შესანიშნავი, გამორჩეული და მოწინავე სკოლა იყო. პირველ ყოვლისა, პედაგოგთა შემადგენლობით, – სუფრა სულგანაბული უსმენდა თამადას, – სკოლას სამი გამოჩენილი, რესპუბლიკაში ცნობილი მასწავლებელი ჰყავდა: ისტორიკოსი, ჩემი მოყვარე და ჩემი შორეული ნათესავი, საქართველოს ისტორიაზე შეყვარებული და თავგადასმად კაცი ვალერიან ჯაფარიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მათე გორდუხიანი, მათემატიკის მასწავლებელი შალვა მოსიძე. შარშანწინ აგვისტოს ბოლოს მასწავლებელთა რესპუბლიკურ შეკრებაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა, უშანგი ობოლაძემ, თქვა: ის სკოლა, რომელსაც ქართულისა და მათემატიკის კარგი მასწავლებელი ჰყავს, ფეხზე მკვიდრად დამდგარ და მოწინავე სკოლად უნდა მოვინით. სწორად თქვა. მე უმაღლეს ბატონი მათე და შალვა გამახსენდა. ამ მასწავლებელთა ხელში ონის საშუალო სასწავლებელი მაღალი ზნეობისა და მაღალი იდეალების მოსწავლეებს ზრდიდა. ამ სკოლაში მოხდა ჩემი ძმისა და უსაყვარლესი მეგობრის სავლე წერეთლის ცნობიერების ფორმირება. მისი ცოდნა ყველა დისციპლინაში მყარი და სანაქებო იყო. ის ყმაწვილები, რომლებიც 1926 წელს უნივერსიტეტში ფილოსოფიურზე აბარებდნენ, ერთხმად იგონებდნენ თუ როგორ აღაფრთოვანა მათემატიკის გამოცდაზე სავლეს პასუხმა პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, ჩვენი სათაყვანებელი და განუმეორებელი გიორგი ნიკოლაძე. “კაცი, რომელსაც მათემატიკაში ასეთი მაღალი ცოდნა აქვს, სწავლას უნდა აგრძელებდეს არა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, არამედ მათემატიკის განხრით”, – უთქვამს გიორგი ნიკოლაძეს სავლესთვის, მაგრამ სავლეს გადაწყვეტილება ურყევი და შეუცვლელი იყო. ჩვენ დიდი ხნის წინათ უკვე ვიცოდით, რომ სავლე მხოლოდ ფილოსოფიურზე შევიდოდა.

ბატონმა ალექსანდრემ ღვინით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა, მაგიდიდან აიღო მირიანის მიერ ფოტოალბომში ანაზღად მიგნებული სურათი, თანამეინახეებს სურათზე გამოსატულ მეგობრებს სათითაოდ მიანიშნებდა და განმარტებასაც ურთავდა, – ეს ვალერიან კობახიძეა, ეს სავლე წერეთელი, ეს მესამე თვედორე ბიძიშვილია, შემდეგ მე ვარ, ხოლო ქვემოთ, სულ უკანასკნელი, მეხუთე, ბარნაბა ლაშხია. ეს სურათი უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ გადავიღეთ, როცა ჩემი დაბრუნება რაჭაში აუცილებელი გახდა და მეგობრები ჩემს გასაცილებელ სადამოზე შეიყარნენ. შემდეგ სურათის ერთი ცალი, სავლეს წარწერით, რაჭაში გამომიგზავნეს. ონის სასწავლებელში ჩვენი ხუთეული შეადგენდა სავლე წერეთლის ჯგუფს. ეს ჯგუფი სავლეს მეცადინეობით და რუდუნებით შეიკრა. სავლე იყო და არის ჩვენი მეთაური, თავკაცი და წინამძღოლი. დიახ, დიახ, არის, სწორედ რომ არის, რადგანაც ჯგუფის წევრები მიმოვიფანტეთ, ერთად და ერთ ქალაქში აღარა ვართ, მაგრამ ჯგუფი მაინც ერთი და დაუმლელი ჯგუფია. მახსოვს, ჩვენი სკოლის მასწავლებელი, ევროპაში, კერძოდ გერმანიაში განსწავლული არქივო კანდელაკი სავლეს ონის საშუალო სკოლის სინდისსა და სიამაყეს უწოდებდა. სავლე ყველასაგან გამორჩეოდა ნიჭითაც და სიკეთით სავსე ხასიათითაც. სავლეს გუნდი ყველა სასწავლო საგანს გამორჩეული ყურადღებით ეკიდებოდა და დიდი მონდომებით სწავლობდა. სასწავლებელში ფილოსოფიის კურსს არ გავდიოდით, მაგრამ ჩვენთვის მაინც ფილოსოფია იყო განსაკუთრებული ინტერესის საგანი. სავლე ფილოსოფიით დაინტერესდა მას შემდეგ, რაც ონის ცენტრში სპირიდონ

ჭელიძემ წიგნის მაღაზია გახსნა და სავლეს ხელში მიაჩნა ჯერ შალვა ნუცუბიძის “ლოლიკა”, ხოლო შემდეგ იმავე შალვა ნუცუბიძის “ფილოსოფიის შესავალი”. ამის მერე სავლე ინტენსიურად ეცნობოდა ახალ ფილოსოფიურ ლიტერატურას, შემდეგ ჩვენთან არჩევდა ამ წიგნებში დასმულ და განხილულ ფილოსოფიურ საკითხებს. ჩვენს ჯგუფში საყოველთაოდ აღიარებული თუ დამკვიდრებული აზრით, სავლე წერეთელი ფილოსოფიისთვის იყო დაბადებული. როცა სავლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, მას არქიფო კანდელაკი შეხვდა. სავლემ თავის ყოფილ მასწავლებელს აუხსნა სად სწავლობდა, არქიფო გაკვირვებული დარჩა. “ჩემო სავლე, – უთხრა ყოფილმა მასწავლებელმა ახლად გასტუდენტებულ ყმაწვილს, – ფილოსოფია მდიდარი კაცის საქმეა, შენთვის კი აჯობებდა უფრო პრაქტიკული დარგი – ექიმობა ან ინჟინრობა აგერჩია”, სავლემ კი ამ შენიშვნაზე ასე უპასუხა: “რაც არ მაინტერესებს, მას ხელს ვერ მოგვიდებ, შეიძლება ვერც აქ გავაკეთო რაიმე, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე და მე ამ გზას ვერ გადავუხვევ”. მე ისეთ რამეებს გიყვებით თქვენს მასწავლებელზე, რაც ალბათ არ იცით, არ გსმენიათ, რაც ჯერ თქვენთვის უცხო სამყაროა. დანარჩენი და სავლეს დღევანდელი მდგომარეობა თქვენ ჩემზე უკეთ უწყით. ახლა ისევ ამ სურათის შესახებ თუმცა, მგონი, თავი მოგაბეზრეთ. გადავაჭარბე, შევტოპე, მაგრამ ერთი მაინც მინდა ხაზგასმით გითხრათ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თბილისში გამფხავრების წინ სავლე გასაოცარი მზრუნველობით დაგეტრიალებდა თავს. “ხუმრობა ხომ არ არის, – გვითხრა ჯგუფის მორიგი შეკრებისას – ჩვენ მოგველის ივანე ჯავახიშვილთან და შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრა, იქ თავის შერცხვენა არ შეიძლება”. არც შეგვირცხვენია თავი. ყველამ წარმატებით ჩავაბარეთ. ყველანი ჩავირიცხეთ უმაღლეს სასწავლებლებში. რაჭაში წამოსვლის შემდეგ ბიჭებმა სავლეს წარწერიანი ეს სურათი გამომიგზავნეს. რას შეიძლებოდა სხვას ასე გავეხარებინე? თქვენ ამას ჯერ კიდევ ვერ გაიგებთ, ან ბოლომდე ვერ ჩაწვდებით. როგორი განცდაა. არსებობენ ქვეყნად ადამიანები, რომელთაც ახსოვთ ერთად გატარებული წლები, ახსოვხართ შენ, ახსოვხართ აქტიურად და შენც ამ აქტიურობისაკენ მოგიწოდებენ, ამავეს მოითხოვენ შენგან. მაშინ კი არ უნდა მოიგონო ისინი, თანშეზრდილი ძმები, როცა სურათს შემთხვევით დახედავ, არამედ ისინი მუდამ უნდა გახსოვდეს, სურათს მათი მოგონების შემდეგ უნდა დახედო. მე აქ, ა, წარწერაში დიდ სიბრძნეს ვხედავ. მე ასე ვხსნი ამ ქარაგმას და თქვენც დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ეს სიბრძნე, ეს ქარაგმა ზუსტად ასე ამოხსენით. ახლა მოდით, თქვენს მასწავლებელსა და ჩემს მაგობარს, თქვენთვის ბატონ სავლესა და ჩემთვის ჩემს სავლეს გაუმარჯოს, ყველას გაუმარჯოს, ვინც ამ სურათზეა გამოხატული. – ყველანი წამოიშალნენ და თამადას სადღეგრძელო აიტაცეს. მირიანი ახლაც, რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიის ამ უკანასკნელ სიცხით გათანგულ და მღუმარებაში ჩაძირულ შუაღამეშიც ნათლად ხედავს, თუ როგორ ასწია ჭაბუკმა იბერმა რაჭული თეთრი ღვინით ავსებული სასმისი და ყველას გასაგონად თქვა:

– ადამიანის მოქმედება განუწყვეტელი კვალის დატოვებაა. ჩვენ დღეს, ამ საღამოს, ურავში წავაწყდით სავლე წერეთლის მიერ დატოვებულ ნათელ კვალს. დაე, ბატონი სავლეს მიერ მომავალში დატოვებული ყოველი კვალი ამაზე ნაკლებ ნათელი არ ყოფილიყოს.

“თეთრა” რაჭული მიწისა და მზის სურნელით იყო გაჯერებული.

სავლე წერეთელი თავისი სამეცნიერო პოტენციალით, თავისი ფართო და გამორჩეული ერუდიციით, თავისი პედაგოგიური აღღოთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც სტუდენტთა, ასევე მეცნიერთა შორის. ეს ავტორიტეტი ბატონი სავლეს მიმართ მორიდებისა და დაფასების მიმართებაშიც გამოიხატებოდა და იმაშიც, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის

პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მისი უსაზღვროდ სწამდათ. სიძნელეების მიუხედავად და ამ სიძნელეთა დაძლევისათვის რუდუნებით მომუშავე ფილოსოფოსი მათთვის შეუვალ ავტორიტეტს წარმოადგენდა. მირიანი სულ ახალი მისული იყო ფაკულტეტზე, როცა მისდა უნებურად სტუდენტულ ბატონი სავლეს ავტორიტეტის გამომხატველი სიტუაციის მოწმე გახდა. იბერი საღამოს პირზე მის თანაოთახელ ნიკო სიმონიძეს ეძებდა. ამხანაგის ძებნისას კორპუსის პირველ სართულზე ყველაზე დიდ ოთახში მოწყობილ წითელ კუთხეშიც შეიხედა და ჭადრაკის დაფასთან თავშეყრილ მესამე კურსელებს უშანგი ბერაიას, თენგიზ მშვიდლობაძესა და ედუარდ კოდუას გადააწყდა. მირიანი მათ უკვე იცნობდა. თენგიზსა და ედუარდს მორიდებით ესალმებოდა, ხოლო უშანგი ბერაიასთან, როგორც “ჭადრაკის ნამდვილ გიჟთან”, რამდენიმე პარტია უკვე ნათამაშები ჰქონდა. ბიჭები რაღაცაზე კამათობდნენ. ოთახში იბერის შესვლის მომენტში თენგიზ მშვიდობაძე ჭადრაკის მაგიდასთან იჯდა და შეჰყურებდა თანაკურსელებს. უშანგი ბერაია ფეხზე იდგა, ხელში ჭადრაკის ფიგურა ეჭირა და აგრეთვე ფეხზე მდგარ ედუარდ კოდუას რაღაცას უმტკიცებდა. ოთახში ფეხმედგმულ მირიანს უშანგის სიტყვები შემოესმა – “არ არის სწორი”. კარის შეღებვაზე სამივემ მოიხედა, ბერაიამ ხელი დაუქნია მირიანს “მოდი, შემოდი”, მერე მეგობრებს მიუბრუნდა და მირიანზე ანიშნა – “ჩვენი პირველკურსელია, ქუთაისელი, მირიან იბერი, რაც მთავარია, კარგი მოჭადრაკეა” და როცა მეგობრებმა დაუღასტურეს – “ვიცი, ვიცნობთ”, ბერაია შეწყვეტილ კამათს მიუბრუნდა. დავა მირიანისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობ პრობლემაზე მიმდინარეობდა. საქმე ეხებოდა იმ დებულების ზუსტი საზღვრის გარკვევას, რომლის მიხედვითაც, წარმოება წარმოადგენდა გარეგანადმოწვდომ მომენტს საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლა-გამოცვლის და მოხმარების მიმართ. ეს პრობლემა მარქსის ეკონომიკურ ხელნაწერებში იყო დასმული და თავისებურად გარჩეული. “რა არ არის სწორი?” – უშანგის შენიშვნაზე ანთო კოდუა. ამდენ ხანს მიმტეველები დიმილით ჩუმად მჯდარი თენგიზ მშვიდობაძე კამათში ჩაერია. “გისმენთ და მეჩვენება, რომ ორივე რაღაც მნიშვნელოვან დეტალს უვლით გვერდს. კამათი მხოლოდ ტექსტის ძირეული შემოწმებითა და ანალიზით გადაწყდება. ტექსტი დედანში უნდა შემოწმდეს და არა თარგმანში. ახლა ტექსტის ადეკვატური გაგებაა ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი. რომელ ეკონომისტთან უნდა მივიდეთ საკონსულტაციოდ? გამორჩეულად მაღალმა და გამხდარმა ედუარდ კოდუამ ორივე ხელი ერთად გაასავსავა. “რატომ ეკონომისტთან?” ჰკითხა თენგიზს და მერე უფრო დააკონკრეტა: “წარმოება, მართალია, ტრადიციულად ეკონომიკური კატეგორიაა, მაგრამ იგი დიდი ხანია ფილოსოფიაშიც მიმოქცევაშია. ამიტომ შესაძლებელია ფილოსოფოსთა კონსულტაციებიც”. “შესაძლებელია, მაგრამ სახელდობრ ვისი? ვისთან მივიდეთ, ვის ვკითხოთ, ვის შევამოწმებინოთ ტექსტი?” – იკითხა თენგიზ მშვიდობაძემ, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა უშანგი ბერაიას შეძახილი: “ცხადია, სავლეს ვერეთელს, მხოლოდ და მხოლოდ სავლეს ვერეთელს, არა მგონია, ჩვენმა პოლიტეკონომისტებმა სავლეს ვერეთელივით იცოდნენ მარქსის ნებისმიერი ტექსტი”. არც ერთ მოკამათეს სხვა აზრი არ გამოუთქვამს, “მიდი, ითამაშე, – ჭადრაკის დაფაზე ანიშნა თენგიზ მშვიდობაძემ უშანგი ბერაიას, – შენი სვლაა”, სამივე მოკამათე ერთბაშად დაწყნარდა. ვნებები ჩაცხრა. მათი საერთო აზრით მიგნებულ იქნა სადავო პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზა – ბატონ სავლესთან მისვლა საკონსულტაციოდ. მირიანი ამ საერთო აზრამდე მისვლის მხოლოდ მოწმე იყო, მაგრამ ისეთი მოწმე, რომელმაც ამ საერთო აზრში ბატონ სავლესზე თავისი, ჯერ კიდევ უმწიფარი აზრის დადასტურება პოვა. მირიან იბერს შემდგომში არაერთხელ ჰქონია სასუალება მოწმე ყოფილიყო სავლეს ვერეთლის ავტორიტეტის მნიშვნელობისა განსხვავებულ აზრთა შეკამათების თუ შეჯახების დროს,

მაგრამ სტუდენტობის მეექვსე კორპუსის წითელი კუთხის ეპიზოდი პირველ, გაუფრმკრთალებელ ხსოვნად შემორჩა მის მეხსიერებას.

...სტუდენტობის იმ პირველი შემოდგომის იმ ნათელ, მზიან, კაშკაშა პირველ დღეს სავლელ წერეთელი აუდიტორიაში თავშეკავებული ღიმილით შემოვიდა, პირველკურსელებს მიესალმა, ტრიბუნასთან დადგა, აუდიტორიას თვალი გადაავლო და თქვა:

– ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს ჰეგელს თავის ნაშრომში “ლოგიკის მეცნიერებაში” აქვს ასეთი ფრაზა “ყოველი დასაწყისი ძნელია”, მაგრამ დასაწყისის სიძნელე კიდევ უფრო მწვავეა, როცა ერთად იყრის თავს რამდენიმე დასაწყისი. აქ, ამ აუდიტორიაში, თქვენთან ამჟამად სწორედ ამგვარი სიტუაციაა. თქვენ დღეს იწყებთ დამოუკიდებელ ცხოვრებას და დგახართ დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისის სიძნელის წინაშე, ეს ერთი, მეორე: თქვენ დღეს იწყებთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას და დგახართ უმაღლესი განათლების დასაწყისის სიძნელის წინაშე, ეს მეორე, მესამე: თქვენ დღეს იწყებთ ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას და ამიტომაც დგახართ სასწავლო დისციპლინებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი, ყველაზე უძნელესი და, ამდენად, ყველაზე შრომატევადი საგნის ათვისების სიძნელის წინაშე. რამდენი სიძნელეა ერთად! რადგანაც ჰეგელის თქმით, “ყოველი დასაწყისი ძნელია”, თქვენ მოგიხდებათ აღნიშნული დასაწყისების ერთობლიობის დაძლევა. მე იმასაც ვხედავ, – ბატონ სავლეს გაეღიმა, – რომ თქვენ მზად ხართ ამ სიძნელეების დასაძლევადა და მე ეს მახარებს. ყოველი დასაწყისის სიძნელის დაძლევა მისი გაცნობიერებით იწყება, ეს კი უკვე ფილოსოფოსობის დაწყებასაც ნიშნავს.

. . . ერთხელ ასეც მოხდა.

. . . როცა გაურკვეველ ბურუსში თუ ქაოსში წამიერი გარინდებისა თუ მიძინების შემდეგ ნივთებმა კონტურები აღიდგინეს და ცნობიერებამ ხელახლა შეძლო ირგვლივ გაბნეული თუ განლაგებული საგნების აღქმა, მირიან იბერმა საკუთარი თავი – რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიის ტუსალი მირიან იბერი მოსკოვში, კრემლში, სტალინის პირადი მდივნის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პოსკრებიშევის კაბინეტში, უზარმაზარ სავარძელში ჩაფლული აღმოჩნდა. ეს აღმოჩენა სრულიად უწინამძღვრო და მით უფრო საოცარი იყო, რადგან მირიანს რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიიდან კრემლის ამ ვრცელ და გაჩახახებულ კაბინეტამდე გადაჭიმული გზის არცერთი მონაკვეთი არ ახსოვდა. ამიტომ საკუთარი თავის კრემლში აღმოჩენა რაღაც მისტიკურ ჩვენებას ჰგავდა, რომელიც ახსნასა და დასაბუთებულ წარმოდგენას არ ექვემდებარებოდა. როცა იბერის გონება ქვეცნობიერიდან ცნობიერ საფეხურზე ამაღლდა, ერთი გაელვება კი გაუელვა კითხვამ აქ საიდან, როგორ, რა გზით გავჩნდიო, კრემლის საგუშაგოებზე მცველებმა როგორ გამომატარესო, მაგრამ ამ კითხვებს იმ წამიერად თავი ვერ გაართვა და მოეშვა, პასუხგაუცემლად დატოვა თუ მიატოვა.

ერთი რამ ცხადი და ნათელი იყო; იმიტომ გამოიარა უსაშველო გზა, იმიტომ გადალახა ეს სივრცე, იმიტომ მოვიდა პოსკრებიშევის კაბინეტამდე, რომ აქედან სტალინის სამუშაო ოთახში მოხვედრილიყო. ეს იყო საბოლოო, ძირითადი და არსებითი მიზანი. სტალინთან შეხვედრა პოსკრებიშევის გარეშე შეუძლებელი, წარმოუდგენელი, და გარკვეული აზრით, მიუღწეველიც კი იყო, ხოლო ბელადთან შეხვედრა მირიანისათვის აუცილებელი ჩანდა. გარდუვალიც. ეს აუცილებლობა და გარდუვალობა დიდი ხნის წინად გაცნობიერებული, დიდი ხნის წინად პრაქტიკულ მიზნად ქცეული და დიდი ხნის ნალოლიავები ოცნება იყო. მირიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აგროვებდა მის სოციალურ სინამდვილეში ღრმად და ბოლომდე გარკვევასთან დაკავშირებულ, მაგრამ პასუხმიუგებელ კითხვებს, აგროვებდა

ისე დაჟინებითა და რაღაცნაირი ინტელექტუალური გატაცებითაც კი, როგორი დაჟინებითა და გატაცებით ანუ როგორი ნამდვილი დაჟინებითა და გატაცებით ზღვის უღურჯეს სანაპიროზე მოხვედრილი ბავშვი აგროვებს ზღვის ბრჭყვიალა კენჭებს. მირიანი ისევე, როგორც ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა ამგვარ პასუხგაუცემელი თუ პასუხმიუგნებელი კითხვების თავდადებული შემგროვებელი იყო. მირიანს ადამიანთა ამ აბსოლუტური უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებსაც მიგნებული და გაცნობიერებული კითხვების ახსნა და მათზე პასუხის მონახვა უიმედო საქმედ მიაჩნიათ, სწამდა, რომ ოდესმე ამ კითხვებზე პასუხისგაცემას დაადგებოდა საშეველი. ამ იმედით აღძრული თუ შეპყრობილი მირიანი დროის და ეპოქის მიერ გაჩენილ ეკლიან კითხვებს ერთგვარი გატაცებითაც კი აგროვებდა, დაჟინებითა და ჩაზიებით ეძებდა, აგნებდა და აგროვებდა, თავს უყრიდა, არჩევდა, აანალიზებდა, სახსრავდა, ერთმანეთს უდარებდა, შინაარსეულად უფრო ზოგადი კითხვები შედარებით კონკრეტულ კითხვებზე დაჰყავდა. ცდილობდა გაეგო, ამოეხსნა ისინი. ამ პროცესის დროს მირიან იბერი საკუთარი აზრის შინაგან მოძრაობას მიჰყვებოდა. ერთი კითხვა თავისით, ძალდაუტანებლად, მხოლოდ თავისი ინერციითა და პათოსით გადადიოდა მოერე კითხვაზე. მეორე კითხვა მესამეს მოთხოვდა და ასე გრძელდებოდა სხვა კითხვიდან კითხვაზე. ყოველი ამოუხსნელი კითხვა მირიანს სასიცოცხლო სტიმულს, სასიცოცხლო ენერჯიასა და სასიცოცხლო ძალას უქვეითებდა. უმცირებდა, უკარგავდა, რადგანაც, თვითონ მირიანის აზრითაც, სხვა რა შეეძლო ფილოსოფოსს თავისი საკუთარი ეპოქის ანალიზისა და ამ ეპოქის მიერ დასმულ ისტორიულ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მსოფლმხედველობრივ კითხვებზე, ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებზე, პასუხის გაცემის გარდა. მირიანი მიისწრაფვოდა ეპოქის მიერ დაყენებული კითხვებისათვის გარეგანადამწვდომ კითხვაზე გაეცა პასუხი. ამ პასუხის მიგნებას შეეძლო ყველა კითხვისთვის მოეფინა ნათელი. მირიანი წინანდელი სოციოლოგიური თეორიებიდან და ისტორიის ფილოსოფიებიდან ხან ერთს ხმარობდა ორიენტირად, ხან მეორეს, ხან მესამეს, მაგრამ მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. მირიანი ნელ-ნელა, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ თანმიმდევრულად რწმუნდებოდა იმაში, რომ სამოქალაქო ისტორიას, საზოგადოებას, მის მოძრაობა-ცვალებადობას არავითარი ობიექტური კანონი არ მართავდა, საზოგადოებაში ყველა მოქმედების, ყველა ხდომილების, ყველა ცვლილების, ყველა მოვლენის საწყისი, სუბსტანციონალური საფუძველი და პირველმიზეზი ცნობიერებაა, ადამიანის გონია, აზრია. ეს იყო ის ამოსავალი პუნქტი, რომელიც განაპირობებდა მირიანის სწრაფვასა და ლტოლვას სტალინთან შეხვედრისადმი. საბჭოთა კავშირში ყველა ხდომილება, ყოველი ცვლილება, ყველა მოქმედება, ყველა გარდაქმნა კომუნისტური პარტიის სახელით ხდება, პარტიის ნებით, პარტიის დადგენილებით ჩნდება, იკვეთება, ფორმირდება და ხორციელდება, პარტიაში კი ის კაცი, რომელიც მოსაზრებას, განზრახვას, წამოწყებასა და ნებას ყველა ემორჩილება, ყველა ექვემდებარება, და რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს ყველა დადგენილებას და საკანონმდებლო აქტს უდგამს სულს, სტალინია. ამიტომ სტალინია ყველა იმ მოვლენის სუბსტანციონალური წყარო, რომელიც ათას უპასუხო კითხვას წარმოშობდა და ჰქმნიდა. სოციალურ სინამდვილეში სტალინის ნება განსაზღვრავდა და ატრიალებდა ყველაფერს. ამ ვითარებაში მირიან იბერს სწორედ სტალინთან შეხვედრა და სხვადასხვა სოციალურ მოვლენაზე სწორედ სტალინის აზრის მოსმენა აინტერესებდა. ეს ინტერესი, რომელიც პირველი გადასახლებიდან მობრუნებულ ტიციანთან დიდ საიდუმლოზე საუბარმა წარმოქმნა, ანუ 30-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა, ახლა, 50-იანი წლების დასაწყისში საოცრად გამრავლებული იყო, სტალინი ახლა, მეოცე საუკუნის შუა წლებში, უფრო ზუსტად 1952 წლის შემოდგომაზე, პარტიის მე-

19 ყრილობის შემდეგ, იმ სიმაღლეზე იყო აყვანილი, რომელი სიმაღლეც არ ღირსებია ისტორიულად არსებულ არცერთ ხელმძღვანელს, მეთაურს, თავაკაცს, წინამძღოლს, მეფეს და იმპერატორს, ისეთ ძალაუფლებას ფლობდა, რომლის ტოლი და ჯუფთი ძალაუფლება არ მოლანდებია არცერთ წინანდელ პოლიტიკურ მოღვაწეს, ისეთი ავორიტეტით სარგებლობდა მთელს მსოფლიოში, რომლის მსგავსი ავტორიტეტი არ ჰქონია მსოფლიო ისტორიის არცერთ პერსონას, მის ხელქვეითებსა და არა მარტო ხელქვეითებს მისი ისეთი შიში ჰქონდათ, როგორი შიშიც შეიძლება ჰქონდეს ღვთაების წინაშე ცოდვილ და დანაშაულში მხილებულ მართლმორწმუნეს, მაგრამ ამავე დროს და ამასთანავე ძალიან დიდი, ღმა და გულწრფელი იყო ის სიყვარულიც, რომლითაც სტალინი იყო გარემოცული საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

მირიანს ყოველი დაფიქრება, რომელიც მიმართული იყო ტყვედყოფილის ცხოვრების პერიპეტიების ახსნისკენ, პასუხების ძიებისას ყოველთვის სტალინის პიროვნებისკენ უბიძგებდა. იმ რეალობაში, რომელიც რუსთავის კოლონიის მიღმა დატოვა და იმაშიც, რაც აქ, ლაგირში ჰქონდა თავსმოხვეული, ყველაფერი სტალინის ნებით ხდებოდა, სტალინის ნებით, მხოლოდ და მხოლოდ სტალინის ნებით. ამიტომაც, ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც მირიან იბერის სულში ტკივილად და სასოწარკვეთად ირეოდნენ თუ ბორიალობდნენ, მხოლოდ მას, სტალინს შეეძლო, ეპასუხა. მირიან იბერი, რომელსაც მთელი ბავშვობა და სიჭაბუკე აღზრდის საბჭოთა ორგანოები და მთელი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს უნერგავდნენ, თავის ყველაზე იდუმალ ფიქრებშიც კი სტალინის პიროვნების წინაშე გარკვეულ კრძალვასა და რიდს განიცდიდა. ამის მიუხედავად, მეორედ დაპატიმრების შემდეგ, შინაგანი ხმა, გუმანი და ინტუიცია ყოველთვის კარნახობდა, რომ მისი სიცოცხლის ფუჭად ჩავლაში, ყველაზე დიდი, ყველაზე მთავარი დამნაშავე, მაინც სტალინი იყო.

რბილ სავარძელში და ფიქრებში ჩაფლული მირიანი მოსკოვის ცაზე ანაზღეულად შემოჭრილმა ქუხილმა გამოაფხიზლა. “შემოდგომის ქუხილს წვიმა არ მოჰყვება” გაიფიქრა მირიანმა და პოსკრემიშევის კაბინეტის ფანჯრებზე მომდგარ ხეებს გაჯხედა. არა! ხეებს არა, რადგანაც ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ფანჯრებამდე კრემლის ბაღში ამოზრდილი ხეების მხოლოდ კენწეროები აღწევდა. ხეთა კენწეროები ახლა მწუხრის ჯანღში და მოახლოებული ზამთრის სუსხში იყვნენ გახვეულნი. წამიერი გაფხიზლების შემდეგ მირიანი ისევ გარინდებაში გაპყვა მის ცნობიერებაში დიდი ხნის წინად აღმოცენებული კითხვების დახარისხებას. მირიანი არჩევდა რომელი უნდა გაემხილა, ეკითხა, გადაეშალა სტალინისათვის და რომელი არა, მირიანის გონებაში მაშინ, იმ წუთში ათასი კითხვა ირეოდა. სტალინის გარდა სხვას ვის შეეძლო ეპასუხა კითხვაზე – რატომ აპატიმრებდნენ საბჭოთა მოქალაქეებს 20-იან და 30-იან წლებში სრულიად უდანაშაულოდ, ყოველგვარი რეალური, ნამდვილი, კონკრეტული და ხელშესახები ბრალდების გარეშე? ვის სჭირდებოდა ეს? ან რა მიზნით იყო ნაკარნახევი იმგვარი მასობრივი რეპრესიები, რომლებიც იმ წლებში ჩატარდა? ამ კითხვამ მოინელა ტიცციან იბერი და მისი თაობა. ეს კითხვა აწამებს მირიან იბერს და მის თაობასაც. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც ის რეპრესიები დაგეგმა და მათი აღსრულების ორგანიზაციას ედგა სათავეში. მას და მას შეეძლო ამ კითხვაზე არა მხოლოდ პასუხის გაცემა, არამედ ამომწურავი, ბოლომდე ზუსტი და ამხსნელი პასუხის გაცემაც. ვის შეეძლო, სტალინის გარდა. პასუხი გაცემა კითხვაზე – რატომ დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით საბჭოთა არმიის ის მებრძოლები, რომლებიც ომის დროს დაატყვევეს გერმანელებმა? რატომ მოხდა ზოგიერთი ნატყვევარის ხელახლა დაპატიმრება და ისეთი სასჯელით დასჯა, რომელმაც საბოლოოდ გაანადგურა მთელი მათი ცხოვრება, მათი ბიოგრაფიები, მათი უკვე შექმნილი

თუ აწ შესაქმნელი ოჯახები? ვინ უნდა გასცეს პასუხი ამ ეპოქალურ დანაშაულზე თუ ეპოქალურ ბოროტებაზე? ამ გრანდიოზული მასშტაბის დანაშაულზე თუ ბოროტებაზე? თუ ორივეზე ერთად, დანაშაულზეც და ბოროტებაზეც? იყო ეს საჭირო თუ არა? ამ კითხვაზეც პირდაპირ, უნაკლო, ამომწურავ პასუხს მხოლოდ სტალინი თუ გასცემდა . . . აქამდე მივიდა მირიან იბერის ფიქრი და მოსკოვის ზეცაზე ახალი ქუხილის გამაყრუებელი ხმა მოაწყდა პოსკრებიშევის კაბინეტის ფანჯრებს. ამ გამაყრუებელმა ხმამ რაღაც შეაკრთო მირიანის დაფიქრებულ გონებაში, შეაკრთო და გონების სიღრმეებიდან სტალინის უფრო მძიმე დანაშაული ამოიზიდა, ვიდრე მეორე ქუხილის წინ ფიქრობდა. მირიან იბერის ცნობიერებას უფრო დიდი ბრალდებაც გააჩნდა სტალინის წინააღმდეგ, ბრალდება, რომელიც დაკავიერებული იყო ორ ცნებასთან, კერძოდ ნომენკლატურისა და ხალხის მტრის ცნებებთან. ისტორიულად მეორის პირობებში პირველმა შექმნა. სტალინმა, როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა, სწორედ როგორც მდივანმა თავის ხელში თავი მოუყარა უადრესად დიდ ძალაუფლებას. მსოფლიო ისტორიაში მან პირველმა მისცა ნომენკლატურას სისტემის სახე. არცერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე არავინ არ შეიძლება დანიშნულიყო ზემდგომი პარტიული ორგანოს თანხმობის გარეშე. სტალინი როგორც პარტიაში ორგანიზაციულად პირველი კაცი ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის უზარმაზარ სივრცეზე ყველა დარგის ყველა დიდი თუ პატარა ხელმძღვანელი ან პირადად მისი ან მისი სახელით იყო დანიშნული. სტალინი ამ ხალხს, ამ კადრებს, პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული თუ კომკავშირული საქმიანობის ხელშეკრულებებს ერთი პრინციპით არჩევდა, იმ პრინციპით, რომ საბოლოო ჯამში მისი პირადი, ერთპიროვნული დიქტატურა განმტკიცებულიყო, რომ პარტიის გენერალური მდივანი მისი ერთგული და მსითვის თავდადებული ხალხით ყოფილიყო შემოკრებილი. ნომენკლატურამ თავდაპირველად გაამრთლა. 20-იანი წლების ბოლოს სტალინი გამოიკვეთ, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადი. მეთაური და წინამძღოლი. ეს ყველასათვის ფაქტი იყო. მაგრამ ზოგიერთმა არ ცნო, არ იწამა, არ მიიღო ეს ფაქტი. იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც სტალინის ბელადობა არ აღიარეს ორი ფენა იყო საგანგებოდ აღსანიშნავი. პირველ ფენაში იგულისხმებოდა პარტიის ის წევრები, რომლებიც ჯერ კიდევ უმწიფართა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, უმწიფართა იმ აზრით, რომ ისინი არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი მარქსისტ-კომუნისტურად, ანუ პარტიის წევრები, რომელმაც არ გაიზიარეს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების თუ სოციალიზმის გამარჯვების სტალინური კონცეფცია. ეს ფენა პარტიის მერყევ ფენას წარმოადგენდა და მტკიცედ არ მიჰყვებოდა პარტიის გენერალურ ხაზს ანუ სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს. მეორე ფენა ის ფენა იყო, რომელშიც განსაკუთრებით კავკასიელები დომინირებდნენ, რომლებსაც სტალინის ბიოგრაფია და პარტიაში მისი პირველი ნაბიჯები კარგად ახსოვდათ და სტალინის ახლანდელი ბელადობა ვერ შეუთავსა სტალინზე ადრინდელ წარმოდგენებს. გამოსავლის ძებნაში ერთადერთ ეფექტურ გამოსავლად ჩაითვალა ის, რომ ეს ფერები უნდა მოშორებოდა არა მარტო პარტიას, არამედ სიცოცხლესაც. და ამოქმედდა “ხალხის მტრის” ცნება. როგორც ერთი, ისე მეორე ფენის წარმომდგენლები ხალხის მტრად უნდა შერაცხულიყო და განადგურებულიყო. არავინ უწყოდა ისტორია და მომავალი როგორ შესფასებდა ასეთ მასობრივ ტერორს, ასეთ დაუნდობელ დისკრეტებს, ადამიანთა ასეთ დაუნდობელ უღეტას, ასეთ დაუნდობელ განწირვას გუშინდელი მეგობრებისა და თანამებრძოლებისა. ეს იყო უმაგალითო მასშტაბის ვერაგული ჩანაფიქრი, რომელსაც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციური მოძრაობაც ვერ შეედრება. ძალიან ძნელი წარმოსადგენია ადამიანის გონება, რომელმაც დაგეგმა 1) ლენინის მიერ დატოვებული პოლიტიკურის სრული განადგურება. ამ აქტის

წარმოსახვაც აღემატება ადამიანურ ძალებსა და ადამიანის შესაძლებლობებს. როგორ შეიძლება ერთი ჩანაფიქრით გაიწიროს ზინოვიევიც, კომენევიც, ბუხარინიც, რიკოვიც, ტომსკიცა და ტროცკიც. ნუთუ არ შეიძლება მათი გამოყვანა პოლიტიზუროდან და მათთვის ყოველგვარი უფლების წართმევა. ნუთუ აუცილებელი იყო მათი ფიზიკური განადგურება, მათი სიკვდილი (ტროცკი მათ შორის ყველაზე ბოლოს, 1940 წელს მოიკლა მექსიკაში) 2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგენლობის სრული განადგურება და 3) რაც ყველაზე გასაოცარია, რაც ყველაზე გასაკვირი და განსაცვიფრებელია – პარტიის შემადგენლობის სრული შეცვლა პარტიის წინანდელი წევრების განადგურებისა და პარტიაში ახალი წევრების მიღების გზით. სწორი, სწორი, ნამდვილად სწორი იყო ჰეგელი როცა წერდა, რომ ამ ქვეყნად ყველაზე ცბიერი რამ ადამიანის ცნობიერებააო. ცბიერი, ყველაზე და ყველაფერზე უფრო ცბიერი! დაიგეგმა ეს ვერაგული საქმე და ქვეყანაში პრაქტიკულად დაინერგა, მიმოქცევაში შევიდა ხალხის მტრის ცნება, ქვეყანაში გაბატონდა, შიში, “დასმენა”, “დაბეზდება”. სოციალური სტატუსი მიიღო “მაგნებლობამ”, რომელიც ტროცკიზმის ანალოგიად გაიგებოდა. ქვეყანა დაემგვანა გრანდიოზულ სასაკლავოს, სადაც ადამიანთა ბედის გადაწყვეტა “სამეულებს” მიენდო. არ არსებობდა დანაშაულის სახეობა, რომლებიც იმ წლებში საბჭოთა ადამიანებისთვის არ მიეწერათ. სახელმწიფო სასამართლო პროცესების დიად ასპარეზს წარმოადგენდა. ეს გრანდიოზული ჩანაფიქრი 30-იანი წლების ბოლოს შესრულდა და ქვეყანაში დამყარდა სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა.

მირიან იბერიც იმ წლებში 20-იან და 30-იან წლებში ვაჟკაცდებოდა. ისიც იმ წლებში გაზრდილი კაცი იყო. ხალხის მტრის, აგრეთვე მავნებლის ცნებების საყოველთაო გავრცელებით და ცხოვრებაში მათი ფართო დამკვიდრებით სტალინი სჯიდა არა მარტო იმათ, ვისაც ხალხის მტრობა მიეკერებოდა, არამედ მათ ოჯახებსაც და რაც მთავარია, მათ შვილებსაც. იმ წლების საბჭოთა კავშირს, შეიძლება დასჯილთა ქვეყანა ვუწოდოთ. დასჯილ იქნა უკლებლივ ყველა ხალხის მტერი და მავნებელი, ამ ადამიანთა ოჯახები. ახლობლები, მეგობრები, ნათესავები, მოყვრები. ადამიანები ერთმანეთთან მისვლას, ერთმანეთის მოკითხვასა და ერთმანეთის დახმარებას ვერ ბედავდნენ, ვერ ბედავდნენ იმიტომ, რომ ხალხის მტრებთან მეგობრული ან ნათესავური სიახლოვე დასჯადი ვითარება იყო. მირიანს ახსოვს რაოდენი ზიზღი, გესლი, სიძულვილი და გაუცხოება იყო ჩაქსოვილი ტროცკიტების შვილებისადმი თანაკლასელების მიმართვაში. თვითონაც განუცდია, არაერთხელ უგრძენია ასეთი ზიზღი და გესლი პარტიისგან და სახელმწიფოსგან შეურისხავ, ან ჯერ შეურისხავ მშობელთა შვილების მომართვაში და შესიტყვებაში. ბავშვობის ნაღვლიან ყოველდღიურობაში მწარე მოგონებანი ერთმანეთს ემატებოდა და მთლიანობაში გამწარებულ ცხოვრებას ჰქმნიდა. მირიანს ბევრი რამ ახსოვდა და მრავალი რამ იცოდა იმ გამწარებულ ცხოვრებისა.

მირიან იბერმა ფიქრში უხმოდ ამოიოხრა. არა! არა! მაშინდელი საბჭოთა კავშირი მხოლოდ დასჯილთა ქვეყანა კი არ იყო, არამედ ცდომილთა ქვეყანაც! დიახ! დიახ! ცდომილთა ქვეყანაც. სტალინი იმ ქვეყანაში საყოველთაო სიყვარულით, გულწრფელი, ნამდვილი, თავდადებული სიყვარულით იყო გარემოცული. ბელადი ყველას უყვარდა, ყველას, მათ შორის მირიანსაც. არა მარტო ბავშვები, არა მარტო ახალგაზრდები, არამედ საბჭოთა ადამიანები, მთლიანად. ყველანი, რომლებიც ერთი მხრივ სტალინისგან წამოსული გეგმით იყვნენ დასჯილნი, მეორე მხრივ სტალინზე იყვნენ ბრმად შეყვარებულნი. ესეც სტალინის გენურობის ერთ-ერთო გამოვლენა იყო. სტალინის გენურობის თუ ცნობიერების ცბიერების ჰეგელისეული კონცეფციისა? ფიქრში კითხვა დასვა იბერმა. სტალინმა მოახერხა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დამდგარიყო იმ თაობის

ცნობიერებაში, რომელთა მშობლები მისივე კანონებით იყო დასჯილი. “პო, უდანაშაულოდ დასჯილნი, რომელთა შეილებს სწორედ იმ კანონებმა შეუქმნა არა ბედნიერი, არამედ გამწარებული ბავშვობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სტალინი ყველას და ამავე დროს გულწრფელად უყვარდა. ამას მხოლოდ სტალინის გონებისა და სტალინის ნების პიროვნება თუ მოახერხებდა. მთავარი კითხვა, რომელსაც სტალინს კითხავდა ტყვედყოფილი, სწორედ ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის შესახებ კითხვა იქნებოდა.

ზარის ხმა გაისმა, პოსკრებიშევი წამოდგა და სტალინის სამუშაო კაბინეტს მიაშურა. მირიანმა თვალი გააყოლა ალექსანდრე ნიკოლოზის ძის მოძრაობას, შემდეგ. როცა პოსკრებიშევი სტალინის კაბინეტის კარი შეიხურა. იბერმა მოათვალიერა სტალინის პირადი მდივნის მაგიდაზე განლაგებული ნივთები. მაგიდის მარცხენა მხარეს ლენინის რამდენიმე ტომი იყო დაწყობილი. მაგიდის შუაში სამელნესა და კალმისტრებისა და ფანქრების ჩასაწყობ მცირე, ყელმადალი ვაზის გვერდით ლენინის მცირე ბიუსტი იდგა. მირიანს მოაგონდა: ლენინის ასეთი ბიუსტი პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივნის თედო კორსაველის კაბინეტში ჰქონდა ნანახი. სკოლის დამთავრების წელს მირიანი რაღაც ბანდეროლის წამოსადებად ღირექტორმა გააგზავნა ქალაქკომში. მაშინ შესულა თედო კორსაველს და მაშინ შეავლო ქალაქკომის მდივნის მაგიდაზე ლენინის სწორედ ამგვარ ბიუსტს თვალი. “აჰა, ზუსტი მაგალითი წელანდელი ნაფიქრისა”, თედო კორსაველის სიცოცხლის, მისი შრომისა და გარჯის კვალის უაზროდ ჩავლაც სტალინის კისერზეა. კარგი პარტიული მუშაკი იყო თედო კორსაველი. 30-იანი წლების დასაწყისში ყველაფერი ჩააქსოვა ქუთაისის საწარმოთა სამრეწველო პოტენციალის ამადლებაში და ქალაქის კეთილმოწყობაში. გუშინდელი დღესავით ახსოვს მირიანს ქუთაისის ცენტრალური ბაღის გასწვრივ ახალი მიმოზობის დარგვა. მის დროს დამთავრდა რიონჰესის მშენებლობა, დაიწყო სასტუმრო “ქუთაისისა” და ახალი დრამატული თეატრის მშენებლობა. ძალიან უყვარდა ხალხს. ლექსიც გამოუთქვს:

“ქუთაისის გამწვანებას
ყველა უწყობს ხელსო,
გაუმარჯოს ორდენოსან
თედო კორსაველსო.”

ლექსი სწრაფად გავრცელდა ხალხში, რომელიდაც ხალხური სიმღერის ჰანგი შეუწყვეს და სიმღერად იქცა. მაგრამ მალე მთელ რესპუბლიკაში საყოველთაო რეპრესიები დაუწყო, თედოც დააპატიმრეს. იმ ძველ, ფართოდ გავრცელებულ ლექსს ახალი ლექსი შეენაცვლა. ახალი ლექსი შეცვლილ დროს ეხმიანებოდა.

“ქუთაისის გამწვანებას
შეუშალა ხელი,
თურმე, ტროცკისტი ყოფილა
თედო კორსაველი”.

ეს მეორე ლექსი ნამღერი არ ახსოვს მირიანს, ისე წარმოთქვამდნენ. ხანდახან, თავისთვის, ჩუმად.

პოსკრებიშევი სტალინის სამუშაო კაბინეტიდან გამოვიდა და იბერს მიმართა:

- ახლა 17 საათი და 35 წუთია. ამხანაგი სტალინი 18 საათზე მივიღებთ.

წინასწარ ხომ ატაფერი გაქვთ გადასაცემი?

- არა, არაფერი.

და მირიანმა ისევ გააგრძელა ფიქრი. “სტალინი ჩემს მიღებაზე

დათანხმებულა. მასთან ჩემს შეხვედრას ერი ფრიადი თავსიებურება აქვს. ჩემი საქართველო საბჭოთა კავშირის, ე.ი. სტალინის იმპერიის ერთი ნაწილია, მცირე ნაწილია. საქართველოს ისტორიაში თითქმის სულ ასე იყო, რამდენიმე საუკუნის გამოკლებით, სახელდობრ დავით აღმაშენებლის, თამარის და გიორგი ბრწყინვალეს ეპოქების გამოკლებით. ჩვენი ისტორია სულ სხვადასხვა იმპერიებთან, როგორც დამპყრობელ და გაბატონებულ იმპერიებთან მიმართების ისტორიას წარმოადგენდა. ეს იმპერიები კი ხან ანტიკური ელადა იყო, ხან რომი, ხან ძველი სპარსეთი, ხან არაბეთი, ხან ერთმორწმუნე ბიზანტია, ხანაც მონღოლეთი, ხან თურქ-სელჯუკები, ხან ოსმალეთი, ხანაც ირანი, ბოლოს რუსეთი. ყველაა ჩამოთვლილი. საბჭოთა რუსეთი ცალკეა სალაპარაკო. სხვა წვრილი მტრები, არაიმპერიები არ მისხენებია, თუმცა მათ საქართველო არ დაუპყრიათ, მაგრამ სული გაუძწარეს. ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი ყოველთვის ამ იმპერიების დედაქალაქებში წყდებოდა. და მიდოდნენ საქართველოს მეფეები. მღვდელთმთავრები, სარდლები, ერისთავები, ვაზირები ამ იმპერიათა სატახტოებში ამ იმპერიების პირველკაცებთან. ამ დიდი ქვეყნების მეუფეებთან, უცხო ეროვნების იმპერატორებთან, სხვა სჯულის, სხვა ჯიშის, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ კაცებთან შესახვედრად, სააჯოდ, სათხოვნელად და შესხვეწად. ეს ორი რამ, ორი პირობა თუ ორი მომენტი არცერთ იმპერიაში გამგზავრებისას არ ირღვეოდა. ეს ორი რამ ამგვარი შეხვედრების მუდმივი პირობა იყო. ერთი მხრივ რაღაც სააჯო, რაღაც შესახვეწი, რაღაც სათხოვარი. მეორე მხრივ კი, უცხო ტომებთან სხვა, უცხო ენაზე მეტყველ, მოსაუბრე კაცთან ხშირად სხვა სარწმუნოების მიმდევართანაც. ახლა, დღეს, ამ სადამოთი, სტალინთან ჩემი შეხვედრისას ორივე ეს პრინციპი დაირღვევა. მე შეხვედები არა სხვა ეროვნების, სხვა რჯულის, სხვა ჯიშის ადამიანს, არამედ მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი იმპერიის სათავეში მდგომ ქართველს, თვისტომს, ჩემი წინაპრების ტრადიციებზე და მათ ენაზე აღზრდილ კაცს და თქვენთან შემოვალ არა თხოვნითა და აჯით, არამედ გასარკვევი პრობლემებით. ამ საგანძურით მოსულ ქართველს თქვენთან სწორედ ქართველი დახვდება. ყოველი ქართველი კი, მართალია სხვადასხვა დოზით, მაგრამ მაინც არის არტისტულიც, ამბიციურიც და მეოცნებეც. თქვენი სიყმაწვილის წლებში იმან, რომ თქვენ ქართველი ხართ და ამიტომ მეოცნებეც შვა სოსელის ანუ სოსო ჯულაშვილის პოეზია, თქვენმა შინაგანმა ამბიციურობამ უადრესად დიდი როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში და თქვენი და ტროცკის დავა და მთავარი პრობლემა “ვინ ვის” თქვენ სასარგებლოდ გადაწყვიტა, იმავე ამბიციურობამ შემდგომში უდიდესი როლი შეასრულა ჯერ თეირანში, შემდეგ იალტაში და პოდსტომში, როცა მოკავშირეებმა არსებითად თქვენი წინადადებების მიხედვით დაჰყვეს პოლიტიკური მსოფლიო. ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ეს სამივე ნიშანი – არტისტიზმიც, ამბიციურობაცა და მეოცნებეობაც თქვენში ძალუმადაა და ამიტომ, მაპატიეთ და თქვენთან პირად შეხვედრა ვუფროთხი”

მირიან იბერი შინაგან ყოყმანს ჰყავდა შეპყრობილი. სტალინთან შეხვედრამდე სულ მირე დრო რჩებოდა, მას კი ვერ გადაეწყვიტა უნდოდა თუ არა სტალინთან შეხვედრა. მასთან შეხვედრა და საუბარი სურდა თუ არ სურდა? ეს იყო ბოლომდე მოსაჩხრეკი და გამოსაძიებელი. სტალინი მის თვალთახედვითაც მსოფლიო ისტორიის უდიდესი პიროვნება იყო, მაგრამ იგივე კაცი იყო ავტორი მსოფლიო ისტორიაში სწორუპოვარი მასშტაბის რეპრესიებისა. იგი გენიოსია, ააშენა ის, რასაც სოციალიზმი უწოდა, მაგრამ რაც რეალურად, ნამდვილად, ჰო, ჰო, რეალურად და ნამდვილად არ არის სოციალიზმი. მან ააშენა ის, რაც მისი აზრით, მისი გაგებით, მისი მსოფლმხედველობით ერთ ქვეყანაში აშენებული სოციალიზმია, მაგრამ მე ვერ ჩავთვლი ამ ფენომენს სოციალიზმად. იგი პრაქტიკულად

განხორციელებული, პრაქტიკად ქცეული სტალინიზმია. “მე ბევრი რამ მაქვს სტალინთან სადავო, თუმცა სადავოდ და საკამათოდ არ ვხდი იმ გარემოებას, რომ იგი გენიალური პიროვნება და მოღვაწეა, რომ მან განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის მსოფლიო ისტორიაში”. ამ აზრმა წამიერად შეუფერხა აზრთა დინება, მერე სტალინის სამუშაო ოთახის კარს მიაპყრო მხერა და გონებაში სტალინის დახასიათება გააგრძელა. “სტალინი ის კაცია, რომელიც ადამიანი-შემოქმედის ცნებას ზუსტად ემთხვევა და გამოხატავს. მან მსოფლიო ისტორიის მთელ მანძილზე ყველაზე ხელშესახებად, ყველაზე ძირეულად და ყველაზე არსებითად შეცვალა მსოფლიო. ეს არ გაუკეთებია არც ალექსანდრე მაკედონელს, არც ჩინგიზ-ხანს, არც ნაპოლეონს. ამასთან სტალინის მოღვაწეობის ასპარეზი იყო არა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, არა მხოლოდ მსოფლიოს ერთი ნაწილი, არამედ პირდაპირ თუ არაპირდაპირ მთელი მსოფლიო, იმ სივრცეს, რომელსაც სტალინი გადაწვდა ვერც მაკედონელის, ვერც ჩინგიზ-ხანისა და ვერც ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი სივრცე ვერ შეედრება. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ისიც, რომ სტალინი არცერთ მის მიერ წამოწყებულ საქმეში არ დამარცხებულა, მსოფლიოს დიდი ისტორიული პიროვნებებიდან მხოლოდ მასზე შეიძლება ითქვას – ყველა საქმეში გამარჯვებული ისტორიული პირი და ამ ტერმინში, ესე იგი ამ ცნებაში. “ყველა საქმეში” იგულისმება: ლენინთან ერთად ახალი ტიპის პოლიტიკური და რევოლუციური პარტიის შექმნა, ჩამოყალიბება, საბოლოო ფორმირება და მისი ხელმძღვანელობა ბოლშევიკური პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე, ლენინთან ერთად მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა და მისი ხელმძღვანელობა ამ სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე, რაც თავის თავში იტევს და გულისხმობს სამოქალაქო ომში გამარჯვებას, ახალი, ახლებური სახელმწიფოს აშენებას, ახალი კონსტიტუციის დაფუძნებას, ყოველგვარ შიდაპარტიულ ოპოზიციაზე გამარჯვებას, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნას. ცალკე უნდა გამოვეყოთ სტალინის გამორჩეული თეორიული მოღვაწეობა. ამ სფეროში სტალინის ძირითადი დამსახურებაა ის, რომ მან ლენინიზმი აქცია თეორიულ სისტემად და შექმნა შრომების კორპუსი, ომელიც აღიარებულია მარქსისტული ფილოსოფიის მწვერვალად. აი, ამ კარის მიღმა – მირიანმა ისევ გახედა სტალინის სამუშაო ოთახის კარს- ახლა ზის კაცი მეოცნებე, ამვე დროს ძალიან ფხიზელი მეცნიერიცდა პოლიტიკური მოღვაწეც. ძნელია მასთან შესვლა, მაგრამ უნდა შევიდე”.

- შებრძანდით!

პოსკრებიშევის ამ სიტყვამ გამოაფხიზლა მირიან იბერი. სტალინის კაბინეტის კარისკენ ხელგაშვერილი ალექსანდრე პოსკრებიშევი თავზე დადგომოდა. ისე წამოდგა და ისე გადადგა ნაბიჯი სტალინის სამუშაო ოთახისკენ, რომ აღარ ახსოვდა ფიქრში რა კითხვა შეარჩია სტალინისთვის.

კაბინეტის კარის ზღურბლზე გადააბიჯა და სტალინთან შევიდა.

თავდაპირველად არაფრისთვის არ მიუქცევია ყურადღება, არც კაბინეტის ინტერიერისათვის, არც კაბინეტის ავეჯისათვის, სტალინზე ჰქონდა მხერა მიბჯენილი. სტალინი ფეხზე იდგა, გენერალისიმუსის კიტელი ეცვა, მარჯვენა ხელში გაწყობილი ჩიბუხი ეკავა. სტალინი უფრო თეთრი, ჭაღარამორეული იყო, ვიდრე უკანასკნელი ხანის გაზეთებში ხედავდნენ.

მირიანი მაგიდასთან შეჩერდა.

- გამარჯობათ, ამხანაგო სტალინ!

სტალინმა თავი დაუქნია. იბერი დააკვირდა, სტალინი მის უცნაურ ჩაცმულობას მიხერებოდა. მირიანს პატიმრის უნიფორმა ეცვა.

- დაბრძანდით – ბელადის საწერ მაგიდასთან ახლოს მიდგმულ სკამზე მიუთითა სტალინმა – მე არ შემიძლია ადამიანს ველაპარაკო ისე თუ მისი ვინაობა, პროფესია და საქმიანობის ადგილი ზუსტად არ ვიცი. ეს

ჩვევამ, მაგრამ ათეული წლებით შემოწმებული ჩვევა, ვფიქრობ, რომ სწორედ ვიქცევი. ვინ ხართ?

- მე ვარ მირიან ტიციანის ძე იბერი, ქართველი, განათლებით ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, ამჟამად რუსთავის პოლიტპატიმართა კოლონიის პატიმარი.

- პატიმარი? – გაოცების ეს სიტყვა ქართულად წარმოთქვა სტალინმა

- დაბრძანდით! – ელახლა მიუთითა სკამზე, შემდეგ კი ისევ

გააგრძელა გაოცების გამოსატყა – პატიმარი აქ როგორ შემოვიშვებს? რატომ დაგაპატიმრეს? ფილოსოფოსს, ალბათ, იდეოლოგიურ მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის დაგაპატიმრებდნენ.

ასეთი ჩაკითხვა ისე მოულოდნელი იყო, რომ მირიანი დაიბნა.

- არა, ამხანაგო სტალინ! მე არ მინდოდა ჩვენი საუბარი ამით

დაწყებულიყო, მაგრამ რადგან აქედან დავიწყეთ, მე ჩემი უნდა გითხრათ: არ ვიცი რატომ დამაპატიმრეს, ტყვედნამყოფი ვარ, მაგრამ დანაშაული არაფერი ჩამიდენია. – თქვა მირიანმა და სტალინს გაუსწორა მხერა.

სტალინი წამენტო.

- ჩვენს ქვეყანაში უდანაშაულოდ არავის აპატიმრებენ.

- რადგანაც ჩემი ახლანდელი მდგომარეობით დავიწყეთ, მაშინ ნება

მომეცით მოგახსენოთ და პატივი დამდეთ და მომისმინეთ. 1941 წლის ივნისის ბოლოს, ომის დაწყებისთანავე, დამატყვევეს გერმანელებმა ბელორუსიაში, ჭაობებში ჩავიფალი და ჩემი დატყვევება უკვე აღარაფერ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. მეორე ორი წელი გერმანიაში ტყვეთა ბანაკში გავატარე. შემდეგ საფრანგეთში გადაგიყვანეს, მარსელის რკინიგზის სადგურზე ვმორიგეობდით, მცირე ხნის შემდეგ იქიდან გავიპარეთ და წინააღმდეგობის მოძრაობას შევეურთდით. დე გოლის არმიაში ბრძოლისათვის სამჯერ დამაჯილდოვეს. 1945 წელს ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ ბრესტში ჩამოგიყვანეს. აქ მატარებლიდან ჩამოსულეხს, რაც გვებადა ჩამოგვართვეს და ხუთი წლით ვროკუტაში გადაგვასახლეს. ხუთი წლის გასვლის შემდეგ 1950 წელს გაგვათავისუფლეს. მეგონა, ასპირანტურაში შეწყვეტილ სწავლას გავაგრძელებდი, არ დამაცალეს, 51 წელს ხელახლა დამაპატიმრეს და ომის დროინდელი ტყვეობისათვის ახალი სასჯელი, 25 წლიანი პატიმრობა გადამიწვეიტეს. ახლა რუსთავში, პოლიტპატიმართა კოლონიაში ვიხდი ამ სასჯელს. მესამე წელია ვფიქრობ და გერმანელთა მიერ ჩემი დატყვევება და ჩემი სასჯელი ერთმანეთთან ვერ დავაკავშირე. თქვენ თქვენი ნებით მთელი თქვენი ახალგაზრდობა რევოლუციურ მოძრაობაში გაატარეთ, მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე – აქამდე მისულმა მირიანმა სტალინს გახედა. ბელადი მთელი გულისყურით უსმენდა, “ალბათ, მერე აზვავდება” გაიფიქრა მირიანმა და განაგრძო – მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე, არა ჩემი ნებით, არა ჩემი ნებით, ვიღაცის კარნახით, ვიღაცის ნებით ტყვეობაში, მონობაში, დათრგუნულ და დამორჩილებულ მდგომარეობაში გავატარე. ვერავითარი სურვილი, ოცნება და წარმოსახვა ვერ შევისრულე, რაც მთავარია ვერავის ვერ დავუსაბუთე, რომ მთელი ცხოვრება უდანაშაულოდ ვიტანჯებოდი. არასდროს არაფერი არ დამიშავებია ჩემი სახელმწიფოს, ჩემი მთავრობის და ჩემი სამშობლოს წინაშე. ტყვეობითაც ბელორუსიის ჭაობებში დამატყვევეს, ტყვედ კი არ ჩავბარებივარ, ფაშისტებმა ჭაობში ჩაფლული ამომათრიეს, გარდუვალი სიკვდილისგან დამიხსნეს, მაგრამ თურმე იქ დავღუპულიყავი ჯობდა. მრავალი მილიონი მებრძოლისათვის ომი ევროპაში და იაპონიაში 1945 წელს დასრულდა, ჩემთვის კი, ჩემთვის და კიდევ ზოგიერთი ჩემი მეგობრისთვის, რომლებიც ახლა ჩემთან ერთად იხდიან სასჯელს, ომი, დამატებით მე-8 წელია გრძელდება. ვის ნებას მიეწერება ომის ამდენწლიანი გავრძელება? – ის კითხვა დასვა მირიანმა და ისევ სტალინს შეხედა.

სტალინს ჩიბუხი გაეჩაღებინა. “ამ კითხვას რომ ვუპასუხებ, ალბათ, გაცეცხლდება” – გაიფიქრა იბერმა. არ უნდოდა მისთვის რაღაც უსიამო და უამური ეკადრებინა, მაგრამ საუბარი ისე აეწყო, რომ უსიამობას ვერ გაექცეოდა. იბერის წამიერ პაუზაზე სტალინმა თავი ასწია.

- ვის ნებას? – იკითხა და ისევ ჩიბუხს მიუბრუნდა.
- ეს გაგრძელება მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ნებით ხდება. ვერავითარი

ბრალდება ვერ დამიმტკიცა სასამართლომ, ვერავითარი, ტანჯვა კი გრძელდება. ტანჯვა, რომელიც 1924 წელს დაიწყო კვლავაც გრძელდება, უკვე ოცდაათი წელია. “ნეტავი რამეს მკითხავდეს 24 წლის თაობაზე” გაიფიქრა მირიანმა და სტალინმაც იკითხა:

- 1924 წელს, ალბათ, თქვენს ბავშვობაში, რა მოხდა?
- მამა და დედა ორივე დააპატიმრეს, ისინიც უდანაშაულოდ, ოცდამეათე

წელია მე თქვენი ნებით, თქვენი ბრძანებით, თქვენი გადაწყვეტილებით – მირიანი უკვე აღარაფერს ერიდებოდა – განუწყვეტელისტრესით ვარ შეპყრობილი, ნუთუ მე მხოლოდ იმიტომ ვერ უნდა ვიქორწინო ჩემს საბედოზე, იქნებ მე იმიტომ უნდა ამომხდეს სული, რომ თქვენ ისტორიას შერჩეთ? არა, მე არ შემიძლია ამის პატიება.

სტალინმა მის საწერ მაგიდაზე სუფთა ფურცელი მონახა, წითელი, მსხვილი ფანქარი მოიმარჯვა, რაღაც ჩაიწერა და თქვა:

- აი, ჩავინიშნე იბერი მირიან ტიცვიანის ძე, რუსთავის პოლიტპატიმართა

კოლონია, შენს საქმეს მიხედავენ, გასინჯავენ, გადაამოწმებენ, შედეგს შეიტყობ. – მერე მაგიდის უჯრა გამოაღო, ფურცელი შეინახა და ისევ მიუბრუნდა სტუმარს: - თქვენ წელან ახსენეთ ფილოსოფიის ფაკულტეტი დაგამთავრე და ასპირანტურაშიც ჩავირიცხეო, ფილოსოფიის რომელ დარგში?

- ლოგიკაში, უფრო სწორედ და ზუსტად დიალექტიკურ ლოგიკაში.
- ო ო , ეს უჩვეულო ამბავია, ვინ იყო თქვენი ხელმძღვანელი?
- პროფესორი სავლე წერეთელი
- გამიგონია, მსმენია მის შესახებ, დასანანია თუ ომის 5 წელი და

ომის შემდგომ 7 წელი მოწყდით თქვენს პრობლემას, რა თემაზე მუშაობდით? - დისაერტაცია უნდა გამეკეთებინა “ცნების ლოგიკური და გნოსეოლოგიური ასპექტების თანაფარდობის შესახებ” . . . – იბერს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სტალინმა შეაწყვეტინა.

- საინტერესოა, ძალიან საინტერესოა . . . – პაუზის შემდეგ სტალინმა თქვა:

- ახლა მეც გეტყვი ისეთ რამეს, რამაც შეიძლება თქვენც დაგაინტერესოს, არა, შეიძლება კი არა, უსათუოდ დაგაინტერესებთ. უსათუოდ, აი, ამ ფურცლებს ხომ ხედავთ – მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებს დაადო ხელი – ახალ ნაშრომს ვწერ და იცი რას ეხება ეს ნაშრომი – დიალექტიკურ ლოგიკას . . .

განაგონმა სიხარული და მღელვარება ერთად მოგვარა მირიანს, მღელვარებამ უცნაურად უბიძგა და ფეხზე წამოაგდო.

- დიალექტიკურ ლოგიკას? – ვერც სიხარული და ვერც მღელვარება ვერ დამალა იბერმა.

- დიახ. დიალექტიკურ ლოგიკას! დაბრძანდით და დამშვიდდით! თუ ამასაც ვერ მაპატიებ?- სტალინის შეკითხვა ირონიის მაღალ დოზას იტევდა.

მირიანი შეცბა. მოაგონდა წელან მის მიერ უტაქტოდ ნათქვამი “ამას ვერ გაპატიებთ”. მაგრამ ისიც მოაგონდა ორიოდ კვირით ადრე მასთან კოლონიაში სანახავად მოსულმა რომან შენგელიამ რომ უთხრა: “მირიან ხმები მოვიდა, რომ ამხანაგი სტალინი ახალ ნაშრომს ამზადებს, ამჯერად

დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე. ალბათ, შენს მომავალ სამეცნიერო მუშაობასაც გარკვეულად წაადგებ.” აჰა, ახლა თვითონ სტალინისგან მოისმინა დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე ნაშრომს ვამზადებო.

“თვითონ ვის აპატიო შეცდომა, რომ მე ვაპატიო?” უცებ, თვითონ მირიანისთვისაც მოულოდნელად აფთარივით ეცა ბოღმა “არა, კი მიყვარს, ძალიანაც მიყვარს, მაგრამ იმას ვერ ვაპატიებ, რომ მე მონად მთვლის, მონად, თანაც მონად არა ანტიკური გაგებით, არამედ რუსული გაგებით, სადაც მონათმფლობელს მონაზე უსაზღვრო ბატონობა ჰქონდა მინიჭებული. აქ მარტო შეცდომასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ შეგნებულ, გააზრებულ მოქმედებასთან, ანუ იგი შემცოდვა ჩემსა და ჩემნაირების წინაშე, ამიტომაც”.

და მერე, უცებ ხმამაღლა თქვა:

- არა, პატიება არა. ეს სრულიად ზედმეტია, მაგრამ თქვენთან ბევრი მაქვს სადავო . . . – მაინც ვერ გაუძლო სულზე შემოწოლილ ნაღველს, მაინც თქვა ის, რაც შეიძლება სახიფათოც იყო და რაც შეიძლება უსასრულო მონობად გადაქცეულიყო.

- სადავო? რა გაქვთ სადავო, გისმენთ, ნუ გეშინიათ, მითხარით.

- ბოლომდე მომისმენთ?

- ბოლომდე.

- არ შემაწყვეტინებთ?

- არა, არა და არა – სტალინის ხმას გაღიზიანება დაეტყო.

- მაშ, მომისმენთ . . . თუ შეიძლება ფეხზე ავდგები, მირჩევნია.

- კარგი, ოღონდ ერთი წუთით მაცალეთ . . . სტალინმა მაგიდაზე რაღაცას თითი დააჭირა, ოთახში პოსკრებიშევი შემოვიდა, ველადმა უჯრიდან ამოღებული კონვერტი გაუწოდა და უთხრა – როცა ამ საქმეზე მოვლენ, ეს გაატანე, თუ ვინმე ძალზე საჭირო კაცი შეგვაწუხებს, დაიცდიან, ჯერ არ მცალია – და მერე, როცა პოსკრებიშევი კარი გაიხურა სტალინმა ყალიონი ისევ გააჩაღა და მირიანს კიდევ ერთხელ მოუწოდა – დაბრძანდით – თან დაამატა – გისმენთ!

- თუ შეიძლება ფეხზე ვიდგები, ასე უფრო მოხერხებულად ვარ – და როცა სტალინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მირიანმა განაგრძო: - მე პროფესიით ფილოსოფოსი ვარ და ჩემი მთავარი საქმიანობა ფიქრია, სწორედ ამ განუწყვეტელმა ფიქრმა დააგროვა ჩემს ცნობიერებაში კითხვები, რომლებზედაც პასუხის გასაცემად აუცილებლად ჩავთვალე თქვენთან შეხვედრა. ჩემს გონებაში დაგროვილ და დაფორმებულ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ თქვენ და მარტო თქვენ შეგიძლიათ. დღევანდელი მსოფლიო სიტუაციის ავტორი, მისი შემოქმედი და შემქმნელი თქვენა ხართ. მთელს თქვენს სახელმწიფოში, ანუ როგორც ფიქრში ვუწოდებ – თქვენს იმპერიაში – ამ სიტყვის გაგონებისას ფეხზე მდგომმა სტალინმა რაღაც უესტი გააკეთა, უესტი თუ მოძრაობა, მირიანმა ვერც მაშინ გაარკვია და ვერც ახლა არკვევს რას გამოხატავდა ის უესტი, მაგრამ სტალინს თქმით არაფერი უთქვამს და მირიანმა განაგრძო – თქვენს იმპერიაში და შეიძლება ითქვას იმპერიის გარეთაც ყველაფერი თქვენი ნებით ხდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – თქვენი ნებით, ეს ის ნებაა, რომელიც დროთა კავშირს მართავს, განსაზღვრავს, სახეს აძლევს და განაპირობებს.

- აჭარბებთ! – გამოსცრა სტალინმა.

- არ ვაჭარბებ, ზუსტად ვამბობ, ზუსტად გამოეთქვამ. ეს ის ნებაა, რომელსაც ერთადერთს უფლება აქვს განსაჯოს და დასკვნები გააკეთოს, რომელიც აჯილდოებს და რომელიც შერისხავს, რომელიც გზას უჩვენებს არა მარტო სხვა ადამიანებს, არამედ სხვა პარტიებსაც, სხვა სახელმწიფოებსაც, მეცნიერებსაც, მსოფლიოს უჩვენებს გზას, მსოფლიოს. თქვენ, ალბათ გაგაოცებთ ჩემი ამგვარი მსჯელობა, ალბათ გიკვიროთ, რომ

საბჭოთა ფილოსოფოსი, რომელიც აღზრდილია მარქსიზმის კლასიკოსების შრომებზე, მარქსის, ენგელსის და ლენინის შრომებზე, რომელიც ზედმიწევნით იცნობს თქვენს შრომას “დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ”, როგორ შეიძლება ასე ფიქრობდეს, ასე აზროვნებდეს, ასე მსჯელობდეს, შეიძლება, ამხანაგო სტალინ, შეიძლება. მე მაქვს ჩემი არგუმენტები, ჩემი საბუთები. შეიძლება და სწორედ ესაა ჩემი არსებითი სადავო. ძალიან გთხოვთ, აზრი არ შემაწვევტინოთ და მე მგონია, მივაღწევ, რომ დამეთანხმოთ.

- როგორ, ერთი კაცის ნება წყვეტს ყველაფერს, საიდან მოდის ეს აზრი? – ჩიბუხის ბოლს ამოაყოლა ეს სიტყვები სტალინმა.

მაგრამ მირიანს უკვე განწირული ჰქონდა თავი.

- წყვეტს, ამხანაგო სტალინ, ერთი კაცის ნება წყვეტს, ვეცდები ეს აზრი დავასაბუთო, ოღონდ მაცალეთ და ბოლომდე მომისმინეთ.

- გისმენთ მეტს აღარ შეგაწვევტინებთ. – სტალინი იღიმებოდა.

მირიანმა განაგრძო:

მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი სინამდვილეს განიხილავს დიფერენციაციის გარეშე და ამიტომ თვლის, რომ მთელი სინამდვილე ობიექტური გარკვეულობაა, რომელიც ობიექტურ კანონებს ექვემდებარება. მარქსისტული მატერიალიზმი, ამ აზრით, აბსოლუტური მატერიალიზმია. ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმი მარქსიზმში შეცვალა აბსოლუტურმა მატერიალიზმმა. აბსოლუტური მატერიალიზმი, რომელიც მთელი სინამდვილის სუსტანციად მატერიას აღიარებს, ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს და რომელიც შემდგომში ლენინისა და თქვენს შრომებში განვითარდა, ძალზე მარტივად რომ ვთქვათ, სწორი არ არის. არსებითი მომენტი, რაც ამ კონცეფციის არასისწორეს თავიდანვე განაპირობებდა, ისაა, რომ მარქსიზმში სინამდვილე აღებულია, გააზრებულია, წარმოდგენილია როგორც ერთიანი, მთლიანი, შინაგანი დანაწევრებისა და დიფერენციაციის გარეშე. მხედველობაში არაა მიღებული, რომ სინამდვილე, რეალობა, ერთი მხრივ, შედგება ადამიანისაგან (ადამიანებისაგან და ადამიანთა საზოგადოებისაგან) დამოუკიდებელი, ე.წ. ობიექტური რეალობისაგან, ბუნებისაგან, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა და წინ უძღოდა ადამიანისა და საზოგადოების წარმოქმნას და, მეორეს მხრივ, სინამდვილისაგან, რომელიც საერთოდ სინამდვილის ნაწილია, საერთოდ რეალობას განეკუთვნება, მაგრამ პირველი რეალობისაგან – ბუნებისაგან, განსხვავებულია არსებითად იმით, რომ იგი ადამიანის შექმნილია. ეს მეორე სინამდვილე ანტროპოცენტრული სინამდვილეა, კულტურაა, ამდენად, მარქსიზმის მიერ მოაზრებული სინამდვილე – ეს იყო სინამდვილისადმი ძალდატანების შედეგად მიღებული სინამდვილე, სინამდვილის ანალიზისას მარქსიზმს მხედველობაში არ ჰქონდა მიღებული ის სპეციფიკური, ის ძირეული თავისებურება, რითაც მეორე სინამდვილე პირველი სინამდვილისაგან განსხვავდება. ეს განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი სინამდვილე (ბუნება) ან შექმნილია ზებუნებრივი (ღვთაებრივი) საწყისის ნებით ან არსებობს სტიქიური საწყისის საფუძველზე, ხოლო მეორე სინამდვილე (კულტურა) ეფუძნება ადამიანის ცნობიერებას, ადამიანის გონს. ადამიანს, როგორც თავისუფალ შემოქმედს, უნდა ითქვას, რომ ჩვენს დროში არსებული ცოდნის დონეზეც კი პირველი სინამდვილის სუბსტანციის გარკვევა, მისი დასაბუთებული წარმოდგენა ჯერ კიდევ ძნელია, ხოლო მეორე სინამდვილის კულტურის სუბსტანციის დადგენა შესაძლებელია აბსოლუტური სიზუსტით. ესაა ადამიანის ცნობიერება, გონი, აზრი. მარქსიზმის მიერ ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმის აბსოლუტური უარყოფის ბაზაზე აღმოცენებულმა აბსოლუტურმა მატერიალიზმმა ვერ აგვიხსნა ან მცდარად აგვიხსნა სინამდვილის მეორე სფერო და ამდენად, საბოლოო ანგარიშში ვერ

მოახერხა სინამდვილის ახსნა. არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს მარქსიზმს არ წამოეყენებინოს არც ერთი დებულება ადამიანის მოქმედების თავისებურებათა დასახასიათებლად. ასეთია, მაგალითად კარლ მარქსის მიერ “კაპიტალში” წამოყენებული დებულება, რომ შრომა მიზნობრივი მოქმედებაა, ან დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანები თვითონ ჰქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს დებულებანი ვერ და არ ქმნიან მოძღვერბას ანტროპოცენტრული სინამდვილის-კულტურის შესახებ. მარქსიზმმა სინამდვილის ანალიზისას მხედველობაში არ მიიღო მეორე სინამდვილის სპეციფიკა და ვერ შეძლო სინამდვილის ახსნა. მარქსისტული მატერიალიზმის საფუძველზე კულტურა არ აიხსნება, ე.ი. ვერც გაიგება და ვერც გაიაზრება.

არა და კულტურა იგივეა რაც საზოგადოება. ეს ორი რამ შინაარსით ერთმანეთს ემთხვევა. ისინი იგივეობრივ გარკვეულობებს წარმოადგენენ. საზოგადოებაში არ მოქმედებს არცერთი ობიექტური კანონი. საზოგადოებას აწესრიგებენ ნორმატიული კანონები, რომელთაც ადამიანის გონი ჰქმნის და სხვა ადამიანებზე გაბატონებული ადამიანის ცნობიერება საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირეული მომენტის სტატუსს ანიჭებს. ისტორიული მატერიალიზმის უკანასკნელი თავშესაფარია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების და მათ შორის თქვენი მტკიცებაც იმის შესახებ, რომ საზოგადოების განვითარების საფუძველს წარმოადგენს წარმოება, მაგრამ მარქსიზმი თითქმის უპასუხოდ ტოვებს კითხვას თუ რა იწვევს თვითონ წარმოების ძირითადი ფაქტორის, წარმოების იარაღების განვითარებას. თქვენ თქვენს შრომაში “დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ” დეტალურად აღწერეთ წარმოების იარაღების განვითარების სურათი მსოფლიო ისტორიის მთელ მანძილზე, მაგრამ, ნუ განაწყნდებით, მატერიალისტური პოზიციის გამო ვერ მიუთითეთ, რომ წარმოების იარაღები ვითარდება ცნობიერების, გონის, აზრის ბაზაზე. ის მოსაზრება, რომ საწარმოო ძალებისა და წამოებით ურთიერთობათა დიალექტიკური მიმართება წარმოადგენს წარმოების იარაღების განვითარების საფუძველს, ამ შემთხვევაში, ამისწინააღმდეგ ვერ გამოდგება. და რადგან ყველაფერი ეს ასეა ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ საზოგადოების მოძრაობა – განვითარებაში სუბსტანციის როლი, საწყისის როლი და პირველმიზეზის როლი მიეკუთვნება ადამიანის ცნობიერების, გონებას, აზრს. თქვენ თქვენი პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში მიღწეული წარმატებების ფონზე სრულიად თავისუფლად შეგეძლოთ ამ დებულებით შეგეცვალოთ მარქსისტულ ისტორიულ მატერიალიზმში არსებული მოსაზრებანი საზოგადოების განვითარებაში ძირეული მომენტის შესახებ. ვინ მართავს ჩვენს საზოგადოებას? ცხადია, კომუნისტური პარტია. პარტია განაგებს ჩვენში ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას, პარტია კი იმართება მისი გენერალური მდივნის მიერ, ამიტომაც ყოველ საზოგადოებრივ ცვლილებებზე, ქმნილებაზე და მოძრაობაზე მორალური, პოლიტიკური და სხვა ყოველგვარი პასუხი თქვენ მოგეთხოვებათ. იმაზეც, მე რომ ტყვეობისთვის მეორედ დამაპატიმრეს და უდანაშაულო კაცს 25 წელი მომისაჯეს.

თავი ასწია მირიანმა.

სტალინი გადაფითრებულიყო.

- ამ სასჯელის გამო ხომ გითხარით გაარკვევენ და . . .

- ახლა კი გაარკვევენ, მაგრამ რა საჭირო იყო აქ ჩემი მოსვლა . . .

- ახალგაზრდავ, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი . . . რაც თქვენ

აქამდე თქვით, ესაა ზოგადი შენიშვნა მარქსისტულ მატერიალიზმზე. შეიძლება თქვენი ნათქვამი რაღაც სიმართლის მარცვალს მოიცავდეს, მაგრამ თქვენც უნდა იცოდეთ, რომ მეცნიერული სოციალიზმი ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან მიღებული დასკვნაა და ამ თეორიის ხელყოფას

მე არავინ მომიტყუებდა. ესაა ჩემი პასუხი, ახლა შენ შენებურად განსაჯე. სხვა რა გაქვს სასაყვედურო, ხომ დაგპირდი ბოლომდე მოვისმენ მეთქი? გისმენო.

- ვიცი, რომ დამპირდით, მაგრამ თქვენ გგონიათ, ადვილია? თქვენ, რომელმაც რამდენიმე მილიონი კაცი გაანადგურეთ, ლენინის დროინდელი პოლიტიბურო მოსკოთ, პარტიის ძველი ცენტრალური კომიტეტი და პარტიის ძველი კადრები სასიკვდილოდ გაიმეტეთ, ახლა მე დამინდობთ?

- აქ მოსვლამდე არ გიფიქრიათ ამაზე? – სტალინის ღიმილი ახლა არ იყო არც არტისტული, არც ამბიციური, არც მეოცნებე კაცის ღიმილი. იგი რაღაც ბოროტს, არა, რაღაც კიდევ უფრო სხვას, გამოუთქმელს შეიცავდა თავის თავში.

- მიფიქრია და ახლა უკვე თავგანწირული კაცი გელაპარაკებათ. რამოდენიმესაკითხზე მინდა თქვენი მოსაზრებანი გავიგო.

- პირველი საკითხი ეხება შემეგს: ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების თანავე რატომ შეცვალა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ეროვნულ საკითხში თავისი სწორი და პრინციპული პოზიცია ერთა თვითგამორკვევის შესახებ, რომელიც გულისხმობდა ერთა გამოყოფას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბებას და სხვა ერების მიმართ რატომ მიუბრუნდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას? ეს რადიკალური ცვლილება ეროვნული პოლიტიკის დარგში ყოველთვის მოჰყავთ იმის კლასიკურ მაგალითად, რომ რუსეთის კომპარტიას არ შეიძლება ენდო თავის ნათქვამ სიტყვაზე, რომ საბჭოთა მთავრობა უსაბუთოდ იცვლის პოზიციას და ა.შ. ეს იყო 1924 წელს საქართველოში მოხდენილი თუ მხოლოდ ჩაფიქრებული აჯანყების გამო 10 წლით გადასახლებული და 1934 წელს საქართველოში მობრუნებული მამაჩემის ძირითადი არგუმენტი კომუნისტების უპირობის დასაბუთებისათვის. ის, რასაც ბოლშევიკები ასე დაბეჯითებით ამტკიცებდით მთელი ცხრაასიანი და ცხრაათიანი წლების მანძილზე. რევოლუციის შემდეგ ისევ თქვენივე ნებით, ლენინისა და თქვენი ნებით ერთბაშად შეიცვალა და პარტია სხვა გზას დაადგა ეროვნული საკითხის მოწესრიგების საკითხში. რუსული შოვინიზმი ამოდრავებდა ლენინსაც და თქვენც, როცა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ათიანი წლების ბოლოს დადებული მშვიდობიანი ცხოვრებისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებები ვერაგულად დაარღვიეთ 1920 წლის ბოლოსა და 1921 წლის დასაწყისში და ბაქოში, ერევანსა და თბილისში თანმიმდევრობით საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეთ. რუსეთის მე-11 არმია პირწავარდნილი დამპყრობელი არმია იყო. სრულიად სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ 1945 წელს მანჯურიაში საიდანდაც მოხვედრილი მეფის რუსეთის არმიის ოფიცრები თქვენს სადღეგრძელოს სისტემატიურად სვამდნენ, რადგანაც თქვენ მიაჩნდით მეფის რუსეთის იმპერიულ ზრახვათა და გეგმათა ბოლომდე მიმყვანად და შემსრულებლად. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის ბრძოლა გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ, საერთოდ სამართლიანი იყო, მაგრამ ამ საერთო სამართლიანობის ფონზე კენიგსბერგის გასაბჭოება და მისი კალინინგრადად გადაქცევა, ისევე როგორც კურილიის კუნძულების შეერთება საბჭოთა კავშირთან, ცხადია, სადავოა და შეიძლება ანექსიის კლასიკურ მაგალითად ჩაითვალოს.

მე არ შემიძლია ისიც არ ვთქვა, რომ კენიგსბერგი გერმანელებისათვის ისეთივე მნიშვნელობისა და ღირებულების ქალაქია, რაც ქართველებისათვის მცხეთაა. ვინ იძლევა იმის ნებას, რომ ქალაქი, სადაც ფრიდრიხ დიდი მოღვაწეობდა და სადაც კანტი თავის კრიტიკების სისტემას ჰქმნიდა, რუსულ ქალაქდ გამოვაცხადოთ? მაგრამ თქვენთვის ეს პრობლემა არ დგას, არ დგას, რადგანაც თქვენი ნებაა ყველაფრის სათავე, ყველაფრის საწყისი და დასაწყისი, ყველაფრის სუბსტანცია. ამის ისტორიული გამოცდილებაც გაქვთ. თქვენი ნება იყო გადამწყვეტი, მხოლოდ თქვენი ნება,

როცა რუსეთმა 1921 წელს საქართველოს ხელახალი ანქსია მოახდინა, დაიპყრო, დაიმორჩილა, გაუბატონდა. ხელში ჩაიგდო და მისი საბოლოო გარუსებისთვის იღწვის. თქვენს მიერ მოწყობილი და ჩადენილი ეს აქტი უდიდესი ცოდვია და მას შენდობა არ შეიძლება ჰქონდეს. არა, ეს არ იყო ლენინის დავალება, ლენინს არ ჰქონია ასეთი განზრახვა, ყოველ შემთხვევაში მაშინ, იმ დორს, იმ ეპოქაში, იმ წლებში – არა. ეს თქვენ ორი, სამშობლოს მოღალატე ორი ქართველი, თქვენ და ესრეო ორჯონიკიძე აძალებდით, თავზე ახვევდით, შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავდით ლენინს და ბოლოს მაინც მიაღწიეთ მიზანს. ახალი რუსეთის მაშინდელმა გამგებელმა ბოლოს და ბოლოს თანხმობა მოგცათ საქართველოში შესვლაზე, საქართველოს ასაღებად მე-11 არმიის გამოყენებაზე და თქვენც ბაქოში დეპეშა გაუგზავნეთ ესრეო ორჯონიკიძეს, რუსულ-ქართული შერეული ტექსტით, რომ დაეჩქარებინა ლენინის თანხმობის პრაქტიკული გამოყენება და აეღო ქალაქი. ეს იყო სამშობლოს დაღატის ისეთი ხელშესახები და გამოკვეთილი ფორმა, რომელსაც საქართველოს ისტორიაშიც კი პრეცედენტი არა აქვს. ჯერ ვერავინ ვერ დაამტკიცა, რომ შაჰ-აბასის ჯართან ერთად გიორგი სააკაძის შემოსვლა საქართველოში დაღატი იყო. იგი თითქოს ჰგავდა დაღატს, მაგრამ მხოლოდ ჰგავდა და დაღატი არ იყო. თქვენი მოქმედება კი ისე იყო შენიღბული, რომ მასში დაღატის ამოკითხვა ფრიად ძნელი იყო, მაგრამ იგი მაინც დაღატი იყო, თანაც ვერაუღლად მოწყობილი დაღატი. თქვენ დაარღვიეთ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და ამავე დროს თქვენს მშობელ ქვეყანას შეუსიეთ უცხო ქვეყნის ჯარი, როცა დარწმუნებული იყავით, რომ ეს ჯარი თავისი ორგანიზაციის დონით და შეიარაღებით აუცილებლად დაამარცხებდა მენშევიკური საქართველოს არმიას. თქვენთვის ხომ ძნელი არ იყო იმის წარმოდგენა, თუ როგორ მოექცეოდა რუსეთი საქართველოს და მის უნიკალურ კულტურას? საქართველოს ხელახალი ანექსიის ერთადერთი ახსნა შეიძლება იმში ვპოვოთ, რომ თქვენ ვერ შეასრულეხდით პირველი რანგის ხელმძღვანელის როლს იმ ქვეყნებში, რომელშიც თქვენი სამშობლო არ იქნებოდა ნაგულისხმევი. თქვენ თქვენი თავი არ შეიძლებოდა წარმოგედგინათ ნაცმენის მდგომარეობაში. სამშობლო უნდა დაგეპყროთ, უნდა გაგეჩანაგებინათ იმისათვის, რომ თქვენი პრივილიგირებული მდგომარეობისათვის საკმაო საფუძველი შეგექმნათ. და საქართველო, რომელიც გადაურჩა წინანდელი იმპერიების მსახურულ ხელს და ცოცხალი გამოვიდა უმძიმესი კატაკლიზმებიდან, ახლა თქვენს უცნაურ ნებას და სურვილს უნდა შეეწიროს? თქვენ კარგად იცით, რომ საბჭოთა იმპერიის ხელში საქართველოს გაქრობა, მისი სიკვდილი გარდაუვალია, ეს დღეს თუ არა ხვალ მოხდება და თქვენ წახვედით ასეთ ავანტიურაზე იმიტომ, რომ თქვენი უკიდევანო ამბიციები დაკმაყოფილებულიყო? სხვა, ობიექტური საფუძველი ამ მოქმედებას არა აქვს. უეჭველად, გენიალური ჩანაფიქრი იყო სომხეთის სასახდგრო ტერიტორიაზე საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის შექმნა, შემდეგ მის წინააღმდეგ აჯანყების იმიტაცია და ბოლოს აჯანყებულთა დასახმარებლად რუსეთის მე-11 არმიის გადმოსროლა საქართველოში. რა არის უფრო დიდი და სრულფასოვანი სამშობლოს დაღატი, ის, რომ მე გერმანელებმა ჭაობში ჩაჩიხული და დასახრჩობად განწირული ამიყვანეს ტყვედ, თუ თქვენ რომ მშობლიურ ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს ჯარები შეუსიეთ.

- როგორ მიბედავ – სტალინი თავის მაგიდას მოშორდა, იგი ძლივს იკავებდა მოწოლილ ბოლმას – ეს ჩემთვის ჯერ არავის არ უკადრებია. ვინ ფიქრობს ასე?

მაგრამ მირიანც ძლივს იკავებდა თავს.

- ასე ფიქრობს ყოველი კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ ქართველად

მიანია თავი. სხვაგვარი ახსნა მე-11 არმიის საქართველოში თარეშს არ შეიძლება მიეცეს. თქვენი კაბინეტიდან მე, ალბათ, ცხადია ვერ გავაღწევ და ბარემ ბოლომდე ვთქვა რაც სათქმელია, რასაც იმსახურებ, რაც შენი ერისგან გეკუთვნის.

- ახლა ერთი წუთით შენც მოეგე გონს და მომისმინე. საქართველოს რუსეთთან შეერთება მე შევაფასე როგორც ნაკლები ბოროტება. გასსოვს? წაგიკითხავს?

მირიანმა თავი დაუქნია.

- პირველად რუსეთთან ჩვენი ქვეყნის შეერთება პროგრესულ მოვლენად ქართველმა რომანტიკოსებმა ჩათვალეს, კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა, მან ჯერ პოემაში “ბედი ქართლისა” შეაფასა ეს ფაქტი, როგორც ჩვენი ერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი, დადებითი და პროგრესული მოვლენა, მეორედ კი ლექსში “საფლავი მეფისა ირაკლისა”. ეს ყველაფერი იცი. ისიც ცხადია იცი, როგორ აფასებდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების სამოციანელები, დიდი ილია, დიდი აკაკი და დიდი იაკობ გოგებაშვილი. ჩვენ, ბოლშევიკებს რომ საქართველოში მე-11 არმია არ შემოგვეყვანა და საქართველო არ გაგვესაბჭოებინა, საქართველოში ახლა თურქეთი იქნებოდა გაბატონებული, არა, კარგად ვერ ვთქვი, ტაო-კლარჯეთით მთელი საქართველო ახლა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციად იქნებოდა ქცეული.

- იმას, რაც საქართველოსთვის თურქეთს შეიძლებოდა გაეკეთებინა, რუსეთი უფრო ფუნდამენტურად, უფრო საფუძვლიანად, უფრო გატაცებით აკეთებს. აქ მთავარი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც 1921 წელს თქვენი შთანაფიქრით წაერთვა საქართველოს.

- შენ სახიფათოდ ბევრი რამ გცოდნია. ის თუ იცი, ჩემს მოწინააღმდეგეებს ბოლოს რა მოუვიდათ?

- ვიცი, თანაც ძალიან კარგად. ვინც თქვენ გაწირეთ ყველას ვიცი რაც მოუვიდა.

სტალინი ახლა უკვე ოდნავ დაწყნარებული ჩანდა. მისმა სახემ ჩვეული სიმავე და ნაყვავილარი დაიბრუნა.

- ისიც გეცოდინება, რომ არსებობს ცნება “სიკვდილის გენეზისი”, იცი, ეს ცნება, იმაზე მიუთითებს, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილი ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია. იგი სადღაც, რაღაც მიზეზით, რაღაც საბაბით, რაღაც მოტივით იწყება და მერე ღრღნის სხეულს მანამ, სანამ არ დადგება გარდაცვალების მომენტი. ლენინი ამ შემთხვევაში კლასიკურ მაგალითად გამოდგება. მისი სიკვდილის გენეზისი 1921 წლიდან იღებს სათავეს, როცა მასზე პირველი თავდასხმა მოახდინეს. მის შემდეგ ლენინი ნორმალურად აღარ მოსულა გონს. არ გემუქრები, მაგრამ ჩემგან სიკვდილი აუცილებლად გეკუთვნის, იმითაც დაიმსახურე, რაც თქვი და იმითაც, რაც არ გითქვამს, მაგრამ ფიქრებში შემოინახე. დაიმსახურე, შენი სიკვდილის გენეზისი დღეს, ჩემთან შეხვედრისას იწყება, ისახება, იანგარიშება. – ეს თქვა სტალინმა და მისი სამუშო ოთახიც და თვითონ ბელადიც თითქოს ჩაიძირა, ოთახიც გაქრა და სტალინიც.

პოსკრებიშევის კაბინეტიც გაქრა და პოსკრებიშევიც.

სავლე წერეთელთან ბოლო შეხვედრაც თბილი იყო.

სავლემ წლევიანდელი მაისის პირველი კვირა დღეს მოაკითხა პოლოტპატიმართა კოლონიაში. პროფესორი მარტო არ იყო. თან ახლდა საშუალო თაობის ცნობილი ფილოსოფოსი გენო ცინვაძე და მირიანის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი რომან შენგელია. ბატონი სავლე ორმოცდაათ წელს მიღწეული, უკვე გაჭაღარავებული, საფრძნობლად მოსუქებული, ამიტომაც გარეგნულად შეცვლილი იყო. მაგრამ როგორც კი სტუმართა პაემანისთვის განკუთვნილ დარბაზში ბატონი სავლესა და მირიანის მზერა ერთმანეთს შეხვდა, პროფესორის სახეზე უმაღლ აინთო დიდი

ხნის ნაცნობი ღიმილი. წლების მანძილზე შეჩვეული და შეთვისებული ღიმილის ხელახალი ანთება იმის დასტური იყო, რომ ბატონი სავლე ძველებურად წრფელი გულით, ნათელი იმედებით და ლაღი განწყობით მოვიდა თავის ნამოწაფართან და უაღრესად საყვარელ მოწაფესთან. მოწაფესა და მასწავლებელს შორის პირველივე მზერის გასწორებამ ისევ აღადგინა მათ შორის წინანდელი შინაურული დამოკიდებულება. ბატონ სავლესთან მაისის იმ კვირა დღის საუბარი წინანდელი საუბრების ბუნებრივი გაგრძელება გამოვიდა.

სავლე წერეთელმა მირიანს მოკითხვის, გადაკოცნისა და პირველი მოფერების შემდეგ თანმხლები ფილოსოფოსები წარუდგინა იბერს:

- მირიან, შენ რომან შენგელიას გახსენება არ გჭირდება, ვიცით, რომ რომანი ხშირად დაღის აქ, პოლიტპატიმართა კოლონიაში, შენს სანახავად – ეს თქვა და მზერა ცინცაძეზე გადაიტანა – გენო ხომ გახსოვს, ეს გენო ცინცაძე.

- რას ბრძანებთ ბატონო სავლე, გენოს დავიწყება ჩემთვის წარმოუდგენელია – ეს თქვა მირიანმა, მერე გენოსაკენ გადადგა ნაბიჯი, გადაეხვია და გადაკოცნა – როგორა ხარ გენო, ძვირფასო, ბატონო სავლე – ისევ პროფესორს მიუბრუნდა მირიანი – გენოს თმა შეთხელებია, ცოტაოდენ შეჭადარავებია, სხვა მხრივ გენო იგივე გენოა, რაც ომის წინ იყო, მაშინ როცა ჩემი პირველი სამეცნიერო შრომის გამოცემაზე ზრუნავდა. ის-ის იყო მირიანი რომან შენგელიას გადაეხვია, რომ ყურში ჩაწვდა გენო ცინცაძის ნათქვამი:

- ერთი შენც, რომ ის ამბავი ისევ გახსოვს. – გენო ცინცაძე სახეზე წამოწითლდა. ეს გენოს თვისება იყო, როცა მასზე ვინმე კარგს ამბობდა თეთრგვრემან გენოს ერთბაშად გადაუვლიდა სიწითლე და დამორცხვებისაგან ადგილს ვერ პოულობდა.

სტუმართაგან გარეგნულად შეუცვლელი რომან შენგელია იყო. იგი ახლაც ისე გამოიყურებოდა, როგორც უნივერსიტეტის დამთავრებისას. რომანმა ერთი წლით მირიანზე ადრე დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი, მაგრამ მის უხვთმიან, დატენილ, ძვირფას ქოჩორს არაფერი არ ჰქონდა მოკლებული, ხოლო დიდრონი, მეტყველი, წყლიანი თვალები ისევ ნათელი შუქით ჰქონდა დამუხტული. რომანის სილამაზე ახლაც ძველებური, ნაღდი სილამაზე იყო.

- როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით – ახლა უკვე სამივე სტუმარს ერთად მიმართა მირიანმა – დაბრძანდით, დაბრძანდით! – სტუმრები პაემანისათვის განკუთვნილი მაგიდის მარჯვენა მხარეს ჩამოსხდნენ, მირიანი მათ საპირისპირო მხარეს ჩამოჯდა.

ერთხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს, ერთ მხარეს მე-20 საუკუნის შუა ხანების ქართული ფილოსოფიის სამი თვალსაჩინო წარმომადგენელი იჯდა. სავლე წერეთელი, გენო ცინცაძე და რომან შენგელია. მეორე მხარეს პოლიტპატიმარი მირიან იბერი. იმ დროს, როცა მირიანი გაასპირანტდა ვერაფრით ვერ მოიაზრებდა დროს, როცა სავლე წერეთელს დიალექტიკური ლოგოკის ძირითადი დებულებანი გააზრებული, განსჯილი და გამოქვეყნებული ექნებოდა, გენო ცინცაძეს წყვილადი კატეგორიებიდან ერთ-ერთ ურთულესზე აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიებზე მონოგრაფიული ნაშრომი გამოქვეყნებული და სადოქტორო დაცული ექნებოდა, რომან შენგელიას კანტზე განზრახული შრომის პირველი ნაწილი უკვე დასაბეჭდად იქნებოდა წარდგენილი. ხოლო თვითონ, კაცს, რომელსაც კარგ და ნათელ მომავალს უწინასწარმეყველებდნენ, არაფერი არ ექნებოდა ფილოსოფიაში გაკეთებული. არა, მირიანს კი არავისი არ შურდა, გული წყდებოდა. გული შეეკუმშა, მისი ავტორობით მხოლოდ ერთი სტატია იყო გამოქვეყნებული.

სწორედ ამ სტატიის გამო იყო მირიანისთვის გენო ცინცაძე დაუვიწყარი.

1940 წლის შემოდგომაზე, როცა იბერი თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში აბარებდა, გენო ცინცაძეს ფილოსოფიის ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკის შტატი ეკავა, პარალელურად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექციების ციკლი მიჰყავდა მეცნიერების მეთოდოლოგიაში. როცა მირიანი გაასპირანტდა, გენოს სადოქტორო დისერტაცია დასრულებული ჰქონდა. მეგობრებისა და კოლეგების წრეში საყოველთაო სიყვარულითა და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ავტორიტეტი ფილოსოფიის დრმა ცოდნამაც და კაცური კაცის მზარდმა იმიჯმაც შეუქმნა. გენო ცინცაძე იყო ფაქიზი, პოეტური სულის პიროვნება, რომელიც გარემომცველ სინამდვილეს, საგნებს, მოვლენებს და ადამიანებს პოეტურად უცქერდა, პოეტურად აფასებდა, პოეტურად ეპყრობოდა და მათთან მხოლოდ პოეტურ ურთიერთობებში შედიოდა. გენოს სიტყვა მტკიცე იყო, დაპირება ნაღდი და უთუმცო. იბერი სულ ახალი გაასპირანტებული იყო, როცა თეორიული ფილოსოფიის განყოფილების გამგემ პროფესორმა სერგი ავალიანმა შემეცნების თეორიაში ახალი სამეცნიერო კრებულის გამომცემა გადაწყვიტა. სტატიების თემატიკა და მოცულობა განისაზღვრა და მეცნიერ-მუშაკთა ერთი ჯგუფი მუშაობას შეუდგა. იანვრისათვის ყველაფერი დამთავრებული იყო და კრებული გამომცემლობას გადაეცა. გამომცემლობამ სარედაქციო სამუშაოები ჩაატარა და კრებული სტამბას გადასცა. მარტის ბოლოს სერგი ავალიანი უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ვესტიბულში შეხვდა მირიან იბერს.

- მირიან, - პირდაპირ საქმიანი საუბარი დაიწყო ბატონმა სერგომ - შენ შეიძლება ჯერ არ იცი, მაგრამ მალე გაიგებ, რომ სტამბას თავისი საადრიცხვო პოლიტიკა აქვს, ახალ კრებულს ვცემთ შემეცნების თეორიაში, სასწრაფოდ ან ერთი, ერთფორმიანი სტატია უნდა დავამატოთ ან ერთი სტატია უნდა ამოვიღოთ. რომელი უნდა გავიმეტოთ? რომელი სტატია რა წესით უნდა შეარჩიო ამოსაღებად? ამოკლება ძნელი საქმეა, ავტორთა კოლექტივიდან რომელიმეს განაწყენებას და საერთოდ ჯოჯოხეთის დატრიალებას ნიშნავს. ეს ნაღდია, ამიტომ საჭიროა ერთფორმიანი სტატია, მაგრამ დროში ვიწვით, სტატია ზეგ, 12 საათზე უნდა მივიტანოთ სტამბაში. მე მზად არაფერი მაქვს. იქნებ შენ გვიშველო. ეს შენთვისაც კარგია - შრომას დაბეჭდავ და ჩვენთვისაც. საქმე გამწვავებამდე არ მივა. იქნებ რაიმე გაქვს გამზადებული სახით, დისერტაციის ნაწილი, ნაწყვეტი, ქვეთავი ან რაღაც ამის მსგავსი.

პროფესორის წინადადება ძალზე მაცდური იყო, სერგი ავალიანი თვითონ სთავაზობდა მირიან იბერს შრომის დაბეჭდვას, რაც ყველა ეპოქისა და დროის ასპირანტებისათვის საოცნებო საგანს წარმოადგენდა.

- სწორედ წინა კვირას დავასრულე სტატია “ჭეშმარიტების კრიტერიუმის შეუძლებლობის შესახებ ნელსონის შეხედულებათა კრიტიკა”. მე მგონია ამ კრებულისათვის გამოდგება.

- ძალიან კარგია, სწორედ საჩვენოა - გაეხარდა სერგი ავალიანს.
- კი, მაგრამ - ყოყმანობდა იბერი - ჯერ ეს ნაშრომი ბატონ სავლეს არ უნახავს და ხელმძღვანელის რეკომენდაციის გარეშე არ შემიძლია მისი დაბეჭდვა.

- დღეის შემდეგ ორი დღე გვაქვს. ყველაფერს მოვასწრებთ. ეს შენი სტატია დღესვე მიუტანე ბატონ სავლეს, თხოვე, რომ როგორმე დღესვე წაიკითხოს. ბატონი სავლე სტატიას ხვალ დაგიბრუნებს, შემდეგ საჭიროა მისი ჩემამდე მოტანა. ზეგ დილით 11 საათზე გენო უნდა მოვიდეს ჩემთან. ახლა ადი ფაკულტეტზე. ბატონი სავლე და გენო ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე არიან, ორივეს ერთად ნახავ. ბატონ სავლეს სტატიის წაკითხვის

შესახებ მოელაპარაკე, გენოს კი იმ საკითხზე, რომ სტატია ჩემთან მოიტანოს. აბა ჰე, კეთილად, წავედი.

მეორე დღეს ბატონმა სავლემ იბერს წაკითხული და მოწონებული სტატია დაუბრუნა რამოდენიმე შენიშვნით. ამ შენიშვნების გასწორებისათვის მირიანს 3 საათი ჰქონდა. 3 საათის შემდეგ გენო ცინცაძე, შეპირებისამაბრ, მიაკითხავდა კათედრაზე. იბერმა სტატიის ის გვერდები, რომელთა მიმართ ბატონმა სავლემ შენიშვნები გამოთქვა, ახლებურად გააკეთა, გადაბეჭდა და სტატია სუფთა სახით ჩააბარა გენოს.

სწორედ იმ დღით, როცა იბერის სტატია პროფესორ ავალიანამდე უნდა მიეტანათ, იბერს მისმა სიყრმის მეგობარმა რომან შენგელიამ დაურეკა კათედრაზე და ტელეფონით საუბრისას სხვათაშორის ამცნო:

- გენო ცინცაძეს მამა გარდაეცვალა და წუხელ მახარადის მატარებლით წასულა გურიში.

რომანს წარმოდგენაც არ ჰქონდა გენოს მამის გარდაცვალება და გურიში გენოს გამგზავრების ამბავი რამენაირად თუ უკავშირდებოდა იბერის პირველ პუბლიკაციას.

მირიანს რომანისთვის არაფერი უთქვამს. დღის ბოლოს შეიარა ფილოსოფიის ინსტიტუტში და პროფესორი სეგი ავალიანი მოინახულა.

- შენ ალბათ შეწუხდი, როცა გენოს გამგზავრების ამბავი გაიგე, თუმცა, შესაძლოა არც გაგიგია – უთხრა პროფესორმა მირიანს – მაგრამ გენო ცინცაძე როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყოველთვის არაორდინალურად იქცევა. ასე იყო ამჟამადაც. მამის გარდაცვალების შეტყობინება რომ მიუღია, როცა გონს მოეგო, გაახსენდა, რომ შენი შრომა ჰქონდა ჩემთვის გადმოსაცემი, სწორედ ამ დღით გენო ჩემთან სახლში უნდა მოსულიყო და ეს საქმე მოეგვარებინა. წუხელ, მატარებლის გასვლას ბევრი არ უკლდა, როცა გენომ ტექსტი გადმომცა და მერე წავიდა მამის გასვენების ამბების მოსაგვარებლად. თითქოს საგანგებოდ შევარჩიე გენო ამ საქმისთვის. ალბათ, ბოლოს და ბოლოს რაღაც გამოვიდოდა, მაგრამ როგორც გენომ თქვა, სტამბა რომ არ გაწიწმბებულიყო, ასე იყო საჭირო. ეს ნაბიჯი არაა ჩვეულებრივი კაცის ნაბიჯი, იგი არაორდინალური ნაბიჯია. იგი გენო ცინცაძის ნაბიჯია. შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და ეს უნდა გახსოვდეს.

- ბატონო სავლე, გახსოვს ჩემი მაშინდელი მონაყოლი, ჩემს პირველ პუბლიკაციაში გენო ცინცაძის მიერ შესრულებული როლის შესახებ – ჰკითხა მირიანმა პროფესორს.

- მახსოვს, ძალიან კარგად მახსოვს, თითქოს არაფერია, მაგრამ ეს ქმედება სწორედ ნამდვილი ფილოსოფოსის ქმედებაა. სავალალოა, რომ ყოველთვის ვერ ვიქცევით ამგვარად. მირიან, შენი მეორედ დაპატიმრების შემდეგ სულ მინდოდა შენთან მოსვლა, “მინდა” ის სიტყვა არაა. ვერ გამოხატავს იმას, რისი სურვილიც გაქვს, სურვილი კი მაწვალებს, მღრღნის, შენსკენ მეწევა, სულ მინდა შენი მონახულება, მაგრამ ვერ შევძელი. ეს “ვერ შევძელი” სრულიად არ ნიშნავს “ვერ მოვახერხეს”. რუსთავში ჩამოსვლას რა მოხერხება უნდა. მაგრამ სწორედ ეს ვერ შევძელი. მარტო ჩემთვის, ომის მონაწილისათვის კი არა, ყველასათვის ცხადი იყო, რომ თქვენ, ყოფილი სამხედრო ტყვეები, უდანაშაულოდ ან თითქმის უდანაშაულოდ ჩავარდით ამ ჯოჯოხეთში – სავლემ წერეთელმა ხმას დაუწია. თავიც დახარა და უფრო ნელი ხმით განაგრძო. – კარგი, დავუშვათ, რომ ყველა აქაურ პატიმარზე ამის თქმის უფლება არ მაქვს, მაგრამ შენზე ხომ ამის თქმა წრფელი, ღია გულით შემიძლია. კი, ეს მუდამ ვიცოდი, მაგრამ აქ, რუსთავში მოსულს რა უნდა მეთქვა შენთვის? მეთანაგრძნო? მენუგეშებინე? დამემშვიდებინე? შენთვის ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავდი. შენ ჩემთვის ბედისწერას შეწირული იყავი, შეწირული და განწირული და ამიტომ ვერ შევძელი შენი მონახულება. ძალიან მინდოდა და მაინც ვერ შევძელი. მირიან, როგორა ხარ, რასა იქმ,

რას ფიქრობ, რისთვის ემზადები? ოთხი კითხვით გამოვხატე, მაგრამ ყველაფერი რომ შეაერთო, ერთ კითხვას მიიღებ – რას გეგმავ?

- რაიმე რომ დავგეგმო, რაღაცის იმედი უნდა მქონდეს.

- რას ამბობ მირიან – თქვა სავლემ წერეთელმა – ახლა ამბობ რაიმე იმედი უნდა მქონდესო? ამ წელიწადში თქვენი განთავისუფლება ზეცაშია გადაწყვეტილი.

- მე სწორედ ეს ვერ ვირწმუნე, ამიტომაც დაშრეტილ ფანტაზიას ვერაფერი მოვუხერხე, ოცნება არ შემიძლია, ჩემი ფიქრი ერთხელ გაკვალულ თუ ერთხელ გაკვლეულ გზას ვერ სცილდება. – მირიან იბერი იმ სკამზე შესწორდა, რომელზედაც წელან ჩამოჯდა – ქუთაისში ჩემს სიტყაბუკეში ან როგორც სხვანაირად იტყვიან, ჩემს ჯგუფობაში იყო ერთი კაცი, მისი არც გვარი ვიცი, არც სახელი. შემიძლია მისი ვიზუალური აღდგენა. ვიცი, რომ წითელ ხიდთან ცხოვრობდა, ხიდს ქვემოთ რიონის ნაპირისაკენ ჩაშვებული სახლებიდან რომელიღაც სახლში. სულ სუფთად იყო ჩაცმული. საგულდაგულოდ დავარცხნილ წვერს ატარებდა და სულ ერთიდაიგივე გზით, ერთხელ გაკვალული გზით დადიოდა. მისი მარშრუტი წითელი ხიდიდან იწყებოდა და თეთრ ხიდამდე გრძელდებოდა, წითელ ხიდთან მაშინდელი ბერიას ქუჩის დასაწყისში საქალაქო ბიბლიოთეკა იყო. ამ შენობასთან იწყებდა ის კაცი მოძრაობას, მწვანე ბაზრამდე მიყვებოდა ბერიას ქუჩას, მერე უხვევდა მარჯვნივ, გადიოდა იმ ქუჩაზე, რომლის სახელი აღარ მახსოვს, რომელზედაც მესხიშვილის თეატრის უკანა მხარე გადიოდა, რომელზედაც მთელს ქალაქში განთქმული "სალობიე" იყო განთავსებული, გაიარდა ამ ქუჩას, ჩაივლიდა სახელგამის წინ, პირველი სკოლისა და კინოთეატრ "კომუნის" წინ, ჩაივლიდა წულუკიძის ბაღის კიდეც, მივიდოდა თეთრ ხიდთან, შემობრუნდებოდა და იმავე გზით ბრუნდებოდა უკან წითელ ხიდამდე. არასდროს არავის ელაპარაკებოდა. არავის არასოდეს ეჩხუბებოდა. მხოლოდ უაღრესად გაბოროტებული სახით მიდი-მოდიოდა ხიდიდან ხიდამდე. ხანდახან თავისთვის ლაპარაკი იცოდა. არაფრით ერთხელ დადგენილი გზიდან არ გადაუხვევდა. ამიტომ მთელი ქალაქი "რეისავოს" ეძახდა. ერთხელ, პირველი სკოლის ბოლოს, წულუკიძის სკვერთან არსებულ ავტობუსის გაჩერებაზე ვიღაც კაცმა "რეისავოს" ჩავლის შემდეგ ხმამაღლა იკითხა: "ნეტავ რას ჩურჩულებს ეს კაციო." ჩემმა სკოლის მეგობარმა სპარტაკ მხეიძემ ასე უპასუხა: "ეს კაცი დაინახავს თუ არა სკვერში აღმართულ წულუკიძის ძეგლს ასეთ ლექსს ამბობს: "წულუკიძე საშა, კეცხოველი ლადო, ორივემ გაამლაშა, ორივე იყო ლადო." ოღონდა ამას ხმამაღლა არ ამბობს. თავისთვის ჩურჩულებს." სპარტაკის ეს ლექსი მოგვეწონა და მერე ხშირად ვიმეორებდით "წულუკიძე საშა, კეცხოველი ლადო, ორივემ გაამლაშა, ორივე იყო ლადო." ხან ასე ვამბობდით, ხანაც შეცვლილი სახით: "კეცხოველი ლადო, წულუკიძე საშა, ორივე იყო ლადო, ორივემ გაამლაშა." იმ დღეს კი, წულუკიძის სკვერთან, ტროლეიბუსის გაჩერებაზე, შეკითხვის დამსმელმა "დუბლიონკაში" გამოწყობილმა, სათვალთანმა კაცმა ასე უთხრა სპარტაკს "ძალიან კარგია, ბიძიკო, ეს გართმული სალაღობო, მაგრამ სხვაგან ნურსად და ნურასდროს გაიმეორებ, რადგანაც შეიძლება მაგ კაცების დაცინვად გაიგონ ეს შენი ნათქვამი და ატყდეს ერთი ალიაქოთი." რატომ მოყვევი ახლა ეს ამბავი? როგორც "რეისავო" არ გადაუხვევდა წითელ და თეთრ ხიდს შორის ერთხელ გაკვლეული გზიდან, ასევე ჩემი ფიქრიც სულ ერთხელ გაკვლეული გზით, ერთხელ დაკანონებულ გზაზე მოძრაობს. 1924 წელს მშობლების დაპატიმრების დამეა ჩემი ფიქრის საწყისი, მერე ჩემი ტყვეობა, გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკი, მერე მამაჩემის მეორედ დაპატიმრება, მერე ჩემი პირველი და მეორე პატიმრობა. ამ სწორ ხაზს იქით ჩემი ფიქრი ვერ მიდის, ამ გზიდან ვერ გადადის. მხოლოდ ამ გზაზე მოძრაობს. ჩემი ფიქრი არ შეიძლება იყოს ოცნება. ასე იყო, განსაკუთრებით მეორე დაპატიმრების შემდეგ, ბოლო ექვსი წელია ოცნება გამიბრბის, ოცნება მიფრთხის, ოცნება

უარყოფს ჩემი ფიქრის გზებზე გავლა-შეფრთიანება-შეფართხალებას, თქვენ თვითონ ხომ მითხარით, ბატონო საველე, წელან რომ მოვსულიყავი რა უნდა მეთქვა შენთვის, ამაო იქნებოდა ყოველი თანაგრძნობა, ყოველი ნუგეში, ყოველი დამშვიდება, ამაო იყო. ახლაც ამაოა და ასე იქნება სულ. . .

- მაცადე, ერთს გეტყვი მხოლოდ. ახლა შეიცვალა ვითარება – საველე წერეთელმა სიტყვის შეწყვეტინება სცადა, მაგრამ მირიანი მისი ფიქრით ჯიუტი იყო.

- არა, ბატონო საველე, არ შეცვლილა, არაფერი არ შეცვლილა – პარტიის ხელმძღვანელი როლი ისევ უცვლელია, სახელმწიფო წყობა – ხელუხლებელია. 3 წელია ველოდებით. ჩვენ, პოლიტპატიმრები განთავისუფლებას, რეაბილიტაციას, ისევ მოქალაქედ გადაქცევას, მაგრამ ამაოდ, ჭკორი ჩამოივლის, მაგრამ მხოლოდ ჩამოივლის, მერე წავა, გადავა, გადაიფრენს და ისევ იქ ვრჩებით. როგორც მანამდე ვიყავით. მე არ მჯერა, რომ ოდესმე მოგვიწევს ამ მავთულხლართებს გარეთ გასვლა.

- შენ ახლა ცდები, მირიან! – თქვა საველემ.

- რას ამბობ თუ გესმის! – თვალები დაქაჩა რომან შენგელიამ.

- არა, არა ხარ სწორი! – თითქმის იმავდროულად დასძინა გენომ.

- არა, ბატონო საველე, შეიძლება თქვენ არ იცით ჩემი დალის ამბავი, რომანმა იცის, მაგრამ შეიძლება თქვენ არ იცით. . .

- ვიცი – თქვა საველე წერეთელმა, - მეც ვიცი, გენომაც და ყველამ, ვისაც უყვარხარ და ვისაც შენი ამბავი აინტერესებს.

- მით უმეტეს თუ იცით, ჩემთვის დალის შემონათვალი წერილი თავში უროს ჩარტყმის ტოლფასი იყო. ახლაც ორჭოფულ მდგომარეობაში ვარ. ერთის მხრივ, მინდა აქედან გასვლა, მეორე მხრივ არ მინდა, რადგანაც არ ვიცი, დალი აასრულებს თუ არა თავის დანაპირებს. გატყნის სიტყვას, დააგდებს დუმილს და დაბრუნდება ჩემს სამყაროში. წარმოგიდგენიათ იმის გაგება, რომ ამაშუკელის ქალმა ვერ გაუძლო მონასტრის კარჩაკეტილ ცხოვრებას, ან იმის გაგებას, რომ დალი მოიტაცეს, მონასტრიდან წაიყვანეს და. . . რას ვამბობ შეუძლებელს? მერე მე რა უნდა ვქნა. დალის გარეშე უნდა მივუბრუნდე რეალობას, ქვეყანას, ცხოვრებას. არა, სწორედ ესაა შეუძლებელი, ათასგზის მიმტვრევი ამ და ამგვარ საკითხებზე თავი, მაგრამ რას გაარკვევ, მისამართიც არ გაამხილა, არ ვიცი სად არის. ამიტომ ზოგჯერ განთავისუფლებას პრინციპულად აქ დარჩენა მირჩენია, რომ გამანთავისუფლონ და დალის კვალს რომ ვერ მივაგნო! გამიგონეთ, ხალხო, მინდა ჩემი გაიგოთ. კარგად და ზუსტად გაიგოთ.

- არა – ისევ ბატონმა საველემ წამოიწყო – შენ კი ახსენე 3 წელი, მაგრამ ახლა, პარტიის ბოლო ყრილობის შემდეგ ვითარება ნამდვილად შეიცვალა, ჩემი მოლოდინის, ჩემი დაკვირვებებისა და ჩემი გამოანგარიშების საწინააღმდეგოდ – ნამდვილად შეიცვალა. ყოფილი ტყვეების დაპატიმრება, მერე ხელახალი დაჭერა და სასჯელის უსაშველოდ გაზრდა ვიდაცას სჭირდებოდა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, ვის და რატომ სჭირდებოდა. ახლა შენც იცი, რომ ამ ვითარებაზე სიმართლის ბოლომდე თქმა და ამიტონაც – თქვენი განთავისუფლებაც ვიდაცას სჭირდება და ამის ნებაც აქვს და ძალაც შესწევს, რომ ეს ყველაფერი ბოლომდე თქვას და განახორციელოს. აი, ხომ ხედავ, ჩემი ძვირფასი გენოც და რომანიც როგორ მიქნევენ თავს, მეთანხმებიან, ჩემსკენ არიან და ეს, რომ იცოდე, ბევრს ნიშნავს. ჩვენ, შენს ძველ მეგობრებს, არ შეგვიძლია ახლა ყველაფერ ამაზე ხმამაღლა და ღიად ვითხრათ.. ამ წლის ბოლომდე და ეს, ალბათ, სულ ბოლო და უკანასკნელი ვადაა, თავისუფალი და რეაბილიტირებული იქნები. ფიქრობ, რას ნიშნავს ეს? ეს ძალიან ბევრ რაიმეს ნიშნავს, პირველყოვლისა იმას, რომ აღსდგება სამართლიანობა, რაც საზოგადოების წინაშე საჯაროდ ბოდიშის მოხდაა. მეორეც, შენ დაუბრუნდები შენს ძვირფას მეგობრებს, შენს დალის და

ბოლოს, მესამეც, ეს ნიშნავს იმას, რომ შენ მიუბრუნდები შენს საქმიანობას და ფილოსოფიურ საზოგადოებას ისევე მოუტან შენს ფილოსოფიურ ჩანაფიქრებსა და განაზრებებს. ჩემი ჩანაფიქრი დიალექტიკური ლოგიკის შესახებ მე მთელი ხუთი წელი ვატარე გერმანიისა და იაპონიის ფრონტებზე, ხშირად, ხელჩართულ ბრძოლაშიც ამ ლოგიკის დეტალებზე ფიქრით ჩავრთულვარ, მერე კი, კვლავ მივუბრუნდი ამ საკითხების დამუშავებას და რაღაც გაკეთდა. რაღაც, თუ მართლა სწორი არა, ხელშესახები. ასე იქნება შენთანაც. მე მახსოვს, მირიან, როგორი ანთებული იყავი და ამტკიცებდი, რომ ცნება არსებითად გნოსეოლოგიური გარკვეულობაა და მხოლოდ ამ საფუძველზე მონაწილეობს ლოგიკურის ზოგად-ფილოსოფიურ აპარატში. ეს არაა ხელწამოსაკრავი აზრი. ჰო და, მობრუნდები ჩვენთან და ხორცს შეასხამ ამ პრობლემას.

მირიანმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბატონმა სავლემ აწეული ხელით შეაჩერა იგი და თავისი განაგრძო:

- როგორც კი გამოხვალ კოლონიიდან, ერთი თვე დაისვენებ ოჯახში.

- სად მაქვს, ბატონო სავლე, ოჯახი. აღარც დედაა, აღარც მამა. ჩემს ეზოს მარცხენა მხარეს ჯინჯველაშილები კარ-მიდამო აკრავს, მარჯვნიდან რუხაძეებისა და ახალაძეების სახლი. ალბათ ისინი უვლიან სახლს, ხომ გახსოვთ, მარქსის ნათქვამი, სახლი, რომელშიც არავინ არ ცხოვრობს, სახლი არაა, მით უმეტეს ოჯახი.

- ჰო, კარგი, გასაგებია, რომ შემეშალა, კარგად ვერ გამოვთქვი, შემდეგ თბულისში გელით, რაც არ უნდა მოჰყვეს ამას, მე შენ, ფილოსოფიის ინსტიტუტში მიგიღებ მეცნიერ-მუშაკად.

- ბატონო სავლე, მე თბილისში, ინსტიტუტში მოვალ მას შემდეგ, როცა დალის ვიპოვნი, შევხვდები და მასთან ერთად დაგუბრუნდები ცხოვრებას. ამას კი, ალბათ, დრო უნდა.

- დრო უნდა, ცხადია – დააწია რომან შენგელიამ.

- დრო უნდა, მაგრამ დალის უეჭველად მიაგნებ, იპოვი, იპოვი საბოლოოდ და სამუდამოდ. – თქვა გენო ცინცაძემ.

- ამას ყველაფერს მოევლება. მთავარი სულ სხვაა, ეს მე გარკვეულად გამოცდილი მაქვს, ცოტა გაგიძნელებს, მაგრამ შენ უნდა აღადგინო შენი წინანდელი, ომამდელი კონდინცია. რამოდენიმე თვის თავაუღებელი მუშაობა და შენი ძველი ცოდნა აღდგება, განახლდება და ყველაფერი თავის რიგზე და თავის კვალზე წავა. მე ჯარიდან დაბრუნების ნახევარი წლის შემდეგ გავასწარი ომამდელ სავლემ წერეთელს. ასე რომ ყველაფერი მოგვარდება. . .

იბერმა კი, ყველასთვის მოულოდნელად, ისევე გაიმეორა თავისი წინანდელი აზრი, ოღონდ სხვა სიტყვებით და სხვა ფორმით გამოხატული.

- სად გაგონილა მონის ფილოსოფოსობა?

- რა შუაშია მონა? თუ იმას გულისხმობ, წუთის წინ რომ გითხარი.

ინსტიტუტში მაინც მიგიღებ, ამ ამბავს რაც არ უნდა მოჰყვეს მეთქი? საწყენად არ მითქვამს. ჩვენ ხომ მუდამ სიმართლეს ვეუბნებოდით ერთმანეთს? შენ ყოველთვის გესმოდა ჩემი.

- არა, ეს არ მიგულისხმებია. არც მწყენია. მე ხომ ვიცი, სამშობლოს მოღალატედ შერაცხული კაცის ფილოსოფიის ინსტიტუტში გამოჩენა რას გამოწვევს იქ, ზედა ფენებში თუ მმართველ წრეებში. შეიძლება ამას ყველაფერი მოჰყვეს, შეიძლება სრულიად გაუთვალისწინებელიც, შეიძლება მეხტატეხაც. მაგრამ როცა მონის ფილოსოფობა ვახსენე, მაინც ეს არ მიგულისხმია. მე მწამს, რომ თქვენ ყველაფერს გააკეთებთ ჩემთვის.

- მაშ, რა შუაშია მონა? – ბატონმა სავლემ ხმადაბლა განაგრძო – თუმცა შენ შეიძლება მართალიც იყო. ალბათ შენ ფილოსოფიაში მუშაობის საერთო პირობებს, ამჟამინდელ სიტუაციას გულისხმობ. ჩვენ მართლაც

ყველანი ვართ პოლიტიკის მონები, მონები თუ არა მასზე დაქვემდებარებულნი. ახლა ასეთი დროა, მაგრამ აქ იმის გარდა ვერაფერს გააწყო, რომ ზოგ რამეს უნდა შეეგუო, ზოგი რამ ამ შეგუების ფონზე უნდა გააპარო, ზოგი რამ შეფარვით უნდა თქვა. კონიუნქტურას ვერ გაექცევი.

- არა. არც ამას ვგულისხმობ. პროკრუსტეს სარეცელს რომ უნდა მოერგო, დამოკლეს მახვილს თვალი თვალთმაქცურად რომ უნდა გაუსწორო. ეს დამატებითი სიძნელეებია. არა. ფილოსოფოსობას თავისუფალი სული სჭირდება, თავისუფალი და მეოცნებე სული, უსაზღვრო თვალსაწიერის მქონე სული, ამაღლებული სული. ჩემი სული კი დეფორმირებულია, დათრგუნულია, შეშინებული და ჩაკლულია, აი, სწორედ ამას ვგულისხმობ.

სავლე წერეთელი მდუმარედ შეჰყურებდა მირიანს.

იბერი ერთი წამით შეჩერდა. მეორე გულის ჯიბეში პაპიროსის კოლოფი მოიძია. სიგარეტს მოუკიდა.

- რადგანაც ვთქვი, ბოლომდე ვიტყვი. ჩემი სული ახლა ნამდვილად მონის სულია, თანაც ბორკილდადებული მონის სული. მე არ შემიძლია პასუხისმგებელი ვიყო იმაზე, რასაც ჩემი ბიოგრაფია ჰქვია, რაც ჩემი წარსულია, რაც ჩემს მიერ განვლილი გზაა. მე გზებზე მივაბიჯებდი, მივდიოდი, მაგრამ ყველა ის გზა, რომელიც მე გავიარე, ყველა ის გზა, რომელზედაც მე მივაბიჯებდი, მხოლოდ მოჩვენებითად იყო ჩემი. ყველა გზა სხვის მიერ გაკვალული, სხვის მიერ გასაკვალავად დასახული, სხვის მიერ შექმნილი გზა იყო, ჩემთვის უცხო გზა იყო. მე იძულებული გამხადეს ამ გზებით მევლო. ჩემი სული დევნილი სულია. ჩემს სულს ბედისწერასავით დევნიდა რაღაც თუ ვიღაც და აიძულებდა სწორედ ეს ეკეთებინა და არა სხვა, ასეთი და არა სხვაგვარი მიზნებისთვის ემსახურა. ჩემი სული დევნილია, მაგრამ არა მხოლოდ დევნილი, არამედ მონაც. ვინც მხოლოდ დევნილია და არა მონა, მან უნდა სცადოს მის გარშემო არსებული ვითარების დანგრევა, შეცვლა, უარყოფა, ახალი გზების გაკვლევა, თავისი ასპარეზის შექმნა. მე ამის გაფიქრებაც მაშინებს, ამიტომ მხოლოდ დევნილი კი არა ვარ, არამედ მონაც, თანაც დატყვევებული, დამწყვდეული, დაბორკილი, ხუნდებგაყრილი მონა. მე მთელი ცხოვრება სწორედ ამგვარი დევნილისა და მონის ცხოვრებით ვიცხოვრე. ვინც მიყვარდა და მიყვარს, მასთან ყოფნა ვერ მოვახერხე და მთელი სიცოცხლე ნატვრაში, ჯვარცმაში და მოლოდინში გავატარებინე, ფილოსოფიის შესწავლა და ფილოსოფიაში მუშაობა მინდოდა და ჩემი ბიოგრაფიის გადამკიდემ ეს ჩემი ძირეული სურვილი ვერ შევისრულე. ამდენად ცხოვრებაში ჩემს გზას ავცდი. გზაჯვარედინზე ვიღაცის თუ რაღაცის ნებამ, მდევნელმა სულმა სხვა გზაზე გადამაგდო. ჩემი ქვეყნის თავისუფლება მინდოდა და ვერ მოვესწარი. სამშობლოს ღალატი შემწამეს და ჩემი არცერთი არგუმენტი, თუმცა ვერ დამირღვიეს, არ მიიღეს და არაფრად არ ჩააგდეს. მშობლების წინაშე უკანასკნელი ადამიანური ვალიც ვერ მოვიხადე, დედა და მამა სხვებმა დამარხეს, უჩემოდ, ჩემი ცრემლის გარეშე. ახლაც, ეს ახალი ამინისტიაც, რომლის ძალითაც ჩვენ, და მე, უახლეს ხანში გაგვანთავისუფლებენ. ვიღაცას თუ რაღაცას დასჭირდა, ვიღაცის კონკრეტულ მიზანს. ბატონო სავლე, თქვენ უადრესად ბრძენი კაცი ხართ და ამასაც გამოიგებთ. ვიღაც ჩვენმა, ჩემი კატეგორიის ადამიანების დაუმსახურებელმა ტანჯვამ კი არ შეაშფოთა, ჩვენმა წარსულმა კი არ დააფიქრა, უსამართლობამ კი არ ალაშფოთა, არა, მე და ჩემისთანები ახლაც იარაღად ვართ ვიღაცის ხელში. ეს ჩემთვის ისე ნათელია, როგორც ის, რომ ჩვენ ახლა ამ უბადრუკ დერეფანში, ამ უბადრუკ მაგიდასთან ვზივართ. თანაც გვანთავისუფლებენ იმიტომ, რომ ჩვენი იოტისოდენადაც არ ეშინიათ, ჩვენი მომავალი თავისუფლება სულ არ აფიქრებთ. იციან, ჩვენში მონური სული მეფობს, უფანტაზიო, ოცნებისაგან დაცლილი, უენერგიო სული. ამ სულს კი ნაგვიანევი ამბოხიც არ შეუძლია. სახელმწიფო, რომელსაც იდეალში სამოქალაქო საზოგადოების დაცვა

ავალია, ამ შემთხვევაშიც აბუჩად იგდებს ყოფილ სამხედრო ტყვეებს. მე ვიცი, თქვენ აქ ჩემმა სიყვარულმაც მოგიყვანათ და იმანაც, რომ დარწმუნებული ხართ ჩემს შესაძლებლობებში. ვთქვით დაეუბრუნდი ფილოსოფიას, მოვედი თქვენთან ფილოსოფიის ინსტიტუტში, მაგრამ არ ვიკითხოთ, შესძლებს თუ არა ჩემი დამონებული სული, მონიბაში მყოფი და თავადაც მონადქცეული სული ფილოსოფოსობის ტვირთის ზიდვას?

სავლე წერეთელი იბერის მთელ ამ ტირადას მშვიდად და მდუმარედ უსმენდა, ერთხელაც კი, რაიმე ჟესტითაც კი არ უცდია მისთვის სიტყვის შეწყვეტინება. როცა მირიანმა უკანასკნელი კითხვა დასვა, წერეთელი სკამის საზურგეს მიაწვა, მირიანს პირდაპირ შეხედა და თქვა:

- ბევრ რამეში მართალი ხარ, მაგრამ არსებითში – არა. ეს ანალიზი მონის ანალიზია? სადაც ვითარების ამგვარი გაცნობიერება ხდება იქ მონობა დამთავრებულია. იქ მონა, თუ კი შენი სული ოდესმე ცხადლივ გრძნობდა მონასთან წილნაყარობას, უკვე პიროვნებადაა ქცეული. შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ და შენს მიერ გამოვლილი გზა შეიძლება კიდევ უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი როლის შემსრულებელი გამოდგეს შენი მომავლისათვის. მომავალი კი ჯერ კიდევ წინა გაქვს. მთავარია ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. შენს მიერ ნებისთ თუ უნებლიედ მოპოვებულ გამოცდილებას შეიძლება ისტორიული გამოცდილება ვუწოდოთ. მე ხომ მახსოვს, როგორ თანდათან უახლოვდებოდი ცნების არსების საბოლოო გარკვევის ზღვარს. ყოველივე ეს ხომ იქაა შენახული, შენს ცნობიერებაში, სადაც ამდენი ცხოვრებისეული გამოცდილება დაგროვდა, სადაც შენი მაღალი სიყვარული ძველებურად ელვარებს და შენი მშობლების ხსოვნაც ისეთ დონეზეა. როგორც მათ ნათელ პიროვნებებს ეკადრებოდათ, შენ გქონდა საბოლოოდ მონად ქცევის პერსპექტივა, მაგრამ ახლა ეს უკვე წარსულია, ეს უკვე ჩავლილია. შენ შენს თავს უნდა დაუბრუნდე და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. შენს თავთან დაბრუნების გზა კი ახლა მხოლოდ ერთადერთია – უნდა დაბრუნდე ჩვენთან, დანარჩენს ყველაფერს მე მოვაგვარებ, შტატსაც, ხელფასსაც, სამუშაო ოთახსაც, ყველაფერს, რაც ამისთვის საჭიროა.

იბერს ცრემლი დაეკიდა თვალზე.

სავლე წერეთელი შეაკრთო ამ ცრემლმა.

- დამშვიდდი – განაგრძო საუბარი ბატონმა სავლემ – მე აქ მარტო ჩვენმა ურთიერთობამ კი არ მომიყვანა, მარტო შენდამი სიყვარულმა და პირადმა პატივისცემამ კი არ მიბიძგა, არამედ იმის შეცნებამ, რომ მე შემძლია ჩემს ქვეყანას არ დაუუკარგო შენი ნიჭი. იგი არ უნდა დაიკარგოს. მე არ მაქვს ამის უფლება და შენ სწორედ ესეც უნდა გაიგო თუ გამიგო. სწორი ვარ? – ეს კითხვა რაღაცნაირი შინაგანი უხერხულობით დასვა სავლე წერეთელმა. მერე თითქოს ამ უხერხულობის გაფანტვას ცდილობს, ერთბაშად მოაყოლა:

- ხომ გახსოვს, 50 წლის შემოდგომაზე, პირველი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ რომ მოხვედი ჩემთან, ინსტიტუტში. ჩვენ მაშინ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ ყველაფერი არ გვითქვამს. ზოგი რამ, შემდეგი შეხვედრებისთვის შემოვინახეთ. შემდეგი შეხვედრები კი აქამდე არ შედგა. არ იფიქრო, ერთი წუთითაც არ დაიჯერო, რომ მხოლოდ შენ, მარტო შენ, გამორჩეულად შენ ხარ დევნილი. ჩვენ ყველანი, ვისაც ამის გაცნობიერება შეუძლია ჩვენ ჩვენ ჯვარს ვატარებთ. შენ იცი ათასნაირი წინააღმდეგობა მეტბრძოდა, ზოგი ობიექტური, მაგრამ ზოგიც წმინდა წყლის სუბიექტური, მაგრამ არასდროს იმ აზრისათვის არ მიღალატია, რომ ყოველივეს მიუხედავად მე ჩემი გასაკეთებელი უნდა გავაკეთო, უფრო ზუსტი იქნება თუ ასე ვიტყვი – ჩემი გასაკეთებელი მე უნდა გავაკეთო. ორ ეპიზოდს მოგიყვები ჩემი ცხოვრებიდან. ორივე მას შემდეგ მოხდა, რაც შენ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვი და ჩვენ ერთმანეთს დავცილდით. პირველივე ეპიზოდი არმიიდან ჩემს

დაბრუნებას ეხება. ომში 41-ის ივნისში გამოწვიეს. კავკასიიდან გერმანიამდე ვიბრძოდი, გამარჯვების შემდეგ შინ დაბრუნებას ველოდი და უეცრად ჩვენი სამხედრო შენაერთი ციმბირის გავლით, იაპონიის ფრონტზე, მანჯურიაში გადაისროლეს. იქაც ვიბრძოლეთ. იქაც გავიმარჯვეთ. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. გადავრჩი. ტყვია არ გამკარებია. ჯარისკაცების ნაწილი შინ გაუშვეს. საერთო, საყოველთაო დემობილიზაციას მთავრობა აგვიანებდა. გავიდა ერთი თვე, მეორე, მესამე. ცხადია ჩემიანები, ჩემი ქვეყანა, ჩემი სოფელი და თბილისი მენატრებოდა, მაგრამ შინ დაბრუნება იმიტომ უფრო მეჩქარებოდა, რომ მიტოვებულ კვლევას, მიტოვებულ მეცნიერულ მუშაობას, მიტოვებულ პრობლემებს მივუბრუნდი. ბოლოს, ლოდინით თავგაბეზრებულმა გადავწყვიტე კორპუსის მეთაურთან მივსულიყავი, ჩემი მდგომარეობა ამეხსნა და შინ დაბრუნების დაჩქარებაში დახმარება მეთხოვა. მივედი. კარგად მიმიღო. ომამდე საქართველოში, ბათუმში ემსახურა და ქართველების მიმართ პატივისცემის გრძნობა ჭარბად ჰქონდა გამოყოფილი. აუხსენი ვინ ვიყავი, სამხედრო სამსახურამდე რას ვაკეთებდი, რა სამუშაოები მქონდა წამოწყებული და დასამთავრებელი, რატომ იყო აუცილებელი ჩემი დროული დემობილიზაცია. გულდასმით მომისმინა. მერე ასეთო რჩევა მომცა: მოიწერონ საქართველოდან, თუნდაც მხოლოდ უნივერსიტეტიდან, რომ დოცენტ საგლე წერეთლის დაბრუნება დავაჩქაროთ, რადგანაც იგი ესაჭიროება ქართულ მეცნიერებას, უნივერსიტეტს და ასეთი წერილის მიღებიდან ერთ კვირაში მოვახერხებთ შენს დამობილიზირებასო. გამომშვიდობებისას მხედრული წესით გამომეთხოვა და დასძინა: მთავრობა ფიქრობს, რომ აქ განლაგებული სამხედრო ნაწილები სულ ცოტა ერთი ან ორი წელი ადგილზე უნდა დარჩეს. მაგრამ რესპუბლიკის სამეცნიერო წრეების, აკადემიის ან უნივერსიტეტის მოთხოვნით, ჩვენ თქვენს მიმართ გამონაკლისს დავუშვებთო.” გახარებული წამოვედი. სამი წერილი სამ სხვადასხვა მისამართზე იმავე დღეს გავაგზავნე თბილისში. ერთი თვე გავიდა, ორი თვე, მესამე თვე დაიწყო. თბილისიდან არავითარი ბაიბური არ ისმის. ცხადია, სრულიად გასაგები მიზეზების გამო ოჯახისთვის ეს არ მიცნობებია. მაგანთან და მაგანთან მისვლა და მათთვის თხოვნის გადაცემა ვერ დავავალე მეუღლეს. სამი თვის მანძილზე ორჯერ გამომიძახა გენერალმა. რა ხდება, რატომ არავითარი მოთხოვნა არ სჩანს თბილისიდანო. რა უნდა მეთქვა, ბოლმით ვიყავი სავსე. არა. ეს მხოლოდ ბოლმა არ იყო, ეს იყოერთმანეთში არეული სასოწარკვეთილება, მიტოვებულობა, გადაგდებულობა, უმწეობა და მიუსაფრობა. როცა განმეორებით გაგზავნილ ბარათებზეც არავინ გამომეხმაურა, ჩავთვალე, რომ ადამიანებმა საბოლოოდ დამივიწყეს თუ გამწირეს. ეს იყო გაუსაძლისი წამება. არ ვიცი, ჩემი მდგომარეობა იქნებ თვითმკვლელობამდეც მისულიყო, ისევ გენერალი რომ არ მომვლინებოდა მაშველად და შემწედ. მან განმიცხადა: “შენ, ალბათ, აფორიაქებული ხარ, მაგრამ უნდა გაითვალისწინო, რომ ჩვენი ნაწილები საზღვარგარეთაა განლაგებული. თანაც ჩვენმა ქვეყანამ ახლად დაამთავრა ომი. ყველაფერი დანგრეულია და მოშლილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენი წერილები საერთოდ არ მისულა ადრესატამდე. ასეა თუ ისე, ეს თქვენს საქმეს არ შეეღის. მე დამავალეს ოფიცრებისათვის მარქსიზმის შემსწავლელი კურსების ჩამოყალიბება. აქ ამ უდაბურ ტყეებში არც წიგნი გვაქვს, არა ბროშურა, არც სხვა რამ მასალა. ჩვენ ახლა სწორედ ფილოსოფოსი გვჭირდება. მოდი წავგიკითხე ამ კურსებზე ათიოდე ლექცია ფილოსოფიაში და როგორც კი ლექციების ციკლის კითხვას დაასრულებ, ჯარიდან დაგიტხოვთ. ჩემი საქმეც მოგვარდება და შენიც.” უმაღლე მივხვდი, რომ გენერალმა იცრუა. მივხვდი, რომ მას არავითარი დავალება არ მიუღია. ოფიცერთა კურსების დაარსება მას თვითონ მოუვიდა აზრად, ეს მისი საკუთარი იდეა იყო. ხოლო ეს იდეა დაიბადა იმის გამო, რომ მას ჩემთვის დახმარების აზრი აწუხებდა, ჩემს მდგომარეობას ჩაწვდა და კოლეგებისაგან დავიწყებული კაცისათვის ხელის გამართვა მის საკუთარ მოვალეობად

ჩათვალა. ასე იყო, თუ ისე, შედგა ოფიცერთა კურსები. მე უწიგნოდ, უმასალოდ, უჩანაწერებოდ წავიკითხე ათი ლექცია ფილოსოფიაში. ეგრეთწოდებული “ფილოსოფიის შესავალი” და გენერალმა მისი სიტყვა შეასრულა. თბილისში გამოვემგზავრე. ჩემი წერილების ბედით ნეიტრალური, ინდენფერენტული კაცის დაინტერესებით დავინტერესდი. ზუსტად დავადგინე, ვინ მიიღო ჩემი ბარათები, ვინ მიანდო განგებას ჩემი შემდგომი ბედი, ვინ არ გაანძრია თითი ჯარიდან ჩემს დასაბრუნებლად. ხმა არ ამომიღია, არავისათვის არაფერი მითქვამს, არავინ არ განმიკითხავს, არც შემდგომში, როცა ინსტიტუტის დირექტორი გავხდი, არავისთვის სამაგიერო არ გადამიხდია. ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდს მაგალითად გიყვები. დევნის მაგალითად. ადამიანის ბუნებაში არსებობს რაღაც, რომელიც კაცს ველურობისაკენ, სიმდაბლისკენ, სულმოკლეობისაკენ უბიძგებს. ჩვენში განუწყვეტლივია ბრძოლა ამ ბნელ საწყისსა და ნათელ საწყისს შორის, სულ მუდამ და განუწყვეტლივ. არ დაიჯერო, რომ წისქვილის ქვა მარტო შენს თავზე ტრიალებს, რომ ჯოჯოხეთში მარტო შენ გაიარე. ახლა შენ, დავუშვათ ვიდაცის თუ რაღაცის ინტერესებისათვის, განთავისუფლებენ. დავუშვათ, მაგრამ ამით საშუალება გექვება შენს ქვეყანას, შენს საზოგადოებას, შენს საქმეს დაუბრუნდე და აქ არავითარი არგუმენტის მოშველიება არ იქნება ჯეროვანი, გამართლებული და საკმარისი. ის, რაც შენი გასაკეთებელია, სხვა ვერასდროს და ვერცერთ სიტუაციაში ვერ გააკეთებს. ის საქმე, ცნების ბუნების გარკვევის საქმე, შენ გიცდის, ამიტომაც მეც გიცდი, მეც და ჩვენი ინსტიტუტიც. მეორე ეპიზოდსაც გიამბობ ჩემი ცხოვრებიდან. ეს შენი მეორე დაპატიმრების შემდეგ ძალიან ძალე მოხდა. ახლა ეს ყველაფერი შეიძლება მხოლოდ გაუგებრობად და შეიძლება სასაცილოდაც კი ჩანდეს, მაგრამ იმ პერიოდში ჩემი საქმე ლამის ჩემს დაპატიმრებამდე, იდეოლოგიური დივერსიის მყვირალა ბრალდებამდე და მთელი ჩემი ნამოღვაწარის ინკვიზიციის წესით განადგურებამდე მივიდა. ჩემი ნაშრომის “ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ” გამოსვლისთანავე დაიძრა ანონიმური წერილების სერია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იმ შრომის გამო, რომელსაც მთელი ჩემი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია შევაღიე, რას არ მაბრალებდნენ, არა მხოლოდ იდეალისტობას, რაც ჩვენს ქვეყანაში შრომის ავტორის კანონგარეშე გამოცხადებას ნიშნავს, არამედ მარქსიზმის იდეოლოგიის წინააღმდეგ შეგნებულ თეორიულ ბრძოლასაც, ფილოსოფიის ინსტიტუტის მუშაობაში იდეოლოგიურ გადახრებსაც და ათას სხვა რამეს. იძულებული გავხდი თავი დამეცვა, თავიც და საქმეც, ჩემი კონცეფციის დაცვისა და გადარჩენისათვის მებრძოლა. არც წიგნის საჯაროდ გარჩევის უფლება მომცეს, არც დისკუსიის ჩატარებისა. კინაღამ ლექციების კითხვაც ამიკრძალეს. საბოლოოდ საქმე ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაარჩია. მე არ მინახავს, მაგრამ არც გამიგონია ასე უთავბოლოდ მოსმენილი და განხილული საკითხი. ისეთი ხალხი, რომელთაც არასდროს ფილოსოფიის პრობლემებზე არ უფიქრია, არცერთი ფილოსოფიური წიგნი არა თუ წაუკითხავს, ხელშიც არ სჭერია, თავგამოდებით იბრძოდა ჩემი ნაშრომის და ჩემს წინააღმდეგ. ეს იყო ნამდვილი, დაუფარავი, შეუნიღბავი ძალადობის აქტი. ბიუროს სხდომაზე მთელი ჩემი წარსული მოღვაწეობა გააბიაბრუნეს, იდეალისტის იარღიყი მომაკერეს, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორობიდან მომხსნეს და მაგრძნობინეს, რომ ლოგიკის საკითხებზე ჩემი შემდგომი მუშაობა არ იყო მიზანშეწონილი და სასურველი. ახლა მითხარი, ჰქონდა თუ არა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ან მორალური, ამ პროფესიული ან თუნდაც პოლიტიკური უფლება ამგვარად მოქცეოდა წიგნსა და მის ავტორს? არგუმენტი არსად ჩანდა. ეს ნამდვილი განუკითხაობა იყო. ახლა ისიც მითხარი, რით არ იყო ბიუროს ეს სხდომა ადამიანის დევნის აპოთეოზი? რით იყო აქ დატრიალებული ვითარება იმაზე ნაკლები, რაც მირიანმა გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში ან

თუნდაც ვორკუტაში და რუსთავში გადაიტანა? ხომ გითხარით, ჩვენ-ჩვენ ჯვარს ვატარებთ მეთქი. იქ ბრძოლა, თეორიული ბრძოლა არ მაცადეს და არც ღირდა. საქმის გამწვავებისას შეიძლებოდა დაპატიმრება არ ამცდენოდა. ეს იყო ბარბაროსების შემოსევა. სწორედ ასე გავივლეთ გულში და რუსთაველმა მიშველა, მისმა საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. ბიუროს მეორე დღეს, უნივერსიტეტში გამოცდა მქონდა. უნივერსიტეტის ვესტიბულში რომ შევედი, ვხედავ განცხადებების დაფიდან ის განცხადება ჩამოეხსნათ, სადაც ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა იყო გამოცხადებული. ძალზე ცუდ ხასიათზე დავდექი. სტუდენტებისათვის წინა დღეს ცეკას ბიუროზე საკითხის განხილვის ყველა პერიპეტია უკვე ცნობილი იყო და აუდიტორია დაშოკილი დამხვდა. ეგონათ, ჯვარს მათზე ვიყრიდი. სტუდენტების გამოცდასთან ჩემს მიერ გადატანილ ამბებს არაფერი საერთო არ ჰქონდა და აუდიტორიისათვის ეს უმაღლესი ცხადი შეიქმნა, როგორც კი პირველმა სტუდენტმა დაიწყო პასუხი. იმ სტუდენტის სახელი და გვარიც მახსოვს. შესანიშნავად იყო მომზადებული, ფრიადიც მიიღო და დაძაბულობაც განიმუხტა. ეს დეტალი მთელი სიცხადით შეინახა ცნობიერებამ. ახლა ყველაფერი უკვე წარსულია. არავისთვის არაფერი არ მიკადრებია, თუმცა მე ზედმიწევნით ვიცოდი, ვინ იდგა ანონიმური წერილების უკან, ვინ ეფარებოდა ანონიმის ნიღაბს, ვინ აკეთებდა ანონიმურ დასკვნებს. მერე გვიან, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებთან დამოკიდებულება შეიცვალა, ყველაფერი გაირკვა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. როცა ინსტიტუტში მეორედ დამნიშნეს დირექტორად, ეგონათ, შურისძიებას დავიწყებდი, მაგრამ ამის არც სურვილი მქონია, არც ღრო. ისევ ჩემი საკეთებელი საქმის კეთება განვაგრძე. ეს მეორე მაგალითიც გვიამბოვს. ცხადია, რისთვის და რატომ. ახლა ჩვენ – სავლემ მირიანს მიაპყრო მხერა – თუ მართლა ლოგიკურები ვართ, შესაბამისი და სათანადო დასკვნა უნდა გავაკეთოთ მთელი ამ საუბრიდან. შენი განთავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ მირიანს მოველით ფილოსოფიის ინსტიტუტში. სწორი დასკვნაა? რაიმე ლოგიკური შეცდომა ხომ არ დამიშვია?

მირიან იბერი წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ბატონ სავლე წერეთელთან ახლოს მივიდა და აკოცა.

თვალზე ეკიდა ცრემლი.

- ლოგიკურად ყველაფერი შეიძლება, მისაღებია, ბატონო სავლე, მაგრამ ცხოვრებამ შეიძლება შესწორება შეიტანოს ჩვენს დასკვნებში და ერთი თვე არ გამოდგეს საკმარისი დრო. მე ფილოსოფიის ინსტიტუტში მოგაკითხავთ მაშინ, როცა დალი მონახება თუ მიიგნება – მირიანმა ეს თქვა და წამიერი პასუხის შემდეგ დაუმატა – ეს ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელიც თითქოსის ფილოსოფიას სწორედ იმით სჯობს, რომ ყველაფერს პრაქტიკაზე, ადამიანთა ცხოვრების რალურ პროცესზე ამყარებს. სხვათა შორის, თითქოსის ფილოსოფია, როგორც გარკვეული ტერმინი ჩემთვის ამ მიმდინარეობის გაცნობამდე, მის შესწავლამდე გახდა ცნობილი. ეს ტერმინი მე რომან შენგელიასგან გავიგონე, ხოლო თვითონ რომანი სად და როგორ შეეყარა ამ ფილოსოფიას, ეს თვით რომანმა გვიამბოს.

რომან შენგელია შეცბა.

- არა, მირიან, რას აბმობ.

- სწორს ვამბობ. ყველამ რაღაც ვთქვით, შენ ხმა არ ამოგიღია.

- რას მეუბნები, მირიან, როგორ შეიძლება იმ ამბის მოყოლა ბატონ

სავლესთან?

- რატომ, ძმაო, ბატონმა სავლემ ისედაც, მაგ ამბის მოყოლის გარეშეც კარგად იცის, რომ სიჭაბუკეში შენ ნაბახუსევზე გათიშვა გახასიათებდა, სხვა რაა მაგ ამბავში მოსარიდებელი?

- აბა, გისმენთ! – სიტყვა ჩაურთო პროფესორმაც.

- კი, ბატონო, მოყვები, მაგრამ რაა ამ ამბავში საინტერესო?
გენო ცინცაძე უსიტყვოდ იღიმებოდა და ამით აქეზებდა რომანს.
ბოლოს რომანი გატყდა:

- როგორც ვაქვს უწერია “არ მინდა ძველი დარდები რომ გულში
აიწეწოსა.” მე მესამე კურსი დავამთავრე, მირიანმა მეორე. . . სასწავლო
წლის ბოლო სტიპენდია ავიღეთ და გადავწყვიტეთ, აღგვენიშნა. ოთხი ძმაკაცი
ვიყავით. მე, მაიაკოვსკელი ვახტანგ კიკნაძე, ვენელი ავთანდილ ენუქიძე,
ქუთაისელი მირიან იბერი. ჩვენ, ანუ ძველი სამოქალაქოს ინტელექტუალურ
ელიტას ყოველთვის ქეიფი გამოგვდიოდა. პირველი კორპუსიდან გამოსვლისას
წიგნების ჯიხურთან ჩემი თანაკურსელი ლეილა ხმალაძე შეგვეფეთა,
ვთხოვეთ ჩვენთან შემოერთება, დაგვეთანხმა, უნივერსიტეტის წინ “M-1”
გავაჩერეთ, წინ ლეილა დავსვით, უკან ჩვენ ოთხი ჩვეჯექით, მძღოლს
ვუთხარით, ფუნიკულიორზე ავეყვანეთ. მძღოლმა ქუდი შეისწორა, წაიღიღინა
და გავსწიეთ. სუფრაზე ლეილას ყოფნამ ქეიფს ზნეობრივად უფრო მაღალი
კალაპოტი გამოუკვეთა. მთელმა სადამომ ოხუნჯობათა ნაკადში ჩაიარა,
მაგრამ ყველა ოხუნჯობა თავანკარა და გამორჩეულად მაღალზნეობრივი იყო.
განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ავთანდილ ენუქიძის მიერ რუსულში
მიღებული ოთხიანის ამბავი. რაც სამი დღის წინ მოხდა, მაგრამ ლეილამ იმ
სადამომდე არ იცოდა. დანტეს “ღვთაებრივ კომედიაში” აქვს ასეთი დეტალი.
ანტიკური დროის გამოჩენილი მოღვაწეები ჯოჯოხეთში მოხვდნენ იმის გამო,
რომ ისინი ქრისტეზე ადრე ცხოვრობდნენ და თავიანთ მდგომარეობაში ასე
უხსნიან ცნობისმოყვარეებს: “ჩვენ უნებლიედ დავაშავეთ რომ ადრე გავჩნდით
და ამიტომაც დაღუპვისკენ გვიქციეს პირი.” რუსულს ვარვარა ვასილევნა
გვასწავლიდა, განათლებული ქალი. უადრესად ინტელექტუალური პიროვნება.
ავთანდილ ენუქიძე ხუთოსანი იყო, მაგრამ რუსული ენის სახელმწიფო
გამოცდაზე წაიბორძიკა და ქალბატონმა ვარვარამ ოთხი დაუწერა.
აუდიტორიიდან დერეფანში გამოსულ ავთანდილს პირველი გაიოზ ვაშაძე
შეეფეთა. რა მიიღეო, ჰკითხა. ოთხიო, უპასუხა ავთანდილმა და თან აუხსნა
“ეს უნებლიედ დავაშავეთ, რომ ვანში გავჩნდით და ამიტომაც, ოთხისაკენ
გვიქციეს პირი.” როგორც კი ეს სიტყვები მიწვდა გაიოზის სმენას, ვაშაძემ
საოცარი ხმაური ატეხა. “ასეა, ბატონო, პროვინციელებს ნიშნებს
გაგვიფუჭებენო.” თვითონ ჭიათურელი იყო, სწორედ ამ ხმაურის დროს
დერეფანში გამოჩნდა რექტორი და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი.
“ყმაწვილო, რატომ ყვირით” ჰკითხა რექტორმა გაიოზს. “პროვინციიდან
ჩამოსულებს ნიშნებს გვიფუჭებენ. აი, ავთანდილ ენუქიძეს ყველაფერში
ფრიადი აქვს მიღებული და რუსულში ოთხიანი დაუწერეს.” “როდიდან იქცა
ოთხიანი ცუდი სწავლის სიმბოლოდ?” – იკითხა რექტორმა და გაიოზ ვაშაძემ
რექტორისა და დეკანის წინაშე სიტყვა-სიტყვით გაიმეორა დანტე ალიგიერის
პოემის დეტალის ენუქიძისეული პერიფრაზი “ეს უნებლიედ დავაშავეთ, რომ
ვანში გავჩნდით და ამიტომაც ოთხისაკენ გვიქციეს პირი.” “თქვენ სადაური
ხართ ყმაწვილო” – ჰკითხა გაიოზს რექტორმა. “ჭიათურელი.” მერე იმერელ
ყმაწვილებს, ვანელსა და ჭიათურელს განა შემვენით ხმაური და
ჭირვეულობა? “კითხვა დააგლო რექტორმა და დერეფანს გაუყვა. რაზეც მე
გესაუბრეთ, ეს ეპიზოდი იმისთვის ღირიული ჩანართია, მაგრამ თავისთავადი
ღირებულების მქონეა, დამოუკიდებელი ეპიზოდი, რომელიც
დამახასიათებელია. კარგა ხანს ვიქეიფეთ. ქვევით, ფუნიკულიორის ქვედა
სადგურში რომ ჩამოვედით გაწვიმდა, მაგრამ არა სერიოზულად, არამედ
ღირიკულად. მე ბიჭებს ვუთხარი: “თქვენ წადით სტუდენტულ ქუჩაში, მე ლეილას
გავაცილებ და მალე მოვალ.” არავის არ გამოუთქვამს რაიმე საწინააღმდეგო.
დავიშალეთ და ჩვენ-ჩვენი გზით წავედ-წამოვედით. აქამდე ყველაფერი
ნათლად მახსოვს. მანქანის მძღოლის მიერ ქუდის შესწორებიდან სუფრის
მთელი პროცესი, გზაზე ლეილასთან საუბარიც, შემდეგ ყველაფერს ფარდა
ეხურება. ლეილას ხელის ჩამორთმევასთან ერთად ცნობიერებაც დაიხურა,

გაქრა, წავიდა. მერე აღარაფერი მახსოვს. რაც მთავარია, ვერ ვიხსენებ იმას, თუ როგორ აღმოვჩნდი იქ, სადაც დიღას გამოძევობა, თუ გამაღვიძეს. დიღით სიცივემ და სუსხმა გამაღვიძა. სიცივე მთელ ტანზე მქონდა წაკიდებული. ძველებურად დიღის სიცივე მარტო სახეზე ან ხელებზე კი არ მიგრძენია, არამედ მთელი სხეულით ვგრძნობდი რიჟრაჟის სუსხს. ტანზე წაფარება ვცადე, მაგრამ ამოძრავებულ ხელში საბანი არ მომხვდა. ამ დროს მკერდის არეში მძლავრი ბიძგი ვიგრძენი. თვალი გავახილე და დავინახე: თავზე უცხო კაცი მადგა, ფართეულვაშიანი კაცი, შავტანსაცმლიანი, რომელსაც თოფი ჰქონდა ჩაბლუჯული. “ადექი, შენი. . . “ გინება არ დაუყოლებია. უაზროდ შემეშინდა და აზრზე მოვედი. ღლონინში არ ვიწექი, ქვით მოპირკეთებულ იატაკზე ვეგდე სადარბაზოს მოაჯირის გასწვრივ, თავი კიბესთან მედო, ხოლო ფეხები კარებზე მქონდა მიბჯენილი, ტრუსები და მაისური მეცვა. “სად ვარ?” – უცებ ამუშავდა ცნობიერებაც. “ხომ გაიგონე, რაც გითხარი, ადექი მეთქი”. თოფიანმა კაცმა მეტი აღარ დამაცადა, ვერ გავერკვიე სიტუაციაში. რომელიღაც სახლის უკანასკნელ სართულზე ვიყავი. კიბე და მოაჯირი ჩემი საწოლის იქეთ არ გრძელდებოდა. “შენ ფილოსოფოსი ხომ არა ხარ?” მკითხა კაცმა. “სხვა ამას ვერ იზამდა, ამას მხოლოდ თითქოსის ფილოსოფიის მიმდევარი თუ იზამდა.” გააგრძელა, ჩემს პასუხს არ დაუცადა, რადგან დაილაპარაკა, მეც ამოვიღე ხმა. “ფილოსოფოსი არა ვარ, მაგრამ ფილოსოფოსობისთვის ვემზადები, ფილოსოფიის ფაკულტეტის მესამე კურსზე გადავედი, მაგრამ აქ საიდან გავჩნდი?” “მეც სწორედ მაგას გეკითხები” – სთქვა კაცმა – “ყველაფერი ნიკოლოზის არმიის ოფიცრის ადიუტანტივით სწორად დაგილაგებია, მოწესრიგებულად. შეხედე, მარჯვნივ, კედელთან ფეხსაცმელები და ფეხსაცმელებში ჩაწყობილი ნასკებია მიწყობილი. აქეთ კი, მეორე მხარეს, მოაჯირზე კოხტად დაკეცილი შარვალია გადაკიდებული, შარვალი და ქამარი, თანაც ქამარი შარვლიდან გამოღებულია, რაც იმის საბუთია, რომ შენ წესიერი კაცი ხარ, მათ გასწვრივ შენი პერანგია გადაფენილი, კიდევ კარგი ძირს არცერთი არ გადავარდნილა. ყველაფერი თითქოსის ფილოსოფიის მიმდევრის ნამუშევარია. თითქოსის ფილოსოფია უკვე, ალბათ, გაგონილი მაინც გექნება.” მე კი ვიდექი სრულიად უცნობ ბინაში, სრულიად უცნობ სადარბაზოში, სრულიად უცნობი კაცის წინ თუ წინაშე, ვიდექი სირცხვილნაჭამი, შემფოთებული, აფორიაქებული და მხოლოდ იმის გარკვევას და გახსენებას ვცდილობდი, საიდან გავჩნდი აქ. “ჩავიცვამ” ვთქვი და შარვალს წავეტანე. “არა, არ ჩაიცვა. გათოშილი ხარ, თუ არ გათბი, შეიძლება, ავადაც გახდე, შევიდეთ სახლში, ცხელი წყალი სულ მოდის და გადიბანე ტანი. მერე ჩაიცვი. მანამდე კი ტანსაცმელს ხელი მოხვიე და შემოიტანე სახლში.” ეს თქვა, პასუხის გაცემის საშუალება არ მომცა, ის კარი შეაღო, რომელზედაც წედან ფეხები მქონდა მიბჯენილი. ღია კარში შევყევი. “ჩემს ოჯახს ჯერ სძინავს, ყველას, უკლებლივ. ამიტომ ნუ გერიდება.” აბაზანაში შემიყვანა, ცხელი წყალი მოუშვა, ცივით შეანელა, ახალი პირსახოცი შემომიტანა და დამტოვა. შხაპი მივიღე. მომაკითხა და სუფრასთან დამსვა. საგანგებო საუბარი გამიბა:

- წედან თოფით რომ დაგადექი თავზე, ხომ არ შეგაშინე? – მკითხა, თან სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე ახალი კარტოფილი, პამიდორი და ყველი გადმომიღო.

- არა, შეშინება არ მაცადეთ. ისე შეკრთომა, ცხადია, იყო. ახლაც შემკრთალი ვარ. ჯერაც ვერ გამირკვევია აქ საიდან გავჩნდი.

- სადაური ხარ?

- სამტრედიიდან, ახალსოფლიდან.

სახელი და გვარი, მშობლების საქმიანობა გამომკითხა და თვითონაც გამეცნო.

- საქრო საათაშვილი ვარ, საჩხერედან. მსოფლიო ომი რომ

დაიწყო, ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ახალი ჩარიცხული ვიყავი, მოკლედ, პირველკურსელი. მერე ფრონტზეც მოვხვდი. 1916 წელს გერმანელებმა პოლონეთში დამატყვევეს და ომის დამთავრებამდე შიგ გერმანიაში ვიყავი. იქ გავიცანი ფაიჰინგერის ახლო ნათესავები, ბიძაშვილები. იქ მაჩვენეს ფაიჰინგერის მთავარი წიგნის “თითქოსის ფილოსოფია, კაცობრიობის თეორიული, პრაქტიკული და რელიგიური ფიქციების სისტემა იდეალისტური პოზიტივიზმის საფუძველზე” 1913 წლის გამოცემა. ამ წიგნის ავტორის, თვითონ წიგნისა და მასში განვითარებული თვალსაზრისის შესახებ პირველი გაკეთილები მისი ბიძაშვილებისაგან მივიღე. ეამაყებოდათ ცნობილი პროფესორი და მისი ასევე ცნობილი ფილოსოფია. თითქოსის ფილოსოფიის ძირითადი დებულებაც გამაგებინეს. შენც იმ დებულების მიხედვით მოქცეულხარ, რომან. თითქოს ნამდვილ სახლში იყავი, ისე მიგილაგებია ყველაფერი. ხომ შეგატყვე, რომ შენ თოფის საკრავი კაცი არ იყავი, ფილოსოფოსი რომ იყავი, ხელად შეგატყვე.

დავლიეთ. დავემშვიდობე და წამოვედი. მისი სახელი და გვარი მტკიცედ დამამახსოვრდა: შაქრო საათაშვილი. რატომ მომაყოლეთ ეს ამბავი – ხელებს შლიდა რომან შენგელია – რის სიმბოლოდ გამოგვადგება. თავი მომჭერთ ბატონ სავლესთან.

იმ საღამოს, სტუმრების წასვლის შემდეგ მირიან იბერმა ვერასგზით ვერ მოისვენა. თითქოს არაფერი არ სტკიოდა, მაგრამ მაინც მოუსვენრად იყო. “სად მიიდრიკოს თავი სულმა” ათასჯერ მაინც გაიმეორა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ამოგლეჯილი ეს ფრაზა. მისი დიდი წინაპარივით თვითონაც ვერ მიეგნო სულის მოსადრეკ ადგილისთვის. გიგლა ხაჭაპურიძე არ დააძინა, დროდა დრო ელაპარაკებოდა. ტყვეობაში გატარებული ღამეები მოაგონა.

- გახსოვს, გიგლა, გერმანიაში მეღანქოლიამ რომ წამომიარა, კარგად კი ვერ ვიგონებ, რა მინდოდა, რა მისრისავდა გულს.

- ყოველ შემთხვევაში იმ მომენტში გერმანელები არაფერ შუაში არ იყვნენ, შენ აქ ყოფნა მოგენატრა, შენი ქვეყანა მოგენატრა. . .

- სწორია, მაგით დაიწყო, საქართველოს მონატრება იყო ათვლის წერტილი, მაგრამ ეს მხოლოდ ათვლის წერტილი იყო, მერე კიდევ რა მინდოდა, აღრენილი ვიყავი.

- აღრენილი იყავი, სხვა აღარაფერია საჭირო. ამ აღრენას ჰქვია მეღანქოლია.

- არა, მეღანქოლია უფრო მეტია, ვიდრე აღრენა. გულაღრენილმა კაცმა იცის რაზე, რისთვის და რატომ ღრინავს, მაგრამ მეღანქოლია ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ადამიანში ადამიანობის ჩაკვლას, ადამიანობის გასრესას, ადამიანობის გაქრობას მოსდევს. ადამიანი უძღური ხდება იბრძოლოს, რათა რაღაც მნიშვნელოვანს მიაღწიოს. ბრძოლა არ შეგიძლია, ფიქრიც არ შეგიძლია, ოცნებაც არ შეგიძლია, ესაა მეღანქოლოა, სრული დაცემა. იმ ღამეს, გერმანიაში, ეს პირველად მომივიდა, დაგიძახე, რაიმე მიშველე მეტქი, მეგონა ან წმინდა გიორგის ტაძარს გაიხსენებდი და დაეყრდნობოდი, ან ბაგრატს, ან გელათს. შენ კი ვერაფერი გაიხსენე. შენც გჭირდა მეღანქოლია, მაგრამ გაუცნობიერებელი. . .

- ალბათ – თქვა გიგლამ – კარგი მაშინ მეღანქოლია გეჭირდა, ახლა რა გეჭირს?

- ახლა არაფერი. ახლა მხოლოდ გახსენება გეჭირს, გახსენება ჩვენი ცხოვრების იმ მომენტისა, როცა ადამიანობას ვკარგავდით, ვკარგავდით თუ დაკარგეთ.

- მაგრამ არ შეიძლება ეს მხოლოდ გახსენება იყოს, შენ ახლაც რაღაც გჭირს. ახლა აღარ მყავს ტილი! – თქვა გიგლამ, წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა.

- ტილი? ეს მართლაც გენიალური საქმე იყო. რაღაც იხრწნებოდა ჩვენ სულში, იხრწნებოდა, ლპებოდა და ჩვენ რა ვქენით? – საკუთარი კისრებიდან ამოღებული ტილები ერთმანეთს შევაჯიბრეთ სირბილში, რომელი რომელს გაასწრებდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ ჩვენმა ცნობიერებამ რაღაც ისეთი მიზანი დაისახა, რომლის შესრულება პრინციპულად არ შეიძლება. ჩვენ მოვინდომეთ ტილებთან კონტაქტში შესვლა. ეს არ ნიშნავს დაცემას? ეს სწორედ ამას ნიშნავს. ადამიანის ინტელექტუალურ დაცემას. საიდან მოვიგონეთ ამგვარი შეჯიბრი? სასოწარკვეთისაგან. მეღანქოლიაც სასოწარკვეთისაგან მოვიდა. შეიძლება ეს ორი სიტყვა ერთიდაიგივე მდგომარეობის ორი სახელია. ახლაც რაღაც ამის მაგვარი მჭირს გიგლა, შენ თქვი ახლა ტილი აღარ მყავსო, ანუ ახლა რაღაც სხვა უნდა მოიძებნოს, რაღაც სხვას უნდა მივადგეთ იმის დასადგენად – გვეშველება თუ არა. გვეშველება? იქნებ შენ მიაგნო სად მიიდრიკოს სულმა თავი? ესაა თუ ესეცაა სასოწარკვეთის სათავე, ეს, როცა არ იცი გვეშველება თუ არა, მაგრამ რა ვქნა მე რომ არ მჯერა საშველის, რამდენ ხანს შეიძლება გავძლო ასეთ სასოწარკვეთაში თუ ასეთმა სასოწარკვეთილმა.

- მირიან, ალბათ ეს შენი სასჯელია, ყველაფერი რომ უნდა გაიზარო, ყველაფერი რომ უნდა შეაფასო, ან როგორც შენ გიყვარს თქმა, ყველაფრის საზრისს რომ უნდა ჩაწვდე – გიგლა ხატაპურიძე უდიდოდა მირიან იბერს.

- კი, გეთანხმები, ალბათ, სასჯელია, მაგრამ მე ამგვარი წყობის ადამიანი ვარ, ჩემი გარდაქმნა-გადასხვაფერება აწი გვიანაა, ძალიან გვიან, კარგი ტილებსა და შეჯიბრს დავანებოთ თავი, ჩვენ ეს საფეხური უკვე განვლილ საფეხურად მიგვაჩნია, ისე შემეშველე, ისე მიკარნახე, ისე მომეხმარე, მითხარი – გვეშველება?

- კი, მირიან, მე მგონია, უნდა გვეშველოს.

- მე საბუთი მინდა, დასაბუთებულ სიტყვას ვითხოვ!

- შენ კი ითხოვ დასაბუთებულ სიტყვას, მაგრამ მე რომ ასეთი ლაპარაკი არ შემიძლია. მე გუმანით ვგრძნობ, რომ გვეშველება, ანუ მალე გაგვიშვებენ, გაგვანთავისუფლებენ, ცხოვრებაში მიგვაბრუნებენ.

- მიგვაბრუნებენ თუ ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ ცხოვრებას?

- ჩვენით უნდა გავაკეთოთ რაიმე მნიშვნელოვანი? ნებაც რომ მოგვცენ შევძლებთ კი ამას? – გიგლამ მეორე სიგარეტს მოუკიდა.

- სწორედ ამ კითხვას ვერ ვპასუხობ, გიგლა. ნუთუ ისე მოგვსპვს, ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანეს, რომ მართლაც რომ მოგვცენ ნება ვერ შევძლებთ იმის გაკეთებას, რაზეც ოდესღაც გვიოცნებია? არ ვიცი, ძვირფასო, ახლა დაწე ი და ამაზე ნუღარ იფიქრებ. შენთვის ამაზე ფიქრი გვიანაცაა და შეუძლებელიც. ამ ფიქრით მე ვარ დაწყველილი და ვცდი ბოლომდე ვზიდო ჩემი სასჯელი.

* * *

. . . მატარებელი თბილისი-ქუთაისი ელექტრონით გაჩახჩახებულ სადგურიდან ზუსტად ღამის თორმეტ საათზე აიძრა. მეექვსე ვაგონის მესამე კუპეში რუსთავის კოლონიიდან განთავისუფლებული მეგობრები ისხდნენ. გიგლა ხატაპურიძეს, ვასო ჯიშკარიანსა და მირიან იბერს იუზა ჩიხლაძე შეერთებოდათ. მატარებელი დაიძრა თუ არა ოთხივე მეზავრმა ვაგონის ფანჯრის მიღმა ამოდრავებულ სივრცეს მიაპყრო მზერა. აგვისტოს ღამის ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი.

იუზა ჩიხლაძე მთელი დღე არ მოსცილებია განთავისუფლებულ სამეულს. მან წუხელ გვიან გადაწყვიტა, რომ პოლიტპატიმრობიდან თავდახსნილ მირიან იბერიის მიტოვება ბედის ანაბრად არ შეიძლებოდა, თან უნდა გააჰყოლოდა მირიანს, ქუთაისამდე მაინც უნდა ჩაეცილებინა. სხვაგვარად არ შეეძლო და მისი გადაწყვეტილების სისწორე წუხელვე დაუდასტურა გაიოზ დემეტრაძესთან შეხვედრამ. კოლონიის უფროსთან ძალიან გვიან, თითქმის შუადამისას, როგორც პოლკოვნიკმა უწოდა “უდროო დროს” შევიდა.

– ალბათ, რაიმე გადაუდებელმა საქმემ მოგიყვანა, სხვაგვარად ასეთ დროს არ მოხვიდოდი. – ამ სიტყვებით შეეგება გაიოზ დემეტრაძე იუზას.

– ალბათ...

– სხვაგვარად შეუძლებელია, ახლა ჩვეულებრივი აუდენციისათვის უდროო დროა, მაგრამ აბსოლუტური უდროო დრო არ არსებობს, უდროო დრო ყოველთვის შეფარდებითია, ასე მასწავლა მილიციაში ჩემმა მომყვანმა შონიამ, დრო რომელიმე კონკრეტული საქმისთვის არის უდროო, მაგრამ თუ ეს საქმე შენთვის გადაუდებელია, მაშინ უდროო დრო კარგავს თავის არსს, ქრება, იკარგება. ახლა გისმენ და თქვი, რა გადაუდებელმა საქმემ მოგიყვანა?

– ამხანაგო პოლკოვნიკო, სათხოვარი მაქვს. – იუზამ თავი ასწია. მზერა გაუმართა გაიოზს.

– რა სათხოვარი? – დემეტრაძე მშვიდად უცქერდა იუზას.

– ერთი კვირით უნდა დამითხოვო სამსახურიდან, დღეის სწორს დავბრუნდები.

– სად მიდიხარ? ეს ერთი, და მეორეც რატომ მიდიხარ? რა საქმეზე? კაცი უნდა მოკლა? – პოლკოვნიკს ღიმილის გაკროთომასავით გადაურბინა ბაგეებზე.

იუზა კითხვის ნიშნად იქცა.

– შენი რეაქცია ამტკიცებს, რომ ის ამბავი არ იცი, რომლის გამო გკითხე კაცი უნდა მოკლა მეთქი? – პოლკოვნიკი დაჯდა, იუზას ხელით ანიშნა დაჯექიო – ცნობიერების მოქმედება მართლაც საოცარია. ხანდახან ისე მოულოდნელად ამოაფრენს გონების რომელიმე კუნჭულში გადანახულ თუ გადაკარგულ ეპიზოდს, რომ თვითონაც უჭირს იმ წუთში არსებულ სიტუაციასთან ამ ეპიზოდის დაკავშირება. დაჯექი, თუ არ გიამბე, რატომ გკითხე ვინმე უნდა მოკლა მეთქი, შენ ჩემზე ნაწყენი, გულნაკლული დარჩები, ეს კი მე არ დამიმსახურებია, არც მინდა. მომისმინე, როცა შენ მითხარი რაღაც დროით გამანთავისუფლეო, საქმე მაქვს და დროზე დავბრუნდებიო, ჩემი მეხსიერებიდან იროდიონ ხანთაძის ცხოვრების ერთი ეპიზოდი ამოხტა, ამოფრინდა და ის სიტყვაც იმ ეპიზოდმა წამომაყივლა. შენ ქუთაისელი კაცი ხარ და იროდიონ ხანთაძე გაგიგონია?

იუზამ თავი დაუქნია.

– იცი, რა კაცი იყო? – განაგრძო დემეტრაძემ – კარგი მკვლევარი, კარგი პუბლიცისტი, კარგი ჟურნალისტი და საერთოდ უკეთილშობილესი ადამიანი. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი ახალი დაარსებული იყო, როცა იგი ქუთაისში მოავლინეს სამუშაოდ. მაშინ ამთავრებდა მის ძირითად და ძალიან საინტერესო წიგნს: “სტალინის ენის თავისებურებანი და გადმოცემის ხერხები”. ბატონი იროდიონი ქუთაისის ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტის დეკანად დანიშნეს. პირველი მთხოვნელი მესამე დღეს შევიდა მის კაბინეტში, იროდიონი მარტოა. მთხოვნელი მეორე კურსელი სტუდენტია, ვიღაც ქოჩიანი, სვანი. ქოჩიანმა დეკანს განცხადება მიართვა. სამი დღით განთავისუფლებას ითხოვდა. განცხადებაში არ ეწერა რატომ ითხოვდა განთავისუფლებას. მიდიხარ სადმე? – შეეკითხა იროდიონი სტუდენტს. – დიახ, პატივცემულო, სვანეთში უნდა ავიდე. – უპასუხა ქოჩიანმა. იროდიონს ფიქრში უანგარიშია: ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ერთი დღე სვანეთში ასვლას უნდა, კიდევ ერთი დღე ქუთაისში მობრუნებას. რაღა რჩება? – რა საქმეზე? – უკითხავს

დეკანს მოხოვნილი სტუდენტისთვის. – კაცი მყავს, პატივცემულო, მოსაკლავი. სამი დღის მეტს არ გავაცდენ, ავალ, მოვკლავ და დავბრუნდები. გადარეულა იროდიონი, ასეთ პასუხს არაფრით არ ელოდა, არა, არ ელოდა კი არა, ვერ წარმოიდგენდა. იროდიონ ხანთაძის ცხოვრების ეს ეპიზოდი წელან, უცებ, სავსებით მოულოდნელად ამოხტა, ამოფრინდა, გამიცნობიერდა საიდანღაც და ამიტომ გკითხე კაცი უნდა მოკლა მეტქი. გაიგე ახლა რატომ გკითხე მკვლელობის შესახებ? – ისევ აუთამაშდა ღიმილისმაგვარი შტრიხი ბაგეებზე დემეტრადეს.

– სანამ იმ კითხვაზე გიპასუხებდეთ ამხანაგო პოლკოვნიკო, ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ იროდიონ ხანთაძის ცხოვრების სხვა ეპიზოდზე. შეიძლება მისი ქუთაისური ცხოვრების ეს ეპიზოდი თქვენც იცით, მაგრამ, შეიძლება არა. ამიტომ უნდა გიამბოთ, იროდიონ ხანთაძის ცხოვრების თქვენი ცოდნა უნდა შეგავსო. ამ ეპიზოდს ეწოდება ნადირობის ეპიზოდი...

– განაგონი მაქვს, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს, მოყვით, გისმენთ! – მოსასმენად გაემზადა გაიოზი.

– ქუთაისში ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ იროდიონი ინსტიტუტის თანამშრომლებმა კურდღელზე სანადიროდ მიიწვიეს. უთხრეს, რომ პედინსტიტუტში ეს რიტუალი დანერგილიაო, ახალი თანამშრომელი აუცილებლად კურდღელზე სანადიროდ უნდა წავიყვანოთო. ნადირობა გაიმართა ოლასკურის ზემოთ, პრობკის ხის ტყეებში. შეიძლება თქვენ ქუთაისში მუშაობის პერიოდში ნანახი გაქვთ პრობკის ტყეები. ულამაზესია. კარგი სანახავია. იროდიონს სპეციალურად ვიღაც დოცენტი, მარჯვე მონადირედ ცნობილი კაცი მიუჩინეს. ნადირობის დასაწყისის მშვიდი ეპიზოდები თანდათან გადაიზარდა მონადირე ძაღლების დავლავით ახმაურებულ ეპიზოდებში. კარგახანს ვერავინ ვერაფერი ვერ მოინადირა. მიმაგრებული დოცენტი დიდად ცდილობდა იროდიონისთვის კურდღელი წამოეგდო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იროდიონმა სათოფე მანძილზე დალანდა ერთი კურდღელი. თოფი გადმოიღო, დაუმიზნა, ესროლა და მოკლა. კურდღელთან მირბენა იმ დოცენტმა დაასწრო, რომელიც იროდიონ ხანთაძეს მიამაგრეს თუ მიუჩინეს მონადირეებმა. მოვიდა იროდიონიც. ხელი დაავლო თეთრ, შავი ხალებით შეფერილ კურდღელს, ასწია და ხედავს: კურდღელა უკანა ტანში რაღაც მრგვალად დახვეული ქაღალდი აქვს შეკეხებული. მაშინ უთქვამს იროდიონს ირგვლივ შემოკრებილი მონადირეებისთვის – რა ხართ ეს ქუთაისელები, ყველაფერში უნდა გამონახოთ რაღაც საოხუნჯო და საღადაო. უკანა ტანში ქაღალდგაჩრილი კურდღელი თვითონ ბარონ მიუჰანზენის უსაზღვრო ფანტაზიასაც არ დაესიზმრებოდაო. ზუსტად ასე უთქვამს იროდიონს, მაგრამ უთქვამს დაგრაგნილ-დაკეცილი ქაღალდის გახსნის წინ. თავისივე ხელით გაუხსნია ქაღალდი და მსხვილად გაკეთებული, წითელ ფერებში შესრულებული წარწერა ამოუკითხავს: ““მე იროდიონ ხანთაძეს არ მოვუკლავარ”” გესმით, ამხანაგო პოლკოვნიკო ამ წარწერის აზრი? გახმაურებულა წარწერა და ატეხილა პრობკის ტყეებში ჰომერული ხარხარი. პირველს თვითონ იროდიონ ხანთაძეს გასცინებია მთელი გულით. გასცინებია გადამდებად და მონადირეთა მთელ გუნდს გადასდებია ეს გულწრფელი სიცილი. ეს შემთხვევა ქუთაისური იუმორისა და გონებასმახვილობის ერთი ვირტუოზული გამოვლენაა. იროდიონ ხანთაძეზე კიდევ რაღაც-რაღაცეები ვიცი, მაგრამ მათ შესახებ სხვა დროს. ახლა ჩემს წასვლაზე. მივდივარ ქუთაისში და მივდივარ პირად ოჯახურ საქმეზე. უფრო სწორად მინდა წავიდე, თუ კი გამანთავისუფლებთ და გამიშვებთ.

– როგორ ერთმანეთს ემთხვევა ჩვენი სურვილები. შენ რომ არ გეთხოვა, მე ვაპირებდი შენს წარგზავნას ქუთაისში. კარგი, განთავისუფლებ. წადი, ოღონდ ერთი საქმე აუცილებელ დავალებად უნდა გაგაყოლო და შენც აუცილებლად უნდა შემისრულო!

– ალბათ თქვენი დავალების შესრულება ჩემს ძალებს არ აღემატება – ფეხზე წამოდგა და გაიჭიმა იუზა.

– ისეთს არაფერს გავალებ, შესრულება რომ გაგიჭირდეს! – ეს თქვა გაიოზ დემეტრაძემ და მერე დამარცვლით გააგრძელა – შენს ქუთაისელ ამხანაგს, მეგობარს, მოკეთეს მირიან იბერს უნდა მოუყვე ჩემთან დალი ამაშუკელის ბოლო აუდენციის შესახებ.

იუზა გაოგნდა.

– რამ შეგაშფოთა? – კითხვა მიაბჯინა პოლკოვნიკმა ჩიხლაძეს – შენ გგონია მირიანისა და შენი ამხანაგობის ამბავი ახლა შევიტყვე? არა, ეს მაშინაც ვიცოდი, ჩემთან დალი ამაშუკელის აუდენციის დროსაც, მაშინაც ვიცოდი, მაგრამ...

– არა, პოლკოვნიკო, ამიტომ არ შევმკრთალვარ! აუდენციის ამბის მოყოლის აუცილებლობამ შემაშფოთა. ძნელია და მძიმე. მაგრამ, ამხანაგო პოლკოვნიკო, თუ თქვენ ჩემი და იბერის მიმართება ამდენი ხანია იცოდით, მცდიდით?

– არა არ გცდიდი. შენ არ გაამხილე და მეც არაფერი ვთქვი, მხოლოდ ვაკვირდებოდი თქვენს ურთიერთობას, მაგრამ საექვო არაფერი იყო და... წადი, გიშვებ, ოღონდ ყველაფერი ისე უამბე მირიანს, მე დამნაშავე არ გამოვიდე. გესმის, რას გეუბნები?

– მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო. როგორც მე ვიცი, თქვენ მაშინ თავიდან ბოლომდე მოცემული განაწესის მიხედვით მოქმედებდით.

– ჰო, ასე იყო, შეიძლება შენ არ იცი, მაშინდელმა მინისტრმა, რუხაძემ, თავისთან შეგვკრიბა მეორედ დაპატიმრებულ სამხედრო ტყვეთა საქმეების გამოძიებასთან და მათ სასამართლო საქმეებში ჩართული თანამშრომლები. რუხაძე გაგიგონია?

იუზამ თავი დაუქნია.

– ჰოდა მაშინ უნდა იცოდე, როგორი დისციპლინა სუფევდა ჩვენს სამსახურში იმ დროს, უფროსის ნაბრძანები უექველად უნდა შესრულებულიყო, უექველად და ზუსტად ისე, როგორც იყო მოცემული მითითება. რუხაძემ მაშინ თვითონ ჩამოაყალიბა და ჩაგვაწერინა პირველი ფორმულირებაც და მეორე ფორმულირებაც. ხომ გახსოვს რაზეა ლაპარაკი?

იუზამ ისევ დაუქნია თავი.

– ჰო და წადი, გიშვებ. ერთი კვირით გათავისუფლებ, მაგრამ უკან რომ მობრუნდები, უნდა მომახსენო, რომ მირიან იბერმა ყველაფერი იცის! ხვალ რა დროს მიდიხარ, გათავისუფლების ცერემონიალზე აქ იქნები?

– ვიქნები, ცხადია, მერე წავალ, განთავისუფლებულ ქუთაისელებს გაყვები.

პატიმრების განთავისუფლების ცერემონიალი დღის პირველ საათზე დაიწყო. ყველაფერი ჩინებულად იყო მომზადებული. გაიოზ დემეტრაძემ უკვე ყოფილ პატიმრებს მიულოცა სრული და საბოლოო რეაბილიტაცია. ცხოვრების ფერხულში ხელახალი ჩაბმა, კოლონიის ადმინისტრაციის სახელით მოუბოდიშა მათ ისტორიული უსამართლობის გამო, შემდეგ სიის მიხედვით თითოეულ მათგანს საბუთები ჩამოურიგა და გამოეთხოვა. ორკესტრმა საზეიმო მუსიკა ბოლოს რომ დაუკრა, ოთხი საათი სრულდებოდა. მთელი ეს ცერემონია მშვიდად, მაგრამ ამაღლებულად ჩატარდა.

ცერემონიალზე მირიანი და მისი თანასაკანელი მაგობრები ერთად ისხდნენ. ყველაფერი ისე მიიმართებოდა, როგორც წინა ღამეს მირიანის წარმოსახვაში იყო წარმოდგენილი. როცა გაიოზ დემეტრაძემ თქვა, რომ პატიმართა დღევანდელი განთავისუფლებით პარტია მის მიერ დაშვებულ შეცდომას თვითონვე ასწორებს, მირიანმა ჯიშკარიანს გადაულაპარაკა:

– არაფრის არ რცხვენიათ. ამ შეცდომას, ვინ იცის რამდენი ადამიანის სიცოცხლე და სულის სიმრთელე შეეწირა. ახლა რა გამოდის, სულ უდანაშაულონი ვართ?

– შეგიძინევია, ალბათ, ამ შეცდომის გამო როგორი თვალთ უყურებენ რუსები ქართველებს. მათ ჰგონიათ, რომ ამ შეცდომის ავტორი სტალინი იყო.

“სტალინის დროს სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო რაიმეს ავტორი, თუნდაც შეცდომის ავტორი?” – კითხვამ გაბურღა მირიანის ცნობიერება.

ცერემონიალის შემდეგ კოლონიიდან გამოსულ ქუთაისელ მეგობრებს იუზა ჩიხლაძემ სადღაც ნაშოვნის, დაქირავებული “რაფის” ტიპის პატარა ავტობუსი დაახვედრა. ერთ საათში თბილისის რკინიგზის სადგურში იყვნენ. ჯერ ბილეთები შეიძინეს ღამის მატარებელზე, მერე სადგურის რესტორანში შევიდნენ, ისაღილეს, ცოტა დალიეს, შემდეგ სადგურიდან რუსთაველზე ამოვიდნენ, ისეირნეს. მერე სადგურზე მიბრუნდნენ და პირველ ღიანდაგზე ჩამომდგარ ქუთაისის მატარებელს მიაშურეს. ვერცერთი ვერ მოვიდა სასურველ ხასიათზე, ყველას მაინც შავნადვლიანობა უჭამდა გულს. თითქოს ვერ შეეგუენ ამდენი ხნის ნანატრ თავისუფლებას, სინამდვილე რაღაცნაირად გაუცხოვებული შეეგება მათ.

მატარებელში შესვლის შემდეგ იუზა ჩიხლაძე სადღაც გაქრა. მცირე ხნის შემდეგ სანოვაგითა და ღვინის ბოთლებით დაბრუნდა. მთელი დღე ყველაფერს თითქოს ისე და სწორედ იმას აკეთებდა, რაც დღევანდელ დღეს შეეფერებოდა, მაგრამ მთელი დღე მაინც ამღვრეული იყო, პოლკოვნიკის დავალებას ჰყავდა შეპყრობილი. ცხადი იყო – დავალება უნდა შეესრულებინა. მაგრამ რაღაც უშლიდა ხელს ამ დავალების შესრულებაში და სწორედ ეს ხელისშემშლელი რაღაც უმღვრევედა გონებას და უკარგავდა სიმშვიდეს. კუპეში მობრუნების შემდეგ ადგილები გაანაწილა. გიგლა ხაჭაპურიძესა და ვასო ჯიშკარიანს მალდა, მეორე სართულზე დაძინება არგუნა, თვითონ კი, მირიან იბერთან ერთად ქვედა საწოლები დაისაკუთრა. მერე, მატარებლის გასვლამდე სუფრის გაწყობა მოასწრო. ვაგონის გამცილებლისაგან ჭიკები ინათხოვრა, ბიჭები სუფრასთან მიიწვია და პირველი ჭიკით მშობლიურ ქალაქში მათი დაბრუნება აღდგომდა. – დიდიხნის შემდეგ, გვიან, მაგრამ მაინც თავისუფალი ბრუნდებით მშობლიურ ქალაქში – თქვა იუზამ, ჭიკა დასცალა და ყველასთან ალავერდს გადავიდა.

მატარებელი ბნელში მიჰქროდა.

– წუხელ არცერთს არ გვიძინებია, არც მე, არც ვასოს და არც გიგლას. ყველას ფიქრი მოახლოებულ ქუთაისს დატრიალებდა – ხმამალდა ალაპარაკდა მირიან იბერი – ქუთაისში, ჩემი სახლის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, ნოე ბანძელაძის ოჯახი ცხოვრობს, ნოესთვის ომი 1945 წელს დამთავრდა, ჩემთვის, გიგლასთვის და ვასოსთვის თერთმეტი წლით გვიან, ფაქტობრივად დღეს დამთავრდა ომი. ესაა ერთი კურიოზი, ძნელად ამოსახსნელი საიდუმლო. მე მგონია, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულ არცერთ ქვეყანაში ასე ხანგრძლივად არ გაგრძელებულა ომი, არც ევროპაში, არც აზიაში, არც ამერიკაში. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდანაც ნატყვევარი მეომრების ხელმეორედ დაპატიმრება მხოლოდ საქართველოში მოხდა. ჩვენ ამ მხრივაც უნიკალური ქვეყანა აღმოვჩნდით. რომელიმე დაფიქრებულხართ, რას ნიშნავს ომის გაგრძელება, ისიც მეორე მსოფლიო ომის გაგრძელება თერთმეტი წლით? – თანამეინახეებს გადახედა იბერმა.

– აბა სხვაზე რაზე მიფიქრია რუსთაველში მოყვანის შემდეგ – გაეხმაურა მირიანს გიგლა ხაჭაპურიძე – ისე, წუხელ ქუთაისი არ მოსცილებია ჩემს ფიქრს. ქუთაისი და წმინდა გიორგის ეკლესია, შეძრული ვიყავი. ახლაც შეძრული ვარ თავისუფლებით.

– ცხადია, დაფიქრებულვარ, როგორ არა, კაცო, აბა რას ამბობ, ეს გაგრძელება ისეთი გაგრძელებაა, როცა ომი ყველაზე ცუდი სახით, ყველაზე ცუდ ვარიანტში გრძელდება. ასეთი მწარე ღამეები, როგორიც რუსთავის კოლონიაში მქონდა არც მოქმედ არმიაში, არც ტყვეობისას, არც პირველ პატიმრობაში არ მქონია. ვხედავდი დღითი დღე როგორ კვდებოდა ჩემში ადამიანი, პიროვნება, მოქალაქე. ეს იყო სწორედ გაგრძელებული ომის დროს,

მაგრამ თუ ჩემი ცხოვრების ამ პერიოდს გაგრძელებული ომი ერქვა, არ ვიცოდი. ეს ახლა, ამ საღამოს, ამ მატარებელში, მირიანის ნათქვამიდან გავიგე. – მერე თავის ნათქვამს დაამატა – ხომ გახსოვთ ილიას ნათქვამი “ჯოჯოხეთია მოსაგონებლად”.

– წუხელ მეც არ მძინებია – წამოიწყო იუზა ჩიხლაძემ – გუშინ კოლონიის უფროსმა, პოლკოვნიკმა დემეტრადემ დავალება მომცა, მითხრა, რომ მისი შესრულებისას არავითარი სიძნელე არ შეგხვდებაო, მაგრამ უკვე წუხელ ვიგრძენი მასშტაბური სიძნელე და არ დამეძინა.

– რა დაგავალა ასეთი ძნელი პოლკოვნიკმა – შეეკითხა იუზას მირიანი, მერე აღარ ჩაეძია – ბიჭებო, დავთქვათ, რომ მოსაწევად დერეფანში გავიდეთ, ეს ყველაზე მეტად იუზას ეხება, მატარებელი ჯერ მცხეთაში არ შესულა, ის კი უკვე მეორე სიგარეტს ეწევა.

– ხომ გითხარით, ძნელი დავალება მივიღე მეთქი – თავი გაიმართლა იუზამ.

– მერე მაგის გამო იკლავ სიგარეტით თავს? გვითხარი რა გჭირს, რა დავალებაა ასეთი და შეგეშველებით – მხარდაჭერას დაჰპირდა იუზას გიგლა ხაჭაპურიძე.

– ძნელია, ძალზე ძნელია იმ წლების მოგონებაც – ალაპარაკდა მირიანი, თან დაცლილ სასმისებს ავსებდა – 5 წელი ვორკუტაში გაილია, 6 რუსთავში, ომის გაგრძელებამ 11 წლით, მე 11 წლით გადამიდო ბევრი არსებითი საქმე, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი საქმე, თუნდაც დალი ამაშუკელთან შეხვედრა.

დალი ამაშუკელის ხსენებამ იუზა ჩიხლაძის ცნობიერებაში ერთბაშად გააცოცხლა ის დღე, როცა ქუთაისში დალი გაიოზ დემეტრადესთან მივიდა. თითქოს ყველაზე უფრო ხელსაყრელი სიტუაცია მირიანისათვის იმ შეხვედრის პერიპეტიების მოსაყოლად თვითონ მირიანმა შექმნა. დალი ახსენა და ამით თითქოს შლაგბაუმი გაუხსნა იუზას. ჩიხლაძემ უმაღლეს იგრძნო შექმნილი სიტუაცია, ჰო, ეს იყო ყველაზე მოხერხებული დრო იმ აუდენციის გასახსენებლად, თანაც იბერი მარტო არ იყო, მას თან ახლდნენ ბრძოლისა და პატიმრობის წლების განუყრელი მეგობრები. ამაზე ყოველმხრივ მოხერხებულ დროს იუზა ვეღარ ჩაიგდებდა ხელში. ამის გაფიქრებამ ჩიხლაძე უმაღლეს ალაპარაკა:

– კარგია, მირიან, შენ თვითონ რომ ახსენე დალი ამაშუკელი. საოცრად გამიადვილე დემეტრადის დავალების შესრულება.

– დემეტრადის დავალება დალისაც ეხება? – გადაფითრდა მირიანი.

ყველანი ჩიხლაძეს მიაჩერდნენ.

– არ გადაიფიქრო, მოყვე – იბერის თქმა ბრძანებას ჰგავდა.

– ეს მოხდა 1952 წლის 3 იანვარს... მთელი გულისყურით უნდა მომისმინოთ, არც რეპლიკით, არც მოძრაობით, არც ქუსტით არ უნდა შემაწყვეტინოთ, თორემ რაღაც მნიშვნელოვანი დააკლდება ეპიზოდს...

– გისმენთ – გაეპასუხა იბერი, დანარჩენებმა უხმოდ, მაგრამ გასაგები მოძრაობით დაადასტურეს, რომ მთელი გულისყურით უსმენდნენ.

– თქვენი სასამართლო საახალწლოდ დამთავრდა. პირველ იანვარს დასვენების დღე იყო. ორში – განაჩენის ოქმები და თითოეულ თქვენგანთან დაკავშირებული დოკუმენტები გაიოზ დემეტრადის კაბინეტში გადმოვიტანეთ, დავალაგეთ და დავაბინავეთ. დემეტრადეს შეეძლო ნებისმიერი პატიმრის ბელით დაინტერესებულისათვის გადმოეღო პატიმრის პირადი საქაღალდე და ეჩვენებინა განაჩენი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს სულაც არ იყო საჭირო, ყველა პატიმარს ან ყველა ტყვედყოფილს 25 წელი ჰქონდა მისჯილი. 2 იანვარს, ბედობა დღეს, ძალზე კარგად დავალაგეთ ყველა დასჯილის საბუთები. სწორედ ბედობა დღე იყო ზედგამოჭრილი ამგვარი საქმიანობისათვის. ორში დღის ბოლოს ყველაფერი მზად იყო. ზედგინიძემ სამში პატიმართა ჭირისუფლებთან პირველი შეხვედრა დანიშნა და მიღებაზე

დასასწრებად მეც მიმიწვია. კიდევ უნდოდა ერთი-ორი კაცის მოწვევა, მათ შორის ერთი ძალიან კარგად მახსოვს, ეს იყო კოწია როინიშვილი, რომელიც თქვენი უბნის ზევით – მირიანს შეახო ხელი – თეთრა მიწაზე ცხოვრობდა, შენ აუცილებლად გეცოდინებოდა, მეორე აღარ მახსოვს, მაგრამ დემეტრადის კაბინეტში ისინი ვერ მოთავსდნენ. მეც ძლივს მომიჩინეს ადგილი გაიოზის სამუშაო მაგიდის გაგრძელებაზე, ფანჯარასთან. ხალხი საკმაოდ ბლომად მოვიდა. ყველას ერთი და იგივე შეკითხვა ჰქონდა. თუ რა მიუსაჯეს მავანს, პასუხიც ყველას მიმართ ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაიოზი საგანგებოდ დგებოდა სკამიდან, მიდიოდა კარადასთან, საქაღალდეებში საგანგებოდ ეძებდა დასახელებულ პატიმრის საქაღალდეს, გადაშლიდა და რაღაცნაირი, ჩემთვის დღემდე გაუგებარი, დღემდე ამოუხსნელი, მაგრამ ჩემს გონებაში დღემდე მკაფიოდ ჩარჩენილი, საზეიმოდ შეფერადებული ტონით უკითხავდა: “საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეს (სახელდობრ ამასა და ამას) დიდი სამამულო ომის წლებში გერმანულ ფაშისტთა ტყვეობაში ყოფნისას ჩადენილი დანაშაულისათვის, რაც სამშობლოს დაღატში გამოიხატება, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა”. ამ ადგილზე მისული გაიოზ დემეტრადე თვალს გაუსწორებდა მსმენელს, ერთი წამით ყურადღებით შეხედავდა მას, მაგრამ ეს არ გულისხმობდა არც საზეიმო პაუზას, არც ხანგრძლივ შეჩერებას, შეხედავდა მსმენელს და განაგრძობდა “მაგრამ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, მხედველობაში მიიღო რა მთელი რიგი შემამსუბუქებელი გარემოებანი, ამა და ამ პიროვნებას სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეუცვალა ოცდახუთწლიანი პატიმრობით, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.” იმ დღეს ჩვენს წინ დაახლოებით ოცმა ჭირისუფალმა ჩაიარა. მათ შორის იყვნენ ყოფილი ტყვეების მშობლები, მეუღლეები, მეგობრები, ზოგიერთის შვილი და უნდა გენახათ მათი სახის გამომეტყველება სასჯელის პირველი ვარიანტის გამოცხადების შემდეგ სასჯელის მეორე ვარიანტის წაკითხვის დაწყებამდე. ვიჯექი მე, სრულიად უდანაშაულო ადამიანი და შეეყურებდი სასოწარკვეთილ, შეშლილობამდე მიყვანილ, ნერვებაშლილ ადამიანებს. ხუთი მთხოვნელის გასტუმრების შემდეგ, გაიოზმა ჩაი მოითხოვა, მე ვისარგებლე შესვენებით და ვკითხე: “– ბატონო პოლკოვნიკო, არ შეიძლება ეს ხალხი უფრო ნაკლებ რომ გავაწამოთ ანუ პირდაპირ ვუთხრათ მათ შეცვლილი, საბოლოო, ოცდახუთწლიანი სასჯელის შესახებ?” მიყურა, მიყურა, რაღაცას ფიქრობდა. მერე მითხრა – შეიძლება შენ სწორი ხარ, მაგრამ სანამ ამ ხალხის სასამართლო ტარდებოდა ჩვენ თბილისში გამოგვიძახეს რუხაძესთან, იქ მოგვცეს ეს განაწესი: განაჩენი ჯერ უნდა გამოგვეცხადებინა პირველი ფორმულირებით, ხოლო პაუზის შემდეგ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ – მეორე ფორმულირებით. შენ გგონია ჩემში არ არის პროტესტი, მაგრამ არაფერი არ შემიძლია. რომ არ შევასრულო მოცემული განაწესი, არ შემიძლია. იგი, ალბათ, რუხაძის გამონაგონი არაა, ალბათ, უფრო ზევიდან მოდის. ეს მითხრა და შემდეგ კვლავაც ისევე გააგრძელა, როგორც დასაწყისში აკეთებდა. ერთმა კაცმა ვერ გაუძლო მხოლოდ, ერთმა კაცმა, მირიან შენი თეზიკო იყო ის კაცი, ვინც ვერ გაუძლო სასჯელის გამოცხადების მიღებულ წესს, გუშინ მამამისი, ევტიხიც გაათავისუფლეს, ნეტავ რომელ ვაგონშია?

– არ ვიცი, ამ ბოლო ხანს ბატონი ევტიხი აღარ შემხვედრია. – იუზას სიტყვა ჩამოართვა მირიანმა – შეიძლება ქუთაისში არც მოდის, შესაძლოა პირდაპირ გურიაში წავიდა, საჭამიასერზე. ერთხელ გვესაუბრა, ეს იყო საფრანგეთში, ლიონში. იცით, ბიჭებო, აქედან წერილის გაგზავნისას, კონვერტზე ვაწერ: СССР, საჭამია სერ, თენგიზ ჭკუასელი. წერილიც დაუბრკოლებლივ ბარდება ადრესატს, ჩემს ვაჟსო. ესე იგი, იუზა, თეზიკომ ვერ გაუძლო, რაო თეზიკომ? რა თქვა, რით გამოხატა მისი მდგომარეობა? – იუზას საუბრის ძალა ეცლებოდა, თითქოს ენერგიულად დაიწყო, მაგრამ

დემეტრადის კაბინეტში დაღის შემოსვლამდე ვერ მივიდა, ახლაც აჰყვა მირიანის რეპლიკას და მიღებაზე უფროსის კაბინეტში თენგიზ ჭკუასელის შემოსვლიდან გააგრძელა – შემოვიდა თეზიკო, შავი პალტო ეცვა, შავი კოსტუმი, შიგნით თეთრი პერანგი. შავი წინწკლებიანი ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული, საოცრად ღამაზი იყო, საოცრად მხნე – ამხანაგო პოლკოვნიკო, ამდენ წვალებას, ჩაგეტარებინათ მათი სასამართლო პროცესი ღიად, სახალხოდ და ის იქნებოდა. მოსული ვარ ევტის ჭკუასელის საქმის გამო. ხოლო როცა გაიოზ დემეტრადემ ევტის ჭკუასელის გახსნილ საქაღალდეში სასჯელის ორივე ფორმულირების წაკითხვა მოათავა, თენგიზმა უთხრა – თქვენ იმან გიშველათ, პოლკოვნიკო, რომ პირველი წინადადების დასასრულს მეორეზე გადასასვლელად სიტყვა “მაგრამ” მოიხმარეთ, მე უმალ მივხვდი, რომ მამაჩემს დახვრეტა ასცდა. მივხვდი ქვეშეცნეულად, ქვეცნობიერის ძალით, მივხვდი რაღაც ინტუიტურად და ამ მიხვედრას ის დრო ეყო, რაც თქვენ “მაგრამ“-ის წარმოთქმას მოახმარეთ, ესაა მთავარი, თორემ ან მე აღარ ვიქნებოდი, ან თქვენთვის მძიმე საფერფლე, აგერ ჩემს წინ მაგიდაზე რომ გიდევთ, გაგათავებდათ. მე ჩაგარტყამდით თავში. მე მგონია, რომ ყველაფერს გასაგებად ვამბობ. – ეს თქვა თეზიკომ, მერე ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო, თითქოს თავზე დაადგა გაიოზ დემეტრადეს, სახეზე, როგორც იცის მრისხანების დროს, წამოწითლდა და ხელისუფლების წარმომადგენელს ჩაჰყვირა – ნუთუ არ შეგიძლია ადამიანი იყო? რა არ გყოფნის, ძალა თუ ნება? ხომ შეიძლებოდა სიტყვა “მაგრამ” მცირე პაუზის, უნებლიე შეყოვნების შემდეგ გეთქვა და მე აღარ ვიქნებოდი, ვინ დაგარიგათ, ვინ გასწავლათ ასე მოექცეთ ხალხს, ძაღლად არ ჩააგდოთ ადამიანი, ვინ გიქადაგათ, თქვენ ვიღაცას შეიწირავთ, არ შეიძლება ვინმე არ იმსხვერპლოთ, ვიღაც არ განგმიროთ განაჩენის გამოცხადების თქვენი სულელური წესით. არ შეიძლება წინადადებები რომ შეანაცვლოთ? – თეზიკო თანდათან უწევდა ხმას, ბოლოს ყვირილზე გადავიდა. ხელის აღმართვას არაფერი უკლდა. მისმა განერვიულებამ ზენიტს მიაღწია, ამას იმით მივხვდი, რომ ენა აებორკა – დაიმახსოვრე, აქ რომ ვინმე მოკვდეს, შენ ვეღარ იცოცხლებ, საერთოდ ვერ გახვალ კაბინეტიდან – ამ მომენტში რაღაცამ მიკარნახა, რაღაცამ სკამიდან წამომაგდო და მათ პოლემიკაში ჩამრია, თუმცა სად იყო პოლემიკა, პოლემიკისათვის აუცილებელი ორი მხარიდან აქ მხოლოდ ერთი მხარე ბობოქრობდა. გაიოზ დემეტრადე საოცრად დაპატარავდა. ასეთი შეშინებული მე იგი არც მანამდე და არც იმ დღის შემდეგ არ მინახავს. მეც ამიტანა შიშმა. მე იმის შემეშინდა, თეზიკოს არ დაერტყა პოლკოვნიკისთვის და ამ უკანასკნელს იარაღისთვის არ მიემართა. მერე გავიაზრე, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო იყო. გაიოზ დემეტრადეს არაფრის თავი აღარ ჰქონდა და არაფრის თავი არ ჰქონდა სწორედ იმის გამო, რომ თეზიკო მართალს ეუბნებოდა. მის სულელურ ქცევას მართლაც შეეძლო შეეწირა ვინმე.

– გული ავი წინათგრძნობით მევსება – ვაგონის კუპეში გამეფებული დაძაბული სიმშვიდე მირიან იბერის აფეთქებამ დაარღვია – იუზა, შეწირული დალი ამაშუკელი რომ გამოდგეს, იცოდე მოგკლავ.

– იქ თეზიკოს დაწყნარებას გადავყევი, ახლა აქ – მირიანისკენ შებრუნდა იუზა, მერე ორივე ხელი მაღლა აღმართა ჩიხლაძემ და ღმერთს შეღაღადა – ჩემი ამ დღეში ჩაგდებისთვის გაიოზ დემეტრადეს შენ გაუსწორდი ღმერთო – მერე მირიანს შებღავლა – მაცალე, მირიან, ერთი წუთიც მაცალე და ჩემით მოგკვდები, როცა დალი ამაშუკელის ამბავს მივაღწევ.

იუზა ჩიხლაძე ტიროდა.

– შენ მეტს ვერაფერს ვერ მოყვები, არც არის საჭირო, დანარჩენი ყველაფერი ნათელი და გასაგებია. დაღის მოსვლის ეპიზოდი მე თვითონ შემიძლია მოყვე.

– მჯერა, რომ შეგიძლია ეს ეპიზოდი მოყვე. შენი წარმოსახვის ძალის სულ ნჯეროდა და მწამდა – ცრემლებს იწმენდა იუზა.

– მოვეყვ?

– მოყევი. მე არ ჩაგერევი თხრობაში.

– ნუ ჩამერევი, მაგრამ...

– რა მაგრამ, ჩარევის ფარგლები გინდა შემომიხაზო?

– ზუსტად ეს მქონდა მხედველობაში. შენი წარმოსახვაც, ჩინებულია.

წედანდელი მღელვარება დაცხრა.

ვერც ვასო და ვერც გიგლა ხმას ვერ იღებდა. დაბნეულობის განცდას მათთვის მღუმარების მანტია შემოეხვია.

– თხრობაში ჩარევას რა ფარგლებს უწესებ? – წამის წინა დიალოგს მიუბრუნდა იუზა.

– სადაც ფანტაზია გადააჭარბებს წარმოსახვას, იქ შემისწორე და რეალობა აღადგინე.

– კარგი, თანახმა ვარ. ოღონდ დაიწყე.

– დავიწყებ. ეს ადვილია. გაგრძელება თუ შევძელი.

– არა, ნუ დაიწყებ, ვერ შეძლებ, ან ნერვები გიმტყუნებს ან ფანტაზია არ გეყოფა. შენ არ იცი, რა მოხდა დემეტრადის კაბინეტში ექვსი წლის წინ.

– შევძლებ. რაც მთავარია, სიმართლესთან პირველმა შეხებამ არ დამფერფლა.

– მაშინ, მიდი, დაიწყე. მე უკვე გაოცებული ვარ.

– მეც! – თავისთავს მოერია და ხმა ამოიღო გიგლამ.

– დავიწყო? – იუზას მხერა გაუსწორა და ისე დასვა კითხვა მირიანმა – არა, არა არ შემიძლია. კი ვგრძნობ რა უბედურებაც მჭირს, მაგრამ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის დემოკრატესი არ იყოს, გრძნობები გვატყუებენ. შესაძლოა, მე რომ მგონია, ისე არაა საქმე, სული გამძვრება. გისმენ, ვითომ თენგიზ ჭკუასელის ეპიზოდი არ გამიგონია. მე ჩემს ჯერს ველოდები. იუზა, გისმენ, არაფერი გამოტოვო, არცერთი დეტალი არ გადაასხვაფერო.

– გაზაფხულის შემდეგ შენს ყოველ გახსენებაზე, შენს ყოველ დანახვაზე, შენთან ყოველ შეხვედრაზე კვდები. ერთხელაც მოკვდები – დაიწყო იუზამ – ოღონდ ხელი არ შემეშალოთ, ზედმეტი კითხვებით არ ჩამერთოთ, აზრი არ გამაწყვეტინოთ. თეზიკო როგორც იქნა დავაწინარეთ, მანაც ძალა მოიკრიბა და კაბინეტი დატოვა. მის შემდეგ შვიდი ახალი მთხოვნელი მივიღეთ. პოდპოლკოვნიკმაც თითქოს თავისი როლის შესრულება დახვეწა, გააუმჯობესა, მოსული მთხოვნელებისადმი ჯიბრის მომენტიც თითქოს ამოაგდო თავისი მოქმედებიდან, ორ ფორმულირებას შორის პაუზაც თითქოს ხელშესახებად ხანმოკლე გახადა. თეზიკოს შემდეგ მოსულ შვიდ მთხოვნელიდან არცერთთან წაკამათება არ მოსვლია პოდპოლკოვნიკს. მერვე მთხოვნელად დალი შემოვიდა. ასეთი მომხიბვლელი ქალი ცხოვრებაში მეტი არ შემხვედრია. ხორბლისფერიდან მზისფერში გარდამავალი თმა მისი გარეგნობის მთავარ შტრისს წარმოადგენდა. შავი კაბა ეცვა. მოხდენილად შეკერილი კაბა მის სხეულს ელვარებით ამკობდა. მოვიდა, მაგრამ მარტო არ მოსულა. როგორც პოდპოლკოვნიკთან საუბრისას გაირკვა ძმა ახლდა, გუბაზი. მირიან იბერის განაჩენი გვანტერესებსო – უთხრა გუბაზმა გაიოს. რა არის იბერი თქვენიო? იკითხა დემეტრადემ. მეგობარიო – აუხსნა გუბაზმა. იმავდროულად დალიმ განმარტა – საქმრო და ვფიქრობ ამ განმარტებამ გააფუჭა საქმე. დემეტრადე საოცრად გაღიზიანდა. როცა დალის განმარტება შემოესმა, გაიოზი მირიანის საქადალდეს იღებდა კარადიდან. “ამ კაცს გვარიც გასაოცარი აქვს, საცოლევც გასაოცარი შეურჩევი” – ეს თქვა და უეცრად ამოანთხია დემეტრადის ბოლმამ – “თქვენს საქმროს დახვრეტა მიესაჯა, მშვენიერო”. ასეთი უცნაური რედაქციით წარმოთქვა პირველი ფორმულირების ტექსტი გაიოზმა, მეტი აღარ დაცადა, დალიმ ერთი ამოიკივლა და დადუმდა. არა, ეს ამოკივლება არ იყო, ეს უფრო შეიძლება

სხვა სიტყვით – კერძოდ ამოკენესებით გამოითქვას. დიას, დალიმ ერთი ამოიკენესა, თავისი უკანასკნელი გაცემა გამოხატა სინამდვილის მიმართ და დადუმდა. “დალი” წამოიჭრა გუბაზე. მე გრაფინს ვეცი, წყალი მივაშველე დალის და გუბაზე, მაგრამ...

მთელი ამ ეპიზოდის თხრობის მანძილზე იუზა დაკვირვებით უყურებდა მირიან იბერს, თავიდან მირიანი თითქოს მშვიდად ისმენდა იუზას ნაამბობს, მაგრამ როცა იუზამ პოლპოლკოვნიკის გაღიზიანებამდე მიაღწია მირიანმა სიცხადით იგრძნო გული, სიცხადითაც და სიმწვავეთაც, გულის არეში ტკივილის გრძნობა წამიდან წამზე მატულობდა, მერე თითქოს მირიანს შიგნიდან ვიღაცამ თუ რაღაცამ შემოუტია, გულს მტკიცე სალტე შემოაჭლო, მოუჭირა. სალტემ და გულიდან წამოსულმა უმწვავესმა ტკივილმა ყველაფერი დაიპყრო. ტკივილი წამიდან წამზე გაუძაღისი ხდებოდა და მირიან იბერის ცნობიერებაში ერთბაშად შემოიჭრა სიკვდილის განცდა. იგი ელდასავით მძიმე იყო და ელდასავით გამჭოლი, მეწყერივით წამლეკი და ზვავივით შეუკავებელი.

უსაშველო ტკივილისგან მირიანს სახე მომჭუხვნოდა და ფერი ჩამუქებოდა. ეს იყო გულის ტკივილისგან მთელ სხეულზე გადავლილი პირველი თვალხილული ტალღა.

– მირიან! – იყვირა იუზამ – არ დაგვლუპო მირიან – მერე დანარჩენებს მიუბრუნდა:

– ვასო, ტუალეტის წინ, ტამბურში წყლის ბაკია. წყალი მოარბენიე. გიგლა, შენ მატარებლის ექიმი მონახე, ვაგონის გამცილებელს ეცოდინება როგორ უნდა მოიძებნოს ექიმი.

– ვკვდები, გაიფიქრა მირიანმა. ეს გაფიქრებაც მისი მდგომარეობის ცნობიერების განაფიქრს წარმოადგენდა. ეს მდგომარეობაც ვიღაცის ნებით იყო შექმნილი. არა მისი საკუთარი შინაგანი ნების ძალისხმევით, არამედ სხვისი ნებით. სწორედ და ზუსტად სხვისი ნებით! როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდებოდა მის ცხოვრებაში. არა! თითქმის კი არა, არამედ როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა იბერის სიცოცხლის მთელ მანძილზე.

ახლა თითქოს აგნებდა ეს სხვისი ნება ვისი ნება იყო, მაგრამ ზუსტად ვერ გაერკვია ეს ნება გაიოზ დემეტრადესთან მიდიოდა, თუ ამ ნების სათავე დალი ამაშუკელი იყო. გულიდან მკერდზე მოწოლილ ტკივილში ამის გარკვევას ვერ ახერხებდა.

ყველაფერი პირველყოფილი სიწმინდით იყო მის არსებაში შენახული. როგორი იმედი ჰქონდა დალის ბოლო დაპირების. ცნობიერების ეკრანზე ახლა ის შეხვედრა ენთო იხოლატორში რომ მოუწყვეს პოლიტპატიმრებს თავიანთ გულშემატკივრებთან. როგორ უნდოდა, როგორ სწადდა იმ პაემანზე, იმ ბოლო პაემანზე მაინცდამაინც დალი მოსულიყო. პაემანების ოთახში შესულ მირიან იბერს სწორედ დალი ელოდა იმ დღის შეხვედრაზე. როგორი გულმდუღარებით დაჰპირდა იმ დღეს მისი მზისფერთმიანი გოგონა თავის მირიანს პატიმრობიდან გამოსვლამდე დალოდებას. ახლაც საღებუნად ედება დალის მიერ ჩურჩულით ნათქვამი: “მიყვარხარ და ამიტომ მინდა, რომ კარგად იყო, მიყვარხარ და ამიტომ მგონია, მჯერა, მწამს (თითოეულ ამ სიტყვას ახლაც დალი საუბარში ჩართული პაუზებით დაბეჯითებით გამოჰყოფდა ერთმანეთისაგან), რომ აწ აღარავითარი განსაცდელი არ შეგხვდება. მიყვარხარ და... ნათლად ახსოვს მირიანს დალი ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ როგორ დაიხარა. მის ხელებზე შემოჭერილ მირიანის ხელებს როგორ მიწვდა და როგორ დაკოცნა, მერე გაიმართა და თქვა “დაგელოდები, სულ და უსასრულოდ დაგელოდები”. მირიანის გულს სადღაც შიგნიდან ისევ ეძგერა შუბი. ამოიკენესა. ამ დროს ექიმიც მოიყვანეს, რომელიც უაღრესი რუდუნებით მიუდგა ავადმყოფის გასინჯვას. “მე თუ ექიმი მქვია და თუ ამ საქმეში რამე მეკითხება ეს მიოკარდის ინფარქტია” დაასკვნა ექიმმა. “მაგრამ კარდიოგრაფია მაინც უნდა გადავუღოთ, ეს კი ხაშურამდე არ მოხერხდება. ხაშურში ამას

რამოდენიმე წუთში მოვახერხებთ”, “კი მაგრამ მანამდე არაფერი მივცემთ? ასე დავტოვოთ?” ვასოს ხმა იცნო მირიანმა. “ ალბათ, ნიტროგლიცერინის დამალევენებს” გაიფიქრა მირიანმა და იმავე წუთს ექიმის ნათქვამიც შემოესმა: “მანამდე გულს მოვეხმარებით, ნიტროგლიცერინის მივცემთ”. მერე ერთხანს სამედიცინო ჩემოდნის გაღება-დახურვის ხმა ესმოდა ავადმყოფს, მერე პირი გააღებინეს და ნიტროგლიცერინი ენის ქვეშ ამოუდეს. “არ გადაყლაპო” ჩააგონა ექიმმა. მერე ისევ მობრუნდა სადღაც უზო-უკვლოდ გადაკარგული ფიქრი. რა კარგად შეუდგენია გუბაზს დალის წერილი. იმ წერილმა აცოცხლა ამდენი წელი. ისიც ახსოვდა, იუზას მიერ ამ გაზაფხულზე მონათხრობი “არაფერი განსაკუთრებული. დემეტრადემ ერთხელ კიდევ მოისმინა აუდენციაზე თქვენი საუბრის ჩანაწერი, თუმცა ეს ჩანაწერი მხოლოდ რამდენიმე წინადადებას მოიცავდა”. დალი უსასრულოდ დალოდებას გპირდებოდაო – ასე უთხრა იუზას. თუმცა მას სცოდნია, როგორ დასრულდა დალის სიცოცხლე. “სხვა რამ უფრო დიდი უბედურება ხომ არ მომხდარა, რაიმეს ხომ არ მაღაგ?” ეს ჰკითხა მირიანმა გუბაზს, მაგრამ მას არ შეცვლია სახის ფერი, თავი არ დაუხრია, არ მოუბოდიშებია. გუბაზიც მოსაკლავია ჩემი ხელიდან, იუზაც და გაიოზ დემეტრადემ. თუ ამდამ გადავრჩი, ყველას გაუფსწორდები. ყველა ანგარიშგასასწორებელია. გაიოზი პირველ ყოვლისა. “მგონი დაწყნარდა?” გიგლა ეკითხებოდა დანარჩენებს, ექიმის ხმაც გაიგონა “ცოტა ჩაწყნარდება, ცოტა ხანს კიდევ ვუყუროთ, მერე გადავაგდებინოთ წამალი”. “მესმის, ყველაფერი მესმის. ამიტომ უნდა ჰქონდეთ აკრძალული ავადმყოფის შესახებ დასკვნების ხმამაღლა გამოცხადება ექიმებს და საერთოდ ავადმყოფის სასთუმალთან მის შესახებ ლაპარაკი”. მომატყუა გუბაზმა, მომატყუა თუ სიმართლე არ მითხრა? სიცოცხლე არ მომისპო. იუზამაც არ გამიმხილა ნამდვილი ამბავი. დემეტრადემ მკვლეელია, ეს განსჯასაც არ საჭიროებს. ახლა ცხადია, მხოლოდ ახლაა ცხადი, რატომ არ შეხვდა გაიოზი პატიმარ იბერს კოლონიაში მის მიერვე დამტკიცებული შეხვედრების განრიგირ მიხედვით. ცხადია, ეშინოდა. ამიტომ კიაფობდა დემეტრადის თვალეებში შიში და დაბნეულობა. გულის შემოტევისგან შემოფოთებულმა მირიანის ცნონიერებამ ნათლად და აშკარად დაინახა, დემეტრადემ თავის საწერ მაგიდას გადმოცდა და ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელით რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა პატიმრისაკენ. ამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისას ორჯერ ზედიზედ გაუსწორა თვალი ყოფილ სამხედრო ტყვეს. იბერმა ამ მზერაში დაინახა და ხელშესახებად იგრძნო კოლონიის უფროსის დაბნეულობა. თითქოს სხვას ელოდა, სხვა უნდა მოსულიყო, სხვა ჰყავდა გამოძახებული და კარი სხვამ შემოაღო, სხვა მოვიდა, კარის ზღურბლს სხვამ გადმოაბიჯა. პოლკოვნიკის გამოხედვა იმ ადამიანის გამოხედვას ჰგავდა, რომელიც ვიდაცის თუ რაღაცის გავლენას თუ ზეწოლას განიცდის, წნეხის ქვეშაა, ამიტომ არ შეუძლია თვალი გაუსწოროს მის წინ მდგარ მავანს. გაიოზ დემეტრადის წამიერად დანახულ თვალეებში ერთდროულად იყო შეკრთომაც, აფორიაქებაც და შიშიც კი, შიშიც და კიდევ რაღაც, რომელსაც ზუსტი სახელი ვერ დაარქვა, ვერ მოუნახა, ვერ მიაგნო იბერმა. მაშინ ვერ მიაგნო, ახლა კი იცის, რომ დემეტრადის თვალეებიდან შეშინებული მკვლელი იმზირებოდა, აშკარად შეშინებული, დამფრთხალი და არა მონანიე მკვლელი. ახსოვს, შესანიშნავად ახსოვს მირიანს გაიოზ დემეტრადესთან პირველი საუბრის ბოლო. ჯერ ის იკითხა “სად ჩავარდი ტყვედო?” მერე იბერების გვართ დაინტერესდა და სულ ბოლოს დაუსვა კითხვა: ქუთაისში ვინ გყავსო? აინტერესებდა დალის სიკვდილის ამბავი თუ იცოდა მირიანმა, იბერმა არაფერი უპასუხა და დემეტრადემაც, ალბათ, ვერ გაიგო იცოდა თუ არა პატიმარმა დალის ამბავი. რა გულუბრყვილოდ გაიფიქრა მაშინ მირიანმა, საიდან გაიგებდაო მილიციის თანამშრომელი დალი ამაშუკელის უცარი გადაკარგვის ამბავს. თურმე ყველაზე ზუსტად მას სცოდნია დალის

გარდაცვალების ამბავი, არა მარტო სცოდნია, არამედ მთელი სისრულით სცოდნია. მკვლევებითაა სავსე მთელი სისტემა.

როგორი ოსტატობით, როგორი სიბრძნით მოატყუა გუბაზმა მირიანი? მის ტყუილში სივერაგის ნატამალიც არ ერია, მაგრამ მაინც მოსაკლავია გუბაზი. საიდან მოიგონა ამ ათეისტურ სახელმწიფოში ქალთა მონასტერი, როგორ გაამრავლა და გაავრცელა ისინი? გარკვეული აზრით ეს ტყუილი სწორედ ისეთი სიცრუე აღმოჩნდა, რომელიც სიბრძნეს უკავშირდება. ტანჯვით, მაგრამ ამდენ ხანს გამაძლებია გუბაზის ტყუილმა, ჩემი ცხოვრების საზრისზე ექვსწლიანი ფიქრი დამაცალა. თავის უნაყოფოდ ჩავლილ ცხოვრებას მხოლოდ დალი ამაშუკელის სიყვარულით ამართლებდა მირიანი იბერი, ახლა კი ირკვევა, რომ სწორედ თვითონ ყოფილა დალის უეცარი, არაბუნებრივი სიკვდილის მიზეზი. ალბათ, დემეტრადესთან ბოლო შეხვედრის შემდეგ იქ, იქაურ, მეორე ქვეყანაში მელოდები, მოვდივარ! მოვდივარ! შენთან მოვდივარ: – ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა მირიანმა. ისიც იგრძნო, რომ კიდევ მცირე დრო და თავის დალისთან მივიდოდა. იგი ახლაც მისი სხვა იყო და მის გარეშე ახლაც არ შეეძლო ცხოვრება. ვკვდები, ახლა მეც ვკვდები დალი – გაიფიქრა მირიანმა და ახლა უკვე მესამედ იგრძნო გულზე შუბის ძგერება. თუ ჩემი სიკვდილის შესახებ სიცრუე იქცა შენი სიკვდილის მიზეზად, შენი სიკვდილის სიმართლე ჩემი სიკვდილის მიზეზი უნდა გახდეს. მე რომ ახლა გადავრჩე და ვიცოცხლო, ჩემი თავი შემძულდება, შემზიზნდება, შემეჯავრება. ტკივილი ხელახლა შემოაწვა. “ვკვდები” – ეს სიტყვა ხმამაღლა თქვა, მერე ფიქრში გააგრძელა. ჩემი არსებობის 35 წლიდან 29 წელია ვკვდები თუ მკლავენ. ჩემს სიკვდილს რთული გენეზისი აქვს. იმ პირველ სექტემბერს, როცა დედა და მამა დაიჭირეს და წაიყვანეს სიკვდილის პირველმა შეგრძნებამ შემარყია, შემძრა და ყველაფერი შეაშფოთა ჩემს ორგანიზმში, ჩემს სხეულში, ჩემს სულში. მის მერე მკლავენ. ყველა მკვლელი ერთმანეთს ჰგავს, ჰგავს კი არა, ყოველი მათგანი წინანდელის განმეორებაა, ზუსტი ასლია. არა! სტალინი სწორი არ იყო, როცა უთხრა, რომ შენი სიკვდილის გენეზისი ჩემთან შეხვედრით იწყებაო. ასე უთხრა. კარგად ახსოვს, ნამდვილად ასე უთხრა და სტალინი ზუსტად იმიტომ იყო სწორი, რომ ასე უთხრა. ახლა ხვდება მირიანი, რომ მისი ნამდვილი და ფაქტობრივი შეხვედრა სტალინის ნებასთან 1952 წელს კი არა, არამედ 1924 წელს მოხდა. იქედან იწყება სიკვდილის გენეზისი, მაინც სტალინიდან, მაინც იმ ხდომილებიდან, რომელიც სტალინის ნებით მოხდა.

წამიერად ჩათვლიმა. ერთბაშად მოსული ბინდი გადაეგლო მთელ სხეულს. მერე საიდანღაც გაჩნდა ბავშვობის სიზმარში ნანახი ზღარბი. ზღარბი ახლაც გულზე აეკრა, გული ჩაბღუჯა და საშინელი, გაუძალისი ტკივილი მოჰგვარა. გულზე იტაცა ხელი. სიტყვა “იტაცა” შემოიჭრა ცნობიერებაში, თორემ მირიანის მარჯვენა ხელი ძალზე შენელებულად მოძრაობდა. ძლივს მიიტანა გულთან. მერე უეცრად მისკენ წამოსული უზარმაზარი ცეცხლის დისკო დაინახა. დაინახა თუ სიკვდილის გენეზისის პირველი დამის წარმოსახვიდან ამოვლანდა, დიდი ცეცხლოვანი დისკო, დიდი ანთებული ლამპა მისკენ მოისწრაფოდა, მოდიოდა, მოექანებოდა. ცეცხლის დისკო იმ კაცს ეპყრა ხელთ, რომლის ნება არავითარ კანონს არ ემორჩილებოდა. სადღაც შორს დალი ამაშუკელის ხატება დალანდა მირიანმა. ეს ბოლო მოლანდება იყო. “გათავდა” ვერ გაარჩია ეს ბოლო სიტყვა ექიმმა თქვა თუ თვითონ გაიფიქრა. როცა გაახსენდა, რომ ახლანდელი ღამე 1694-ე ანუ უკანასკნელი ღამე იყო.

სამყარო კიდევ ერთხელ აფეთქდა.

არც კიდევ ერთხელ დაბადებაზე ოცნება არ აღსრულდა, აღარც ლენინგრადის ღვთაებრივი ღამე არ განმეორდა.

